ივანე მენთეშაშვილი

ოლივერ კრომველი

პურიტანი, პარლამენტი, სახელმწიფო მოღვაწე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი

საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი“
თბილისი
2022

წიგნში განხილულია ინგლისის რევოლუციის (სამოქალაქო ომის) გამოჩენილი ბელადის, ოლივერ კრომველის ცხოვრება, მისი სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობა. ნაჩვენებია გზა, რომელიც კრომველმა გაიარა საშუალო შეძლების სოფლის აზნაურიდან ინგლისის, შოტლანდიის და ირლანდიის ლორდ-პროტექტორამდე. ეს პროცესი განხილულია, როგორც მისი პირადი, ინდივიდუალური უნარის, რელიგიური და სოციალურ-პოლიტიკური პრინციპების ხორცშესხმა, რაც განხორციელდა იმის წყალობით, რომ კრომველმა შესაბამისად გაიაზრა რევოლუციის პირობებში წარმოებული ძალაუფლებისათვის ბრძოლა და მისთვის დამახასიათებლი სოციალურ-პოლიტიკური მოთხოვნები.

რედაქტორი: პროფესორი მერაბ კალანდაძე

რეცენზენტები: პროფესორი ცირა ჩიკვაიძე
პროფესორი ვასილ კაჭარავა

ISBN 978-9941-8-4359-4

სარჩევი

სარჩევი 3

შესავალი 9

თავი I

ფესვები 17

თავი II

ჯენტელმენის დაბადება 23

თავი III

პურიტანული ინგლისი 37

თავი IV

მთვლემარე დავითი. სოფლის ჯენტელმენიდან პურიტანობის მებაირახტრემდე 42

თავი V

დაპირისპირება 56

თავი VI

“Pax Quaeritur Bello” – „მშვიდობა ომში ეძიეთ“ (ლათ.) – ოლივერ კრომველის დევიზი 73

თავი VII

დიდების გზაზე 115

თავი VIII

ბრძოლის ველიდან – პოლიტიკურ ასპარეზზე 137

თავი IX

პატნის ვნებათაღელვები 166

თავი X

მეორე სამოქალაქო ომი 194

თავი XI

დამხობილი გვირგვინოსანი 204

თავი XII
რესპუბლიკა 243
თავი XIII
ირლანდია. სისხლიანი ლაქა. დაუნდობელი ურჩხული თუ ულმობელი ეპოქა? 272
თავი XIV
მოშუღარი სკოტები 315
თავი XV
ქვეყნის დალაგება 338
თავი XVI
ლორდ — პროტექტორი 368
თავი XVII
გაცამტვერება და ისტორიის სამსჯავრო 423

გამოყენებული ლიტერატურა 437

ავტორი მადლობას უხდის საქართველოს ეროვნულ მუზეუმს და მის გენერალურ დირექტორს, აკადემიკოს დავით ლორთქიფანიძეს აღნიშნული წიგნის გამოცემაში გაწეული დახმარებისათვის.

The author is grateful to Georgian National Museum and its Director General Academician David Lortkipanidze for the sponsorship of this book.

ვუძღვნი ჩემი შესანიშნავი მასწავლებლის,
ბ-ნ პეტრე თუმანიშვილის ნათელ ხსოვნას.

„არავინ აღზევებულა ესოდენ მაღლა, როგორც ის ადამიანი, რომელმაც არ იცის, თუ საით მიისწრაფის“

ოლივერ კრომველი

შესავალი

ნებისმიერი ეპოქა თავის სადარ გმირებს ქმნის. ის, ვინც თავის თანადროულ მოთხოვნებს, ფასეულობებს და თავისი დროის ამოცანებს გაუგებს და გაითავისებს, მტკიცედ, ყოველგვარი მერყეობის გარეშე მათ განხორციელებას დაისახავს მიზნად, მოვლენათა მსვლელობის სათავეში მოექცევა და თავისი დროის გმირის სახელს მოიხვეჭს. თავის მხრივ კი თავად ასეთი გმირი, დიდი ადამიანი, როგორც ამას თავის დროზე ილია ჭავჭავაძე წერდა, მიგვანიშნებს იმაზე, თუ რა სიმაღლეზე შეუძლია ამა თუ იმ ერს ასვლა და აღზევება კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში. ასეთ ადამიანებს შორის რასაკვირველია ინგლისის რევოლუციის (სამოქალაქო ომის) ბელადი ოლივერ კრომველი უნდა დასახელდეს. ადამიანი, რომელიც სწორედ მის თანადროულ მოვლენებში ნარმოჩნდა, გამოიბრძმედა და აღზევდა. რომელიც არნახული სიზუსტით გრძნობდა მიმდინარე მოვლენათა მაჯისცემას და ფეხს უწყობდა მას. კონკრეტული მომენტი და მისი მოთხოვნა, აი რა იყო მისთვის მთავარი და ამის მისაღწევად იგი ყველაფერ დანარჩენს განზე გადადებდა. ამიტომაც დაიმსახურა ალბათ პრინციპული უპრინციპობის მატარებლის სახელი. მაგრამ იმავე დროს სწორედ ამიტომ შესძლო არნახულად დიდ სიმაღლეზე ასვლა, რადგან გადამწყვეტ დროს უყოყმანოდ ასრულებდა იმას, რაც დროის მოთხოვნას წარმოადგენდა და რასაც სხვები, მის გვერდში მყოფი ადამიანები, რომლებსაც ალბათ არანაკლებად ამოძრავებდა სახელისა და დიდების მოხვეჭის სურვილი, ვერ ბედავდნენ ან ვერ ახერხებდნენ ამის გაკეთებას, რადგანაც არ ესმოდათ დროის მოთხოვნა. აკი ამბობდა კიდეც მისი თანამედროვე და მონინააღმდეგე ბანაკის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ედუარდ ჰაიდი, შემდგომში გრაფი კლარენდონი: „და აი ამგვარად, ძალების სრულიად უმნიშვნელო დაძაბვით, ყოველგვარი დახმარების გარეშე და ყველა წარჩინებული ადამიანის, ანდა იმათი ნების საწინააღმდეგოდ, ვინც ამ არეულობის დაწყებამდე ფლობდა მამულს, რომელსაც წელიწადში 300 გირვანქა სტერლინგის შემოსავალი მოჰქონდა, ეს ადამიანი(ოლივერ კრომველი-ივ.მ.) აღზევდა, მეფის წოდების

გარეშე, სამი სამეფოს(ინგლისი, შოტლანდია, ირლანდია-ივ.მ.) ტახტზე მოექცა და ისეთი ძალაუფლებით შეიმოსა, რომელიც მანამდე არც ერთ მეფეს არ ჰქონია."

1658 წლიდან, მისი გარდაცვალების დღიდან მოყოლებული მასზე 1000-ზე მეტი ცალკე ნაშრომი გამოქვეყნდა და დაიწერა 160 სრული მონოგრაფია. თვითეულმა ხანამ კრომველის განსხვავებული სახე შექმნა. სტიუარტების დინასტიის რესტავრაციის ხანის ავტორებისათვის ეს იყო მაკიაველისეული ბოროტმოქმედი და არამზადა, XIX საუკუნისათვის – ნონკონფორმისტი გმირი, XX ს. 30-40-იანი წლებისათვის – დიდი დიქტატორი. იმავე XX ს. 70-იანი წლებისათვის – რევოლუციის და მისი იდეალების მოღალატე. ცოტა მოგვიანებით, XX ს. 80-იანი წლებიდან შეიქმნა მიდგომა, რომელიც დღემდე ძალაშია და რომლიც მიხედვით კრომველის პიროვნების ჩამოყალიბებასა და მისი მოღვაწეობის განვითარებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება მისი შეხედულებების და ქმედებების რელიგიურ მოტივაციას. აკი XIX ს. ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი სემიუელ გარდინერიც მიუთითებდა, რომ „განგებაზე მინიშნება კრომველისათვის იყო პოლიტიკური ცვლილებების უპირველესი აუცილებლობის უტყუარობის მანიშნებელი." ღვთის ნება, მისი შეუვალობის და უცილობლობის ურყევი რწმენა იყო კრომველის ნებისმიერი ნააზრევის თუ ნაბიჯის საფუძველი. სულის სიმტკიცემ, რომელიც სარწმუნოებაზე იყო დაფუძნებული, წერს XIX-XX სს. ინგლისელი პოლიტიკოსი და ისტორიკოსი ჯონ მორლი, შეაძლებინა კრომველს მისი ცხოვრების მანძილზე ყველა გამოცდა გაეარა და ყველა წინაღობა გადაელახა. ამგვარი სიმტკიცე მორლის აზრით, გაცილებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე ანტიკურობის სტოიკური მორჩილება, რადგანაც გააზრებული მიზნით არის აღსავსე. ეს თვისებები საშუალო შეძლების სოფლის აზნაურმა გამოავლინა, რომლისთანები იმ ხანად ბევრნი იყვნენ ინგლისში. მაგრამ სწორედ ის ერთი აღზევდა. ამიტომაც ვიზიარებთ თანამედროვე ინგლისელი ისტორიკოსის ჯონ მორილის კრომველზე გამოთქმულ აზრს: „ადამიანი, რომელიც 20 წელიწადში რიგითი მინათმფლობელიდან სახელმწიფოს მეთაურამდე აღზევდება სხვა არაფერია, თუ არა დიდი ადამიანი." ისიც უნდა ითქვას, თუ როგორია ამ საუკუნის დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მოსახლეობის აზრი ოლივერ კრომველზე. 2002 წ. ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაციამ

(BBC- British Broadcasting Corporation) ჩაატარა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, რომლის შედეგად დასახელდა ყველა დროის 100 დიდი ბრიტანელი. ამ ასეულში ოლივერ კრომველს მეათე ადგილი ერგო. როგორც დასაბუთებაში იყო ნათქვამი, ეს შეფასება კრომველმა დაიმსახურა იმისთვის, რომ ქვეყანას ბიძგი მისცა სახელმწიფოს უფრო დემოკრატიული ფორმის ჩამოყალიბებისაკენ სვლაში. თუმცა, აქვე უნდა დავსძინოთ, რომ სერ უინსტონ ჩერჩილი თავის ოთხტომეულში „ინგლისურენოვანი ხალხების ისტორია" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კრომველის და მისი „რკინისგვერდებიანების" გამარჯვება არა დემოკრატიის და საპარლამენტო პრინციპების ზეობა, არამედ მახვილზე დაყრდნობილი ავტოკრატიის ბატონობა იყო.

რასაკვირველია, თითეული ამ შეფასების მიღმა შესაბამისი ეპოქის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფენების მრწამსი და ფასეულობებია. ტახტზე ხელახლა ასული სტიუარტები, კერძოდ ჩარლზ II და მისი გარემოცვა რასაკვირველია არ აპატიებდნენ კრომველს მეფე ჩარლზ I სიკვდილით დასჯას. ამის გამო სტიუარტების ხანაში და შემდეგ პერიოდშიც კრომველი ბოროტმოქმედად აღიქმებოდა. XIX ს. ინგლისი, განსაკუთრებით ვიქტორიანული ხანა(დედოფალ ვიქტორიას მეფობა) თავისი სადა, ლამის მკაცრი ზნეობრივი ნორმებით პურიტანობის ზეობის პერიოდს წააგავდა და ამიტომაც კრომველი გმირად შერაცხეს. XX ს. 30-40-იან წლებში ინგლისს ნაცისტური გერმანიიდან გამომავალი საფრთხე ემუქრებოდა და გასაკვირი არ არის, რომ კრომველის პიროვნებაში პირველ რიგში დიქტატორი დაინახეს. იგივე XX ს. 70-80-იანი წლების შეხედულებები კრომველის პიროვნების შეფასებაში ახლებური ხედვის შემოტანას წარმოადგენს. მათში აქცენტი კრომველის რელიგიურ მრწამსზე კეთდება. რომელი მათგანით უნდა შევაფასოთ ოლივერ კრომველი? რომელი მათგანი უფრო სრულად ნარმოაჩენს კრომველს, როგორც კონკრეტულ პიროვნებას და იმავდროულად გარკვეული ეპოქის, მისი ფასეულობების და მოთხოვნების პირმშოს?

ვლაპარაკობთ რა ეპოქაზე, ფასეულობებსა და მოთხოვნებზე, რომლებსაც საზოგადოება იზიარებს და რომელთა ცხოვრებაში გატარებით იგი თავის თავს ნარმოაჩენს, ჩვენ ისიც უნდა ვთქვათ, რომ სწორედ ეს საზოგადოება აყალიბებს ადამიანს, პიროვნებას. იგი შესაბამის ზეგავლენას ახდენს ინდივიდებზე, რათა მიუსადაგოს და შეუსაბამოს ისინი

იმ მიზნებს, რომელთა განხორციელებისაკენ თვითონ ისწრაფვის. რევოლუციის ხანის ინგლისის საზოგადოებაში(იგულისხმება რევოლუციის ბანაკი), ორი მთავარი აზრი იყო გაბატონებული. ერთი, სამეფო ხელისუფლების აბსოლუტისტური სწრაფვების ალაგმვა, მეორე – ქვეყნის საზოგადოებრივი ყოფის ბიბლიურ, კერძოდ, ძველი აღთქმის ყაიდაზე მოწყობა, რისკენაც ესოდენ ისწრაფოდა საპროტესტო მოძრაობის დამკვრელი ძალა, პურიტანები. აკი ამბობდა კიდეც იმ დროის პარლამენტის ე. წ. ახალი ყაიდის ჯარის ერთ-ერთი კაპელანი(სამხედრო ღვთისმსახური), რომ შექმნილი მართვა-გამგეობის წესი, რომელიც უფლის ეკლესიის მსგავსად არის ჩამოყალიბებული, არა ადამიანების, არამედ თავად ღმერთის ნახელავია. რაც შეეხება ადამიანებს, ისინი მისი თქმით, მხოლოდ უფლის ნებას ახორციელებენ, რომელსაც შემდეგ გაიცნობიერებენ.

სწორედ ამგვარი საზოგადოებრივ-ზნეობრივი წარმოდგენებით იყო აღვსილი ოლივერ კრომველი, ხელმძღვანელობდა მათით და მათივე განხორციელებისაკენ ისწრაფოდა. პოლიტიკაში – წარმომადგენლობითი ორგანოს, პარლამენტის უფლებების დაცვა და გაფართოება, რელიგიაში – პურიტანობის პრინციპების დამკვიდრება. სწორედ ამ მომენტებთან მიმართებაში უნდა ვეძებოთ კრომველის აღზევების მთავარი მიზეზი. ამ მიზეზებზე საუბრისას საინტერესოა ორი ცნობილი ავტორის პრაქტიკულად დიამეტრალურად განსხვავებული აზრების გათვალისწინება. „ძნელია იმის უარყოფა, რომ კრომველს მხოლოდ დაშნა უჭრიდა, რომ იგი ბევრ რამეში სცდებოდა ჩვენი დღევანდელი გადასახედიდან“ – წერს ზემოხსენებული ჯონ მორლი. მაგრამ იმავდროულად იგი აღიარებს, რომ შეუძლებელია თვალი დავხუჭოთ მის ნიჭიერებაზე და უფრო მეტიც, მისი სულის სიმტკიცეზე, გაბედულებაზე, მისი იდეალების სიდიადესა და სახელმწიფოს მოწყობის მისეულ კონცეფციაზე. მორლის თქმით, მისი ჩანაფიქრის მასშტაბი, სულისკვეთების თავისუფლება და მისგან მომდინარე სულიერი ენერგია, ღვთაებრივი ნაპერწკალი, რომელიც მას აღანთებდა, მხურვალე რწმენა – ყველაფერმა ამან კრომველს დაუმკვიდრა ადგილი მსოფლიოს ცივილიზებული ხალხების მეხსიერებასა და წარმოდგენაში.

კრომველის მხოლოდ დაშნის წყალობით აღზევების მოსაზრებას უპირისპირდება მისი საწინააღმდეგო და გარკვეულწილად ორი ერთნაირი დებულება. პირველი ეკუთვნის სერ უნისტონ ჩერჩილს, რომელიც

თავის ზემოხსენებულ ნაშრომში წერს, რომ კრომველის აღზევება განაპირობა როგორც მისმა ტრიუმფმა ბრძოლის ველზე, ასევ იმ წინააღმდეგობამ, რომელსაც იგი უწევდა პრესბითერიანებს და შოტლანდიელებს ვესტმინსტერში, ანუ პარლამეტში. მეორე დებულება ეკუთვნის ცნობილ საბჭოთა ისტორიკოსს მიხაილ ბარგს. ბარგის აზრით, კრომველი ისტორიულ კრომველად იმიტომ იქცა, რომ პოლიტიკურად იგი ჩვეულებრივ ლენდლორდზე უფრო მასშტაბურად აზროვნებადა, ხოლო რელიგიის სფეროში უფრო თანამიმდევრული მორწმუნე იყო, ვიდრე ნებისმიერი რიგითი პურიტანი. ამ ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებებს ჩვენის აზრით თავისებურად აწონასწორებს და ერთმანეთს უხამებს საბჭოთა ისტორიკოსი სტანისლავ ვოლსკი. განიხილავს რა ინგლისის სამოქალაქო ომისწინა პერიოდის პოლიტიკურ დაპირისპირებას, რომლის გამოხატულებას წარმოადგენდა სამეფო ხელისუფლების და პარლამენტის მომხრეთა მძაფრი სიტყვიერი პაექრობა, ს.ვოლსკი წერს: „მოვა დრო, და წინა პლანზე გამოვა კრომველი, რომელიც ბრძოლაში არა საპარლამენტო მჭერმეტყველებით ჩაებმევა, არამედ პარლამენტის ტრიბუნიდან ბრძოლის ველზე გადაინაცვლებს და დაშნით დაამტკიცებს თავისი მრწამსის და პოზიციის მართებულობას.“ ამ ხედვის წყალობით ჩვენს წინაშე გადაიშლება ისტორიულ მოვლენათა მონაცვლეობის კანონზომიერი სურათი. ანუ, გარკვეულ ეტაპზე სიტყვა ამოწურავს თავის შესაძლებლობებს და დაშნას დაუთმობს ადგილს. სიტყვას საქმე, მოქმედება უნდა მოყვეს. და ამ საქმეს სწორედ ის ახორციელებს, ვისაც ამის თავი და უნარი აქვს. ასე რომ, აღნიშნულიდან გამომდინარე, ასეთი ადამიანი(ამ შემთხვევაში კრომველი) არის ის გმირი, რომელიც, როგორც ამას ჰეგელი ამბობდა, თავისი დროის ჭეშმარიტებას ახორციელებს. აბა სხვანაირად როგორ უნდა ავხსნათ ის, რომ ადამიანი, რომელიც 40 წლის ასაკამდე საშუალო შეძლების აზნაურისათვის მიღებულ, ჩვეულებრივი, გამოზომილი ცხოვრების წესს მისდევდა, დაკავეული იყო სოფლის მეურნეობით, გადასახადების აკრეფით და ადგილობრივ მართვა-გამგეობაში საქმიანობით, ჯერ ბობოქარი სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების მონაწილე, ხოლო ცოტა ხანში – მათი სულისჩამდგმელი და მეთაური გახდა. ასე რომ, კრომველის აღზევება მხოლოდ მისი ძლევამოსილი დაშნის, ანუ სამხედრო ნიჭისა და უნარ-ჩვევების ხარჯზე არ მომხდარა.

კრომველის ხანას ორი ფაქტორი განსაზღვრავდა, სარწმუნოება და

პოლიტიკა(პოლიტიკური მრწამსი). სარწმუნოება განაპირობებდა პირად მომენტს, კერძოდ კი ხასიათის სიმტკიცეს, ჟინს, იმის რწმენას, რომ დღის წესრიგში მყოფი იდეები ჭეშმარიტებას წარმოადგენენ, ხოლო მათი მიმდევარი – მართალი და სწორ გზაზე მდგომი ადამიანია. იგივე ფაქტორი განაპირობებდა პიროვნების სულიერ შემართებას და უჭვენებდა, თუ რაოდენ გაცნობიერებული ჰქონდა მას ეს იდეა და რამდენად შესწევდა ძალა და უნარი ებრძოლა მისი განხორციელებისათვის. პოლიტიკური აზროვნების მასშტაბი კი ხელს უწყობდა პიროვნებას გაეცნობიერებინა პოლიტიკური ბრძოლის დღის წესრიგი, გაერჩია მთავარი და მეორეხარისხოვანი საკითხები, გაეგო კონკრეტული პოლიტიკური სიტუაციის ამოცანა და იმავდროულად შესძლებოდა პოლიტიკურ მოვლენათა განვითარების და სამომავლო მდგომარეობის განჭვრეტა. აქ დროული იქნება გავიხსენოთ კვლავ ჯ.მორლის გამონათქვამი, რომ ისტორიაში ყველაზე დიდი სახელის მატარებლები ის ადამიანები არიან, ვისაც უფრო მეტი შეხების წერტილი აქვს იმ საკითხებთან, რომლებიც მუდამ აინტერესებს საზოგადოებას. ვირწმუნოთ ინგლისელი ფილოსოფოსის ბერტრან რასელის დებულება იმაზე, რომ ყველა მისწრაფებას შორის, რომლებითაც არის შეპყრობილი ადამიანი, უპირველესი ძალაუფლება და დიდება, მათკენ სწრაფვაა. თუკი ინგლისის რევოლუციის ხანასთან მიმრთებაში ამ ორ ცნებას გავიხსენებთ, უნდა ავღნიშნოთ, რომ ოლივერ კრომველს ორივე ჰქონდა აღქმული და გაცნობიერებული. შესაბამისად, იგი თავისი დროის იდეების ყველაზე თვალსაჩინო მატარებელი და გამომხატველი იყო. მაგრამ ამ საკითხის დაკონკრეტება და განვითარება კიდევ უფრო მეტად შეიძლება. თუკი ძალაუფლება, დიდება და მათკენ სწრაფვა, როგორც ამას იგივე ბ.რასელი ამბობს, მარადიულად თან სდევს კაცობრიობას, კრომველის ხანაში ინგლისური საზოგადოების წინაშე მდგარ საკითხთა შორის იყო პოლიტიკური და რელიგიური თავისუფლება. როგორც კრომველის თანამედროვე, პოლიტიკური ოპოზიციის თვალსაჩინო ლიდერი ჯონ პიმი ამბობდა, ქვეყნის კარგად მართვა რელიგიის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა. კარგად მართვში კი ის გულისხმობდა სამართლიანობას სამოქალაქო და საეკლესიო სფეროებში. კრომველს ამ საკითხებთანაც უშუალო შეხება ჰქონდა და მათზე მსჯელობის ან მათი მოგვარების აქტიური მონაწილე იყო. ამგვარად, ეს კიდევ ერთხელ ესადაგება ჯ.მორლის განმარტებას ისტორიაში პიროვნების

მასშტაბურობის შესახებ.

მაგრამ კრომველის პიროვნება ამ თვისებებით არ იყო შემოფარგლული. მას ახასიათებდა რწმენის სიღრმე და სიმტკიცე, პოლიტიკური აზროვნების ფართო დიაპაზონი, რომლებიც განაპირობებდნენ მასში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ალღოს, მოვლენათა სათავეში ყოფნის უნარს, მათი შესაბამისი მიმართულებით წარმართვასა და გაძღოლას. ბოლოს კი, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე – პურიტანებისათვის დამახასიათებელი საკუთარი რჩეულობის გაცნობიერებას და ბატონობის დამყარებისკენ სწრაფვას. ეს სხვა არაფერია, თუ არა ჯ.მორლისეული დიდი ადამიანის, ისტორიული პიროვნების საზოგადოებრივ ასპარეზზე პრაქტიკული განხორციელების დემონსტრაცია.

პრაქტიკა, იდეის პრაქტიკული ხორცშესხმა, აი კრომველის მთავარი მოწოდება. იგი ურყევად იყო დარწმუნებული ღმერთის მიერ შექმნილი სამყაროს სისრულეში და თეორიული ძიებანი ნაკლებად აინტერესებდა. ამიტომაც მოუნოდებდა იგი თავის უფროს ვაჟს, რობერტს, გასცნობოდა ისტორიას, შეესწავლა მათემატიკა, კოსმოგრაფია, რათა ღმერთის მიერ შექმნილი სამყაროს მოწყობის სისტემა გაეცნობიერებინა და იმავდროულად გაეგო, თუ რა არის საჭირო იმისთვის, რომ წარემართა საზოგადოებრივი საქმიანობა. სწორედ კონკრეტული საქმიანობა, ცალკეული საკითხების გადაწყვეტა, თანაც არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, იყო კრომველისთვის უმთავრესი ამოცანა. ეს ამოცანა ღმერთის შექმნილი უზენაესი და სრული სახის მქონე თეორიის მიხედვით უნდა განხორციელებულიყო. აქ კი, წარმატებას თავად ადამიანის (ამ შემთხვევაში კი კრომველის) რწმენის სიღრმე და სიმტკიცე განაპირობებდნენ. ჭეშმარიტ მორწმუნეს იმის ურყევი რწმენა უნდა ჰქონოდა, რომ იგი ღვთის, უზენაეს ნებას ახორციელებს.

როგორ და რატომ მოევლინა ოლივერ კრომველი ინგლისის ისტორიულ-პოლიტიკურ ასპარეზს, რა წანამძღვრებმა და ისტორიული მოვლენების განვითარების კანონზომიერებამ განაპირობა მისი აღზევება და მისი ჩანაფიქრების განხორციელება, როგორ შეფასდა მისი პიროვნება და ნამოქმედარი სხვადასხვა დროს? საინტერესოა იმაზე დაფიქრებაც, თუ რა გვმართებს თავად ჩვენ, მისი გაკიცხვა ჩადენილი სასტიკი ქმედებებისათვის(მაგ. წამყვანი როლი და ინიციატივა მეფის სიკვდილით დასჯაში ან ირლანდიაში გამოვლენილი დაუნდობლობა),

თუ გაკვირვება, რომ იმ დიდ სამხედრო-პოლიტიკურ ორომტრიალში, როგორიც იყო ინგლისის სამოქალაქო ომი, რომელშიც ნებისმიერი მონაწილის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა დაუნდობელი ფასეულობებისა და მდგომარეობის მუდმივი ცვალებადობის გამო, მან თავიდან აიცილა უამრავი ხიფათი, შეეჭიდა სხვადასხვა მეტოქეს, სძლია მათ, დაიქვემდებარა უამრავი ადამიანი, საბოლოოდ გაიმარჯვა და ერთპიროვნულ მმართველად იქცა. გამარჯვებულებს, კი როგორც ძველი რომაელები იტყოდნენ, არ სჯიან. ასე რომ კრომველმა გაიმარჯვა და სწორედ ასეთად, საკუთარი გამარჯვებისა და აღზევების წარმომჩენად აქცია ისტორია, თუ შეიძლება ითქვას, თავისად გაიხადა იგი. ისტორია მის აღზევებაზე უარს არ ამბობდა. მან ყველას თანაბარი შესაძლებლობა მისცა და ბოლოს ყველაზე აქტიურის, ენერგიულის და პრაქტიკულის ნამოქმედარი მიიღო და კაცობრიობას თავისი მემკვიდრეობის სახით წარუდგინა. მას ყველაზე მეტად კრომველის დანატოვარი კვალი მოერგო და დაემჩნა. აი, ყველაფერ ამაზე წარიმართება საუბარი აღნიშნულ ნაშრომში.

ფესვები

1485 წ. 22 აგვისტო, ინგლისი, ლესტერშირის საგრაფო, ბოსვორტი. ინგლისის ორ სამეფო დინასტიას შორის მიმდინარე ომის, რომელიც ვარდების ომის სახელით არის ცნობილი, მორიგი ბრძოლა. ერთმანეთს მეფე რიჩარდ III, თეთრი ვარდის, იორკების გვარის წარმომადგენელი და ტახტის პრეტენდენტი ლანკასტერთა გვარის და შესაბამისად წითელი ვარდის დროშის ქვეშ მებრძოლი გრაფი რიჩმონდი უპირისპირდებიან. გრაფ რიჩმონდის კუთვნილება წითელ ვარდთან და ლანკასტერების საგვარეულოსთან საკმაოდ პირობითი იყო. რიჩმონდი, ჰენრი ტიუდორი, წარმოშობით უელსელი იყო. თავის დროზე პაპამისმა, უელსელმა აზნაურმა ოუენ ტიუდორმა ცოლად ითხოვა ლანკასტერების გვარის წარმომადგენლის, მეფე ჰენრი V ქვრივი, კეტრინ ვალუა (საფრანგეთის მეფის ასული). კეტრინ ვალუასთან ოუენ ტიუდორს შეეძინა ვაჟი, ედმუნდი, ბოსვორტთან მებრძოლი გრაფ რიჩმონდის, ჰენრი ტიუდორის მამა.

მამაცურად მებრძოლი მეფე რიჩარდ III ხელჩართულ ბრძოლაში დაეცა. იორკების დინასტია დამარცხდა. ლანკასტერების დროშის ქვეშ მებრძოლი გრაფი რიჩმონდი, ჰენრი VII სახელით ავიდა ტახტზე და ახალ, ტიუდორების დინასტიას მისცა დასაბამი. ფრანგი პლანტაგენეტების და მათი განაყოფი ლანკასტერებისა და იორკების შემდეგ ინგლისის სამეფო ტახტზე უელსელი ტიუდორები აღმოჩნდნენ.

გამარჯვებულები და აღზევებულები იშვიათად არიან მარტონი. მათ ჩვეულებისამებრ მრავალრიცხოვანი თანმხლები პირი ჰყავთ, რომლებიც ცდილობენ გამარჯვებულთან სიახლოვის წყალობით ხელი მოითბონ და რაღაცას გამორჩნენ. ეს ტრადიცია არც ბოსვორტთან ბრძოლის შემდეგ დარღვეულა. გამარჯვებულ ჰენრი ტიუდორს ბევრი უელსელი მოჰყვა, რომელთა შორის ერია ვინმე მორგან უილიამსი, რომელმაც გადაწყვიტა ლონდონში სწეოდა ბედს. მან ჯერ ლონდონის შემოგარენში ფუნდუკი და ლუდსახარში გასხნა, მერე კი

გრინვიჩში გადაინაცვლა, სადაც მეფე ჰენრი VII მდინარის პირას მდებარე სასახლე პლასენშია თავის რეზიდენციად აქცია. მეფის გვერდში ყოფნა პატივიც იყო და წარმატების მანიშნებელიც. სწორედ გრინვიჩში გაიცნო მორგან უილიამსმა და ცოლად შეირთო ადგილობრივი ვაჭრის, უოლტერ კრომველის უფროსი ქალიშვილი კეტრინი. უდავოა, რომ კრომველებთან დამოყვრებამ მნიშვნელოვანწილად გადაწყვიტა უილიამსების და ალბათ ინგლისის ბედიც. ძნელია თქმა, თუ რას ფიქრობდა ახლადდაქორწინებული მორგან უილიამსი თავის ცოლის ძმაზე, თომას კრომველზე, მაგრამ ერთი რამ უცილობლად სახეზეა. ეს ახალგაზრდა კაცი (თომას კრომველი) დაუდეგარი და მუდმივად რაღაცის ძიებაში იყო. ამ უდავოდ საზრიანმა და გონიერმა ადამიანმა უამრავ ასპარეზზე სცადა ბედი. იყო სამხედრო, მეწარმე, იურისტი, დიპლომატი და საბოლოოდ და ალბათ ყველასათვის მოულოდნელად სამეფო კარის პირველ პირამდე აღზევდა. ეჭვგარეშეა, რომ ამას მხოლოდ ძალზე გაბედული, გამჭრიახი, შეიძლება ითქვას ავანტიურისტული ზნის და გუნება-განწყობის ადამიანი თუ მოახერხებდა. სწორედ ალბათ ამიტომ მოახერხა თომას კრომველმა იმდენი, რომ ჯერ კარისკაცის ქალიშვილი შეირთო ცოლად, მერე ყოვლისშემძლე კარისკაცის, ლორდ-კანცლერის, კარდინალ უოლსის ყურადღება მიიპყრო, და დაუახლოვდა მას, შემდეგ კი კარდინალ უოლსისთან სიახლოვის წყალობით მისით თვით მეფე ჰენრი VIII დაინტერესდა. XVI ს. 20-იანი წლებისათვის ეს 30 წელს გადაცილებული კაცი უკვე იმდენად მდიდარი და საზოგადოებრივად გავლენიანი იყო, რომ სავსებით დასაშვები იყო მისი ჯენტელმენად მოხსენიება. ამით იგი რასაკვირველია კარგი მაგალითი იყო თავის დისწულის, მორგან უილიამსის ვაჟის, რიჩარდისათვის. გადმოცემით, რაინდთა ტურნირში მონაწილე რიჩარდ უილიამსმა ისე მოხიბლა თავისი სიმამაცით და სამხედრო ოსტატობით მეფე ჰენრი VIII, რომ ამ უკანასკნელმა მას ძვირფასთვლიანი ბეჭედი აჩუქა.

რიჩარდი თავისი პატივმოყვარე ბიძის ღირსეული დისწული გამოდგა. იგი ერთობ ენერგიულად და შედეგიანად მოქმედება გავლენიანი ნაცნობ-მეგობრების შეძენის ასპარეზზე. კერძოდ, სამეფო კარზე და ლონდონის სიტიში. ამის წყალობით მან 1518 წ. უდავოდ დიდ

წარმატებას მიაღწია, ითხოვა რა ცოლად ლონდონის ლორდ-მერის სერ თომას მერფინის ქალიშვილი ფრენსისი. ისტორია არაფერს გვეუბნება ამ ქორწინების სასიყვარულო წანამძღვრებზე, მაგრამ მისი მატერიალური და საზოგადოებრივი სიკეთეების ჯეროვნად ვერშეფასება არ შეიძლება. ამ ქორწინების წყალობით რიჩარდმა დიდი ქონება შეიძინა და საკმაოდ გავლენიან კაცად იქცა კემბრიჯშირის საგრაფოში. 1536 წ. იგი შერიფად დაინიშნა. 1537 წ. რიჩარდმა უილიამსების გვარს ერთობ დიდი პატივი შესძინა. მას რაინდის წოდება ებოძა და იმ დროიდან მოყოლებული სერ რიჩარდად მოიხსენიებოდა.

მაგრამ რიჩარდის სწრაფი წინსვლა არ იყო მხოლოდ მისი პირადი უნარით განპირობებული. მისი წარმატების პარალელურად ბიძა, თომას კრომველი თავბრუდამხვევი სისწრაფით მიიწევდა კარიერული აღმასვლის საფეხურებზე და ბოლოს, ქვეყნის პირველი მოხელე, ლორდ-კანცლერი, მეფის მარჯვენა ხელი გახდა. სწორედ ბიძის აღზევების წყალობით ებოძა რიჩარდს, რომელმაც უმალ დაუჭირა მხარი მეფე ჰენრი VIII მიერ წამოწყებულ და თომას კრომველის მიერ ცხოვრებაში გატარებულ რეფორმაციას(რასაც კათოლიკური ეკლესიისათვის მისი აურაცხელი ქონების ჩამორთმევა მოჰყვა), ჰინჩინბრუკის მამული ჰანტინგდონშირის საგრაფოში.

მაგრამ ბიძის აღზევება დისწულის გამდიდრება-განდიდებით არ შემოფარგლულა. ამ პროცესს ერთი ნამდვილად ისტორიული მოვლენა მოჰყვა, რისი წყალობით ისტორიამ განსახილველი მოვლენა სწორედ მოცემული სახელით შემოგვინახა. როგორც ჩანს, სახელოვან და ყოვლისშემძლე ბიძასთან კიდევ უფრო დაახლოვების, საკუთარი პოზიციების შემდგომი განმტკიცების და საერთოდ, ინგლისურ სამყაროსთან უფრო სრულად შეზრდის და მის განუყოფელ ნაწილად გახდომის მიზნით რიჩარდმა გვარი გამოიცვლა და ბიძის გვარი აიღო. უელსელი უილიამსი ინგლისელი კრომველი გახდა. ალბათ სწორედ ამგვარი გაინგლისელების თავისებური გამოძახილი იყო მისი შთამომავლის, ოლივერ კრომველის სიტყვები, რომლებითაც მან რევოლუციის დროს მიმართა თავის თანამებრძოლებს: „უკვე ისიც დიდი საქმეა, რომ ინგლისელები ვართ. და თუკი უფალი მიმართავს ხალხებს, ინგლისს იგი საგანგებოდ მოიხსენიებს: „შენა ხარ ჩემი პირველშობი-

ლი, ნეტარება ხალხთა შორის“ და არცერთ ხალხს არ მოეპყრობა უფალი ისე, როგორც ჩვენ.“ რა მეტამორფოზაა! პატარა ერის შვილი თავს დიდ ხალხს, მის ინტერესებს და სწრაფვებს უკავშირებს, სრულიად ითავისებს მათ და უფრო მეტიც, ამ ადამიანებს ახალი საზოგადოების, ახალი ფასეულობების დამკვიდრებისათვის ბრძოლაში მიუძღვის!

მფარველობა, დაფასება და პატივი ძლიერთა ამა ქვეყნის მხრიდან ყოველთვის სასურველი, სანატრელი და ძნელად მოსაპოვებელიც არის. მაგრამ მას თავისი სახიფათო, ზოგჯერ კი დამღუპველი სირთულეებიც ახლავს. არავინ იცის, მეორე დღეს მბრძანებელი რა გუნებაზე გაიღვიძებს! ფავორიტი, წერდა XVI ს. ინგლისელი დრამატურგი და პოეტი ქროსტოფერ მარლო სხვა არაფერია, თუ არა წინა ღამით ამოსული სოკო, რომლის მოცილება ხელის ერთი მოსმით შეიძლება. სწორედ ფავორიტობის ამგვარ შუქ-ჩრდილებში აღმოჩნდა ესექსის გრაფის წოდებით შემკული, მეფის პირველი მინისტრი თომას კრომველი. ჰენრი VIII სასიყვარულო და საქორწინო გატაცებები მჭიდროდ იყო გადაჭდობილი პოლიტიკურ საკითხებთან. ჰენრის პირველი ცოლი, კეტრინ არაგონელი, მისი უფროსი ძმის, არტურის ქვირვი მას გამიზნულად შერთეს, რათა ინგლისს ესპანეთთან საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართული კავშირი შეენარჩუნებინა. კეტრინი ესპანეთის მეფისა და რომის წმინდა საღვთო იმპერიის იმპერატორის, კარლოს V მამიდა იყო. ახალმა სასიყვარულო გატაცებამ, ენ ბოლეინმა, კეტრინთან გაყრამ და ამ გატაცების ობიექტის ცოლად თხოვამ ჰენრი VIII და ინგლისი პაპობას და კათოლიკურ ეკლესიას დაუპირისპირა და ჩამოაშორა. მოგვიანებით დედოფალი ენ ბოლეინიც შერისხულ იქნა და სიცოცხლე ეშაფოტზე დაასრულა. ჰენრის მესამე ცოლი, ჯეინ სეიმური, რომელმაც მას ესოდენ სანუკვარი ვაჟი აჩუქა, მშობიარობას გადაყვა. დაქვრივებული მეფე ახალი, რიგით მეოთხე ცოლის ძებნას შეუდგა. ცნობისათვის, მას სულ ექვსი ცოლი ჰყავდა.

სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში თომას კრომველმა გადადგა ნაბიჯი, რომელიც საბოლოო ჯამში მისთვის საბედისწერო გამოდგა. კრომველს მისმა დაუშრეტელმა ენერგიამ ორი საგარეოპოლიტიკური ნაბიჯისაკენ უბიძგა. ეს იყო კათოლიკური ქვეყნების, ესპანეთის და საფრანგეთის მოსალოდნელი კავშირის საპირისპიროდ ევროპის

კონტინენტზე პროტესტანტული ქვეყნების გაერთიანებისათვის ნიადაგის შემზადება და ამ საქმეში მეფის ახალი ქორწინების გამოყენება. ამით იგი ორ კურდღელს დაიჭერდა. გააძლიერებდა პროტესტანტობას და შესაბამისად ინგლისის პოზიციებს კონტინენტზე და თან მეფის გულსაც მოიგებდა ახალი ქორწინებით. თავისი ინტიმური ცხოვრებისადმი ესოდენ ყურადღებიანი ჰენრი VIII უკვე სამი წელი გლოვობდა გარდაცვლილ მეუღლეს ჯეინ სეიმურს(ცნობისათვის, ჯეინ სეიმური მან ცოლად ითხოვა ენ ბოლეინის სიკვდილით დასჯიდან თერთმეტი დღის შემდეგ). საცოლედ თომას კრომველმა მეფეს ერთ-ერთი გერმანული სამთავროს, კლევეს მთავრის და, ანა შეურჩია.

კრომველმა ორივე ფრონტზე გამანადგურებელი მარცხი იწვნია. ესპანეთ-საფრანგეთის დაახლოვება არ შედგა და შესაბამისად, არც პროტესტანტული კოალიციის იდეამ ჰპოვა განვითარება. კრომველის საგარეოპოლიტიკური კურსის მოწინააღმდეგეები ზეიმობდნენ. საგარეოპოლიტიკურ ჩავარდნას თან დაერთო მეფის იმედგაცრუება პირად ცხოვრებაში. მისი საცოლე, ანა კლეველი არ აღმოჩნდა ისეთი მიმზიდველი, როგორც იგი ჰენრის კარის მხატვარმა ჰანს ჰოლბაინ უმცროსმა დახატა. ცნობილ მხატვარს მისი ფანტაზია და ოსტატობა შეუნდეს. მაგრამ ყოვლისშემძლე თომას კრომველი ჯერ სახელმწიფო ღალატში დაადანაშაულეს, მერე ტაუერში უკრეს თავი და ბოლოს, 1540 წ. 28 ივლისს თავი მოჰკვეთეს. მართალი უთქვამთ ძველ რომაელთ, კაპიტოლიუმიდან ტრაპეუმის კლდემდე(საიდანაც ძველ რომში სიკვდილმისჯილებს აგდებდნენ ხევში) მხოლოდ ერთი ნაბიჯია!

და აი ასეთი ტრაგიკული ამბის შემდეგ მოვლენები ძალზე საგულისხმოდ განვითარდა. კერძოდ, მათ არ მოყოლია ჯაჭვური რეაქცია, რაც ალბათ ინგლისის ისტორიის სპეციფიკურ ხასიათზე მიუთითებს. ამიტომაც საგულისხმოა ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის ჯონ გრინის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საფრანგეთის რევოლუციური ტერორისაგან განსხვავებით, სადაც გილიოტინა კონვეიერივით მუშაობდა და თავები ერთიმეორის მიყოლებით ცვიოდნენ, ინგლისში ჰენრი VIII რისხვას მხოლოდ წარჩინებული, „რჩეული" თავები ეწირებოდნენ. მაგალითისათვის დავასახელებთ ლორდ-კანცლერს,

ცნობილ ჰუმანისტს, „უტოპიის“ ავტორს თომას მორს, იგივე თომას კრომველს, დედოფლებს ენ ბოლეინს და კეტრინ ჰოვარდს(ჰენრის VIII მეხუთე ცოლი), ჰენრი VIII ბიძაშვილს, გრაფ სარის, რომელსაც სამეფო ტახტზე პრეტენზიებში დასდეს ბრალი. ზემოაღნიშნულზე მინიშნება იმიტომ კეთდება, რომ თომას კრომველის სიკვდილით დასჯის შემდეგ მეფის რისხვა მის დაახლოვებულ პირებს არ შეხებია. აქ პირველ რიგში მისი დისწული რიჩარდი, ადრე უილიამსი და იმ ხანად უკვე კრომველის გვარის მატარებელი იგულისხმება. როგორც ჩანს, ისტორიამ ეს მოდგმა სათავისოდ შემოინახა. შერისხული ყოვლისშემძლე ბიძის სიკვდილით დასჯას რიჩარდ კრომველის წინსვლისათვის ხელი არ შეუშლია. 1541 წ. სერ რიჩარდი კვლავ გახდა კემბრიჯშირისა და ჰანტინგდონშირის შერიფი, 1542 წ. იგი პარლამენტის დეპუტატად აირჩიეს, ხოლო იგი 1543 წ. მეფის პირადი აპარტამენტების ჯენტელმენად დაინიშნა. ამ თანამდებობაზე მყოფი პირი ყოველთვის მეფის სიახლოვეს იყო, ემსახურებოდა მას მის პირად დარბაზებში, სამეფო კარზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებების თუ გართობა-სანახაობების დროს და ა.შ. ამასთან ერთად მეფემ მას უბოძა ორი მამული, რომლებიც მონასტრებს ჩამოერთვა. მათი წლიური შემოსავალი საერთო ჯამში 488 გირვანქა სტერლინგს აღემატებოდა. სერ რიჩარდი მეფეს საფრანგეთის ლაშქრობაშიც კი ახლდა 1544 წ., სადაც გარდაიცვალა კიდეც ციებისაგან.

ახლადგამომცხვარ კრომველებს არც „ოქროს ხანაში,“ ელიზაბეთ I ტიუდორის მეფობის დროს დაჰკლებიათ სამეფო კარის წყალობა. 1564 წ. სერ რიჩარდის მემკვიდრეს, სერ ჰენრი კრომველს თვით დედოფალი ეწვია და მოიხიბლა მისი ხელგაშლილი მასპინძლობით. სერ ჰენრიმ შეინარჩუნა მამამისის თანამდებობები კემბრიჯშირსა და ჰანტინგდონშირში. იგი სამეფო კარის ბრწყინვალებას თავისი მამულების მართვა-გამგეობაში ნერგავდა, რისთვისაც „ოქროს რაინდის“ მეტსახელი დაიმსახურა. მაგრამ ისტორია არ აპირებდა კრომველებისთვის გაღებული წყალობის ამით შემოფარგვლას.

ჯენტელმენის დაბადება

„დაბადებით ჯენტელმენი ვარ. ჩემი ცხოვრება სიდიადით არ ყოფილა გაბრწყინებული, მაგრამ არც სადღაც დასაკარგავში ვბოგინობდი“

ოლივერ კრომველი

და აი, XVII ს. დასაწყისში ჰინჩინბრუკში დაფუძნებულ კრომველებს კიდევ ერთხელ გაუღიმა ბედმა. 1604 წ. 27 აპრილს, ჰინჩინბრუკი, ჰანტინგდონშირის საგრაფო და საერთოდ, მთელი ინგლისი ფეხზე იდგა. ქვეყანაში ახალი სამეფო დინასტიის წარმომადგენელი შემოდიოდა. ეს იყო შოტლანდიის მეფე ჯეიმს VI სტიუარტი, რომელიც ინგლისის ტახტზე ჯეიმს I სახელით უნდა გამეფებულიყო. შოტლანდიელი ჯეიმსი ერთი წლის წინ გარდაცვლილი დედოფლის, ელიზაბეთ I მამიდაშვილის, ჯეიმს V შვილიშვილი იყო. სიკვდილის წინ ელიზაბეთმა სწორედ ჯეიმსი დაასახელა თავის მემკვიდრედ. ამ გადაწყვეტილების მიღებაში ელიზაბეთისთვის ხელი არ შეუშლია იმას, რომ ჯეიმსი შოტლანდიის დედოფლის, მერი(მარიამ) სტიუარტის ვაჟი იყო, რომელიც 1587 წ. ელიზაბეთის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს. სხვათა შორის არც ჯეიმსს გამოუხატავს შურისძიების სურვილი თავისი ბებიის (პაპის ბიძაშვილის) მიმართ. როგორც ჩანს, გრძნობდა, რომ გაუთხოვარ და უშვილო ელიზაბეთს ტახტის მემკვიდრის თვალსაზრისით მის იქით გზა არ ჰქონდა. ერთი კია, ვინრო წრეში ზოგჯერ ამბობდა: „ეგ ქალი მზე ან მთვარე ხომ არ არის, ზეცას რომ გამოკიდებია?!“ დედოფალი ხომ იმ დროისათვის „სარეკორდო“ ასაკს, 70 წელს „უკაკუნებდა.“ ჯეიმსს თავშეკავებაც და მოთმინებაც სათანადოდ დაუფასდა. 1603 წ. 16 მარტს, როდესაც დედოფალი გარდაიცვალა, ლონდონიდან ედინბურგში შიკრიკი გაგზავნეს, რომელმაც ჯეიმსს მისთვის ესოდენ სასიხარულო და სასურველი ამბავი, კერძოდ, ელიზაბეთ I ანდერძი ამცნო.

და აი, როგორც კი გამოცხადდა ინგლისში მომავალი მონარქის ჩასვლის ამბავი, ჰინჩინბრუკი ფუთკრის სკას დაემსგავსა. მზადება

ახალი მეფის დასახვედრად არნახული ენერგიითა და გულმოდგინებით დაიწყო. გვარის უფროსი, სერ ჰენრი(„ოქროს რაინდი“) და მისი უფროსი ვაჟი ოლივერი ძალ-ღონეს არ იშურებდნენ სამზადისის გაძღოლაში. მათ დამატებითი მსახურები დაიქირავეს, რისთვისაც დიდძალი ფული გადაიხადეს. კრომველების მამული დურგლებით, მხატვრებით და მებაღეებით აივსო. კემბრიჯიდან და ლონდონიდანაც კი ჰინჩინბრუკისკენ დაიძრა სურსათ-სანოვაგით და სასმელ-საჭმელით დატვირთული უამრავი საზიდავი. მაგრამ კრომველები არც ამას დასჯერდნენ. გართობა-თამაშობებისა და სანახაობების მოსაწყობად ლონდონიდან უამრავი მასახიობი ჩამოიყვანეს. ამ ისედაც დაძაბულ სამზადისს თან ერთოდა არანაკლებად დაძაბული და ლამის შემაწუხებელი მეთვალყურეობა. სამთავრობო უწყებები იშვიათი გულმოდგინებით და ყურადღებით სწავლობდნენ ყველა წვრილმანს. კრომველები ხომ პირველი ინგლისელი ქვეშევრდომები უნდა ყოფილიყვნენ, ვინც შოტლანდიიდან მოსულ ახალ მეფეს უმასპინძლებდა. ჰინჩინბრუკი თავისი ადგილმდებარეობით ზედგამოჭრილი იყო ამისთანა საქმისათვის. იგი მდებარეობდა ედინბურგსა და ლონდონს შორის, ჩრდილოეთის დიდი გზის გვერდით. აქ იყო ნადირობისათვის განკუთვნილი უამრავი ადგილი და ამ საქმის მოყვარული ჯეიმს I (უკვე ინგლისის), ამ მიდამოებში ნამდვილად არ მოიწყენდა. გზის პირას მცხოვრები ადამიანები არაფერს იშურებდნდნ, ოღონდ მეფის წინაშე ღირსეულად წარმოჩენილიყვენენ. ხალხი ოქრო-ვერცხლით მოვარაყებულ ჭურჭელს და მიწის ნაკვეთებსაც კი აგირავებდა, რათა მიღებული ფულით რამენაირად კიდევ უფრო მეტად გამოეჩინათ თავი და ყველაფერ ამაში მამა-შვილი კრომველები ეჯიბრებოდნენ და სჯობდნენ კიდეც ყველა დანარჩენს. სიტუაცია კულმინაციას უახლოვდებოდა. 1603 წ. 16 აპრილს ჰინჩინბრუკს ეწვია მთავრობის მეთაური სერ რობერტ სესილი. მან ყველაფერი გულმოდგინედ შეისწავლა და კმაყოფილი დარჩა მამა-შვილი კრომველების მიერ ჩატარებული სამზადისით.

და აი, დადგა 27 აპრილი. საზეიმოდ გამოწყობილი და საუკეთესო ბედაურებზე ამხედრებული მამა-შვილი კრომველები სამეფო კორტეჟის შესახვედრად დაიძრნენ. „ეს იყო არაჩვეულებრივი სანახაობა,

არნახული ზარ-ზეიმითა და ბრწყინვალებით აღსავსე! არასოდეს დამავიწყდება, თუ როგორ მოისწრაფოდა ეს ზღვა ხალხი, სხვადასხვა წოდების წარმომადგენლები ჩემს შესახვედრად. მათი ქცევა, თითეული მოძრაობა გამოხატავდა მათ არნახულ სწრაფვას მიახლოებოდნენ ახალ მბრძანებელს“ – იხსენებდა შემდეგ ჯეიმს I.

მაგრამ ჰინჩინბრუკმა და მისმა მფლობელებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს. თვითმხილველების თქმით მათ დაჩრდილეს ყველა მანამდე ჩატარებული ზეიმი და იმედი გაუცრუეს იმათ, ვინც სამომავლოდ ამგვარი რამის გამეორებას ისურვებდა. ერთმანეთს ენაცვლებოდა უამრავი გემრიელი კერძი, ზღვასავით მოედინებოდა სხვადასხვანაირი ღვინო თუ ლუდი. ყველას, ვინც კი კრომველების მამულში შემოაბიჯებდა, უხვად უმასპინძლდებოდნენ. ქეიფი და დროსტარება მეფის წასვლის შემდეგ ორ კვირას გაგრძელდა. ხოლო როდესაც ოფიციალური სტუმრობა დასრულდა, დიდი რაოდენობით დარჩენილი ხორაგი ადგილობრივ მოსახლეობას დაურიგეს.

მაგრამ მეფის გამასპინძლება ამ ზღაპრული სუფრით არ დასრულებულა. სერ ჰენრიმ და მისმა ვაჟმა ოლივერმა ჯეიმს I მიართვეს არნახული სილამაზის ოქროს თასი, მიჰგვარეს წმინდა სისხლის ბედაურები, ჯიშიანი მწევრები და ჩინებული სანადირო მიმინოები. ასეთ გულუხვობას უკვალოდ არ ჩაუვლია. გვარის ფაქტობრივი უფროსი, სერ ოლივერი(სერ ჰენრი 1604 წ. გარდაიცვალა) მეფემ ჯერ საიდუმლო საბჭოში შეიყვანა, მერე კი წვივსაკრავის ორდენი უბოძა. ნადირობის მოყვარულმა მეფემ სერ ოლივერს ჰანტინგდონშირის და კემბრიჯშირის საგრაფოების მნიშვნელოვან ნაწილზე სანადირო ფრინველის მეთვალყურის თანამდებობა უბოძა. მასვე ებოძა სამეფო ტყეებში ნებისმიერ ადგილას ნადირობის უფლება. მეფემ სერ ოლივერს არც ფულადი ჯილდო დააკლო და სამეფო მიწებიდან მას წლიური შემწეობა(პენსია) გამოუყო 200 გირვანქა სტერლინგის ოდენობით. როგორც იტყვიან, კაცი უკეთესს ვერ ინატრებდა.

და სწორედ ჰინჩინბრუკში გამართული ზარ-ზეიმის დროს მეფეს ალბათ წარუდგინეს პატარა ბიჭი, რომლსაც ჯეიმს I ჩასვლამდე ორი დღით ადრე, 25 აპრილს ოთხი წელი შეუსრულდა. ეს ერთობ შესაძლებელია, რადგან ჰინჩინბურკში კრომველების მთელი მოდგმა, სერ ჰენ-

რის მრავალრიცხოვანი შთამომავლობა, შვილები და შვილიშვილები მოიყრიდნენ თავს. პაწიას უსათუოდ მიჰგვრიდნენ მეფეს, რადგან იმ ხანად მეფის მიერ დალოცვა არა მარტო არნახული პატივი და დაფასება იყო, არამედ მაგიური ძალის მქონე მოვლენადაც ითვლებოდა. ეს პატარა ბიჭი კი უნდა ყოფილიყო სერ ჰენრის შვილიშვილი, მისი მეორე ვაჟის, რობერტის შვილი, რომელსაც ბიძის საპატივსაცემოდ ოლივერი დაარქვეს. წარმოიდგენდა განა იმ ხანად ის ხალხი, ვინც ჰინჩინბრუკში მეფეს ფიანდაზად ეგებოდა, რომ მათ შორის აღმოჩნდებოდა ადამიანი, რომელიც ოთხი ათეული წლის შემდეგ ამ მეფის ვაჟის, უკვე ახალი მეფის, ჩარლზ I წინააღმდეგ ჯერ დაშნას იშიშვლებდა, ხოლო შემდეგ მას ეშაფოტის გზას გაუყენებდა?!

როგორი ფუძიდან მომდინარეობდა ეს პატარა ბიჭი, რომელიც შემდეგ იტყვის, რომ დაბადებით ჯენტელმენია? და საერთოდ, როგორი იყო ამ ცნების კრიტერიუმი და განმარტება? რას წარმოადგენდა მოსახლეობის ის ფენა, რომელიც იმ დროისათვის უკვე საზოგადოების ქვაკუთხედად იქცა და რომელიც ჯენტელმენებად იწოდებოდა? ელიზაბეთ I ხანის ავტორი თომას სმიტი თავის ტრაქტატში წერდა, რომ ის ადამიანი, რომელიც სახელმწიფო საქმეებშია ჩართული, მიღებული აქვს საუნივერსიტეტო განათლება, არ არის დაკავებული ფიზიკური შრომით, შეუძლია იარაღის ტარება, ვინც ჯენტელმენის მოვალეობას იტვირთავს და შესაბამისი ქცევითაც ხასიათდება, აი ის შეიძლება იწოდებოდეს ჯენტელმენად.

სწორედ ამგვარი ცხოვრებისეული გზა გაიარა სერ ჰენრი კრომველის მეორე ვაჟმა, რობერტ კრომველმა. მან, როგორც მისმა ყველა ძმამ განათლება ტრადიციისამებრ კემბრიჯის უნივერსიტეტში მიიღო და საუნივერსიტეტო ხარისხის მიღების შემდეგ ერთობ ენერგიულად შეუდგა მზადებას ქორწინებისათვის, რაც მას მეტ ქონებას და შემოსავლის გაზრდის საშუალებას მისცემდა. უნდა აღინიშნოს, რომ მაგ დროისათვის რობერტ კრომველის წლიური შემოსავალი 300 გირვანქა სტერლინგს შეადგენდა, რაც ერთობ მნიშვნელოვან თანხას წარმოადგენდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ შემოსავალის პატრონს იმ დროის მოთხოვნებიდან გამომდინარე მდიდარი კაცის სახელზე პრეტენზიები არ უნდა ჰქონოდა.

რობერტის „საქორწინო ძიებანი“ ერთობ წარმატებით დამთავრდა. მან ცოლად შეირთო ილის მონასტრის ქონების მეთვალყურეებისა და გამგებლების, სტივარდების (Styward) გვარის წარმომადგენელი ელიზაბეთ სტივარდი. ეს გვარი ამ მოვალეობას თითქმის ნახევარი საუკუნე აღასრულებდა. გვარის ჟღერადობის გამო მის წარმომადგენლებს შოტლანდიის სამეფო დინასტიასთან, სტიუარტებთან (Stuart) კავშირზე პრეტენზიებიც კი ჰქონდათ. თუმცა არსებობს ისეთი ინფორმაციაც, რომლის თანახმად ეს გვარი კონტინენტიდან, კალეს მდაბიოთაგან მომდინარეობდა. ასეა თუ ისე, როგორც სიძის, ასევე პატარძლის გვარების წარმომადგენლებს პატივმოყვარეობა არ აკლდათ.

ახლადშეუღლებულებმა რობერტმა და ელიზაბეთმა, რომლებმაც 1591 წ. იქორწინეს, ჰანტინგდონში დაიდეს ბინა. ისინი ჰაი სტრიტზე მდებარე სახლში განთავსდნენ, რომელიც მათთვის რობერტის მამამ, სერ ჰენრიმ შეიძინა. შთამომავლობის თვალსაზრისით წყვილი კრომველებისათვის დამახასიათებელი წვრილშვილობით წარმოჩნდა. 1599 წ. მათ უკვე ოთხი შვილი, სამი ქალი და ერთი ვაჟი ჰყავდათ. სამწუხაროდ სულ პირველი შვილი, ჰენრი, რომელსაც პაპის სახელი დაარქვეს, საუკუნის მიწურულს გარდაიცვალა. მაგრამ მემკვიდრის მოლოდინით შეპყრობილ რობერტს ბედმა გაუღიმა და 1599 წ. 25 აპრილს მას ვაჟი შეეძინა, რომელსაც უფროსი ბიძის სახელი, ოლივერი დაარქვეს. სულ რობერტ კრომველს და ელიზაბეთ სტივარდს ათი შვილი შეეძინათ. კრომველების მოდგმისა და იმ დროის საოჯახო ნორმებისათვის ეს წვრილშვილობა ერთობ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მაგრამ იმავე ეპოქისათვის ესოდენ დამახასიათებელი სიკვდილიანობის (განსაკუთრებით ჩვილთა და მცირეწლოვან ბავშვთა) გამო ოჯახს მხოლოდ ხუთი შვილი, ოთხი ქალი და ერთი ვაჟი – ოლივერი შერჩა. ამგვარი შეფარდება – ოთხი ქალიშვილისათვის გასამზადი მზითვი და მამისა და ოჯახის საქმეების და ტრადიციების ერთი ვაჟის ანაბარა მიტოვება იმ დროის ფასეულობებითა და შეხედულებებით ერთობ უღიმღამო საქმეს წარმოადგენდა. ამიტომ ამ „ნაკლის“ ანაზღაურების მიზნით რობერტ კრომველმა აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა გააჩაღა. იგი ჯერ პარლამენტში აირ-

ჩიეს, როგორც ჰანტინგდონის დეპუტატი, ხოლო მერე მომრიგებელი მოსამართლის და სასამართლო აღმასრულებელის თანამდებობებზე დანიშნეს. მოგვიანებით მას გამწმენდი (დასუფთავების) სამუშაოების შემსრულებელი მუშების შერჩევა-დამიშვნა დაევალა. ამ თანამდებობებზე ყოფნასთან ერთად რობერტი ადგილობრივი სკოლის მეურვეთა საბჭოს წევრის მოვალეობასაც ასრულებდა. ასე რომ, რობერტ კრომველის ოჯახის საქმე საერთო ჯამში ურიგოდ არ მიდიოდა. ისინი შეიძლება ვარსკვლავებს არ სწყვეტდნენ ციდან, მაგრამ არც მივიწყებულ, არაფრად ჩასაგდებ ხალხს წარმოადგენდნენ. კრომველთა მოდგმა ის სიცოცხლისეული ელემენტი იყო, რომლის გარეშე წარმოუდგენელი იყო მაშინდელი პროტესტანტული ინგლისის ყოფა და საზოგადოებრივ-ეკონომიკური სტრუქტურები.

რა გავლენა შეეძლო ჰქონოდა ოჯახს და ამგვარ მდგომარეობას პატარა ბავშვზე, რომელსაც ახალი დინასტიის გამეფებისას ოთხი წელი შეუსრულდა? არსებობს მინიშნება ჰომეროსზე, რომ ბიჭისთვის არ არის სასურველი გაიზარდოს გოგონების გარემოცვაში. ოთხი დით გარშემორტყმული ოლივერ კრომველი სრულიად აცამტვერებს ამ მოსაზრებას. ამგვარი გარემოცვის მიუხედავად მას არც სიმამაცე, არც გამბედაობა და არც ხასიათის სიმტკიცე აკლდა. როგორც კრომველის ბიოგრაფებს მიაჩნიათ, მისი ცნობიერება ბავშვობიდან გვარის ზნისა და ფასეულობების ზეგავლენით ყალიბდებოდა. კრომველები მრავალრიცხოვან მოდგმას წარმოადგენდნენ, რომელიც თვითდამკვიდრების სწრაფვით იყო შეპყრობილი. ისინი ამაყობდნენ, რომ ტიუდორებს მოჰყვნენ ინგლისში და რომ არც სტიუარტების დინასტიისაგან მოკლებიათ პატივი და დაფასება. ოლივერს ალბათ ბუნდოვნათ თუ ახსოვდა პაპამისი, „ოქროს რაინდი" სერ ჰენრი, რომელიც მაშინ გარდაიცვალა, როდესაც მისი შვილიშვილი ხუთიოდე წლის იყო. მაგრამ „ოქროს რაინდის" სახელსა და დიდებას საგანგებო ადგილი ეჭირა მის შთამომავალთა ცნობიერებაში.

არის გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ბავშვობაში ოლივერ კრომველი არნახულად გიჟმაჟური გამოხდომებით გამოირჩეოდა. მათი უდიდესი ნაწილი ნდობას არ იმსახურებს. იმისათვის, რომ ტახტზე რესტავრირებული სტიუარტების კეთილგანწყობა მოეპოვე-

ბინათ, XVII ს. 60-70-იანი წლების ისტორიკოსები პატარა კრომველსაც კი (დიდზე საერთოდ ლაპარაკი არ იყო) არათუ ონავარ ბიჭად, არამედ საზარელ ურჩხულად ხატავდნენ. ამისათვის კი ფაქტების უკმარისობას ისინი მონაჭორებით ავსებდნენ. ასეთებს მიეკუთვნება ჯეიმს ჰიტი, რომელიც წერს, რომ დედის მიმტევებლობამ ბავშვის უხეში ხასიათი არნახულად სასტიკად აქცია. ჰიტის ამ მოსაზრებას აკრიტიკებს თანამედროვე ბრიტანელი ისტორიკოსი დერეკ უილსონი. იგი წერს, რომ რესტავრაციის პერიოდში ჰიტი სტიუარტების კმაყოფაზე მყოფი ისტორიკოსი იყო და შესაბამისად კურსი სამეფო დინასტიის მაამებლობაზე ჰქონდა აღებული. ჰიტი წერს, რომ კრომველი ბავშვობაში სკოლას აცდენდა და არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული მუყაითობით და აკადემიური მოსწრებით, რაც არ არის გამორიცხული. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს პატარა ბოროტმოქმედთან, ან თუნდაც არამზადასთან, იმის მიუხედავადაც კი, რომ როგორც ამბობდნენ, ბავშვობაში იგი მეზობლების ბაღებიდან ვაშლებს იპარავდა. თუ ბავშვობის ასაკის კრომველს მაინც და მაინც მისი არაკეთილმოსურნე ისტორიკოსების გულის საამებლად უარყოფითად დავახასიათებთ, იმაზე მეტს ალბათ ვერ ვიტყვით, რომ ეს იყო თავნება, ფეთქებადი ხასიათის ბიჭი, რომელიც შეზღუდვებს ვერ იტანდა და სხვების დამორჩილებისაკენ ილტვოდა.

როიალისტი ისტორიკოსები და კომენტატორები ზოგჯერ მიანიშნებენ ჭაბუკი კრომველის სქესობრივ აღვირახსნილობაზე. მაგრამ XVII ს. 60-70-იან წლებში, სტიუარტების ზეობის ხანაში ვერ მოიძებნა კრომველის მიერ გაუპატიურებული ან მასზე ამის გამო მომჩივანი თუნდაც ერთი ქალი. კრომველის მოძულე ისტორიკოსებმა უბრალოდ ვერ მონახეს ისინი. XVIII ს. ბრიტანელი ისტორიკოსი უილიამ ჰარისი წერს, რომ ლონდონში, იურისტთა ცნობილ ასოციაციაში, „ლინკოლნ ინს“-ში პრაქტიკული ცოდნის შესაძენად გაგზავნილი ოლივერი უფრო ქალაქური ცხოვრების ცთუნებებს ეზიარა, რამაც მას გარკვეული ფინანსური გართულებები შეუქმნა. თუმცა კი იქვე დასძენს, რომ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან მან დროზე მოაწესრიგა თავისი საქმეები და დაოჯახდა კიდეც. კრომველმა ცოლი 21 წლისამ ითხოვა. მისი სიმამრი, ტაუერ ჰილელი ვაჭარი და ესექსელი მიწათმფლობე-

ლი ჯეიმს ბურშიე რაინდის წოდებას ატარებდა და შესაბამისად სერ ჯეიმსად მოიხსენიებოდა. ასეთი ადამიანი თავის ქალიშვილს ვიღაცა შემთხვევით ავყიას არ გაატანდა. კრომველს და მის ცოლს, ელიზაბეთ ბურშიეს ბევრი შვილი მიეცათ. მათი კარგი ცოლ-ქმრობა ჰქონდათ და ეს ყველაფერი ნამდვილად ჩრდილავს ჯაბუკი ოლივერის შესაძლებელ ქორწინებამდელ სასიყვარულო „ნავარდს.“ სქესობრივად ოლივერი იმ ხანაში მომწიფდა, როდესაც საზოგადოება კიცხავდა ქორწინებამდელ სქესობრივ კავშირებს, ხოლო პურიტანთა ქადაგებები კიდევ უფრო ამყარებდნენ მტკიცე ზნეობრივ პრინციპებს. თანამედროვე დიდი ბრიტანეთის საისტორიო მწერლობა გამოთქვამს აზრს, რომ XVII ს. პირველ მესამედში მკვეთრად იკლო ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების რიცხვმა, რაც ირიბად კრომველის „წისქვილზეც ასხამს წყალს.“ ქმარზე ორი წლით უმცროსი ელიზაბეთი სრული ფორმების, ერთობ მიმზიდველი გარეგნობის, რბილი, დამყოლი ხასიათის, თავმდაბალი, მყუდრო, ოჯახური ცხოვრების მოყვარული ქალი ყოფილა. მაგრამ როგორც ჩანს, ოლივერს მასში მხოლოდ გარეგნობა არ ხიბლავდა. მათი ურთიერთისადმი ლტოლვის გამოხატვით აღსავსე წერილები, რომლებიც ქორწინებიდან 30 წლის შემდეგ არის დაწერილი, ამის დასტურს წარმოადგენს. როგორც ჩანს, სადა, მომჭირნე, საოჯახო საქმეების კარგად გამძღოლი და საზოგადოებრივ ასპარეზზე ქმრისთვის სრული თავისუფლების მიმცემი ელიზაბეთი არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ სულიერადაც ატყვევებდა და იპყრობდა ოლივერს. შეიძლება ითქვას, რომ მათი ცოლ-ქმრობა წარმოადგენდა იმ დროის პოპულარული პურიტანი ავტორის, დენიელ როჯერსის ბროშურის „ქორწინების ღირსება“-ს პრაქტიკულ განხორციელებას. „ცოლ-ქმრული სარეცელის უმთავრესი სიკეთე ხორცის სიმტკიცე და ძლიერებაა, რასაც სულის(გონების) სრულყოფა მოყვება. ეს ყველაფერი კი საშუალებას აძლევს ადამიანს ფეხი აუწყოს ღმერთს და მის მიერ დაკისრებული ყველა მოვალეობა ყოველგვარი გართულების გარეშე შეასრულოს“- წერდა როჯერსი. ცოლ-ქმრობის აბსოლუტურად პრაქტიკული და პრაგმატული ხედვა! და თუკი წუთიერად მაინც ვირწმუნებთ როიალისტი მემატიანეების მიერ მოწოდებულ ცნობებს იმის თაობაზე, რომ ჭაბუკი კრომველის დანხვაზე

დახლიდარები ლუდხანებს კეტავდნენ, ხოლო ქალებს ქუჩაში ვერ გაევლოთ მისი ხვევნა-კოცნისა და ლოშნის შიშით, როჯერსის მიერ შეთავაზებული ცოლ-ქმრული სარეცელის პრინციპებიდან გამომდინარე დაოჯახებულ კრომველს ხორცი, ვნება და ჟინი აბსოლუტურად და იმდენად უნდა ჰქონოდა დაკმაყოფილებული და დაოკებული, რომ მის პიროვნებაში წინა პლაზე სწორედ ცივი, პურიტანობის იდეებით განმსჭვალული გონება გამოდიოდა, რომელმაც განაპირობა კიდეც მისი განუხრელი წინსვლა და საბოლოო აღზევება.

არის გამონათქვამი, უფრო სწორად მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ჰინჩინბრუკში, სერ ჰენრის მამულში მეფე ჯეიმს I და მისი ოჯახის სტუმრობის დროს ორი პატარა ბიჭი, ჩარლი, მომავალი ჩარლზ I და ნოლი, მომავალი ლორდ-პროტექტორი ოლივერი(ნოლი ამ სახელის შემოკლებული ფორმაა) ერთმანეთს დაეჭიდა. ზოგიერთი ცნობა იმასაც კი ამბობს, რომ მომავალმა მეამბოხემ და ლორდ-პროტექტორმა მომავალ მეფეს ცხვირ-პირი დაუნაყა. მაგრამ ეს მოსაზრება ამ ამბის მომყვანთა (მაგ.დერეკ უილსონი) თქმითვე უფრო გამონაგონს წააგავს. ისე კი, ერთი რამ უცილობელია და ამაზე ბევრი ავტორი მიანიშნებს. კრომველი ბავშვობიდანვე ენერგიისა და შინაგანი ძალების დიდ მოზღვავებას განიცდიდა. მაგრამ იქვე უნდა დავსძინოთ, რომ უკვე მოზარდობაშივე მისთვის არც ხასიათის დეპრესიული მდგომარეობა იყო უცხო. არნახულ აღტყინებას ასეთივე გულჩათხრობა მოსდევდა. მთლიანობაში კი საკუთარ ძალებში არნახული რწმენა კრომველს უკვე მოწიფულ ასაკში გამოადგა, როდესაც ბრძოლის ველზე იგი თავისი შემართებით აღანთებდა თავის მეომრებს.

ამგვარი ხასიათის ყმაწვილს არც ძნელი მდგომარეობიდან გამოსვლა უჭირდა. ამის დასტურად ერთი მაგალითი მოყავთ. სიყმაწვილეში იგი სასკოლო თეატრალურ წარმოდგენებში მონაწილეობდა. ერთ-ერთი ასეთი იყო ანტიკურ ყაიდაზე დადგმული სპექტაკლი შემდეგი სათაურით: „სიტყვის შერკინება ხუთ გრძნობასთან.“ სცენაზე გამოჩენისას კრომველი თურმე თავის გრძელ მოსასხამს გამოედო და წაიფორხილა. მაგრამ ეს უხერხული მომენტი უმალ თავადვე განმუხტა საკუთარი, თანაც დღევანდელი გადასახედიდან ლამის ისტორიული ექსპრომტით: „ დიად ჩანაფიქრებს ფეხის დაცდენაც სდევს თან

და რა კარგია, რომ არ წავიქეცი!“ არ მოგვერიდება და ვიტყვით, რომ ამ სიტყვებს წინასწარმეტყველების გარკვეული ელფერი დაჰკრავს. ალბათ სწორედ მოსწავლეთა იმ დროის ამ თავისებურ თვითშემოქმედებაში მონაწილეობაა მისი სასწავლო პერიოდის ყველაზე ღირშესანიშნავი ფურცელი. კემბრიჯის უნივერსიტეტში ყოფნისას იგი არ გამოირჩეოდა რაღაც განსაკუთრებული აკადემიური მიღწევებით. მის მიერ ლინკოლნს ინში იურისპრუდენციის დაუფლების პერიოდი ბურუსით არის მოსილი. მაშინდელი საერთაშორისო ენა – ლათინური, მას მაინც და მაინც არ უჭრიდა. ინგლისის მეგობარი და მეტოქე ქვეყნების ენები მან უბრალოდ არ იცოდა. მაგრამ იგივე სასწავლო თვითშემოქმედების სპექტაკლებში იგი საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდა და თანაც ძირითადად მეფეებს განასახიერებდა, რასაც მისი არაკეთილმოსურნეები მის თანდაყოლილ პატივმოყვარეობას მიაწერენ. იგივე ავტორების თქმით მას უფრო ისეთი გართობა-თამაშობებისკენ მიუწევდა გული, რომლებიც ძალისმიერ ელემენტებზე იყო აგებული.

ხშირად მიუთითებენ ყმაწვილი კრომველის ხასიათის დიამეტრალურად განსხვავებულ ორ მდგომარეობაზე (აღგზნება, აღტყინება – გულჩათხრობა, სევდა). რიგი ავტორებისა იმასაც აღნიშნავს, რომ სიჭაბუკეში მას ხილვებისაკენ ჰქონდა მიდრეკილება. კერძოდ, მას დრო და დრო გამოეცხადებოდა ჰანტინგდონის ცენტრში აღმართული დიდი ჯვარი, ხმა ზემოდან კი ამცნობდა, რომ იგი სამეფოს პირველ ადამიანად იქცევა, თუმცა სიტყვა „მეფე“ არ იყო ნახსენები. ეს მომენტები ნამდვილად ანგარიშგასაწევია იმასთან დაკავშირებით, რომ გავარკვიოთ, თუ რამ განაპირობა მისი შემდგომი ხედვა და დამოკიდებულება არსებული პოლიტიკური სისტემის მიმართ. როგორც უკვე ავღნიშნეთ, კრომველები გარკვეულწილად ამაყობდნენ თავისი წარმომავლობით და მათი ცნობიერებიდან გამომდინარე ამ ხალხს შეეძლო ეთქვა: „ ინგლისი – ეს ჩვენ ვართ!“

მაგრამ ამ გვარის წარმომადგენლებში, ნათესავებსა და ახლობლებში მონარქებით უკმაყოფილო ხალხიც ერია. მეფეთა ჰინჩინბრუკში სტუმრობის დროს კარისკაცების თავგასულობა ზოგჯერ უკიდეგანო მასშტაბებს იღებდა და მძიმე ტვირთად აწვებოდა კრომველებს,

კერძოდ კი გვარის უფროსებს, სერ ჰენრის, სერ ოლივერს(მომავალი ლორდ-პროტექტორის ბიძას). ამას უკმაყოფილო გამონათქვამებიც მოჰყვებოდა. პატარა ოლივერი რასაკვირველია ყველაფერს ისმენდა, იმახსოვრებდა და რაც მთავარია ხედავდა, რომ ის პირობები, რომლებშიც ის ცხოვრობდა, ჩამორჩებოდა სხვებისას. ეს კი რიგი ავტორების აზრით მასში უარყოფით დამოკიდებულებას აყალიბებდა არსებული გარემოსადმი. ის კი არა, და ლორდ-პროტექტორად ყოფნის დროს იგი შესაშურ მომჭირნეობას და ყაირათიანობას ავლენდა, რაც რიგი ავტორების აზრით, სწორედ ადრეული წლების სადა ცხოვრებამ განაპირობა.

მაგრამ ის კრომველი, რომელიც საბოლოო ჯამში ისტორიამ მიიღო, ვერ ჩამოყალიბდებოდა მხოლოდ ამგვარი ზოგადი ზეგავლენის წყალობით. ონავარი ბიჭი, რომელიც ახლომდებარე ხეხილის ბაღებს აყაჩაღებდა და არც მშობლების მიტყეპა აკლდა, ზრდასრულ ასაკში შეიძლება უბრალოდ ფუქსავატ ადამიანად ქცეულიყო. მაგრამ სწორედ ამ მოსალოდნელ ფუქსავატობასა და ყმაწვილ კრომველს შორის აღიმართა ადამიანი, რომელსაც მისი პიროვნებიდან გამომდინარე ცალსახად მიიჩნევენ მომავალი ლორდ-პროტექტორის დამრიგებლად და სულიერ მოძღვრად. ეს იყო დოქტორი თომას ბირდი, თავად კემბრიჯის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ღვთისმსახური, ჰანტინგდონის დაწყებითი სკოლის ხელმძღვანელი. ეს იყო არნახულად მოწესრიგებული, მიზანდასახული და მკაცრი ბუნების ადამიანი, რომლისთვისაც სრულიად უცხო იყო რაიმე შეღავათი და პირველ რიგში საკუთარი თავის მიმართ. მისი დაინტერესებისა და მუდმივი ყურადღების ობიექტებს ის მოვლენები წარმოადგენდნენ, რომლებსაც XVI ს. მიწურულიდან ადგილი ჰქონდა ინგლისის რელიგიურ ცხოვრებაში. მის გონებრივ ღწვაში მთავარი ადგილი ეჭირა ისეთ საკითხს, როგორიც არის ადამიანის ურთიერთობა ღმერთთან და ის როლი, რომელიც ამ ურთიერთობაში უნდა ეთამაშა ინგლისის ეკლესიას. ასე რომ, დოქტორი ბირდი სულით ხორცამდე პურიტანი იყო, რადგანაც სწორედ ეს იდეები იყო აღნიშნული პერიოდის ინგლისელ პურიტანთა ცნობიერების ქვაკუთხედი. ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა XVII ს. დასაწყიში.

დოქტორი ბირდი იყო რიგი ბროშურების ავტორი, რომელთა შორის ყველაზე პოპულარული იყო „განკითხვის დღის სცენა.“ ეს იყო ტიპიური პურიტანული რწმენა-წარმოდგენების დემონსტრაცია იმის შესახებ, რომ ბოროტნი და ურწმუნონი აუცილებლად დაისჯებიან, თანაც, შესაძლო სირთულეების თავიდან ასაცილებლად, სწორედ ამქვეყნიურ ცხოვრებაში და არა საიქიოში. და იმ ბოროტთა შორის, ვინც ყველაზე სასტიკად დაისჯებოდა პირველობა ძლიერთა ამა ქვეყნისას, მეფეებსა და სხვა მბრძანებლებს ეკუთვნოდა. დოქტორ ბირდის თქმით, ისინი ყველაზე მეტად ცდილობდნენ სასჯელისგან თავის დაძვრენას. ეჭვგარეშეა, რომ ჭაბუკი ოლივერი იცნობდა ამ ნაშრომს და სავსებით იზიარებდა ავტორისა და საერთოდ პურიტანთა მრწამსს იმის თაობაზე, რომ ღმერთი კი არ ელოდება ადამიანის გარდაცვალებას და ამის შემდეგ განიკითხავს მას, არამედ სწორედ აქ, სააქაოში, მისი ქმედებების და მით უმეტეს, შეცოდებების შემყურე უმალ სასტიკად გაუსწორდება ცოდვილს. ამგვარი რწმენა, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების საფუძველი, კერძოდ, ღმერთის უცილობელი უზენაესობა და ამის გაცნობიერებაზე საკუთარი არსებობის დაფუძნება, სრულად არის წარმოჩენილი უკვე დავაჟკაცებული კრომველის ცნობიერებაში. ამის ნათელი დასტურია წერილი მისი ბიძაშვილისადმი, რომელიც 1638 წ. თარიღდება. „მინდა ვადიდო ღმერთი იმით, რომ საჯაროდ განვაცხადო, თუ რა გააკეთა მან ჩემი სულისთვის. ღმერთმა თავის ძის მეშვეობით გული გადამიშალა და გზა გამინათა. მე ბნელეთი მიყვარდა და ბნელეთში ვცხოვრობდი. ცოდვილთა შორის ყველაზე ცოდვილი ვიყავი. მან კი შემიწყალა და თავისი ნათელი დამანახვა. ადიდეთ იგი, რათა მან სრულყოს თავისი ნამოქმედარი, როდესაც ჩვენ ქრისტე გამოგვეცხადება“- წერს კრომველი. ამ წერილს ზოგიერთი ავტორი ადრინდელი სავარაუდო აღვირახსნილი და გარყვნილი ცხოვრების მონანიებად მიიჩნევს. ძნელია ამას დავეთანხმოთ. ადრე ჩვენ უკვე შევეხეთ კრომველის სიჭაბუკის ხანის ინტიმური ცხოვრების სავარაუდო ხასიათს. ახლა კი იმას დავსძენთ, რომ 17 წლის წინ დაოჯახებული მამაკაცი, წვრილშვილის პატრონი, რომლის წინაშე მის მიერვე გადასაჭრელი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი პრობლები იდგა არ დაიწყებდა ქორწინებამდე-

ლი სქესობრივი შეცოდებების გამო ჭმუნვას. მით უფრო იგი ამით არ შეაწუხებდა თავის მამიდაშვილ ქალს. ეს წერილი და მასში გამოთქმული აზრები სხვა არაფერია, თუ არა გამოცხადება, ზეშთაგონება! ადამიანს გონება გაეხსნა, გაუნათდა ღვთის ჭეშმარიტებაზე(გავიხსენოთ თუნდაც მისი ხილვები) და ამან კიდევ უფრო გააცნობიერებინა უწინდელი ცხოვრებისეული ცნობიერების უმნიშვნელობა და არარაობაც კი ღმერთის რწმენის, მისი უკიდეგანო ძლიერებისა და სრულყოფილების ფონზე. დასტურად ორ რამეს მოვიყვანთ. ერთი ის, რომ მანამდე, თავისებური სულიერი განწმენდის ნიშნად მან სრულად დააბრუნა ის ფული, რომელიც მას ადრე ბანქოში ჰქონდა მოგებული! სწორედ რომ მოგებული! ე.ი. მან ამგვარ შემოსავალს, როგორც უწმინდურს, ზურგი შექცია. მეორე შემთხვევაში კი რიგი წყაროებისა, თანაც ერთობ სარწმუნო, მიუთითებს, რომ კრომველმა, როგორც სხვა ბევრმა ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვით შეპყრობილმა ადამიანმა ვერ აიცილა თავიდან ძლიერი რელიგიური ეჭვი და ჭმუნვა. ეს პრაქტიკულად ყველა ადამიანის ხვედრია, რომელიც რელიგიას ფორმალური თვალსაზრისით არ განიხილავს. ზოგიერთი მათგანი, ვინც ცთუნებას ვერ უძლებს, სამუდამოდ ჩამოსცილდება ეკლესიას. მაგრამ ისინი, ვინც უფრო ძლიერი და მტკიცე ხასიათის პატრონია, ამ შინაგან ბრძოლაში გამარჯვებას მოიპოვებენ. წიაღსვლები საკუთარი სულის სიღრმეში მათ სულის სიმტკიცეს სძენს და გონებას უნათებს. კრომველი სწორედ ამ კატეგორიის ადამიანებს ეკუთვნოდა. იმის გამო, რომ მისთვის მელანქოლიაც არ იყო უცხო, იგი არნახული განცდების ტყვეობაში იყო მაშინ, როდესაც ეჭვით იყო შეპყრობილი. მაგრამ დადგებოდა თუ არა მოქმედების ჟამი, კრომველი აქტიური ხასიათის(ზნის) წყალობით განზე გადასდებდა ყოველგვარ ეჭვს და ურყევი რწმენით შეუდგებოდა საქმის კეთებას. მის ამდაგვარ პრაგმატულ, რაციონალურ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე მეტყველებს მისი გეგმები და სურვილები საკუთარი შვილების მომავალთან დაკავშირებით. "მე მინდა, რომ იგი საქმიანი, პრაქტიკული ადამიანი გამოვიდეს" – ამბობდა კრომველი თავის უფროს ვაჟზე, რობერტზე. ამისათვის რობერტს შემდეგნაირად უნდა ემოქმედა. „გაეცანით ისტორიას, შეისწავლეთ მათემატიკა და კოსმოგრაფია. ეს იმისთვის არის აუცილებელი, რომ გავიცნობიე-

როთ ღმერთის მიერ შექმნილი სამყაროსეული წესი და რიგი. გარდა ამისა ეს იმისათვისაც არის საჭირო, რომ გაიაზროთ ის, რისი მეშვეობით უნდა ჩაერთოთ საზოგადოებრივ ურთიერთობებში. არ ეძიოთ სიამოვნება. თავისუფალ დროს წაიკითხეთ სერ უოლტერ რალის "ისტორია." ეს საფუძვლიანი გამოკვლევა უფრო მეტს მოგცემთ, ვიდრე ცალკეული ნაწყვეტების გაცნობა. ხე ცოდნისა ადამიანის შიგნით და არა მის გარეთ არის. და სწორედ ცოდნა სძენს მას გონებას. ცოდნა არც მეტისმეტად თეორიული და არ გადამეტებულად პრაქტიკული უნდა იყოს, ანუ ესიტყვებოდეს ადამიანის ხასიათს დ განგების ნებას. უკუაგდეთ სიზარმაცე და პატივმოყვარეობა"- წერდა კრომველი. ეჭვგარეშეა, რომ ის, რასაც კრომველი უნერგავდა თავის შვილს, თავად მისი ცხოვრების მრწამსი იყო, რომლითაც იგი ხელმძღვანელობდა თავისი მამულის სამეურნეო საქმეებში, საპარლამენტო პაექრობაში, ბრძოლის ველზე და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის დროს. სწორედ ეს, სიყმანვილეში ჩასახული ურყევი რწმენა გამოსჭვიოდა მოწიფული ასაკის კრომველის საჯარო პაექრობაში, საპარლამენტო სიტყვებში, საბრძოლო პატაკებში. პურიტანთა ღმერთი, პირველ რიგში ღმერთი ძველი აღთქმისა, დაუნდობელი ურწმუნოთა და წარმართთა მიმართ, მათი შემმუსვრელი, დოქტორ ბირდის გულმოდგინე მეცადინეობით იქცა ოლივერ კრომველის ღმერთად. ეს იყო იმ პურიტანი ინგლისელების ღმერთი, რომლებიც კრომველის მეთაურობით გაილაშქრნენ მონარქიის წინააღმდეგ. რა იყო საერთო ამ პურიტანულ ინგლისსა და ოდესღაც ვაშლების დამტაცებელ ბიჭს შორის, რომელიც მას ჩაუდაგა სათავეში და მისი შვილები ძველი აღთქმის მოწოდებებისათვის თავგამოდებულ მებრძოლებად აქცია იმის წყალობით, რომ მათი სულისკვეთება თავის რკინისებრ ნებას დაუმორჩილა? ამისათვის იმ ინგლისს და ინგლისელებს უნდა გადავავლოთ თვალი, რომელთა წიაღშიც კრომველი, როგორც პიროვნება ჩამოყალიბდა. ეს წიაღი კი პურიტანული ინგლისი იყო.

პურიტანული ინგლისი

ინგლისის ისტორიაში უდავოდ ბევრია ისეთი პერიოდი, როდესაც ქვეყნის აღზევებას ჰქონდა ადგილი, როდესაც ინგლისისა თუ ინგლისელების მიერ მიღწეული წარმატებები ისტორიის გადასახედიდან სიამაყესა და აღტაცებას იწვევენ. მაგრამ მხოლოდ ერთმა მათგანმა დაიმსახურა „ოქროს ხანის“ სახელი. ეს არის XVI ს. მეორე ნახევარი, რომელიც თითქმის მთლიანად იყო დაკავებული დედოფალ ელიზაბეთ I ტიუდორის მეფობით(1558-1603 წწ.). იმ პერიოდის ინგლისელებმა თავისი ქვეყნის ისტორიას უამრავი საინტერესო, საამაყო და ლამაზი მოვლენა შემატეს, რის გამოც საისტორიო მწერლობამ მათ საკუთარ ქვეყანაში და საკუთარ თავში შეყვარებული ადამიანები უწოდა. გარეშე საფრთხემ ერთ მუშტად შეკრა საზოგადოების სხვადასხვა ფენა და ხელისუფლების სხვადასხვა შტო, განსაკუთრებით კათოლიკური ესპანეთიდან გამომავალი საფრთხის წინაშე.

მაგრამ 1588 წ. ესპანეთის „უძლეველი არმადის“ განადგურების და საერთოდ, ესპანეთიდან მომდინარე საფრთხის გაქრობის შემდეგ ინგლისს უკვე აღარ ემუქრებოდა უცხო ქვეყნის შემოსევა. საგარეო-პოლიტიკური სიტუაცია ერთგვარად განიმუხტა. სამაგიეროდ ამან წარმოაჩინა შიგა წინააღმდეგობა, რომელიც გარეშე საფრთხის გამო მეორე პლანზე იყო გადასული. პარლამენტმა თანდათანობით პრეტენზიები წაუყენა სამეფო ხელისუფლებას. პრეტენზიები ეხებოდა დაბეგვრის, პატენტების გაცემის საკითხებს. პარლამენტი ითხოვდა საომარი ხარჯებისათვის აკრეფილი გადასახადების შესახებ ანგარიშგებას და პატენტებით ვაჭრობის შეწყვეტას, რაც ცალკეული კომპანიების მონოპოლიას უწყობდა ხელს. უთანხმოება შეიქმნა რელიგიური საკითხების სფეროშიც. მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ანგლიკანური ეკლესია არასაკმარისად პროტესტანტულად ეჩვენებოდა. ისინი მოითხოვდნენ ანგლიკანური ეკლესიის განწმენდას კათოლიკობის ნაშთებისაგან. ამიტომ მათ პურიტანები ეწოდებოდათ, რაც

წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან Purus და შესაბამისად ინგლისურიდან Pure- წმინდა. პურიტანების კრიტიკა არა მარტო არქიეპისკოპოსების, ეპისკოპოსების და საერთოდ, ანგლიკანური ეკლესიის და მისი ღვთისმსახურების გარეგნული ბრწყინვალების წინააღმდეგ იყო მიმართული. იგი მოითხოვდა სისადავისა და უბრალოების ყოველდღიურ ცხოვრებაში დამკვიდრებასაც. მაგრამ იმავე დროს ამ ქადაგებაში ადგილი არ ჰქონდა სიმდიდრისა და მომხვეჭელობის დაგმობას. დაუღალავი შრომა, ყაირათიანობა და მომჭირნეობა, დოვლათის მომრავლება, ფუქსავატ ცხოვრებაზე უარის თქმა, აი პურიტანების მრწამსის ქვაკუთხედი. მაგრამ ეს მოწოდებები ამით არ იფარგლებოდა. შრომა და მისი მეშვეობით ყოველდღიური გამდიდრება, ყაირათიანობა, ყველაფერი ეს პურიტანების აზრით იყო ერთადერთი და ჭეშმარიტი გზა ზეციური სასუფეველისკენ. არა ზეციური მადლი, რომელიც ყველას უნდა მოსცხებოდა, არამედ წინასწარ გამორჩეულთა ხვედრი. და ამ ხვედრს სწორედ ისინი, პურიტანები იმსახურებდნენ, როგორც ჭეშმარიტად ღვთისმოსავი და ღვთისმოშიში ადამიანები(მათი აზრით, რასაკვირველია). პურიტანები გაურბოდნენ ამქვეყნიურ სიამეს და ნეტარებას, გმობდნენ სანახაობებს, მათ შორის თეატრს, მოკრივეთა შეჯიბრებებს, ცეკვა-თამაშს და მუსიკას. ყველაფერი ეს მათ სატანის მსახურებად მიაჩნდათ. პურიტანები აღვსილნი იყვნენ ასკეტურობით და სიმკაცრის გრძნობით. თვით ღმერთის შემეცნებაში კი ისინი ძალზე თავისებურ პოზიციაზე იდგნენ. მათმა მკაცრმა ბუნებამ ყველაზე მეტად გაიცნობიერა და გაითავისა არა მაცხოვრის მიერ ნაქადაგები შეწყალება, მიტევება და სიყვარული, არამედ ძველი აღთქმის მრისხანე ღმერთი, რომლის ღვთიურ რისხვას ვერ წაუვიდოდა ვერც ერთი ურწმუნო თუ წარმართი. ამიტომაც მათი რელიგიურობა და დამოკიდებულება ქრისტიანობის სხვა მიმდინარეობების (პირველ რიგში კათოლიკეთა) მიმართ გამოირჩეოდა არნახული აგრესიულობით. ისინი შეპყრობილები იყვნენ ფანატიკური რწმენით და იმავე დროს სასტიკ შეურიგებლობას იჩენდნენ სხვათა მიმართ. მათი იდეალი იყო დაუღალავი შრომითა და დოვლათის ზრდით შეპყრობილი სადა სამყარო, სადაც ბიბლიური, განსაკუთრებით ძველი აღთქმის პრინციპები იბატონებდნენ. ამ იდეებით გატაცება მათ ყოვლედღიურ

ცხოვრებაშიც გამოიხატა. ხმარებიდან თანდათან გაქრა სამკაული და მორთულობა. სადა, ძირითადად შავი მაუდის ტანსაცმელი, უბრალო თეთრი საყელო, აი პურიტანების ერთადერთი მორთულობა. მოდაში შემოვიდა ძველ აღთქმაში ხმარებული სახელები. ინგლისში მომრავლდნენ პატარა ბიჭები, რომლებსაც მოზესი, აიზეკი, ჯერემი ან მელექი (შესაბამისად მოსე, ისააკი, ერემია, მალაქია) ერქვათ. შეიძლება ითქვას, რომ პურიტანობა მზარდი ბურჟუაზიის იდეოლოგიას წარმოადგენდა.

რასაკვირველია, პურიტანობა ინგლისში ცარიელ ადგილზე არ წარმოქმნილა. იგი სათავეს იღებდა შვეიცარიული კალვინიზმიდან, რომელიც პროტესტანტობის ყველაზე რადიკალურ ფორმას წარმოადგენდა და რომლის საერო გამოხატულება მმართველობის რესპუბლიკური ფორმა იყო. შესაბამისად, პურიტანთა შეხედულებები მიმართული იყო როგორც აბსოლუტიზმის, ასევე მისი რელიგიური დასაყრდენის, ანგლიკანური ეკლესიის წინააღმდეგ, რომელიც ფაქტობრივად სამეფო ხელისუფლების მიერ იმართებოდა. მაგრამ თავად პურიტანობაც არ იყო ერთგვარი. პურიტანების ერთი ნაწილი, რომელსაც სურდა შოტლანდიის მაგალითზე მოეწყო ანგლიკანური ეკლესია, არ ეწინააღმდეგებოდა ერთიანი ეკლესიის არსებობას. მაგრამ ამ პოზიციაზე მდგომი ადამიანები მოითხოვდნენ მეფის მიერ დანიშნული არქიეპისკოპოსების და ეპისკოპოსების ინსტიტუტის გაუქმებას, ეკლესიის სამეფო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობას, ანგლიკანობის განწმენდას კათოლიკობის ნაშთებისაგან და ეპისკოპოსების შეცვლას მრევლის მიერ არჩეული პრესბითერებით ანუ უხუცესებით. ამ მიმდინარეობის წევრებს პრესბითერიანები ეწოდებოდათ. ამ მიმდინარეობას მომხრეები ყავდა ახალი თავადაზნაურობის(რომელიც ვაჭრობაში იყო ჩაბმული) ნაწილში, მდიდარ ვაჭარ-სოვდაგართა და შეძლებულ ხელოსანთა შორის.

უფრო რადიკალურად იყვნენ განწყობილნი ის პურიტანები, რომლებიც მოითხოვდნენ ერთიანი ეკლესიის გაუქმებას და ცალკეული საეკლესიო დაჯგუფებებისა და თემებისათვის სრული დამოუკიდებლობის მინიჭებას. მათ ინდეპენდენტები ეწოდებოდათ, რაც მომდინარეობს ინგლისური სიტყვიდან Independent-და-

მოუკიდებელი. მათი იდეალი იყო ოჯახური რელიგია, ანუ ბიბლიის სახლში კითხვა, მისი აბსოლუტურად თავისუფალი კომენტირება და პერიოდული სამლოცველო თავშეყრები ე.წ. სალოცავ სახლებში. ამ იდეოლოგიას იზიარებდნენ საშუალო შეძლების ჯენტრი(ჯენტელმენები – საშუალო შეძლების აზნაურები), წვრილი ვაჭარ-ხელოსნები, ფერმერები და ქალაქისა თუ სოფლის ღარიბობა. ადვილი გასაგებია, რომ ანგლიკანური ეკლესიის მოწინააღმდეგეები, პოლიტიკურ ასპექტში მონარქიას დაუპირისპირდნენ. მეფე, ანგლიკანური ეკლესიის მეთაური, მათთვის სრულიად მიუღებელი იყო. ეს კი სხვა არაფერი იყო, თუ არა რესპუბლიკური მმართველობისკენ სწრაფვა. მაგრამ ელიზაბეთ I მეფობის დასასრულს ეს წინააღმდეგობები ჩანასახობრივ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. დიდების შარავანდედით შემოსილი ხანდაზმული დედოფლის ავტორიტეტი ერთობ ურყევი იყო, რომ მას ღიად დაპირისპირებოდნენ. დაპირისპირებამ მისი გარდაცვალების შემდეგ, ახალი დინასტიის გამეფების შემდეგ იჩინა თავი.

სტიუარტები ინგლისში აბსოლუტური ხელისუფლების იდეებით შეპყრობილები მოვიდნენ. ამან კი გავლენა იქონია მეფისა და პარლამენტის ურთიერთობაზე. წინააღმდეგობის უმთავრეს მიზეზს ფულის საკითხი წარმოადგენდა. ელიზაბეთ I მეფობის ბოლო პერიოდში სამეფო კარის ყოველწლიური ხარჯები 220 ათას გირვანქა სტერლინგს არ აღემატებოდა. ჯეიმს I კი, რომელიც 1604 წ. გამეფდა ეს ციფრი 1607 წ. 500 ათას სტერლინგამდე გაზარდა. აქედან გამომდინარე, მეფეს ხშირად უნდა მიემართა პარლამენტისათვის, მით უფრო, რომ იგი ნადირობის, ჯირითის და ფავორიტების მოყვარული იყო. ყველაფერი ეს უზომოდ ზრდიდა სამეფო კარის ხარჯებს. მეფის ერთობ დიდი გაღიზიანება გამოიწვია პურიტანების მიერ ანგლიკანური ეკლესიის კრიტიკამაც, რომლებიც ფაქტობრივად არქიეპისკოპოსებისა და ეპისკოპოსების ინსტიტუტის გაუქმებას მოითხოვდნენ. ეს კი სხვა არაფერი იყო, თუ არა რელიგიურ საბურველში გახვეული შეტევა მონარქიაზე. მეფე მაშინვე მიხვდა, რომ ტახტი საფრთხეში იყო და ამიტომაც პირდაპირ განმარტა პურიტანების მიზანი: „ ეპისკოპოსის არყოფნა მეფის არყოფნას ნიშნავს!“

მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა ჯეიმსის ვაჟის, ჩარლზ I (1625-

1649 წწ.) ტახტზე ასვლის შემდეგ. ეს პიროვნულად ერთობ დადებითი ადამიანი მოკლებული იყო ხასიათის სიმტკიცეს და პოლიტიკური საქმიანობის გაძღოლის უნარს. ურთიერთობა მეფესა და პარლამენტს შორის დაიძაბა, როცა მეფემ ესპანეთის წინააღმდეგ და ლა როშელის ჰუგენოტების(ფრანგი პროტესტანტების) დასახმარებლად წარმოებული საომარი მოქმედებებისათის საჭირო ფული მოითხოვა, მაგრამ უარი უთხრა პარლამენტს სამხედრო გეგმების წარდგენაზე. სწორედ ამიტომ პარლამენტმა უარი თქვა სამხედრო ოპერაციის დაფინანსებაზე და ისიც სრული მარცხით დამთავრდა. მეფის მიერ მოწვეული მეორე პარლამენტი, კერძოდ ოპოზიციის ერთ-ერთი თავკაცი ჯონ ელიოტი მეფის ფავორიტის, ჰერცოგ ბაკინჰემის წინააღმდეგ გაილაშქრა. განრისხებულმა მეფემ პარლამენტი დაითხოვა, თვითნებურად დააწესა სახელმწიფო სესხი და მის ასაკრებად კერძო სახლებში ჯარისკაცები ჩააყენა. ინგლისის პოლიტიკური ცხოვრებისათვის ეს კი ნამდვილი ძალმომრეობა და ტირანია იყო. ინგლისში მუდმივი ჯარი არ არსებობდა. ტიუდორებსაც კი, მათი ძალაუფლების ძლიერების ზენიტში არ ყოლიათ მუდმივი ჯარი. სწორედ ამიტომ ინგლისურ ცნობიერებში ჯარი გაიგივებული იყო დესპოტიზმთან და საზოგადოების დამონების საშუალებასთან.

ჩარლზ I მიერ ჩატარებულმა ეკზეკუციამ საყოველთაო გულისწყრომა გამოიწვია. დაპირისპირებამ მეფესა და პოლიტიკურ ოპოზიციას შორის სრულად იჩინა თავი მესამე პარლამენტში, რომელიც მეფემ 1628 წ. იანვარში მოიწვია. სწორედ ამ მოწვევის პარლამენტში გამოჩნდა ახალი დეპუტატი ჰანტინგდონშირიდან, რომელსაც მომავალ ათწლეულებში გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა ინგლისის ისტორიაში.

მთვლემარე დავითი. სოფლის ჯენტელმენიდან პურიტანობის მებაირახტრემდე

ლაპარაკობს რა კრომველზე, როგორც ქვეყნის მმართველზე, თანამედროვე ბრიტანელი ისტორიკოსი პოლ ლეი წერს, რომ სტიუარტების რესტავრაციის ხანაში, ჩარლზ II უბადრუკი მრჩეველებთან შედარებით რესტავრაციამდელ ინგლისს "მძიმეწონოსნები" (შედარება მოკრივეებთან კეთდება) მართავდნენ. ერთ-ერთი მათგანი კი, ოლივერ კრომველი, სახელმწიფოს ედგა სათავეში ლორდ-პროტექტორის წოდებით. კრომველის ამგვარი აღზევების მთავარ მიზეზად მ. ბარგი არა მარტო იმას ასახელებს, რომ ამ უკანასკნელს ხმალი უჭრიდა, არამედ იმასაც, რომ ამ ადამიანს ჰქონდა იმის უნარი, რომ საწყისი და უცვლელი მიზანი – აბსოლუტიზმის დამხობა, მიესადაგებინა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის ცვალებად ვითარებებთან. გარდა ამისა, როგორც უკვე ითქვა, მ. ბარგის აზრით იგი კონფესიურად უფრო თანამიმდევრული იყო, ვიდრე ნებისმიერი რიგითი პურიტანი, ხოლო პოლიტიკურად ნებისმიერ ლენდლორდზე ფართოდ აზროვნებდა. რა პირობებში დაიხვეწა და გაფართოვდა ამ სოფლის ჯენტელმენის ცნობიერება?

ქორწინების შემდეგ (ჯვრისწერა ლონდონში, წმინდა ჯაილსის ეკლესიაში შედგა), ახლადდაქორწინებული ოლივერი და ელიზაბეთი ჰანტინგდონში დაბრუნდნენ, სადაც კრომველმა ოჯახთან ერთად თერთმეტი წელი დაჰყო. როგორი იყო დაოჯახებული კრომველის ცხოვრება ჰანტინგდონში? ოლივერი და ელიზაბეთი მყუდრო, გამოზომილ ცხოვრებას მისდევდნენ, ყოველგვარი ხმაურის გარეშე. 1620-1632 წწ. მანძილზე მათ ცხრა შვილი შეეძინათ: ოთხი ქალი და ხუთი ვაჟი. თავად კრომველზე წერენ, რომ მისი ცხოვრება ისეთი ჩვეულებრივი იყო, რომ კაცი იფიქრებდა, რომ იგი მხოლოდ ბერგამოტის დასათესად იყო მოწოდებული. ეს ხუმრობა უსაფუძვლო არ არის. საისტორიო ლიტერატურა მართლაც ბევრს არაფერს გვეუბნე-

ბა კრომველის ცხოვრების ქორწინებისშემდგომი პერიოდის შესახებ. არაფერია ნათქვამი ახალგაზრდა ჰანტინგდონელი მემამულის საქმიანობაზე, თუ როგორ უძღვებოდა იგი თავის მეურნეობას და ა.შ. მაგრამ იმავე დროს ბევრი ავტორი მიუთითებს ჭმუნვაზე, სულიერ ტანჯვაზე და მის მკურნალ ექიმებსაც მიაჩნდათ, რომ იგი თითქმის სასიკვდილოდ იყო განწირული. სწორედ ამგვარ მდგომარეობას აფიქსირებდნენ კრომველში იმ დროს ინგლისში მოღვაწე, ფრანგული წარმოშობის ცნობილი ექიმი, პროტესტანტი თეოდორ დე მაიენი და კრომველების ოჯახის ექიმი, ვინმე სიმკოტი. ორივე მიუთითებდა, რომ „მისტერ კრომველი ხშირად დეპრესიულ მდგომარეობაშია, მას სიცოცხლის უნარი ეცლება, ხასიათის მუდმივი ცვალებადობა სჭირს და უკიდურესად მელანქოლიურ გუნება-განწყობაზეა."

რით იყო გამოწვეული ეს უკიდურესად რთული მდგომარეობა? როგორც ჩანს, დოქტორ ბირდის მიერ დამოძღვრილი ახალგაზრდა კაცი თავადაც გრძნობდა თავისი სულის სიღრმეში წიაღსვლებს და საკუთარი თავის ძიებაში იყო, ცდილობდა უფრო სრულად გაეცნობიერებინა პურიტანული ფასეულობები. საკუთარი თავის ამგვარი შეცნობის მცდელობა და მასთან დაკავშირებული ჭმუნვა ერთობ დამახასიათებელი მოვლენა იყო პურიტანებისათვის. მათი რწმენით, ღმერთს თავის რჩეულები, ანუ როგორც ისინი თავის თავს უწოდებდნენ „წმინდანები" ყავდა. ის სწორედ მათ უბოძებდა იმას, რასაც სხვებს წაართმევდა. შესაბამისად, მისი არჩევანი იმათზე კეთდებოდა, ვინც იცნობიერებდა და ითავისებდა საკუთარ თავში ქრისტეს ზეგარდმოსვლას. ზეციური მამა მოუვლენდა თავის ძეს მოკვდავებს. მაგრამ ეს მხოლოდ მის რჩეულთა ხვედრი იყო. სწორედ ამ რჩეულების და არა სხვების ცოდვებს გამოისყიდდა მაცხოვრის ჯვარზე აღსასრული. ხოლო მისი აღდგომა სიცოცხლეს განაახლებდა, თანაც არა იქ, საიქიოს, არამედ აქ, სააქაოს. და აქედან მოყოლებული ეს ყველაფერი მარადიულ ხასიათს იძენდა. „ერთხელ თუ გახდი ძე ღვთისა, მარადჟამ ასეთად დარჩები"- ამბობდა თავად კრომველი და ურყევად სწამდა ამისა.

ამგვარ ჭმუნვას, საკუთარ სულიერებაზე ფიქრს პურიტანების ცნობიერებაში ტრადიციულად მოქცევა მოყვებოდა. ეს ზეშთაგონე-

ბა, გამოცხადება, ამ ცნობიერებით შეპყრობილ პურიტანს საკუთარ თავში, თავის ძალებში და თავისი მიზნის მიღწევაში ურყევ რწმენას სძენდა. იმ დროიდან მოყოლებული ის მართალი და რჩეული იყო, ხოლო მისი ნებისმიერი მოქმედებდა – ღმერთის ნება-სურვილი. ეს ისევე, როგორც თავად იგი თავისი საქმიანობის ნებისმიერ ასპარეზზე (ხვნა-თესვა, ვაჭრობა, ბრძოლის ველი და ა.შ.) უფლის უზენაესი ნების აღმსრულებლ იარაღად იყო მოვლენილი, რომელსაც წინ ვერავინ და ვერაფერი დაუდგებოდა. ამგვარი მოქცევა მხოლოდ კრომველის ხვედრი არ ყოფილა. ასეთებს შორის XVII ს. ბევრი ცნობილი ადამიანის, პურიტანის დასახელება შეიძლება. ესენია იმ დროის პოპულარული მწერალი და მქადაგებელი ჯონ ბანიენი, ცნობილი მქადაგებელი და თეოლოგი რიჩარდ ბაქსტერი, ამერიკის კონტინენტზე გადასახლებული პურიტანების ერთ-ერთი თემის თავკაცი ჯონ უინტროპი. სხვათა შორის, ასეთ ადამიანებს შორის ასახელებენ თავად კრომველის სიმამრს, სერ თომას ბურშიეს. ყველა ეს ცვლილება ადამიანის გონებაში ხდებოდა. იგი ახალ ცნობიერებას იძენდა. ამის განმცდელი პურიტანი შეიძლება ითქვას, ხელახლა იბადებოდა. შესაბამისად, მთელ თავის მანამდე გამოვლილ ცხოვრებას იგი ბნელეთად, უკუნეთად და ერთ, მთლიან, დიდ ცოდვად აღიქვამდა. სწორედ ამან განაპირობა იმ წერილის შინაარსი, რომელიც კრომველმა მისწერა თავის მამიდაშვილს ელიზაბეთ სენტ-ჯონს. სხვათა შორის, ამგვარი მიდგომა საკუთარი წარსულისადმი წარმოჩნდება ჯონ ბანიენის ჩანაწერებშიც, რომელიც კრომველის მსგავსად სასტიკად აკრიტიკებს საკუთარ თავს, ცხოვრების და აზროვნების წესს, რომელსაც იგი ამ თავისებურ მოქცევამდე მისდევდა.

კრომველის ამგვარი გარდასახვის თავისებური დაგვირგვინება იყო 1628 წ. მისი კანდიდატურის პარლამენტის თემთა პალატის დეპუტატად წამოყენება. ეს ორი მომენტი შემთხვევით არ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. კრომველის კანდიდატურა წამოაყენა მისმა დამრიგებელმა, დოქტორმა ბირდმა. როგორც სარწმუნო წყაროები მიუთითებენ, იგი ამას არ გააკეთებდა, თუ არ დააფიქსირებდა თავის მოსაზრებას კრომველის შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ იმ დროისათვის კრომველი უკვე ჩამოყალიბდა ისეთ ადამიანად, რომელშიც

სულის სიმტკიცე ურყევ რელიგიურ რწმენაზე იყო დაფუძნებული. ამგვარმა ერთობამ კრომველს, მელანქოლიური ხასიათის, მჭმუნვარე ადამიანს შესძინა უნარი, გადამწყვეტ წუთებში უკუეგდო ყოველგვარი ეჭვი, მერყეობა და მთელი თავისი ძალა და უნარი წარემართა დასახული, გაცნობიერებული მიზნის მისაღწევად.

სწორედ ამგვარი გუნება-განწყობით და მრწამსით შეაბიჯა კრომველმა პარლამენტში. ეს იყო მეფე ჩარლზ I მეფობის მესამე მოწვევის პარლამენტი, შესანიშნავი სკოლა პროვინციიდან ჩამოსული გამოუცდელი დეპუტატისთვის. პარლამენტის ნევრთა შორის ბევრი იყო ისეთი, ვინც თავის დროზე უარი განაცხადა კანონის დარღვევით დაწესებული გადასახადები გადაეხადა, რისთვისაც ისინი დააპატიმრეს. კრომველი ისეთი ცნობილი პოლიტიკოსების გარემოცვაში აღმოჩნდა, როგორებიც იყვენენ მგზნებარე ორატორი ჯონ ელიოტი; მამაცი და პრინციპული ჯონ ჰემპდენი, რომლის სახელი მალე თავისუფლების დაცვის სიმბოლოდ იქცა; დინჯი და ყველაფრის ყურადღებით ამწონ-დამწონი ჯონ პიმი. ეს უკანასკნელი, შეიძლება ითქვას ოპოზიციის ვეტერანი იყო და პარლამენტში გამოჩენისთანავე მიიპყრო ყურადღება, როგორც ფინანსური საკითხების ჩინებულმა მცოდნემ და პაპობის(კათოლიკობის) შეურიგებელმა მოწინააღმდეგემ. აქვე იყო მეფის ყოფილი უზენაესი მოსამართლე სერ ედუარდ კოკი, იმ დროის ყველაზე თვალსაჩინო იურისტი, ინგლისის ჩვეულებითი(პრეცედენტული) სამართლის უბადლო მცოდნე; იორკშირის ჯენტრის წარმომადგენელი თომას უენტვორტი. კრომველი თავიდანვე მძაფრი საპარლამენტო პაექრობის მოწმე გახდა. ჯონ ელიოტის მგზნებარე სიტყვას დესპოტიზმისა და პაპობის წინააღმდეგ მოჰყვა ოპოზიციის დაჟინებული მოთხოვნა ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეებიდან მოეცილებინათ მეფის ფავორიტი ჰერცოგი ბაკინჰემი. მოწვეულმა პარლამენტმა მეფეს წერილობითი პროტესტი წარუდგინა, რომელსაც „უფლებათა პეტიცია“ ეწოდა. მასში დეპუტატები ითხოვდნენ პარლამენტის მიერ დაუმტკიცებელი გადასახადების გაუქმებას, ეკზეკუციების აღკვეთას და დაუსაბუთებელი დაპატიმრების აკრძალვას. მეფემ მიიღო პეტიცია და სანაცვლოდ პარლამენტმა მას 350 ათასი გირვანქა სტერლინგი გამოუყო. რაც შეეხება ჰერცოგ ბაკინჰემს, ეს

საკითხი საკმაოდ თავისებურად გადაწყდა. ყველასათვის მოულოდნელად, ოპოზიციისათვის ესოდენ არასასურველი მეფის ფავორიტი მოკლა ერთმა ოფიცერმა, ვინმე ფელტონმა, რომელიც თვლიდა, რომ ჰერცოგმა იგი სათანადოდ არ დააფასა და არ დააწინაურა.

ამ დაძაბულ პერიოდში კრომველი ერთობ მნიშვნელოვან მოვლენებს შეესწრო. თემთა პალატის დეპუტატებმა მიიღეს რეზოლუცია, რომლის თანახმად მოსახლეობას მოუწოდებდნენ არ გადაეხადათ გადასახადები, რომლებიც პარლამენტის მიერ არ იყო დამტკიცებული. ყველა, ვინც ამ დადგენილებას არ დაემორჩილებოდა, ინგლსის თავისუფლების მტრად გამოცხადდებოდა. არანაკლებად მკაცრი იყო რელიგიის საკითხთან დაკავშირებული დადგენილება. „ქვეყნის დაუძინებელ მტრად გამოცხადდება ის, ვინც სარწმუნოებაში ცვლილებებს შეიტანს“ – ნათქვამი იყო დადგენილებაში. აქ იგულისხმებოდა ცვლილებები, რომელთა მიღებით სამეფო ხელისუფლება ცდილობდა პროტესტანტობაში კათოლიკობის ელემენტების შეტანას. რასაკვირველია, ამგვარი დადგენილებები ვერ დაამყარებდნენ მშვიდობას მეფესა და ოპოზიციას შორის. გაგულისებულმა მეფემ პარლამენტი დაითხოვა და თემთა პალატის 11 დეპუტატი დააპატიმრა, მათ შორის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ჯონ ელიოტი. მეფემ საზოგადოებრივ აზრსაც შეუტია. „მისი სამეფო უდიდებულესობის“ შეურაცხყოფის ტოლფასად გამოცხადდა ლაპარაკი იმაზე, თუ როდის უნდა მოეწვია მეფეს პარლამენტი. ამით ჩარლზ I თავისებური იურიდიული ნიადაგი შექმნა ქვეყნის პარლამენტის გარეშე მართვისათვის. და მართლაც, 1629 წლიდან 1640 წლამდე მეფეს პარლამენტი აღარ მოუწვევია. სწორედ დროის ეს მონაკვეთი ინგლისის ისტორიაში შევიდა როგორც „11 წლიანი ტირანია.“

ეჭვი არ არის, რომ ყველაფერმა ამან დაანახვა კრომველს პოლიტიკური ბრძოლის სირთულე და საფრთხეც, რომელიც ამ ასპარეზზე მყოფ ადამიანს ემუქრებოდა. უნდა ითქვას, რომ თავისი პირველი სადეპუტატო მანდატის პერიოდში კრომველს მაინც და მაინც თავი არ გამოუჩენია სიტყვით ან მოქმედებით. თუმცა გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, რომ ამ ხანმოკლე საპარლამენტო საქმიანობის მანძილზე იგი ცნობილი გახდა როგორც მგზნებარე, მაგრამ იმავდროულად

ტლანქი, გაუთლელი ადამიანი, რომელმაც შეუტია ეპისკოპოსთა ინსტიტუტს. კერძოდ, მისი სიტყვა მიმართული იყო ეპისკოპოს რიჩარდ ნეილის წინააღმდეგ, რომელიც პურიტანობის რიგ დებულებებს უარყოფდა. მაგრამ კრომველს თავიდან ასცდა მეფის რისხვა. როგორც ჩანს, მისი გამოსვლა არ იყო სამეფო ხელისუფლებისათვის ისეთი სახიფათო, როგორც ჯონ ელიოტის ან სხვა დაპატიმრებული დეპუტატების კრიტიკა. შეიძლება ითქვას, რომ ჰანტინგდონის „მბრძანებლის“ ყოფის ინერცია გრძელდებოდა. მაგრამ სწორედ ალბათ ამიტომ ადრის ზოგიეთი ავტორი კრომველს ბიბლიურ მეფსალმუნე მეფე დავითს, რომელიც თვლემდა თავისი ცხვრის ფარის გვერდით, რადგანაც ელოდა, თუ როდის მოუხმობდნენ. მისი დრო ჯერ არ დამდგარა. ჯერ ჯონ ელიოტის მგზნებარე სიტყვის და ედუარდ კოკის დახვეწილი იურიდიული პაექრობის ჟამი იყო. მაგრამ დადგება დრო და კრომველი არა საკანონმდებლო დებულებებით, არამედ დაშნით ხელში გააგრძელებს ბრძოლას. მაგრამ მანამდე თვითონ კრომველი და ინგლისი უნდა მოსულიყვნენ შესაბამის მზადყოფნაში.

შემდგომი პერიოდი კრომველის ცხოვრებაში ერთობ საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მასში თავმოყრილია რიგი მომენტებისა, რომლებიც კრომველმა, როგორც საფეხურები, ისე გაიარა. საქმე ეხებოდა ცვლილებებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. ამ ცვლილებებით ყოველწლიურად არჩეული 24 წევრისგან შემდგარი საბჭო უქმდებოდა. მის ადგილს იკავებდა ახალი ორგანო, რომელიც შედგებოდა უვადოდ არჩეული უხუცესებისაგან და მოსამართლისაგან. ამით მმართველობა უფრო კონსერვატიული ორგანოს ხელში გადავიდოდა, რომელიც იმავე დროს უფლებამოსილი ხდებოდა ჩამოერთვა გლეხებისათვის(ფერმერებისათვის) სათემო მიწები და დიდი ოდენობის ჯარიმები დაეკისრებინა მათზე. ყოველწლიურად არჩეული საბჭოს გაუქმებამ, რომლის შემადგენლობაში კრომველიც შედიოდა მისი წევრების უკმაყოფილება გამოიწვია. კრომველმა ერთობ აქტიური და ენერგიული მონაწილეობა მიიღო კამათში, რომელიც ამ საკითხის ირგვლივ გაიმართა. ეს გამოიხატა მის მკვახე და არაკორექტულ გამოსვლებში, რომლებიც მიმართული იყო მისი ოპონენტის, იურიდიული მრჩევლის, ვინმე ბარნარდის წინააღმდეგ. საიდუმლო ბეჭ-

დის განმგებელმა ლორდმა, გრაფმა მანჩესტერმა, რომელიც მეთვალყურეობდა ამ საქმეს კრომველის გამოსვლები დაუშვებლად მიიჩნია. სიტუაციის განსამუხტავად მან თქვა, რომ კრომველი აღიარებს ამას. რაც შეეხება კრომველს და მისი მომხრეების ეჭვებს უფლებების შესაძლო დარღვევის შესახებ, გრაფმა ისინი უსფუძვლოდ მიიჩნია და დაპირისპირებული მხარეები დაზავებულად გამოაცხადა. კრომველმა აღიარა, რომ უსაფუძვლო სიფიცხე გამოავლინა, მაგრამ გრძნობდა, რომ ჰანტინგდონში აღარ დაედგომებოდა. 1631 წ. კრომველმა გაყიდა თავისი სახლი ჰანტინგდონში და საცხოვრებლად ასევე პატარა ქალაქ სენტ ივესში გადავიდა, რომელიც სულ ხუთი მილის მოშორებით, მდინარე უზის ნაპირებზე მდებარეობდა. ჰანტინგდონიდან სენტ ივესში გადასახლების მთავარ მიზეზად კრომველის არასახარბიელო ფინანსურ-მატერიალურ მდგომარეობას ასახელებენ.

სენტ-ივესი ჰანტინგდონის(შეიძლება უფრო პატარაც) მასშტაბის ქალაქი იყო, რომელიც კემბრიჯშირში მდებარეობდა. იგი განლაგებული იყო ოლქში, რომელსაც ფენლენდი ეწოდებოდა. ეს იყო მწვანე ველებით, უხვი მცენარეული საფარით დაფარული და საკმაოდ დატბორილი ადგილი, საიდანაც თავად მისი სახელი მომდინარეობს (Fenland- დაჭაობებული, დატბორილი ადგილი). საცხოვრებელი ადგილი და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები კრომველმა დაიკავა როგორც ადგილობრივი მემამულის ჰენრი ლოურენსის მოიჯარადრემ. კრომველის მიერ სენტ-ივესში გატარებული წლების შესახებ არ არის ბევრი ცნობა. შეიძლება ეს ბუნებრივიც არის. ცნობების რა სიუხვე უნდა ახლდეს პრაქტიკულად რიგითი მოიჯარადრის ცხოვრებას პატარა პროვინციულ ქალაქში, შეიძლება ითქვას დაბაშიც? შვილების გაზრდა, ქუჩების, გზების კეთილმოწყობაში მონაწილეობა, მეურნეობის გაძღოლა. თუმცა არის ცნობები იმის შესახებ, რომ იგი მაინც და მაინც არ იყო დიდად დახელოვნებული მეურნე(სამუშაოს უშუალოდ შესრულების თვალსაზრისით) და საქმე ძირითადად მუშა-მოჯამაგირეებისათვის ჰქონდა მინებებული. სამაგიეროდ, სარწმუნოების თვალსაზრისით იგი წარბშეუხრელად მისდევდა პურიტანულ წესსა და რიგს. მის სახლში მუშახელი უკლებლივ იყრიდა თავს დილის ლოცვაზე.

სწორედ რელიგიასთან დაკავშირებულმა საკითხმა გამოიწვია კრომველის გააქტიურება სენტ-ივესში ცხოვრებისას. XVII ს. 30-იანი წლები მიჩნეულია პურიტანებისათვის ყველაზე ძნელ პერიოდად. 1633 წ. კენტერბერის არქიეპისკოპოსად დაინიშნა უილიამ ლოდი. ლოდის კანდიდატურა მეფისათვის ძალზე სასურველი იყო იმ თვალსაზრისით, რომ იგი იყო პურიტანობის შეურიგებელი მოწინააღმდეგე და ანგლიკანური ეკლესიის პოზიციების თავგამოდებული დამცველი. თავის მხრივ კი ანგლიკანური ეკლესია აბსოლუტიზმის შეუვალობის მომხრე იყო. ამიტომაც იყო, რომ ჩარლზ I ძალზე გულითადად ამცნო ლოდს მისი დანიშვნის ამბავი: „ კეთილი იყოს თქვენი შემობრძანება, მილორდ კენტერბერისა.“ ასეთი ხედვის ადამიანის ანგლიკანური ეკლესიის მღვდელმთავრად ყოფნა პურიტანთა თვალსაზრისით მოასწავებდა მათზე გარდაუვალ შეტევას, თანაც კათოლიკობის პოზიციებიდან. სიტუაცია, როგორც ისინი თვლიდნენ, ისედაც შემაშფოთებელი და საგანგაშო იყო. ტახტზე კათოლიკე დედოფალი, ჩარლზ I ცოლი, ფრანგი ანრიეტ-მარი იყო. კათოლიკე დედოფალი გარშემორტყმული იყო კათოლიკე მღვდლებით, რომლებიც საჯამნოში (სამლოცველოში) სწირავდნენ კათოლიკურ მესას(წირვას). ეს ყველაფერი კანონდარღვევა იყო და სხვა არაფერი. საეკლესიო თანამდებობებზე იმატა ისეთი ღვთისმსახურების რიცხვმა, რომლებიც ცალსახად ეწინააღმდეგებოდნენ პურიტანობის ძირეულ თეორიულ დებულებებს.

პურიტანები ყოველნაირად ცდილობდნენ წინააღმდეგობის გაწევას. აღნიშნულ პირობებში მათ ხელთ იყო ბრძოლის ისეთი საშუალება, როგორც საკვირაო ქადაგება. კერძოდ კი, მრევლის უფლება, თავად შეერჩიათ მქადაგებელი. ითვალისწინებდნენ რა იმას, რომ ამ მქადაგებლების ანაზღაურება ერთობ მწირი იყო, მრევლში გაერთიანებული პურიტანები საკუთარი სახსრებიდან უხდიდნენ მქადაგებელს გასამრჯელოს, თუკი ეს უკანასკნელი მრევლისათვის სასურველი იყო.

კრომველი მისთვის ჩვეული ენერგიით ჩაერთო ამ საქმეში იმისათვის, რომ საკითხი ადგილობრივ პურიტანთა მრევლის სასარგებლოდ გადაეწყვიტა. მათთვის სასურველი კანდიდატი სწორედ არქიეპისკოპოსმა ლოდმა უარყო. იმისათვის, რომ ეს მქადაგებელი მრევლის-

თვის დაებრუნებინა, კრომველმა 1636 წ. თავის უახლოეს მეგობარს, ვინმე სტორის შემდეგი წერილით მიმართა: „საავადმყოფოების აგება ადამიანის ხორცს რგებს, ტაძრების აგება ღთისმოსაობის დასტურია, მაგრამ მქადაგებლები ხალხს სულიერ საზრდოს აწვდიან, სულის ტაძრებს აგებენ. ისინი ჭეშმარიტი ქველმოქმედები არიან, ჭეშმარიტი ღვთისმოსაობით შემოსილი. თქვენ სწორედ ამგვარ საქმეს გააკეთებთ, თუკი ხელს შეუწყობთ ქადაგების ჩატარებას ჩვენს საგრაფოში.“ მაგრამ კრომველი არ იფარგლება ზოგადი მოწოდებებით და საკითხის მნიშვნელობის დახასიათებით. იგი პრაქტიკულ მხარეზეც ამახვილებს ყურადღებას. „მოგეხსენებათ მისტერ სტორი, – წერს იგი, გასამრჯელოს გაუქმება ქადაგების ჩაშლას ნიშნავს. განა ვინ მიდის დღეს თავისი ხარჯით ომში? გემუდარებით, მისტერ სტორი, მიეცით ამ ადამიანს (მქადაგებელს) საშუალება, მიიღოს კუთვნილი გასამრჯელო. ღმერთი, ამ ადამიანის შვილები და მე დაგლოცავთ ამისათვის.“

მაგრამ კრომველის და მისი თანამოაზრეების ამგვარი მოწოდებების და მცდელობის მიუხედავად პურიტანების მდგომარეობა მაინც მძიმე იყო. არქიეპისკოპოსი ლოდი და სამეფო ხელისუფლების დამსჯელი ორგანოები განაგრძობდნენ პურიტანების დევნას. 1637 წ. სამ პურიტანს: ადვოკატ უილიამ პრინს, დოქტორ ჯონ ბასტუიკს და ღვთისმსახურ ჰენრი ბარტონს მიესაჯათ საჯაროდ ყურების მოჭრა და სამუდამო პატიმრობა იმის გამო, რომ მათ გამოაქვეყნეს პამფლეტი „სიახლეები იპსუიჩიდან,“ რომელშიც სასტიკად აკრიტიკებდნენ ანგლიკანურ ეკლესიას. პრინს ადრე უკვე ჰქონდა მოჭრილი ყურების გარკვეული ნაწილი. ამიტომ მას ნარჩენებიც მოაჭრეს და სხვა სასჯელიც დაუმატეს. ლოყაზე ორი ასო “S. L.” (Seditious Libeller-მაცთუნებელი ცილისმწამებელი) ამოუშანთეს. დასჯის პროცესი საჯაროდ ჩატარდა და მას უამრავი ადამიანი დაესწრო. ამან გარკვეულწილად აჩვენა, რომ სასჯელი და საერთოდ, ტანჯვა-წამება პურიტანებისათვის თავისებურად მათი სულიერი სიმტკიცის, შეუპოვრობის და უდრეკი ნებისყოფის წარმოჩენის საშუალება იყო. „რაც უფრო დამანარცხებენ, მით უფრო ავმაღლდები!“- განუწყვეტლივ გაიძახოდა პრინი მთელი ამ ბარბაროსული სასჯელის პროცედურის ჩატარების მანძილზე. „ღვთის მადლითა და შემწეობით ბევრია ისეთი ადამიანი,

რომელიც დათანხმდებოდა მიეღო ის ტანჯვა-წამება იმ საქმისათვის, რომლისთვისაც დღეს თქვენ ეწამებით!- უპასუხა მის შეძახილს იქ მყოფმა ერთ-ერთმა ქალმა.

ამგვარი დევნა, ბევრ პურიტანს ემიგრაციისაკენ უბიძგებდა. ამას თან ერთოდა ეკონომიკური სიტუაციის გაუარესება, რომელიც მოუსავლიანობით იყო გამოწვეული. გახშირდა გაღატაკების შემთხვევები. ამიტომაც პურიტანებმა ამერიკის კონტინენტს მიაშურეს. მათ სჯეროდათ, რომ იქ, ოკეანის გაღმა, ახალ სამყაროში, რომელიც როგორც ეკონომიკურად ასევე საზოგადოებრივ-პოლიტიკურად ყამირს წარმოადგენდა, ისინი მათთვის ესოდენ ნანატრ, ღვთის რჩეულების, აღთქმულ, უფლის სამეფოს დაარსებდნენ. ერთხელ თავად კრომველმაც კი დააპირა მთელი თავისი ქონების გაყიდვა და ოჯახითურთ ამერიკაში გადასახლება. მასთან ერთად ემიგრაციას აპირებდნენ საპარლამენტო ოპოზიციის ცნობილი წარმომადგენელი ჯონ ჰემპდენი და მოგვიანებით პოლიტიკურ ასპარეზზე დანინაურებული სერ არტურ ჰეზელრიგი. მაგრამ საბოლოოდ ეს გეგმა ჩაიშალა. მოგვიანებით ამ ამბის მცოდნე ერთ-ერთი როიალისტი-პამფლეტისტი ხუმრობით წერდა: „მომავლის განჭვრეტა რომ შესძლებოდათ, ამ სამ ცნობილ ადამიანს მათი მოწინააღმდეგეები არაფრის დიდებით არ დატოვებდნენ ქვეყანაში.“ პამფლეტის ავტორი იმას გულისხმობდა, რომ კომპანია „ნიუ პროვიდენს კომპანი“-ს საბჭომ ხომალდს, რომლითაც ეს სამი ადამიანი ამერიკაში უნდა წასულიყო, გარკვეული მიზეზების გამო ზღვაში გასვლა აუკრძალა.

სენტ ივესში ყოფნისას კრომველის ცხოვრებაში ერთი სიახლე მოხდა. 1636 წ. იგი მნიშვნელოვანი ქონების პატრონი გახდა, რომელიც მას ბიძამ, დედის ძმამ, სერ თომას სტივარდმა უანდერძა. ამ სიახლემ კრომველს სიმდიდრე და გარკვეული საზოგადოებრივი მდგომარეობა შესძინა. მალე კრომველები საცხოვრებლად სენტ ივესიდან ილიში გადავიდნენ. ილიში საკათედრო ტაძარი იყო, რის გამოც სამღვდელოებას ცხოვრების სხვადასხვა სფეროში საკმაოდ მნიშვნელოვანი პოზიციები ეკავა. კრომველი ერთობ კარგად „მოერგო“ ადგილობრივ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ყოფას. იგი ამუშავებდა მიწის რამდენიმე ნაკვეთს, რომლებიც მას ეკლესიისაგან იჯარით ჰქონდა

აღებული. იმავე დროს იგი საეკლესიო საკუთრების მოურავის ფუნქციას ასრულებდა. მასვე ევალებოდა იმ შემოსავლის აღრიცხვა, რომელიც ეკლესიის ხაზინაში შემოდოდა გადასახადების სახით. ამ გადასახადებს კი ის ადამიანები იხდიდნენ, ვინც მიწებითა თუ სხვადასხვა შენობა-ნაგებობით (მაგ. ბეღლებით) სარგებლობდნენ. ამგვარმა საქმიანობამ კიდევ ერთხელ დაანახვა კრომველს, თუ რა დიდი ზღვარი იყო ყველაფრით უზრუნველყოფილ სამღვდელოებასა და უბრალო გლეხობის, რომელიც ფენლენდის ჭაობნარს და ჩრდილოეთის ზღვიდან უმოწყალოდ მქროლავ ქარს ებრძოდა, ცხოვრების დონეს შორის. ფენლენდი, კებრიჯშირის საგრაფოში მდებარე, გარკვეულწილად იზოლირებული, გარე სამყაროსთან ნაკლებად დაკავშირებული და თავისებური ბუნებრივი პრობლემების მქონე ოლქი იყო. ეს დაღს ასვამდა მოსახლეობის ცნობიერებას, რამაც საუკუნეების მანძილზე ადამიანების თავისებური ტიპი ჩამოაყალიბა. ადგილობრივი მაცხოვრებლები ნაკლებად მისდევდნენ სოფლის მეურნეობას და ძირითადად თევზჭერითა და ნადირობით გაჰქონდათ თავი. გარე სამყაროსთან ურთიერთობის ნაკლებობამ სახელი გაუთქვა მათ როგორც შენიღბულ, ფრთხილ, ტლანქ და ყველაფერთან ერთად არც თუ ისე საზრიან ადამიანებს. ამიტომაც იყო, რომ შემდგომ, უკვე სამოქალაქო ომის დროს კრომველს დაცინვით უწოდებდნენ "Lord of the Fans"(ფენის მხარის ბატონი), რათა ხაზი გაესვათ მისი ტალნქი ბუნებისათვის და თითქოს არც თუ ისე ფართო თვალსაწიერისთვის.

მაგრამ ისტორიამ მხოლოდ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა წყალობით არ შეარჩინა კრომველს ეს მეტსახელი, რათა ხაზი გაესვა მისი მსგავსებისათვის ადგილობრივ ტლუ მაცხოვრებლებთან. კრომველის ფენლენდში ცხოვრებისას მოხდა ერთობ მნიშვნელოვანი ამბავი, რამაც როგორც ადგილობრივ მაცხოვრებლებს, ასევე ისტორიას დაამახსოვრა კრომველის სახელი. ფენლენდით დაინტერესდნენ ადამიანები, რომლებიც დაჭაობებული მიწების ამოშრობით იყვენენ დაკავებული. ეს სიახლე უკვე ინერგებოდა ევროპის კონტინენტზე, კერძოდ გერმანულ სამეფო-სამთავროებში და ჰოლანდიაში. ამას რასაკვირველია მოსავლიანობის ზრდა მოყვებოდა ახალი სახნავ-სათესი მიწების გაჩენის წყალობით. კომპანიამ, რომელმაც იტვირთა

სადრენაჟო სამუშაოების ჩატარება დაითანხმა მანორის ლორდი(-მოწათმფლობელი), მერი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები. ამ ადამიანებისათვის ჭაობების ამოშრობა ნამდვილად მომგებიანი იყო. სანაცვლოდ კომპანიას ადილობრივი მინის გარკვეული ფართობი გადაეცემოდა.

მაგრამ განსხვავებულ და თანაც არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ადგილობრივი გლეხობა. მიწები, რომლებზედაც უნდა ჩატარებულიყო შესაბამისი სამუშაოები და რომელთა გარკვეული ნაწილი დაპირების თანახმად უნდა გადასცემოდა(როგორც გასამრჯელო) კომპანიას, მოიცავდა სათემო მფლობელობაში მყოფ საძოვრებს, თევზჭერისა და ნადირობისათვის განკუთვნილ ადგილებს. ეს უკნასკნელნი კი როგორც უკვე ითქვა, ადგილობრივი მოსახლეობის სარჩო-საბადებლის მოპოვების უმთავრესი წყარო იყო. მხარეთა პოზიციები მკვეთრად გაიმიჯნა. დაპირისპირებამ მწვავე ხასიათი მიიღო. თუკი საკითხს უფრო ზოგადი კუთხიდან შევხედავთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს იყო ისტორიული განვითარების კრიტიკული, გადამწყვეტი პერიოდებისათვის დამახასიათებელი დრამატული მომენტი. ერთ მხარეს – დაჭაობებული მიწების ამოშრობა, სახნავ-სათესი სავარგულების გაფართოება, შრომის ინტენსიფიკაცია. შესაბამისად, მოსავლიანობის და მატერიალური დოვლათის ზრდა და ამ საქმის განმახორციელებელი, მოგების მოლოდინში მყოფი კომპანია. მაგრამ მეორე მხარეს – უამრავი უბრალო, მშრომელი ადამიანი, რომელიც ათწლეულების და საუკუნეების მანძილზეც კი სწორედ ამ ხვნა-თესვისთვის უვარგისი მიწების მეშვეობით ირჩენდა თავს. და აი უცებ დადგა დრო, როდესაც მათ წინაპრებიდან მომავალ არსებობის ამ საშუალებას ართმევდნენ. დაჭაობებული მიწების ამოშრობის მოწინააღმდეგეები თავისი პოზიციების დასაცავად რელიგიასაც კი იშველიებდნენ. მათი თქმით ეს ჭაობები ღმერთის მიერ იყო შექმილი დ ამიტომ მისი შემოქმედების ხელის ხლება და მით უფრო მოსპობა დაუშვებელი იყო.

როგორ უნდა, ან როგორ შეიძლება, რომ გადაწყვეტილიყო ეს დავა? ერთ მხარეს, ადგილობრივი ხელისუფლება, ძლიერი სამეწარმეო კომპანია, რომლებიც დიდძალ მოგებას ელიან(მოსავალი, სურ-

სათ-სანოვაგე, ფული) და მეორე მხარეს – უბრალო გლეხები, რომლებიც ისედაც მწირი სარჩო-საბადებლის მოსალოდნელი დაკარგვის შიშით არიან შეპყრობილები და რომელთა ერთადერთი იარაღია „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.“ ანუ მათ სხვა არაფერი დარჩენიათ მოთქმისა და გოდების გარდა. ასეთ შემთხვევაში სუსტი მხარე უფრო ხშირად განერიდება დაპირისპირებას. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც იგივე მხარე, საკუთარი თავის ანაბარა, უკიდურეს ზომებს მიმართავს, რაც ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გამოიხატება. და აი ერთ დღეს, როდესაც კომპანიის წარმომადგენლებმა შემოლობეს სათემო მიწების ის ნაწილი, რომელიც ხელშეკრულებით მათ უნდა დარჩენოდა და იქიდან გლეხების საქონელი გამოდენეს, ადგილობრივი მოსახლეობა მათ ცელებითა და ფოცხებით შეიარაღებული მიეჭრა, რათა აღეკვეთა ამგვარი ქმედება. დაპირისპირებას შეიძლება მსხვერპლიც მოყოლოდა. როგორ განვითარდა ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში მოვლენათა მსვლელობა? ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოების ჩანაწერებში მომხდარი შემდეგნაირად აისახა. „ილიში მცხოვრები მისტერ კრომველი თავს არ ზოგავდა, რათა ხალხი დაეშოშმინებინა, მოუწოდებდა მათ სიმშვიდისაკენ, პირდებოდა გლეხებს, რომ მათ ინტერესებს დაიცავდა სასამართლოში. გახარებულმა გლეხებმა მას ჯილდოც კი აღუთქვეს, 1 გროტი თითო ძროხიდან. გროტი ძველი ინგლისური ფულადი ერთეული იყო, ვერცხლის მონეტა, რომელიც უდრიდა 4 პენსს. აღნიშნულ პერიოდში ერთი პური, რომელიც 8,7 გირვანქას, ანუ 3,8 კგ-ს იწონიდა, 1,4 პენსიდან 2 პენსამდე ღირდა. ასე რომ, ეს ურიგო გასამრჯელო არ იყო. კრომველის აზრით, სასამართლო დავის მეშვეობით საქმე ხუთი წლით გადაიდებოდა. ამ ხნის მანძილზე გლეხებს მისი აზრით თავის სასარგებლოდ უნდა გამოეყენებინათ აღნიშნული მიწის თითეული ფუტი. მოგვიანებით, ამგვარი გამოსვლები მოხდა ფენლენდის სხვა ადგილებშიც. ამიტომ ერთ-ერთმა მომრიგებელმა მოსამართლემ, მაილს სანდისმა, რომელიც იმავე დროს კომპანიის გავლენიანი წევრი იყო, უფრო მასშტაბური გამოსვლების და საერთოდ, აჯანყების შიშით გადაწყვიტა შეეცვალა კომპანიის მოქმედების ტაქტიკა. ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა შეინარჩუნეს თავისი მიწები. მათ ამისათვის მხოლოდ უნდა დაესაბუთებინათ,

რომ საერთო ჯამში კომპანიის მიერ გატარებული ღონისძიებები ვერ გააუმჯობესებდნენ მათი მიწის მდგომარეობას. სიტუაცია ჩაწყნარდა და ძალიან დიდი ხნით დავიწყებას მიეცა, რადგან სულ მალე მთელი ინგლისი სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გაეხვია.

კრომველის ამ აქტიურობას უკვალოდ არ ჩაუვლია. იმ ხანად ფენლენდის მოსახლეობა ბევრს ვერაფერს წარმოადგენდა დანარჩენი ინგლისისათვის. კრომველმა ეს ადამიანები თუ შეიძლება ასე ითქვას შეანჯღრია, გამოაღვიძა მათი ცნობიერება, დაანახვა მათ, რომ ისინი ამ ქვეყნის, ინგლისის შვილები იყვნენ. და როდესაც დაიწყო რევოლუცია და პარლამენტი შეუდგა თავისი ჯარისთვის მეომრების შერჩევას, რომლებიც აღმოსავლეთის ასოციაციის საჯარისო შენაერთებში იყვნენ გაერთიანებული, ამ ჯარში და პირველ რიგში კრომველის რაზმში სწორედ ჰანტინგდონში და ფენლენდში მცხოვრები ადამიანები შევიდნენ. ეს სწორედ ის გლეხები იყვნენ, ვის ინტერესებსაც კრომველი თავის დროზე იცავდა. ხალხმა მისი მხარდაჭერა არ დაივიწყა. ასე რომ, ამ ფაქტმა ფენლენდის მხარის ბატონი, როგორც მას ზოგჯერ დაცინვით მოიხსენიებდნენ მეფის მომხრეები, სწორედ ამ მხარის ჯარისკაცების რკინისებრ მეთაურად, ხოლო ისინი კი – მის ერთგულ და თავდადებულ მეომრებად აქცია.

დაპირისპირება

მოვლენები, რომლებიც XVII ს. 40-იან წლებში დატრიალდა ინგლისში მათი თანადროული პერიოდიდანვე წინააღმდეგობრივ შეფასებებს იმსახურებდნენ. ერთნი მათ ამბოხებას და ღვთით მირონცხებული მონარქის წინააღმდეგ უკანონო ამხედრებად მიიჩნევდნენ; მეორენი – ტრადიციული უფლებების და თავისუფლებათა კანონიერ დაცვას. მეცნიერული შეფასების თვალსაზრისით მეფესა და პარლამენტს შორის დაწყებული შეიარაღებული ბრძოლა კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი კუთხით განიხილებოდა; რელიგიური, კერძოდ პურიტანობის დროშით წარმოებული ბრძოლა; ახალი, პროგრესული, უფრო ნაყოფიერი წარმოების წესის დამკვიდრება კონსერვატიულისა და მოძველებულის ნაცვლად, რომელიც ვეღარ უზრუნველყოფდა მატერიალური დოვლათის დაჩქარებულ ზრდას; ახალი პოლიტიკური ფორმებისათვის ბრძოლა, თუ პირიქით, ძველი, ტრადიციული პრივილეგიებისა და უფლებების შენარჩუნება. ამ თეორიულ აზრთა ჭიდილის ფონზე ყველაზე უფრო საინტერესოდ გვესახება ორი დებულების დაპირისპირება. რევოლუცია თუ სამოქალაქო ომი? რასაკვირველია, საზოგადოებრივი და პოლიტიკური არსებობის ფორმების დროის მოკლე მონაკვეთში აბსოლუტური შეცვლა სხვა არაფერია თუ არა რევოლუცია. მაგრამ თავის მხრივ, რევოლუცია საზოგადოების შიგნით განხეთქილებას და ურთიერთდაჯახებას იწვევს, რაც შეიძლება შეფასდეს როგორც სამოქალაქო ომი. რა სახელი მიესადაგება ამ შემთხვევაში XVII ს. 40-50- იან წლებში ინგლისში მომხდარ მოვლენებს? შეძლებისამებრ გადავავავლებთ რა თვალს ინგლისის ისტორიას, აქაც ინგლისისათვის დამახასიათებელი, ევროპის კონტინენტისაგან და საერთოდ, დანარჩენი სამყაროსაგან ტრადიციული განსხვავება წარმოჩნდება ამოსავალ წერტილად. რევოლუცია, რომელმაც ინგლისში იფეთქა, რასაკვირველია იმ საერთო ნიშან-თვისებებით ხასიათდება, როგორც მისი მომდევნო რევოლუ-

ციები ევროპაში. მაგრამ იმავე დროს მან თავისებური იერ-სახე მიიღო. და ეს სწორედ მისი საომარი მოქმედებების სახით მსვლელობაში გამოიხატა. ახალი თავადაზნაურობა(ჯენტრი, ჯენტელემენები), რომელიც ამ პოლიტიკური მოვლენის დამკვრელ ძალას წარმოადგენდა, გამოირჩეოდა პოლიტიკური ცნობიერების მაღალი დონით და მყარი ეკონომიკური პოზიციებით. ეს საშუალებას აძლევდა მას ემოქმედა მისი კლასის საზოგადოებრივ-ზნეობრივი ნორმების შესაბამისად, რაც გამორიცხავდა იმ ქაოტურ და გაუცნობიერებელ ქმედებებს, რომლებიც ანარქიას ბადებენ და ესოდენ დამახასიათებლი იყო კონტინენტის რევოლუციური მოძრაობებისათვის. ინგლისში დაპირისპირებამ, რომელშიც ჯენტელმენები მონაწილეობდნენ თავისებურად ჯენტელმენური ხასიათი მიიღო. პოლიტიკურმა ბრძოლამ არა ქუჩის ქაოტური შეტაკებების, ან მმართველი ძალების დროდადრო მონაცვლეობის, არამედ მკაცრ ჩარჩოებში მოქცეული მოქმედებების სახე მიიღო. ასეთად კი წარმოსდგება ომი, სადაც მოვლენათა მსვლელობა მართალია სასტიკი, მაგრამ გარკვეულ ნორმებისა და მოთხოვნების შესაბამისად ხორციელდება.

როგორი იყო კრომველის დამოკიდებულება ყველაფერ მომხდართან, რა შეფასებას აძლევდა იგი მიმდინარე მოვლენებს, თვლემდა ისევ მოხმობის მომლოდინე დავითი? ამ მხრივ საინტერესოა მისი დამოკიდებულება შოტლანდიასთან წარმოებულ ომებთან, რომლებმაც მნიშვნელოვნად დააჩქარეს ინგლისის საზოგადოების ორ ბანაკად გაყოფა და მათი შემდგომი დაჯახება, რომელმაც სამოქალაქო ომის სახე მიიღო. ჩარლზ I გადაწყვიტა ანგლიკანური ეკლესიის პრინციპები შოტლანდიაში გაევრცელებინა. ეჭვგარეშეა, რომ ამით იგი ნიადაგს ამზადებდა შემდგომში ამ ქვეყანაში თავისი პოლიტიკური ბატონობის დამყარებისათვის. მაგრამ მეფის ორი მცდელობა (1637 და 1638 წწ.) წამოეწყო საომარი მოქმედებები შოტლანდიელთა წინააღმდეგ, წარუმატებლად დამთავრდა. მეფის დაცარიელებული ხაზინა ვერ უზრუნველყოფდა სამხედრო წარმატებას. ამ ომებთან დაკავშირებით იმ დროის ცნობილი იურისტი, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე ბალსტროდ უაითლოკი წერდა: „ისინი, ვინც პაპობის და პრელატების(ამ წოდებით კათოლიკე მღვდელმთავრებს მოიხსენიებდნენ -ივ.მ.)

მომხრეა, შოტლანდიელებს აძაგებენ. მაგრამ მთლიანობაში დანარჩენი ხალხი ამართლებს და მხარს უჭერს მათ მოქმედებას.“ რაც შეეხება თავად კრომველს, მან დაუფარავად დაგმო მეფის პოლიტიკა შოტლანდიელთა მიმართ. თავისი აზრი მან იმ მეთაურებსაც კი გაუზიარა, რომელთა შოტლანდიისაკენ მიმავალი სამხედრო ნაწილები მის მამულში გაჩერდნენ. და თუ კრომველის ნალაპარაკევმა სამხედროებში გარკვეული ეჭვი აღძრა მის მიმართ, მის სამეზობლოში იმავე სიტყვებმა კრომველს კიდევ უფრო მეტი პოპულარობა მოუპოვეს და მხარდამჭერი შესძინეს. როგორც ჩანს, ალბათ სწორედ ამან განაპირობა მისი არჩევა 1640წ. მონვევის პარლამენტში. ამას წინ უძღოდა კრომველისათვის ილის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭება მას შემდეგ, რაც მან გარკვეული თანხა გაიღო ღარიბთა შემწეობისათვის. სწორედ ამიტომ იგი პარლამენტში შევიდა როგორც კემბრიჯშირის და არა მშობლიური ჰანტინგდონშირის დეპუტატი. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მან სწორედ კემბრიჯშირში მოიპოვა ავტორიტეტი, გამოავლინა ის თვისებები და უნარი, რომლებსაც შესაბამისი დროის დადგომამდე არ ავლენდა, როგორც წერდა მასზე შემდგომში მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგე, როიალისტი პოლიტიკოსი და ისტორიკოსი ედუარდ ჰაიდი(გრაფი კლარენდონი).

„მოხმობის მოლოდინში მყოფი მთვლემარე დავითი,“ მომავალ დიდებასთან დაკავშირებული ხილვები, მეტოქეებთან მკვახე, ზოგჯერ უდიერი ფორმით პაექრობა და ყველაფერ ამასთან ერთად სასზარელი პირადი ტრაგედია – სხვადასხვა დროს შვილების სიკვდილი. ესენი იყვნენ ვაჟები: რობერტი, ოლივერი, ჯეიმსი, ქალიშვილი – ბეტი(ელიზაბეთი). პირველი დარტყმა მან 1638 წ. განიცადა, როდესაც იმ დროისათვის რაღაც უცნობი ციებისაგან პირველი შვილი, რობერტი გარდაიცვალა. უფროსი შვილის გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი კრომველს სიცოცხლის ბოლომდე გაყვა. ოცი წლის შემდეგ, როდესაც გარდაიცვალა მისი ქალიშვილი ბეტი და თავად კრომველი ფაქტობრივად სიკვდილის პირას იყო, მან სახარება მოითხოვა და ხმამაღლა წაიკითხა პავლე მოციქულის ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ. კერძოდ კი, მეოთხე თავის მე-11-ე, მე-12-ე და მე-13-ე მონაკვეთებზე გაამახვილა ყურადღება: „იმიტომ როდი ვამბობ, რომ რამე მაკლია,

რადგან მე ვისწავლე კმაყოფილი ვიყო იმით, რაც მაქვს. გაჭირვებაც ვიცი და ხელგაშლილობაც, ყველფერი მისწავლია ყოველში, სიმაძღრეც და შიმშილიც; სიმწირეც და სიუხვეც. ყველაფერი ვისწავლე ჩემს განმაძლიერებელ ქრისტეში." მერე კი იქ შეკრებილთ მიმართა: „წმინდა წერილმა ერთხელ უკვე გადამარჩინა, როდესაც უფროსი ვაჟი მომიკვდა და რამაც ლახვარი ჩამცა გულში." მერე კი მან გაიმეორა სახარების ზემოხსენებული მონაკვეთი. კრომველი გარეგნულად არასოდეს იმჩნევდა მწუხარებას. სხვა მის ადგილას ალბათ ვერ გაუძლებდა ასეთ სულიერ ტანჯვას და გატყდებოდა. მაგრამ კრომველმა გასძლო. ამიტომ გავიხსენებთ ჯ. მორლის მიერ გამოთქმულს აზრს, რომ სულის სიმტკიცე, რომელიც დაფუძნებული იყო რელიგიურ რწმენაზე დაეხმარა კრომველს გაეძლო იმ ქარტეხილებისათვის, რომლებიც მან თავისი ცხოვრების მანძილზე გამოიარა. ასეთი სიმტკიცე მორლის აზრით სულიერებისა და ცნობიერების უფრო მაღალი საფეხურია, ვიდრე ანტიკური ხანის სტოიკურობა, რომელიც შეუცნობადის მორჩილებაა, მაშინ, როდესაც კრომველის სულის სიმტკიცე აღვსილი იყო გააზრებული მიზნით. ეს ტლანქი და მოუხეშავი(როგორც მასზე მოწინააღმდეგეები ამბობდნენ) ადამიანი ცოლ-შვილის და დების იშვიათი მოყვარული იყო. მაგრამ საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია მისი გულისხმიერი და ფაქიზი დამოკიდებულება იმ ადამიანების მიმართ, ვინც შვილის სიკვდილის სიმწარე გამოსცადა. ამის ნათელი დასტურია სიძის, ვალენტაინ უოლტონისადმი მიწერილი წერილი. უოლტონის ვაჟმა, კრომველის დისშვილმა, რომელიც მარსტომ-მურის ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა, ბიძის ხელში დალია სული. „სერ, თქვენ იცით, რა ტანჯვა-წამება გამოვიარე... ჩაიბარეთ თქვენი უსაყვარლესი პირმშო, დიდებით შემოსილი, რომელსაც შეცოდება და დარდი აღარასოდეს შეაწუხებენ" – სწერდა კრომველი სიძეს ბრძოლის შემდეგ.

აი ამგვარი მწუხარებით, ტკივილით და იმავდროულად ღვთისმოსაობითა და უფლის ურყევი რწმენით აღსავსე გულით შევიდა კრომველი პარლამენტში, რომელიც 1640 წ. 15 აპრილს შეუდგა მუშაობას. ოპოზიციის აზრი გამოხტა მისმა გამობრძმედილმა ვეტერანმა, 55 წლის ჯონ პიმმა. თავის იმ დროისათვის უჩვეულოდ ხანგრძლივ სიტყვაში, რომელიც ორ საათს გაგრძელდა, პიმი სამეფო ხელისუ-

ფლებისაგან იმ დარღვევების გამოსწორებას მოითხოვდა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ქვეყნის პოლიტიკურ და რელიგიურ ცხოვრებაში. ოპოზიციის სახელით პიმმა ასევე მოითხოვა იმ მინისტრებისა და მეფესთან დაახლოვეული პირების დასჯა, რომლებსაც ბრალი მიუძღოდათ ამ უკანონო ქმედებებში. მოხსენებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ მხოლოდ ამ პირობით დაამტკიცებდა პარლამენტი გადასახადებს, რათა მეფის თხოვნის შესაბამისად ხაზინა შეევსო. მეფეს ფული სწორედ შოტლანდიელებთან ომისათვის სჭირდებოდა. როდესაც მეფე დარწმუნდა დეპუტატების პოზიციის შეუვალობაში იმავე წლის 5 მაისს მან პარლამენტი დაითხოვა.

პარლამენტის დათხოვნას უკვალოდ არ ჩაუვლია. მეორე დღეს, 6 მაისს ლონდონის ქუჩები ხალხით აივსო. ესენი იყვნენ ქალაქელი ხელოსნები, წვრილი მოვაჭრეები, შეგირდები, შავი მუშები. დემონსტრანტები შეეცადნენ კენტერბერის არქიეპისკოპოსის უილიამ ლოდის სასახლე დაეწვათ და უფრო მეტიც, თავად არქიეპისკოპოსი, ან „უილიამ მელი," როგორც ისინი უწოდებდნენ ლოდს, ჩაეგდოთ ხელში. ერთი კვირის შემდეგ გამოსვლა განმეორდა. ამჯერად პროტესტის მონაწილეები შეეცადნენ ციხეში შეჭრილიყვნენ, რათა 6 მაისის გამოსვლების დაპატიმრებული მეთაურები გაეთავისუფლებინათ. ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ პროტესტი გასცდა პარლამენტის დეპუტატთა დახვეწილ, მჭერმეტყველ და კანონების ცოდნაზე დამყარებულ პაექრობას. პოლიტიკური პროტესტის ფსიქოლოგიური მუხტი ხალხს გადაეცა, რომელმაც გაითავისა იგი და პროტესტიც თავისებურად, „ხალხურად" გამოხატა. მისთვის ოპოზიციის განათლებული ბელადების პროტესტი უკვე უცხო აღარ იყო. იგი მიხვდა დაპირისპირების არსს და იმას, რომ კოხტად ჩაცმულ-დახურული ჯენტელმენები მისთვის, ხალხისთვის მთლად უცხო რამეს არ ედავებოდნენ მეფეს და რომ იმაზე, რაზეც ეს ჯენტელმენები ლაპარაკობდნენ ვესტმინსტერში გარკვეულწილად დამოკიდებული იყო მისი, უბრალო ხალხის შრომის, ლუკმა-პურის, ლოცვის საკითხები. ხალხი მიხვდა, რომ ის, რაზედაც პარლამენტში ლაპარაკობდნენ მრავალი საუკუნის წინანდელ სტატუტებსა და პრეცედენტებზე მინიშნებით, რომელთა შესახებ მას ცოტა რამ, ან საერთოდ არაფერი ესმოდა, მნიშვნელოვა-

ნი იმიტომ იყო, რომ მათ გარეშე მეფე პარლამეტს გაუსწორდებოდა, მერე კი მათ, უბრალო ადამიანებს მისდგებოდა და თავისი ეპისკოპოსების მხარდაჭერით, თვითნებურად დაწესებული გადასახადებით ამოხდიდა სულს. ამგვარად, ამიერიდან საპარლამენტო ოპოზიცია აღარ იყო ერთი მუჭა იდეალისტი თეორეტიკოსების თავყრილობა, რომლებიც განყენებულ საკითხებზე დავობდნენ. მის უკან ხალხი იდგა. მათ ერთი მიზანი აერთიანებდა.

ჩარლზ I პარლამენტის გარეშე მმართველობა დიდხანს არ გაგრძელებულა. შოტლანდიელთა აქტიურმა საომარმა მოქმედებებმა, რომლებსაც მეფე თავისი დაცარიელებული ხაზინით წინააღმედეგობას ვეღარ უწევდა აიძულა იგი 1640 წ. ნოემბერში კვალავ მოეწვია პარლამენტი. ეს ჩარლზ I უკანდახევის დასაწყისი იყო. აღნიშნული პარლამენტი ინგლისის ისტორიაში ხანგრძლივი პარლამენტის სახელით არის ცნობილი, რადგანაც იგი 1653 წ. ჩათვლით მოქმედებდა და მასთან ამ ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფურცელი, რევოლუცია(სამოქალაქო ომი) არის დაკავშირებული. როგორი იყო კრომველის, როგორც დეპუტატის საქმიანობა ამ პარლამენტში? მას, როგორც რელიგიის საქმეთა კომიტეტის წევრს, დაავალეს ვინმე ჯონ ლილბერნის საქმის განხილვა. ეს ახალგაზრდა კაცი დაპატიმრებული იყო რადიკალური რელიგიური პამფლეტების გავრცელებისათვის. პამფლეტები შეიცავდნენ ანგლიკანური ეკლესიის და მისი მესვეურების მწვავე კრიტიკას. ერთ-ერთი მათგანის ავტორი იყო უილიამ პრინი, რომელსაც რაღაც ორიოდე წლის წინ ასეთივე პამფლეტის გამოქვეყნებისათვის სამარცხვინო ბოძთან ყურები დააჭრეს. დაკავებულ ლილბერნს ჯარიმა, გაროზგვა, სამარცხვინო ბოძი და ბოლოს, ხანგრძლივი პატიმრობა ელოდა. სწორედ ამან აღაშფოთა კრომველი, რომ ადამიანს ციხე ელოდა მხოლოდ იმისათვის, რომ მან აკრძალული წიგნები გაავრცელა. ჭეშმარიტად, რომ შეუცნობადია გზანი უფლისა! გაივლის რამდენიმე წელი და ეს ადამიანები ლამის ერთმანეთის შეურიგებელი მოწინააღმდეგეები გახდებიან! კრომველი, როგორც მიღწეულის შენარჩუნების მომხრე, ლილბერნი – როგორც დაუოკებელი რადიკალი, მუდამ მშფოთვარე ადამიანი, რომელიც ვერასოდეს იქნებოდა რაიმით კმაყოფილი, მაქსიმალური ლიბერალიზაციისაკენ

მსწრაფველი.

რა შეიძლება ითქვას კრომველზე მისი გამოსვლიდან გამომდინარე ამ ახალი მოწვევის პარლამენტში და საერთოდ, იმ შთაბეჭდილების გათვალისწინებით, რომელიც მან სხვა დეპუტატებზე მოახდინა? მასზე არსებული მაშინდელი ცნობები ალბათ პაექრობის საგანი გახდება პირველი შთაბეჭდილების საფუძვლიანობისა თუ უსაფუძვლობის თვალსაზრისით. ეს ცნობა ისტორიას დაუტოვა მისმა თანამედროვე პოლიტიკოსმა, როიალისტმა სერ ფილიპ უორიკმა. მისი დღიური გვამცნობს, რომ ერთ დღეს პარლამენტში შესვლისას იგი შეესწრო ერთი დეპუტატის გამოსვლას, რომელსაც არ იცნობდა. მომხსენებელი ბრეგე, ჯანმაგარი კაცი იყო, ხორციანი, შეშუპებული სახით. სერ ფილიპი თავად პეწიანი, კოხტა ჩაცმა-დახურვის კაცი იყო და რამაც იგი ყველაზე მეტად შეაცბუნა, იყო მომხსენებლის ჩაცმულობა. მას უბრალო, მაუდის ტანსაცმელი ეცვა, რომელიც უეჭველად უხეირო სოფლელი თერძის მიერ იყო შეკერილი. რაც შეეხება პერანგს, მისი საყელოდან გამომდინარე, იგი უბრალო, უხეში სელის ტილოსაგან უნდა ყოფილიყო შეკერილი და თანაც რბილად რომ ვთქვათ, არც თუ ისე ქათქათა. ყველა ამ „სიკეთესთან" ერთად სერ ფილიპმა მის საყელოზე სისხლის ორი-სამი წვეთი შენიშნა(ალბათ გაუფრთხილებელი გაპარსვის შედეგი – ივ.მ.). ხმა მომსხენებელს ძლიერი და უხეში ჰქონდა. „ მაგრამ ყველაფერ ამისდა მიუხედავად, იგი ძალზე მგზნებარედ ლაპარაკობდა"- წერდა თავის დღიურში სერ ფილიპ უორიკი.

როგორ აღწერდნენ მას თანამედროვენი? მოწინააღმდეგეები რასაკვირველია მუქ ფერებს არ იშურებდნდნ. მაგ. როიალისტი პოეტი, სემიუელ ბატლერი წერდა, რომ „კრომველს სახეზე კამეჩის ტყავი აქვს გადაკრული. მას კანი კი არა, არამედ ჟანგიანი ჯავშანი აკრავს." საინტერესო იქნება ალბათ მიუკერძოებელი ავტორების აზრიც. მათი თქმით კრომველის სიმაღლე 5 ფუტი და 7 დიუიმი ყოფილა(170 სმ), ანუ იმ დროისათვის არც თუ ისეთი ურიგო სიმაღლე. თუმცა არის სხვა მონაცემიც, რომელის თანახმად კრომველის სიმაღლე ორ მეტრი იყო. ძლიერი და ენერგიით აღსავსე აგებულება, ლომებრი გამოხედვით. წინ წამოწეული ღაწვის ძვლებით, რომლებსაც შემოწყობილი ჰქონდა წაბლისფერი, ოდნავ შევერცხლილი, ტალღოვანი თმები. კა-

რგი ფორმის ტუჩ-პირი, რამდენიმე მეჭეჭი სახეზე და კარგად მოყვანილი დიდი ცხვირი.

გამომეტყველება, გარეგნობა ეს თვით ადამიანია. მათ მიღმა მისი სულისკვეთება, მისი სულიერი სამყაროა. გარეგნობა მისი სულის თვალით დანახულის გამოხატულებაა. ოლივერ კრომველი ძლიერი სულისკვეთების, საკუთარი პიროვნულობის დამკვიდრების და მისგან გამომდინარე პრინციპების ცხოვრებაში გატარების ადამიანი იყო. პეწიანი ჩაცმა-დახურვისადმი გულგრილი დამოკიდებულება, რაც ესოდენ სწორად შენიშნა სერ ფილიპ უორიკმა, მას სიცოცხლის ბოლომდე გაყვა. ეს კი ყველას, ვისაც მასთან საქმე ჰქონია, საბოლოო ჯამში აიძულებდა მისით აღტაცებაში მოსულიყვნენ და ეღიარებინათ, რომ კარგი და ძვირფასი ტანსაცმელი სულაც არ არის მთავარი. ხანგრძლივი პარლამენტის დეპუტატებზე პირველ რიგში მისი სიტყვები და არა ჩაცმულობა ახდენდნენ გავლენას. „იგი ისეთი თავგამოდებით, შემართებითა და დასაბუთებით აკრიტიკებდა ლილბერნის ბრალმდებლებს, რომ იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ლილბერნის ბრალდებით და მით უფრო მისი დასჯით სახელმწიფო უდიდესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა“ – წერდა თავის ანგარიშში იგივე სერ ფილიპი. ჭეშმარიტი სიდიადე მახვილი თვალით და გამჭრიახი გონებით მაშინვე გამოიცნობა. იმავე დღეს, როცა სერ ფილიპმა ნახა კრომველი პარლამენტში, მისი სიტყვა ასევე მოისმინა ლორდმა დიგბიმ. დიგბი ოპოზიციის წევრი იყო და ჯონ ჰემპდენთან ჰქონდა ახლო ურთიერთობა. როდესაც ისინი თემთა პალატიდან გამოდიოდნენ, ლორდმა დიგბიმ ჰკითხა ჰემპდენს: „ ვინ იყო ის ფეთხუმი, დღეს რომ გამოვიდა? მივხვდი, რომ ჩვენს მხარეზეა, ისე გულანთებული ლაპარაკობდა.“ „ის ფეთხუმი, რომელიც ახლა ჩვენს წინ მიდის(კრომველმა იმ დროს მათ ჩაუარა-ივ.მ.), რომელიც სიტყვაკაზმულად არ ლაპარაკობს, გეუბნებით, ის ფეთხუმი, თუ-კი ჩვენ მეფესთან გავწყვეტთ ურთიერთობას, რასაც ღმერთი კრძალავს, უდიდესი ადამიანი გახდება მთელს ინგლისში“- უპასუხა დიგბის ჰემპდენმა. ჭეშმარიტად, პატივი უნდა მივაგოთ ჯონ ჰემპდენის შორსმჭვრეტელობას და ოლივერ კრომველის პიროვნებას, რომელმაც მის თანამედროვეში ასეთი ხედვა გამოიწვია.

კრომველის რიხიანი და მშფოთვარე გამოსვლები პარლამენტში არ შემოიფარგლა ჯონ ლილბერნის საქმით. გახდა რა ერთდროულად სხვადასხვა საპარლამენტო კომიტეტის წევრი, კრომველმა სასტიკად გააკრიტიკა გრაფი მანდევილი, რომლის მიერ ჩატარებულმა შემოღობვებმა ფენლენდის გლეხობა გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. ასევე ენერგიულად გაილაშქრა კრომველმა სერ ჯონ სტრეინჯუეის წინააღმდეგ. საქმე ეპისკოპოსებს ეხებოდა. კრომველი მათ გამოყვანას მოითხოვდა ლორდთა პალატიდან. სერ ჯონ სტრეინჯუეის აზრით, ეპისკოპოსთა ინსტიტუტი საზოგადოების უმნიშვნელოვანეს და უპირველეს სოციალურ სტრუქტურას წარმოადგენდა. შესაბამისად, მათი ლორდთა პალატიდან გამოყვანა დაუშვებელი იყო. პასუხად კრომველმა იმდენად მძაფრად და ენერგიულად შეუტია ოპონენტს, რომ მისმა კრიტიკამ უხეში და დაუშვებელი ფორმებიც კი მიიღო. სხდომის თავმჯდომარემ ედუარდ ჰაიდმა კრომველს წერსრიგი საკენ მოუწოდა და სიტყვაც კი შეაწყვეტინა. კრომველს სერ ჯონთან საჯაროდ ბოდიშის მოხდა მოსთხოვეს. სწორედ ამ დროს კრომველს ოპოზიციის თავკაცები, ჯონ პიმი და სერ არტურ ჰეზელრიგი გამოესარჩლნენ. მათ სხდომას ურჩიეს კრომველისთვის ეთხოვათ, რომ მას აეხსნა, რა იყო მისი გაგულისების მიზეზი. პასუხად კრომველმა კიდევ უფრო მომაკვდინებელი კრიტიკა დაატეხა თავს ეპისკოპოსებს.

ასევე ენერგიულად მოქმედებდა კრომველი, როდესაც პარლამენტს წარედგინა ე.წ. პროტესტი, ანუ კანონპროექტი „ეპისკოპოსთა ფესვებიანად და ტოტებიანად ამოძირკვის შესახებ.“ ეს კანონპროექტი მომზადებული იყო თავად კრომველის და მისი ერთ-ერთი თანამოაზრის, თვალსაჩინო ინდეპენდენტის სერ არტურ ჰეზელრიგის მიერ. გააცნო რა კანონპროექტი პარლამენტს, დეპუტატმა სერ ჰენრი ვენმა ყურადღება მის პოლიტიკურ და არა რელიგიურ მხარეზე გაამახვილა. „ეპისკოპოსთა ინსტიტუტი ყველაზე მეტად უქმნის საფრთხეს ჩვენი ქვეყნის სამოქალაქო წყობას“ – აღნიშნა მან.

საწინააღმდეგო პოზიციიდან ილაპარაკა სერ ჰენრი ვენის შემდეგ გამოსულმა კორნუოლის დეპუტატმა ედმუნდ უოლერმა. „ეპისკოპოსთა ინსტიტუტი თავისებური ჯებირია, რომელიც აწონასწორებს საზოგადოებას. მისი გაუქმებით ფარდა აეხდება საიდუმლოებას,

რომელიც უხსოვარი დროიდან მოდის(უოლერი გულისხმობდა ქონებრივ უთანასწორობას-ივ.მ.) და მაშინ ხალხი, რომელიც ეპისკოპოსთა ინსტიტუტს გააუქმებს, მოითხოვს თანასწორობას საერო პირთა შორის და საკუთრების თანაბრად გადანწილებას. ამიტომ მიმაჩნია, რომ ეპისკოპოსთა ინსტიტუტი კი არ უნდა გაუქმდეს, არამედ ოდნავ შეიცვალოს"- განაცხადა უოლერმა. ამგვარი გამოსვლები იმას მოწმობენ, რომ შეურიგებლობა რელიგიურ ნიადაგზე გარკვეულწილად იყო საზოგადოებრივ-ეკონომიკური და კლასობრივი დაპირისპირების გარეგნული გამოხატულება. პურიტანობა, განსაკუთრებით კი მის შიგნით არსებული მრავალრიცხოვანი მიმდინარეობა პირველ რიგში მოსახლეობის ფართო ფენების ცნობიერებას გამოხატავდა. ათასწლოვანი საუფლო სამეფოს დამყარება, ე.წ. მეხუთე მონარქიის შექმნა მათი გაგებით იყო ისეთი საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება, სადაც საყოველთაო სოციალური და ქონებრივი თანასწორობა დაისადგურებდა.

პარლამენტში შექმნილ ასეთ დაძაბულ სიტუაციაში, თავად კრომველის მშფოთვარე და კრიტიკული გამოსვლებიდან გამომდინარე ცოტა უცნაურად სჩანს მისი პოზიცია გრაფ სტრაფორდის საქმესთან დაკავშირებით. თომას უენტვორტი, თავის დროზე ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, მერე მეფის მხარეზე გადასული, რომელმაც სტრაფორდის გრაფის წოდება მიიღო, დაბეჯითებით ამბობდა, რომ პარლამენტის დაპირისპირება მეფესთან ქვეყანას კატასტროფამდე მიიყვანს. გახდა რა ფაქტობრივად მეფესთან ყველაზე დაახლოვებული პირი, გრაფმა სტრაფორდმა მიიღო ირლანდიის ლორდ-ლეიტენანტის (მეფისნაცვლის) თანამდებობა, სადაც დაამყარა მკაცრი რეჟიმი. მართვის სასტიკი მეთოდების წყალობით მოაწესრიგა საგადასახადო სისტემა და შეავსო სამეფო ხაზინა. მაგრამ ყველაზე მთავარი და ალბათ საბედისწერო სტრაფორდისათვის აღმოჩნდა ის, რომ მან ირლანდიაში ჩამოაყალიბა ჯარი ადგილობრივი კათოლიკე-ირლანდიელებისაგან. ამ ჯარის გამოყენებას იგი მეფეს პარლამენტის, პირველ რიგში კი ოპოზიციის, ანუ თავისი გუშინდელი თანამოაზრეების წინააღმდეგ ურჩევდა. ასევე დაჟინებით ურჩევდა სტრაფორდი მეფეს დაეპატიმრებინა საპარლამენტო ოპოზიციის თავკაცები. ეჭვი არ არის, რომ

ამ ადამიანებს დაპატიმრების შემდეგ სიკვდილით დასჯიდნენ. მაგრამ მეფე მერყეობდა და ვერ გაბედა გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა. სამაგიეროდ ოპოზიცია გააქტიურდა და უმალ მიმართა გადამჭრელ ზომებს. პოლიტიკურ ბრძოლაში, მით უფრო მის კრიტიკულ ფაზაში ყველაფერი დასწრებაზეა. პარლამენტის და მეფის ყოვლისშემძლე ფავორიტის ჭიდილი ამ უკანასკნელის მარცხით დამთავრდა. გრაფი სტრაფორდი ჯერ სახელმწიფო ღალატში დაადანაშაულეს, შემდეგ დააპატიმრეს და ბოლოს სიკვდილით დასაჯეს. მეფემ ვერ დაიცვა თავის ყოვლისშემძლე და ერთგული კარისკაცი, რადგან მის სიკვდილს არა მარტო პარლამენტი, არამედ ლონდონის მოსახლეობაც ითხოვდა. ცულებით, მარგილებით და სხვა ხელსაწყოებით შეიარაღებული უამრავი ლონდონელი თავს იყრიდა ვესტმინსტერის სასახლესთან, სადაც სტრაფორდის სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა და ყიჟინით ამცნობდა თავის ნება-სურვილს მოსამართლეებს. მათი ნება-სურვილის წინააღმდეგ წასვლა შეუძლებელი იყო. უფრო მეტიც, საპარლამენტო ოპოზიციას ესმოდა, რომ სტრაფორდის სიკვდილი მათ სიცოცხლეს ნიშნავდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი როლებს და ადგილებს გაუცვლიდნენ ერთმანეთს. ასეთ შემთხვევაში კი ეშაფოტზე ოპოზიციის თავკაცები აღმოჩნდებოდნენ.

სწორედ ასეთ მშვოთვარე და დაძაბულ სიტუაციაში, რომლის შედეგზეც დამოკიდებული იყო პარლამენტის და საერთოდ ინგლისის მომავალი ბედ-იღბალი მხოლოდ ერთხელ ფიგურირებს კრომველის სახელი. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად ახლოს იყო იგი სტრაფორდთან ამ უკანასკნელის ჯერ კიდევ ოპოზიციაში ყოფნის დროს. როგორც ჩანს, კრომველს იმ ხანად უფრო ეპისკოპოსების საკითხი აინტერესებდა. თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მეფის ხელისუფლება და ეპისკოპოსთა ინსტიტუტი არნახულად მჭიდროდ იყვნენ გადაჭდობილი. ამას თუნდაც ჯეიმს I ზემოდმოყვანილი ფრაზა ადასტურებს: „ეპისკოპოსის გარეშე მეფეც ვერ იქნება.“ პარლამენტში, ლორდთა პალატაში მყოფი ეპისკოპოსები სამეფო ხელისუფლების მნიშვნელოვან დასაყრდენს წარმოადგენდნენ.

მაგრამ გრაფ სტრაფორდის საქმეში განზე ყოფნა არ ნიშნავს კრომველის პასიურობას. იგი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა

ინდივიდუალური საკითხის საპარლამენტო განხილვა-გადაწყვეტაში. მისთვის უცხო იყო პასიურობა. ალბათ ამიტომაც მიაჩნდა თავად, რომ ადამიანი საზოგადოებრივი საქმეების აქტიური მონაწილე უნდა ყოფილიყო და არა პასიური მაყურებელი. სწორედ ასე აქტიურად მონაწილეობდა იგი საპროტესტო დოკუმენტის შედგენაში, რომელსაც „დიდი რემონსტრაცია“ ეწოდა. დოკუმენტი, რომელსაც თავად კრომველი და მთლიანობაში ოპოზიცია დიდი იმედით შეჰყურებდნენ, მართლაც უპრეცედენტო იყო თავისი შინაარსით. მასში შედიოდა ისეთი კონკრეტული საკითხი, რომელსაც თავის დროზე კრომველი განიხილავდა, კერძოდ, ფენლენდის მოსახლეობის ინტერესების დაცვა. მაგრამ რემონსტრაცია ამით არ შემოიფარგლა. მასში წამოყენებული იყო მანამდე გაუგონარი, უპრეცედენტო მოთხოვნა – მეფეს თავისი მრჩეველები ანუ მინისტრები უნდა დაენიშნა მხოლოდ პარლამენტის რეკომენდაციით. თანაც, ეს მინისტრები პარლამენტის წინაშე უნდა ყოფილიყვნენ ანგარიშვალდებულები. რემონსტრაციის, როგორც პოლიტიკური დოკუმენტის სიმძაფრეზე ისიც მიუთითებს, რომ თემთა პალატამ იგი მხოლოდ 11 ხმის უმრავლესობით მიიღო, 159 – 148-ის წინააღმდეგ. სიტუაციის დაძაბულობის დონის დასტურად ისიც კი კმარა, რომ თავისი პოზიციების დასაბუთების დროს მოპაექრეებმა შუა საუკუნეების სადარად დაშნებიც კი იშიშვლეს! ცნობისათვის, გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის თემთა პალატაში მხარეებს შორის მანძილი დღემდე ორი დაშნის სიგრძეს უდრის. ეს შუა საუკუნეებიდან მომდინარეობს, რათა მოპაექრეებს მიჯრით ხმალდახმალ შებრძოლება არ შესძლებოდათ. მხოლოდ ჯონ ჰემპდენის დიდი ძალისხმევის წყალობით მოხდა დაპირისპირებული მხარეების დაშოშმინება.

„დიდი რემონსტრაცია“ ფაქტობრივად საერთო-სახალხო რევოლუციურ მანიფესტად იქცა, რადგან მან არა მარტო ოპოზიციის, არამედ დედაქალაქის მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერაც ჰპოვა. ამას ისიც ადასტურებს, რომ პარლამენტის წინ იმართებოდა ხალხმრავალი თავყრილობები. ხალხის გააქტიურებას ხელი შეუწყო ოპოზიციის მიერ რემონსტრაციის ტექსტის დაბეჭდვამ და ლონდონში გავრცელებამ. თანაც ეს მანამდე მოხდა, ვიდრე მეფე რემონსტრა-

ციის ტექსტს დაამტკიცებდა. ხალხის გააქტიურებამ დღის წესრიგში ახალი ლოზუნგები შემოიტანა, მაგ.: „ძირს ეპისკოპოსები და ეპისკოპოსი ლორდები!“ ლოზუნგებს ძალადობაც მოყვა. ხალხმა ეპისკოპოსი-ლორდები არ შეუშვა ლორდთა პალატაში. მოხდა შეხლა-შემოხლა ხალხსა და მეფის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს შორის. სწორედ მაშინ გაისმა პირველად ურთიერთშეურაცმყოფელი მეტსახელები: „კავალერი“ და „მრგვალთავიანი.“ კავალერებად ნათლავდნენ მეფის მომხრეებს, დიდგვაროვნებს, მათი ფუშფუშა, მხრებზე მოხდენილად დაყრილი კულულების გამო. საპასუხოდ როიალისტებმა პურიტანებს მრგვალთავიანები უწოდეს, რადგანაც მათ თმები სადად, მრგვალი ფორმით ჰქონდათ შეკრეჭილი.

ლორდთა პალატამ სთხოვა თემთა პალატას, რომ ამ უკანასნელს მეფისთვის მიემართა თხოვნით, ხალხის დასაშლელად მეფის განკარგულებაში მყოფი შეიარაღებული რაზმი გამოეყენებინა. მაგრამ ლორდებმა უარი მიიღეს. „ღმერთმა დაგვიფაროს, რომ თემთა პალატა ამ გზას დაადგეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ იმედი უნდა გაუცრუოთ ხალხს ამ გზით მიიღოს ის, რისი მიღებაც მას სურს“ – თქვა პიმმა. მას მხარი პალატის სხვა დეპუტატებმაც აუბეს. „ჩვენ არ გვინდა ჩვენს ლონდონელ მეგობრებთან ჩხუბი“ – ასეთი იყო მათი პასუხი. საერთო საფრთხემ პარლამენტის დეპუტატი-ჯენტელმენები ლონდონის მდაბიოებთან დაამეგობრა. ამრიგად, „დიდმა რემონსტრაციამ“ გზა გადაუღობა ჩარლზ I და საერთოდ მეფის ხელისუფლებას ინგლისისათვის ტრადიციული საპარლამენტო თავისუფლების პრინციპების შეზღუდვის გზაზე. მანვე ინგლისი მომავალი რევოლუციის (სამოქალაქო ომის) გზაზე დააყენა.

მაგრამ ნებისმიერ დიდ მოვლენას შესაბამისი განმახორციელებელი, შემსრულებელი სჭირდება. და აი, იმ ეტაპზე შექმნილი სიტუაცია კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს და იმის საშუალებას მოგვცემს, რომ პიროვნებისა და ისტორიული მომენტის ურთიერთდამოკიდებულებაზე ვიმსჯელოთ. საქმე ისევ ოლივერ კრომველს ეხება. როდესაც ხანგრძლივი კამათის და ლამის ფიზიკური შეჯახების შედეგად პარლამენტმა მიიღო „დიდი რემონსტრაცია,“ კრომველმა საზეიმო ტონით გადაულაპარაკა ლორდ ფოლკლენდს: „რემონსტრაცია რომ არ

მიელოთ, ხვალ დილით ყველაფერს გავყიდდი და ამ ქვეყნისკენ აღარ მოვიხედავდი.“ კრომველი ოჯახითურთ ამერიკაში ემიგრაციას გულისხმობდა. მაგრამ რემონსტრაცია მიიღეს და კრომველიც ინგლისში დარჩა. შესაბამისად კაცობრიობამ მიიღო ინგლისის ისტორია ისეთი, როგორმაც დღემდე მოაღწია და წარმოჩენილია სხვადასხვა ისტორიულ გამოკვლევაში, თანაც ოლივერ კრომველის უშუალო და შეიძლება ითქვას ყველაზე აქტიური მონაწილეობით. ამიტომ ალბათ უადგილოც იქნება იმაზე ფიქრიც კი, თუ რა და როგორ შეიძლებოდა რომ მომხდარიყო ინგლისის ისტორიაში, კრომველი რომ ამრიკაში წასულიყო. ასე რომ, როგორც ამას მოხუცი ჰეგელი ამბობს, ისტორიას აინტერესებს ის და ისტორია არის ის, რაც რომ მოხდა და არა ის, რაც რომ შეიძლებოდა რომ მომხდარიყო. კრომველი და ყველაფერი მასთან დაკავშირებული, რაც კი ინგლისის ისტორიაში მოხდა, შემთხვევითობა რომ ყოფილიყო, კრომველი აუცილებლად გადასახლდებოდა ამერიკაში. მაგრამ განგებამ მას ინგლისში მიუჩინა ადგილი, იგი ინგლისს სჭირდებოდა. თორემ მას ალბათ არ გაუჭირდებოდა სხვა პურიტანებთან ერთად კონექტიკუტში, ნიუ ჰევენში დაედო ბინა.

მოვლენათა შემდგომი განვითარება თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება ქვეყნის, საზოგადოების ორად გახლეჩა, თანაც ხელისუფლების უზენაეს მპყრობელთა არც თუ ისე სწორად გათვლილი ნაბიჯების შედეგად. ჩარლზ I გადაწყვიტა მოვლენათა დაჩქარება და ამიტომ 1642 წ. 3 იანვარს ბრძანება გასცა პარლამენტის თემთა პალატის ხუთი წევრის: პიმის, ჰემპდენის, სტროდის, ჰოლისის, სერ არტურ ჰეზელრიგის და ლორდთა პალატის წევრის, ლორდ კიმბლტონის დაპატიმრების შესახებ. ბრძანება როგორც ასეთი, პირველ რიგში ძალზე ცუდად წარმოაჩენდა თავად მეფეს, რომელმაც იმავე დღეს, დილით, სრული უსაფრთხოება აღუთქვა პარლამენტის წევრებს. საღამოთი კი, დაპატიმრების ბრძანებით სრულიად გააუფასურა თავისი სიტყვა. აქედან მოყოლებული, მეფის ყოველი ნაბიჯი მარცხით მთავრდებოდა. 4 იანვარს მეფე პირადად, შეიარაღებული რაზმის თანხლებით მივიდა პარლამენტში, თემთა პალატაში, რათა თავად შეეპყრო აღნიშნული პირები. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა და პარლამენტის, კერძოდ თემთა პალატის შეუვალობის უხეში დარღ-

ვევა. მაგრამ ჩარლზმა აქაც განიცადა მარცხი. არც ერთი მათგანი მეფეს ადგილზე არ დახვდა. ხუთიევ დეპუტატი და ლორდი კიმბლტონი წინასწარ გააფრთხილეს მეფის განზრახვის შესახებ. არის მოსაზრება, რომ მეფის ეს განზრახვა ოპოზიციას შეატყობინა დედოფლის სეფე-ქალმა გრაფინია კარლაილმა, რომელიც, როგორც იგივე წყარო გვამცნობს, ჯონ პიმის საყვარელი იყო. მეფე კი ამ ნაბიჯზე თავად დედოფალმა შეაგულიანა, თანაც ძალიან აგრესიული ფორმით: „წადი, შე მხდალო, და ყურებით გამოათრიე იქიდან ის არამზადები, თუ არა და თვალით აღარ დამენახო!“ ასე რომ მარადიულია ცნობილი ფრანგული გამოთქმა “Cherche la famme!”(ქალი ეძიეთ!), როგორც მოვლენის საიდუმლო კვანძის გახსნის მთავარი საშუალება. მაგრამ ისტორიული სინამდვილის და პოლიტიკური კულტურის წვდომის თვალსაზრისით კიდევ უფრო მნიშვნელოვანია შემდეგი მომენტი. როდესაც ჩარლზ I მისივე თქმით დააფიქსირა, რომ „ჩიტები გაფრენილან,“ მან თემთა პალატის სპიკერს უილიამ ლენტოლს სთხოვა მისთვის ცოტა ხნით თავისი სავარძელი დაეთმო და მოიკითხა მიმალულთა ადგილსამყოფელი. ლენტოლმა მოწიწებით დაუთმო მეფეს სავარძელი და ასევე მოწიწებით შეჰღაღადა: „ალბათ თქვენს უდიდებულესობას ეს არ ესიამოვნება, მაგრამ მე აქ მყოფს უფლება არ მაქვს რაიმე დავინახო ან გავიგონო, თუ არა თემთა პალატის მითითებითა და ნებართვით.“ პირველად ინგლისის პარლამენტის ისტორიაში სპიკერმა მეფეს უარი უთხრა პასუხის გაცემაზე და პარლამენტს შეუნახა ერთგულება. პარლამენტს, რომელიც ქვეშევრდომთა უფლებებს განასახიერებდა. მეფე ცარილზე დარჩა და კიდევ უფრო გაგულისებულმა დატოვა პარლამენტი. პარლამენტიდან გასულს მას დეპუტატთა შეძახილები „პრივილეგია, პრივილეგია(უფლებები, შეუვალობა-ივ.მ.)“ მიაცილებდნენ. პოლიტიკური კულტურისა და ცნობიერების შესაშური დონეა, მით უფრო XVII ს. პირველი ნახევრისათვის.

რატომ ჩაუვარდა მეფეს ეს დაგეგმილი ნაბიჯი? იგი ხომ მონარქი, სუვერენი და უზენაესი მბრძანებელი იყო? მაგრამ დეპუტატებმა და ლორდმა კიმბლტონმა ლონდონის საქმიან რაიონს, სიტის შეაფარეს თავი. სიტი კი თვითმმართველობითა და შეუვალობით სარგებლობდა. სიტის განკარგულებაში იყო შეიარაღებული რაზმი, რომელიც

ინგლისური კანონმდებლობით მხოლოდ მას ემორჩილებოდა. სიტიში შეჭრა და მასთან შეიარაღებული დაპირისპირება საუკუნეების გამოვლილი ტრდიციული ინგლისური სამართლის აშკარა შებღალვა იქნებოდა. და მეფემ ეს ვერ გაბედა! აქ ალბათ ყველაფერი ჩარლზ I, ადამიანის და თუნდაც მეფის პიროვნულ თვისებებს, მის გაუბედაობას კი არ უნდა მივაწეროთ, არამედ კანონის და სამართლის უზენაესობის და შეუბღალველობის გაცნობიერების დონეს. როგორც ჩანს, ეს მომენტი ინგლისურ საზოგადოებაში პრაქტიკულად ყველას ჰქონდა გაცნობიერებული, უკანასკნელი მდაბიოდან დაწყებული და თითქოსდა ყოვლისშემძლე და ყოვლისმპყრობელი მეფით დამთავრებული. 5 იანვარს, როდესაც მეფე უკვე მხოლოდ თავისი პირადი დაცვით მივიდა სიტიში მას წინ ორი ათასი შეიარაღებული მოქალაქე აღუდგა, რომლებსაც ზურგს უმაგრებდა ლონდონის გარეუბნებიდან მოსული უამრავი ადამიანი. მათ შორის იყვნენ პირადად ჯონ ჰემპდენის მხარდასაჭერად მოსული მისი თანამემამულეები ბაკინჰემშირის საგრაფოდან. ჰაერში გრგვინავდა შეძახილი: „პარლამენტი და პრივილეგია!“ ამგვარად, შექმნილმა სიტუაციამ სრულად აჩვენა მეფის ტაქტიკური მარცხი და უსუსურობა კანონის უზენაესობის წინაშე.

შექმნილი სიტუაციის გაანალიზებისას არც ეკონომიკური ფაქტორი უნდა დავივიწყოთ, რომელიც ასევე ინგლისის ისტორიული განვითარების შედეგია. სიტი ლონდონის და მნიშვნელოვანწილად მთელი ქვეყნის ფინანსური, საქმიანი ცენტრი და დასაყრდენი იყო. აქ თავს იყრიდა ყველა სახის ფინანსური თუ სხვა ამდაგვარი ოპერაცია. სიტი ქვეყნის ფინანსებს აკონტროლებდა. თვით მეფეც კი იყო მასზე და მის მიერ გაცემულ სესხებზე დამოკიდებული. ამიტომაც ჩარლზ I ვერ შებედა დედაქალაქის მთავარ ფინანსურ და საქმიან არტერიას. და გადამწყვეტ წუთს სიტი პარლამენტის მხარეზე დადგა! მიუხედავად იმისა, რომ როიალისტურად განწყობილი ლონდონის ლორდ-მერმა, რიჩარდ გერნიმ აღნიშნულ მოვლენებამდე სულ ცოტა ხნის წინ რაინდის წოდება მიიღო და ამის აღსანიშნავად მეფეს საზეიმო წვეულებაც კი გაუმართა, ლონდონის საქმიან წრეებში მეფეს მაინც არ მიემხრნენ. უფრო მეტიც, 1641 წ. დეკემბერში ლონდონის საქალაქო საბჭომ გამოაქვეყნა საგანგებო დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ

განცხადება იმის თაობაზე, თითქოს მეფესა და პარლამენტს შორის გამართულ დავაში სიტი მონარქის მხარეს დაიჭერს, სიმართლეს არ შეეფერება. ლონდონის მდიდარი ვაჭარ-სოვდაგრები, ფინანსისტები და მევახშეები საბოლოო ჯამში პარლამენტის მხარეზე დარჩნენ. ამ უკანასკნელთან მათ აკავშირებდათ ოპოზიციის პროგრამა, თემთა პალატის შემადგენლობა და რაც მთავარია, მასშტაბური საფინანსო ოპერაციები. იმ დროისათვის პარლამენტს უკვე ჰქონდა სიტისაგან აღებული რამდენიმე დიდი სესხი. სიტი პარლამენტისათვის ახალი სესხების გაცემას აპირებდა. მნიშვნელოვან თანხებს ელოდა სიტი აგრეთვე ირლანდიაში მოსალოდნელი ომიდან და აჯანყებული ირლანდიელებისათვის ჩამორთმეული მიწებიდან. ასე რომ, მატერიალურმა ინტერესმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა სიტის დადგომა პარლამენტის მხარეზე.

“Pax Quaeritur Bello” – „მშვიდობა ომში ეძიეთ“ (ლათ.) – ოლივერ კრომველის დევიზი

1642 წ. 10 იანვარს ჩარლზ I ლონდონი დატოვა და ჩრდილოეთისკენ დაიძრა. მის ადგილსამყოფელად და თავისებურ დროებით სატახტო ქალაქად იქცა იორკი, სადაც მალე მთელი სამეფო კარი გადაბარგდა. იორკში მეფე თავს უფრო უსაფრთხოდ გრძნობდა. ტრადიციულად ჩრდილოეთის თავადაზნაურობა მეფისადმი მეტ ერთგულებას ავლენდა. მოგვიანებით იორკში ჩავიდა ლორდთა პალატის მნიშვნელოვანი ნაწილი და თემთა პალატის წევრების გარკვეული რაოდენობა. მათი რაოდენობა შესაბამისად 80 და 175 უდრიდა. იორკში ჩასულები იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ, ვისაც მოვლენათა შემდგომი გამძაფრება არასასურველად მიაჩნდა და ვინც საერთოდ, მეფის ერთგული იყო. ლორდთა პალატის 30 წევრი და თემთა პალატის 300 დეპუტატი პარლამენტს მიემხრო. მაგრამ მთლიანობაში ეს მეფის ზნეობრივი მარცხი იყო. მეფე განერიდა დედაქალაქს, პარლამენტს და რაც მთავარია ხალხს, ლონდონის და მისი გარეუბნების მოქალაქეებს, რომელთა 1641-1642 წწ. დემონსტრაციებმა აჩვენა, რომ ისინი, უბრალო ხელოსნები, შეგირდები, დღიური მუშები რაღაცას წარმოადგენენ, რომ მათ შეუძლიათ პოლიტიკაზე მოახდინონ ზეგავლენა, სიკვდილით დაასჯევინონ ყოვლისშემძლე მინისტრი და თვით მეფესაც კი უკან დაახევინონ. მეფის ამგვარი სვლა კი უდავოდ ნაბიჯი იყო გაუცხოვებისაკენ. ეჭვგარეშეა, რომ ხალხი ამას მის სისუსტედ აღიქვამდა, ხოლო რადიკალური ელემენტები კი კიდევ უფრო ირწმუნებოდნენ საკუთარ ძლიერებას. მითუმეტეს, რომ მეფის იორკში წასვლიდან მოყოლებული ლონდონში სისხლიანი დაპირისპირებისაკენ მოწოდების ტალღა აგორდა. 1642 წ. 23 თებერვალს, ჯონ პიმის მეგობარმა, სტივენ მარშალმა იქადაგა პარლამენტის დეპუტატების წინაშე. ეს იყო ცალსახა მოწოდება ომისაკენ. მარშალი დაუნდობლად კიცხავდა და გმობდა იმათ, ვინც ამ სამომავლო ბრძოლას თავს აა-

რიდებდა და ნეიტრალურ პოზიციას დაიკავებდა. ქადაგების ტექსტი დაიბეჭდა და მთელ ქვეყანაში გავრცელდა. მას საჯაროდ კითხულობდნენ და იგი თავისი დროის ყველაზე ცნობილ მოწოდებად იქცა. მისი სათაური კი პურიტანთა ფასეულობების შესაბამისად ძველი აღთქმიდან იყო შერჩეული და მათივე მრწამსის სადარად, დაუნდობლობით იყო აღსავსე. „დაწყევლილი მეროზი," ასე ეწოდებოდა ამ ქადაგებას. „დაწყევლეთ მეროზი, ამბობს ანგელოზი უფლისა, დაწყევლეთ, დაწყევლეთ მისი მკვიდრნი, რადგან არ გამოვიდნენ უფლის საშველად, უფლის საშველად ვაუკაცებთან ერთად! კურთხეულ იყოს დიაცთა შორის იაცელ, ხებერ კენიელის ცოლი...მარცხენა ხელით პალოს დასწვდა, მარჯვენით უროს, მოუქნია სისარას, თავში დაჰკრა, გაუპო, საფეთქლები შეულეწა"(მსაჯულთა, V, 23-26). ძველი აღთქმის ამგვარი დაუნდობლობით აღსავსე მონაკვეთების ციტირებით მარშალი ფაქტობრივად მიუთითებდა, რომ წყევლა-კრულვა დაატყდებოდა ყველას, ვინც ბრძოლას თავს აარიდებდა და ხელებს სისხლში არ გაისვრიდა. ამიტომაც უწოდებდა როიალისტი პარლამენტარი და ისტორიკოსი ედუარდ ჰაიდი, შემდგომში გრაფი კლარენდონი სტივენ მარშალსა და მის მიმდევარ მქადაგებლებს ომის გამჩაღებლებს.

აღნიშნულ სიტუაციაში კრომველი კვლავინდებურად აქტიურად მოქმედებდა. 14 იანვარს, როდესაც მეფემ ლონდონი დატოვა, კრომველის ინიციატივით შეიქმნა საპარლამენტო კომიტეტი, რომელიც ქვეყნის თავდაცვაზე აგებდა პასუხს. აღნიშნული უფლებამოსილება რასაკვირველია ქვეყნის როიალისტების შემოტევისაგან დაცვას გულისხმობდა. მოგვიანებით, როდესაც დაიწყო საპარლამენტო მილიციის(ლაშქრის) ორგანიზება, კრომველმა ამ საქმისათვის 300 გირვანქა სტერლინგი გაიღო და არც მომდევნო ამგვარი ღონისძიებებისათვის დაიშურა ფული. ამ ახალ ჯერზე მან საერთო ჯამში სამგზის შეტანით 2000 გირვანქა სტერლინგი გაიღო, რაც XVII ს. ფულის კურსით ძალზე დიდ თანხას წარმოადგენდა.

გამალებული სამხედრო სამზადისი, რომელსაც ორივე მხარე აწარმოებდა კიდევ უფრო საგანგაშოს ხდიდა სიტუაციას და შიშით ალავსებდა საზოგადოებრივ აზრს. „რა კარგი იქნებოდა, ჩვენს ძვირფას პარლამენტს რომ ზეთისხილის რტო (მშვიდობის სიმბო-

ლო – ივ.მ.), ეპყრას ხელთ. ძალიან ბევრ ადამიანს გვაშინებს შექმნილი მდგომარეობა“- წერდა პარლამენტის დეპუტატს რალფ ვერნის მისი ნათესავი ქალი. „მშვიდობა და თავისუფლება, აი ორი მიზანი, რომლებსაც ჩვენ ამჟამად ვისახავთ. მაგრამ მჯერა, რომ სანამ ჩვენ ასე მშვიდობიანად მოვიქცევით, თავისუფლება არ გველირსება. თავისუფლების გარეშე კი ასეთი მშვიდობაც არ მინდა“- უპასუხა პოლიტიკოსმა თავის ნათესავ ქალს. ეჭვი არ არის, რომ კრომველი ამ მოსაზრებას იზიარებდა. უფრო მეტიც, მისი პოზიცია ძალზე ახლოს უნდა ყოფილიყო იმასთან, რომელზედაც ჯონ მარშალი იდგა. ანუ, ბრძოლისაგან თავის არიდება კრომველისთვისაც უფლის ღალატის ტოლფასი იყო. თუმცა მაინც ძნელია იმის გადაჭრით თქმა, თუ რას ელოდნენ კრომველი და მის პოზიციაზე მყოფი ადამიანები სამოქალაქო ომისგან, თუკი ის დაიწყებოდა.

ამგვარი მიდგომა, ანუ შეიძლება თუ არა შესაბამის დრომდე მოცდა და მერე მოქმედება, სწორედ კრომველის ხედვას და ნებისმიერი საკითხისადმი მის მიდგომას უნდა მივაწეროთ. კრომველი პრაქტიკოსი იყო. აკი უფროსი ვაჟის სწავლის საკითხთან დაკავშირებითაც იგი მიუთითებდა, რომ ცოდნა გადამეტებული არ უნდა ყოფილიყო არც თეორიის და არც პრაქტიკის სფეროში. ეს იმისათვის, რომ ადამიანს ეს ცოდნა შემდეგ სწორად და დანიშნულებისამებრ გამოეყენებინა. თავად კრომველი არ იყო ზოგადი ცნებების და თეორიული მსჯელობის მოყვარული. თეორია მან ღმერთს მიანება, თვითონ კი კონკრეტული საკითხების გადაწყვეტას მიუბრუნდა, რომლებიც დროის მოთხოვნიდან გამომდინარეობდნენ. სწორედ ამგვარმა მიდგომამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა მისი საბოლოო წარმატება. ნებისმიერი ამოცანა, პურიტანული მრწამსის თანახმად ღვთის ნებას წარმოადგენდა და ღვთის მიერ იყო ბოძებული. მისი არშესრულება ურწმუნობის ტოლფასი იყო, ეს უკანასკნელი კი – დაუშვებელი. ამიტომაც შექმნილ კონკრეტულ სიტუაციაში კრომველი მთელ თავის სულიერ და გონებრივ ძალებს კონკრეტული ამოცანის გადაჭრას ახმარდა. იგი გასაკეთებელ საქმეს მთელი თავისი არსებით იყო მინდობილი, ყოველგვარი მერყეობის და ეჭვის გარეშე, რადგანაც სჯეროდა, რომ ღმერთი მას მხოლოდ გამარჯვებას უბოძებდა. სხვანაირად ვერ

მოვუძებნით ახსნას მის სიტყვებს, რომლებსაც იგი თავის მეგობარს, ბარონ ფილიპ უარტონს ეუბნებოდა: „ადამიანი ღმერთის დიად ქმედებებს წინ აღუდგება, თუკი გადამეტებულად დაიწყებს ფიქრს მათი განხორციელების საშუალებებზე.“

როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ 1642 წ. გაზაფხულსა და ზაფხულში კრომველი დაუღალავად იღვწოდა საპარლამენტო ასპარეზზე. მას სხვადახვა კომიტეტი მიმართავდა მთელ რიგ საკითხებზე. თავად იგი იყო უამრავი მიმართვის ავტორი, რომლებსაც თემთა პალატა უგზავნიდა ლორდებს, აქტიურად იყო ჩაბმული მილიციის(მოლაშქრეების) შეკრების და მათი პარლამენტის დაქვემდებარებაში გადაყვანის საქმეში. ის მონაწილეობდა იმ მოლაპარაკებაში, რომელიც მიმდინარეობდა ტაუერის ლეიტენანტთან(კომენდანტთან) ამ ციხე-კოშკის უსაფრთხოების თაობაზე და ლონდონის ლორდ-მერთან, სერ რიჩარდ გერნისთან, რომლის შემრიგებლური პოზიცია პარლამენტისათვის ძირგამომთხრელი საქმიანობის ტოლფასი იყო. აგვისტოში კი მას სხვა ოთხ დეპუტატთან ერთად დაევალა ირლანდიაში ავჯანყების ჩასახშობად გასაგზავნი ჯარისათვის მოხალისეების შეკრება და მათი დანიშნულებისამებრ გაგზავნის უზრუნველყოფა.

კრომველის, როგორც ხანგრძლივი პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატის საქმიანობის ერთ-ერთ შთამბეჭდავ ნაბიჯს წარმოადგენს საუნივერსიტეტო ძვირფასეულობის ხელში ჩაგდება. 1642 წ. გაზაფხულზე როგორც მეფე, ასევე პარლამენტი გამალებით აგროვებდნდნ ჯარის შექმნისათვის საჭირო ფულს და ამისათვის პრაქტიკულად ყველა არსებულ საშუალებას მიმართავდნდნ. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების პოზიციას, კერძოდ მათ როგორც პოლიტიკურ, ასევე ფულად მხარდაჭერას. სწორედ ამიტომ ჩარლზ I 24 ივლისს გაუგზავნა ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების მესვეურებს წერილები, რომლებშიც შენიღბული ფორმით ითხოვდა გადაეცათ მისთვის უნივერსიტეტის სანახებში დაუნჯებული ძვირფასეულობა. მეფის ახსნა-განმარტებით მას მხოლოდ ერთი რამ სურდა, რომ განძი მეამბოხეებს არ ჩავარდნოდა ხელში. თავისი ჯარის შექმნაზე იგი არაფერს ამბობდა. არადა, ეს მართლაც მნიშვნელოვანი ოდენობის ძვირფასეულობა იყო. მაგ. კემ-

ბრიჯის უნივერსიტეტის სენტ ჯონის(წმინდა იოანეს) კოლეჯში ორი ათასი უნცია(1 უნცია=28,349 გრ.) ვერცხლის ჭურჭელი ინახებოდა.

სწორედ ამ მცდელობას აღუდგა წინ პარლამენტის დეპუტატი კემბრიჯშირიდან ოლივერ კრომველი. იგი ჯერ წინადადებით შევიდა პარლამენტში, რათა ორი ასეული მოხალისე და მეთაური ოფიცერი მოეყვანათ მზადყოფნაში, ხოლო მერე კი დროშების ფრიალით და დაფდაფების ცემით თავად დაიძრა კემბრიჯისაკენ, რათა უნივერსიტეტის განძი გადაერჩინა. მას მხარში სიძე, დის ქმარი, ვალენტაინ უოლტონი ამოუდგა. უოლტონმა 200 კაცი შეაგროვა და შესაბამისად აღჭურვა, რათა განძი გადაერჩინათ. და აი სწორედ მაშინ გამოჩნდა რევოლუციებისათვის დამახასიათებელი შიგა დაპირისპირება. რევოლუცია ქვეყანას, ხალხს, ნათესავებს და ოჯახებსაც კი ორად ყოფს, დაპირისპირებულ მხარეებად აქცევს. როდესაც კრომველი და მისი სიძე უოლტონი პარლამენტის საქმის დასაცავად გამოვიდნენ, კრომველის უფროსმა ბიძაშვილმა ჰენრიმ, სერ ოლივერის ვაჟმა 50 შეიარაღებული კაცი გამოიყვანა სწორედ იმავე განძის დასაცავად, ანუ პარლამენტის საწინააღმდეგოდ და შესაბამისად მეფის მხარეზე დადგა. თუმცა ეს ალბათ არც იყო გასაკვირი. მის წინაპრებს ას წელზე მეტი ხნის წინ რაინდის წოდება ხომ სწორედ მეფის ხელისუფლებამ უბოძა?!

კრომველმა დროულად განალაგა თავისი მუშკეტერები (მეთოფეები) ჩრდილოეთის დიდი გზის ყველა მნიშვნელოვან მონაკვეთზე, რითაც პრაქტიკულად ჩაკეტა კემბრიჯისკენ მიმავალი ყველა გზა და ბილიკი. მისმა ოპერატიულობამ შესაბამისი ნაყოფი გამოიღო. ძვირფასეულობა, რომლის ღირებულება ოცი ათას გირვანქა სტერლინგს შეადგენდა კემბრიჯში დარჩა. მეფის მომხრეების, კერძოდ ჰენრი კრომველის მცდელობა ხელში ჩაეგდოთ განძი, მარცხით დამთავრდა. კრომველის მიერ წარმატებით ჩატარებული ოპერაცია პარლამენტმა ჯეროვნად შეაფასა. მან და მისმა მეომრებმა ფულადი გასამრჯელო კი მიიღეს.

პოლიტიკური დაპირისპირების დროს, როდესაც ერთმანეთს ხელისუფლებისათვის მებრძოლი ორი ძალა დაუდგება წინ, სიტუაციის განმუხტვა შეიძლება შემდეგნაირად მოხდეს. ერთ-ერთი მხარე

უკან იხევს და მერე ორივე მეტ-ნაკლებ დათმობაზე მიდის. მაგრამ ამ შემთხვევაში უკან დახევა დამარცხების ტოლფასი იქნებოდა! მეფემ ჯერ მეორედ აკრძალა პარლამენტის მიერ ლაშქრის ჩამოყალიბება, მერე კი თავად შეუდგა თავისი ჯარისათვის მოხალისეების შეკრებას. მეფის მომხრეებმა იარაღის გამოყენების საშუალებით ხელთ იგდეს ქვეყნის ჩრდილოეთში მდებარე მნიშვნელოვანი ნავსადგური და სტრატეგიული პუნქტი ნიუკასლი. მეფე გამალებით აგროვებდა მატერიალურ რესურსებს, რომლებსაც იგი ფულისა და საჩუქრების სახით იღებდა თავადაზნაურობის ერთგული წარმომადგენლებისაგან. ასეთივე გზით მოქმედებდა პარლამენტი, რომელიც გამალებით აგროვებდა შემოწირულობებს. ივლისში პარლამენტმა შექმნა უშიშროების კომიტეტი, რომელსაც ანტისაპარლამენტო ქმედებების აღკვეთა დაეკისრა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პარლამენტის ჯარის შექმნის შესახებ გრაფ ესექსის მეთაურობით. ამრიგად, ინგლისი ფაქტობრივად სამოქალაქო ომის ზღვარზე აღმოჩნდა. ეს ბევრს აკვირვებდა. ვარდების ომი, მისი ბოლო აკორდი, 1485 წ. ბოსვორტის ბრძოლა წარსულს ჩაბარდა და ინგლისელები თითქმის საუკუნენახევარი ქვეყნის შიგნით მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. ამიტომ წერდა სინანულით იმ მოვლენათა თანამედროვე, იორკშირელი სერ ჰენრი სლინგსბი, რომელიც რევოლუციის დროს მეფის მხარეს იბრძოდა, რომ ქვეყანა, რომელიც ამდენ ხანს მშვიდობიანად ცხოვრობდა, ორად გაიყო. „ჩვენ ახლა ერთმანეთს უნდა ვებრძოლოთ, ჩვენი თავი ჩვენს საკუთარ შხამს შევაჭამოთ.“ გაკვირვებას გამოთქვამდა ასევე თავის საპარლამენტო გამოსვლებში ოპოზიციონერი ედმუნდ ლადლოუც. „რა უცნაურია, ჯერ პამფლეტებით, დეკლარაციებით და პროტესტით ვებრძოდით ერთმანეთს და ჩვენდა მოულოდნელად იქამდის მივედით, რომ ჯარისკაცებს ვაგროვებთ და ოფიცრებსა და გენერლებს ვნიშნავთ“ – ამბობდა იგი.

1642 წ. 22 აგვისტოს ჩარლზ I, ტახტის მემკვიდრის, უელსის მთავრის(უფლისწულის) ჩარლზის და თავისი დისწულის, ბოჰემიის მეფის ვაჟის, უფლისწულ რუპერტის თანხლებით ნოტინჰემში სამეფო შტანდარტი აღმართა. ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ იგი ომს უცხადებდა პარლამენტს. და თავისი დროშის ქვეშ უხმობდა სამეფო ხელისუფლე-

ბის მომხრეებს. „ღმერთო, შენ დაიფარე მეფე ჩარლზი და სახრჩობელაზე ჩამოკიდე მრგვალთავიანები!"- გაისმა იქ მყოფთა შეძახილები. ამგვარად, ქვეყანა ორად გაიყო. პარლამენტის უმარავლესობა რევოლუციის მხარეზე აღმოჩნდა. სოციალური თვალსაზრისით ეს თანაფარდობა შემდეგნაირად წარმოჩნდა. მეფის მხარეზე, ე.ი. როიალისტთა ბანაკში აღმოჩნდა დიდგვაროვანთა უმრავლესობა, ახალი თავადაზნაურობის გარკვეული ნაწილი, კათოლიკეები და ანგლიკანური ეკლესიის მომხრეები. პარლამენტს მხარს უჭერდნენ ახალი თავადაზნაურობის უმრავლესობა, ვაჭარ-სოვდაგრები, ხელოსნები, ანგლიკანური ეკლსიის მოწინააღმდეგეები. ამ გაყოფას გარკვული გეოგრაფიული და ეკონომიკური ფონიც ახლდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ რევოლუცია არა მარტო რელიგიურ-პოლიტიკური ინტერესების ჭიდილი იყო, არამედ ეკონომიკური ინტერესების დაჯახებაც. ლონდონი, ეს უდიდესი საფინანსო და სავაჭრო ცენტრი, სამრეწველო წარმოებასა და საგარეო ვაჭრობაში ჩაბმული სამხრეთ-აღმოსავლეთის საგრაფოები პარლამეტნს ამოუდგნენ მხარში. როიალისტურმა ტენდენციებმა კი იქ იმძლავრეს, სადაც ეკონომიკური განვითარება შედარებით მოისუსტებდა, კერძოდ ჩრდილოეთისა და დასავლეთის საგრაფოებში. ამგვარად, პარლამენტის ეკონომიკური პოტენციალი გაცილებით ძლიერი იყო როიალისტურზე. პარლამენტის მხარეზე იყო ლონდონის სიტი თავისი ფინანსებით, ასევე ფლოტი და საპორტო ქალაქები. სოფლის სკვაირებიც(მიწათმფლობელები, ლენდლორდები) კი, რომლებსაც მჭიდრო, საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ ლონდონისა თუ სხვა ქალაქების ვაჭრებთან ან ფინანსისტებთან, პარლამენტის მხარეს იხრებოდნენ. იმავე დროს, მიყრუებული სოფლების მოსახლეობა მეფეს უჭერდა მხარს. ამ დაპირისპირებაში ალბათ მაინც გამოსჭვივის რაღაც განსხვავებული, ინგლისისათვის დამახასიათებელი თავისებურება. ამაზე ცნობილ გერმანელ ისტორიკოსზე, ლეოპოლდ ფონ რანკეზე დაყრდნობით მიანიშნებს სერ უინსტონ ჩერჩილი. იგი ამბობს, რომ ეს დაპირისპირება არ უნდა განვიხილოთ როგორც თვითმპყრობელობის და წარმომადგენლობითი მმართველობის ფორმების შეურიგებელი შეტაკება. ორივე მხრიდან საკითხი შემდეგნაირად იყო დაყენებული: ერთნი ამბობდნენ – პარლამენტი

მაგრამ მეფითურთ, მეორენი კი მოითხოვდნენ მეფეს, თუმცა კი პარლამენტის თანხლებით. მაგრამ მოსახლეობისათვის არც ნეიტრალური პოზიცია იყო უცხო. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ცდილობდნენ განზე დამდგარიყვნენ მიმდინარე მოვლენებისაგან. „ჭირმა წაგიღოთ ორივე!“- ასე მიმართვდნენ ისინი დაპირისპირებული მხარეების წარმომადგენლებს.

ამგვარ, კლასობრივ-პარტიულ, ერთის შეხედვით თითქოსდა კანონზომიერ დაყოფასთან ერთად რევოლუციამ მოიტანა სხვა, სოციალური დაპირისპირებისათვის მანამდე უცნობი გახლეჩა, უთანხმოება უახლოეს ადამიანთა შორის, რომელსაც საფუძვლად ედო იდეურ-პოლიტიკური მრწამსის, ან თუნდაც სიმპათიების განსხვავება. ეს მომენტი კი მოვლენათა მსვლელობას მანამდე არნახულ ტრაგიზმს მატებდა. ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ გუშინდელი მეგობრები, ნათესავები, ოჯახის წევრებიც კი. ჩვენ უკვე ვახსენეთ ოლივერ კრომველის და მისი უფროსი ბიძაშვილის, ჰენრი კრომველის განსხვავებული პოზიცია და მოქმედება კემბრიჯის უნივერსიტეტის ძვირფასეულობასთან დაკავშირებით. ამ გახლეჩის კიდევ უფრო ტრაგიკულ მაგალითს წარმოადგენს მეფის მედროშის, სერ ედმუნდ ვერნის ოჯახის ისტორია. ოჯახი, რომლის რევოლუციამდელი დღიურები ტრადიციული, იდილიური ყოფის სურათებს ასახავენ, სამოქალაქო ომის დასწებიდანვე ორად გაიხლიჩა. მეფის მედროშე, სერ ედმუნდი, თავის მონარქისა და მოვალეობის ერთგული დარჩა. მას მხარში უფროსი ვაჟი ამოუდგა. მაგრამ შუათანა და უმცროსმა ვაჟებმა პარლამენტის მხარე დაიჭირეს. და ამ ტრაგიკულ სიტუაციას ყველაზე უკეთ ალბათ თავად ოჯახის თავის, სერ ედმუნდის სიტყვები ასახავს. „მე ვიცი, – თქვა მან, რომ ჩემი შვილები, რომლებიც პარლამენტს მიემხრნენ, სამართლიანი საქმისთვის იბრძვიან. მაგრამ მე ოცდაათი წელი მეფის დროშის ქვეშ ვდგევარ და ოცდაათი წელია მეფის ლუკმით ვსაზრდოობ. განა შემიძლია მე ახლა ჩემი მრწამსი და პოზიცია შევიცვალო?!“ და ძველი მედროშეც ბოლომდე თავისი მრწამსის ერთგული დარჩა. იგი მეფის მხარეზე იბრძოდა და ევჯჰილთან ბრძოლაში დაიღუპა. ამრიგად, ინგლისში დაიწყო ხანგრძლივი სამოქალაქო ომი. ანუ ინგლისის ისტორიის და თავად ოლივერ კრომველის

ცხოვრების ის მონაკვეთი, რომლიდანაც და რომლის მეშვეობითაც დაიწყო ამ უკანასკნელის არნახული აღზევება. „მთვლემარე დავითმა“ საბოლოოდ გამოიღვიძა და რაც მთავარია, შურდული მოიმარჯვა. ექიმ მაიერნის მიერ აღწერილი მელანქოლიური, ჭმუნვით აღსავსე პიროვნება წარსულს ჩაბარდა. მისი ადგილი მტკიცე და უდრეკი ხასიათის მეომარმა დაიკავა.

როგორ შესძლებდა ეს ხალხი, რომელიც როგორც უკვე ამბობდა სერ ჰენრი სლინგსბი, ესოდენ დიდხანს ცხოვრობდა მშვიდობიან გარემოში, საომარი მოქმედებების წაყვანას? ინგლისს, ევროპის კონტინენტის ქვეყნებისაგან განსხვავებით, ასწლიანი ომის შემდეგ მონაწილეობა არ მიუღია ფართომასშტაბიან ომში. რას წარმოადგენდა XVII ს. შუა ხანების ინგლისი სამხედრო თეორიისა და პრაქტიკული სამხედრო უნარ-ჩვევების თვალსაზრისით? აღნიშნულ პერიოდში, კერძოდ რევოლუციის დასაწყისისათვის ინგლისში არ არსებობდა მუდმივი ჯარი. ერთადერთი მუდმივი სამხედრო შენაერთი, რომელიც მეტ-ნაკლებად ესადაგებოდა რეგულარული ჯარის მოთხოვნებს იყო მეფის პირადი გვარდია და შეიარაღებული რაზმები, რომლებიც ციხე-სიმაგრეებში იყვნენ განლაგებული. რაც შეეხება ირლანდიაში ჩასატარებელ სამხედრო ლაშქრობებს და შოტლანდიელების წინააღმდეგ წარმართუ;ლ სამხედრო მოქმედებებს, ან ომის კონტინენტზე წარმოებას, აქ მეფე კონკრეტული საჭიროებისათვის ჯარს აგროვებდა. ამისათვის მას პარლამენტის თანხმობა სჭირდებოდა, რომელსაც ამ ჯარის შესანახი ხარჯები უნდა გაეღო შესაბამისი გადასახადების შემოღების მეშვეობით. რაც შეეხება ქვეყნის დაცვას, ამისათვის გამოიყენებოდა მილიცია(ლაშქარი). მოლაშქრეების შეკრება ევალებოდა ლორდ-ლეიტენანტებს(საგრაფოებში დანიშნულ მეფისნაცვლებს) და მათ მოადგილეებს. მოლაშქრეები თვეში ერთხელ გადიოდნენ წვრთნას შუბისა და თოფის ხმარების საქმეში. უნდა ითქვას, რომ მათი საბრძოლო თვისებები, ლონდონის ლაშქრის გარდა, ერთობ დაბალი იყო.

XVII ს. 30-40-იან წლებში ინგლისში გავრცელდა შვედური სამხედრო ჟურნალები, რომლებიც შეიცავდნენ ვრცელ ინფორმაციას იმ დროის ცნობილი სარდლის, შვეციის მეფის გუსტავ-ადოლფის

სამხედრო კამპანიების შესახებ. გუსტავ-ადოლფის მიერ შემოტანილი სიახლეების წყალობით დაინერგა ბრძოლის ახალი ტაქტიკა, პირველ რიგში ცხენოსან ჯარში, კავალერიაში. ადრე 5-8 რიგად ჩამწკრივებული ცხენოსნები მასირებული წყობით უტევდნენ ერთმანეთს და ნაკლებად მოძრავი და მოქნილები იყვნენ. გუსტავ-ადოლფის სიახლეების წყალობით ცხენოსნები სამ რიგად იყვნენ განლაგებულები, შუალედებში იდგა ქვეითი ჯარი და მსუბუქი საველე ზარბაზნები. ამგვარი განლაგება ჯარს უფრო მოძრავს ხდიდა. მაგრამ ინგლისურ ლაშქარში ეს სიახლეები ძნელად ინერგებოდა. ქვეითები, გლეხობა(ფერმერები), გულგრილად ეკიდებოდა მათ და უფრო მეტიც, სრულიად უხალისოდ მოქმედებდა მშობლიური ოლქის გარეთ, თუკი ასეთი შემთხვევა შეიქმნებოდა. ასე რომ, გუსტავ-ადოლფის მიერ შემოტანილი სამხედრო სიახლეები ვერ აქცევდნენ ინგლისელებს დახელოვნებულ მეომრებად. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საბრძოლო მოქმედებებში დახელოვნების საქმეში გაცილებით მეტი სარგებელი მოაქვს ბრძოლაში უშუალო მონაწილეობას, ვიდრე თეორიულ (თუნდაც ხანგრძლივ) მომზადებას.

რიგითი მეომრების ფონზე სამეთაურო შემადგენლობა შედარებით უკეთ გამოიყურებოდა. სამოქალაქო ომის დაწყებისათვის პარლამენტის და მეფის ჯარების ზოგიერთი მეთაური, მაგ. შესაბამისად სერ თომას ფერფაქსი და ჯორჯ მონკი ჰოლანდიის ჯარის შემადგენლობაში მონაწილეობდნენ კონტინენტზე გამართულ საომარ მოქმედებებში, რომლებიც 30-წლიანი ომის ფრონტებზე მიმდინარეობდა. ინგლისელ მეთაურებზე შედარებით უკეთ გამოიყურებოდნენ შოტლანდიელი ოფიცრები, რომლებიც ლამის მუმივად მონაწილეობდნენ კონტინენტზე წარმოებულ საომარ მოქმედებებში, რაც მათ მდიდარ სამხედრო გამოცდილებას სძენდა. ინგლისში კი თავადაზნაურობა, იმ დროის ჯარის სამეთაურო შემადგენლობის წამყვანი ძალა, კონტინენტის დიდგვაროვნებისგან განსხვავებით პრაქტიკულად მოკლებული იყო ასეთი გამოცდილების შეძენის შესაძლებლობებს და თანდათანობით სამოქალაქო თვისებებს იძენდა. ასეთ პირობებში ინგლისური საბრძოლო შენაერთების მეთაურები მთავარ იმედს არა ქვეითებზე, არამედ ცხენოსნებზე ამყარებდნენ. XVII ს. ინგლისური კავალერია

ორგანიზაციული თვალსაზრისით მცირე ქვედანაყოფებისგან შედგებოდა. თითეულ ქვედანაყოფში 30-100 ცხენოსანი იყო, რომლებსაც სათავეში კაპიტანი ედგა. მცირე ერთეულები თავის მხრივ უფრო დიდ გაერთიანებას ქმნიდნენ, რომელიც ექვს ასეთ ქვედანაყოფს ითვლიდა და მას პოლკოვნიკი მეთაურობდა. აღნიშნული დროისათვის არსებობდა ცხენოსნების რამდენიმე სახეობა: კირასირები – მძიმედ შეიარაღებული ცხენოსნები, არკებუზირები – არკებუზით, თოფის წინამორბედი ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ცხენოსნები და დრაგუნები – ცხენოსნები, რომლებიც როგორც ცხენებზე ამხედრებული, ასევე ქვეითადაც იბრძოდნენ. როგორი იყო ამ ზოგადი სიტუაციის ფონზე ინგლისის სამოქალაქო ომში დაპირისპირებული მხარეების სამხედრო-საბრძოლო უნარ-ჩვევები და ოსტატობა?

მატერიალური რესურსებისაგან განსხვავებით სამხედრო პოტენციალში ვითარება საპირისპირო იყო. მეფის არმია დიდგვაროვანთა წრეების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. საუკუნეების მანძილზე ომი და სამხედრო საქმე თავადაზნაურობის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა. საომარი უნარ-ჩვევები, რიხი, საკუთარი უპირატესობის რწმენა, ყველაფერი ეს არისტოკრატებს სისხლში ჰქონდათ გამჯდარი, რაც მეფის ჯარს მნიშვნელოვან უპირატესობას სძენდა. მეფის მომხრე თავადაზნაურობამ, რომლიც იმ დროის მოდის შესაბამისად კოხტად და პეწიანად იცვამდა და ეფექტურ, კულულებიან ვარცხნილობას ატარებდა, როგორც უკვე ითქვა ადრე, კავალერების მეტსახელი დაიმსახურა.

სულ სხვა მდგომარეობა იყო პარლამენტის ჯარში. დიდგვაროვნებისაგან განსხვავებით, ვაჭარ-ხელოსნებსა და გლეხებს არ გააჩნდათ შთამომავლობით თანდაყოლილი სამხედრო უნარ-ჩვევები. საგრაფოს მოხალისეთა რაზმები უხალისოდ ტოვებდნენ მშობლიური საგრაფოს ტერიტორიას. მეფის ჯარისაგან განსხვავებით პარლამენტს პრაქტიკულად არ ყავდა გაწვრთნილი ცხენოსანი ჯარი. არც აღჭურვილობა ჰქონდა მეფის ჯარზე უკეთესი. განსხვავება იყო სარდლობის დონეშიც. მეფის ჯარს სარდლობდნენ მისი დისწულები, რუპერტი და მორისი, რომლებიც მამაცი და დახელოვნებული სარდლები იყვნენ. მათგან განსხვავებით პარლამენტის ჯარის მთავარსარდალი გრაფი

ესექსი მერყევი ადამიანი იყო და არც სამხედრო ნიჭითა და უნარით გამოირჩეოდა. მთლიანობაში მეფის ჯარს და მის სარდლობას უფრო მკაფიოდ ჰქონდათ გაცნობიერებული თავისი მიზანი, ვიდრე პარლამენტის ჯარს და მის მეთაურებს. მეფის მომხრეები მეამბოხეთა და უგვაროთა დასჯასა და ჭკუის სწავლებას ისახავდნენ მიზნად, რაც პარლამენტის ჯარის დამარცხება-განადგურების მეშვეობით უნდა მომხდარიყო.

როიალისტებისაგან განსხვავებით პარლამენტის ბანაკში არ სუფევდა ეთრსულოვნება. პარლამენტი და მისი მომხრეები, რომლებსაც როგორც უკვე ავღნიშნეთ, მათი მოკლედშეკრეჭილი თმების გამო(რაც პურიტანული სისადავით იყო განპირობებული), მრგვალთავიანებს უწოდებდნენ, ფაქტობრივად ორად იყვნენ გაყოფილი. პრესბითერიანები, რომლებიც ახალი თავადაზნაურობის ზედა ფენის, შეძლებული ვაჭრებისა და ფინანსისტების ინტერესებს გამოხატავდნენ, ჯარის სარდლობაში სჭარბობდნენ. ისინი აქტიური საომარი მოქმედებების მოწინააღმდეგეები იყვნენ და ისწრაფოდნენ მეფესთან ურთიერთობა უფრო მოლაპარაკებით, ვიდრე ომის მეშვეობით მოეგვარებინათ. ჯარის უფრო რადიკალურ ფრთას ინდეპენდენტები წარმოადგენდნენ. ისინი შოტლანდიისაგან დამოუკიდებელი ეკლესიის მომხრეები იყვნენ. გამოხატავდნენ რა საშუალო შეძლების ახალი თავადაზნაურობის მნიშვნელოვანი ნაწილის, წვრილ ვაჭარ-ხელოსანთა და გლეხობის ინტერესებს, ინდეპენდენტები წარმატების საწინდრად და მეფის აბსოლუტიზმის ასალაგმავად როიალისტების ჯარის სრულ განადგურებას მიიჩნევდნენ. თუკი პრესბითერიანები სარდლობაში სჭარბობდნენ, რიგით ჯარისკათა და უმცროს ოფიცრებს შორის ინდეპენდენტები იყვნენ დიდი რაოდენობით.

სწორედ ამგვარი ჩამოუყალიბებელი, სისტემურობას მოკლებული ტაქტიკურ-სტრატეგიული პრინციპების გამო სამოქალაქო ომის საწყის ეტაპზე საბრძოლო მოქმედებები გარკვეულწილად ქაოსურად მიმდინარეობდა. მებრძოლი მხარეები მაინც და მაინც თავს არ იწუხებდნენ იმით, რომ გამოეცნოთ მოწინააღმდეგის სვლები ან თვალყური ედევნათ მისი მოძრაობისათვის. მხედველობაში მისაღებია რუკის ფაქტორიც. რუკა და მასთან მუშაობა შეიძლება ითქვას პირ-

ველ ნაბიჯებს ადგამდა. იმ დროისთვის არსებობდა ცალკეული რეგიონის რუკები, რომლებიც ამსტერდამში გამოსცეს. მაგრამ მთელი ქვეყნის რუკა მხოლოდ 1648 წ. გამოიცა. ადგილობრივი კამპანიების დროს კი სარგებლობდნენ რუკებისმაგვარი ნახატებით. ამიტომაც სამხედრო კამპანია აღსავსე იყო უცნაური და გაუთვალისწინებელი სვლებით. მაგ. გრაფი ესექსი სრულიად მოულოდნელად გადაეყარა როიალისტების შენაერთს, რომელსაც თავად მეფე მეთაურობდა, როიალისტი ჰოპტონი – პარლამენტის მეთაურს უოლერს, ხოლო მოგვიანებით კვალვ მეფე მოულოდნელად აღმოჩნდა პარლამენტის რაზმის წინ, სერ თომას ფერფაქსის მეთაურობით.

დაპირისპირებული მხარეების სამხედრო ხელოვნების ეს ხარვეზები ნათლად გამოჩნდა სამოქალაქო ომის პირველსავე ბრძოლაში, რომელიც 1642 წ. 28 სექტემბერს გაიმართა ჰოუკ-ბრიჯთან, ვუსტერის მახლობლად. მეფის ჯარს ამ ბრძოლაში მეთაურობდა მისი დისწული, უფლისწული რუპერტი, ხოლო პარლამენტისას – პოლკოვნიკი ნატანიელ ფაიენსი. ტრადიციულად ფიცხი, ამაყი, მამაცი და თავგანწირული, ყველასა და ყველაფრის უგულებელმყოფი კავალერები, რისი განსახიერება თავად უფლისწული რუპერტი იყო, დაუპირისპირდნენ ფრთხილ, ყველაფრის ამწონ-დამწონ მრგვალთავიანებს. რუპერტი და საერთოდ, კავალერები, იმდენად იყვნენ დარწმუნებულები გამარჯვებაში, რომ გუშაგებიც კი არ დააყენეს თავისი ბანაკის მისადგომებთან, რათა დროულად გაეგოთ მტრის მიახლოება. სწორედ ამიტომ როიალისტებისათვის სრულიად მოულოდნელად მრგვალთავიანები მათი ბანაკის წინ აღმოჩნდნენ. მაგრამ ვერც პოლკოვნიკმა ფაიენსმა „ივარგა“. ამ „სიურპრიზმა“ იგი თავად დააბნია. მას რომ ჯეროვანი სამხედრო გამოცდილება და უნარი ჰქონოდა, იგი მაშინვე შეუტევდა როიალისტებს და გაანადგურებდა მათ. მაგრამ დაბნეულმა ფაიენსმა ვერ მიიღო სწორი გადაწყვეტილება და ფაქტობრივად ხელიდან გაუშვა ეს ხელსაყრელი შემთხვევა. შეცდომა მას ძვირად დაუჯდა. რუპერტმა სწრაფად გაიაზრა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო და სანამ კავალერები ცხენებზე ამხედრდებოდნენ, იგი თავისი უმცროსი ძმის მორისის და თავისი ამალის თანხლებით ეკვეთა მტერს. ამ გრიგალისებრმა დარტყმამ დეზორგანიზაცია შეიტანა პარ-

ლამენტის ჯარის რიგებში. ამას დაემატა როიალისტების ჯარის ძირითადი ნაწილის შეტევა, რასაც მრგვალთავიანების სრული დამარცხება მოყვა. პარლამენტის ჯარის ნარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს. მათი უკანმოუხედავი სრბოლა იმდენად პანიკური იყო, რომ როდესაც ისინი პარლმენტის ჯარის მთავარსარდლის, გრაფ ესექსის მოწინავე რაზმს გადაეყარნენ, ეს უკანასკნელიც ისეთმა შიშმა მოიცვა, რომ მანაც გაქცევით მიაშურა თავის მთავარ ძალებს.

ჰოუკ-ბრიჯთან ბრძოლას ეჯჰილთან ბრძოლა მოყვა, რომელიც 1642 წ. 23 ოქტომბერს გაიმართა. თუკი პირველი მებრძოლი მხარეების მეწინავე რაზმების შეტაკება იყო, ეჯჰილთან მეფისა და პარლამენტის ძირითადი ძალები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მეფის ჯარს კვლავ მისი დისწული, უფლისწული რუპერტი სარდლობდა, პარლამენტისას – გრაფი ესექსი. თუკი პირველი კავალერთა საქმესა და მრწამსს განსახიერებდა, მეორე – ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის, მაკოლის თქმით თუმცა კი პატიოსანი ადამიანი იყო, მაგრამ როგორც იტყვიან, თავი არ ჰქონდა გადადებული პარლამენტის საქმისათვის. და რაც მთავარია, მას არა მარტო გამანდგურებელი დამარცხების, არამედ უფრო მეტად თავისივე შესაძლებელი ბრწყინვალე გამარჯვების ეშინოდა. ამ გაუბედავმა ადამიანმა, რომელსაც არც შესაბამისი სამხედრო ნიჭი გააჩნდა, ვერაფერი დაუპირისპირა უფლისწულ რუპერტის ცხენოსანი ჯარის გრიგალისებრ შეტევას. პარლამენტის ჯარი დამარცხდა და იორკისკენ დაიხია. მალე მეფემ ოქსფორდი ჩაიგდო ხელში, რომელიც მის შტაბ-ბინად და ფაქტობრივ სატახტო ქალაქად იქცა.

ეჯჰილთან დამარცხებამ, სწორედ დამარცხებამ, გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია პარლამენტის ჯარის და საერთოდ, სამოქალაქო ომის შემდგომი განვითარების და მით უფრო მისი საბოლოო შედეგის საქმეში. ამ დამარცხებამ აჩვენა და გააცნობიერებინა პარლამენტის ჯარში მყოფ ყველაზე სალად მოაზროვნე ადამიანს, რომ მათ შეიარაღებულ ძალებში ძირეული ცვლილებები იყო შესატანი. თანაც ეს ცვლილებები არავითარ შემთხვევაში არ უნდა შემოფარგლულიყო ცივი თუ ცეცხლსასროლი იარაღის ხმარების საქმეში დაოსტატებით. საქმე ეხებოდა თავად რევოლუციის იდეას, იმ საქმეს, რისთვისაც

დაიწყო სამოქალაქო ომი. აქ ბევრის თქმა შეიძლება, თუ ვინ ან რა უპირისპირდებოდა ერთმანეთს. ფეოდალიზმი – კაპიტალიზმს, ძველი არისტოკრატია – ახალ თავადაზნაურობას, მეფე – პარლამენტს. რასაკვირველია, ეს ზოგადი მომენტები, როგორც რევოლუციური პროცესის მთავარი მახასიათებლები ყოველთვის გასათვალისწინებლებია. მაგრამ როდესაც ერთმანთს ორი ჯარი უპირისპირდება, მაშინ მთავარი მოწოდებაა, ანუ ის, თუ რისკენ მოუწოდებენ მათ მთავარსარდლები. როდესაც ასობით და ათასობით ადამიანს მეთაური(მთავარსარდალი) მოუწოდებს თავგანწირვისაკენ, პირველ რიგში სწორედ ამ უკანასკნელს უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული ამ მოწოდების საფუძვლიანობა და ფასეულობა. სხვანაირად ის ან ფუყე, არაფრისმთქმელი ლოზუნგი იქნება, რომელსაც არავინ აყვება, ან ბარბაროსული სისასტიკე, რომელიც ადამიანებს აიძულებს ამ ფუყე მოწოდებას შეაკლან თავი. და ეს სალად მოაზროვნე ადამიანი იყო ეჯჰილის ბრძოლის მონაწილე, ცხენოსანთა 67-ე ესკადრონის კაპიტანი ოლივერ კრომველი. მრავალი წლის შემდეგ, როცა კრომველი უკვე დიდების ზენიტში იყო, მისმა ერთმა ძველმა თანამებრძოლმა, ჯონ ტორომ უთხრა: „შენ ცდილობდი ჩვენთან ერთად, ჩვენს გვერდში დადგომას, რათა სახარების ქადაგების თავისუფლება და ამ მიწის ადათ-წესები დაგეცვა.“ ბრძოლა თავისუფლებისათვის, სამართლიანობისათვის, უკეთესი მომავლისათვის,რელიგიური ფასეულობების მეშვეობით იყო გაცნობიერებული. ალბათ სწორედ ამ ცნებების მეშვეობით შეიძლებოდა და შეიძლება ადამიანების ყველაზე ზოგადი მიზნებისათვის საბრძოლველად დარაზმვა. და ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რელიგია ხომ ის სფეროა, რომელზედაც ჰეგელი ამბობს, რომ მისი მეშვეობით ადამიანები გამოხატავენ იმას, თუ რა მიაჩნიათ მათ ყველაზე უფრო ჭეშმარიტად. სწორედ ბრძოლის მიზნის, როგორც საბრძოლო მოქმედების მთავარი დასაყრდენის გაცნობიერება მათ მიერ, ვინც იბრძოდა პარლამენტის ჯარში, დაისახა მიზნად კრომველმა. ეჯჰილთან დამარცხებამ დაანახა მას, რომ ბრძოლის ველზე ერთმანეთს არა მხოლოდ დაშნა, მუშკეტი და ზარბაზანი უპირისპირდებოდა ერთმანეთს, არამედ რწმენა, იდეები, რომელთა მატარებლები კონკრეტული ადამიანები იყვნენ. სწორედ მათი სულიერი შემართება, ლტოლვა და

თავდადება იმ საქმისათვის, რომლისთვისაც ისინი იბრძოდნენ და არა მხოლოდ დაშნის ან მუშკეტის ხმარების ოსტატობა წარმოადგენდნენ გადამწყვეტ ფაქტორს გამარჯვების მოპოვების საქმეში. და მან ეს დაუფარავად უთხრა პარლამენტის ჯარის მეთაურებს ეჯჰილთან დამარცხების შემდეგ. „თქვენი ჯარი შედგება გახრწნილი და უვარგისი ხელზე მოახლე ბიჭებისა და მიკიტნებისაგან, ხოლო მათი(კრომველი როიალისტებს გულისხმობდა – ივ.მ.), ჯენტელმენებისაგან და მათი ვაჟებისაგან, ადამიანებისაგან, რომლებიც პიროვნული ღირსებით არიან აღსავსე. როგორ ფიქრობთ, ამ თქვენი ბრბოს სულისკვეთება შესძლებს დაუპირისპირდეს ჯენტელმენებს, რომლებსაც ღირსება, სიმამაცე და სულის სიმტკიცე ამოძრავებთ?“ – უთხრა კრომველმა ჯონ ჰემპდენს.

სწორედ იდეოლოგიური მომენტის გაცნობიერება და მისი ბრძოლაში წარმატების ქვაკუთხედად ქცევა არის კრომველის აზროვნების მასშტაბურობის უპირობო დასტური. რევოლუცია ხომ მოწინააღმდეგე ბანაკების იდეებისა და მრწამსის დაჯახება იყო?! მაგრამ თვითეულ ბანაკში მრწამსი სხვადასხვანაირად იყო გაცნობიერებული. მეფის ბანაკი, კავალერები, ურყევად იყვნენ დარწმუნებული თავისი საქმის სიმართლეში. მათთვის ყველაფერი ნათელი იყო. მეფე ღვთის მიერ იყო მირონცხებული და მისი ბატონობა ღვთის ნების გამოხატულება იყო, სამეფო ტახტის დაცვა კი – ღვთის ნების დაცვის ტოლფასი. რას დაუპირისპირებდა ამას პარლამენტი? ერთობ ზოგად იდეას საპარლამენტო ტრადიციების და უფლებების დაცვის შესახებ, რომლებიც თავის დროზე თავად მეფის მიერ იყვნენ ბოძებული. ტახტს გვერდში ედგა ხალხი, რომელთა შეგნება აღსავსე იყო საკუთარი გვარის, წარმოშობის და ღირსების უპირატესობით, რისთვისაც ისინი სიცოცხლესაც კი არ დაიშურებდნენ, როგორც ამას ერთ-ერთ თავის ლექსში იმ მოვლენთა თანამედროვე, კავალერი-პოეტი რიჩარდ ლავლისი წერდა. რას დაუპირისპირებდნენ ასეთ ცნობიერებას პარლამენტის ჯარში შეკრებილი ვაჭრები, ხელოსნები, შეგირდები თუ გლეხები? ამ ორი ბანაკის შეტაკებაში პიროვნული და სოციალური ღირსების ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ეჯჰილის ბრძოლამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი დაანა-

ხა კრომველს. ეს იყო სამხედრო ტაქტიკა. მეფის არმიის სარდალი, უფლისწული რუპერტი, ბრწყინვალე კავალერი, მამაცი და თავზეხელაღებული მეომარი, გრიგალივით დაატყდებოდა მტერს. ეს იყო ფუტკრის მწარე კბენა, მისი მწარე ნესტარის ჩასობა, მაგრამ ერთადერთი. მის ჯარს არ ჰქონდა უნარი გადაჯგუფებულიყო და ახალი შეტევა წამოეწყო. უფრო მეტიც, ასეთი გრიგალისებრი, გამანადგურებელი შეტევის შემდეგ რუპერტის ცხენოსნები მოწინააღმდეგის აღალის ძარცვას იწყებდნენ და თავად იქცეოდნენ არაორგანიზებულ ბრბოდ.

ყველაფერ აქედან გამომდინარე კრომველმა მტკიცე, უდრეკი ხასიათის ადამიანებზე აიღო გეზი. იმათზე, ვინც არც მტრის წინაშე შედრკებოდა და საჭიროების შემთხვევაში თავისი რკინის ნებისყოფით საკუთარ თავსაც მოთოკავდა და არ მისცემდა მერყეობის უფლებას. „თქვენ მაღალი სულიერების, მადლმოსხმული ადამიანები გჭირდებათ – უთხრა მან ჰემპდენს. მათ უნდა შესწევდეთ ძალა იგივე მოიმოქმედონ, რისი ძალა და უნარი ჯენტელმენებს აქვთ. სხვანაირად თქვენ კვლავ დამარცხდებით.“ ჰემპდენი დაეთანხმა კრომველს, მაგრამ იქვე დასძინა, რომ მისი, კრომველის მოსაზრება სრულიად განუხორციელებელი იყო იმ დროსა და იმ პირობებში. გავიდა დრო და ყველასათვის მოულოდნელად კრომველის სიტყვებმა ხორცი შეისხა. ისტორიამ დაამტკიცა მისი პოზიციის და საკითხის ხედვის სისწორე. რა იყო ეს? სიბრძნე, ზეშთაგონება? ალბათ სწორედ იმაში მდგომარეობს პიროვნების სიდიადე, რომ გაუგოს დროის მოთხოვნას და შესაბამისი ნაბიჯი გადადგას. სწორედ ისეთი, რომელსაც სხვა ვერ ხედავს და ვერც გადაგამს!

თავისი ამგვარი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი და მის ხედვა კრომველმა ცალსახად წარმოაჩინა ერთ-ერთ შეხვედრაზე, როდესაც ჰანტინგდონში მოხალისეებს აგროვებდა. „მე არ დაგაბნევთ და არც მოგატყუებთ სხვადასხვა გამონათქვამით. პირდაპირ გეტყვით. მეფე რომ ჩემს წინ აღმოჩნდეს მტრის რიგებში, მე მას ისევე დავახლი დამბაჩას, როგორც ნებისმიერ სხვა პირს. ვისაც სინდისი ამის საშუალებას არ აძლევს და ამის თავი არა აქვს მე ვურჩევ, ნუ შემოვა ჩემს რაზმში, ნუ დადგება ჩემს ხელქვეით“ – უთხრა მან იქ შეკრებილ

ხალხს. რა არის ეს? ადამიანისათვის დამახასიათებელი დაუნდობლობა თუ სულის თავისუფლება, რომლისთვისაც არ არსებობს ნებისმიერი ზღვარი, მით უფრო, როცა იგი დარწმუნებულია, რომ თავად არის მომაკვდინებელი ლახვარი, რომელიც ღმერთს უპყრია ხელთ? მით უფრო, რომ ეს იყო პურიტანთა, ძველი აღთქმის დაუნდობელი ღმერთი, რომელიც უმოწყალოდ ავლებდა მუსრს ურწმუნოებსა და წარმართებს. როგორც ჩანს, სწორედ ამ მომენტის გაცნობიერება სძენდა კრომველს იმ არნახულად მძლავრ მუხტს, რომლის წყალობითაც მას შესწევდა ძალა მის წინაშე მდგარი ხილული თუ უხილავი ზღუდე გადაელახა. ალბათ სწორედ ასეთ ჟინსა და სიმტკიცეს იყო მოკლებული პარლამენტის ჯარის მთავარსარდალი გრაფი ესექსი. ტერნჰამ გრინთან 1642 წ. ნოემბერში გამართულ ბრძოლაში მან შეაჩერა მეფის ჯარის მოძრაობა ლონდონისაკენ. ესექსს ყველა საშუალება ჰქონდა იმისთვის, რომ განევითარებინა მიღწეული წარმატება და საერთოდ, გაენადგურებინა მტერი. მაგრამ მან უბრალოდ ვერ გაბედა ამის გაკეთება! როგორც იმ მოვლენათა თანამედროვე, ცნობილი იურისტი, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე ბალსტროდ უაითლოკი წერდა და თანაც გარკვეულწილად ირონიულადაც, პარლამენტისთვის მეფის უკან დახევა საკმარისად უსაფრთხო და საპატიო მოვლენას წარმოადგენდა. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ომში სანახევრო ქმედებებით გამარჯვება ვერ მიიღწევა.

ეჯჰილთან ბრძოლის შემდეგ კრომველი ლონდონში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება საპარლამენტო საქმიანობაში. სხვადასხვა სახის საკომიტეტო სამუშაოსთან ერთად კრომველი შეუდგა ალბათ თავისი ცხოვრების მაშინდელი პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი საპარლამენტო დავალების შესრულებას. ეს იყო აღმოსავლეთის და მიდლენდის საგრაფოების ასოციაციების(საპარლამენტო გაერთიანებების) შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება. იგი შეიყვანეს ჰანტინგდონშირის და კემბრიჯშირის იმ კომიტეტებში, რომლებიც ჩაატარებდნენ ომისათვის გაწეული ფულადი დახმარების ყოველკვირეულ შემოწმებას. კრომველის ენერგიული ქმედებები ლამის გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა. ეს განსაკუთრებით თვალნათლივ მოსჩანდა მაშინ, როდესაც პარლამენტის სხვა დეპუტატები

ჭმუნვისა და გაუბედაობის ტყვეობაში იმყოფებოდნენ. მაგ. როდესაც კრომველი თავისი შენაერთით კემბრიჯშირში ბრუნდებოდა, გზად, ჰერფორდშირში მან დააპატიმრა ადგილობრივი შერიფი, რომელიც პარლამენტის ჯარის მთავარსარდალს გრაფ ესექსს და მის დაახლოებულ პირებს საჯაროდ მოღალატეებს უწოდებდა. შერიფის მომხრეთა წინააღმდეგობის მიუხედავად, კრომველმა იგი ბადრაგით ლონდონში ჩაიყვანა. კრომველმა არც თავისი ძველი მეტოქე, ჰანტინგდონელი იურიდიული მრჩეველი რობერტ ბარნარდი დაივიწყა. ბარნარდი იმ დროს მიდლენდის საგრაფოების შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა, მაგრამ ხმები დადიოდა, რომ სინამდვილეში მას თვალი სამეფო კარისკენ ეჭირა. როდესაც ბარნარდმა ამ ბრალდების გაპროტესტება სცადა, კრომველმა მშვიდი და გარკვეულწილად მუქარის ტონით გამოთქმული საპასუხო არგუმენტებით გააქარწყლა მისი პროტესტი. „დიახაც, რომ ჩემი ლეიტენანტი და ჯარისკაცები მივიდნენ თქვენს სახლში. ეს იმიტომ, რომ თქვენ ერთობ აქტიურად აკრიტიკებთ პარლამენტის პოლიტიკას. ეს კი საფრთხეს უქმნის როგორც საგრაფოს, ასევე სამეფოს მშვიდობას. ასე რომ, სერ, სჯობს დაუფიქრდეთ თქვენს ნათქვამს. თქვენმა ეშმაკობამ არ შეგაცდინოთ. პატიოსნება კი არასოდეს გიღალატებთ“- უთხრა მან ბარნარდს.

მაგრამ კრომველის ასეთი აქტიური საქმიანობა მიმდინარეობდა პარლამენტისათვის საკმაოდ არასახარბიელო მოვლენათა ფონზე. 1642-1643 წწ. ზამთრის სამხედრო კამპანია პარლამენტისათვის ერთობ წარუმატებლად წარიმართა. ჩრდილოეთში მეფის სარდალმა გრაფმა ნიუკასლმა ხელთ იგდო იორკშირის საგრაფოს მაუდის წარმოების ცენტრები, ქალაქები ლიდსი, ჰალიფაქსი, ბრედფორდი. კავალერებმა გამოდევნეს პარლამენტის ჯარი სამხრეთ უელსიდან, ალყაში მოაქციეს პარლამენტის მხარეზე მყოფი მნიშვნელოვანი ქალაქები გლოსტერი და ბრისტოლი. მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა 1643 წ. ზაფხულში. ჩრდილოეთში ჰერცოგმა ნიუკასლმა დაამარცხა პარლამენტის გენერლები მამა-შვილი ფერდინანდ და თომას ფერფაქსები, რითაც კავალერებმა იორკშირის დასავლეთი ნაწილი დაიკავეს. დასავლეთში როიალისტებმა აიღეს ბრისტოლი, მეორე მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი ლონდონის შემდეგ. ამის წყალობით

მათ ხელში აღმოჩნდა საჭურვლის დიდი მარაგი და ფლოტის ნაწილი. უილტშირის საგრაფოში სერიოზული დამარცხება განიცადა პარლამენტის გენერალმა უოლერმა. პარლამენტის მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა იმავე წელს ისეთი თვალსაჩინო პოლიტიკოსების და ოპოზიციის ლიდერების სიკვდილმა, როგორებიც იყვნენ ჯონ პიმი და ჯონ ჰემპდენი. ჰემპდენი სასიკვდილოდ დაიჭრა 1643 წ. ზაფხულში ოქსფორდის მახლობლად გამართულ ბრძოლაში. მოგვიანებით კი გარდაიცვალა პიმი. მძიმე დამარცხებებმა ფრონტზე და აღიარებული და ენერგიული თავკაცების სიკვდილმა გაართულა მდგომარეობა თავად პარლამენტის ბანაკის შიგნით. თანდათანობით ხმა აიმაღლეს მეფესთან დაზავების მომხრეებმა. მათი ზეწოლით პარლამენტმა ჩარლზ I შესთავაზა დაზავების პირობები. ამ პირობებით მეფეს უნდა დაეთხოვა თავისი ჯარი, გაეუქმებინა ეპისკოპოსთა ინსტიტუტი, დაემტკიცებინა პარლამენტის მიერ შემუშავებული კანონპროექტი ლაშქრის (მილიციის) შეხახებ, გამოეცხდებინა იმ დეპუტატების ამნისტია, რომლების დაპატიმრებასაც ის აპირებდა 1642 წ. იანვარში. მეფემ უარყო ეს პირობები, მაგრამ დაზავების მომხრეები არ ცხრებოდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა ლორდთა პალატა, თუმცა კი მას აღარ ჰქონდა ადრინდელი როლი და მნიშვნელობა. ლონდონში მყოფი ბევრი დიდგვაროვანი ისწრაფოდა და მოუწოდებდა დაზავებისაკენ. მათ შორის იყვნენ მეფის ჯარშუშებიც, რომლებიც შეთქმულებების და ამბოხებების მოწყობას ცდილობდნენ. ერთი ასეთი შეთქმულება პარლამენტმა გახსნა კიდეც 1643 წ. გაზაფხულზე. შეთქმულების ორგანიზატორები სიკვდილით დასაჯეს. მაგრამ როიალისტები ვერც ამან დააცხრო. იმავე წლის ზაფხულში მათ მოახერხეს ლონდონში მასობრივი გამოსვლების მოწყობა. 5 აგვისტოს პარლამენტის შენობასთან გაიმართა მრავალათასიანი მანიფესტაცია, რომელშიც ლონდონელი ქალებიც მონაწილეობდნენ. ესენი იყვნენ ადგილობრივი ვაჭრების, ხელოსნების და მუშების ცოლები, რომლებიც ითხოვდნენ ზავის დაუყოვნებლივ დადებას და მეფის ლონდონში დაბრუნებას. პარლამენტი იძულებული იყო ეს მრავალათასიანი თავყრილობა ლონდონის ლაშქრის (მილიციის) ძალებით დაეშალა.

სწორედ ამ კრიტიკულ პერიოდში დაიწყო კრომველმა თავისი

რაზმის შექმნა, რომელიც შემდეგ პარლამენტის ჯარის ბირთვად იქცა და სრულიად შეცვალა სამოქალაქო ომის მსვლელობა. მისი დაუღალავი მეცადინეობით შეიქმნა ის საწყისი შენაერთი, რომლის ჩამოყალიბება მან 1642 წ. აგვისტოში საკუთარი სახსრებით დაიწყო. თავდაპირველად მისი რაზმი 60 ცხენოსნისაგან შედგებოდა. 1643 წ. მაისში მასში უკვე 12 ესკადრონი იყო, ანუ იგი 700 ცხენოსანს ითვლიდა. იმავე წლის ბოლოს მის შენაერთში უკვე ორი ათასი ცხენოსანი იყო. მაგრამ კრომველი მხოლოდ თავისი შენაერთის რაოდენობის გაზრდისთვის არ ილვწოდა. მისი აქტიური მეცადინეობის წყალობით 1643 წ. აპრილისათვის აღმოსავლეთის ასოციაციის სამხედრო ძალები 12 ათასი მოხალისით შეივსო. ასეთი აქტიური და ნაყოფიერი საქმიანობისათვის პარლამენტმა კრომველს პოლკოვნიკის წოდება მიანიჭა. „ღირსეული და აქტიური პოლკოვნიკი კრომველი," ასე მოიხსენიებდნენ მას სამხედრო წრეებში. „ეს კაცი მაგალითია იმისა, თუ როგორ აღანთებს ღმერთი თავისი რჩეულთა გულებს, რათა მათ აჩვენონ, რომ მზად არიან უფალს გვერდში ამოუდგნენ იმისათვის, რომ შეებრძოლონ ძალოვან ნიმროდს(ბიბლიურ-მითოლოგიური პერსონაჟი – ივ.მ.) და ჩვენი დროის ფურიებს(ძველბერძნული შურისძიების ღვთაებები-ივ.მ.)"- წერდა კრომველის თანამედროვე ჯონ ვიკერსი.

მაგრამ გაცილებით ძნელი იყო ამ სამხედრო შენაერთების შენახვა. სახელმწიფო ბიუჯეტში არ არსებობდა უშუალოდ ამისთვის გამოყოფილი ფული. საჭირო თანხები ადგილზე უნდა მოძიებულიყო. შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტები დუნედ და არაეფექტურად მოქმედებდნენ. ამ მოთხოვნების დასაფარად არც შემოწირულობები კმაროდა. ანაზღაურების გარეშე მყოფი ჯარისკაცები ხშირად შიმშილის პირას იყვნენ და ელემენტარული მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალება არ ქონდათ. ამაზე თავად კრომველის წერილებიც მეტყველებენ. აი ერთ-ერთი მათგანი: „ბატონებო! ვწუხვარ, რომ ესოდენ ხშირად გაწუხებთ ფულის თხოვნით. მეც არ მსიამოვნებს, რომ თავს გაბეზრებთ, მაგრამ გემუდარებით, დააჩქარეთ მომარაგება... მერწმუნეთ, ისეთ გაჭირვებაში ვართ, რომ ქვეითები და დრაგუნები ალბათ მალე ამბოხებას მოაწყობენ. მე ხომ ჩემთვის არ გთხოვთ ფულს. ეს თანხები ჩემთვის რომ მჭირდებოდეს, ხმას არ ამოვილებ-

დი“- წერდა კრომველი საფოლკის კომიტეტს და კოლჩესტერის მერს 1643 წ.

ვინ იყვნენ ისინი, ვისი გულისთვისაც კრომველი ესოდენ იღვწოდა, რათა მათთვის სურსათ-სანოვაგე, ფულადი თანხები თუ აღჭურვილობა მოეძიებინა? სწორედ პირადი შემადგენლობის შერჩევა თავისი სამხედრო რაზმებისათვის იყო კრომველისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხი. კრომველის მიერ მისი რაზმების ჩამოყალიბება სამ პრინციპზე იყო აგებული. ესენი იყვენენ: 1) სოციალური შემადგენლობა; 2) არნახული ენთუზიაზმი და თავდადება, რომლებიც პურიტანული ყაიდის უკიდურესი ღვთისმოსაობით და ღვთისმოშიშობით გამოიხატებოდა; 3) რკინისებრი დისციპლინა, რომელიც განაპირობებდა კრომველის ჯარის არნახულად მაღალ საბრძოლო თვისებებს. კრომველის რაზმების სოციალურ შემადგენლობაზე ყველაზე ზუსტ ინფორმაციას გვაწვდის ბალსტროდ უაითლოკი. თავის მემუარებში იგი მიუთითებს: „კრომველის ჯარისკაცთა უმრავლესობას ფრიჰოლდერები(მიწის მცირე ნაკვეთების გარკვეული პირობებით მფლობელები – ივ.მ.) ან ფრიჰოლდერთა შვილები შეადგენენ. ეს ის ხალხია, რომელიც ამ ომში თავისი სინდისის კარნახით ჩაება. ისინი თავისი რწმენით არიან შეიარაღებული და სხვა საჭურველი მათ არ სჭირდებათ. ყველა, როგორც ერთი, თავისი საქმის დასაცავად არის გამოსული და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძვის მისთვის.“ ამრიგად, კრომველმა შესძლო მოენახა პარლამენტის ჯარის შევსების წყარო. ესენი იყვენან საშუალო შეძლების ინგლისელი გლეხები(ფერმერები) – იომენები(yeomanry). სწორედ იომენებმა, რომლებიც XVII ს. ჯერ კიდევ შეადგენდნენ მოსახლეობის (განსაკუთრებით აღმოსავლეთის საგრაფოებში) მნიშვნელოვან ნაწილს, შეავსეს რევოლუციური ბანაკი. ისინი მასობრივად შედიოდნენ პარლამენტის ჯარში, რაც მას გარკვეულწილად დემოკრატიულ ელფერს აძლევდა. თანაც ეს არა მარტო რიგით, არამედ სამეთაურო შემადგენლობასაც დაეტყო.

პარლამენტის ჯარის ოფიცერთა მნიშვნელოვანი ნაწილი საშუალო შეძლების აზნაურებისაგან (ჯენტელმენებისაგან) შედგებოდა. ჯენტრის კავშირმა ქალაქის ბურჟუაზიის ფართო ფენებთან განაპირობა ის, რომ სამოქალაქო ომში სოფლის ჯენტელმენების მნიშვ-

ნელოვანი ნაწილი სწორედ პარლამენტის და არა მეფის მხარეზე იბრძოდა. თანაც, რასაც კრომველის მაგალითი ადასტურებს, ისინი ფლობდნენ სამხედრო საქმის უნარ-ჩვევებს. თავად კრომველი კარგი მოჯირითე იყო და ახალგაზრდობაში კარგად ფარიკაობდა კიდეც. რაც შეეხება მოხალისეთა შერჩევას, აქ კრომველმა ცალსახად აიღო კურსი უდრეკი ხასიათის, მაღალი სულიერების, მორწმუნე, როგორც იგი თავად მიიჩნევდა, მადლმოსხმულ ადმიანებზე. კრომველის მიერ ადამიანებში ასეთი თვისებების ერთობის ძიება იმ დროს ბევრს აკვირვებდა. მაგრამ კრომველს ურყევად სწამდა თავისი არჩევანის სისწორე. „ვინც ყველაზე კარგად ლოცულობს, ის ყველაზე კარგად იბრძვის“ – ასეთი იყო მის ღრმა რწმენა. სწორედ ამ თვისებებს და პარლამენტის საქმისადმი ერთგულებას აძლევდა კრომველი უპირატესობას მაღალ სოციალურ წარმოშობასთან შედარებით და ეს პრინციპი ვრცელდებოდა არა მარტო რიგით, არამედ სამეთაურო შემადგენლობაზეც. მისი მიდგომა ამ საქმისადმი განსაკუთრებით ნათლად არის წარმოჩენილი საფოლკის საგრაფოს კომიტეტისადმი მიწერილ წერილში, რომელიც 1643 წ. 29 აგვისტოთი თარიღდება. „გემუდარებით, რაც შეიძლება ყურადღებით იყავით კაპიტნების შერჩევისას. თუკი თქვენ კაპიტნების თანამდებობაზე ღვთისმოსავ, ღვთისმოშიშ და პატიოსან ადამიანებს აირჩევთ, მათ პატიოსანი ხალხი გაყვება. მერწმუნეთ, უბრალოდ ჩაცმულ-დახურული და გაუთლელი კაპიტანი, რომელსაც შეგნებული აქვს, თუ რისთვის იბრძვის და თავისი იდეის ერთგულია, მე მირჩევნია იმ თქვენ ჯენტელმენს, რომელსაც არაფერი გააჩნია თავისი ფუყე ჯენტელმენობის გარდა. თუმცა ჭეშმარიტი ჯენტელმენის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს“ – წერდა კრომველი. თავად მისი ცხენოსანთა პოლკის რამდენიმე ესკადრონის მეთაური კაპიტანი უბრალო ხალხის წრიდან იყო გამოსული. შეძლების თვალსაზრისით მათ მოიხსენიებდნდნ როგორც უმნიშვნელო ქონების მქონე ხალხს. აღმოსავლეთის ასოციაციაში სამხედრო სამსახური დაიწყეს და შემდეგ დანინაურდნენ ადამიანები, რომლებიც ხშირად ყოფილან დაცინვის ობიექტი თავისი მდაბიო წარმოშობის გამო. ესენი იყვნენ მედროგე პრაიდი, მექვაბე ფოქსი, მეწაღე ჰიუსონი, შკიპერი რეინბორო, მწყემსის შვილი ჰარისონი. გრაფი მანჩესტე-

რი, რომლიც 1643 წ. აგვისტოში აღმოსავლეთის ასოციაციის ჯარის მთავარსარდლად დაინიშნა, დაუფარავად აკრიტიკებდა კრომველს იმისთვის, რომ ეს უკანასკნელი მდაბიო წარმოშობის ადამიანებს და არა ჯენტელმენებს ანიჭებდა უპირატესობას. „პოლკოვნიკი კრომველი ირჩევს არა იმათ, ვინც კარგი გვარისაა და საკმაო ოდენობის ადგილ-მამულის პატრონია, არამედ უგვაროებს და ღარიბებს. მისთვის მთავარია, რომ ისინი პატიოსანი და ღვთისმოსავი ადამიანები არიან. მის ცხენოსანთა პოლკს რომ გადახედოთ, იქ უამრავ ადამიანს ნახავთ, ვინც თავის თავს უფლის ხალხს უწოდებს. ზოგიერთ მათგანს ხილვებიც კი აქვს და ამბობენ, რომ წინასწარმეტყველება სძალუძთ“- ამბობდა მანჩესტერი. გრაფი მანჩესტერის სიტყვებიდან ნათელი ხდება, თუ როგორი იყო კრომველის მიერ შექმნილი სამხედრო შენაერთების შემადგენლობა და როგორი ენთუზიაზმი და აღმაფრენა სუფევდა იქ. „უფლის ხალხი,“ „პატიოსანი ხალხი,“ „ღვთისმოშიშები,“ ყველა ეს არის იმ ადამიანების დასახელება, რომლებიც მიეკუთვენებოდნენ ყველაზე რადიკალურ პურიტანულ-ინდეპენდენტურ დაჯგუფებებს, ან როგორც მათ მაშინ ეძახდნენ, სექტებს(sects, sectaries – ინგლ., სექტები, სექტის წევრები,). ისინი ფართოდ იყვნენ გავრცელებული აღმოსავლეთ და შუა ინგლისის საგრაფოებში, მოიცავდნენ გლეხებსა და ხელოსნებს და მასობრივად შედიოდნენ კრომველის რაზმებში. მათი ფანატიზმამდე მისული ერთგულება პურიტანობის პრინციპებისადმი გამოხატავდა მათ სიძულვილს ძველი რეჟიმისადმი. ისინი მზად იყვნენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლათ და თავი გაეწირათ „სამართლიანი, მართალი საქმისათვის.“ შეურიგებლობა, სიძულვილი ძველი წეს-წყობილების მიმართ, „მართალი,“ ანუ პარლამენტის საქმისადმი ურყევი ერთგულება – აი ის თვისებები, რომლებსაც კრომველი ყველაზე მეტად აფასებდა თავის ჯარისკაცებში. ამიტომაც იგი შეურიგებელი იყო და სასტიკად ეწინააღმდეგებოდა პრესბითერიანების ვიწრო, შეზღუდულ, ფრაქციულ მიდგომას, რომელიც გზას უღობავდა ჯარში შემავალ ულტრარადიკალური რელიგიური მიმდინარეობების წარმომადგენლებს. მოგვიანებით, 1644 წ. როდესაც მისმა ხელქვეითმა, გენერალ-მაიორმა კროუფორდმა დაითხოვა ერთი ჯარისკაცი იმისათვის, რომ ეს უკანასკნელი ანაბაპტისტი იყო,

კრომველმა მკაცრად დატუქსა გენერალი. „სერ, თქვენ ძალიან დააშავეთ, როცა დაითხოვეთ ჩვენი საქმის ერთგული ადამიანი, რომელიც ზედმიწევნით ასრულებდა თავის მოვალეობას. ნება მომეცით, არ დაგეთქნმოთ. თქვენ ამტკიცებთ, რომ იგი ანაბაპტისტია. დარწმუნებული ხართ? დაუშვათ, რომ ეს ასეა. მერე რა? ნუთუ ეს არ აძლევს მას იმის უნარს და საშუალებას, რომ სახელმწიფოს ემსახუროს? სერ, როდესაც სახელმწიფო თავის სამსახურში იყვანს ადამიანებს, ის ყურადღებას არ აქცევს მათ სარწმუნოებას. ასეთ შემთხვევაში ისიც საკმარისია, რომ ისინი მზად არიან მას ერთგულად ემსახურონ“- უთხრა კრომველმა კროუფორდს.

კრომველის მიერ ჩამოყალიბებული ჯარი სხვა თვისებებითაც იქცევდა მტერ-მოყვარის ყურადღებას. ეს იყო რკინისებრი დისციპლინა, სამხედრო ხელოვნების ზედმიწევნით ფლობა, არნახული სიმამაცე, უდრეკი სული და თავგანწირვა ბრძოლის ველზე. „ისინი ერთმანეთის მხარდამხარ დგანან ბრძოლაში და იბრძვიან ყველა – როგორც ერთი“ – მოკლედ და ზუსტად აღნიშნავდა თავის ჩანაწერებში ბალსტროდ უაითლოკი. კრომველის მეომრები, რომლებიც თავდაპირველად არც იარაღს ფლობდნენ კარგად და არც ჯირითში ვარგოდნენ თავისი მეთაურის დაუღალავი მეცადინეობის წყალობით ცოტა ხანში საუკეთესო ჯარისკაცებად იქცნენ. მტრობას ხელი არ შეუშლია როიალისტების ბანაკის წარმომადგენლებისათვის ელიარებინათ კრომველის ჯარის დადებითი მხარეები. „მეფის ჯარი, განსაკუთრებით მისი კავალერია ძალიან ძლიერია შეტევაში. მაგრამ იმავე დროს ძალიან ძნელია მისი თავმოყრა და გადაჯგუფება ხელახალი შეტევისათვის, მაშინ, როცა კრომველის ცხენოსნები, წარმატების და თუნდაც წარუმატებლობის შემთხვევაში ინარჩუნებენ მწყობრს, არ იფანტებიან და მზად არიან ნებისმიერი ახალი მოქმედების ჩასატარებლად“- წერდა მეფის ბანაკის თვალსაჩინო წარმომადგენელი, პოლიტიკოსი და ისტორიკოსი ედუარდ ჰაიდი(გრაფი კლარენდონი). იგივე კლარენდონი არც იმას მალავდა, რომ ზოჯგერ მეფის ჯარი ერთობ წარმატებულია როგორც მოწინააღმდეგის აღალის ძარცვაში ასევე ბრძოლის ველიდან ერთსულოვან გაქცევაში. ძალიან საინტერესო აზრს გამოთქვამს როიალისტების ბანაკის სხვა წარმომად-

გენელი, გრაფი უორიკი. „მისი(კრომველის -ივ.მ.) ჯარისკაცები ფანატიზმით არიან შეპყრობილები. ექსტაზი და გამოცხადება – სხვა არაფრით არის დაკავებული მათი გონება. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ისინი არაჩვეულებრივად მამაცები არიან. მათ არ იციან, თუ რა არის შიში, იმდენად ხშირად უსწორებენ თვალს სიკვდილს. ბრძოლის ველის მიტოვებას მათ სიკვდილი ურჩევნიათ"- წერდა გრაფი უორიკი. და ეს არ იყო ლიტონი სიტყვები. ისტორიამ შემოგვინახა ამის დამადასტურებელი ფაქტები. „რაიმეს წუხილი ხომ არ მიგყვება ამ ქვეყნიდან მიმავალს? – ჰკითხა კრომველმა მარსტონ-მურთან სასიკვდილოდ დაჭრილ თავის დისშვილს, ვალენტაინ უოლტონ უმცროსს. მხოლოდ ის, რომ უფალმა არ მომცა ამზე მეტი საშუალება მისი უფრო მეტი მტერი გამენადგურებინა"- უპასუხა მომაკვდავმა ჭაბუკმა თავის სარდალს და ბიძას. ამგვარი სულისკვეთებით იყვნენ განმსჭვალულნი მისი ცხენოსნები. ეს ღვთისმოსავი და ღვთისმოშიში ხალხი ფსალმუნების ხმამაღალი გალობით მიდიოდა ბრძოლაში. ღმერთის მორჩილების და მისი ნების შესრულების რწმენა სწორედ ბრძოლის ველზე სძენდა კრომველის მეომრებს არნახულად ძლიერ სულიერ მუხტს. ისინი მუდამ ღმერთს იყვნენ მინდობილები, სამხედრო ბანაკში მოსვენების დროს, ლოცვისას და ბრძოლის ველზეც. ამგვარი სულისკვეთება მათ ცნობიერებაში თავისი მოწოდებებით მათმა მეთაურმა შეიტანა. კრომველი, რომელიც სამოქალაქო ომის წინა პერიოდში მთელი თავისი არსებით ჩაერთო ქადაგებებსა და სალოცავ თავყრილობებში იქ განცდილ საკუთარ გრძნობებს სრულად უზიარებდა თავის მეომრებს, თანაც მათთვის გასაგებ ენაზე. უაითლოკი აღნიშნავდა, თუ რაოდენ გონივრული იყო კრომველის ლოცვა, ქადაგება, მოთქმა და გოდებაც კი. ყველაფერ ამას კი იგი აკეთებდა იმისთვის, რომ თავის გულის ნადები ჯარისკაცებისათვის გაეზიარებინა, გული გადაეშალა გარშემო მყოფთათვის. ეს არამც და არამც არ იყო თვალთამაქცობა. კრომველი აბსოლუტურად იყო დარწმუნებული თავის მრწამსის და ნათქვამის ჭეშმარიტებაში. მან შეარწყა ერთმანეთს ლოცვა, ქადაგება და ბრძოლა. კრომველს სურდა, რომ მათში ჩაბმული ადამიანი სამივეში უბადლო ყოფილიყო. სწორედ ამ ცნებების თავისი მეომრების ცნობიერებაში დანერგვის საქმეში ჰპოვა მან

საკუთარი დანიშნულება. იგი არა მარტო დაშნით, არამედ სულიერებითაც წინ მიუძღოდა თავის მეომრებს. კრომველი მათ მოუწოდებდა ბრძოლის ველზე არასოდეს დაეხიათ უკან, არასოდეს შეჰპარვოდათ ეჭვი საბოლოო გამარჯვებაში, რადგანაც ღმერთის საქმეს, მართალ საქმეს ემსახურებოდნენ.

ასეთი რელიგიური ექსტაზით განმსჭვალულ სამხედრო შენაერთებში ღვთისმსახურებას საგანგებო ადგილი ეთმობოდა. ამის გამო მის მიერ შექმნილ ჯარში დიდ როლს თამაშობდნენ კაპელანები, ღვთისმსახურები, რომლებსაც ორგვარი ფუნქცია ეკისრებოდათ, საეკლესიო და სამხედრო. ასეთებს მიეკუთვნებოდა საქვეყნოდ ცნობილი, იმ დროის ძალზე პოპულარული მქადაგებელი ჰიუ პიტერი. გულისხმიერი და გულანთებული, ეს ადამიანი სულით ხორცამდე პურიტანი იყო. მას შეეძლო თავისი ქადაგებით მრავალრიცხოვანი აუდიტორია აღენთო. მაგრამ პიტერი ამით არ შემოიფარგლა. მან ბრძოლის ველს მიაშურა და ბიბლიითა და დამბაჩით აღჭურვილი კრომველის ჯარისკაცებს ამოუდგა გვერდში. სწორედ იმ დროს წარმოიშვა გამოთქმა: „წმინდანებს ბაგეზე უფლის სადიდებელი სიტყვები უნდა ჰქონდეთ, ხოლო ხელში – ორლესული მახვილი.“ ყველა ამ სიახლეს კრომველი ჯარში ნერგავდა. ჯარი კი ნებისმიერ დროს და ნებისმიერ პირობებში წარმოუდგენელია დისციპლინის, დაქვემდებარების და ბრძანებას დამორჩილების გარეშე. კრომველმა მკაცრი, სისატიკემდე მისული დისციპლინა დაამყარა თავის შენაერთებში. ხელქვეითები უსიტყვოდ, აბსოლუტურად ემორჩილებოდნენ მეთაურს. ორი ჯარისკაცი საჯაროდ გაროზგეს დეზერტირობის მცდელობისათვის. აკრძლული იყო ლოთობა და ბილწსიტყვობა. თუკი ვინმე დათვრებოდა, მას ხუნდებს ადებდნდნ, ბილწსიტყვობისთვის კი ჯარიდან აგდებდნდნ. ფიცილისათვის ორი პენსით აჯარიმებდნენ. კრომველის მიერ დანერგილმა ყველა სიახლემ იმდენად დიდი ყურადღება მიიპყრო, რომ მისი სახელი იმ დროის ისეთ პოპულარულ ყოველკვირეულ გამოცემებში გამოჩნდა, როგორებიც იყვნენ „პერფექტ ჯურნალი“, „სპეშელ პესიჯი.“ კერძოდ, „სპეშელ პესიჯი“ წერდა: „პოლკოვნიკ კრომველის ხელქვეით არის ორი ათასი მამაცი ჯარისკაცი, რომლებიც მკაცრად ისჯებიან დისციპლინის ნებისმიერი დარღვევისათვის. ამიტომ მო-

სახლეობას არნახულად უხარია და სიამოვნებს მათთან ურთიერთობა.“ ოდითგანვე მოსახლეობა ზარალდებოდა ჯართან ურთიერთობისას ამ უკანასკნელის თავაშვებული ქცევის და ძალმომარეობის გამო. კრომველის ჯარისკაცები კი უზადოდ იქცეოდნენ, არ ლოთობდნენ, არ იგინებოდნენ. „რა ბედნიერება იქნებოდა, ყველა სამხედრო ნაწილი რომ ასეთი დისციპლინირებული იყოს“- ასკვნიდა ჟურნალი.

კრომველის ყურადღების ფარგლებს მიღმა არც მისი ოჯახის წევრები და ახლობლები დარჩნენ. მის რაზმში ადგილი დაიმკვიდრეს მისმა ვაჟმა ოლივერმა, სიძემ ჯონ დესბოროუმ, დისშვილმა უმცროსმა ვალენტაინ უოლტონმა. მაგრამ რევოლუციის სამსახურში ჩადგომა ცალსახა მოვლენა არ ყოფილა კრომველის სანათესაოში. როგორც რევოლუციურ ხანას შეეფერება, ადგილი ჰქონდა დაპირისპირებასაც. მას შემდეგ, რაც კრომველმა აღკვეთა მეფის მომხრეების მცდელობა ხელში ჩაეგდოთ კემბრიჯის უნივერსიტეტში დაუნჯებული ძვირფასეულობა და იგი ლონდონში, პარლამენტის განკარგულებაში გადააგზავნა, იგი თავის ბიძას, გვარის უფროსს, სერ ოლივერს ეწვია. ვარაუდობენ, რომ ბიძას და ძმისშვილს შორის ხანგრძლივი და დაძაბული საუბარი გაიმართა. კრომველი ყოველნაირად ცდილობდა დაერწმუნებინა ბიძა პარლამენტს ამოსდგომოდა გვერდში. მაგრამ მოხუცი რაინდი(სერ ოლივერი 79 წლის იყო) ურყევად იდგა თავის პოზიციაზე და მეფის ერთგულებას ამჯობინებდა. ეს მიუხედავად იმისა, რომ ძმისშვილმა დაუხატა ბიძას ის საავარაუდო შედეგები, რომლებსაც მცხოვან რაინდს და მის ოჯახს პარლამენტის მიერ მეფის შემორიგება მოუტანდა. გამარჯვებულთა ბანაკში მყოფი, იგი მეფეზე გარკვეულ გავლენას მოიპოვებდა. რაოდენ ტრაგიკულია თაობათა ეს ტრადიციული დაპირისპირება! სიახლისაკენ მსწრაფველი ახალი თაობა, რომელსაც სჯერა, რომ სამართლიანობას და უსაზღვრო ბედნიერებას ამკვიდრებს და რასაც სწორედ ეს ძველი სამყარო უშლის ხელს, რომელიც უნდა მოშორდეს, აღიგავოს პირისაგან მიწისა. და მეორეს მხრივ ძველი თაობა, რომელმაც ამ დრომდე მოიყვანა ეს ძველი სამყარო, შეისისხლხორცა იგი, მისით საზრდოობდა და რომლისთვისაც უბრალოდ შეუძლებელი იყო მისი უარყოფა! ეს ხომ ამ ძველი თაობისათვის არა მხოლოდ ზნის, ჩვევის, არამედ ღირსე-

ბის საქმეც იყო! ზუსტად ისე, როგორც ეს ზემოთ იყო აღწერილი მეფის ძველი მედროშის, სერ ედმუნდ ვერნის ოჯახზე საუბრისას. ასე რომ ბიძა და ძმისშვილი ვერ შეთანხმედნენ. ის, რაც განშორებისას მოხდა, კრომველს ახასიათებს, როგორც მრწამსის და მოვალეობის ადამიანს. მან ბიძამისს ჩამოართვა მთელი სამხედრო აღჭურვილობა და ვერცხლის ჭურჭელი, რომელიც პარლამენტს გადასცა. ასე რომ კრომველმა პირველ რიგში იმოქმედა არა როგორც ძმისშვილმა, არამედ როგორც პარლამენტის არმიის კაპიტანმა.

ერთი წლის შემდეგ კრომველი, უკვე პოლკოვნიკის წოდებით თავისი რაზმითურთ კვლავ ეწვია ბიძას და ისევ შეეცადა მის დაყოლიებას. თავის შეგონებას კრომველმა დაამატა მოთხოვნა, რომ ბიძამისს დახმარება გაეწია მისი რაზმის აღჭურვაში. მაგრამ სერ ოლივერი ადრინდებულად შეუვალი იყო. კრომველი ისე შორს წავიდა, რომ ბიძას ადგილ-მამულის დაბომბვით დაემუქრა. იმისათვის, რომ დაეშოშმინებინა გაგულისებული ძმისშვილი, სერ ოლივერმა მისი რაზმის ცხენოსნებს 40 უნაგირი გადასცა, მაგრამ პარლამენტის მხარე მაინც არ დაიჭირა და მეფის ერთგული დარჩა. როგორც ჩანს, კრომველის ბიძასთან ხელმეორედ სტუმრობა და მისი დაყოლიების მორიგი მცდელობა მიზნად ისახავდა სერ ოლივერისათვის თავიდან აეცილებინა მამულის კონფისკაცია. ძმისშვილი ვერაფერს გახდა. შესაბამისად სერ ოლივერს მამული ჩამოართვეს. ასე რომ ბიძამაც და ძმისშვილმაც გვარისათვის დამახასიათებელი შეუვალი ხასიათი გამოავლინა. მაგრამ დაპირისპირება საბოლოო ჯამში ძალზე თავისებურად დასრულდა. 1648 წ. კრომველმა, იმ დროისათვის ალბათ უკვე ყველაზე გავლენიანმა ადამიანმა ინგლისში გააუქმებინა ზემოაღნიშნული დადგენილება და ბიძამისს, სერ ოლივერს ჩამორთმეული მამული დაუბრუნეს. თავად სერ ოლივერი 1655 წ. გარდაიცვალა. ასე რომ, მოესწრო ძმისშვილის აღზევებასა და დიდებას.

თავის, „საგვარეულო“ ბანაკში მოსაგვარებელი საქმეების არსებობის მიუხედავად კრომველისთვის რასაკვირველია მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა მის სამხედრო შენაერთს და მისთვის სრულყოფილი ხასიათის მიცემას. კრომველი სიჭაბუკიდანვე ეზიარა ცხენოსნობას და ერთობ კარგ ცხენოსნად ჩამოყალიბდა. ჯირითით და ცხენებით

გატაცება მას სიბერემდე გაყვა. ამიტომაც იყო, რომ ლორდ-პროტექტორად ყოფნისას მას ევროპის სხვადასხვა სამეფო კარიდან საჩუქრად უგზავნიდნენ წმინდა სისხლის ბედაურებს. ასევე სწორედ ამიტომ მისი პირველი სამხედრო რაზმები ცხენოსანთა ესკადრონები იყვნენ. შესაბამისად იგი არნახული ყურადღებით არჩევდა არა მარტო მხედრებს თავისი ესკადრონებისათვის, არამედ ცხენებსაც ამ ცხენოსნებისათვის. ეს არც თუ ისე ადვილი საქმე იყო. კარგი ცხენი იმ ხანად 5-10 გირვანქა სტერლინგი ღირდა და იშვიათობას წარმოადგენდა. მაგრამ იმ არაბული თუ ბერბერული ბედაურების ფონზე, რომლების შემოყვანაც მოგვიანებით დაიწყეს, ეს ინგლისური ცხენები მაინც უფერულად გამოიყურებოდნენ. ასეთ პირობებში კრომველი ყოველნაირად ცდილობდა თავისი კავალერიისათვის სრულფასოვანი ცხენები შეეძინა და მათი მოვლა-პატრონობა შესაბამის დონეზე დაეყენებინა. ამას გარდა კრომველისათვის სულერთი არ იყო, თუ ვისგან შეიძენდა ცხენებს. ცხენის პატრონი აუცილებლად ღვთისმოშიში, პარლამენტის საქმის მომხრე და ერთგული ადამიანი უნდა ყოფილიყო და არამც და არამც ვინმე „ბოროტი," როიალისტი და ა.შ. გარდა ამისა მისი ყურადღების ობიექტს წარმოადგენდნენ თავად ცხენები. იგი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ მის კავალერისტებს სრულფასოვანი, საბრძოლო ცხენები ყოლოდათ. იგი თავად გრაფ მანჩესტერთან დაპირისპირებასაც კი არ მოერიდა, როდესაც უინსბისთან და ნოუბერისთან ბრძოლების წინ მის კავალერისტებს ფეხებდაწყვეტილი ცხენები გამოუყვეს. „ეს ჯაგლაგები თავის მხედრების წონასაც კი ვერ გაუძლებენ და დაეცემიან. ძვლისა და ტყავის გარდა მათ სხვა არაფერი აქვთ!"- აღშფოთებით უთხრა მან გრაფ მანჩესტერს.

ამგვარად, კრომველის დაუღალავი მეცადინეობით შეიქმნა ჯარი, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო მაღალი იდეურ-პოლიტიკური დონე(იმ ეპოქისა და ფასეულობების შესაბამისად), საბრძოლო თვისებები, რკინისებრი დისციპლინა და გარკვეული დემოკრატიზმი, მისი სოციალური შემადგენლობიდან გამომდინარე. გარკვეულწილად ეს იყო სახალხო ჯარი, რადგანაც მასში მოსახლეობის ფართო ფენები იყვნენ წარმოდგენილი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ტრადიციული სახალხო ლაშქარი(მილიცია), რომელსაც ახასიათებდა მიდრეკილება

მშობლიური ადგილებისადმი, დაბალი მობილურობა, გულგრილი დამოკიდებულება სხვა ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებების წაყვანის მიმართ. ყველაფერი ეს ნათლად გამოჩნდა საბრძოლო მოქმედებებში, რომლებიც გაიმართა 1643 წ. გაზაფხულზე. პირველ საბრძოლო წარმეტებას კრომველის კავალერიამ ბოლტონთან ბრძოლაში მიაღწია 1643 წ. 13 მაისს. მიუხედავად იმისა, რომ ლორდმა გრეიმ დახმარება არ აღმოუჩინა კრომველს და ბრძოლას თავი აარიდა იმ საბაბით, რომ მისი შენაერთის გადაადგილება დაასუსტებდა და საფრთხეს შეუქმნიდა ლესტერის დაცვას, კრომველი გაბედულად, თანაც მოწინააღმდეგისათვის მოულოდნელად ეკვეთა როიალისტების ჭარბ ძალებს და დაამარცხა ისინი. უკვე პირველსავე ბრძოლაში თავი იჩინა კრომველის მეცადინეობით დანერგილმა სიახლემ. როიალისტების, თავად მეფის დიწულის, უფლისწულ რუპერტის მეთაურობით მოქმედი კავალერიისაგან განსხვავებით კრომველის ცხენოსნებმა არა უკანდახეული მოწინააღმდეგის აღალის ძარცვას მიყვეს ხელი, არამედ თავისი მეთაურის ბრძანებისთანავე გადაჯგუფდნენ, ახალი შეტევისათვის მოემზადდნენ და 2-3 მილის მანძილზე სდიეს უკანდახეულ მტერს. როიალისტები სასტიკად დამარცხდნენ, მათ 100 კაცი დაკარგეს, მაშინ, როდესაც კრომველის დანაკარგი სულ რამდენიმე კაცს შეადგენდა. კრომველის ეს პირველი გამარჯვება პარლამენტის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა. პარლამენტმა შესაბამისი ბრძანებულება გამოსცა, რომელშიც ნათქვამი იყო: „გამოეყოს პოლკოვნიკ კრომველს სამი ათასი გირვანქა სტერლინგი თავისი შენაერთის შენახვა-უზრუნველყოფისათვის.“ კრომველის მინდობა პურიტანული პრინციპებისა და ფასეულობებისადმი ნათლად გამოჩნდა მის პირველივე საბრძოლო პატაკში, რომელიც მან ბოლტონის ბრძოლის შემდეგ პარლამენტს გაუგზავნა: „უფალმა გვიბოძა ეს დიადი გამარჯვება. ღმერთის ნება იყო, რომ ერთმა მუჭა ხალხმა თავის მხარეზე გადახარა გამარჯვების სასწორი“- წერდა იგი თავის პატაკში.

ამ გამარჯვების შემდეგ კრომველის ცხენოსანთა შენაერთი მთელი ზაფხულის მანძილზე მონაწილეობდა მცირემასშტაბიან ბრძოლებში, რომლებიც გაიმართა აღმოსავლეთის საგრაფოებში და მათ ფარგლებს მიღმა. კრომველი მონაწილებოდა სტამფორდის აღებაში და

პიტერბოროს დაცვაში. წარმატებით დამთავრდა კრომველის მიერ ბარლი ჰაუსის ალყა იმავე წლის ივლისში. ბარლი ჰაუსი დევონშირის საგრაფოში მდებარეობდა. კრომველმა როიალისტებს დანებება შესთავაზა, მათ უარყვეს მისი წინადადება. მდგომარეობა შეიცვალა, როდესაც კრომველმა დამხმარე ძალები მიიღო მუშკეტერთა სამი ქვედანაყოფის და არტილერიის სახით. ასეთ პირობებში გრაფინია ეკზეტერმა, რომელიც დაცვას ხელმძღვანელობდა, დანებება გადაწყვიტა. იმ დროის საომარი ნორმების თანახმად კრომველს სრული უფლება ჰქონდა იერიშით აეღო ციხე-კოშკი და არ დაენდო არც კოშკი და არც დამცველები. მაგრამ კრომველმა სასტიკად აუკრძალა თავის ჯარისკაცებს როგორც იერიში, ასევე მისგან გამომდინარე ნებისმიერი ქმედება(ხოცვა-ჟლეტა, ძარცვა-გლეჯა, ძალადობა და ა.შ.). ასე რომ ბარლი ჰაუსი აღებულ იქნა ორივე მხრიდან ყოველგვარი მსხვერპლის გარეშე. იმასაც ამბობენ, რომ კრომველმა სახსოვრად დაუტოვა გრაფინიას მხატვარ რობერტ უოკერის მიერ დახატული თავისი პორტრეტი, რომელიც დღემდე ბარლი ჰაუსშია გამოფენილი.

კრომველის შემდეგი ბრძოლა იყო გეინსბოროს გათავისუფლება როიალისტების ალყისგან. აქ კრომველმა სრულად გამოავლინა თავისი, როგორც მეთაურის თვისებები – სიმტკიცე და სიმშვიდე. როიალისტებს ერთობ მომგებიანი პოზიცია ჰქონდათ დაკავებული. ისინი ციცაბო ფერდობის თავზე იყვენენ გამაგრებულები. მოწინააღმდეგის უკეთესი პოზიციის მიუხედავად კრომველმა შესთავაზა პირდაპირი იერიში მიეტანათ მტრის პოზიციაზე ციცაბო კალთაზე აღმასვლით. კრომველის ცხენოსნებმა და ლორდ უილოუბის ქვეითებმა მტრის ცეცხლის მიუხედავად წარმატებით დასძლიეს აღმართი და მოწინააღმდეგეს ხელჩართულ ბრძოლაში შეებნენ. თავად კრომველი მებრძოლთა მოწინავე რიგებში იყო. მეთაურის თავდადების მაგალითით აღფრთოვანებულმა მეომრებმა თავდაუზოგავად შეუტიეს მოწინააღმდეგეს და უკან დაახევინეს მას. მოგვიანებით კი კრომველმა განახორციელა ოსტატური მანევრი და ზურგში დაარტყა სერ ჩარლზ კავენდიშის რეზერვს. შეიძლება ითქვას, რომ კავალერები პრაქტიკულად განადგურების პირას იყვნენ. და აი ამ დროს გეინსბოროსთან გამოჩნდა როიალისტების მრავალრიცხოვანი ჯარი ჰერცოგ ნიუკასლის

მეთაურობით, რომელიც რიცხვობრივად გაცილებით სჭარბობდა კრომველის და ლორდ უილოუბის ძალებს. პარლამენტის ჯარი საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ლორდმა უილოუბიმ თავისი ქვეითებით ქალაქის კედლებს შეაფარა თავი. რაც შეეხება კრომველს, მან მისთვის დამახასიათებელი ოპერატიულობის წყალობით სასწრაფოდ გადააჯგუფა თავისი კავალერია, მოიყვანა იგი საბრძოლო მდგომარეობაში და მიუხედავად იმისა, რომ როგორც ცხენები, ასევე მხედრები თუ შეიძლება ასე ითქვას ქანცგაწვეტილები იყვნენ ბრძოლით, გაარღვია მოწინააღმდეგის რიგები, გავიდა სამშვიდობოს და სრულ წესრიგში მყოფი ჯარით ყოველგვარი პანიკის გარეშე ლინკოლნს შეაფარა თავი. შეფასებას აძლევდნენ რა კრომველის მოქმედებას გეინსბოროსთან ბრძოლაში, სამხედრო საქმეში გამოცდილი ადამიანები ამბობდნენ, რომ ყველაზე ძნელია შეუტიო ბრძოლისათვის უკვე გამზადებულ კავალერიას, ხოლო შემდეგ კი გაუძლო ახალ შეტევას, რომელსაც მოწინააღმდეგის ჭარბი ძალები განახორციელებენ. მათი თქმით, კრომველმა ეს ორივე სირთულე დასძლია.

მაგრამ კრომველს არა მხოლოდ ბრძოლის ველზე უხდებოდა მოქმედება იარაღით ხელში. მას მოწინააღმდეგეები პარლამენტის ბანაკშიც ყავდა, თანაც უშუალოდ ჯარში. პარლამენტის ჯარში იყვნენ ისეთი მეთაურები, რომლებიც ვერ ან არ ავლენდნენ სათანადო აქტიურობას და ინიციატივას, პასიურობდნენ და კრომველიც დაუფარავად გამოხატავდა უკმაყოფილებას მათი უხეირო მოქმედებით. მაგ. მან გააკრიტიკა სერ ჯონ პალგრეივი, რომელმაც ვერ გამოიჩინა სათანადო ოპერატიულობა, დროზე ვერ შეუერთდა კრომველის ესკადრონებს, რითაც ჩაშალა წინასწარ დასახული საომარი მოქმედებების გეგმა. კრომველმა სასტიკად გაილაშქრა სერ ჯონ ჰოტამის წინაღმდეგ, რომელიც ადრეულ ეტაპზევე ჩაება სამოქალაქო ომში და საკმაოდ მამაცურადაც იბრძოდა, მაგრამ დისციპლინაში მოიკოჭლებდა. როდესაც იგი კრომველის დაქმვემდებარებაში გაამწესეს მან არ დამალა თავისი უგულებელყოფა ამ უკანასკნელის მიმართ. კრომველი მისთვის მხოლოდ მდაბიოთა და უგვაროთა მფარველი იყო. მაგრამ სერ ჯონმა ვერაფერი გააწყო თავის მკაცრი და რკინის ნებისყოფის მეთაურის წინააღმდეგ. კრომველმა იგი ჰაუპტვახტში ჩასვა დისციპლინის დარ-

ღვეისათვის. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ჰოტამი საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდა სამეფო კართან, ვალდებულებას იღებდა შეესრულებინა რიგი საიდუმლო დავალებებისა, რისთვისაც მნიშვნელოვან ფულად გასამრჯელოს და ბარონეტის წოდებას მიიღებდა. ყველაფერმა ამან განაპირობა ის, რომ საბოლოოდ სერ ჯონ ჰოტამი სიკვდილით დასაჯეს. უთანხმოება ჰქონდა კრომველს პოლკოვნიკ(-შემდგომში გენერალ-მაიორ) კროუფორდთანაც სამხედრო სამხახურიდან ხელქვეითების განთავისუფლების გამო იმ მიზეზით, რომ ისინი ულტრარადიკალურ რელიგიურ მიმდინარეობებს მიეკუთვნებოდნენ, თუმცა კი პატიოსანი და პარლამენტის საქმის ერთგული ადამიანები იყვნენ.

იმ რთული მდგომარეობის მიუხედავად, რომელშიც აღმოჩნდა პარლამენტის ჯარი 1643 წ. ზაფხულის წარუმატებელი სამხედრო კამპანიის შედეგად, რაც გამოწვეული იყო მისი სარდლობის პასიური ტაქტიკით, კრომველს არ შეუჩერებია თავისი ენერგიული საქმიანობა. იგი კვლავ გამალებით არჩევდა მოხალისეებს, ცდილობდა თანხები მოეძია თავისი შენაერთისათვის. „ბატონებო, მიეცით ამ ხალხს იმის საშუალება, რომ ჩაიცვან, დაიხურონ და იკვებონ(იგი ჯარისკაცებს გულისხმობდა- ივ.მ.) და ეს შთააგონებს მათ თქვენთვის სისხლი დაღვარონ“- სწერდა კრომველი დაფინანსებაზე პასუხისმგებელ უმაღლეს უწყებებს. იგი ზოგჯერ იმასაც კი არ ერიდებოდა, რომ გესლიანად შეეხსენებინა მათთვის თავისი პირველი რაზმების მისივე ფულით დაფინანსება. როგორც ჩანს, ჯარისკაცებისათვის ფულის საჭიროების საკითხი ისე გახმაურდა, რომ კრომველის დედის, ელიზაბეთ სტივარდის ყურამდე მიაღწია. ამიტომ ეს ხანდაზმული ქალი სწერდა თავის დეიდაშვილს: „იმედია იქნება შესაძლებლობა, რომ ჩემს შვილს გამოუყონ ის თანხა, რომელსაც ის ამდენ ხანს ელოდება.“ იმავე წერილში ელიზაბეთ სტივარდი სთხოვდა თავის ნათესავს, რომ ამ უკანასკნელს დახმარება გაეწია მისთვის კრომველისთვის ფულის გადაგზავნაში. ამრიგად დედამ კრომველს ნათესავის მეშვეობით გაუგზავნა 50 გირვანქა სტერლინგი ჯარის საჭიროებისათვის. შესაშური პოლიტიკური აქტიურობა მცხოვანი ქალბატონის მხრიდან!

პარლამენტის მდგომარეობა გამოსწორდა უინსიბისთან გამარ-

ჯვების შემდეგ. ეს ბრძოლა გაიმართა 1643 წ. 10 ოქტომბერს, ლინკოლნშირის საგრაფოში. პარლამენტის ჯარმა გრაფ მანჩესტერის, სერ თომას ფერფაქსის და კრომველის მეთაურობით გზა გადაუღობა ნიუარკის განმგებლის სერ ჯონ ჰენდერსონის ჯარს, რომელიც ბოლინგბროკ კასლთან გაჭრას და მის აღებას ცდილობდა. ბრძოლა დრაგუნებმა დაიწყეს, რომლებსაც ცხენოსნები მიყვნენ. პირველ შეტევას თავად კრომველი ჩაუდგა სათავეში. როგორც თვითმხილველთა ჩანაწერები გვამცნობენ, კრომველის კავალერიის შეტევის წინ ბრძოლის ველს გამკივანი ხმები მოეფინა. კრომველის ცხენოსნები ფსალმუნების ხმამაღალი გალობით მიდიოდნენ ბრძოლაში. როიალისტებმა ცეცხლი გახსნეს. პირველივე გასროლამ კრომველს ცხენი მოუკლა. იგი უმალ მოახტა სხვა ცხენს, რომელიც მას მიჰგვარეს და შეტევაში გაუძღვა თავის ცხენოსნებს. კრომველის მოხერხებული შემოვლითი მანევრის წყალობით მისი კავალერიის ნაწილმა სრულიად გაანადგურა მის წინ მყოფი სერ მარმადიუკ ლანგდეილის შენაერთი. ამის შემდეგ კრომველმა თავისი კავალერიის რეზერვი როიალისტების მარცხენა ფრთის და ცენტრის წინააღმდეგ გადაისროლა და იქაც წარმატებას მიაღწია. საბოლოო ჯამში როიალისტები დამარცხდნენ. თავად მეფე აპირებდა ბრძოლაში ჩაბმას თავისი პირადი გვარდიით, რათა მდგომარეობა ეხსნა, მაგრამ მის ამ მცდელობას უახლოესი თანმხლები პირები აღუდგნენ წინ და სამშვიდობოს გაიყვანეს მონარქი. უინსბისთან გამარჯვებამ არა მარტო სამხედრო, არამედ პოლიტიკური წარმატებაც მოუტანა პარლამენტს. პარლამენტის ჯარს ხელთ ჩაუვარდა მეფის საიდუმლო მიმოწერა, რომლიდანაც გაირკვა, რომ იგი ინგლისში ინვევდა მეამბოხე ირლანდიელი კათოლიკეებისაგან შემდგარ ჯარს, რათა მისი მეშვეობით შებრძოლებოდა პარლამენტს. ამ საიდუმლოების გამოაშკარავებამ განამტკიცა პარლამენტის იმ დაჯგუფების პოზიცია, რომელიც ომის საბოლოო გამარჯვებამდე მიყვანის მომხრე იყო. ამ სამხედრო გამარჯვებას პოლიტიკური ხასიათის მომგებიანი ნაბიჯიც მოყვა. იმავე წლის მინურულს პარლამენტმა ხელი მოაწერა შოტლანდიელების მიერ წამოყენებულ წმინდა ლიგას და კოვენანტს(პაქტს). ამის საფუძვლად მან მიიღო სამხედრო დახმარება და 1644 წ. დასაწყისში შოტლანდიელთა 20 ათასიანი

ჯარი, რომელიც შედგებოდა კონტინენტზე წარმოებულ 30-წლიან ომში გამობრძმედილი ვეტერანებისაგან და რომლებსაც სარდლობდა გამოცდილი გენერალი დეივიდ ლესლი ჩრდილოეთ ინგლისში შემოვიდა. ამან აიძულა მეფე თავისი ძალების ნაწილი შოტლანდიელების წინააღმდეგ გადაესროლა, რამაც შეამსუბუქა პარლამენტის ჯარის მდგომარეობა. თუმცა კი უნდა ითქვას, რომ ეს დახმარება პარლამენტს ძვირად დაუჯდა. სანაცვლოდ მან სცნო ინგლისში პრესბითერიანული ეკლესიის უზენაესობა.

1644 წ. აღსავსე იყო მნიშვნელოვანი სამხედრო და პოლიტიკური მოვლენებით. შოტლანდიაში მოქმედი როიალისტებისაგან, კერძოდ, მარკიზ მონტროუზისგან მომდინარე საფრთხემ უკარნახა სერ თომას ფერფაქსს თავის საარმიო შენაერთში მოადგილედ ყოლოდა ფართო უფლებამოსილების მქონე კავალერიის მეთაური. ამიტომაც იგი შუამდგომლობით წარსდგა პარლამენტის წინაშე, რათა კრომველისათვის მიენიჭებინათ კავალერიის გენერალ-ლეიტენანტის წოდება. თავის მოთხოვნაში ფერფაქსი წერდა, რომ ეს გადაწყვეტილება გამონვეულია არა მხოლოდ იმ გარემოებით, რომ „ოლივერ კრომველი ჯარისკაცთა და ოფიცერთა საყოველთაო პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს, არამედ იმიტომაც, რომ თავისი პირადი უნარით, თვისებებით და საქმის ცოდნით იგი უნაკლოდ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და კიდევ იმიტომ, რომ მასთან არს ღმერთი და ღვთის მადლი მარადის." ლორდთა პალატის და პირადად გრაფ მანჩესტერის წინააღმდეგობის მიუხედავად პარლამენტმა დააკმაყოფილა სერ თომას ფერფაქსის შუამდგომლობა და კრომველმაც მიიღო გენერალ-ლეიტენანტის წოდება. ფერფაქსმა ეს სასიხარულო ამბავი ამცნო კრომველს. ფერფაქსის დაჟინებული განკარგულებით კრომველი სასწრაფოდ შეუერთდა არმიის მთავარ შტაბს.

1644 წ. გაზაფხულსა და ადრიან ზაფხულში საომარი მოქმედებები ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. დასავლეთში – ლინკოლნშირში და კორნუოლში წარმატება როიალისტების მხარეზე იყო. შიგა საგრაფოებში ძალზე უნიათოდ მოქმედებდა პარლამენტის გაერთიანებული ჯარების მთავარსარდალი გრაფი ესექსი. სამაგიეროდ აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის საგრაფოებში წარმატება პარლა-

მენტის მხარეზე იყო. ჩრდილოეთში მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ჩარლზ I უბრძანა უფლისწულ რუპერტს შეეწყვიტა სამხედრო ოპერაციები ლანკაშირში და გადასულიყო ჩრდილოეთში ჰერცოგ ნიუკასლის დასახმარებლად. ორივე მხარის სარდლობის ვარაუდით მოსალოდნელ გენერალურ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა ომის სამომავლო მსვლელობა. ივნისის მიწურულს მოწინააღმდეგე მხარეები ერთმანეთის საპირისპიროდ განლაგდნენ მარსტონ მურთან, იორკიდან 10 კილომეტრის მოშორებით. პარლამენტის ჯარს გრაფი მანჩესტერი, სერ თომას ფერფაქსი და კრომველი სარდლობდნენ, როიალისტებისას – ჰერცოგი ნიუკასლი და უფლისწული რუპერტი. მომავალი ბრძოლა აღიქმებოდა როგორც ორი ტიპის კავალერიის და შესაბამისად, მათი სარდლების შერკინება. ერთ მხარეზე უფლისწული რუპერტი, დიდგვაროვანი, კავალერი, თავზეხელაღებულად მამაცი და რომანტიკული დიდებით შემოსილი, მეორეზე – გენერალ-ლეიტენანტი ოლივერ კრომველი, ასევე მამაცი, მაგრამ გააზრებული, ყველაფრის მშვიდად ამწონ-დამწონი, მტკიცე და უდრეკ ნებისყოფას დაქვემდებარებული. იმაზე, რომ კრომველს წარმატებული მეთაურის სახელი გაუვარდა, შემდეგი ფაქტი მეტყველებს. მომავალი ბრძოლის წინ პარლამენტის ჯარში დაბრუნდა როიალისტების მიერ დატყვევებული და შემდეგ გათავისუფლებული ჯარისკაცი. სწორედ მან მოიტანა ის ამბავი, რომ კრომველით თავად უფლისწული რუპერტი დაინტერესდა. „კრომველი აქ არის?"- იკითხა თურმე რუპრტმა ისე, რომ ვერ მალავდა თავის ცნობისმოყვარეობას. „ღვთის მადლით, ის კიდევ ბევრს იომებს"- მოლუშული სახით, თავდაჭერილად ჩაილაპარაკა კრომველმა, როდესაც ეს სიტყვები მოისმინა.

მარსტონ მურის ბრძოლა 1644 წ. 2 ივლისს გაიმართა. ბრძოლის წინ ველზე მოწინააღმდეგეები შემდეგნაირად განლაგდნენ. როიალისტების მარჯვენა ფრთაზე უფლისწული რუპერტი იდგა თავისი კავალერიით. მის წინააღმდეგ პარლამენტის ჯარის მარცხენა ფრთაზე კრომველი იყო, რომლის განკარგულებაში იყვნენ მისი ცხენოსნები, შოტლანდიელი დრაგუნები და დეივიდ ლესლის შოტალნდიელი ცხენოსნები. როიალისტები ცენტრში კი იდგა ქვეითი ჯარი ჰერცოგ ნიუკასლის მეთაურობით. მას გრაფ მანჩესტერის ქვეითები უპირის-

პირდებოდნენ. როიალისტების მარცხენა ფრთაზე ლორდ გორინგის ცხენოსნები იდგნენ, რომლებსაც უპირისპირდებოდა პარლამენტის კავალერია სერ თომას ფერფაქსის მეთაურობით. უშუალო შეტაკებას წინ უძღოდა ძლიერი საარტილერიო ცეცხლი. „ზარბაზნების ცეცხლმა მთელი ჰაერი ცეცხლოვან სტიქიად აქცია"- ასე აღწერდა ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე განუწყვეტელ საარტილერიო ცეცხლში გახვეულ გარემოს. მაგრამ უშუალო შეტევის დაწყება ვერ ხერხდებოდა იმის გამო, რომ დილიდან, დღის მანძილზე რამდენიმეჯერ იწვიმა. ატალახებულ მიწაზე კი ვერ მოხერხდებოდა ვერც ქვეითების და ვერც ცხენოსნების ამოქმედება. მოსაღამოვდა, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ბრძოლა საერთოდ არ გაიმართებოდა. და აი უცებ, დაწყებულ კოკისპირულ წვიმაში, როიალისტებისათვის სრულიად მოულოდნელად პარლამენტის ჯარმა შეტევა წამოიწყო. ეს იყო პარლამენტის ცენტრში განლაგებული იმ შენაერთების ჯგუფი, რომლებსაც გრაფი ლივენი(ალექსანდრ ლესლი) მეთაურობდა. ლივენის შენაერთებს კი კრომველის კავალერია მიყვა, რომლის ხელქვეით დეივიდ ლესლის შოტლანდიელი ცხენოსნებიც იყვნენ. როგორც თვითმხილველები იხსენებდნენ, ეს იყო ახალი ტიპის შეტევა. მხედრები არა გაფანტულად, არამედ შემჭიდროვებულ რიგებად მიჰქროდნენ, უფრო ჩორთით, ვიდრე ოთხით, როგორც ეს მაშინ იყო მიღებული. „ერთად შემჭიდროვებულნი, ისინი ვეება ლეგა ღრუბელს წააგავდნენ"- იხსენებდა გრაფ მანჩესტერის შენაერთებში მყოფი კაპელანი საიმონ ეში. კრომველის ცხენოსნები გააფთრებით ეკვეთნენ მოწინააღმდეგეს. „ჩვენ გაბედული წესრიგითა და მანამდე არნახული სიამაყით ვიყავით აღვსილნი, როდესაც გორაკიდან დავეშვით"- სიამაყით იხსენებდა იმ შეტევის დასაწყისს კრომველის საბრძოლო დაზვერვის უფროსი ლეონარდ უოტსონი.

კრომველი როიალისტების ფრთის იმ მონაკვეთს უტევდა, რომელსაც ლორდი ბაირონი იცავდა(დიდი პოეტის წინაპარი). ლორდმა ბაირონმა გადაწყვიტა მოწინააღმდეგეს ფრონტალური დარტყმით შეგებებოდა. ეს შეცდომა იყო. ამით მან ფაქტობრივად გზა გადაუღობა თავის მუშკეტერებს და არ მისცა მათ სრულფასოვანი მოქმედების საშუალება. მოგვიანებით ლორდ ბაირონის ამ შეცდომაზე მიუთითებ-

და უფლისწული რუპერტი. მისი თქმით, ლორდ ბაირონის ამ სცენამ დიდი ზიანი მიაყენა მეფის ჯარს.

ამ ბრძოლის დასაწყისში კრომველი კისერში დაიჭრა. ამის თაობაზე ორგვარი მოსაზრება არსებობს. ბალსტროდ უაითლოკის თქმით ეს ჭრილობა უცაბედი ტყვიის შედეგად იყო მიყენებული. მისგან განსხვავებით ამ ბრძოლის მონაწილე, როიალისტი პოლკოვნიკი მარკუს ტრევორი ამტკიცებდა, რომ სწორედ მან დაჭრა კრომველი ერთ-ერთი შერკინების დროს. ამისათვის მას რესტავრაციის დროს სტიუარტებმა მარკიზის წოდებაც კი უბოძეს. დაჭრილ კრომველს ბრძოლის ველის დატოვება მოუხდა, რათა მისთვის ჭრილობა გადაეხვიათ. როგორც ჩანს, კრომველის ბრძოლის ველზე არყოფნამ გარკვეული გავლენა იქონია საბრძოლო მოქმედებების უშუალო მსვლელობაზე. უფლისწულმა რუპერტმა მთელ თავის ცხენოსნებს მოუყარა თავი, ტრადიციისამებრ გრიგალივით დაატყდა თავს პარლამენტის ჯარის მარცხენა ფრთას და უკუაქცია იგი. მდგომარეობა იხსნეს შოტლანდიელმა ცხენოსნებმა დეივიდ ლესლის მეთაურობით, რომლებმაც მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს რუპერტის კავალერიას და არ მისცეს მას საშუალება კიდევ უფრო განევითარებინა თავისი წარმატება. მწყობრში დაბრუნებისთანავე კრომველმა გადააჯგუფა თავისი ძალები და ხელახლა შეუტია რუპერტს. შეტევა არნახულად ძლიერი გამოდგა. როიალისტებმა ჯერ უკან დაიხიეს, მერე კი უკანდხევა უწესრიგო გაქცევად გადაიქცა. თვითმხილველთა თქმით, კრომველის კავალერია, რომელიც მტერს მიერეკებოდა, უტევდა მწყობრად, ორგანიზებულად და მზად იყო ნებისმიერ დროს შეეცვალა მოქმედების მიმართულება და შეესრულებინა ახალი ტაქტიკური დავალება.

მაგრამ ფრონტის სხვა მონაკვეთებზე პარლამენტის ჯარი არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ლორდ გორინგის კავალერია უტევდა და ავიწროვებდა პარლამენტის ჯარის მარჯვენა ფრთას, რომელსაც სერ თომას ფერფაქსი მეთაურობდა. ცენტრში როიალისტების წარმატებულმა კონტრეშეტევამ უკუაქცია გრაფ მანჩესტერის ქვეითები. მდგომარეობა საგანგაშო იყო. თუ სერ თომას ფერფაქსი ვერ შეაჩერებდა ლორდ გორინგის შეტევას, მაშინ ეს

უკანასკნელი ფლანგიდან დაარტყამდა ცენტრში მყოფ გრაფ მანჩესტერის ქვეითებს, რაც პრაქტიკულად მოშლიდა პარლამენტის ცენტრს. პარლამენტის ჯარის უიმედო მდგომარეობაზე ისიც მეტყველებს, რომ სერ ფერდინანდ ფერფაქსმა, გრაფმა მანჩესტერმა და ალექსანდრ ლესლიმ ბრძოლის ველი დატოვეს, რადგან ბრძოლა წაგებულად მიაჩნდათ.

მდგომარეობა კვლავ კრომველმა იხსნა. მიიღო რა შეტყობინება სერ თომას ფერფაქსისაგან მისი კრიტიკული მდგომარეობის შესახებ, რომელმაც იმდენად დაიხია უკან, რომ კრომველის პოზიციებს მიუახლოვდა, ამ უკანასკნელმა მოაბრუნა თავისი ცხენოსნები და კვლავ შემჭიდროვებული რიგებით, მთელი ძალით ეკვეთა ლორდ გორინგის ზურგს. გორინგი არ ელოდა მტრის შემოტევას, რადგანაც მიაჩნდა, რომ ბრძოლა მოგებული იყო. გორინგის ცხენოსნებმა ვერ გაუძლეს კრომველის მძლავრ შეტევას და უკან დაიხიეს. მოგვიანებით უკანდახევა პანიკურ გაქცევად გადაიქცა. კრომველმა დეზორგანიზებულ მტერს იორკამდე სდია. დაღამდა, მთვარე ამოვიდა და ბრძოლის ველი გაანათა, რომელიც უმოწყალო ჟლეტის ასპრეზად იყო ქცეული. როიალისტებმა 4 ათასი კაცი დაკარგეს, პარლამენტის ჯარს ხელში ჩაუვარდა 1500 ტყვე, მათგან 100 ოფიცერი, 20 ზარბაზანი, 100 დროშა, დიდი რაოდენობით იარაღი და სხვადასხვა სახის სამხედრო აღჭურვილობა. ბრძოლის შემდეგ კრომველის ცხენოსნები ჩამოქვეითდნენ და ფსალმუნების გალობით მადლობა შესწირეს ღმერთს გამარჯვებისათვის. მარსტონ მურის ბრძოლის შემდეგ ფაქტობრივად განადგურებულ იქნა ჰერცოგ ნიუკასლის ჯარი, ხოლო თავად ჰერცოგი კონტინენტზე გაიქცა.

მარსტონ მურთან ბრძოლაში გამარჯვებამ დიდებით შემოსა კრომველი. მისმა მოხერხებულმა მანევრებმა, უნარმა კრიტიკულ მომენტებში სწრაფად მიეღო გადაწყვეტილებები ისეთივე გადამწყვეტი როლი ითამაშეს გამარჯვების მოპოვებაში, როგორც მისი ჯარისკაცების და ოფიცრების სიმამაცემ და თავდადებამ. კრომვლეზე ალაპარაკდნენ. „მას ღმერთი უმაგრებს ზურგს და იგი სახელოვანი ხდება“- ამბობდა იმ დროის ცნობილი თეოლოგი და მქადაგებელი ჯოშუა სპრიგი. ბალსტროდ უაითლოკი და კრომველის თანამებრძო-

ლი ედმუნდ ლადლოუ უშუალოდ მას მიაწერდნენ ამ გამარჯვებას. უაითლოკის თქმით, მარსტონ მურთან გამარჯვება იყო კრომველის ჯილდო ერთგული მსახურებისთვის. აღნიშნავდა რა დეივიდ ლესლის და მისი შოტლანდიელი ცხენოსნების წვლილს მარსტონ მურთან გამარჯვებაში, ლეონარდ უოტსონი წერდა, რომ „ძნელია არ დაეთანხმო იმ აზრს, რომ სწორედ კრომველი, მისი შთაგონება, რომლითაც მან აღანთო თავისი კავალერია და საერთოდ, აღმოსავლეთის ასოციაციის მეომრები, მისი განსაკუთრებული უნარი, მანამდე გაუგონარი ამ დროის კავალერიის მეთაურებში, ხელახლა თავი მოუყაროს თავის ცხენოსნებს და გაუძღვეს შეტევაში, წარმოადგენს მარსტონ მურთან გამარჯვების მთავარ იარაღს.“ „ეს კაცი ბრძენი და საზრიანი გონების პატრონია, ყველას მიერ მოყვარული, ღრმად მორწმუნე და მამაცი“ – ამბობდა კრომველზე პარლამენტის ჯარში მებრძოლი შოტალნდიელი, პოლკოვნიკი უილიამ ბეილი. ქება და დიდება არც კრომველის მეომრებს დაჰკლებიათ. „ევროპას არ უნახავს ამათზე უკეთესი ჯარისკაცები“- ამბობდა კრომველის მეომრებზე 30-წლიან ომში გამობრძმედილი ვეტერანი, თავად ცნობილი სარდალი გრაფი ლივენი(ალექსანდრ ლესლი). მაგრამ ყველაზე ღირშესანიშნავი ის არის, როდესაც ქება მტრის ბანაკიდან მოდის. და კრომველს არც ეს დაკლებია. „მათი რიგების გარღვევა შეუძლებელია! ის რკინისგვერდებიანია!“ ასე უწოდა მარსტონ მურთან ბრძოლის შემდეგ კრომველს თვით უფლისწულმა რუპერტმა მისი შეუვალობისა და უდრეკი ხასიათის გამო. სულ მალე ეს მეტსახელი მის მეომრებზეც გავრცელდა და კრომველის ჯარისკაცებს მხოლოდ „რკინისგვერდებიანებად“(Ironsides-ინგლ.) მოიხსენიებდნენ. ეს მომენტი უთუოდ საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია. უფლისწული რუპერტი, თავად ბრწყინვალე მეომარი, რაინდი და სარდალი, ამჯერად კი უკვე დამარცხებული, ქებით ამკობს თავის გამარჯვებულ მოწინააღმდეგეს. ალბათ ეს არის ჭეშმარიტი რაინდობა. თავად შესანიშნავი მეომარი, თავზეხელაღებულად მამაცი, რუპერტი თვალს უსწორებს მწარე სინამდვილეს და დამარცხებული, მოძებნის თავის თავში ძალებს და ხმამაღლა აღიარებს მოწინააღმდეგის უპირატესობას, რომელიც მასზე ძლიერი გამოდგა. ჭეშმარიტად რაინდული ნაბიჯი! მთელი სამოქალაქო ომის მანძილზე

ალბათ ეს იყო უფლისწულ რუპერტის ყველაზე დიდი გამარჯვება! რაც შეეხება კრომველს, ის მისთვის ჩვეული პურიტანული სისადავითა და თავდაჭერით გამარჯვებას ღმერთს მიაწერდა. „ჩვენ გავანადგურეთ უფლისწულის მთელი კავალერია. უფალმა ისინი ჩვენი დაშნების ნამკალდ აქცია. ყველაფერი ეს ნიშანია იმისა, რომ ღვთისნიერი ხალხი კურთხეულია ღმერთის მიერ“ – წერდა იგი თავის პატაკში. ამბობენ, რომ მარსტონ მურთან ბრძოლის წინ კრომველი გაკრვეული ხნით გაუჩინარდა. მას შემთხვევით, მალულად მიაგნეს. დაჩოქილს, წინ ბიბლია ედო და თავდავიწყებით ლოცულობდა. უფალმა შეისმინა მისი ლოცვა და ვედრება.

დიდების გზაზე

რა მოუტანა კრომველს მარსტონ მურთან ძლევამოსილმა გამარჯვებამ? პირველ რიგში რასაკვირველია სახელი, დიდება და მანამდე არნახული პოპულარობა. მაგრამ როგორ იქნებოდა ეს აღქმული მის გარემოცვაში, იმ ადამიანების მიერ, რომლებიც მის მხარდამხარ იბრძოდნენ საერთო მიზნის მისაღწევად, თუმცა კი რიგ შემთხვევაში მათ ამ მიზნის მისგან განსხვავებული ხედვა ჰქონდათ? რამდენად დაუახლოვებდა ან პირიქით, დააცილებდა კრომველს მისი აღმასვლა რევოლუციური ბანაკის წამყვან წევრებს? კრომველის სახელი და დიდება მას ხომ მათ მეტოქედ აქცევდა?! და მართლაც, ჩაცხრა თუ არა მარსტონ მურის ბრძოლასთან დაკავშირებული ვნებათაღელვა, მოვლენათა მსვლელობამ და მათ შეფასებაში არსებულმა სხვაობებმა წარმოაჩინეს მანამდე მეტ-ნაკლებად დაფარული წინააღმდეგობები. მარსტონ მურის შემდეგ ჯარი, რომელსაც გრაფი მანჩესტერი და კრომველი მეთაურობდნენ, დაბრუნდა აღმოსავლეთის საგრაფოებში, რათა უზრუნველყო მათი დაცვა როიალისტების შესაძლო შემოტევისაგან. მაგრამ კრომველს არ აკმაყოფილებდა ეს პასიური მდგომარეობა. მან მანჩესტერს ახალი კამპანიის დაწყება შესთავაზა. მათი არმია დასავლეთის საგრაფოებში, კერძოდ ჩეშირში უნდა გადასულიყო, რათა საბოლოოდ გაენადგურებინა იქ მყოფი უფლისწულ რუპერტის შენაერთები. მანჩესტერმა უარყო ეს წინადადება, მაგრამ სანაცვლოდ არც აქტიური მოქმედება დაუწყია აღმოსავლეთში. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ლინკოლნშირში იყო ციხე-სიმაგრეები, რომლებიც როიალისტებს ჰქონდათ დაკავებული. მაგრამ გრაფი მანჩესტერი არ ჩქარობდა მათ გათავისუფლებას.

თუ აღმოსავლეთის საგრაფოებში პარლამენტის ჯარი პრაქტიკულად უმოქმედოდ იყო, სხვა საგრაფოებში მისი შენაერთები წარუმატებლობას განიცდიდნენ. რამდენიმეჯერ დამარცხდა კორნუოლში მოქმედი გრაფი ესექსი. სექტემბერში პლიმუტთან მტერს დანებდა

გენერალი სკიპონი. მართალია, სკიპონი და მისი ჯარი მოგვიანებით გაათავისუფლეს, მაგრამ სანაცვლოდ მათ მთელი თავისი იარაღი და სხვა სამხედრო აღჭურვილობა დაუტოვეს როიალისტებს. ამ დამარცხებას, თანაც ასეთი დასასრულით მძიმედ განიცდიდნენ პარლამენტის არმიაში. ასეთი პასიურობის ლოგიკურ დასასრულს წარმოადგენდა პარლამენტის ჯარის წარუმატებლობა 1644 წ. ოქტომბერში ნიუბერისთან. მთავარსარდალი გრაფი ესექსი ავადმყოფობის გამო არ მონაწილეობდა ამ ბრძოლაში. გაერთიანებული სარდლობა მიანდეს გრაფ მანჩესტერს, კრომველსა და სკიპონს, რომლებიც ვერ შეჯერდნენ ბრძოლის საერთო გეგმაზე. მაგრამ ყველაზე უარყოფითი როლი ითამაშა მანჩესტერის პასიურობამ და გაუგებარმა მოქმედებამ. მას დაევალა მეფისათვის ოქსფორდში მიმავალი გზა გადაეჭრა. მანჩესტერმა დააგვიანა ბრძოლის ველზე მისვლა, თავად ოპერაცია კი ერთობ უნიათად ჩაატარა. ამის წყალობით მეფემ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მოახერხა ოქსფორდში დაბრუნება, სადაც მისი შტაბ-ბინა იმყოფებოდა. უფრო მეტიც, რამდენიმე დღის შემდეგ იგი ჯარითურთ უკან გაბრუნდა და ნიუბერის გვერდით მდებარე ციხე-სიმაგრე დონინგტონ კასლი დაიკავა, საიდანაც დიდი რაოდენობით ზარბაზნები და სხვა ცეცხლსასროლი იარაღი გაიტანა. აღნიშნული წარუმატებლობა სარდლობის ზოგიერთი წარმომადგენლის პასიურობის შედეგი იყო, მაგრამ რა განაპირობებდა ამ პასიურობას უშუალოდ ბრძოლის ველზე? იყო ეს მხოლოდ სამხედრო ხელოვნებაში დაშვებული შეცდომა?

სამხედრო ასპარეზზე თავისი გააქტიურებიდან მოყოლებული კრომველი მაღალი წრის წარმომადგენელთა შორის აღმოჩნდა. გრაფი ესექსი, გრაფი მანჩესტერი, ლორდი უილოუბი, სერ ფერდინანდ და სერ თომას ფერფაქსები. კრომველის გარემოცვაში ყველას კარგად ახსოვდა მისი გამონათქვამი იმის თაობაზე, რომ მას უბრალოდ ჩაცმულ-დახურული და გაუთლელი კაპიტანი, რომელსაც ესმის, თუ რისთვის იბრძვის, ურჩევნია ფუყე ჯენტელმენს, ხოლო გრაფი მანჩესტერი არ მალავდა თავის აღშფოთებას იმის გამო, რომ კრომველი თავის ნაწილებში თავს უყრიდა უბრალო ხალხს და აწინაურებდა მათ. კრომველისთვის ხომ მთავარი იყო იმ საქმისათვის, რომლისთვისაც

პარლამენტი იბრძოდა ვარგისი, შესაფერისი ხალხი შეერჩია. ასეთები კი მისი ღრმა რწმენით მხოლოდ ღვთისმოსავი და ღვთისმოშიში ადამიანები იყვნენ. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ეს ადამიანი მეწაღე იყო თუ მედროგე. მას ურყევად სწამდა, რომ წმინდა ომში იყო ჩაბმული და ამიტომაც უგულებელყოფდა ნებისმიერ საზოგადოებრივ თუ ქონებრივ განსხვავებას. საომარი მოქმედებების გართულებასთან ერთად კრომველმა კიდევ უფრო წინ წაიწია თავისი შეუვალი, მტკიცე ხასიათის და ნებისყოფის გამო და დაჩრდილა მერყეევი და უნებისყოფო ადამიანები. ამას არ შეეძლო არ გამოეწვია შეშფოთება დიდგვაროვანი და წარჩინებული წარმოშობის გენერლებსა და ოფიცრებში. ისინი ხვდებოდნენ, რომ ომი საკმაოდ სახიფათო მოვლენას შობს. ასპარეზზე შემოდიოდა ხალხის ინტერესების დამცველი ბელადი, რომელსაც გვერდში ედგა ძლევამოსილი, მის დაქვემდებარებაში მყოფი ჯარი. იმ უბრალო, მდაბიო ადამიანების ერთგულებაში კრომველის მიმართ, რომლებსაც ის აწინაურებდა, არავის ეპარებოდა ეჭვი. ამ ადამიანებში რელიგიური ენთუზიაზმის და სამხედრო ძლიერების ამგვარი ურთიერთგადაჭდობა კრომველის კრიტიკოსთა აზრით დამლუპველ შედეგს მოიტანდა საზოგადოებისათვის. მდაბიოთა ცხენებზე ამხედრება და თანაც გაშიშვლებული დაშნებით ხელში მმართველი კლასებისათვის კატასტროფის ტოლფასი იყო. ამიტომაც ამბობდნენ პარლამენტის მომხრე დიდგვაროვნები: „შთამომავლობა იტყვის, რომ ჩვენ იმიტომ მოვაცილეთ ქვეყანას მეფის უღელი, რომ მდაბიოთა უღელი დაგვედგა მასზე.“ სწორედ ამიტომ არ აქტიურობდნენ წარჩინებული წარმოშობის გენერლები და ოფიცრები, რომ ხალხის აღზევების ეშინოდათ. ამას კი შეიძლება რადიკალური ძალების გამარჯვებას მოყოლოდა. აქედან გამომდინარე, ჯარის რადიკალური ელემენტები და მათი მეთაური ოლივერ კრომველი, რომელიც სერ ჯონ ჰოტამის თქმით უგვარო სექტანტების მფარველი იყო და მეტი არაფერი, საფრთხეს წარმოადგენდნენ დიდგვაროვანი, ზომიერად განწყობილი სამეთაურო შემადგენლობისათვის.

მაგრამ კრომველს სრულიად არ აშინებდა ამ ე.წ. უგვაროთა აღზევება. იგი ძალიან მშვიდად ეკიდებოდა მათ რადიკალურ რელიგიურ შეხედულებებს. სწორედ ამიტომ სწერდა დაუფარავი ირონიით

რამდენიმე ასეთ ადამიანზე საფოლკის კომიტეტს: „ თქვენ ამბობთ, რომ ეს ადამიანები სირთულეებს შეუქმნიან ქვეყანას? ეს ხალხი მე გამომიგზავნეთ და როდესაც ისინი თქვენთვის იბრძოლებენ და ომის პირობებში შექმნილ ნებისმიერ გაჭირვებას გაუძლებენ, რასაც თქვენს მიერ ნაქები ადამიანები უბრალოდ ვერ გადაიტანენ, აი მაშინ კი ნებას იბოძებთ და პატიოსან ხალხად ჩათვლით მათ.“ ამგვარად, ჯარის სარდლობაში კონფლიქტი მწიფდებოდა. მაგრამ ეს ჯერ არ იყო უშუალო დაპირისპირება, რომელიც პირადი თანამდებობრივი აღმასვლის სურვილით იყო გამოწვეული. საქმე პრინციპებს ეხებოდა. კრომველს ურყევად სწამდა, რომ ის წმინდა ომში იყო ჩაბმული და ბრძოლის ველზე ღმერთის ნებას აღასრულებდა. ეს უზენაესი ნება კი მას იოტისოდენა დარღვევის გარეშე უნდა შეესრულებინა. ამიტომაც იყო ის ასეთი უდრეკი და შეუვალი თავის კოლეგა-მეთაურებთან ურთიერთობის გარკვევისას. სწორედ ასეთი სიტუაცია შეიქმნა პარლამენტის ჯარის სამხედრო საბჭოს სხდომაზე, რომელიც გაიმართა 1644 წ. 10 ნოემბერს დონიგტონ კასლთან. ამ სხდომაზე კრომველმა განაცხადა, რომ საბოლოო წარმატების მისაღწევად მეფის ჯარს უნდა დადევნებოდნენ. მაგრამ გრაფმა მანჩესტერმა კატეგორიულად გაილაშქრა ამ წინადადების წინააღმდეგ. პარლამენტის ჯარის წარუმატებლობა გრაფმა განგების ნებას მიაწერა და არა თავის პასიურობას და უნიათო მოქმედებას. კრომველი დაჟინებით ითხოვდა სამხედრო მოქმედებების გაგრძელებას, მიუხედავად იმისა, რომ ჯარისკაცები დაღლილები, ხოლო ცხენები გამოფიტულები იყვნენ. ამას კრომველი იმით ხსნიდა, რომ არსებობდა ცნობები საფრანგეთის მოსალოდნელი ინტერვენციის შესახებ, იმისათვის, რომ ჩარლზ I გაეწიათ დახმარება. მანჩესტერმა ამ ინფორმაციას უსაფუძვლო უწოდა და განაცხადა, რომ საერთოდ საჭირო არ იყო აჩქარება. ამას იგი შემდეგნაირად ხსნიდა: „ასი ბრძოლიდან ჩვენ რომ მეფე ოთხმოცდაცხრამეტჯერ დავამარცხოთ, ის კვლავინდებურად მეფედ დარჩება. მაგრამ საკმარისია, რომ მეფემ ერთხელ მაინც დაგვამარცხოს, რომ ჩვენ ყველას ჩამოგვახრჩობენ, ჩვენი შთამომავლები კი მონებად იქცევიან.“ „მილორდ, მაშინ თავიდანვე რატომ ავიღეთ ხელში იარაღი? გამოდის, რომ საერთოდ არ არის საჭირო ბრძოლა? მაშინ ახლავე დავუზავდეთ მეფეს,

რაც არ უნდა დამამცირებელი პირობები შემოგვთავაზოს“ – ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე უთხრა მას კრომველმა. ამგვარად, სამხედრო საბჭოზე მეთაურებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას. პარლამენტის ჯარმა დატოვა ნიუბერი და რედინგისკენ დაიხია. თვლიდა რა თავს გამარჯვებულად, 23 ნოემბერს ჩარლზ I ზარ-ზეიმით შევიდა ოქსფორდში. შექმნილმა მდგომარეობამ დაარწმუნა კრომველი, რომ კიდევ უფრო ენერგიულად უნდა შეეტია მანჩესტერისათვის, თუმცა კი ამ უკანასკნელს სერ თომას ფერფაქსი უჭერდა მხარს და პარლამენტის მესვეურთა უმრავლესობა იზიარებდა მეფესთან დაზავების მოსაზრებას.

1644 წ. ნოემბერში კრომველმა წარადგინა პარლამენტში დაწვრილებითი ანგარიში ნიუბერის სამხედრო კამპანიის შესახებ. ამ ანგარიშში მან დაუფარავად დაადანაშაულა გრაფი მანჩესტერი პარლამენტის ჯარის წარუმატებლობაში. „ვაცხადებ. – თქვა კრომველმა, რომ გრაფი მანჩესტერი ყველაზე მეტად არის დამნაშავე ამ ყველა სამხედრო წარუმატებლობაში და მათგან გამომდინარე ყველა უარყოფით მოვლენაში. ეს არ მომხდარა რაღაც შემთხვევითი და კერძო ვითარებების ან რაიმე წინდაუხედაობის გამო, არამედ იმიტომ, რომ მის ბრწყინვალებას პრინციპულად არ სურს ეს ომი გამარჯვებად აქციოს.“ კრომველის თქმით მანჩესტერს ხშირად უთქვამს, რომ მას ეს ომი არ მოსწონს და ურჩევნია ბრძოლის ნაცვლად მეფეს დაუზავდეს. თავის მხრივ მანჩესტერმა კრომველს ბრალი დასდო დაუმორჩილებლობაში, ამბოხების მოწყობაში და სწრაფვაში ინგლისში თავადაზნაურობა მოესპო, რადგანაც ლორდები არ უყვარდა. მანჩესტერმა ისიც კი გაიხსენა, რომ კრომველმა მას ერთხელ უთხრა: „რა იყო იმ დროს ურიგო, თქვენ ჯერ კიდევ მისტერ მონტეგიუ რომ იყავით?“ ასე რომ ეს დავა გადიოდა საბრძოლო ტაქტიკის მეთოდებს მიღმა და პოლიტიკურ შინაარსს იძენდა. გრაფ მანჩესტერს ლორდები და პრესბიტერიანები უჭერდნენ მხარს, კრომველს – თემთა პალატა და ინდეპენდენტები. კონფლიქტი ისე შორს წავიდა, რომ დეკემბერში მანჩესტერმა და ესექსმა ლონდონის ყველაზე გავლენიან და ავტორიტეტულ იურისტებს მიაკითხეს, მათ შორის კრომველის მეგობარს და ცნობილ მემუარისტს ბალსტროდ უაითლოკს იმისათვის, რათა

გაერკვიათ, შეიძლებოდა თუ არა კრომველის პასუხისგებაში მიცემა როგორც შფოთისთავის და მეამბოხის. მაგრამ იურისტებმა მათ აუხსნეს, რომ სამართლებრივი დევნის დაწყება კრომველის წინააღმდეგ შეუძლებელი იყო სამხილების არარსებობის გამო. საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ინგლისური სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობამ და შეუვალობამ აქაც იჩინა თავი! სამოქალაქო ომის პირობებში, პარლამენტის ჯარის სარდლობის უმაღლესმა წარმომადგენლებმა, ავტორიტეტით შემოსილმა დიდგვაროვანმა გენერლებმა ვერაფერი გააწვყეს მოსამართლეთა და სასამართლოს კომპეტენტურობისა და უფლებამოსილების წინააღმდეგ!

მაგრამ ყველაფერი ეს ვერ განმუხტავდა დაძაბულობას, რადგან კონფლიქტი გასცდა პირად დაპირისპირებულობას. მის უკან გაცილებით მასშტაბური, სახელმწიფო პრობლემები იდგა, რომლებიც ვერ აღმოიფხვრებოდა პირადი დაშოშმინებით. 1644-1645 წწ. ზამთარში მდგომარეობა უფრო დამძიმდა. მეფესთან მორიგების მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. გაჭიანურებული საომარი მოქმედებები მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობას, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ინგლისური ცნობიერებისათვის დამახასიათებელ უგულებელყოფას სამხედრო საქმისა და საერთოდ სამხედროებისადმი. პარლამენტის არმიის ნაკლოვანებებზე უკვე მის სარდლობაშიც ლაპარაკობდნენ. მაგ. გენერლები დეივიდ ლესლი და უილიამ უოლერი გამოთქვამდნენ აზრს იმის შესახებ, რომ საჭიროა ჯარის მეტი კონცენტრაცია და უნიფიცირება. ამგვარი გუნება-განწყობისა და სულისკვეთების თავისებური დაგვირგვინება იყო კრომველის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა თემთა პალატაში 1644 წ. დეკემბერის დასაწყისში. ამ არნახულად შთამბეჭდავ სიტყვაში მან გადაჭრით დააყენა ჯარის ძირეული გარდაქმნის აუცილებლობის საკითხი. „დადგა დრო, როცა სათქმელი უნდა ითქვას, ან საერთოდ უნდა გავჩუმდეთ. ეხლანდელი მდგომარეობის მნიშვნელობა სწორედ ის არის და სხვა არაფერი, რომ საქმე ქვეყნის გადარჩენას ეხება, რომელიც სისხლისგან იცლება. უფრო მეტიც, იგი დაღუპვის პირას დგას ამ გაჭიანურებული ომის წყალობით. ასე რომ, თუ არ ავჩქარდებით და არ მივმართავთ უფრო ქმედით საომარ მოქმედებებს, თუ არ ვუკუაგდებთ ომის გაწელ-

ვას და ერთ წრეზე ბრუნვას, როგორც ეს ფათერაკების მაძიებლებს სჩვევიათ ზღვის გაღმა, ჩვენ ქვეყანას საკუთარ თავს და საერთოდ, პარლამენტსაც შევაძულებთ"- თქვა კრომველმა. ზღვის გაღმა ფათერაკების მაძიებლებში კრომველი კონტინენტზე მიმდინარე 30-წლიანი ომის მონაწილეებს გულისხმობდა. იქ დაქირავებული მეთაურებისა და მეომრებისათვის გაჭიანურებული საომარი მოქმედებები დამატებითი ფულადი სახსრების(მათ შორის გასამრჯელოს) მიღების და მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯის გახანგრძლივების წყარო იყო. „თუ ჩვენ უფრო ენერგიულად არ წავიყვანთ ომს, ხალხის მდგომარეობა აუტანელი გახდება და ეს გვაიძულებს სამარცხვინო ზავი დავდოთ"- დაასკვნა კრომველმა. თავის მოხსენებაში კრომველმა აღარ დაიწყო ყურადღების გამახვილება ცალკეულ პირთა მიერ დაშვებულ შეცდომებზე. მან პირდაპირ შესთავაზა პარლამენტს საომარი მოქმედებების მეთოდის შეცვლა. ამისათვის, მისი აზრით, პირველ რიგში სამხედრო თანამდებობები უნდა დაეტოვებინათ იმ დეპუტატებს, რომლებსაც ძალა და უნარი არ შესწევდათ ან უბრალოდ არ სურდათ უფრო ენერგიულად ეომათ მეფის წინააღმდეგ. კრომველმა იმის რწმენა გამოთქვა, რომ თემთა პალატის არც ერთი დეპუტატი არ იტყოდა უარს გადადგომაზე საერთო-სახალხო საქმის სასიკეთოდ.

ასე წარმოიშვა თვითუარყოფის ცნობილი განკარგულება (Self-Denying Ordinance-ინგლ.). მისი არსი შემდეგში მდგომარეობდა. როგორც თემთა, ასევე ლორდთა პალატების წევრებს 40 დღის განმავლობაში უნდა დაეტოვებინათ სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობები, რომლებიც მათ დაკავებული ჰქონდათ 1640 წ. 20 ნოემბრიდან. თემთა პალატამ ეს კანონი 9 დეკემბერს მიიღო, მაგრამ ლორდთა პალატაში მას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. საბოლოოდ, მხოლოდ 1645 წ. აპრილში ლორდებმა მიიღეს ეს კანონი. გრაფმა ესექსმა, გრაფმა მანჩესტერმა და სხვა პრესბიტერიანმა გენერლებმა დატოვეს არმია. თვითუარყოფის განკარგულებიდან გამომდინარეობდა მეორე აქტი – დადგენილება ახალი ყაიდის ჯარის შექმნის შესახებ(New Model Army-ინგლ.), რომელიც გულისხმობდა პარლამენტის ჯარის ახლებურად ორგანიზებას. სამხდრო რეფორმის არსი შემდეგში მდგომარებოდა: 1) დადგინდა ჯარის ზუსტი კონტინგენტი

– 21 500 კაცის ოდენობით. მათგან 1/3 კავალერია, ხოლო 2/3 ქვეითები იყვნენ; 2) ამ ჯარის შენახვა-უზრუნველყოფისათვის დადგინდა მყარი სახელმწიფო ბიუჯეტი, თვეში 45 ათასი გირვანქა სტერლინგი, შესაბამისად წელიწადში – 580 ათასი; 3) ჩამოყალიბდა ჯარის ახალი სარდლობა და დაინიშნა უმაღლესი მთავარსარდალი, რომლის წოდებაც იყო „არმიის გენერალი"; 4) შემოიღეს ერთიანი სამხედრო ფორმა რიგითი ჯარისკაცებისათვის და უმცროსი ოფიცრებისათვის, წითელი ხიფთანები ან წითელი ქურთუკები; 5) შეიქმნა ერთიანი სადისციპლინო წესდება; 6) სამხედრო ნაწილების სრულად დაკომპლექტების მიზნით შემოიღეს ჯარში სავალდებულო გაწვევა. ამგვარად, ინლისის ისტორიაში პირველად შეიქმნა მუდმივი ჯარი, თანაც რიგი თვისებების თვალსაზრისით უფრო ცენტრალიზებული და უნიფიციერებული, ვიდრე იმ დროის ევროპის კონტინენტზე არსებული რეგულარული არმიები. ასე რომ, კრომველის ეს თავგამოდებული მცდელობა წარმატებით დაგვირგვინდა. მაგრამ კრომველი არ იყო მხოლოდ ახალი ტიპის ჯარის შემქმნელი. ახალი ყაიდის ჯარში, რომელიც თითქმის 22 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს ითვლიდა 1/3 კავალერია შეადგენდა. ესენი იყვნენ კრომველის მიერ საგულდაგულოდ შერჩეული და გაწვრთვნილი ცხენოსნები. მათ პარლამენტის საქმისადმი ერთგულება, რკინისებრი დისციპლინა და არნახულად მაღალი საბრძოლო თვისებები აერთიანებდა. ეს შენაერთი ახალი ყაიდის ჯარის ბირთვს წარმოადგენდა და თუ შეიძლება ითქვას, ყველა დანარჩენს მასზე სწორება უხდებოდა. მთავარსარდლად სერ თომას ფერფაქსი დანიშნეს, პრესბიტერიანი, ზომიერი რელიგიური შეხედულებების ადამიანი. მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ ფერფაქსის კანდიდატურა სხვებთან ერთად კრომველმაც წამოაყენა და თემთა პალატაში წარმოთქმულ თავის სიტყვაში მან სერ თომასი დადებითად დაახასიათა.

თავად კრომველი აღნიშნული ბრძანებულების საფუძველზე თავდაპირველად არ შედიოდა ჯარის სამეთაურო შემადგენლობაში. მაგრამ ყველასათვის ნათელი იყო, რომ ჯარი მის გარეშე უბრალოდ ვერ იარსებებდა. იგი პარლამენტის ჯარის კავალერიის სწორუპოვარი სარდალი იყო. თავდაპირველად მისი გადადგომა რამდენიმეჯერ გადაიდო. 1645 წ. 10 ივნისს კი ფერფაქსმა გენერალიტეტის სხვა წარმო-

მადგენლებთან ერთად შუამდგომლობა აღძრა პარლამენტის წინაშე კრომველის ჯარში მუდმივად დარჩენის შესახებ. კრომველი ახალი ყაიდის ჯარის კავალერიის მეთაურად დაინიშნა უმაღლესი მთავარსარდლის მოვალეობის უფლებამოსილებით. ჯარის სარდლობის და ოფიცერთა გარდა კრომველის ჯარში დარჩენა მოითხოვა ლონდონის მოსახლეობამაც. 5 და 8 ივნისს შესაბამისად ლორდთა და თემთა პალატაში წარადგინეს პეტიციები ლორდ-მერის და დედაქალაქის მუნიციპალიტეტის სახელით, რომლებშიც ითხოვდნენ კრომველის ჯარში დარჩენას. აღნიშნული ნათლად მეტყველებს კრომველის არნახულ პოპულარობაზე ხალხის ფართო მასებში. ეს პოპულარობა კი განპირობებული იყო იმით, რომ მოთხოვნები, რომელთა განხორციელებისათვის კრომველი ესოდენ თავგამოდებით იბრძოდა წარმოადგენდნენ არა მხოლოდ მის პირად ნება-სურვილს, არამედ საერთო-სახალხო მისწრაფებებს. ხოლო როდესაც პოლიტიკურ ასპარეზზე მოქმედი პირი გამოიცნობს ხალხის ნება-სურვილს, გაითავისებს და განახორციელებს მას, იგი ჭეშმარიტად დიდ ადამიანად უნდა ჩაითვალოს!

კრომველის პარლამენტის ცხენოსანი ჯარის სარდლად და მთავარსარდლის მოადგილედ დანიშვნა კრიტიკულ მომენტში მოხდა, რადგან ახლოვდებოდა კავალერებთან გადამწყვეტი ბრძოლა. 1645 წ. ზაფხულში ჩარლზ I ახალი, ფართომასშტაბიანი სამხედრო კამპანია წამოიწყო პარლამენტის წინააღმდეგ. მაგრამ იმავდროულად მეფე არჩევანის წინაშე იდგა, მას ბოლომდე არ ჰქონდა გადაწყვეტილი, დაძრულიყო ჩრდილოეთისკენ, სადაც ის შეუერთდებოდა შოტლანდიელ როიალისტს მარკიზ მონტროუზს და იქიდან გაერთიანებული ძალებით შეუტევდა პარლამენტს, თუ შეჭრილიყო აღმოსაველთის საგრაფოებში და მერე, წარმატების შემთხვევაში ლონდონისთვის შეეტია. საბოლოოდ მეფემ მეორე ვარიანტი არჩია და თავისი ჯარით ნორზჰემპტონისაკენ დაიძრა. მეფის გალაშქრებამ აღმოსავლეთის საგრაფოებისაკენ ძალიან შეაშფოთა პარლამენტის მესვეურები. „ორივე სამეფოს კომიტეტმა," საგანგებო ორგანომ, რომელმაც 1644 წ. იანვრიდან ჩაანაცვლა პარლამენტის უშიშრობის კომიტეტი უბრძანა მთავარსარდალს, სერ თომას ფერფაქსს გზა გადაეღობა მეფისათვის. მაგრამ ფერფაქსს კრომველის დახმარება სჭირდებოდა,

რომლის „რკინისგვერდებიანების“ გარეშე პარლამენტის ჯარს ძალიან გაუჭირდებოდა ბრძოლა უფლისწულ რუპერტის კავალერიასთან. სწორედ აქ გამოჩნდა თვისობრივი სხვაობა პარლამენტის და მეფის ჯარების სარდლობას შორის. სხვაობა პირველ რიგში მოვალეობისა და საერთო საქმისადმი ერთგულების თვალსაზრისით. როგორც კი მიიღო ფერფაქსის შეტყობინება, კრომველი მაშინვე, უამინდობის (წვიმა, ატალახებული გზები) მიუხედავად, უმალ დაიძრა მის ჯართან შესაერთებლად. მანძილი კემბრიჯსა და კისიგლბიურის შორის, სადაც ფერფაქსი იყო დაბანაკებული, მან სამ დღეში გაიარა. კრომველის შენაერთები დღეში 18 მილს გადიოდნენ(1მილი = 1 609 მ). და ეს იმ დროს, როცა მის შენაერთში ცხენოსნების გარდა ქვეითებიც იყვნენ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო ომის პერიოდში სამხედრო შენაერთები დღეში საშუალოდ 10-12 მილს გადიოდნენ. ასე რომ კრომველი სამხედრო მარშის თავისებური რეკორდსმენი აღმოჩნდა. ამიტომაც ჯილდოდ კრომველსა და მის „რკინისგვერდებიანებს“ ფერფაქსის ბანაკში შესვლისას იქ დაბანაკებული ჯარისკაცების აღტაცებული ყიჟინა ერგოთ.

განსხვავებული სიტუაცია იყო როიალისტების ბანაკში. მაშინ, როცა კრომველი ჩქარი მარშით მიემართებოდა ფერფაქსთან შესაერთებლად, მეფე ნადირობდა მამულში, რომელიც კავალერებმა პარლამენტის მომხრე აზნაურს ჩამოართვეს. ზოგიერთი ავტორი ამის ახსნას იმაში ეძებს, რომ ამით მეფე ცდილობდა სიმშვიდე შეეტანა თავის გარემოცვაში, ეჩვენებინა, რომ „ყველაფერი რიგზეა“ და მრგვალთავიანები დიდ საფრთხეს არ წარმოადგენდნენ. მაგრამ როიალისტების ბანაკის შიგა ნაკლოვანებები ამით არ შემოიფარგლებოდა. მეფე ლორდ გორინგის მოსვლას ელოდა, რომლის ცხენოსანი ჯარის ბრძოლის ველზე ყოფნა ძალზე დიდი დახმარება იქნებოდა როიალისტებისათვის. მაგრამ გორინგი არ გამოცხადდა მეფის განკარგულებაში. ამას თითქოსდა ორი მიზეზი ჰქონდა. პირველის თანახმად ლორდი გორინგი ტონტენის ალყით იყო დაკავებული. უფრო საფუძვლიანად მეორე მიზეზს მიიჩნევენ. ლორდი გორინგი არ შეუერთდა მეფის ჯარს უფლისწულ რუპერტთან თავისი პირადი უთანხმოების გამო. ამ ორ მეთაურს შორის გარკვეული დაპირისპირება იყო. თვითეული

ცდილობდა მეფის თვალში უკეთ წარმოჩენილიყო. ასე რომ ამგვარმა ქიშპმა, სუბორდინაციის დარღვევამ საბოლოო ჯამში დაღუპეს როიალისტების საქმე. მაშინ, როცა როიალისტების უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლებს მეფის გაღვიძება უხდებოდათ(თუნდაც ნაშუაღამევს-ივ.მ.) ამა თუ იმ ტაქტიკური სვლის საბოლოოდ დამტკიცებისათვის, კრომველი მუდმივად ჯართან იყო. სწორედ ბრძოლის დაწყებამდე სულ ცოტა ხნით ადრე მან არნახულად მომგებიანი ცვლილება შეიტანა პარლამენტის ჯარის ნაწილების განლაგებაში. მისი ბრძანებით პოლკოვნიკ ჯონ ოკის დრაგუნები ახალ პოზიციაზე გადაისროლეს, რითაც პარლამენტის ჯარის აღნიშნული მონაკვეთი უფრო შეუვალი გახდა. და ალბათ კიდევ ერთი რამ არ უნდა დავივიწყოთ. ეს არის მოწინააღმდეგისადმი დამოკიდებულება. კრომველი ყოველთვის სერიოზულად ეკიდებოდა როიალისტებს. მისგან განსხვავებით კავალერები მაინც აგდებულად უყურებდნენ პარლამენტის ჯარს, რომელიც მათთვის მაინც მრგვალთავიანების გროვად რჩებოდა. დასტურად ლორდ გორინგის სიტყვებიც კი კმარა, რომელიც ახალი ყაიდის ჯარს დაცინვით მოიხსენიებდა და განგებ დამახინჯებულად გამოთქვამდა მის სახელს: "New Model"-ის ნაცვლად "New Doddle"-ს ამბობდა. "Doddle" ჟარგონია და ნიშნავს „გოგრას," ანუ თავს, როგორც მას ზოგჯერ აგდებით უწოდებენ. ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგის არშეფასებას კი საბედისწერო შედეგი მოაქვს!

კრომველის ასეთმა საორგანიზაციო მობილიზაციამ, რომელიც წინ უძღოდა ნესბისთან ბრძოლას თავისებური გაგრძელება ჰპოვა სულიერ ასპექტში. 1645 წ. 14 ივნისს, დილით, სანამ დაიწყებოდა ნესბის ბრძოლა, კრომველი ძალიან კარგ გუნებაზე იყო. იგი ხუმრობდა, იცინოდა და თავის ჯარისკაცებს რიხიანი შეძახილებით ამხნევებდა. და ეს არ იყო უბრალოდ წამოსროლილი ლიტონი სიტყვები. მას ურყევად სწამდა, რომ ღმერთმა იგი აირჩია იმისათვის, რომ ბრძოლის ველზე თავისი უზენაესი ნება განეხორციელებინა. მას ასევე ურყევად სწამდა, რომ ყოვლისშემძლე ღმერთმა შექმნა ახალი ყაიდის ჯარი და ამ საქმეში მას, ოლივერ კრომველს, როგორც თავის რჩეულს, მიაღებინა მონაწილეობა. ამიტომაც ამბობდა: „მე ვიღიმი და ისე ვადიდებ ღმერთს, რომელმაც გამარჯვების რწმენა მიბოძა. მხოლოდ მას სძა-

ლუძს არაფრიდან გააცამტვეროს ის, რაც კი ყველაფერს წარმოადგენს.“

აი ასეთი გუნება-განწყობით შეეგება კრომველი ნესბის ბრძოლას. დილის 10 საათზე ერთმანეთის წინ განლაგებულმა მებრძოლმა მხარეებმა თავისი საბრძოლო ალმები აღმართეს, პარლამენტმა თეთრი ბაბთა, როიალისტებმა – ლობიოს ღერო. ჰაერში იგრიალეს მხარეთა საბრძოლო შეძახილებმა: „დედოფალი მერი!“, რაც იყო კავალერების მიერ დედოფალ ანრიეტ-მარის ინგლისურ ყაიდაზე წარმოთქმული სახელისათვის პატივის მიგება. „ღმერთი და ჩვენი ძალა!“- კიდევ ერთხელ შეაგულიანეს თავისი თავი ახალი ყაიდის ჯარის მეომრებმა. ბრძოლის ველი ორ ფერდობს შორის იყო მოქცეული. პარლამენტის ჯარი ამ ფერდობებს ზემოთ იყო განლაგებული ნესბის მისადგომებთან. თავისი გორაკიდან უფლისწულ რუპერტს საშუალება ჰქონდა თვალყური ედევნა კრომველის კავალერიისათვის. სერ თომას ფერფაქსმა გამოიცნო ეს საფრთხე და დაიწყო ჯარის თავმოყრა ფერდობის ძირთან. მაგრამ ამ გადაადგილების დროს აღმოაჩინა, რომ მის კავალერიას სველი და ფხვიერი მიწის მონაკვეთზე მოუხდებოდა მოქმედება. ეს კი უბრალოდ ჩააგდებდა მისი ცხენოსნების სწრაფ შეტევას. სწორედ ამ დროს კრომველმა ფერფაქსს მიუთითა რედ ჰილის გორაკზე და შესთვაზა სვლა, რომელიც გადამწყვეტი გამოდგა გამარჯვების მოპოვებაში. „მერწმუნეთ, ამ გორაკისაკენ გადაადგილდით. ამით მოწინააღმდეგეს პროვოკაციაზე წამოვაგებთ, ვუბიძგებთ, რომ შემოგვიტიოს და სწორედ ეს შეტევა დაღუპავს მას“- უთხრა მან ფერფაქსს. უფლისწულ რუპერტს არ გამორჩენია მოწინააღმდეგის მარცხნივ გადაადგილება. უფლისწულმა მრგვალთავიანების ეს მოძრაობა მოწინააღმდეგის თავისებურ უკანდახევად აღიქვა და მთელი თავისი ძალების თავმოყრა ბრძანა. სწორედ ამ დროს კრომველის კავალერია ფერდობთან მდებარე ტაფობში განთავსდა, რითაც ფაქტობრივად გაქრა რუპერტის მხედველობის არიდან. გარდა ამისა, კრომველმა კიდევ ერთი გონივრული სვლა გააკეთა. ბრძოლის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე მან უბრძანა დრაგუნების მეთაურს პოლკოვნიკ ჯონ ოკის მისი უკვე ჩამოქვეითებული დრაგუნები სასწრაფოდ განეთავსებინა სალბი ჰეჯის (ეს იყო ხერგული) გასწვრივ. დრაგუნები

სწრაფად ამხედრდნენ და ხერგულის მილმა ჩამწკრივდნენ. ამით ისინი ფაქტობრივად საფარში აღმოჩნდნენ და თან საშუალებას არ მისცემდნენ როიალისტებს შემოვლითი სვლით დაერტყათ პარლამენტის ჯარის მარჯვენა ფრთისათვის.

ბრძოლა უფლისწულმა რუპერტმა დაიწყო და როგორც ყოველთვის გაშმაგებით შეუტია მოწინააღმდეგეს. თავისი რაზმების რიცხვობრივი უპირატესობის მიუხედავად გენერალმა ჰენრი აირტონმა ვერ გაუძლო უფლისწულის გააფთრებულ შეტევას და უკან დაიხია. გარდა ამისა აირტონი დაიჭრა და კინალამ ტყვედ ჩავარდა, რამაც კიდევ უფრო გაართულა მდგომარეობა მის ფრთაზე. ფრონტის ამ მონაკვეთზე პარლამენტის ჯარს სულ უფრო უჭირდა უფლისწულების, ძმების რუპერტისა და მორისის გააფთრებული შეტევის მოგერიება. როიალისტების გააფთრებულმა შეტევამ უკუაქცია აირტონის ესკადრონები. მალე როიალისტებმა პარლამენტის ჯარის იმ შენაერთის შევიწროვებაც დაიწყეს, რომელსაც გენერალი სკიპონი მეთაურობდა. მდგომარეობა კვლავ კრომველმა იხსანა. მან ჯერ მოხერხებული შემოვლითი დარტყმით პრაქტიკულად გაანადგურა სერ მარმადიუკ ლანგდეილის ცხენოსანი შენაერთი, მერე კი ფერფაქსთან ერთად ეკვეთა როიალისტების ცენტრს, რომელსაც ლორდი ესტლი მეთაურობდა. კრომველმა უკუაქცია ესტლის ქვეითები და უშუალოდ მიუახლოვდა როიალისტების რეზერვს, რომელსაც თავად ჩარლზ I ედგა სათავეში. ჩარლზ I აპირებდა მტერთან შებმას, მაგრამ ამალამ მეფე ბრძოლის ველიდან გაიყვანა და ფაქტობრივად მონარქიც და რეზერვიც დაღუპვას გადაარჩინა. საისტორიო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ არა მეფის ამალის ასეთი სიფრთხილე, სავსებით შესაძლებელია, რომ ჩარლზ I და ოლივერ კრომველი დაშნით ხელში ბრძოლის ველზე უშუალოდ დაუპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. საინტერესოა, გაახსენდებოდა თუ არა კრომველს ჰანტინგდონის მოსახლეობასთან შეხვედრისას ნათქვამი სიტყვები, რომ ბრძოლის ველზე მეფესთან შეხვედრისას უყოყმანოდ დაახლიდა მას დამბაჩას.

სწორედ ამ დროს ბრძოლის ველზე დაბრუნდა როგორც ყოველთვის თავისი შეტევით და მოწინააღმდეგის დევნით გართული

უფლისწული რუპერტი. იგი იმდენად გაერთო აირტონის დევნით, რომ ორი მილით მოწყდა ძირითად ძალებს. დევნითა და ძარცვით დეზორგანიზებულ მის შენაერთს უკვე აღარ ჰქონდა მდგომარეობის გამოსწორების თავი. ამიტომ უფლისწულმაც მეფესავით გაქცევით უშველა თავს. ასე რომ ნესბის ბრძოლა როიალისტების სრული განადგურებით დამთავრდა. მეფის ცხრა ათასიანი ჯარიდან საერთო დანაკარგი დაღუპულების, დაჭრილების და ტყვედ ჩავარდნილების სახით ხუთი ათასს შეადგენდა. პარლამენტის არმიის ხელში აღმოჩნდა დიდი რაოდენობის აღჭურვილობა და სხვა სახის სამხედრო ტვირთი, რომელიც როიალისტებმა ბრძოლის ველზე დატოვეს. გარდა უშუალოდ სამხედრო ნადავლისა, პარლამენტის ჯარის სარდლობას ხელში ჩაუვარდა თუ შეიძლება ასე ითქვას პოლიტიკური ნადავლიც, ეს იყო მეფის კანცელარია და მათ შორის ე.წ. „ფრანგული კაბინეტი.“ ეს იყო მეფის დიპლომატიური მიმოწერა, რომელიც შეიცავდა მის საიდუმლო გეგმებს ინგლისში უცხოურ ინტერვენციასთან დაკავშირებით. ინტერვენცია კი მიზნად ისახავდა მეფის ტახტზე აღდგენას მისი სრული უფლებებით ომამდელი მდგომარეობის სადარად.

ნესბისთან გამარჯვებამ თავისებურად დაადასტურა კრომველის ინიციატივით ჩატარებული სამხედრო რეფორმის და უნიათო გენერლების დათხოვნის მართებულობა, სამხედრო სარდლობის ცენტრალიზაცია, მკაცრი დისციპლინის შემოღება, მატერიალურ-ტექნიკური და პირველ რიგში საფინანსო უზრუნველყოფის მოწესრიგება. ყველაფერმა ამან გადამწყვეტი როლი შეასრულა პარლამენტის ჯარის საერთო წარმატებაში. და ბოლოს, თავად კრომველი. უდავოა, რომ ნესბისთან გამარჯვება კრომველის და მისი კავალერიის დამსახურება იყო. „მას აქვს ის უნარი, რომელიც პრაქტიკულად უცნობია ცხენოსანი ჯარის დღევანდელი მეთაურებისათვის. პირველი შეტევის დასრულებამდე შეუნარჩუნოს თავის მხედრებს მწყობრი სვლა და უმალ წამოიწყოს ახალი შეტევა“- ამბობდნენ კრომველზე თანამედროვენი. კრომველის მიერ გაწეულმა ჯარის საგანგებო წვრთნამ კვლავ გამოიღო ნაყოფი ნესბისთან. ეს იყო რკინისებრი დისციპლინის და მწყობრად ბრძოლის უნარის გამარჯვება თავზეხელაღებულად მამაც, მაგრამ შეუთანხმებელ მოქმედებაზე. კრომველი არასოდეს

უტევდა ისე, რომ მის რაზმებს კავშირი გაწყვიტათ ერთმანეთთან. როდესაც ერთი ესკადრონი უტევდა და მიერეკებოდა მტერს, მის მიერ განთავისუფლებულ ადგილს მეორე იკავებდა, რომელიც მზად იყო საჭიროების შემთხვევაში მოწინავე რიგებს დახმარებოდა. კრომველის ეკსადრონები არასოდეს შორდებოდნენ ერთმანეთს ისე, რომ ზურგი ან ფრთა გაეშიშვლებინათ და ამით მოწინააღმდეგისათვის მოწყვლადები გამხდარიყვნენ. მაშინაც კი, როდესაც მოწინააღმდეგე დამარცხებული იყო და მის განადგურებას თითქოსდა ბუნებრივად უნდა მოყოლოდა თარეში და ძარცვა-გლეჯა, კრომველის ცხენოსნები ინარჩუნებდნენ მწყობრს და თავი შორს ეჭირათ მეფის ჯარის აღალი-საგან. ნესბისთან გამარჯვება პარლამენტის უდავოდ დიდი წარმატე-ბა იყო. თავად კრომველმა აღტაცებული პატაკი გაუგზავნა პარლა-მენტს. „სერ, ეს სხვა არაფერია, თუ არა ღვთის ნება. მისმა მარჯვანამ გვიბოძა ეს გამარჯვება," – სწერდა კრომველი პარლამენტის სპიკერს უილიამ ლენტოლს. „პატიოსანი და მართალი ხალხი თქვენ ერთგუ-ლად გემსახურათ"- ასე აღნიშნავდა კრომველი ახალი ყაიდის ჯარის ჯარისკაცებისა და ოფიცრების სიმამაცესა და თავგანწირვას. ლონ-დონში ამ გამარჯვებას ზარ-ზეიმით შეხვდნენ. პარლამენტმა დარბა-ზობა გამართა, რომლის შემდეგ დამსწრე საზოგადოებამ ერთხმად იგალობა 46-ე ფსალმუნი. ლონდონის ქუჩებში სამი ათასი ტყვე როია-ლისტი გაატარეს ძველი რომის ტრიუმფის მსგავსად. მეფის ბანაკში ისეთი დაბნეულობა სუფევდა, რომ რამდენიმე კვირით შეწყდა მათი გაზეთის „მერკურიუს აულიკუს"- ის გამოცემა. მოგვიანებით კი გა-ზეთი საერთოდ დაიხურა. რა შეფასება ეძლევა ნესბის ბრძოლას ის-ტორიის გადასახედიდან? ამაზე ყველაზე კარგად ალბათ მეტყველე-ბს ნარწერა, რომელიც ნესბისთან 1823 წ. აღმართულ ობელისკზეა გაკეთებული. „დიდი და გადამწყვეტი ბრძოლა...სასარგებლო გაკვე-თილი ბრიტანეთის მეფეებს – არასოდეს გასცდნენ თავისი პრერო-გატივის საზღვრებს, ხოლო ბრიტანელ ქვეშევრდომებს – არასოდეს განუდგნენ თავისი კანონიერი მონარქების ერთგულებას." ტიპიური ინგლისური, შუალედური, გაწონასწორებული ხედვა, რომლის მიდე-ვნება XVII ს. თავად ინგლისელებმაც კი ვერ შესძლეს!

ნესბისთან ბრძოლის შემდეგ სამხედრო მოქმედებები კიდევ

გარკვეულ დროს გაგრძელდა. თუმცა მეფის ძირითადი ძალები უკვე განადგურებული იყო, როიალისტებს მაინც დარჩათ გარკვეული დასაყრდენი დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის საგრაფოებში. ამის გარდა მეფის აგენტები ცდილობდნენ მის სასარგებლოდ გამოეყენებინათ ირლანდიელები და ირლანდიაში მიმდინარე ანტიინგლისური მოძრაობა. ნესბისთან ბრძოლის შემდეგ კრომველი და ფერფაქსი არ-ჩევანის წინაშე აღმოჩნდნენ. ერთ გზას ისინი ჩრდილოეთისკენ მიყავ-და, იმიტომ, რომ ბრძოლის შემდეგ ჩარლზ I ჯერ ლესტერს მიაშურა, შემდეგ უელსს და ბოლოს ჩრდილოეთში, იორკშირში გადაინაცვლა. მეორე გზა სამხრეთ-დასავლეთის საგრაფოებისკენ მიემართებოდა. სტრატეგიულად ამ გზით წასვლა უფრო გამართლებული იყო, რად-გან მეფეს მცირერიცხოვანი სამხედრო ძალები ახლდა. რაც შეეხება უილტშირს, სომერსეტშირს, დორსეტშირსა და დევონშირს, ამ სა-გრაფოებში როიალისტები საკმაოდ მრავლად იყვენენ. შესაბამისად, პარლამენტის ინტერესებიდან გამომდინარე, მათი დამარცხება და საერთოდ, განადგურება აუცილებელი იყო. 1645 წ. ივნის-ივლისში ჩატარებული სამხედრო კამპანიებში არ ყოფილა ისეთი მასშტაბური ბრძოლები როგორც მარსტონ მურთან და ნესბისთან. როიალისტე-ბის ძალები გაფანტულები იყვნენ სხვადასხვა ციხე-სიმაგრეში. სხვათა შორის, ციხე-სიმაგრეში გამოკეტვის ტაქტიკა იმ დროისათვის ერთობ გავრცელებული იყო. მას თვით მეფე ჩარლზ I მისდევდა. ამ მეთოდს კრომველმა აქტიური საბრძოლო მოქმედებები დაუპირისპირა. რაც შეეხება როიალისტ გენერალს, ლორდ გორინგს, ის ყოველნაირად ცდილობდა ბრძოლისთვის თავის არიდებას და პარლამენტის ჯა-რის დევნისაგან თავის დაღწევას. საბოლოოდ, ხანგრძლივი დევნისა და რთული მანევრების შემდეგ კრომველმა და ფერფაქსმა შესძლეს მისი მომწყვდევა ლონგ სეტონის უღელტეხილთან და სასტიკად დაა-მარცხეს. როიალისტებმა ორი ათასი კაცი დაკარგეს და გაქცევით უშველეს თავს.

ამ გამარჯვების შემდეგ პარლამენტის ჯარს სხვა ტიპის წი-ნააღმდეგობა უნდა დაეძლია. მას უნდა აეღო მრავალრიცხოვანი ციხე-სიმაგრე და უამრავი კოშკი, რომლებშიც როიალისტების გარ-ნიზონები იყვნენ განლაგებული. ამ წინააღმდეგობის დაძლევაში

გადამწყვეტი როლი ითამაშა პარლამენტის ჯარის არტილერიამ, რომელსაც ფართოდ იყენებდნენ ფერფაქსი და განსაკუთრებით კრომველი. თვითმხილველები, პარლამენტის მომხრეები აღტაცებით აღწერდნენ იმ გრგვინვას და ღრიანცელს, რომლებიც ზარბაზნების ამოქმედებას მოყვებოდა. ისეთმა დიდმა და კარგად გამაგრებულმა ციხე-სიმაგრეებმა, როგორებიც იყვო ბრისტოლი და ბეზინგ ჰაუსი ვერ გაუძლეს პარლამენტის არტილერიის ცეცხლს. ერთი წლის მანძილზე კრომველს 50 ციხე-სიმაგრე დანებდა. 1646 წ. ივნისის ბოლოს პარლამენტის ჯარმა ოქსფორდიც აიღო, სადაც პრაქტიკულად მთელი ომის მანძილზე მეფის შტაბი იყო განლაგებული. თავად ჩარლზ I იმავე წლის აპრილში დატოვა ოქსფორდი. მეფის ეს „მოგზაურობა" გარკვეულწილად ფათერაკების მაძიებლის თავგადასავალს წააგავდა. ჩარლზ I მდაბიო ადამიანის ტანსაცმელი გადაიცვა და შოტლანდიის გზას დაადგა. მეფე ცდილობდა თავის მოკავშირეს, შოტალნდიელ როიალისტს, მარკიზ მონტროუზს შეხვედროდა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. ნაცვლად ამისა ის იმ შოტალნდიელთა ბანაკში აღმოჩნდა, რომლებიც პარლამენტის მხარეზე იბრძოდნენ. ჩარლზ I შეეცადა მათი მხარდაჭერის მოპოვებას, ახალ დათმობებს დაპირდა, მაგრამ ვერ მოახერხა შოტლანდიელთა გადაბირება. ამ უკანასკნელთ მეფის არ სჯეროდათ. ამრიგად, ჩარლზ I პრესბითერიანი შოტლანდიელების ტყვეობაში აღმოჩნდა. და აი აქ ამოქმედდა არნახული ანგარება. ინგლისის პარლამენტს შოტლანდიელებისათვის ფული უნდა გადაეხადა იმ ხარჯების დასაფარად, რომლებიც შოტლანდიამ გაიღო ინგლისისათვის სამხედრო დახმარების გაწევის დროს. შოტლნდიელებმა თავიდან 700 ათასი გირვანქა სტერლინგი მოითხოვეს. ინგლისელები შეევაჭრნენ და ბოლოს ორივე მხარე 400 ათას გირვანქა სტერლინგზე შეთანხმდა. და ამ თანხის გადახდის შემდეგ, 1647 წ. 1 თებერვალს შოტლანდიელებმა გადასცეს(გაქტობრივად მიყიდეს!) ჩარლზ I ინგლისის პარლამენტს. მიყიდეს მეფე, რომლის დინასტიაც, თანაც შოტლანდიური წარმოშობის, 1371 წლიდან მეფობდა შოტლანდიაში! ამიტომაც იყო, რომ იმ ხანად ბევრს ეკერა პირზე შოტლანდიელების გამკილავი შაირი: „მოღალატე შოტლანდიელებმა მეფე ერთ გროტად(4 პენსის ტოლი XIV-XVII სს. ვერცხლის მონეტა-ივ.მ.) გაყიდეს."

ასე რომ, ჩარლზ I ბადრაგის თანხლებით დაბრუნდა თავის სამეფოში. იგი დროებით მოათავსეს ჰოლმბის ციხე-კოშკში, ნესბის მახლობლად. თითქოსდა სამოქალაქო ომი დამთავრდა. მიიღო რა პარლამენტისაგან ფული, შოტლანდიის ჯარმა დატოვა ინგლისი. მარტში უელსში დაეცა როიალისტების უკანასკნელი გამაგრებული პუნქტი. ამგვარად, პარლამენტი აკონტროლებდა მთელ ინგლისს, ქვეყნის ყველაზე მიყრუებულ ადგილებსაც კი. შეიძლება ითქვას, რომ პარლამენტის ძალაუფლება საყოველთაო და შეუვალი გახდა.

მაგრამ პარლამენტის ასეთი წარმატება მისი ჯარის გამარჯვებებით იყო განპირობებული. ჯარის ფაქტობრივი მეთაური კი კრომველი იყო. ნესბისთან გამარჯვების შემდეგ პარლამენტმა რამდენიმეჯერ გაუგრძელა მას ჯარში ყოფნის ვადა გენერალ-ლეიტენანტის თანამდებობაზე შესაბამისი ანაზღაურებით. მრავლისმთქმელი იყო პარლამენტის ბრძანებულების ფორმულირებაც. კრომველი უნდა ყოფილიყო სამხედრო სამსახურში მანამ, „სანამ ამას ორივე პალატა ისურვებს.“ ამგვარად, თვითუარყოფის ბრძანებულება კრომველს ვერაფრით დაემუქრებოდა.

მაგრამ კრომველი მარტო არ იყო. მის უკან იდგა ჯარი, გამარჯვებული და ძლევამოსილი, ჯარისკაცთა და ოფიცერთა დიდი მასა, არნახულად მრავალფეროვანი თავისი სოციალური და იდეურ-პოლიტიკური შემადგენლობით. იდეურ-პოლიტიკური მრწამსის თვალსაზრისით მათი უმრავლესობა ინდეპენდენტებს მიეკუთვნებოდა, მისი მრავალი განშტოებითა და მიმდინარეობით. ცნობილი თეოლოგი და ღვთისმსახური რიჩარდ ბაქსტერი, რომელიც ნესბის ბრძოლიდან რამდენიმე დღის შემდეგ ჯარს ეწვია, შეცბუნებული იყო კრომველის მეომრების ულტრარადიკალური რელიგიური შეხედულებებით და მათი გამოხატვის ფორმით, განსაკუთრებით მათი დამოკიდებულებით პრესბითერიანობის მიმართ. სამაგიეროდ კრომველი ყოველნაირად ცდილობდა მათ წახალისებას და შექებას. „პატიოსანი ხალხი თქვენ ერთგულად გემსახურათ. ნუ გაუცრუებთ მათ იმედს. ისინი, ვინც სიცოცხლეს სწირავდა თავისი ქვეყნის თავისუფლებისათვის ამას იმიტომ აკეთებდნენ, რომ ღმერთი სწამთ. ისინი რწმენისთვის, თავისუფლებისათვის და თქვენთვის იბრძოდნენ“ – სწერდა იგი პარ-

ლამენტის სპიკერს უილიამ ლენტოლს. *როგორც ჩანს, ალნიშნული* წერილი ბევრ საყურადღებო და სახიფათო (პარლამენტის აზრით) მომენტს შეიცავდა. პარლამენტმა იგი გამოაქვეყნა, მაგრამ რწმენის თავისუფლებაზე მიმანიშნებელი მონაკვეთი ტექსტიდან ამოიღო. ეს პრესბითერიანებსა და ინდეპენდენტებს შორის დაპირისპირების არსებობაზე მიუთითებს. იგივე სიტუაცია შეიქნა ბრისტოლის აღების შემდეგ. პარლამენტის სახელზე მიწერილ პატაკში კრომველმა აღნიშნა, რომ „ჯარისკაცები ერთიანი სულისკვეთებით არიან შეპყრობილები, პრესბითერიანები და ინდეპენდენტები ერთმანეთის მხარდამხარ იბრძვიან, ლოცულობენ, ერთმანეთის ჭირსა და ლხინს იზიარებენ. დასანანია, რომ ეს ყველგან არ ხდება.“ მაგრამ ახლაც, როგორც ნესბის ბრძოლის შემდეგ, პარლამენტმა სრულად არ გამოაქვეყნა მისი პატაკის ტექსტი.

ბრისტოლს ბესინგ ჰაუსი მოყვა. ქალაქს ძალზე კარგად გამაგრებული ციხე-სიმაგრე იცავდა, ხოლო დაცვას მეფის ერთგული, თავგამოდებული კათოლიკე ჯონ პოლეტი, მარკიზი უინჩესტერი ხელმძღვანელობდა. მარკიზმა და მისმა გარნიზონმა კატეგორიულად უარყვეს კრომველის შეთავაზება დანებებულიყვნენ. როგორც ამბობენ, ბრძოლის წინა ღამე კრომველმა ლოცვაში გაატარა, საგანგებოდ 115-ე ფსალმუნს კითხულობდა, სადაც ლაპარაკია წარმართებზე და მათ კერპებზე. პურიტანი კრომველისათვის კათოლიკეები რასაკვირველია წარმართები იყვნენ და შესაბამისად, იგი წარმართებთან ბრძოლისათვის ემზადებოდა. მეორე დღეს იერიში ხანმოკლე, სისხლისმღვრელი და სასტიკი იყო, რაც სამწუხაროდ იმ დროის საომარი წეს-ჩვეულებით ასეც უნდა ყოფილიყო. ალყაშემორტყმულებმა იცოდნენ, რომ დანებებაზე უარის თქმის შემთხვევაში მათ დანდობა არ ექნებოდათ. და ეს სულაც არ არის კრომველის პირადი დაუნდობლობა და მისი ბოროტი ხასიათისა და ზრახვების შედეგი. ეს იყო მკაცრი, დაუნდობელი ხანა, ადამიანები სიმართლეს ხშირად დაშნის მეშვეობით ამკვიდრებდნდნ. ადამიანის სიცოცხლე ძვირი არ ღირდა. გარნიზონის 1/4 გაანადგურეს. მარკიზი უინჩესტერი და მისი ორი ვაჟი, რომლებიც თავიდანვე მამის გადაწყვეტილებით პროტესტანტებად მონათლეს, ტაურეში გადაიყვანეს. ბეისინგ ჰაუსის აღები-

სას გამოჩენილ დაუნდობლობას შეგვიძლია დაუპირისპიროთ ბრისტოლისა და ოქსფორდის კაპიტულაცია. ორივე შემთხვევაში დანებებულებმა ერთობ დიდი შეწყალება მიიღეს. უფლისწულმა რუპერტმა უვნებლად გაიყვანა ქალაქიდან მთელი თავისი შენაერთი, თანაც მანამდე ცეცხლი წაუკიდა იქაურობას, რისთვისაც ადგილობრივი მოსახლეობა გააფთრებული, სიძულვილით აღსავსე შეძახილებით : „არ დაინდო, არ დაინდო!"- აცილებდა მას. ამგვარად საომარი მოქმედებები შეწყდა. პირველი სამოქალაქო ომი, როგორც მას უწოდებდნენ, დასრულდა. მაგრამ ეს არ იყო პოლიტიკური ბრძოლის დასასრული. ბრძოლამ სამოქალაქო ასპარეზზე გადაინაცვლა.

მოვლენათა მსვლელობის ამგვარი განვითარება, ანუ საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ გარკვეული სახის წინააღმდგეგობების თუ სიძნელეების წინა პლანზე გამოსვლა სავსებით კანონზომიერი იყო. ომი მძიმე ტვირთად დააწვა მოსახლეობას. სურსათ-სანოვაგე, ცხენები თუ სხვა გამწევი ძალა პირველ რიგში ჯარს ხმარდებოდა. ბუნებრივ პირობებთან ბრძოლაც არ იყო ადვილი საქმე. 1646 წ. გვალვამ მკვეთრად გაზარდა სურსათ-სანოვაგის ფასი. 1 კვოტერი (12,7 კგ) ხორბალი, რომელიც ჩვეულებრივად 30 შილინგი ან ოდნავ მეტი ღირდა, 1646 წ. – 58, ხოლო 1647 წ. – 65 შილინგამდე გაიზარდა. იზრდებოდა სამხედრო ხარჯებიც. 1645-1647 წწ. პარლამენტმა ჯარის შენახვაზე 1 185 551 ათასი გირვანქა სტერლინგი გამოყო. სამხედრო ხარჯების დასაფარად პარლამენტს ახალი გადასახადები შემოჰქონდა. განსაკუთრებით მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობას გადასახადები პირველადი მოხმარების საგნებზე. გარდა ამისა, პარლამენტმა დააწესა ყოველთვიური გადასახადები, რომლებსაც საგრაფოები ჯარის შენახვისთვის იხდიდენენ.

მატერიალურ გაჭირვებასთან ერთად არც იდეოლოგიური წნეხის ატანა იყო ადვილი. ლაპარაკია პრესბიტერიანულ ეკლესიაზე, რომელმაც რევოლუციამდელი, ანგლიკანური ეკლესიის ადგილი დაიკავა. პრესბიტერიანობა ინგლისში ოფიციალურად შემოიტანეს 1643 წ., მას შემდეგ, რაც პარლამენტმა შოტლანდიელებთან დადო სამოკავშირეო ხელშეკრულება – „წმინდა ლიგა და კოვენანტი." ამ ხელშეკრულების თანახმად ინგლისს უნდა მიეღო შოტლანდიაში

დამკვიდრებული სარწმუნოება. ამ აქტს ინდეპენდენტები განიხილავდნენ როგორც რელიგიურ ძალდატანებას და ძალმომრეობას. ინგლისში პრესბითერიანობის დამკვიდრებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა ე.წ. ვესტმინსტერის კრებამ – კალვინისტურმა სინოდმა, რომელიც შედგებოდა ყველაზე ცნობილი და გავლენიანი კალვინისტი ღვთისმეტყველებისაგან. ეს კრება პარლამენტის მიერ იყო მოწვეული 1643 წ. მან საჯაროდ დაადგინა პრესბითერიანული კულტის სავალდებულო ხასიათი მთელი ინგლისისათვის. ვესტმინსტერის კრებამ მიზნად დაისახა პრესბითერიანობის უნიფიცირება. ამისათვის შემოიღეს ახალი ლოცვანი, რომელსაც სავალდებულო ხასიათი მიეცა. ის, ვინც არ მიიღებდა მას – დაისჯებოდა. მას დააჯარიმებდნენ, დააპატიმრებდნენ; თუ ის საეკლესიო პირი (პასტორი) იყო, გაანთავისუფლებდნენ დაკავებული თანამდებობიდან და ა.შ. აქედან გამომდინარე, ინდეპენდენტების აზრით პრესბითერიანობა სხვა არაფერი იყო, თუ არა მისი წინამორბედი ანგლიკანური ეკლესია, რომელიც სასტიკად სდევნიდა სხვა ნებისმიერ პურიტანულ მიმდინარეობას. სწორედ ამიტომ პრესბითერიანები და პირველ რიგში პარლამენტი, სადაც ისინი უმრავლესობას წარმოადგენდნენ, კატეგორიულად წინააღმდეგი იყვნენ ინდეპენდენტების შეთავაზების, დაეშვათ აღმსარებლობის სრული თავისუფლება. ამავე მიზეზით იყო განპირობებული ის, რომ პარლამენტმა კრომველის საბრძოლო პატაკებიდან განზრახ ამოიღო ის მონაკვეთები, რომლებშიც კრომველი აღმსარებლობის თავისუფლებაზე და სხვადასხვა პურიტანული მიმდინარეობის თანაარსებობაზე ლაპარაკობდა. მაგრამ პრესბითერიანები ამით არ დაკმაყოფილდნენ. გაბატონდნენ რა რელიგიის სფეროში, სადაც ყველაფერს პრესბითერები (უხუცესები) განაგებდნენ, რომლებიც რელიგიურ თემებს უძღვებოდნენ, პრესბითერიანებმა დააწესეს მკაცრი იდეურ-პოლიტიკური კონტროლი. შექმნილი მკაცრი სამეთვალყურეო სისტემის მეშვეობით ისინი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს საზოგადოებრივ აზრს, რათა სცოდნოდათ, თუ რას ამბობდა ხალხი პრესბითერიანული პარლამენტის პოლიტიკაზე. მათვე აღადგინეს მკაცრი ცენზურა, რომელსაც ექვემდებარებოდა არა მარტო რელიგიური, არამედ პოლიტიკური ლიტერატურაც კი.

პრესბითერიანების ამგვარი პოლიტიკა ინდეპენდენტების გულისწყრომას იწვევდა. და თუ ბრძოლის ველზე ინგლისური თავისუფლების პრინციპებს ოლივერ კრომველი იცავდა დაშნით ხელში, სამწერლო ასპარეზზე ეს ცნობილმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ ჯონ მილტონმა გააკეთა. 1644 წ. მილტონმა გამოაქვეყნა ნაშრომი „არეოპაგიტიკა," რომელშიც გააკრიტიკა პარლამენტის მიერ დაწესებული ცენზურა. აღნიშნული ნაშრომი დღემდე ითვლება სიტყვის თავისუფლების ყველაზე გავლენიან(შთამბეჭდავ), ფილოსოფიური სიღრმითა და მგზნებარებით აღსავსე წერილობით ნაშრომად. მაგრამ მთავარი შეტაკება ჯერ კიდევ წინ იყო.

ბრძოლის ველიდან – პოლიტიკურ ასპარეზზე

როგორც უკვე ითქვა, პირველი სამოქალაქო ომის პარლამენტის გამარჯვებით დასრულებამ ვერ გადაჭრა ომით გამოწვეული ეკონომიკური სირთულეები. ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, თუ როგორ გაიზარდა ომის პერიოდში ხორბლის ფასი. იგივე შეიძლება ითქვას საწვავის შესახებ. ქვანახშირის ფასმა 4-6-ჯერ მოიმატა; ზაფხულში 10-დან 40-მდე, ზამთარში კი 60 შილინგამდე. მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით შრომის ანაზღაურებაზე, რომელიც მხოლოდ 15-30 %-ით გაიზარდა, ზოგ შემთხვევაში კი საერთოდ არ შეცვლილა. აღნიშნული მოვლენები, ასევე პრესბითერიანების მიერ ფაქტობრივად თავს მოხვეული რელიგიური პოლიტიკა არ გამორჩენიათ რადიკალურ ელემენტებს. ერთ-ერთი მათგანი იყო მგზნებარე პუბლიცისტი ჯონ ლილბერნი. მისი პოზიცია საკმაოდ ახლოს იყო ინდეპენდენტების შეხედულებებთან. მაგრამ ის არა მარტო პრესბითერიანების მიერ დანესებულ სავალდებულო აღმსარებლობას და მკაცრ ცენზურას აკრიტიკებდა, არამედ პარლამენტის მიერ გატრებულ სავაჭრო და საფინანსო პოლიტიკასაც. იგი მოითხოვდა აბსოლუტურად ყველა სავაჭრო მონოპოლიის, ბაჟის და აქციზის გაუქმებას, აგრეთვე პროპორციული დაბეგვრის შემოღებას. პარლამენტის პოლიტიკა, რომელსაც ატარებდა სტეპლტონის და ჰოლისის პარტია, ლილბერნის აზრით იყო ტირანია და ეწინააღმდეგებოდა იმ პრინციპებს, რომელთა დასაცავად პარლამენტი მოუწოდებდა სამოქალაქო ომის დასაწყისში. „ინგლისელებო, სად არის თქვენი თავისუფლება, თქვენი უფლებები, რომელთათვისაც თქვენ არც სისხლი და არც ქონება არ დაიშურეთ, რადგანც იმედი გქონდათ, რომ ეს ბრძოლა თქვენ სრულ თავისუფლებას მოგიტანდათ?!“- წერდა ლილბერნი თავის ერთ-ერთ პამფლეტში. რაც შეეხება პარლამენტს, მასზე ლილბერნი ამბობდა, რომ ამ უკანასკნელმა უნდა აკეთოს ის, რაც ხალხს არგებს და გამოადგება და არა ის, რასაც თავად მოისურვებს. ამ შემთხვევაში ლილბერნი იმ იდეებს და სწრაფვე-

ბს გამოხატავდა, რომლებიც გარკვეულ ეტაპებზე ყოველთვის ახასიათებს რევოლუციურ მოძრაობას. ეიფორია ქრება, აღთქმული, ნანატრი საყოველთაო ბედნიერება არ მოდის. ამას რასაკვირველია იმედგაცრუება მოყვება და წამოიჭრება ნებისმიერი ეპოქის რევოლუციისშემდგომი კითხვა: „ნუთუ ამისთვის ვიბრძოდით?“ საერთო ჯამში ლილბერნის და მისი თანამებრძოლების პრინსის, უოლვინის და ოვერტონის შეხედულებები და მოთხოვნები არ მიდიოდა იმის მიღმა, რომ ისეთი პრინციპები, როგორც ზოგადი კეთილდღეობა, კაცთმოყვარეობა და კეთილი ნება საზოგადოების არსებობის და ცნობიერების საფუძველი გამხდარიყო. „ჩვენ თქვენი მბრძანებლები ვართ, თქვენ კი ჩვენი ნდობით აღჭურვილი პირები“- მიმართავდა რიჩარდ ოვერტონი თავის ერთ-ერთ პამფლეტში პარლამენტის თემთა პალატის დეპუტატებს. რევოლუცია, რევოლუციური ლოზუნგები, დაპირებები არნახულად დიდი და დადებითი ცვლილებების მოლოდინს ქმნიან. მაგრამ იგივე რევოლუციის პროცესში ხდება ძალზე დიდი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები და ჩანაცვლებები. სწორედ ამიტომ, რევოლუციის შემდგომი სიტუაცია ადამიანების წინაშე წარმოაჩენს სინამდვილეს, რომელსაც აღწერდა იმ მოვლენების თანამედროვე, თავად თავგამოდებული ინდეპენდენტი, დიდი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ჯონ მოლტონი: „ყველგან უსამართლობა და ჩაგვრა სუფევს. ყოველდღე სამარცხვინო და საზიზღარ საქმეებს სჩადიან, რომლებსაც ღია ან ფარული მხარდაჭერა აქვს. ბევრი ადამიანი, არაფრით გამორჩეული, არავითარი დამსახურება რომ არ ჰქონიათ, რომლებიც მათი დუქნებიდან და კანტორებიდან გამოათრიეს, რათა ქვეყნის საპატიო საბჭოებსა და კომიტეტებში საპატიო თანამდებობები მიეცათ, მათთვის ჩვეულ ჩარჩობას განაგრძობენ. ოღონდ ახლა ისინი უკვე საზოგადოებრივი კეთილდღეობით ვაჭრობენ.“ სამწუხაროდ, საყოველთაო კეთილდღეობის ნაცვლად ლამის საყოველთაო უზნეობამ დაისადგურა, რაც ესოდენ სჩვევია ახლადგამოჩეკილ მოღვაწეთა და მბრძანებელთა აღზევებას.

რა მდგომარეობაში აღმოჩნდა კრომველი პირველი სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ? საზოგადოებისათვის ის იყო ადამიანი, რომელიც ძლევამოსილი, გამარჯვების შარავანდედით გაბრწყინებუ-

ლი დაბრუნდა ბრძოლის ველიდან, რომელსაც მარსტონ მურისა და ნესბის ღმერთს უწოდებდნენ და ამბობდნენ, რომ მას ღმერთი უმაგრებს ზურგს და რომ იგი ბრძნული და საზრიანი გონების პატრონია, ყველას მიერ მოყვარული, ღრმად მორწმუნე და მამაცი." რაც მთავარია, იგი ის ადამიანი იყო, ვინც შექმნა უბადლო, პირველხარისხოვანი ჯარი, რომლის ჯარისკაცებს მათი უდრეკი სულის და სიმამაცის გამო „რკინისგვერდებიანები" შეარქვეს, ხოლო საკვეყნოდ ცნობილი, ბრძოლებში გამობრძმედილი მეთაურები მათზე ამბობდნენ, რომ ევროპას მანამდე არ ენახა ამისთანა ჯარისკაცები. იმ დროის ლანდსკნეხტებისაგან(დაქირავებული ჯარისკაცებისაგან) განსხვავებით ისინი შესაშური დისციპლინით გამოირჩეოდნენ. მათთვის უცხო იყო მოსახლეობის ანიოკება და მისი ქონების დატაცება. როგორ იგრძნობდა თავს და როგორ შეეიდოდა ასეთი ხალხი ურთიერთობაში იმ ადამიანებთან, რომლებმაც მილტონის თქმით საზოგადოებრივი კეთილდღეობით ვაჭრობას მიყვეს ხელი? კრომველი არა მარტო სამხედრო შარავანდედით იყო შემოსილი. მისი დაშნის სიდიადე მომდინარეობდა იმ დიდი სულიერი გარდატეხიდან, რომელიც კრომველში მყის მოხდა და სულით ხორცამდე პურიტანად, ღმერთის რჩეულობის იდეის ურყევ მიმდევრად აქცია. როგორ აამოქმედებდა იგი ამჯერად უკვე სამოქალაქო ასპარეზზე ამ უხილავ დაშნას იმათ წინააღმდეგ, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში მედროვეობის ფსიქოლოგიით და კორუფციის წყურვილით იყვნენ შეპყრობილები?

ბრძოლის ველიდან დაბრუნებულ კრომველს პარლამენტი მადლიერებით შეხვდა, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში გაბატონებული, პრესბიტერიანელთა, სტეპლტონ-ჰოლისის პარტია პერიოდულად მის საწინააღმდეგო ვარდნებს აკეთებდა. მაგ., ჰოლისი ირონიულად აღნიშნავდა, რომ კრომველი ზოგჯერ ფრთხილობდა ბრძოლაში. მაგრამ ეს უფრო ჰოლისის პირად შეულლს და შურს უნდა მივაწეროთ. ასე რომ, კრომველს შეპირდნენ ბარონის წოდებას და წელიწადში 2 500 გირვანქასტერლინგს. მაგრამ ეს ყველაფერი მეფესთან შუამდგომლობის მეშვეობით უნდა მომხდარიყო, იმიტომ, რომ იმ დროისათვის ჩარლზ I ჯერ კიდევ ოფიციალურად არ იყო დაპატიმრებული. წოდებისა და გასამარჯვებლოს თვალსაზრისით კრომველს ვერ გაუმართლა. მან

ვერც ერთი მიიღო და ვერც მეორე. „ჩავარდნა“ 1646 წ. „გამოსწორდა.“ ამჯერად უკვე პარლამენტმა გამოუყო კრომველს ყოველწლიურად 2 500 გირვანქა სტერლინგი და ერთჯერადად 500 გირვანქა ავეჯისა და ცხენების შესაძენად. თანხა ანაზღაურდა როიალისტებისათვის ჩამორთმეული მამულების ხარჯზე. ასე რომ, საბრძოლო დიდებასთან ერთად კრომველი შეძლებული ადამიანის სახელითაც შეიმოსა. 1646 წ. მარტში როიალისტი გენერალი სერ რალფ ჰოფტონი, რომელიც დასავლეთის საგრაფოებში მოქმედ მეფის ჯარს მეთაურობდა, კრომველს ეკზეტერთან დანებდა. აპრილში კრომველმა პატაკი წარუდგინა პარლამენტს ჰოფტონის წინააღმდეგ ჩატარებული სამხედრო კამპანიის შესახებ. წარდგენილი ანგარიშის მოსმენის შემდეგ თემთა პალატამ მას მადლობა გამოუცხადა. იმავდროულად კრომველმა ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო ნაბიჯი გადადგა. მან თემთა პალატაში საჯაროდ გაკიცხა თავისი მოადგილე, გენერალი ჰენრი აირტონი იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა ყველასაგან დაფარულად გადასცა მას წერილი, რომელიც შეიცავდა ცნობას იმის შესახებ, რომ მეფე მზად არის ჯართან დაიწყოს მოლაპარაკება. და ეს მოხდა მიუხედავად იმისა, რომ აირტონსა და კრომველის ქალიშვილს, ბრიჯიტს შორის უკვე დადებული იყო საქორწინო ხელშეკრულება. ფაქტობრივად კრომველმა სასიძო არ დაინდო! პოლიტიკური სტრატეგიის თვალსაზრისით ეს იყო ძალზე წარმატებული და შორსმჭვრეტელი ნაბიჯი. მისი მეშვეობით კრომველმა პარლამენტს უჩვენა, რომ იგი, კრომველი, თავისი დიდებისა და თანამდებობის მიუხედავად პარლამენტის ერთგულია. ამრიგად, კრომველი-პოლიტიკოსი თითქმის კრომველ-გენერლის სიმაღლემდე ავიდა.

პირველი სამოქალაქო ომის დასასრული კრომველისათვის მხოლოდ სამხედრო დიდებითა და ფულადი ჯილდოებით არ აღინიშნა. იგულისხმება მისი პირადი, ოჯახური სიხარული. ეს იყო მისი ყველაზე საყვარელი(კრომველი ცოლ-შვილის იშვიათი მოყვარული იყო) ქალიშვილის, ელიზაბეთის(ბეტის) გათხოვება. 16 წლის ბეტი ცოლად გაყვა 22 წლის ჯონ კლეიპოლს, ნორსჰემპტონშირიდან. კლეიპოლები და კრომველები მეზობლები და მეგობრები იყვნენ. სიძის მამა, უფროსი ჯონ კლეიპოლი ოლივერის ძველი მეგობარი იყო. კლეიპოლები

ნორსბოროში ცხოვრობდნენ, ილიდან 30-იოდე მილის მოშორებით. მძახლების მეგობრობა გარკვეულწილად ალბათ პოლიტიკურმა მრწამსმაც განაპირობა. ჯონ კლეიპოლი უფროსი ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც უარი თქვა გემთმშენებლობის უკანონოდ დანესებული გადასახადის გადახდაზე. რაც შეეხება ნეფეს, იგი, როგორც იმ დროის ცნობილი მემუარისტი ქალი, ლიუსი ჰატჩინისონი გვამცნობს, ერთი დარდიმანდი ახალგაზრდა ყოფილა, რომელსაც არც დროსტარება და არც ქალების ყურადღება აკლდა. როგორც მაშინ შესაბამის წრეებში მიაჩნდათ, მამის ნებიერ, მომხიბლავ და თავნება ბეტის სწორედ ამგვარი ზნის ქმარი შეეფერებოდა. რაც შეეხება ცივი გონების, განსჯის მოყვარულ ბრიჯიტს, მისი სადარი, როგორც თვლიდნენ, გაწონასწორებული, დინჯი ჰენრი აირტონი იყო. ჯვრისწერა 1646 წ. 13 იანვარს შედგა, ნორსჰემპტონშირში, წმინდა სამების ეკლესიაში. კრომველი ჯვრისწერას ვერ დაესწრო დასავლეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში მონაწილეობის გამო. მაგრამ მამის კეთილგანწყობას ქალიშვილის არჩევანის მიმართ სრულად გამოხატავდა მზითვის ოდენობა, რომელიც 1 250 გირვანქა სტერლინგს შეადგენდა. იმავე წლის 15 ივნისს კრომველების ოჯახს კიდევ ერთი სიხარული ეწვია. ცივი გონების პატრონი ბრიჯიტი ცოლად გაყვა დინჯ, გაწონასწორებულ აირტონს. აირტონი სამოქალაქო ომში ეჯჰილის ბრძოლიდან მოყოლებული იბრძოდა კრომველის მხარდამხარ გეინსბოროსთან, ნიუბერისთან, ნესბისთან. თავის დროზე იგი კრომველის რეკომენდაციით ჯერ კუნძულ ილის გამგებლის მოადგილედ დაინიშნა, მერე კი ისევ კრომველის რეკომენდაციით მას გენერალ(გენერალური)-კომისრის, ანუ კრომველის კავალერიაში თანამდებობით მეორე პირის წოდება მიენიჭა. მაგრამ რაც მთავარია, იგი ყოველგვარი მერყეობის გარეში ამოუდგა კრომველს გვერდში, როდესაც ამ უკანასკნელმა თავის საპარლამენტო სიტყვაში გააკრიტიკა გრაფ მანჩესტერის პასიურობა და უმოქმედობა ბრძოლის ველზე. კრომველის მაგვარად აირტონმაც კრიტიკის ქარცეცხლში გაახვია პასიური მთავარსარდალი. ასე რომ, კრომველმა ერთგული და საიმედო სიძე ამოიყენა გვერდში. ბრიჯიტის და აირტონის ჯვრისწერა გარკვეულწილად გასამხედროებულ პირობებში შედგა, ჰოლტონში, კრომველის მთავარ

შტაბში, ოქსფორდის კაპიტულაციამდე რამდენიმე დღით ადრე. ჯვარი ნეფე-დედოფალს ჯარზე მიმაგრებულმა კაპელანმა, ვინმე დელმა დასწერა. საქორწინო საჩუქრად ბრიჯიტმა ქმრისგან ილიში მდებარე ფერმის იჯარა მიიღო. ამრიგად, თანამებრძოლები და თანამზრახველები დანათესავდნენ კიდეც.

საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ კრომველი საცხოვრებლად ლონდონში გადავიდა. კრომველები დრური ლეინზე, ჰოლბორნში დასახლდნენ. ჰოლბორნი იმ დროს ლონდონის ერთერთ პრესტიჟულ რაიონად ითვლებოდა და რასაკვირველია, უთუოდ შეეფერებოდა კრომველის ახალ სოციალურ-პოლიტიკურ და მატერიალურ მდგომარეობას. ამის დასტურად თუნდაც ის გამოდგება, რომ კრომველზე დაკისრებული ღარიბთა სასარგებლოდ გაღებული შემწეობის ოდენობა 105 პენსიდან 145 პენსამდე გაიზარდა. თუმცა კი ისიც უნდა ითქვას, რომ თავად კრომველამდე მისი კუთვნილი, პარლამენტის მიერ გამოყოფილი თანხა შეფერხებით მიდიოდა. მაგ. 1648 წ. გაზაფხულისათვის 2 500 გირვანქა სტერლინგის (დაპირებული თანხის) ნაცვლად მან 1 680 გირვანქა მიიღო. თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ კრომველს ფული აკლდა. ჯარის ხაზინის მონაცემები გვამცნობენ, რომ კრომველს პერიოდულად საკმოდ მნიშვნელოვან თანხებს უხდიდნენ. მაგ. ერთხელ მას იმ დროისათვის საკმაოდ დიდი ავანსი, 500 გირვანქა სტერლინგი გადაეცა. მაგრამ იმისდა მიუხედავად, რომ კრომველი, თუნდაც თეორიულად მნიშვნელოვანი შემოსავლის მქონე ადამიანად ითვლებოდა, მისმა ოჯახმა მაინც და მაინც ვერ დაიმკვიდრა ხელგაშლილი მასპინძლის სახელი. ამაში თანამედროვეთა აზრით დიდი „წვლილი“ ქ-ნ კრომველს შეჰქონდა. როგორც ჩანს, მას ერთობ მკვიდრად ჰქონდა გამჯდარი ახალგაზრდობიდანვე ჩანერგილი პურიტანული შეხედულებები ზომიერებაზე, ყაირათიანობასა და მომჭირნეობაზე. ამიტომ მათ ოჯახში სხვადასხვა პოლიტიკური საკითხის განხილვისათვის თავშეყრილი ადამიანები კრომველთან უთანხმოების შემთხვევაში არა მარტო მის გეგმებსა და შეხედულებებს, არამედ ქ-ნ კრომველის მენიუსაც აკრიტიკებდნენ. „იქ (კრომველებთან- ივ.მ.) ხომ ცოტაოდენი ლუდის და კარაქიანი პურის გარდა სხვა არაფერი დაგხვდება!“- გულისწყრომით ამბობდნენ

ისინი. ასეთი იყო როგორც პოლიტიკურად, ასევე გასტრონომიულად იმედგაცრუებულთა აზრი.

მაგრამ ამ შემთხვევაში ფული მაინც პრობლემას არ წარმოადგენდა. მთავარი ის იყო, თუ როგორ შეეწყობოდა ძლევამოსილი სარდალი, მეომარი, ყოველდღიურ სამოქალაქო ცხოვრებას. მოგვიანებით კრომველმა ადგილსამყოფელი შეიცვალა. იგი ახალ მისამართზე გადავიდა. ეს იყო კინგს სტრიტი, ვესტმინსტერის უბანში, პარლამენტთან უფრო ახლოს. ამას კრომველის საპარლამენტო საქმიანობის გააქტიურებით ხსნიან. რა სიტუაცია დახვდა კრომველს დედაქალქში ყოფითი ნორმებისა და წეს-ჩვეულებების თვალსაზრისით? თავად ლონდონში იმ პერიოდში პურიტანული ფასეულობები საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული. ამ ულტრარადიკალური პროტესტანტების აზრით, შობა დღეც კი პაპობის, ე.ი. კათოლიკობის ნიშან-თვისებების მატარებელ მოვლენად იყო მიჩნეული. ამიტომაც, რომ მოსახლეობა დასვენებას, ქეიფსა და დროსტარებას არ მისცემოდა, 1646 წ. 25 დეკემბერს პარლამენტმა თავისი მორიგი სამუშაო სხდომა ჩაატარა. პურიტანების მიერ რელიგიური უქმეების შეცოდებად გამოცხადებამ და შესაბამისად, გაუქმებამ, იქამდე მიიყვანა საქმე, რომ 1647 წ. გაზაფხულზე ლონდონელმა შეგირდებმა პარლამენტში პეტიცია წარადგინეს, რომელშიც მათთვის გაუქმებული დასვენების დღეების სანაცვლოდ რაღაც „გასართობი დღეები" მიეცათ.

მაგრამ ამათ გარდა იყო სხვა სირთულეები და წინააღმდეგობებიც, რომლებმაც ჯერ კიდევ მეფის დატყვევებამდე იჩინეს თავი. რადიკალურად განწყობილი დეპუტატების აზრით პრესბიტერიანული პარლამენტი ისე ისწრაფოდა მეფესთან მოლაპარაკებისა და შერიგებისაკენ, თითქოს პარლამენტის ჯარს არც კი გაემარჯვოს მარსტონ მურთან და ნესბისთან. ეს არ იყო გამარჯვებული მხარის პოზიცია. კრომველის გაგულისება და აღშფოთება იმანაც გამოიწვია, რომ ირლანდიის დასაშოშმინებლად, ანუ იქ გაჩაღებული აჯანყების ჩასახშობად, რომელიც როიალისტების წისქვილზე ასხამდა წყალს და მათი მხარდაჭერითაც სარგებლობდა, არა ახალი ყაიდის ჯარის, მისი „რკინისგვერდებიანების", არამედ სულ სხვა საჯარისო შენაერთის გაგზავნას აპირებდნენ, რომელიც იმ დროისათვის პრაქტიკულად

არც კი არსებობდა. ამ საკითხის გარშემო პარლამენტში ცხარე კამათი გაიმართა. კრომველი უშუალოდ დაუპირისპირდა პრესბიტერიანული უმრავლესობის მეთაურებს, ჰოლისსა და სტეპლტონს. ეს ცხარე კამათი ამ უკანასკნელთა გამარჯვებით დამთავრდა. ეს კი უკვე კრომველისთვის სილის გაწვნის ტოლფასი იყო. მას, ძლევამოსილ სარდალს და მის ბრძოლებში გამობრძმედილ ვეტერანებს იმ შენაერთებს ამჯობინებდნენ, რომლებიც ჯერ კიდევ ჩამოყალიბებულებიც კი არ იყვნენ! როგორც ჩანს, პარლამენტის უმრავლესობას უკვე მაშინ ეშინოდა კრომველის, როგორც პოპულარული მეტოქის. ამგვარი შარავანდედით შემოსილი მეტოქის ფონზე პარლამენტის დეპუტატები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ვიწრო, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე საქმეების მოგვარებით იყვნენ დაკავებული, ნამდვილად უფერულად გამოიყურებოდნენ.

მაგრამ აქ მარტო უკმაყოფილო, შეურაცყოფილ და გულმოსულ კრომველში არ იყო საქმე. მის უკან მისი „რკინისგვერდებიანები," თვით მტრის მიერ ნაქები ვეტერანები, საქვეყნოდ ცნობილი მეომრები იდგნენ. კრომველს შვილებივით უყვარდა თავისი ჯარისკაცები და ჯარისკაცები მას სიყვარულითვე პასუხობდნენ. იმიტომ, რომ იგი ხმალამოღებული თავად მიუძღოდა მათ ბრძოლაში, მათთან ერთად თბებოდა ბანაკში გაჩაღებულ კოცონთან, მათ ხუმრობას ხუმრობითვე პასუხობდა და არ თაკილობდა მათი უხეში, ზოგჯერ უშვერი ჯარისკაცული სიმღერების მოსმენას. მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, იგი თავისი ძალოვანი სიცილითა და მოელვარე თვალებით აღანთებდა მათ იმისათვის, რომ ებრძოლათ „დალოცვილი საქმისათვის." „კარგი სამეგობრო," ასე მოიხსენიებდა მათ კრომველი. სწორედ ეს ურთიერთობა ჯარსა და სარდალს შორის აშინებდა პარლამენტის პრესბიტერიანულ უმრავლესობას. საით წარმართავდა თავის მეომრებს ეს ძლევამოსილი სარდალი მშვიდობიან დროს? „დალოცვილი საქმე" კი ჯარის თვალსაზრისით საფრთხეში იყო. ეს პირველ რიგში ეხებოდა ჯარისკაცების არსებობას, რომელიც უშუალოდ იყო დამოკიდებული მათ ანაზღაურებაზე. კუთვნილი ჯამაგირი კი არა მარტო ჯარისკაცებს, არამედ ოფიცრებსაც კი უკვე დიდი ხანი აღარ ეძლეოდათ. დავალიანება კი დროის ძალიან დიდ მონაკვეთს მოიცავდა. ქვეითებისათ-

ვის იგი 80 კვირას, ხოლო ცხენოსნებისათვის – 43 კვირას შეადგენდა. ეს ჯარისკაცებისა და ოფიცრების დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. ამას ხაზგასმით აღნიშნავდა კრომველი თავის მიმართვებში პარლამენტის სახელზე. „არასოდეს ყოფილა ხალხი ესე გამწარებული, როგორც ახლა"- წერდა იგი. ამის დასტურს წარმოადგენს იორკში განლაგებული სამხედრო ნაწილის ამბოხება. ამბოხებული ჯარისკაცები შემოეხვივნენ თავის მეთაურს, გენრალ-მაიორ პრინზს, მკერდზე შეყენებულ ჩახმახიანი დამბაჩა დაადეს და გაშმაგებით გაიძახოდნენ: „ფული, ფული, ფული!"

ჯარში სიტუაციის გამძაფრებას ხელი შეუწყო ლეველერების აგიტაციამაც. რადიკალურად განწყობილი ოფიცრების და პუბლიცისტების ჯონ ლილბერნის, უილიამ უოლვინის და რიჩარდ ოვერტონის იდეებმა და პამფლეტებმა ახალი ყაიდის ჯარშიც შეაღწიეს. რასაკვირველია, რომ ადამიანები, რომლებიც იბრძვიან, სისხლს ღვრიან და სიკვდილს უსწორებენ თვალს ყოველთვის მოელიან თავისი თავგანწირვის სადარ მიგებას. ეს მოლოდინი კიდევ უფრო მძაფრდება რევოლუციის დროს, ანუ ისეთ პირობებში, როდესაც საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების მთავარი მუხტი მომდინარეობს საყოველთაო თავისუფლების, კეთილდღეობის და თანასწორობის დამყარების ლოზუნგიდან. დაახლოებით ასეთივე იყო ლეველერთა მოწოდებები: მეფის ხელისუფლების და ლორდთა პალატის გაუქმება, უზენაესი ხელისუფლების ხალხისადმი დაქვემდებარება და ა.შ. იმავე დროს მათ პროგრამაში იყო კონკრეტული რელიგიურ-ეკონომიკური მოთხოვნებიც, კერძოდ, მონოპოლიების სრული გაუქმება, გადასახადების შემცირება, გაბატონებული პრესბიტერიანული ეკლესიის ნაცვლად აღმსარებლობის სრული თავისუფლება. ლეველერთა პროპაგანდამ პოპულარობა მოიპოვა ჯარის რიგით შემადგენლობაში და ოფიცერთა ნაწილში. მათთვის, ვინც თავისუფლებას სწირავდა თავს ასეთი ლოზუნგები ყველაზე ღირებული და ხელმოსაჭიდი იყო. ტყუილდ ხომ არ ეთამაშებოდნენ ისინი სიკვდილს?! მათი დაძაბული და მუდმივად სახიფათო ყოფიდან გამომდინარე, რომელიც მათ ცნობიერებას აყალიბებდა, თავად ეს ლოზუნგებიც უფრო მეტი სიმძაფრით აღიქმებოდა. ამ მხრივ ძალზე საყურადღებო და მნიშვნელოვან ინფორმაციას

გვანვდის იმ დროის ცნობილი პურიტანი-მქადაგებელი რიჩარდ ბაქსტერი, რომელიც ცხენოსანთა ერთ-ერთ პოლკზე იყო მიმაგრებული: „ჯარისკაცები მხოლოდ ხალხის ხელისუფლებას უჭერენ მხარს. ყველა დანარჩენი, მეფის ხელისუფლების ჩათვლით მათთვის მიუღებელია. დარწმუნებული ვარ, რომ მეფეს ისინი ტირანად და მტრად მიიჩნევენ. მათ მიაჩნიათ, რომ რადგან მეფის წინააღმდეგ იბრძვიან, შესაბამისად, მისი შეპრყობის და მოკვლის უფლებაც აქვეთ“ – წერდა ბაქსტერი. ასევე საინტერესოა მისი ცნობები იმის შესახებ, თუ რაზე მსჯელობდნენ ჯარისკაცები და რა შეკითხვებს აძლევდნენ ისინი ჯარში მყოფ მქადაგებლებს. „ვინ არიან ლორდები, თუ არა უილიამ დამპყრობლის პოლკოვნიკები? განა ბარონები მისი მაიორები, ხოლო რაინდები მისი კაპიტნები არ არიან?“- კითხულობდნენ ჯარისკაცები. ამ შემთხვევაში ისინი მიანიშნებდნენ იმაზე, რომ ტირანია დასაბამს იღებდა ნორმანდიელთა შემოჭრის დროიდან, როდესაც საფრანგეთიდან, კერძოდ ნორმანდიიდან მოსულმა ნორომანული(ვიკინგური) წარმოშობის ფრანგმა ფეოდალებმა ჰერცოგ გიიომის(ინგლისურად უილიამის) მეთაურობით 1066 წ. დაიპყრეს ანგლო-საქსური ინგლისი. მეფის ხელისუფლებისადმი ამგვარი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, პრესბითერიანების მცდელობა – მეფესთან ურთიერთობა მოლაპარაკების მეშვეობით მოეგვარებინათ კიდევ უფრო დიდ უკმაყოფილებას იწვევდა და მტრულად განაწყობდა ჯარს პარლამენტის მიმართ.

ამ დაძაბულობას ზემოხსენებული ირლანდიური საკთხიც ამწვავებდა. ადრე უკვე ითქვა, რომ ირლანდიაში მიმდინარე ანტიინგლისური ბრძოლის ჩასახშობად პარლამენტი უარს ამბობდა კრომველის და მისი ჯარის გაგზავნაზე და ამისათვის რაღაც ახალი ჯარის შექმნას აპირებდა. როგორც ჩანს, აღნიშნული მიზნის მიღწევა ვერ მოხერხდა. მაშინ ხელისუფლებამ ისევ „რკინისგვერდებიანებს“ მიმართა. მაგრამ მას იმედგაცრუება ელოდა. ახალი ყაიდის ჯარი იმედნად იყო გულგატეხილი პრესბითერიანული პარლამენტის პოლიტიკით, რომ ირლანდიაში ლაშქრობის გაგონებაც კი არ სურდა. ბრძოლებში გამობრძმედილი ვეტერანების უკმაყოფილებას და გაკვირვებას ისიც იწვევდა, რომ ხელისუფლებამ ძალზე თავისებურად შეარჩია სამომავლო სამხედრო კამპანიის სარდლობა. ფელდმარ-

შალად გამოცდილი და პოპულარული მეთაური ფილიპ სკიპონი დანიშნეს, მაგრამ გენერალ-ლეიტენანტად, ანუ სკიპონის მოადგილედ და შესაბამისად, კავალერიის უფროსად სერ ედუარდ მასი. და ეს მაშინ, როცა ცხენოსანი ჯარის მეთაურად ერთსულოვნად ოლივერ კრომველი მოიაზრებოდა. მაგრამ კრომველი „თამაშგარე მდგომარეობაში" აღმოჩნდა. უფრო მეტიც, მისი ლეგენდად ქცეული კავალერია ინგლისში დატოვეს და მაიორ ჰანტინგდონს ჩააბარეს.

ამგვარი გადაწყვეტილება აბსოლუტურად არ აწყობდა „რკინისგვერდებიანებს." ისინი საკუთარ თავს უფრო აქტიურ, განკარგულების გამცემთა, ვიდრე დაქვემდებარებულთა როლში ხედავდნენ. როდესაც ეს გადაწყვეტილება ოფიციალურად ემცნო ჯარს პარლამენტის წარმომადგენელთა მეშვეობით, ორასი ოფიცერი შეიკრიბა ამ საკითხის განსახილველად და თავყრილობამ, რომელსაც თავად სერ თომას ფერფაქსი თავმჯდომარეობდა, ცალსახად გამოხატა პროტესტი პარლამენტის გადაწყვეტილების წინააღმდეგ. საპროტესტო თავშეყრა მეორე დღესაც გაიმართა. პარლამენტის წარმომადგენლებს ამ საპროტესტო თავშეყრის გარდა ისიც აღიზიანება, რომ ფერფაქსი, უმაღლესი მთავარსარდალი, მაინც და მაინც არ ეწინააღმდეგებოდა ოფიცრებს და არ მოუწოდებდა მათ მორჩილებისაკენ. მთავარი და რამაც ალბათ ყველაზე მეტად დააფიქრა პარლამენტის წარმომადგენლები იყო მოწოდება, რომელიც არა ერთხელ გაისმა: „ყველანი აქეთ, ყველანი აქეთ! ფერფაქსთან და კრომველთან ერთად ყველანი დავიძრათ!" ეს კი სხვა არაფერი იყო, თუ არა მოწოდება, რომ მთელი ჯარი ამ ორი პოპულარული სარდლის მეთაურობით ლონდონისკენ უნდა დაძრულიყო. ჯარისკაცები და ოფიცრები კიდევ უფრო გააქტიურდნენ მას შემდეგ, რაც ჯარში ლეველერთა ინიციატივით შეიქმნა ჯარისკაცების აგიტატორთა საბჭოები. ეს იყო ჯარისკაცთა და უმცროს ოფიცერთა გაერთიანებები, რომელთა წევრებს ირჩევდნენ კავალერიაში ესკადრონის, ხოლო ქვეითებში ასეულის და პოლკის დონეზე. ისინი პოლკის წარმომადგენლებად ითვლებოდნენ და მათი მეშვეობით საჭიროების შემთხვევაში უნდა მომხდარიყო ჯარისკაცთა და უმცროს ოფიცერთა მოთხოვნების წარდგენა უფროსი სამეთაურო შემადგენლობისათვის. ხანდახან მათ აგენტებსაც უწოდებ-

დნენ. სწორედ ამ აგიტატორების(აგენტების) აგიტაციის მეშვეობით ჯარისკაცთა უკმაყოფილებას, რომელსაც ისინი გამოხატავდნენ პარლამენტის პოლიტიკის მიმართ, ეძლეოდა ჩამოყალიბებული, პროგრამული ხასიათი.

როგორი იყო კრომველის პოზიცია მიმდინარე მოვლენების მიმართ და საერთოდ, რა მდგომარეობაში იყო იგი აღნიშნულ პერიოდში? 1647 წ. დასაწყისში, კერძოდ იანვარ-თებერვალში კრომველი მძიმე სენით იყო შეპყრობილი. ეს იყო აბსცესი(ჩირქგროვა). ავადმყოფობამ მას არნახულად დიდი ფიზიკური ძალები წაართვა და დეპრესიულ მდგომარეობაში ჩააგდო. ამიტომაც სწერდა იგი გამოჯანმრთელების შემდეგ ფერფაქსს, თუ რა ცუდ დღეში იყო და ყოველდღე იმის შეგრძნება ჰქონდა, რომ კვდებოდა. მაგრამ განგებამ იგი დაინდო და ისტორიისათვის შემოინახა. ამიტომ, როგორც ეს უკვე ვთქვით ამერიკაში შეუმდგარ გადასახლებასთან დაკავშირებით, ახლაც, მისი ლამის სასწაულებრივი გამოჯანმრთელებიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ უნდა ვირწმუნოთ ყველაფერ შემდგომში მომხდარის კანონზომიერება. სხვანაირად იგი უბრალოდ ერთ მშვენიერ დღეს ვერ გაიღვიძებდა როიალისტების, ირლანდიელებისა და შოტლანდიელების გულის გასახარად. გამოჯანმრთელების შემდეგ კრომველი დაუბრუნდა საპარლამენტო საქმიანობას და მარტის თვეში საკმაოდ ენერგიული სიტყვით გამოვიდა პარლამენტში. მან თითქმის საზეიმოდ აღუთქვა თემთა პალატას, რომ ჯარი თავისით, ეშვიდობიანად დაიშლება. კრომველის არაკეთილმოსურნეები, იხსენებენ რა მის პოზას, როცა კრომველმა გულზე ხელი დაიდო და მის ნათქვამ სიტყვებს „მაღალ ღმერთს ვფიცავ," ასკვნიან, რომ ეს იყო მისთვის ესოდენ დამახასიათებელი თვალთმაქცობა. ისტორიკოსებს ამაზე განსხვავებული მოსაზრება აქვთ. მათი აზრით აქ კრომველმა-პოლიტიკოსმა სამომავლო სიტუაციის განჭვრეტაში შეცდომა დაუშვა და რომ ამგვარი უნარის არქონა მისი მოწყვლადი წერტილი იყო. ისინი მიიჩნევენ, რომ კრომველს ნამდვილად სჯეროდა, რომ პარლამენტს შესწევდა უნარი დაეკმაყოფილებინა ჯარის მოთხოვნები. ასე რომ, ამ ავტორების აზრით, აღნიშნულ მომენტში მან შეცდომა დაუშვა სამომავლო პოლიტიკური სიტუაციის განჭვრეტაში .

მოგვიანებით, როდესაც ირლანდიაში ლაშქრობისათვის ჯარის შეგროვება მიმდინარეობდა და ცხენოსანი ჯარის მეთაურად სერ ედუარდ მასი დანიშნეს, ხოლო მისი ბრძოლაში გამობრძმედილი „რკინისგვერდებიანები" მაიორ ჰანტინგდონს ჩააბარეს, კრომველმა დაიწყო სხვადასხვა საშუალებების ძებნა იმისათვის, რომ კონტინენტზე მოხვედრილიყო და იქ მიმდინარე სამხედრო მოქმედებებში მიეღო მონაწილეობა. იგი გაცხოველებულ მოლაპარაკებას აწარმოებდა ელექტორ-პალატინთან, წმინდა რომის იმპერიის ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთი სამთავროს მთავართან, რომელმაც 30-წლიანი ომის დროს სამფლობელოები დაკარგა და მათი დაბრუნება სურდა. რასაკვირველია, ძლევამოსილი კრომველი ამ საქმისათვის შესანიშნავი კანდიდატურა იყო. მაგრამ მოვლენათა მსვლელობა, კრომველის განწყობა და გეგმებიც მკვეთრად შეიცვალა. მაისის დასაწყისში პარლამენტმა კრომველი, აირტონი, სკიპონი და პოლკოვნიკი ჩარლზ ფლიტვუდი ჯარში მიავლინა იქ შექმნილი ვნებათაღელვის დასაშოშმინებლად. როდესაც ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა მათ თავისი მოთხოვნები წარმოუდგინეს, კრომველმა და ყველა დანარჩენმა აღიარეს, რომ მოთხოვნები სავსებით სამართლიანი, გააზრებული იყო და არ შეიცავდნენ რაიმე სახიფათო და უკანონო ზრახვას. ჯარისკაცები და ოფიცრები ითხოვდნენ: სახელფასო დავალიანების დაფარვას; უფლებას, უშუალოდ მიემართათ თავისი გენერლებისათვის; გამოექვეყნებინათ მიმართვა, რომელშიც განმარტებული და დასაბუთებული იქნებოდა მათი მოთხოვნა; პარლამენტს უნდა დაეცვა ჯარი უსაფუძვლო ბრალდებებისა და მტრული გამოხდომებისაგან.

კრომველი, როგორც სარდალი პირველ რიგში იყო მკაცრი, ლამის სასტიკი დისციპლინის გამტარებელი. იგი, რომელიც ლოთობისათვის ჯარისკაცებს ხუნდებს ადებდა, თანარაზმელის შეურცყოფისათვის როზგავდა და ჯარიდან ითხოვდა მაინც შიშობდა, რომ სიტუაცია უკონტროლო გახდებოდა და მაშინ ჯარისკაცთა მასას ვერაფერი დააკავებდა. მან ძალიან შინაარსიანი სიტყვით მიმართა ჯარს, აღუთქვა, რომ პარლამენტი დაფარავდა რვა კვირის სახელფასო დავალიანებას და მოუწოდა უმცროს ოფიცრებს ყველა ღონე ეხმარათ ჯარისკაცების დასაშოშმინებლად. პრესბიტერიანებისადმი უარყოფითი და-

მოკიდებულებისდა მიუხედავად მას, როგორც პრაქტიკულად ყველა ხელისუფალს(თუნდაც სამხედროს), აფრთხობდა ხალხის მასების ხელისუფლებისადმი უარყოფითი და მით უფრო მტრული დამოკიდებულება. განსაკუთრებით თუ ეს ცოცხალი მასა ჯარისკაცებისაგან შედგებოდა. ეს მამაცი, ძალოვანი, ვაჟკაცური სულისკვეთების ადამიანები, რომლებიც სისხლს ღვრიდნენ და სიცოცხლეს სწირავდნენ საერთო-სახალხო კეთილდღეობას, რომლებსაც ეთქმოდათ სიტყვა, კრიტიკულ მომენტში შეიძლება უმართავები გამხდარიყვენენ. „თუ ხელისუფლება დაემხობა, მაშინ არეულობა დაისადგურებს“ – ამბობდა კრომველი. ეს არ იყო ჩვეულებრივი შიში, არამედ პასუხისმგებლობის გრძნობა. ალბათ ეს არის ისტორიის ერთ-ერთი პარადოქსი. ადამიანი, რომელიც გაილაშქრა ხელისუფლების და თანაც მეფის, ღვთის მიერ მირონცხებულის წინააღმდეგ, იარაღით ხელში შეებრძოლა მას, ახლა თავად მოუწოდებდა ჯარისკაცებს პატივი მიეგოთ ხელისუფლებისათვის. როგორც ჩანს, საზოგადოებრივ-სახელმწიფო სისტემის საფუძვლების შერყევას ყოველთვის უფრთხიან მასთან დაკავშირებული, შესაბამისი პასუხისმგებლობით აღჭურვილი პირები.

26 მაისს კრომველი და პოლკოვნიკი ფლიტვუდი ლონდონში დაბრუნდნენ და პარლამენტს წარუდგინეს ჯარისკაცთა მოთხოვნები. ორივემ საგანგებო ყურადღება დაუთმო იმას, რომ ოფიცრებს არ დაბრალებოდათ ჯარისკაცებთან კავშირი შეთქმულების მოწყობის მიზნით. ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნდნ, რომ ოფიცრებმა ყველაფერი იღონეს, რათა ჯარისკაცების ტლანქი და გაუმართავი ნათქვამი შესაბამისად „გაეშალაშინებინათ“ და ისე წარედგინათ ხელისუფლებისათვის. ყველაფერ ამის მიუხედავად, ჯარის მიმართვამ თემთა პალატის, სადაც პრესბითერიანები სჭარბობდნენ, არნახული გულისწყრომა და განრისხება გამოიწვია. პრესბითერიანთა ლიდერმა ჰოლისმა მაშინვე მოამზადა დადგენილება, რომელიც კრძალავდა ჯარისკაცთა პეტიციებს. ეს იყო მორიგი ნაბიჯი პარლამენტსა და ჯარს შორის არსებული ურთიერთობის გაუარესების გზაზე. მაგრამ პრესბითერიანები კიდევ უფრო შორს წავიდნენ. ჯარისკაცების გააქტიურებამ ისე შეაშინა ისინი, რომ მათ გადაწყვიტეს ბოლო მოეღოთ ჯარისათვის, დაეშალათ იგი და ამით ინდეპენდენტებისათვის საბოლოოდ გამოეცალათ

ნიადაგი. ინდეპენდენტები კი ჯარს ეყრდნობოდნენ. პრესბითერიანები იმასაც გეგმავდნენ, რომ მეფე შოტლანდიელებისათვის გადაეცათ და ინგლისელი როიალისტების დახმარებით ტახტზე აღედგინათ. მათვე უნდოდათ პრესბითერიანობის საყოველთაო და უცილობელი დამკვიდრება მთელ ქვეყანაში. სწორედ ამ გეგმების განხორციელების უშუალო საშუალებას წარმოადგენდა პარლამენტის დადგენილება ჯარის დათხოვნის შესახებ, რომელიც თემთა პალატამ მიიღო 1647 წ. 25 მაისს პრესბითერიანული უმრავლესობის ლიდერების ჰოლისის და სტეპლტონის ინიციატივით. ლორდთა პალატამ დასტური მისცა ამ დადგენილებას. დაინიშნა სამეთვალყურეო ჯგუფი, რომელიც ამ პროცესს გააკონტროლებდა.

მაგრამ ჯარისკაცებმა უარი თქვეს პარლამენტის ბრძანებულების შესრულებაზე. ასე რომ, მოხდა უპრეცედენტო ამბავი. ჯარი, რომელიც პარლამენტის მოწოდებით იბრძოდა თავისუფლებისათვის, უარს ამბობდა მისი ბრძანებულების შესრულებაზე თავისუფლების დაცვის საბაბით. ალბათ სწორედ ეს არის სამხედრო ხასიათის ერთპიროვნული მმართველობის (დიქტატურის) დამყარების წინაპირობა და არა მხოლოდ მათი სამხედრო ბელადის პატივმოყვარეობა და ძალაუფლებისაკენ სწრაფვა. ამგვარ გუნება-განწყობას ყოველთვის მის უკან მდგომი მასის სულისკვეთება და მრწამსი კვებავს. მიმდინარეობდა ბრძოლა ძალაუფლებისათვის და ამ საქმეში ჯარისკაცები იყვნენ ჩაბმული. ჯარისკაცს არაფერი გააჩნია საკუთარი სიცოცხლის გარდა და იმასაც კი იგი უყოყმანოდ სწირავს თავის მოვალეობას, როგორც ამას ამბობს ამერიკელი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი უილიამ ჯეიმსი. ჯარისკაცები სისხლს ღვრიდნენ, ყოველდღე სიკვდილს უსწორებდნენ თვალს ისეთი დიდი ადამიანური ფასეულობისათვის ბრძოლაში, რომელსაც თავისუფლება ჰქვია. სწორედ ეს ბადებდა მათ შეგნებაში თავისებურ უპირატესობას სამოქალაქო პირებთან, თუნდაც უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებთან შედარებით. მით უფრო, თუ ისინი ვერ ხედავდნენ ისეთივე ღწვას და თავდადებას ხელისუფლების მხრიდან სამოქალაქო ასპარეზზე. ალბათ სწორედ ამან ათქმევინა ნაპოლეონს 150 წლის შემდეგ: „დამთავრდა დრო, როდესაც ყბედები და ადვოკატები გილიოტინაზე აგზავნიდ-

ნდნ ჯარისკაცებს.“ ამით მან გამოხატა თავისი დამოკიდებულება მისი თანადროული, სრულიად გახრწნილი სახელისუფლებო სტრუქტურების მიმართ, რომლებიც არაფრად აგდებდნენ ფრონტზე მყოფი ჯარისკაცებისა და ოფიცრების თავგანწირვას. XVII ს. ინგლისელი ჯარისკაცები თავისი ცნობიერებითა და სწრაფვით ნაპოლეონის ამ გამონათქვამის და საერთოდ, მისი წინამორბედები არიან. სწორედ ასეთ პირობებში აქტიურდებიან სამხედროები და იმსჭვალებიან იმ აზრით, რომ მათ იმაზე მეტის გაკეთება შეუძლიათ, რასაც ისინი ბრძოლის ველზე აკეთებენ. ამის დემონსტრირება მოხდა 1647 წ. 29 მაისს. ჯარმა უარი თქვა დამორჩილებოდა პარლამენტის დადგენილებას. 16 პოლკის აგიტატორები შეიკრიბნენ ედმუნდსბერიში(საფოლკის საგრაფო) და შეადგინეს წერილი სერ თომას ფერფაქსის სახელზე, სადაც პირდაპირ განაცხადეს, რომ არ დაიშლებიან. ლეველერთა ბელადები ჯონ ლილბერნი და რიჩარდ ოვერტონი მხარს უჭერდნენ ჯარისკაცებს და თავის პამფლეტებში წერდნენ, რომ „მოთხოვნა ჯარის დათხოვნის შესახებ ერთ მუჭა მატყუარებსა და მოღალატეებს ეკუთვნის, რომლებიც პარლამენტის ორივე პალატაში არიან მოკალათებულები.“ მათი თქმით ჯარი სწორად იქცეოდა, რომ არ ემორჩილებოდა პარლამენტს, რომელიც უსამართლო და ტირანულ ხელისუფლებად იქცა. უკმაყოფილებას ბევრი უფროსი ოფიცერი და გენერალიც კი გამოთქვამდა. „პრესბითერიანები პროვოკაციაზე მიდიან. ვფიქრობ, ქარიშხალი ატყდება“- სწერდა აირტონი კრომველს. ხანგრძლივი და დაძაბული თათბირის შემდეგ მეთაურებმა ურჩიეს ფერფაქსს შეესრულებინა ჯარისკაცების მოთხოვნა და ემცნო პარლამენტისათვის, რომ ჯარი არ დაიშლება. ამით ფერფაქსი და საერთოდ, მთელი სარდლობა არჩევანის წინაშე დადგა. ან ჯარისკაცებისა და ოფიცრობის უმრავლესობის მხარეს უნდა დამდგარიყვნენ და მათი მოთხოვნები დაეცვათ, ან რადიკალური მოძრაობის შიშით პარლამენტში გაბატონებული პრესბითერიანების ნება-სურვილს დაყოლოდნენ. ეს უკანასკნელი კი ინდეპენდენტებისათვის პოლიტიკური თვითმკვლელობის ტოლფასი იყო, რადგან პრესბითერიანებთან ბრძოლაში მათი მთავარი დასაყრდენი სწორედ ჯარი იყო.

ყველაფერი ეს კარგად ესმოდა კრომველს. როგორც უკვე ითქვა,

ბუნებით მკაცრსა და დისციპლინირებულს, მას არ სურდა მიმდინარე პროცესების ქაოსში გადაზრდა. გარდა ამისა, მხედველობაში მისაღები იყო კიდევ ერთი მომენტი, რომელსაც ნებისმიერ დროს შეეძლო გაერთულებინა მდგომარეობა და გაეცამტვერებინა ბოლტონთან, გეინსბოროსთან, მარსტონ მურთან და ნესბისთან მოპოვებული გამარჯვებები. ეს იყო მეფე. მისი დაბრუნება შოტალანდიელებთან, გაერთიანებული მონარქისტული ომის დაწყება შოტლანდიელების, ინგლისელი როიალისტების და პრესბითერიანების მონაწილეობით, ერთი სიტყვით ყველაფერი ის, რასაც პარლამენტის უმრავლესობა აპირებდა ჰოლისისა და სტეპლტონის მეთაურობით. ეს კი კრომველის დიდ შეშფოთებას იწვევდა. ამიტომაც იგი შეეცადა რაღაცნაირად გაენეიტრალებინა მეფე, უფრო სწორად, ნაკლებად ხელმისაწვდომი გაეხადა ის როიალისტებისათვის. სწორედ ამიტომ კრომველმა გადაწყვიტა მეფე უფრო საიმედო და უსაფრთხო, ჯარის მახლობლად მყოფ ადგილას გადაეყვანა. ჩარლზ I ჰოლმბის ციხე-კოშკში იმყოფებოდა, რომელსაც იცავდა რაზმი პოლკოვნიკ გრეივსის მეთაურობით. გრეივსი პრესბითერიანი იყო. 1647 წ. 31 მაისს კრომველმა უბრძანა ერთ-ერთ აქტიურ და ენერგიულ აგიტატორს, კორნეტ(ოფიცრის უმდაბლესი წოდება) ჯოისს მეფე ჯარის მთავარ შტაბში გადაეყვანა. ფაქტობრივად ეს მეფის შეპყრობა იყო. კრომველმა ამ შემთხვევაში იშვიათი პოლიტიკური პრაგმატულობა გამოავლინა. ჯარის რეალობაში იგი ეწინააღმდეგებოდა აგიტატორების რადიკალიზმს, მაგრამ ამ კონკრეტულ სიტუაციაში ასეთი რთული დავალება მან სწორედ აგიტატორს დააკისრა, რადგანაც იცოდა, რომ ეს უკანასკნელი თავისი პოლიტიკური მრწამსიდან გამომდინარე უყოყმანოდ შეასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. 2 ივნისს ჯოისი შეიარაღებული რაზმის თანხლებით ჰოლმბიში მივიდა. ჯოისის მისვლისთანავე დაცვის უფროსი პოლკოვნიკი გრეივსი გაიქცა. დაცვის ჯარისკაცები ჯოისის რაზმს შეუერთდნენ. როდესაც პარლამენტის წარმომადგენლებმა ჯოისს შესაბამისი რწმუნებები მოსთხოვეს, რომლებიც დაადასტურებდნენ მის უფლებამოსილებას, ამ უკანასკნელმა უპასუხა, რომ ჯარის სახელითა და დავალებით მოქმედებდა. როდესაც ჯოისი მეფის საძინებელ ოთახში შევიდა, რათა თავისი მისვლის მიზეზი

მოეხსენებინა, მეფემ მას იგივე კითხვა დაუსვა რწმუნებების თაობაზე. პასუხად ჯოისმა ჯარისკაცების რაზმზე მიანიშნა. „ჭეშმარიტად, ასე სამართლიანად და კარგად დაწერილი რწმუნება მე ჩემს დღეში არ მინახავს“ – უპასუხა ჩარლზ I. ამგვარად ჯოისმა მეფე ნიუმარკეტში მდებარე ციხე-კოშკში გადაიყვანა. ნიუმარკეტში კი ჯარის მთავარი შტაბი იყო განლაგებული. ჩარლზ I ჯარის ტყვედ იქცა.

მეფის ჯარის მიერ დატყვევებამ პარლამენტის გულისწყრომა გამოიწვია. პრესბითერიანი დეპუტატები სასტიკად გაილაშქრნენ კრომველის წინააღმდეგ და მისი დაპატიმრებაც კი მოითხოვეს. მაგრამ იმ დროისათვის კრომველი უკვე ნიუმარკეტში იყო, ჯარის მთავარ შტაბში. ისიც უნდა ითქვას, რომ კრომველი ჯარს შეუერთდა ჯარისკაცთა და ოფიცერთა დაჟინებული მოთხოვნების შემდეგ. მას ასეთი შინაარსის სამი წერილი მისწერეს! უკვე ეს მეტყველებს მის არნახულ პოპულარობაზე და იმაზე, რომ სიტუაციის მართვის სადავეები მას ეპყრა ხელთ. პრესბითერიანებს ინიციატივა ხელიდან ეცლებოდათ.

კრომველის გეგმის მეორე ნაწილი უფრო რთული იყო და რამდენიმე შემადგენელს მოიცავდა. იგი გეგმავდა რადიკალური მოძრაობის განმუხტვას, რათა ჯარში ანარქიას არ დაესადგურებინა. იორკის ამბოხება, გენერალ პოინტზის დაპატიმრება, მეამბოხეთა მიერ მისი რედინგში გადაყვანა, სადაც იგი ფერფაქსის პირადი ჩარევის შემდეგ გაანთავისუფლეს ამ საშიშროების ნათელ მაგალითს წარმოადგენდა. მაგრამ კრომველს არც ძალზე მკვეთრი ზომების მიღება სურდა აგიტატორების და ლეველერების წინააღმდეგ. ისინი ერთობ პოპულარულები იყვნენ ჯარისკაცთა შორის. ჯარი კი, როგორც უკვე ითქვა, საჭირო იყო ინდეპენდენტებისათვის, რათა ბოლომდე დაეძლიათ პრესბითერიანები. კრომველს უნდოდა აგიტატორები თავის მოკავშირეებად ექცია. ამრიგად კრომველის „პრინციპულმა უპრინციპობამ,“ როგორც მის პოლიტიკურ მოქნილობას უწოდებს მ. ბარგი კიდევ ერთხელ იჩინა თავი. არ იზიარებდა რა აგიტატორების და ლეველერების პოზიციას, კრომველი მაინც იახლოვებდა მათ, რათა ეს უკანასკნელნი უფრო ძლიერ და თანაც საერთო მოწინააღმდეგესთან, პრესბითერიანებთან ბრძოლაში გამოეყენებინა. ასე რომ ძალე-

ბის გადაჯგუფება და მოქნილი მოქმედება კრომველს არა მარტო ბრძოლის ველზე შეეძლო. სწორედ ამიტომ შეიქმნა ჯარის საერთო საბჭო, რომელსაც ზოგჯერ გენერლებისა და ოფიცრების საერთო საბჭოს უწოდებდნენ. მასში შევიდნენ ჯარის სარდლობის წარმომადგენლები და ყველა პოლკიდან აგიტატორი, ჯარისკაცები და ორ-ორი ოფიცერი. აღნიშნულმა საბჭომ მიიღო უფლებამოსილება ყოფილიყო ჯარის წარმომადგენელი პარლამენტთან მოლაპარაკებაში და ნებისმიერი პოლიტიკური საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში. ამით კრომველმა ფაქტობრივად დაიქვემდებარა აგიტატორები, რომლებიც ვერ შეეწინააღმდეგებოდნენ საბჭოში შემავალ მრავალრიცხოვან ოფიცრობას. იმავე სვლით მან შეინარჩუნა ჯარის ერთიანობა, რაც ესოდენ მნიშვნელოვანი იყო ინდეპენდენტებისათვის პრესბიტერიანებთან დაპირისპირებაში.

კრომველის ამ ტაქტიკურმა ნაბიჯმა, ინდეპენდენტების და ლეველერების გაერთიანებამ გამოხატვა ჰპოვა მათ ერთობლივად შედგენილ დოკუმენტებში: „საზეიმო ვალდებულები" და „დეკლარაცია." პირველში დასაბუთებული იყო მიზეზები, რომელთა გამოც ჯარმა უარი თქვა დაშლილიყო. ეს იყო ჯარის თავისებური ერთიანობის ფიცი. იმავე დროს მასში იყო წარმოდგენილი სახელფასო დავალიანების დაფარვის მოთხოვნა. საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს „დეკლარაცია." მასში ახალი ყაიდის ჯარი წარმოაჩენდა საკუთარ არსს, პრინციპებს და ფუნქციებს. „ჩვენ ინგლისელი ხალხის სახელით ვლაპარაკობთ, რადგანაც არა ვართ დაქირავებული ჯარი, რომელიც ვალდებულია ნებისმიერ ხელისუფლებას ემსახუროს. ჩვენ ვართ პარლამენტის რამდენიმე დეკლარაციის საფუძვლად მოხმობილი ჯარი, იმისათვის, რომ თავისი და ხალხის თავისუფლება დაიცვას"- ნათქვამი იყო დეკლარაციაში. მაგრამ იქვე ნათქვამი იყო, რომ ჯარი პარლამენტის ხელში ბრმა იარაღი არ არის. „ჩვენ შეგნებულად ავიღეთ ხელში იარაღი, რათა ხალხის თავისუფლება დაგვეცვა და განვაგრძობთ ამ საქმეს"- განაგრძობდნენ დეკლარაციის ავტორები. დეკლარაციაში იყო რიგი კონკრეტული მოთხოვნებისა. ეს იყო იმ დეპუტატთა დათხოვნის მოთხოვნა, ვინც ბოროტად იყენებდა თავის მანდატს, მოქმედი პარლამენტის დათხოვნა და ახლის მოწვევა სამი

წლის ვადით. „დეკლარაცია“ ითხოვდა ე.წ. „დამპალი ადგილების“ სისტემის შეცვლას, რაც საარჩევნო სისტემას უფრო სამართლიანს გახდიდა. „დამპალი ადგილი“(rotten borough – ინგლ.) იყო ტერიტორია, ხშირად დაუსახლებელი, რომელსაც წარმომადგენლობა ჰქონდა პარლამენტში, რასაც ანგარების მიზნით იყენებდა მისი მფლობელი ლენდლორდი. ასეთი ადგილები მრავლად იყო იმ დროის ინგლისში და ისინი კორუფციის წყაროს წარმოადგენდნენ. „დეკლარაციაში“ იყო მოთხოვნა საარჩევნო ცენზის შემოღების შესახებ. ცენზი საარჩევნო ოლქების მოწყობის დროს გაითვალისწინებდა გადასახადების ოდენობას, რაც გარკვეულწილად უპირატესობას მიანიჭებდა მოსახლეობის შეძლებულ ფენებს. საერთო ჯამში ეს იყო ერთობ მნიშვნელოვანი, პროგრესული დოკუმენტი, პირველ რიგში პოლიტიკური ცნობიერების თვალსაზრისით. მაშინ, როდესაც ევროპის კონტინენტზე 1618 წლიდან მძვინვარებდა 30-წლიანი ომი, უფრო ადრე კი, XVI ს. მეორე ნახევარის მანძილზე საფრანგეთი რელიგიური ომების ქარცეცხლში იყო გახვეული და როგორც პირველ ასევე მეორე შემთხვევაში ჯარისკაცები და ოფიცრები მიწასთან ასწორებდნენ ქალაქებსა და სოფლებს, აწიოკებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას და მზად იყვნენ იმის მხარეზე ებრძოლათ, ვინც უფრო მეტ ფულს გადაუხდიდა, ინგლისში ჯარი სახალხო სუვერენიტეტზე, ხალხის თავისუფლებაზე და საარჩევნო პრინციპებზე აკეთებდა საჯარო განცხადებებს, ითხოვდა საარჩევნო სისტემის გაუმჯობესებას. ჭეშმარიტად, შესაშური, პროგრესული პოლიტიკური აზროვნებაა! ასე რომ, აღნიშვნის ღირსი არიან დეკლარაციის ავტორი ჰენრი აირტონი და მისი თანაავტორი ლეველერები.

ჯარის გააქტიურებამ ძალზე შეაშინა პრესბიტერიანები. მათ მოითხოვეს, რომ ჯარი ლონდონიდან 40 მილის მოშორებით განლაგებულიყო. იმისათვის, რომ რაღაცნაირად დაეზღვიათ თავი, მათ სასწრაფოდ მიიღეს დადგენილება ჯარისათვის სახელფასო დავალიანების სრულად დაფარვის შესახებ. იმავე დროს პარლამენტმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. ლონდონში, სადაც სიტუაცია საკმაოდ დაძაბული იყო გამოჩნდა გადამდგარ ჯარისკაცთა საკმაოდ დიდი ჯგუფი, რომლებმაც თავი მოიყარეს პარლამენტთან და ერთობ

აგრესიულად გამოხატავდნენ თავის უარყოფით დამოკიდებულებას ხელისუფლების მიმართ. ამ თავყრილობის დასაშოშმინებლად პრესბითერიანებმა მიიღეს დადგენილება მათთვის 10 ათასი გირვანქა სტერლინგის გამოყოფის შესახებ. მაგრამ ამ შემთხვევაში ხელისუფლება უფრო შორს იყურებოდა. პრესბითერიანები ამ გადამდგარი ჯარისკაცების გამოყენებას აპირებდნენ ოპოზიციურად განწყობილი ჯარის წინააღმდეგ. პრესბითერიანთა თავდაცვითი ღონისძიებები ამით არ შემოიფარგლა. ლონდონში შეიქმნა უშიშროების კომიტეტი, რომელიც სამხედრო შენაერთების ჩამოყალიბებას და დედაქალაქის მილიციის(ლაშქრის) რეორგანიზაციას შეუდგა. თავად მილიციიდან თანდათანობით ინდეპენდენტების ყველა მომხრე განდევნეს. კრომველთან და მის „რკინისგვერდებიანებთან" საბრძოლველად პრესბითერიანები აპირებდნენ ჩრდილოეთში, იორკში განლაგებული საჯარისო ნაწილების მოხმობას, რომლებსაც გენერალი პოინტზი მეთაურობდა. პრესბითერიანებმა აკრძალეს ყოველგვარი თავშეყრა. სიკვდილით დაისჯებოდა ყველა, ვინც ზემდგომი პირების ბრძანებას არ დაემორჩილებოდა.

ამ სიტუაციაში არც კრომველი, ინდეპენდენტები და მათი ჯარი იყვნენ უმოქმედოდ. საერთო საბჭომ წერილი გაუგზავნა პარლამენტს, რომელშიც ბრალდება წაუყენა თემთა პალატის პრესბითერიან დეპუტატებს ჰოლისს, სტეპლტონს, უილიამ უოლერს, მეინარდს, გენერალ მასის, სულ 11 ადამიანს. მათ ბრალს სდებდნენ როიალისტებთან ერთად ახალი ყაიდის ჯარის წინააღმდეგ ომის გაჩაღების მცდელობაში. ინდეპენდენტები მოითხოვდნენ პრესბითერიანების მიერ შექმნილი სამხედრო შენაერთების დაუყოვნებლივ დაშლას. თუ გარკვეული დროის ბოლომდე მოთხოვნები არ შესრულდებოდა, ჯარი საგანგებო ზომების მიღებით იმუქრებოდა. ეს ბოლო განცხადება მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო კრომველის შეგონებით – დაპირისპირების მშვიდობიანად გადაწყვეტისათვის გამოეყენებინათ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება. და ეს მაშინ, როდესაც პრესბითერიანები ირწმუნებოდნენ, რომ კრომველი ჯარში შფოთს სთესდა და ჯარისკაცებს ამბოხებისკენ მოუწოდებდა. კრომველს სურდა, რომ ჯარის მოქმედება კანონის ფარგლებს არ გასცდენოდა. „ლონ-

დონზე გალაშქრება ეს მხოლოდ ერთ-ერთი საშუალებაა, რომელიც დღის წესრიგში დადგა სხვა საშუალებების განხილვის გარეშე. ყველა შეთანხმება, რომელსაც მივაღწევთ, გრძელვადიანი და მყარი იქნება. იგი მომავალ თაობებსაც გადაეცემა. მაგრამ ჩვენი მოთხოვნების შესრულება ძალის გამოყენებით არის ჩვენს წინ მდგომი უდიდესი წინააღმდეგობა და უდიდესი დაძაბულობა, რომელიც ჩვენ ტვირთად გვაწევს. ყველაფერი, რასაც ძალის საშუალებით მივაღწევთ, არარაობაა. რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ ქვეყნისთვის(სამეფოსთვის) ყველაზე კარგი შედეგი მივიღოთ ძალის გამოყენების გარეშე?"- შეაგონებდა კრომველი ჯარისკაცებს. საოცარია, სიტუაციის გააზრების და სამოქმედო საშუალებების რა დიდი ამპლიტუდა ჰქონდა ამ ადამიანს! ეს ხომ ის კრომველია, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ იგივე პარლამენტის წინააღმდეგ ძალას გამოიყენებს?! ამრიგად, ამ კონკრეტულ ეტაპზე არავითარი საფუძველი არ არის იმისათვის, რომ იგი სამოქალაქო ხელისუფლების მიმართ აგრესიულ ქმედებაში დავადანაშაულოთ. ხოლო მეორე, სამომავლო შემთხვევა იმაზე მეტყველებს, რომ კრომველი აცნობიერებდა კონკრეტულ სიტუაციას და მისგან გამომდინარე მოქმედებდა.

მაგრამ კრომველს დაყოვნების სხვა მიზეზიც ჰქონდა. ეს იყო მეფის ფაქტორი. მეფე, რომელიც არც ერთი მხარის დაპირებას არ იკარებდა, დამარცხებული და დატყვევებული კვლავ ორივე მოქიშპე მხარის ინტერესების სფეროში აღმოჩნდა. იგი ხედავდა ამას და ამიტომაც „უკარებას" როლს თამაშობდა, მით უფრო, რომ მისი გადაბირებისათვის საკმაოდ მძაფრი მეტოქეობა მიმდინარეობდა. როგორც სერ თომას ფერფაქსი ამბობდა, მეფე ოქროს ბურთად იქცა მოპაექრე მხარეებს შორის და საკითხი იმაში მდგომარეობდა, თუ ვის მოედანზე დაეშვებოდა ეს ბურთი. „ნიადგის მოსინჯვა" 4 ივლისს შედგა, როდესაც კრომველი და ჩარლზ I პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, თუკი არ ჩავთვლით ნამდვილ ან გამოგონილ ამბავს, რომლის თანახმად ოთხ ათეულ წელზე მეტი ხნის წინ, ჰინჩინბრუკში ორმა პატარა ბიჭმა, ჩარლიმ და ნოლმა(ოლივერის შემოკლებული ფორმა) მუშტი-კრივი გამართეს და რომ ამ უკანასკნელმა იმარჯვა და ცხვირ-პირი დაუნაყა მეტოქეს. როგორც ამბობენ, პირველი და მომდევნო შეხვე-

დრები ძალიან კარგად წარიმართა, პრაქტიკულად ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე. ეს ყველაფერი ძალიან საეჭვო ჩანდა, ამიტომ კრომველის მამიდაშვილმა, ოლივერ სენტ-ჯონმა უთხრა მას, რომ საქმე ძალიან სწრაფად მიდიოდა წინ და „დამუხრუჭება" ურჩია. მოლაპარაკების სწრფი ტემპი მეფესა და კრომველს შორის იმის შთაბეჭდილებას ქმნიდა, რომ ორიოდე კვირაში ჩარლზ I და ჯარი შეთანხმებას მიაღწევდნენ. მაიორ ჰანტინგდონის თქმით, კრომველმა პირდაპირ კეთილი ნების შეთავაზებების კორიანტელი დააყენა: მეფისთვის მის მოძღვართან შეხვედრის ნების დართვით დაწყებული და უმცროს შვილებთან ურთიერთობის აღდგენით დამთავრებული. ეს სულგრძელობა ისე შორს წავიდა, რომ მეფეს დაპირდნენ შემწყნარებლობას კათოლიკეთა მიმართ. ეს კი ნამდვილად გასაოცარი იყო, რადგანა კრომველს, თავგადადებულ პურიტანს კათოლიკობის გაგონებაც კი არ სურდა. სამოქალაქო ომის დროს კათოლიკეები არ წარმოჩნდნენ როგორც თავგამოდებული როიალისტები. ასე რომ, თუ ისინი მიიღებდნენ შეთავაზებულ პირობებს, შეეწყობოდნენ ინგლისის პოლიტიკურ სამყაროს და არ დაიწყებდნენ ინგლისის სინამდვილეში უცხოური საკანონმდებლო სისტემისკენ ლტოლვას და მისით ხელმძღვანელობას, ასეთ შემთხვევაში ისინი ისარგებლებდნენ შემწყნარებლობის სიკეთეებით ახალ, მშვიდობიან ინგლისში, რომელსაც მეფე გაუძღვებოდა.

რა დაინახა ერთმანეთში ამ ორმა ადამიანმა, რომლებსაც რამდენიმე წლის წინ ვეებერთელა მანძილი აშორებდა ერთმანეთს. მეფემ – დამარცხებულმა, დატყვევებულმა და ქვეშევრდომმა – მეამბოხემ, გამარჯვებულმა, რომელიც მეფეს გარკვეულ პირობებს სთავაზობდა და რომელმაც მისალმების დროს მას მხოლოდ თავი დაუხარა და ხელზეც არ ემთხვია. როგორც კრომველმა უთხრა ეკზეტერის ყოფილ გამგებელს, სერ ჯონ ბერკლის, რომელიც მეფის შუამავლის ფუნქციას ასრულებდა, მასზე არაჩვეულებრივად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩარლზ I ურთიერთობამ თავის უმცროს შვილებთან, 13 წლის ელიზაბეთთან და 7 წლის ჰენრისთან. კრომველმა, ამ მამაცმა და მკაცრმა ადამიანმა, მაგრამ თავად მოსიყვარულე მამამ ცრემლი ვერ შეიკავა, იმდენად მოულბა გული ჩარლზ I მამობრივი სიყვარულისა და სითბოს შემყურეს. „მეფე ყველაზე პატიოსანი და კეთილსინდისიერი ადამია-

ნია თავის სამ სამეფოში(ინგლისი, შოტალანდია და ირლანდია – ივ.მ.). ინდეპენდენტები ყოველთვის ვალში იქნებიან მასთან იმის გამო, რომ მან 1646 წ. უარყო ე.წ. „ნიუკასლის შეთავაზებები," რომლებიც პრაქტიკულად პრესბითერიანობის გაბატონების საშუალებას წარმოადგენდნენ"- თქვა კრომველმა. რაოდენ შეუცნობადია პოლიტიკურ ქარტეხილებში მყოფი ადამიანის გუნება-განწყობა! გაივლის სულ რაღაც ორიოდე წელი და იგივე კრომველი ხელს მოაწერს ჩარლზ I სასიკვდილო განაჩენს, ისე, რომ ხელიც არ აუკანკალდება.

რა დაინახა ჩარლზ I თავის მეამბოხე ქვეშევრდომში? ყველაზე მეტად, რამაც იგი დააფიქრა იყო ის, რომ კრომველი, აირტონი, ასევე მათი თანმხლები უფროსი ოფიცრები, პოლკოვნიკი რეინსბორო და სერ ჰარდრეს უოლერი არაფერს ითხოვდნენ თავისთვის. სწორედ ამ ადამიანების ასეთმა ალტრუისტულმა პოზიციამ აიძულა მეფე ეჭვი შეეტანა მათ გულწრფელობაში და უნდობლობით განმსჭვალულიყო მათ მიმართ. ასეთმა მიდგომამ თვით მეფის თანმხლები პირის, სერ ჯონ ბერკლის გაოცება გამოიწვია. 12 ივლისს სერ ჯონ ბერკლი შეხვდა კრომველს, რეინსბოროს და უოლერს და გადასცა მათ დედოფალ ანრიეტ-მარის ნათქვამი. ამ უკანასკნელს სურდა, რომ მეფე დათანხმედებოდა ჯარის მოთხოვნებს, თუკი ისინი მისაღები იქნება მისი სინდისისა და ღირსებისათვის. კრომველის პასუხი კვლავ აღსავსე იყო იმ ალტრუიზმით, რომელმაც ესოდენ დააეჭვა მეფე. არადა იმავე პასუხმა ფრთები შეასხა სერ ჯონ ბერკლის, რომელმაც კრომველის სიტყვებში მოახლოებული შეთანხმების ნიშანი დაინახა. „ჯარის ოფიცრებს სხვა არაფერი სურთ გარდა იმისა, რომ იცხოვრონ, როგორც უფლებამოსილებით აღჭურვილმა მეფის ქვეშევრდომებმა, რადგან სხვანაირად ვერავინ შესძლებს ისარგებლოს თავისი მდგომარეობიდან და საკუთრებიდან მოწეული სიკეთეებით"- უპასუხა კრომველმა. უფრო ადრე კი იგივე კრომველს ნათქვამი ჰქონდა და მეფემ ეს მისი დაახლოებული პირის მეშვეობით შეიტყო, რომ ის, კრომველი, „ბედნიერი იქნება, თუკი ჯარში უდიდეს სამსახურს გასწევს თქვენი უდიდებულესობისთვის, რისთვისაც იგი უკვე მზადაა." ამრიგად, უკვე მკაფიოდ იკვეთებოდა ჯარის მეფესთან შერიგების კონტურები.

მაგრამ ყოველივე ზემოთქმულმა დაამტკიცა, რომ პოლიტიკური

ქარტეხილების ხანაში გამარჯვების მისაღწევი სვლების და მათი შეფასების აგება სენტიმენტალურ და გულისამაჩუყებელ გრძნობებზე უბრალოდ დაუშვებელია. ამგვარ ასპარეზზე შესაბამისი მიზნების მიღწევის პროცესში ეს გრძნობები, როგორც ნაპოლეონი ამბობდა, ქალებს და ბავშვებს უნდა მიანებონ. სამი სამეფოს ყველაზე პატიოსანი და კეთილსინდისიერი ადამიანი, ჩარლზ I თვლიდა, რომ მეფე და ქვეშევრდომები აბსოლუტურად განსხვავებული ცნებები არიან. მეფე კრომველს და მის თანხმლებ პირებს უბრალოდ ვერ განიხილავდა როგორც თავის სწორებს. მაგრამ ამას გარდა მეფეს სხვა რამეზეც ეჭირა თვალი. შოტლანდიიდან, ლორდ ლოდერდეილისაგან მოსულმა საიდუმლო შეტყობინებამ მეფეს ამცნო, რომ მას არა მარტო ჯარში ექნებოდა მხარდაჭერა. ლონდონში პრესბიტერიანები იმუქრებოდნენ, რომ თავად მოიწვევდნენ შოტლანდიელებს. მათ ერთობ შორს მიმავალი გეგმა ჰქონდათ. ისინი შოტლანდიელებისათვის აპირებდნენ მეფის გადაცემას იმ იმედით, რომ ჩარლზ I შოტლანდიაში ჯარს შეაგროვებდა და დაუპირისპირებდა მას პარლამენტისათვის ესოდენ არასასურველ კორმველის არმიას. დადიოდა ხმები იმის თაობაზე, რომ იორკში, გენერალი პოინტზი ჩრდილოეთის არმიას შოტლანდიელებს ჩააბარებდა, ხოლო აგიტატორები ახალი ყაიდის ჯარის რიგით შემადგენლობას ლონდონში შეჭრისა და იქაურობის დარბევისაკენ მოუწოდებდნენ.

ინდეპენდენტები კიდევ ერთხელ შეეცადნენ სიტუაციის მოთოკვას. ჰენრი აირტონმა ოფიცრების და აგიტატორების მონაწილეობით მოამზადა საკმაოდ ვრცელი დოკუმენტი, რომელსაც „წინადადებათა სათაურები“ უწოდა. ფაქტობრივად ეს იყო აირტონის მიერ შედგენილი ქვეყნის კონსტიტუცია, მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ იგი მისაღები აღმოჩნდა რადიკალურად განწყობილი ოფიცრობისათვის და აგიტატორებისთვისაც. ამ უკანასკნელებმა ხანგრძლივი თათბირის შემდეგ გაიზიარეს აირტონის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მთავარი ლონდონზე გალაშქრება კი არა, არამედ ქვეყნის სამომავლო პოლიტიკური დოკუმენტის შექმნა იყო. თითქოსდა ჯარი ერთიან პოზიციაზე დადგა, მაგრამ ივლისის ბოლოს ლონდონში მომხდარმა მოვლენებმა მკვეთრად შეცვალეს სიტუაცია. პრესბითე-

რიანების წაქეზებით ლონდონში მოხდა მათი მომხრეების გამოსვლა, რომლებმაც ნეიტრალურად განწყობილი ხალხის აყოლიება შესძლეს. მოძალადეთა ბრბო შეიჭრა პარლამენტში და აიძულა სპიკერი უილიამ ლენტოლი შეეცვალა დადგენილება ლონდონის მილიციის შესახებ, რომელიც ამის წყალობით პრესბითერიანების დაქვემდებარებაში აღმოჩნდა. როგორც ჩანს, პარლამენტში ერთობ დაძაბული სიტუაცია შეიქმნა, რადგან უფრო დიდი საფრთხის თავიდან ასაცილებლად ლენტოლმა და დეპუტატების გარკვეულმა ნაწილმა გაქცევით უშველა თავს. მათ შორის იყო აღმოსავლეთის საგრაფოების ჯარის ყოფილი მთავარსარდალი გრაფი მანჩესტერი. მათ თავი ჯარს შეაფარეს.

ამგვარმა არეულობამ გარკვეული იმედები ჩაუსახა მეფეს. ჩარლზ I ჩათვალა, რომ ჯარის პოზიციები შეირყა და ამიტომაც თავად ურყევი პოზიცია დაიკავა მოლაპარაკების დროს, რომელიც 28 ივლისს გაიმართა. შოტლანდიელთა წარგზავნილი გრაფი ლოდერდეილი ყოველნაირად აქეზებდა მეფეს და აღნიშნული გამოსვლის მომწყობ პრესბითერიანებს. იგი არწმუნებდა მეფეს, რომ სიცოცხლესაც კი არ დაიშურებდა, რომ ჯარისთვის წინააღმდეგობა გაეწია. როგორც ჩანს, ამგვარმა შეგულიანებამ ცუდი სამსახური გაუწია ჩარლზ I. თუმცა ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ იგი მეფე იყო, მთელი თავისი ცნობიერებით და თუნდაც დამარცხებული და დატყვევებული, საკუთარ თავს თავის ქვეშევრდომებზე მაღლა განიხილავდა. მაგრამ მას აშკარად უმტყუნა რეალობის გრძნობამ და მოლაპარაკების დასაწყისიდანვე ძალზე აღგზნებლად დაიწყო საუბარი, რამაც ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა აირტონზე და მის თანმხლებ პირებზე. მეფის აზრით ჯარს მის (მეფის) იქით გზა არ ქონდა. „მე ვნახავ, თუ რა კმაყოფილებით მიიღებენ უფრო თანაბარ პირობებს. მათ თავად ექნებათ ამის დიდი სურვილი"- ეუბნებოდა ჩარლზ I თავის დაახლოებულ პირებს. და ეს მაშინ, როცა „წინადადებათა სათაურებში" ნათქვამი იყო: „იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იყოს სამეფოს საფუძველები, თავისუფლება და უსაფრთხოება, საჭიროა რომ აღდგეს მისი უდიდებულესობის(მეფის-ივ.მ.) და დედოფლის, ასევე მისი შთამომავლობის უსაფრთხოება, პატივის მიგება და თავისუფლება მათ ხალხში, მათი პირადი უფლებების ოდნავი შეზღუდვის გარეშე. ასევე ოდნავადაც არ უნდა

შეიზღუდოს მათი სამეფო უფლებამოსილება ზემოდასახელებული პირობების გარდა." სწორედ ეს ზემოდასახელებული პირობები იყო მეფის ხელისუფლების უდიდესი შემზღუდავი საშუალება. მეფეს 10 წლით ჩამოართვეს ჯარისა და ლონდონის ლაშქრის მეთაურობის უფლება; მას არ შეეძლო ხელი შეეშალა პარლამენტისათვის შეეფასებინა მეფის მოხელეების საქმიანობა ან გაესამართლებინა ისინი. აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციით მოიაზრებოდა სახელმწიფო საბჭოს შექმნა, რომელიც გააკონტროლებდა შეიარაღებულ ძალებს და საგარეო ურთიერთობებს. რასაკვირველია, ყველაფერი ეს ძალზე ზღუდავდა მეფის ხელისუფლებას. მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდა იგი სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ. როგორც ჩანს, შოტლანდიელთა დაპირებებმა და პრესბიტერიანთა მიერ ლონდონში მოწყობილმა არეულობამ თავბრუ დაასხა მეფეს და ზედმეტად დიდი წარმოდგენა შეუქმნა მის შესაძლებლობებზე. „ თქვენ ვერაფერს გახდებით ჩემს გარეშე! უჩემოდ, ჩემი მხარდაჭერის გარეშე თქვენ დაიღუპებით!" – უყვიროდა იგი აირტონსა და მის თანმხლებ პირებს. ამაოდ შთააგონებდა მას ერთგული სერ ჯონ ბერკლი უფრო გაწონასწორებული და მშვიდი ყოფილიყო, ურჩევდა, რომ თვითდაჯერებული ტონით მხოლოდ მაშინ ელაპარაკა, როცა მის განკარგულებაში ჯარისათვის უცნობი რაიმე საშუალება იქნებოდა. ბერკლის აზრით, დაკარგვის პირას მყოფი სამეფო გვირგვინი არასოდეს ყოფილა ასე ადვილად დასაბრუნებელი. ამას მხოლოდ შეთანხმება სჭირდებოდა. მაგრამ მეფე შეუვალი იყო. ამის შემყურე პოლკოვნიკმა რეინსბორომ, რადიკალური შეხედულებების ადამიანმა სასწრაფოდ დატოვა მოლაპარაკება, რათა ჯარისთვის ემცნო მეფის პოზიცია.

როგორც ჩანს, ამ შეხვედრამ შეცვალა კრომველის დამოკიდებულება მეფის მიმართ. ამასვე ადასტურებს როიალისტი ისტორიკოსი ედუარდ ჰაიდი. „სამივე სამეფოს ყველაზე კეთილსინდისიერი და პატიოსანი ადამიანის" ხატი დაიმსხვრა კრომველის წარმოდგენაში. ამას დაემატა ცნობები იმის შესახებ, რომ ის გადამდგარი ჯარისკაცები, რომლებიც პარლამენტმა 10 ათასი გირვანქა სტერლინგით დააშოშმინა, ახალი ნადავლის ხელში ჩაგდების მიზნით პარლამენტის და

საერთოდ ლონდონის დარბევას აპირებდნენ. სწორედ ამან უბიძგა კრომველს დაყოლოდა ჯარისკაცების და რადიკალურად განწყობილი ოფიცრობის მოთხოვნას ლონდონზე გაელაშქრათ. სხვანაირად კრომველი უბრალოდ ვერ მოიქცეოდა. ჯარი მისი ღვიძლი პირმშო იყო და თუკი კრომველი მას განუდგებოდა, იგი კონტროლს დაკარგავდა პირად შემადგენლობაზე. თავად ჯარი კი უკონტროლო ბრბოდ იქცეოდა, რასაც დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გართულებები მოყვებოდა.

ჯარის ლონდონზე გალაშქრებამ დედაქალაქში არნახული პანიკა გამოიწვია. ქალაქის მუნიციპალურმა საბჭომ, რომელიც პრესბითერიანებისაგან შედგებოდა, უბრძანა ლონდონის მილიციას ჯარი ქალაქში არ შემოეშვა და რომ ამ უკანასკნელს არ დაერღვია პარლამენტის ბრძანებულება იმის თაობაზე, რომ ჯარი არ უნდა მოახლოებოდა ქალაქს 40 მილზე უფრო ახლოს. ქალაქის შეიარაღებული ძალების სათავეში პრესბითერიანებმა გენერალ-მაიორი მასი დააყენეს, ხოლო თანაშემწედ – გენერალი პოინტზი. კრომველის ჯარის ლონდონზე მსვლელობამ ნათლად წარმოაჩინა, თუ ვის მხარეზე იყო ქვეყანაში პოლიტიკური სიმპათიები. ჯარისკაცებს, ოფიცრებსა და გენერლებს არნახული ენთუზიაზმით ეგებებოდნენ. გენერლებს გადაეცა მოსახლეობის უამრავი პეტიცია მოთხოვნით, რომ პარლამენტს დაუყოვნებლივ შეეწყვიტა ინტრიგები ჯარის წინააღმდეგ. ლონდონის მუნიციპალურმა საბჭომ გაამაგრა ქალაქი, განსაკუთრებით საზერკი, ის გარეუბანი, საიდანაც ჯარის შემოსვლას ელოდნენ. კრომველმა უბრძანა პოლკოვნიკ რეინსბოროს აეღო საზერკი და მისი გამაგრებული კოშკურები, რაც ამ ლეველერმა-ოფიცერმა უნაკლოდ შეასრულა. ამ ყველაზე კარგად გამაგრებული გარეუბნის დაცემამ დააბნია პრესბითერიანები. მიუხედავად ამისა, მათ მაინც გადაწყვიტეს წინააღმდეგობის გაწევა ქალაქის სხვა უბნებში. მაშინ ჯარის სამხედრო საბჭომ ულტიმატუმი წაუყენა პარლამენტს, 4 აგვისტოს ღამის 12 საათამდე შეეწყვიტა წინააღმდეგობა. ხანგრძლივი ბჭობისა და კამათის შემდეგ მუნიციპალურმა საბჭომ გადაწყვიტა ჯარი ლონდონში შემოეშვა. ეს კი უკვე კაპიტულაცია იყო.

ჯარის დედაქალაქში შესვლამ ტრიუმფალური მსვლელობის

სახე მიიღო. ჰაიდ-პარკთან მას ლორდ-მერი და ალდერმენები(მუნიციპალური საბჭოს უხუცესები) შეეგებნენ. მისალმების საზეიმო ცერემონია განმეორდა ჩარინგ კროსთან, სადაც ჯარს მიესალმა დედაქალქის მუნიციპალური საბჭოს სრული შემადგენლობა. სერ თომას ფერფაქსს, რომლის ზომიერ პოლიტიკურ შეხედულებებს პრესბითერიანები ყოველთვის აფასებდნენ ძვირფასი ოქროს თასი მიართვეს, ოფიცრებისთვის კი მეჯლისი გაიმართა. ყველაფერმა ამან პანიკა გამოიწვია პრესბითერიანების ბანაკში. გენერლები მასი და პოინტზი ჰოლანდიაში გაიქცნენ, ხოლო პრესბითერიანთა ფრაქციის ლიდერებმა სტეპლტონმა, ჰოლისმა და კიდევ რამდენიმე დეპუტატმა საფრანგეთს შეაფარეს თავი. პრესბითერიანების ასეთი დაბნეულობით და სრული დეზორგანიზაციით ისარგებლა კრომველმა. მან კონტროლი დაამყარა ლონდონის მილიციაზე. მან ასევე შესძლო ლონდონის მუნიციპალური საბჭოდან პრესბითერიანების ერთგული ადამიანების გაყვანა. აღნიშნულმა მოქმედებამ გავლენა იქონია პარლამენტზე, კერძოდ კი თემთა პალატაზე. მას შემდეგ, რაც პრესბითერიანების გარკვეულმა ნაწილმა დატოვა პარლამენტი და უცხოეთში გაიქცა, მათმა დარჩენილმა თანაპარტიელებმა გადაწყვიტეს კრომველს მიმხრობოდნენ. ამან კი პარლამენტში უპირატესობა ინდეპენდენტებს მისცა. ყველაფერი ეს რასაკვირველია კრომველის ძალისხმევის შედეგი იყო. აღნიშნული დროისათვის იგი უკვე წარმოჩნდა არა მარტო როგორც ძლევამოსილი სარდალი, არამედ როგორც უცილობელი ავტორიტეტის მქონე პოლიტიკოსიც.

პატნის ვნებათაღელვები

ამრიგად, პირველი შეხვედრა პოლიტიკური სვლებისა და დაშნის დიდოსტატებს შორის შედგა და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი ამ უკნასკნელთა გამარჯვებით დამთავრდა. ამას თუნდაც კრომველის შეურიგებელი მოწინააღმდეგის, პარლამენტის პრესბიტერიანული ფრაქციის ლიდერის დენზილ ჰოლისის სიტყვები ადასტურებენ: „ჯარმა ყველაფერს მიაღწია, რაც უნდოდა. პარლამენტი ნულის ტოლფასი გახდა. მას ისღა დარჩენია, რომ მხოლოდ დასტური მისცეს სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებებს. მათ(ჯარმა- ივ.მ.) საკუთარი თავი ყოვლისშემძლე მესამე წოდებად აქციეს.“ ამ შემთხვევაში ჰოლისი შემდეგს გულისხმობდა: კონტინენტის ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც საზოგადოება სამ წოდებად იყო დაყოფილი: პირველი – სამღვდელოება, მეორე – საერო თავადაზნაურობა, მესამე – მოქალაქეები და გლეხობა, ინგლისში ისტორიულად მოსახლეობის ორი წოდება გაფორმდა. პირველი წარმოდგენილი იყო ლორდთა პალატაში, საეკლესიო და საერო ლორდებით, მეორე – თემთა პალატაში რაინდებით, ჯენტრით(ჯენტელმენებით) და მოქალაქეებით. ამიტომაც მიანიშნებდა ჰოლისი მესამე წოდების შექმნაზე, რომელიც ქვეყანას ჯარის სახით მოევლინა.

და მართლაც, 1647 წ. 20 აგვისტოს, კრომველმა ჰაიდ პარკში გაანათავსა თავის ცხენოსანთა ერთ-ერთი რაზმი და თვითონ მარტო, თანმხლები ჯარისკაცების ან ოფიცრების გარეშე მივიდა პარლამენტში. სწორედ მისი მონაწილეობით პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც გაუქმდა ყველა ის დადგენილება, რომელიც მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც პრესბიტერიანების წაქეზებითა და ხელშეწყობით მოხდა პარლამენტში შეჭრა. როგორც უკვე ითქვა, იმ არეულობის შემდეგ სპიკერი უილიამ ლენტოლი და დეპუტატთა ნაწილი ლონდონიდან გაიქცნენ და ჯარს შეაფარეს თავი. თემთა პალატის სპიკერის ჯარში ყოფნამ ლონდონზე გალაშქრებას კანონიერების საფუძველი

შესძინა. გარდა ამისა, სავსებით სამართლიანად წარმოჩნდება აირტონის განცხადება იმის თაობაზე, რომ „პარლამენტი (ანუ მისი პრესბითერიანული უმრავლესობა- ივ.მ.) პროვოკაციაზე მიდის.“ პრესბითერიანების წაქეზებით მოწყობილი პარლამენტში შეჭრა მართლაცდა სხვა არაფერი იყო, თუ არა პროვოკაცია. ცნობილია, რომ „წინადადებათა სათაურების“ ჩამოყალიბების შემდეგ კრომველმა და აირტონმა დაიყოლიეს ჯარისკაცები, ოფიცრები და აგიტატორებიც კი დროებით გადაეყოთ ლონდონზე გალაშქრება. მაგრამ პრესბითერიანების მიერ წაქეზებულმა პარლამენტში შეჭრამ უბიძგა კრომველს აქტიური ქმედებებისაკენ. ასე რომ თუ „დაშნა“ გააქტიურდა, ამაში სამოქალაქო ხელისუფლებას, ანუ როგორც საუკუნე ნახევრის შემდეგ უწოდებდა მათ ნაპოლეონი, „ადვოკატებს“ მიუძღოდა ბრალი. 20 აგვისტოს მიღებულ კანონს სრული პასუხისმგებლობით ხმა მისცეს იმ ე.წ. შუალედური პოზიციის დეპუტატებმა, რომლებიც იმისდა მიუხედავად, თუ როგორ დამოკიდებულებაში იყვნენ სამხედროებისადმი, მიიჩნევდნენ, რომ ჯარის დაშლა მხოლოდ მისი მოთხოვნების დაკმაყოფილებას უნდა მოყოლოდა.

როგორ უნდა ემოქმედა უშუალოდ კრომველს აღნიშნულ სიტუაციაში და როგორი იყო თავად სიტუაცია, რომელიც მას უკარნახებდა შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას? სიტუაციის დახასიათებისათვის მივმართოთ იმ მოვლენათა თანამედროვეებს. „უფლებამოსილება უდვოდ მეფის იყო, თუმცა ოფიციალურად მას არავინ ახორციელებდა. ერთმანეთს არავინ ებრძოდა. ყველაფერი შეჭიდებას წააგავდა ბრძოლის გარეშე, როგორც კარტშია და ამ ფონზე მიმდინარეობდა ეს დაპირისპირება პარლამენტსა და კრომველს შორის“ – წერდას იმ დროის ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ფილოსოფოსი, როიალისტი თომას ჰობსი. იმავე პერიოდში სამხედრო საბჭოდან გარიცხეს მაიორი ფრენსის უაიტი, რომელმაც დაუფარავად განაცხადა, რომ „სამეფოში (ინგლისში-ივ.მ.) სხვა ხელისუფლება არ არის გარდა ძალის და დაშნის.“ ეჭვი არ არის, რომ საზოგადოების თვალში „ყველაზე ძლევამოსილი დაშნა“ კრომველი იყო. 1647-1648 წწ. მანძილზე, სამოქალაქო საქმეებში უფრო ჩართულმა, მან დაინახა, თუ რა მკვეთრად განსხვავდებოდა ეს სფერო სამხედრო ასპარეზისაგან. იყო

რა თავგადადებული პურიტანი, მას ურყევად სწამდა, რომ მართალი, ღვთის ნებით მოვლენილი საქმე უყოყმანოდ ხორციელდება, ხოლო ეჭვის შეტანა ასეთ ქმედებაში სხვა არაფერია, თუ არა შეცოდების საწყისი. მაგრამ სამოქალაქო ასპარეზმა დაანახა მას, რომ ეს სფერო მეტ მოქნილობას, უკეთეს დრომდე მოცდას, ზოგჯერ უკანდახევასაც მოითხოვს. ალბათ ამ სიახლეების ზეგავლენით მოხდა, რომ კრომველი, უკვე ესოდენ ავტორიტეტული პოლიტიკოსი ტაუერში გამომწვდეულ ჯონ ლილბერნს ეწვია და საკმაოდ დიდხანს ესაუბრა მას. ლილბერნი დაპატიმრებული იყო გრაფ მანჩესტერის წინააღმდეგ ჩადენილი გამოხდომის გამო. როგორც ჩანს, მათ შორის მორიგება, ანუ ლილბერნის დაშოშმინება ვერ მოხერხდა. კრომველის არგუმენტი, რომ ადრე ჩაგვრა და ტირანია ჩვეულებად იყო ქცეული, ხოლო ამჟამად პარლამენტის მიერ სამართლიანობის და კანონის გადაცდენის შემთხვევები უფრო შემთხვევით ან იძულებითი აუცილებლობის ხასიათს ატარებს, ლილბერნისთვის საკმარისი არ გამოდგა.

მაგრამ ლილბერნზე უფრო მეტად კრომველს მეფე აინტერესებდა, ალბათ სწორედ იმიტომ, რომ უზენაესი, თუნდაც ფორმალური უფლებამოსილება მეფეს გააჩნდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ კრომველი, უკვე თავად ავტორიტეტული და დიდი პასუხისმგებლობით აღჭურვილი პირი, გრძნობდა, რომ სამოქალაქო ომის დასაწყისში ნათქვამი სიტყვები, მეფისათვის ბრძოლის ველზე ერთიერთზე შეტაკებისას უყოყმანოდ შუბლში დამბაჩის დახლის შესახებ, გადასასინჯი იყო. მაშინ კრომველი სოფლის რიგითი ჯენტელმენი იყო, ახლა კი ჯარის სარდალი, რომელსაც არა მარტო ჯარზე, არამედ უკვე ქვეყნის ბედ-ილბალზეც კი უნდა ეზრუნა, რომელიც მეფესთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. იმ მეფესთან, რომლის წინაშე რამდენიმე წლის წინ მთელი ქვეყანა და თვითონაც კი მუხლს იყრიდნენ. ალბათ სწორედ ამის გაცნობიერებამ დააშოშმინა კრომველის ადრეული ანტიმონარქიზმი. ამ შემთხვევაში კრომველი თითქოსდა წინ უსწრებდა თავის თანამედროვეს, ფილოსოფოსს თომას ჰობსს და ცდილობდა პრაქტიკულად განეხორციელებინა ის, რაც ამ უკანასნელმა ჩამოაყალიბა კრომველის გარდაცვალებიდან 10 წლის შემდეგ. კერძოდ, თავის ერთ-ერთ ტრაქტატში, „ბეჰემოტი: ხანგრძლივი პარლამენტი“ იგი

წერდა: „ უდიდეს სისულელეს სჩადიან ისინი, ვინც ანგრევს იმას, რასაც მათთვის კარგი მოუტანია, ისე, რომ მანამდე, სანამ დააანგრევს, რაიმეს, არსებულზე უკეთესს არ ააგებს.“ შესანიშნავი და მარადიული დებულება, რომელიც პრაქტიკულად არც ერთ რევოლუციას არ მიუღია მხედველობაში. რადგანაც როგორც მოხუცი ჰეგელი ამბობდა „ისტორიის ერთადერთ გაკვეთილს წარმოადგენს ის, რომ ხალხებსა და მათ ხელისუფალთ არასოდეს გამოუტანიათ რაიმე დასკვნა ისტორიის გაკვეთილებიდან.“

კრომველი ვერ მიიღებდა მხედველობაში ვერც ჰობსის აზრს, რადგანაც მისი ტრაქტატი 1668 წ. დაიწერა და კიდევ უფრო გვიან, 1681 წ. გამოქვეყნდა და მით უფრო ჰეგელის დებულებას. მაგრამ პრაქტიკული ალღო კარნახობდა მას, რომ აბსოლუტურად ცარიელ პოლიტიკურ ნიადაგზე მართვის ახალი სისტემა ვერ აიგებოდა, რომ პარლამენტი, თავისი თითქმის ოთხსაუკუნოვანი არსებობის მიუხედავად საჭიროებდა უმაღლეს აღმასრულებელ ინსტიტუტს, რომელსაც მეფე და მისი ხელისუფლება წარმოადგენდა. მათი უცაბედი გაქრობა კი ძალზე რთულად შესავსებ ვაკუუმს შექმნიდა. სწორედ ამიტომ ჯარის ლონდონში შესვლის შემდეგ კრომველი ყოველნაირად ცდილობდა მეფესთან მოლაპარაკების განახლებას. იგი ენერგიულად იცავდა თავის პოზიციას, რაზეც მეტყველებს 18 ოქტომბერს წარმოთქმული მისი შემართებით აღსავსე სიტყვა, რომელშიც იგი არწმუნებდა თემთა პალატას ჩარლზ I ტახტზე აღდგენის აუცილებლობაში.

შექმნილი მდგომარეობა ამძაფრებდა პოლიტიკური დაჯგუფებების მტრულ დამოკიდებულებას ურთიერთის მიმართ, რაც კარგად არის აღწერილი იმ მოვლენათა თვითმხილველის, ვინმე უილიამ ლენგლის ჩანაწერებში. „აგიტატორები ადანაშაულებენ კრომველს და მის მომხრეებს იმაში, რომ ისინი ყოველნაირად ცდილობენ მეფის კეთილგანწყობის მოპოვებას. თავის მხრივ გრანდები(გენერალიტეტი და უფროსი ოფიცრობა – ივ.მ.), კრომველის მეთაურობით ამბობენ, რომ აგიტატორები და მათი მომხრეები მეტისმეტად ბევრს იღებენ თავის თავზე იმ საკითხებში, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის მართვა-გამგეობასთან“- წერდა ლენგლი. ამგვარი სიტუაციის შექმნა არ არის გასაკვირი. საერთო მოწინააღმდეგის ასპარეზიდან გაქრო-

ბამ(თუნდაც დროებით), წარმოაჩინა რევოლუციური ბანაკის შიგნით არსებული, მანამდე დაფარული წინააღმდეგობები. საერთო მტრის წინააღმდეგ მებრძოლი მეგობრები და მოკავშირეები მის გაქრობასთან ერთად მოწინააღმდეგეებად იქცნენ. სიტუაცია, რომელიც კიდევ უფრო მწვავედ და ტრაგიკულთაც წარმოჩნდა შემდგომ ეპოქათა რევოლუციებში. აღნიშნულმა დაპირისპირებამ თავის მწვერვალს მიაღწია საერთო საჯარისო კონფერენციაზე, რომელიც 1647 წ. ოქტომბერში გაიმართა ლონდონის მახლობლად, დაბა პატნიში (ამჟამად ლონდონის ერთ-ერთი რაიონი). კონფერენციის მონაწილეები წმინდა მარიამ ღვთისმშობლის ეკლესიაში შეიკრიბნენ.

ინგლისის რევოლუცია, პოლიტიკური ბრძოლა, ბრძოლა უფლებების, თავისუფლების, ტრადიციული პრივილეგიების შენარჩუნებისათვის და არა რაღაც ახლის მოპოვებისათვის, როგორც ამას მიიჩნევს ბრიტანული ისტორიოგრაფია, სამოქალაქო ომის, ბრძოლების, საომარი მოქმედებების სახით მიმდინარეობდა. ომში კი მთავარი ჯარია. და აი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პატნიში გამართულ კონფერენციაზე სწორედ ჯარს უნდა გადაეწყვიტა, როგორი უნდა ყოფილიყო ქვეყნის პოლიტიკური მოწყობა, როგორი სახელმწიფო უნდა გამხდარიყო ინგლისი. პარლამენტის სამშობლოში საპარლამენტო სისტემის სრულყოფაზე ჯარს უნდა ემსჯელა. ალბათ ესეც ინგლისისათვის დამახასიათებელი სპეციფიკურობისა და ყველასაგან განსხვავებულობის ნიშანია. კონფერენციაზე ერთმანეთს ორი დაჯგუფება დაუპირისპირდა. რადიკალური, რომელსაც წარმოადგენდნენ ლეველერები და აგიტატორები, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო პირები: პოლკოვნიკი რეინსბორო, კაპიტანი სექსბი, პოლკოვნიკი რობერტ ლილბერნი(ჯონის ძმა), სამოქალაქო პირები ჯონ უაილდმენი და უილიამ პეტი. გრანდებს კრომველი, აირტონი და პოლკოვნიკი რიჩი ხელმძღვანელობდნენ. სერ თომას ფერფაქსი ავად იყო და კონფერენციას ვერ ესწრებოდა. სხდომები თავიდანვე კრომველის თავმჯდომარეობით წარიმართა. როგორ გაუძღვა ბრძოლებში გამობრძმედილი, ძლევამოსილი სარდალი არანაკლებად საპასუხისმგებლო კონფერენციის მუშაობას? კრომველმა თავი წარმოაჩინა როგორც დახელოვნებულმა წამყვანმა, რომელიც წარმატებულად აღწევდა

მიზანს, თანაც გაწონასწორებულს და ნაკლებად საზიანოს. როგორც მომხსენებელი, კრომველი ისეთი ორატორების რიცხვს განეკუთვნებოდა, რომლებსაც იმის გაგება სურთ, თუ რაოდენ სრულად აღიქვეს მსმენელებმა მათი საუბრის სულისკვეთება. მისი ერთი თანამედროვე, ცნობილი პოეტი ენდრიუ მარველი ამბობდა, რომ კრომველს ძლიერი, მომხიბლავი სიტყვა ჰქონდა. მეორე თანამედროვე, ეპისკოპოსი ბარნეტი ამბობდა, რომ კრომველს დაწვრილებით უყვარდა საუბარი მოხსენების საკითხზე და თანაც ტლანქი ენა ჰქონდა. მაგრამ ამ გაუთლელი ფრაზების პატრონი საუბრის იმ იარაღს ფლობდა, რომლის გარეშე ის ალბათ ადვილად დასაძლევი გახდებოდა მოპაექრეებისათვის. კრომველეს სჩვეოდა ბუნდოვანი ლაპარაკი, მაგრამ დაკვირვებული ადამიანები ამბობდნენ, რომ მოხსენების ასეთ სტილს იგი იმიტომ მისდევდა, რომ თავისი ნალაპარაკევის ჭეშმარიტი არსი შეენიღბა. კრომველზე, როგორც ორატორზე საინტერესო აზრს გამოთქვამს მისი თანამედროვე, ცნობილი პამფლეტისტი, როიალისტი სერ როჯერ ლ'ესტრენჯი: „ კრომველის ასეთი, ზოგჯერ აბდაუბდა ლაპარაკი მისი გამიზნული ხერხი იყო: ჯერ ერთი – მეგობრებს არაფერი შეეშლებოდათ მისი აზრის აღქმაში, მეორეც – მტრები ბევრს ვერაფერს მიუხვდებოდნენ. ამ გამოზომილი ლაპარაკით ის სავარაუდო წინაღობას იცილებდა თავიდან და თან სასურველი სიტუაციის მომწიფებას აჩქარებდა." კრომველის თანამედროვე, მისი ბიოგრაფი ჰენრი ფლეთჩერი წერდა, რომ „საჯარო პაექრობისას იგი თავის სათქმელს სხვას ათქმევინებდა, ნაცვლად იმისა, რომ თვითონ ეთქვა."

ეს თვისებები და უნარ-ჩვევები კრომველმა სრულად წარმოაჩინა პატნის კონფერენციაზე, სადაც მას დაუპირისპირდნენ როგორც პრინციპული და შემართებული ადამიანები(პოლკოვნიკი რეინსბორო, კაპიტანი სექსბი), ასევე პუბლიცისტები და ინტელექტუალები, მაგ. ჯონ უაილდმენი. კონფერენციაზე პირველი გამოსვლები დაეთმო ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის საკითხს. რადიკალურ პოზიციებზე მყოფი მონაწილეები, იგივე რეინსბორო, სექსბი, ალენი და უაილდმენი მოითხოვდნენ მეფის ხელისუფლების გაუქმებას და რესპუბლიკის დამყარებას. ენერგიული სიტყვით გამოვიდა ედუარდ სექსბი, შთამბეჭდავი ორატორი და ყველაფერთან ერთად გესლიანი ენის პატრონიც.

მან თქვა, რომ „მთელი ჯარი კრომველის და აირტონის განზრახვის წინააღმდეგია, რომლებსაც მეფესთან შეთანხმების დადება უნდათ. ჩვენმა მეთაურებმა ორგვარ განსაცდელში ჩაგვაგდეს. ერთის მხრივ ისინი ყველას დაკმაყოფილებას შეეცადნენ, მაგრამ ამგვარმა მცდელობამ მხოლოდ და მხოლოდ საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია. მეორეს მხრივ კი მეფის გული მოგებას ცდილობდნდნ, მაგრამ ამ მცდელობაში წარმატება საკუთარი ხელით ყელის გამოჭრის ტოლფასია“- გესლიანად მიანიშნებდა სექსბი. სექსბიმ კრომველი და აირტონი გააკრიტიკა პარლამენტის, კერძოდ, თემთა პალატის მხარდაჭერისთვის, ხოლო ამ უკანასკნელს კი ამძორებული სანაშენე ულაყების გროვა უწოდა, რომლებიც თაბაშირის კედლებში არიან გაჩხერილები, როგორც დაშლის პირას მისული სამშენებლო კოჭები.“ ამ დაცინვისა და პრინციპში ლანძღვის ნიაღვარს კრომველმა ერთობ თავშეკავებული და შეიძლება ითქვას, ფრთხილი პასუხი გასცა. „ჭეშმარიტად არის ნათქვამი. ამ მოხსენებაში სამეფოს ხელისუფლების შეცვლის უამრავი მოსაზრებაა მოცემული, სწორედ იმ ხელისუფლების, რომელიც ამჟამად მართავს ქვეყანას. და რა დარჩება ამგვარი ცვლილებების ჩატარების შემდეგ შესაფასებელი, თუკი ბრძენ და ღვთისნიერ ხალხს აღარაფერი ექნება განსახილველი...“ ამ სიტყვებით კრომველმა ფაქტობრივად ინგლისის სახელმწიფოებრიობის ძალზე არასახარბიელო სურათზე მიანიშნა რადიკალების იდეებისა და გეგმების გამარჯვების შემთხვევაში. მისი თქმით, ამგვარი მოწოდებები შექმნიდნენ იმდენად დაპირისპირებულ პოლიტიკურ დაჯგუფებებს, რომ ეს წინააღმდეგობები ქვეყანას დეცენტრალიზაციამდე მიიყვანდნენ და საგრაფოები ერთმანეთს დაუპირისპირდებოდნენ, როგორც კანტონები შვეიცარიაში. „საკამრისი არ არის შეთავაზებული სიახლე კარგი იყოს, როგორც ასეთი. იგი ინგლისს, სამეფოს უნდა მოერგოს, მისაღები უნდა იყოს მისთვის. აი, ეს არის ჩვენი, როგორც ქრისტიანების მოვალეობა, მხედველობაში მივიღოთ შედეგები და საშუალებები, რომლებითაც ამ შედეგებს მივაღწევთ“ – ამბობდა კრომველი.

არანაკლებად მძაფრი კამათი გაიმართა საარჩევნო სისტემის ირგვლივ. ამ პაექრობამ გარკვეულწილად დაჩრდილა კიდეც ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის საკითხი. გრანდების პოზიცია თავის მოხსე-

ნებაში ჩამოაყალიბა აირტონმა. მისი აზრით, მხოლოდ იმათ უნდა ჰქონოდათ უფლება აერჩიათ ადამიანები, რომლებიც შეიმუშავებდნენ ქვეყნისა და ხალხის მართვის კანონებს, რომლებსაც „მუდმივი ინტერესი გააჩნიათ ამ სამეფოში.“ მუდმივ ინტერესში იგულისხმებოდა გარკვეული ოდენობის საკუთრება. აირტონის ცოტა არ იყოს ცინიკური განცხადებით, საკუთრების არამქონენი „უნდა დაკმაყოფილდნენ იმით, რომ უფლება აქვთ მესაკუთრეების გვერდით იცხოვრონ და სუფთა ჰაერით ისუნთქონ.“ აირტონმა თავის მოხსენებაში ქონებრივი ცენზის საწყის ზღვრად დაასახელა კერძო საკუთრებაში მყოფი და არა იჯარის ნებისმიერი ფორმით(კოპიჰოლდი, ლოზჰოლდი) არსებული მამული(ფრიჰოლდი), რომელსაც წელიწადში არა ნაკლებ 40 შილინგის შემოსავალი მოჰქონდა. აირტონს მხარი დაუჭირა პოლკოვნიკმა რიჩმა. „სავსებით საფუძვლიანად მიმაჩნია გენერალური კომისრის(აირტონის-ივ.მ.) მოსაზრება, რადგანაც ჩვენთან, ინგლისის სამეფოში ერთ მესაკუთრეზე ხუთი უპოვარი მოდის. და თუ ისინი ძალაუფლებას ჩაიგდებენ ხელში, მაშინ აჯანყებაც კი არ დასჭირდებათ, პირდაპირ, კანონის ძალით გააუქმებენ უძრავ და მოძრავ ქონებას“- თქვა რიჩმა. ფრიად საყურადღებო იყო კრომველის გამოსვლა. საარჩევნო სისტემის შემდეგი გაფართოების მიზნით მან შემოიტანა წინადადება ხმის უფლება მიეცათ მემკვიდრეობითი კოპიჰოლდერებისათვის. ესენი იყვნენ გლეხები, რომლებიც იჯარით ფლობდნენ და ამუშავებდნენ ლენდლორდის მამულს მანორიალური სასამართლოს დადგენილების თანახმად, რომლის ასლი(copy-ინგლ.) გადაეცემოდა მოიჯარადრეს.

უფრო რადიკალურად იყვნენ განწყობილი დემოკრატიული ფრთის წარმომადგენლები. თავიანთ შეხედულებებს საარჩევნო სისტემის შესახებ მათ ჩამოაყალიბეს დოკუმენტში, რომელსაც „სახალხო შეთანხმება“ უწოდეს. ლეველერებას წარმომადგენელმა პეტიმ მოითხოვა, რომ ყველას, ვინც თავისი ნარმოშობით ინგლისელი იყო, თანაბარი უფლებები ჰქონოდა. პოლკოვნიკმა რეინსბოროემ გააკრიტიკა აირტონის მოსაზრება ქონებრივი ცენზის შესახებ. ჯონ უაილდმენმა თავის მოხსენებაში ხაზი გაუსვა სახალხო სუვერენიტეტის ფაქტორს. მისი თქმით, ადამიანი უნდა დამორჩილებოდა მხოლოდ იმ

ხელისუფლებას, რომელიც მისი არჩეული იყო. მაგრამ უნდა ითქვას, რომ არც ლეველერები და არც აგიტატორები მხარს არ უჭერდნენ მოსაზრებას მამრობითი სქესის ყველა ქვეშევრდომისათვის(21 წლიასას და ზემოთ), მიენიჭებინათ საარჩევნო ხმის უფლება. პირები, ვინც შემწეობას იღებდა, ანუ მოწყალებით ირჩენდა თავს, მსახურები, მუშები(დაქირავებული შრომის წარმომადგენლები) საარჩევნო ხმის უფლების მიღმა დარჩნენ.

დაპირისპირებას გრანდებსა და ლეველერებს შორის იწვევდა წარმომადგენლობის კვალიფიცირების საკითხი, ანუ იმის გარკვევა, თუ რა პროპორციით უნდა განაწილებულიყო საარჩევნო მანდატები. გრანდებისათვის საარჩევნო მანდატის მინიჭება უნდა მომხდარიყო ქონებრივი ცენზის და საზოგადოებრივი სტატუსის მიხედვით. რადიკალები აქცენტს მოსახლეობის რაოდენობაზე აკეთებდნენ. ლეველერები და აგიტატორები ბუნებრივ, ბუნებით მინიჭებულ უფლებებზე მიანიშნებდნენ, რომელთა მიხედვით ადამიანები აბსოლუტურად თანასწორები იბადებიან. გრანდები, კერძოდ, აირტონი, სამოქალაქო საზოგადოების უფლებების ცნებას ეყრდნობოდნენ, რომელთა საფუძველს კანონი, საკუთრება და საზოგადოებრივი სტატუსი წარმოადგენდა. აირტონმა პირდაპირ განაცხადა, რომ მას ამოსავალ წერტილად საკუთრება მიაჩნია და ვისაც იგი არა აქვს, მას არც უნდა ჰქონდეს უფლება აირჩიოს ქვეყნის კანონმდებლები და განმგებლები. სიტუაცია დაიძაბა. პოლკოვნიკმა რეინსბორომ აღშფოთებით უთხრა აირტონს, რომ გრანდები მათ(ლეველერებს და აგიტატორებს-ივ.მ.) ბრალს სდებენ იმაში, რომ ეს უკანასკნელნი ანარქიისკენ უბიძგებენ ქვეყანას. და აი, აქაც, ამ შეხლა-შემოხლაში ძალზე ოსტატურად, მხარეებისათვის დამამშვიდებელი ტონით ჩაერია კრომველი. „არავინ ამბობს, რომ თქვენ ანარქიისკენ მოუწოდებთ, – უთხრა მან რეინსბოროს, მაგრამ მართვის ამგვარი ფორმის ჩამოყალიბება ანარქიით დასრულდება. იგი ანარქიას მოიტანს. თუკი თქვენ საზოგადოების შიგნით არსებულ ჯგუფებს მოსპობთ, მაშინ იმ ხალხისთვის, ვინც მხოლოდ სუნთქვის უფლებით სარგებლობს(კრომველმა აირტონის გამოთქმა მოიშველია-ივ.მ.), არ შეიძლება საარჩევნო უფლების მიცემა. სწორედ ამიტომ ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ ერთმანეთს ასე მწვავედ არ

უნდა დავუპირისპირდეთ.“

მაგრამ კრომველის არგუმენტმა და შეგონებამ ვერ გაანელა კაპიტან სექსბის აღტყინება. მან კვალავ ჯარისკაცებზე გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ ისინი სისხლს ღვრიდნენ და სიცოცხლეს სწირავდნენ, ეხლა კი მათ ეუბნებიან, რომ ამ სამეფოში მათ უფლებები არ გააჩნიათ. კრომველმა, რომელიც ისედაც უარყოფითად იყო განწყობილი სექსბის მიმართ, მაინც წამოაყენა წინადადება ეს საკითხი საერთო საჯარისო საბჭოსათვის გადაეცათ განსახილველად. შეიძლება ითქვას, რომ კრომველის დაჟინებული მეცადინეობის წყალობით მისი ინიციატივით შექმნილმა კომისიამ სარდლობის, ოფიცერთა და ლეველერ-აგიტატოროების წარმომადგენელთა შემადგენლობით მიიღო შუალედური, კომპრომისული გადაწყვეტილებები. ეს პირველ რიგში საარჩევნო კანონს და არჩევნებში მონაწილეობის უფლებებს ეხებოდა. საკითხი თემთა პალატას გადაეცა, მაგრამ შესაბამისი მითითებით, რომ დაცული ყოფილიყო გარკვეული თანაფარდობა საგრაფოებსა და სხვა ტერიტორიულ ერთეულებს შორის, რათა პარლამენტი გამხდარიყო ყველა ამომრჩევლის თანაბარი უფლებების გამომხატველი. გარდა ამისა, ამ კომპრომისულ წინადადებაში ნახსენები არ იყო ქონებრივი ცენზი, თუმცა არც ის იყო ნათქვამი, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას საყოველთაო ხასიათი ექნებოდა.

მწვავე კამათი გაიმართა ასევე ქვეყნის სამომავლო პოლიტიკური მოწყობის საკითხის ირგვლივ. გრანდების მიერ შეთავაზებულ პროექტში საკანონმდებლო და სამთავრობო ინსტიტუტების სახით შენარჩუნებული იყო მეფის ხელისუფლება და ლორდთა პალატა, თუმცა კი ძალზე შეკვეცილი უფლებამოსილებით, თემთა პალატის უფლებების გაფართოების ხარჯზე. მაგრამ რადიკალურად განწყობილი ელემენტები მაინც ეწინააღმდეგებოდნენ გრანდების და შეთანხმების კომისიის მიერ შემუშავებულ ვარიანტს. კაპიტანმა სექსბიმ განაცხადა, რომ მეფის ხელისუფლების შენარჩუნება ღვთის ნების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება იქნებოდა. უაილდმენმა ისტორიაზე მიანიშნა და თქვა, რომ შორეულ წარსულში სწორედ მეფემ და ლორდებმა ჩამოართვეს ხალხს უფლებები, ამიტომ მათი ხელისუფლების გაუქმება დარღვეული სამართლიანობის აღდგენა და ხალხისთვის მისი უფლებების

დაბრუნებაიქნებოდა. კრომველი, როგორც კონფერენციის თავმჯდომარე, რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. სიტუაცია შეიძლება უშუალო დაპირისპირებამდე მისულიყო. გარდა ამისა, მან მიიღო ინფორმაცია როიალისტების ერთობ სახიფათო ზრახვების შესახებ. ამიტომ მან მოუწოდა ოფიცრებსა და აგიტატორებს თავ-თავის ნაწილებში დაბრუნებულიყვნენ. 1647 წ. 11 ნოემბერს საერთო საჯარისო საბჭომ შეწყვიტა არსებობა. მისი ფუნქციები სამხედრო საბჭომ იტვირთა, რომელიც მხოლოდ ოფიცრებისგან შედგებოდა. კრომველის ამგვარი ქმედება გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზებით. ლეველერების და აგიტატორების შემგომი გააქტიურება ჯარს უდისციპლინობამდე და სუბორდინაციის მოშლამდე მიიყვანდა. ეს კი უეჭველად სრულ ანარქიას გამოიწვევდა. ანარქია ჯარში, მით უმეტეს, როდესაც ეს უკანსკნელი რევოლუციის დამკვრელ ძალას წარმოადგენდა, სრულ კატასტროფამდე მიიყვანდა ქვეყანას. ეს კიდევ უფრო საშინელ ფორმებს მიიღებდა თავად რევოლუციის გამო, რომლის პროცესში, სახელისუფლებო სტრუქტურები ერთობ მყიფე და მოწყვლადები არიან. არმია სამხედრო ორგანიზმია, რომლის სიცოცხლისუნარიანობის და ქმედითუნარიანობის საფუძველს დისციპლინა წარმოადგენს. იგი ნებისმიერ დროს შეიძლება ჩაებას ბრძოლაში, ამიტომ დისციპლინის მოშლა უბრალოდ დაუშვებელია.

მეორე მომენტი, რის გამოც კრომველმა დააჩქარა მკვეთრი ზომების მიღება იყო მოვლენა, რომელიც 1647 წ. 11 ნოემბერს მოხდა. იმ დღეს, გვიან ღამით, ისარგებლა რა დაცვის უყურადღებობით, ჩარლზ I მისი თანმხლები პირების სერ ჯონ ბერკლისა და ჯონ აშბერნჰამის დახმარებით გაიქცა ჰემპტონ კორტის სასახლიდან. მეფე იმდენად იყო დარწმუნებული თავისი გაქცევის წარმატებით დაგვირგვინებაში, რომ დამცინავი წერილიც კი დაუტოვა დაცვის უფროსს, პოლკოვნიკ უოლის. წერილში იგი მიუთითებდა მას კარგად დაეცვა მეფის საკუთრება, სასახლე და მასში განთავსებული ავეჯი და ფერწერული ტილოები. ამზადებდნენ რა მეფის გაქცევის საიდუმლო გეგმას, მისი დაახლოებული პირები რამდენიმე საბოლოო მისამართს განიხილავდნენ. სერ ჯონ ბერკლის ყველაზე უსაფრთხოდ და საიმედოდ კონტინენტზე გადასვლა მიაჩნდა. შოტლანდიელი წარგზავნილები,

რომლებიც ცდილობდნდნ ჩარლზ I რელიგიურ დათმობებზე დაყოლიებას შოტლანდიის საზღვართან მდებარე ბერვიკში სთავაზობდნენ გაქცევას. როიალისტების ერთ ნაწილს კუნძული ჯერსი მიაჩნდა საიმედო თავშესაფრად, რომელიც მეფის მომხრეების დასაყრედნ პუნქტად ითვლებოდა. და ბოლოს ჯონ აშბერნჰამი კუნძულ უაითს ასახელებდა. მეფემ სწორედ ამ კუნძულზე შეაჩერა არჩევანი. თავის არჩევანს აშბერნჰამი იმით ასაბუთებდა, რომ კუნძულის განმგებელი ჯონ ჰამონდი ჩარლზ I მოძღვრის ძმისშვილი იყო და მეფეს უერთგულებდა. მან რატომღაც არ მიიღო მხედველობაში, რომ იგივე ჰამონდი კრომველის მამიდაშვილის და პარლამენტის ბანაკის ერთ-ერთი თვალსაჩინო ბელადის, ჯონ ჰემპდენის სიძეც იყო. საერთოდ, კონფერენციის პერიოდში სიტუაცია მეფის გარშემო სულ უფრო მძიმდებოდა. რადიკალები: მაიორი ჰარისონი, კაპიტანი ბიშოპი მას სისხლიან ტირანს უწოდებდნენ და მის გასამართლებას მოითხოვდნენ. მეფეს მისდიოდა მუქარით აღსავსე წერილები, რომ მას მოკლავდნენ, ვიდრე იგი სასამართლოს წინაშე წარსდგებოდა. სწორედ ამ მუქარით აღსავსე წერილებმა აიძულეს კრომველი მიეწერა მეფის დაცვის უფროსისათვის: „უამრავი ადამიანი ლამობს მისი უდიდებულესობის მოკვლას. შეგაგონებთ, გააძლიერეთ დაცვა და გაამკაცრეთ ყურადღება, რადგან საშინელება იქნება, თუკი ეს მოხდება.“ არსებობს შესაბამისი დოკუმენტები იმის დასტურად, რომ დაცვა გაძლიერდა, მაგრამ ყურადღება როგორც ჩანს, მაინც მოდუნდა. ჭეშმარიტად შეუცნობადია ისტორიის მიერ განხორციელებული მეტამორფოზები! ერთი რომ ადამიანები, რომლებიც ადრე ალბათ თრთოდნენ მეფის სახელის გაგონებაზე და საერთოდ გაოგნდებოდნენ, უშუალოდ რომ ენახათ იგი, ამჟამად მის გასამართლებას მოითხოვდნენ! და მეორე, იმან, ვინც ესოდენ ზრუნავდა მეფის სიცოცხლის უსაფრთხოებაზე ცოტა ხნის შემდეგ ისე მოაწერა ხელი მის სასიკვდილო განაჩენს, რომ ხელიც არ აუკანკალდა და სხვებსაც ამისკენ მოუწოდებდა.

კუნძულზე ჩასვლისას სერ ჯონ ბერკლიმ და აშბერნჰამმა კუნძულის განმგებელს მიაშურეს და სთხოვეს, მეფე კრისბრუკის ციხე-კოშკში განეთავსებინა. როგორც ამბობენ, ეს სიახლე ჰამონდისათვის შოკისმომგვრელი იყო. იგი გაფითრდა, გარკვეულ ხანს ხმაც

კი ვერ ამოიღო და ბოლოს უთხრა მომხდურებს: „ბატონებო, თქვენ მე განმაცვიფრეთ...“ ამ თავზარდამცემი სიახლისდა მიუხედავად ჰამონდი ბოლოს როგორც იქნა გონს მოვიდა, საკუთარი თავი ხელში აიყვანა და ისე მოიქცა, როგორც პარლამენტის დაქვემდებარებაშო მყოფ მოხელეს შეეფერებოდა. მან მეფე კრისბრუკის ციხე-კოშკში მოათავსა, მაგრამ არა როგორც სტუმარი, არამედ როგორც პატიმარი. შემდეგ კი ყველაფერი პარლამენტს ამცნო. პარლამენტმა სასწრაფოდ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად ვერც ერთი გემი ვერ დატოვებდა ინგლისის ნებისმიერ ნავსადგურს და გავიდოდა ზღვაში. ამით მეფეს კონტინენტზე გაქცევის ყველა იმედი გადაეწურა. იგი ხელმეორედ აღმოჩნდა ტყვეობაში, თანაც გაქცევის უშედეგო მცდელობის შემდეგ. ეს ჩრდილს აყენებდა მის პიროვნებას, ხოლო იურიდიულად ამძიმებდა მის მდგომარეობას. მეფის დატყვევებამ კვლავ წინა პლანზე წამოსწია ჯარში არსებული წინააღმდეგობები. ლეველერები და აგიტატორები ჯარში ამბოხებას ამზადებდნდნ, რათა „სახალხო შეთანხმების“ მოთხოვნები განეხორციელებინათ. რასაკვირველია, გრანდები და პირველ რიგში კრომველი ამას არ დაუშვებდნენ. ლეველერების პირველი გამოსვლა 1647 წ. 15 ნოემბერს მოხდა. იმ დღეს დაბა უერში, ჰერფორდშირის საგრაფოში დანიშნული იყო ჯარის შვიდი პოლკის დათვალიერება. მაგრამ როდესაც კრომველი და ფერფაქსი დათვალიერების ადგილას მივიდნენ მათ იქ დათქმული შვიდის ნაცვლად ცხრა პოლკი დახვდათ. მერვე და მეცხრე, მაიორ თომას ჰარისონის და პოლკოვნიკ რობერტ ლილბერნის პოლკები დათვალიერებაზე სარდლობის ბრძანების გარეშე მივიდნენ. თანაც ამ პოლკების ჯარისკაცებს ქუდებზე მიმაგრებული ჰქონდათ „სახალხო შეთანხმების“ ტექსტი და თავისი დევიზი: „ინგლისის თავისუფლებისა და ჯარისკაცთა უფლებებისათვის.“ იქვე იმყოფებოდნენ ისეთი თვალსაჩინო ლეველერები როგორც პოლკოვნიკები რეინსბორო და ეირსი, მაიორი სკოტი და სხვ. როგორც კი ფერფაქსი მიუახლოვდა ჯარისკაცებს მისკენ გამოემართა რეინსბორო, რათა მთავარსარდლისთვის „სახალხო შეთანხმების“ ტექსტი გადეცა. მაგრამ მას წინ გადაეღობა კრომველის ერთ-ერთი ადიუტანტი-ოფიცერი და არ მისცა ამის გაკეთების საშუალება. კრომველმა და ფერფაქსმა ჩამოუარეს

ჯარისკაცთა მნკრივებს და სიტყვით მიმართეს თითეულ პოლკს. მათ მოუწოდეს ჯარისკაცებს ბოლო მოეღოთ დაუმორჩილებლობისათვის, მიეღოთ სარდლობის მიერ შედგენილი ფიცი და დაბრუნებულიყვნენ ბანაკში. ფიცის ტექსტი შემდეგნაირი იყო: „ჩვენ ვკისრულობთ ვალდებულებას დავიცვათ წესრიგი, დავემორჩილოთ მის აღმატებულებას(უმაღლეს მთავარსარდალს, სერ თომას ფერფაქსს-ივ.მ.), მის სამხედრო საბჭოს, თითეული ჩვენი ოფიცრის ბრძანებას პოლკებსა და არმიაში.“ დათვალიერებაზე დაბარებული შვიდი პოლკი დაემორჩილა სარდლობის განკარგულებას. მაგრამ ზემოხსენებული მერვე და მეცხრე პოლკები, რომლებიც თვითნებურად მივიდნენ დათვალიერებაზე, არ დაემორჩილნენ ბრძანებას. ეს ალბათ არც იყო გასაკვირი. როგორც ბალსტროდ უაითლოკი წერდა თავის მემუარებში, ისინი, და განსაკუთრებით მეცხრე პოლკი, ყველაზე მშფოთვარე ნაწილებად იყვნენ მიჩნეულები მთელს ჯარში. ყველაფერთან ერთად მათ არც კი მოიხსნეს ქუდებიდან „სახალხო შეთანხმების“ ტექსტები, როგორც ეს სარდლობას ჰქონდა ნაბრძანები. ეს კი უკვე აშკარა დაუმორჩილებლობა იყო და ვერ შეფასდებოდა სხვანაირად, თუ არა როგორც ამბოხება. დაძაბულობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია.

და აი ამ დროს მოხდა ისეთი რამ, რაც თამამად უნდა განვიხილოთ როგორც სანიმუშო ისტორიული მოვლენა, რომელიც არის რა ამგვარ მოვლენათა ჯაჭვში, ნათელს ფენს პიროვნების და მასის ურთიერთობას, მის თავისებურებებს და აქედან გამომდინარე, კონკრეტული პირის აღზევების და მის მიერ კონკრეტული საზოგადოებრივი ჯგუფის და საერთოდ, მთელი საზოგადოების დამორჩილების კანონზომიერებას. ორი პოლკი, 2 400 კბილებამდე შეიარაღებული და ბრძოლებში გამობრძმედილი, უშიშარი ჯარისკაცი არ ემორჩილება სარდლობის ბრძანებას და თავის ნება-სურვილზე სურთ მოქმედება. მათ ოთხჯერ მეტი ასეთივე თანამებრძოლი შეყურებს. როგორია ამ უკანასკნელთა გუნება-განწყობა? პირველ რიგში ალბათ მოლოდინის შეგრძნება. რა გამოვა ყველაფერ აქედან, ვინ ვის სძლევს? ისინი, ანუ უფროსობა, მეთაურები, ვისაც ჯარისკაცები ემორჩილებიან და უნდა დაემორჩილონ, თუ მათნაირი ჯარისკაცები, მათი მეგობრები და თანამებრძოლები, თანაც როგორც თავად ამბობენ, სამართლიანი საქმისთ-

ვის მებრძოლები. ამგვარ სიტუაციაში ცნობისმოყვარეობა არნახულად მნიშვნელოვანი ფაქტორია. ცნობისმოყვარეობით გამოწვეულ გაღიზიანებულ გრძნობას კი მიბაძვის სურვილი მოსდევს. ადამიანი ხომ არნახულად მიმბაძველი არსებაა. ცოტაც და ალბათ მშვიდი, მორჩილი პოლკების ჯარისკაცებს ქვეცნობიერი ცთუნება სძლევს, რათა მეგობრების მხარეს გადაიხარონ. მიბაძვას ხომ არაჩვეულებრივად დიდი ძალა აქვს! მით უფრო, რომ მეამბოხეთა დევიზი, როგორც სიტყვიერი, ასევე წერილობითი, ჯარისკაცთა უფლებების დაცვაა! და თურმე ეს მეთაურები სულაც არ ყოფილან ისინი, ვისაც ვალდებული ხარ, რომ დაემორჩილო! ძალაუფლებას მართალი საქმისთვის მებრძოლი ჯარისკაცები განასახიერებენ! ინგლისის მომავალი სასწორზეა დადებული, რომელიც საცაა იმ მხარეს გადაიხრება, რომელსაც რაღაც გაურკვეველი მომავალი აქვს. რა შეიძლება მოხდეს ასეთ სიტუაციაში და როგორ განიმუხტება კულმინაციამდე მისული დაძაბულობა?

მოხდა ის, რაც მოსახდენი იყო და რითაც ისტორიამ დაგვიდასტურა, რომ ინგლისის რევოლუციის(სამოქალაქო ომის) და საერთოდ იმ დროის ინგლისის ისტორიის სვე-ბედი რკინისებრი ნების, ძალოვანი სულისკვეთების და მყისეული სწორი არჩევანის (რაც დიდ ადამიანებს სჩვევიათ) უნარის მქონე ადამიანს ეპყრა ხელთ. ცხენზე ამხედრებული, გაშიშვლებული დაშნით, კრომველი(და არა უმაღლესი მთავარსარდალი სერ თომას ფერფაქსი) შეიჭრა მეამბოხეთა რიგებში, ზოგს დაშნა მოუქნია, ზოგსაც ქუდზე მიმაგრებული „სახალხო შეთანხმების“ ტექსტი და დევიზის სიტყვები ჩამოგლიჯა. სწორედ ამ მეთაურის, თანაც ისეთის, რომელიც უცილობელი ავტორიტეტი იყო მათთვის, მოულოდნელმა შეჭრამ შეაცბუნა მეამბოხეები. ისინი შედრკნენ. რკინისებრი ნება მშფოთვარე სულისკვეთებაზე ძლიერი აღმოჩნდა. კრომველის მკაცრმა გამოხედვამ და გაბედულმა ქმედებებმა გააღვიძეს სამხედრო დისციპლინის სულისკვეთება და ჯარისკაცების მორჩილება, რომლებმაც იმაზე მეტად წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ გაბედეს. კრომველს ოფიცრები მიყვნენ და საბოლოოდ ამბოხი ჩაახშეს. მეამბოხეთა თავკაცები დააპატიმრეს. სასწრაფოდ გაიმართა სამხედრო-საველე სასამართლო, რომელმაც 14 დაპატიმრებული ჯა-

რისკაცი გაასამართლა. და მერე მოხდა ალბათ ყველაზე ტრაგიკული და სასტიკი რამ, თუმცა ესეც, ყველაფერ მომხდარის კანზომიერი დასასრული იყო. ეპოქა და მით უფრო სიტუაცია დაუნდობლები იყვნენ. სამ ჯარისკაცს სიკვდილით დასჯა მიესაჯა. მათ შორის კი წილისყრა ჩატარდა. მისჯილთა შორის სასიკვდილო წილი ჯარისკაც რიჩარდ არნოლდს ერგო, რომელიც მწობრის წინ, ყველას თანდასწრებით დახვრიტეს. სისასტიკეა? უდავოდ. მაგრამ ისტორია კრიტიკულ წუთებში ძალზე მწირ არჩევანს უტოვებს ადამიანებს, რომლებიც იმავდროულად მისივე ნების აღმსრულებლები არიან. ის იმათ მოქმედებას აძლევს უპირატესობას, ვისაც უფრო უკეთ გამოუვა მისი ნების აღსრულება. ის გამარჯვებულს ამკობს, რადგანაც ალბათ თვლის, რომ ყველას მიმართ მიუკერძოებული იყო, ყველა ერთნირ, ერთ საბრძოლო ასპარეზზე განათავსა. ნუ გავცდებით ისტორიის მეცნიერების ფარგლებს და ნუ შევეცდებით იმის წარმოდგენას, თუ როგორ მოიქცეოდნენ მეამბოხეები გამარჯვების შემთხვევაში... ისტორია, როგორც ამას ჰეგელი ამბობს, არის ის, რაც მოხდა, და არ ის, რაც შეიძლება რომ მომხდარიყო.

ამბოხება ჩაახშეს, სიტუაცია განიმუხტა. უერის დათვალიერებაზე ისტორიამ თავისებური გამოცდა მოუწყო კრომველს. როგორ მოიქცეოდა ეს ადამიანი, როდესაც ქვეყნის არსებობის ფორმა და საერთოდ მისი მომავალი სასწორზე იდო? მიხვდებოდა ის, თუ რაოდენ კრიტიკული იყო სიტუაცია? კრომველის განკარგულებაში ხომ წუთები, შეიძლება წამებიც კი იყო და სხვა არაფერი. თუნდაც მცირედი დაყოვნება, მერყეობა და მითუმეტეს გაუბედაობა და კრომველი აღვირახსნილ ჯარისკაცთა ბრბოს ხელში თოჯინად იქცეოდა. დანარჩენზე არათუ ლაპარაკი, არამედ ფიქრიც არ ღირს. სწორედ ამგვარი საქციელი მოეთხოვებოდა კრომველს ზემოაღნიშნულ სიტუაციაში, თუკი ის ნამდვილად ისტორიული კრომველი იყო. ისტორია მას სხვა საქციელს არ აპატიებდა. ამიტომ მოვლენებს გავასწრებთ და ვიტყვით, რომ სწორედ უერში დაშნის გაშიშვლებამ დაადასტურა, რომ მისი აღმასვლა სახელმწიფოს მართვის მწვერვალზე აბსოლუტურად კანონზომიერი იყო. უერში დაშნის გაშიშვლების და ამბოხების ჩახშობის გარეშე ყველა მისი ძლევამოსილი გამარჯვება უქმად ჩაივლიდა!

განა ყურადსაღები არ არის ის ფაქტი, რომ სწორედ კრომველმა და არა ფერფაქსმა იშიშვლა დაშნა და ცხენზე ამხედრებული შეიჭრა მეამბოხეთა რიგებში. იგი არ შედრკა, პირიქით, სიმტკიცე და გაბედულება გამოავლინა. იგი ხომ სარდალი იყო, ე.ი. ძალაუფლების მქონე, ხოლო როგორც ამბობენ, გაუბედაობას არაფერი ესაქმებათ ძალაუფლების სამეფოში. ის, რაც კრომველმა მოიმოქმედა, არა მის ზომაგდასულ პატივმოყვარეობასა ან სისასტიკეზე მეტყველებს, არამედ იმაზე, რომ როგორც ჭეშმარიტად დიდმა ადამიანმა მან უმალ იგრძნო, თუ რა და როგორ უნდა გაეკეთებინა კონკრეტულ სიტუაციაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მან ისტორიის ნება შეასრულა, რისი უნარი და გაბედულება არ ეყო თუნდაც სერ თომას ფერფაქსს. ამიტომაც ისტორიამ მოვლენათა შემდგომი განვითარების სადავეებიც სწორედ კრომველს ჩააბარა. პიროვნების სიდიადის საზომი მის მიერ ისტორიის უხილავი მოთხოვნის გაცნობიერებაშია და მასზე უმალ რეაგირების უნარში მდგომარეობს. მაგრამ აღნიშნული მოვლენა არა მხოლოდ პიროვნების და მასის ურთიერთობას ასახავს, რომელიც ხშირ შემთხვევაში წააგავს ჰიპნოტიზიორის ურთიერთობას სომნამბულასთან, ანუ იგივე პრესტიჟი და მბრძანებლობა ერთი მხრიდან, ხოლო მეორედან – პასიური მორჩილება. სამოქალაქო ომი, რომელიც სწარმოებდა ტრადიციული უფლებებისა და თავისუფლების პრინციპების შენარჩუნებისათვის, ამ ომის პირველი ეტაპის მონაპოვარი და საერთოდ, საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტაბილურობა შენარჩუნებულ იქნა სწორედ ჯარის, აბსოლუტურად ძალოვანი სტრუქტურის მეშვეობით. შესაბამისად, თავისუფლება, მისი უზრუნველყოფა და შემდგომი ბედი სწორედ ჯარზე და მის მესვეურებზე იყო დამოკიდებული. კვალვ ოდნავ გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ იყო რა რევოლუციის ავანგარდი, ჯარი და უფრო ზუსტად, მისი მეთაური რევოლუციას წაიყვანდნენ იქით და ისე, როგორც მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მრწამსი უკარნახებდა. თავისუფლება დაშნებით იყო „შემოსილი“ და მათზე დამოკიდებული. შეიძლება ითქვას, რომ 1653 წ. დამყარებული პროტექტორატის რეჟიმი 1647 წ. უერში ამბოხების ჩახშობის დროს ჩაისახა.

რა შეიძლება ითქვას თავად ამბოხების ჩახშობაზე? საომარი

მდგომარეობის და საერთოდ, სამხედრო წესდებისა და დისციპლინის გათვალისწინებით ამბოხება დაუშვებელია და მას არსად, არასდროს. არცერთ ქვეყანაში და არცერთი ქვეყნის ჯარში სხვანაირად არ მოეპყრობოდნენ. რევოლუციური ბანაკი ჯარზე იყო დაფუძნებული და ამბოხება, ანარქია ჯარში უბრალოდ დაშლიდა მას და ფაქტობრივად კავალერებს გაუხსნიდა გზას გამარჯვებისაკენ. კრომველს ეს შესანიშნავად ესმოდა და ამიტომაც მიმართა უმკაცრეს ზომებს, როგორც სარდალმა და როგორც პოლიტიკოსმა. რაც შეეხება ლეველერებს და მათ მიმდევარ აგიტატორებს, იმ პერიოდში მათი იდეები და მოწოდებები, თავისი კეთილშობილი და კაცთმოყვარე შინაარსისდა მიუხედავად, საერთო ჯამში მაინც უტოპიურ ხასიათს ატარებდნდნ და ერთობ შორს იდგნენ განხორციელებისაგან. მით უმეტეს ისეთ რთულ, ბობოქარ პერიოდში, როგორიც სამოქალაქო ომი იყო. ჯონ ლილბერნის და მისი თანამოაზრეების მიერ წამოყენებული ერთ-ერთი დებულება ასეთი იყო: „ჩვენ გვინდა შევქმნათ ისეთი სახელმწიფო წყობა, სადაც ადამიანებს საშუალება ექნებათ თავი დააღწიონ ცხოვრებისეულ ცთუნებებს ისე, რომ არც საკუთარ თავს და არც სხვას ზიანი არ მიაყენონ.“ საეჭვოა, რომ ასეთი მისწრაფებები განხორციელდებოდნენ მაშინ, როდესაც ქვეყანა ბრძოლის ველად იყო გადაქცეული, სადაც ზარბაზნები ჰქუხდნენ და დაშნები წკრიალებდნენ. ხოლო მშვიდობიან სიტუაციაში დაშნისა და ლაბადის რაინდები ფარულად ეჭიდებოდნენ ერთმანეთს.

19 ნოემბერს კრომველი ანგარიშით წარსდგა თემთა პალატაში ჯარში მიმდინარე პროცესების შესახებ. დეპუტატებმა პრაქტიკულად ერთხმად მისცეს დადებითი შეფასება კრომველის მოქმედებას. წინააღმდეგ გამოვიდა მხოლოდ ერთი – ედმუნდ ლადლოუ. ლეველერები, პოლკოვნიკი რეინსბორო და მაიორი სკოტი სხდომას არ ესწრებოდნენ. მაგრამ მათ მიმართ დამსჯელი ზომები არ გამოუყენებიათ მათი პოპულარობის გამო. ეს განსაკუთებით რეინსბოროს ეხებოდა. ამრიგად, ქვეყნის კანონმდებლები სრულიად გაემიჯნენ რადიკალურ პოლიტიკურ პროცესებს და თავად რადიკალებს, რაც ამ მიმდინარეობების უპერსპექტივობაზე მეტყველებს.

მაგრამ პარლამენტის აღნიშნული დადგენილება, კრომველის

მოხსენების დადებითად შეფასება არ ნიშნავდა სიტუაციის სრულად განმუხტვას. როგორც იმ მოვლენათა თანამედროვე, როიალისტი ფილოსოფოსი თომას ჰობსი წერდა, ამგვარი ჭიდილი არასოდეს მთავრდება ჭეშმარიტი მორიგებით. მას ერთ-ერთი, თანაც ყველაზე თავდადებული უნდა შეეწიროს. კავალერების დამარცხება და მეფის ხელმეორედ დატყვევება არ ხსნიდა მთავარ პრობლემას, როგორი სახელმწიფო უნდა ყოფილიყო ინგლისი? ვინ დათმობდა თავის პოზიციას? გამარჯვებული, თავისი ძველი, ტრადიციული უფლებების დამცველი, მაგრამ მაინც ამბოხებული პარლამენტი, თუ დამარცხებული, მაგრამ ამისდა მიუხედავად მირონცხებული, შარავანდედით შემოსილი მეფე, რომლის ცნობიერებაშიც ყველაფერი მომხდარი უკულმართის, კოშმარულის და აბსოლუტური უკანონობის ტოლფასი იყო? თუკი პარლამენტი ტრადიციული თავისუფლების პრინციპებს იცავდა, ჩარლზ I ეს მებრძოლები და თავად ბრძოლა სხვა არაფერი იყო, თუ არა ურჩი შვილების აჯანყება მათი პოლიტიკური მამის წინააღმდეგ, როგორც ამას განიხილავდა თავის ტრაქტატში მეფეთა ღვთაებრივ უფლებებზე მამამისი ჯეიმს I.

სიტუაცია კი 1647 წ. მიწურულს მართლაც დაიძაბა. გრძნობდნენ რა პრესბიტერიანების სწრაფვას არ დაეშვათ რევოლუციის შემდგომი გაღრმავება, როიალისტები ცდილობდნენ ამის თავის სასარგებლოდ გამოყენებას. მაგრამ ინგლისელ როიალისტებს სხვა მოკავშირეც გამოუჩნდათ. ესენი იყვნენ შოტლანდიელები. შოტლანდიელებმა როიალისტებთან დაახლოება იმიტომ დაიწყეს, რომ მათ არ აწყობდათ ინდეპენდენტების გაძლიერება და ჯარში რადიკალური ელემენტების გააქტიურება, რასაც ინგლისში დემოკრატიული პოლიტიკური და საეკლესიო სისტემების ჩამოყალიბება მოყვებოდა. 1647 წ. კუნძულ უაითზე ჩარლზ I და შოტლანდიელთა წარმომადგენლებს შორის ხელი მოეწერა საიდუმლო შეთანხმებას. მეფე ვალდებულებას იღებდა დაემტკიცებინა კოვენანტი და ინგლისში გაევრცელებინა პრესბიტერიანობა. სანაცვლოდ შოტლანდიელები მას გაუგზავნიდნენ ჯარს პარლამენტთან საბრძოლველად. შოტლანდიელთა მიერ გამოგზავნილი ჯარი მაშინ ჩაებმეოდა ბრძოლაში, თუკი პარლამენტის არმია არ დაიშლებოდა, ხოლო მეფეს ლონდონში საპატიო დაბრუნების და

პარლამენტთან პირადი მოლაპარაკების საშუალება არ მიეცემოდა. მეფის მიმოწერა დედოფალთან შოტლანდიელებთან შეთანხმების შესახებ კრომველს ჩაუვარდა ხელში. მიმოწერის ხელში ჩაგდების სცენა ნებისმიერ სათავგადასავლო რომანს შეშურდებოდა. კრომველემა და აირტონმა მდაბიოთა ტანსაცმელი გადაიცვეს და ლონდონის ფუნდუკ „ბლუ ბოარში" მივიდნენ, სადაც საიდუმლო წერილის მიმტანი მეკავშირე უნდა მისულიყო. როგორც კი კრომველს ამცნეს მეკავშირის მისვლა და მის ვინაობაზე მიუთითეს, კრომველი და აირტონი მას იარაღით დაადგნენ და აიძულეს წერილი მიეცა მათთვის. „წერილის შინაარსის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ მეფის მხრიდან ჩვენ არ გვექნება მასთან შეთანხმების საშუალება. იქიდან მოყოლებული ჩვენ გადავწყვიტეთ მისი დამხობა"- თქვა ამის შემდეგ კრომველმა.

პრესბითერიანები, რომლებიც ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ პოზიციებს თემთა პალატაში შეეწინააღმდეგდნენ კრომველის და შესაბამისად ინდეპენდენტების ამ გადაწყვეტილებას. 1647 წ. დეკემბერში ლორდთა პალატის ინიციატივით შეიქმნა კომისია, რომელმაც შეიმუშავა მეფისათვის წარსადგენი წინადადებები. მათ „ოთხი ბილი"(Bill -ინგლ. კანონის, სტატუტის მონახაზი) ეწოდებოდა და შემდეგში მდგომარეობდა: მეფეს 20 წლით ეკრძალებოდა ქვეყნის შეიარაღებული ძალების მეთაურობა, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ეს უფლება მას ენიჭებოდა მხოლოდ პარლამენტის ნებართვით; მეფეს ბათილად უნდა გამოეცხადებინა მის მიერ პარლამენტისთვის წაყენებული ყველა ბრალდება; გაეუქმებინა ყველა წარჩინებული წოდება, რომელიც კი მან მიანიჭა თავის ნებისმიერ ქვეშევრდომს 1642 წ. შემდეგ; პარლამენტს უნდა მისცემოდა უფლება თავისი სხდომები ნებისმიერ ადგილას გადაეტანა. მეფემ რასაკვირველია უარყო ეს პირობები, რომელთა წყალობით ის საერთოდ არარაობად იქცეოდა. ოფიციალურ პასუხში მან შედარებით ფაქიზად წარადგინა თავისი უარი და განაცხადა, რომ ეს პირობები ამცირებენ მის სამეფო ხელისუფლებას. მეფის პასუხი პარლამენტში ცხარე კამათის საგნად იქცა. პრესბითერიანები ყოველნაირად ასაბუთებდნენ მეფესთან მორიგების აუცილებლობას. საპირისპირო პოზიცია დაიკავეს ინდეპენდენტებმა. მათ ჯარის ერთიანობის შენარჩუნება სურდათ, რისთვისაც

ჯერ კიდევ გარკვეული გავლენის მქონე ლეველერებთან კავშირის შენარჩუნება იყო საჭირო. ამიტომაც კრომველი ჯერ ჯარის წინაშე გამოვიდა სიტყვით, რომელშიც ლეველერების მიმართ კეთილგანწყობა გამოავლინა. შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილის თქმით „საუბარი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოსდა ზეციდან ღვთიური ჰანგები იღვრებოდა.“ კრომველს არც სამსახურეობრივი წახალისება დაავიწყდა. პოლკოვნიკმა რეინსბორომ ვიცე-ადმირალის წოდება მიიღო, რისკენაც ესოდენ დიდ ხანს ისწრაფოდა. ყველაფერ ამას გარდა, სამხედრო საბჭოს სხდომაზე წამოაყენეს აზრი იმის თაობაზე, რომ მეფე უნდა გასამართლდეს, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე. ეს განცხადება მეფეს ემცნო გენერალ უოტსონის მეშვეობით.

ასეთივე პოზიცია დაიკავა კრომველმა პარლამენტში. თავის გამოსვლაში მან აღნიშნა, რომ მეფე მატყუარაა, ყალბი ადამიანი და აზრი არა აქვს მასთან რაიმეზე შეთანხმებას. „ისეთი წყობა უნდა დავამყაროთ ქვეყანაში, რომლის დროსაც საჭირო აღარ იქნება, რომ მეფეს მივმართოთ“- თქვა მან. ამრიგად, სამივე სამეფოს ყველაზე პატიოსანმა ადამიანმა, ანუ ჩარლზ I, როგორც მას კრომველი უწოდებდა, ამ უკანსკნელის წარმოდგენაში არსებობა შეწყვიტა. კრომველს პრესბიტერიანი დეპუტატი მეინარდი შეეპასუხა. მან თქვა, რომ ის და მისი თანამოაზრეები ვერ გაიზიარებენ კრომველის მოსაზრებას. ძალზე თავისებურად გამოხატა თავის პოზიცია დეპუტატმა თომას როტმა. „სერ, საგიჟეთი გიჟებისთვის არის განკუთვნილი, ჯოჯოხეთი მეფეებისათვის. ჩვენი ბოლო მეფეები ისე იქცეოდნენ, თითქოს საგიჟეთში იყვნენ გამწესებულები. ღმერთო, შენ დამიფარე ეშმაკთა და მეფეთაგან!“- ასე დაასრულა მან თავისი გამოსვლა. როტის შემდეგ სიტყვა აიღო აირტონმა, რომელმაც თქვა, რომ მეფემ თავისი ქმედებებით ხალხს მშვიდობა და უსაფრთხოება წაართვა. „ამიტომ სავსებით სამართლიანი იქნება ისეთი წეს-წყობილების შექმნა, რომელშიც მეფეს აღარ ექნება ადგილი“- ასე დაასრულა თავისი გამოსვლა აირტონმა. კამათის დასასრულს კვლავ კრომველმა აიღო სიტყვა და თქვა, რომ მეფესთან მორიგება შეუძლებელია. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მისი გამოსვლის შემდეგ მოხდა. დაამთავრა თუ არა სიტყვა, კრომველმა ხელი თავის დაშნის ტარს მოჰკიდა, რაც სხვას არაფერს

ნიშნავდა, თუ არა იმას, რომ საჭიროების შემთხვევაში ის და მისი თანამოაზრეები იარაღით ხელში დაიცავდნენ თავის პოზიციას. შემდეგ კი ძალზე მნიშვნელოვან საკითხზე ჩატარდა კენჭისყრა. 141 ხმით 42-ის წინააღმდეგ პარლამენტმა დაადგინა, რომ აღარ მიმართავს მეფეს ნებისმიერ საკითხზე და წყვეტს მასთან ყოველგვარ ურთიერთობას. ამგვარად პარლამენტმა ოფიციალურად მიიღო არმიმართვის დადგენლება(Vote of no Address-ინგლ.). იმავდროულად თემთა პალატამ გამოაქვეყნა დაეკლარაცია, რომელშიც განმარტება ეძლეოდა იმას, თუ რატომ მიიღო პარლამენტმა ეს დადგენილება, ამას დაერთო სპეციალური დადგენილება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ პარლამენტი არ აპირებს ინგლისის სახელმწიფო წყობის შეცვლას. გრაფ მანჩესტერის წინადადებით ლორდთა პალატამ არ მიიღო თემთა პალატის ეს დადგენილება. მიუხედავად ამისა ერთი რამ უდავო იყო, მეფის გარშემო თანდათან ვიწროვდებოდა სოციალურ-პოლიტიკური დასაყრენი, მას ხელიდან ეცლებოდა პარლამენტთან და შესაბამისად, ქვეყანასთან ურთიერთობის საშუალება. მისი მდგომარეობა ნამდვილად არ იყო შესაშური. ოფიციალურად ის ჯერ კიდევ ხელისუფალი იყო, მეფე, ხოლო პარლამენტი და ჯარი – მეამბოხეები. მაგრამ საყოველთაოდ აღიარებულია, რომ როდესაც ხელისუფალი მოსალაპარაკებლად ჯდება მეამბოხესთან ის უკვე წამგებიან პოზიციაშია. მისდა სამწუხაროდ, 1648 წ. დასაწყისში მეფემ ეს პოზიციაც დაკარგა. მან და მისმა მრჩევლებმა ვერ გააცნობიერეს ცვლილებები, რომლებიც საზოგადოებაში მოხდა. მასობრივმა საპროტესტო აქციებმა, რომლებიც 1641 წ. დაიწყო და რომელთა წყალობით სიკვდილით დასაჯეს გრაფი სტრაფორდი, გააბრუნეს ჩარლზ I სიტიდან და ამით არ დაანებეს მას ოპოზიციის ხუთი თავკაცი და ა.შ., არნახულად გაზარდეს ხალხის პოლიტიკური ცნობიერება, დაანახეს მას მისივე ძალა, დაარწმუნეს, რომ პოლიტიკური ჭიდილი თვით მეფესთანაც კი ყოფილა შესაძლებელი და პასიური, მორჩილი ქვეშევრდომები თითქმის აქტიურ მოქალაქეებად იქცნენ. ასეთ ქვეშევრდომებთან, რომლებიც თვლიდნენ, რომ მეფესთან ჭიდილი შეიძლება, რაც 40 წლის წინ, სტიუარტების დინასტიის გამეფების დასაწყისში ალბათ აზრადაც არავის მოუვიდოდა, ბრძოლა უკვე გაცილებით ძნელი იყო. საზოგადოების, ხალხის ცნობიერებაში

გაჩნდა ის აზრი, რომ მას შესძლებია შებრძოლება ძლიერთა ამა ქვეყნისასთან და არა მარტო შებრძოლება, არამედ გამარჯვება კიდეც, და რომ მეფე და მისი ძალაუფლება სულაც არ რაღაც ზებუნებრივი, შეუბღალავი და უძლეველი ძალა. ცნობიერებას ხუნდები მოეხსნა და ხალხმა თითქმის ყოველისშემძლედ იგრძნო თავი. ამის დასტურს ნარმოადგენდა მრავალრიცხოვანი პეტიცია, რომლებიც თემთა პალატას წარედგინა ზემოხსენებულთან დაკავშირებით. პირველ რიგში კი უნდა აღინიშნოს სამხედრო საბჭოს პეტიცია, რომელშიც ჯარმა თავისი სრული მხარდაჭერა გამოხატა იმ პოლიტიკის მიმართ, რომელსაც თემთა პალატა ახორციელებდა მეფესთან ურთიერთობაში. ამას მოყვა პეტიციები ბაკინჰემშირიდან, სომერსეტშირიდან, დევონშირიდან და სხვა საგრაფოებიდან, რომელთა მოსახლეობა სრულ მხარდაჭერას უცხადებდა პარლამენტის პოლიტიკას მეფის მიმართ. სწორედ ჯარის და ხალხის ზეწოლამ აიძულა ლორდთა პალატა საბოლოოდ დაემტკიცებინა თემთა პალატის დადგენილება მეფესთან ყოველგვარი მოლაპარაკების შეწყვეტის შესახებ, რაც უდავოდ, ინდეპენდენტების მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო. ასევე ინდეპენდენტების გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს უშიშროების კომიტეტის შექმნა. ეს კომიტეტი პარლამენტისგან დამოუკიდებელ ორგანოდ გამოცხადდა და პასუხს აგებდა ქვეყნის უშიშროებაზე. მან ადრე მოქმედი ორივე სამეფოს კომიტეტი შეცვალა.

როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, ამგვარი ზომები ერთობ დროული იყო. მაგრამ მანამდე კრომველი კიდევ ერთხელ გადაერთო საოჯახო ცხოვრების ასპარეზზე. გაზაფხულზე იგი უინჩესტერს ეწვია, სადაც თავისი მომავალი მძახალი, რიჩარდ მეიორი მოინახულა. სტუმრობა სამომავლო საქორწინო გარიგებას ეხებოდა. კრომველის ვაჟს, რიჩარდს ცოლად უნდა ეთხოვა მეიორის ქალიშვილი დოროთი. შესაძლოა კრომველის ადგილას სხვა სამამამთილოს სული წასძლევდა თავისი ესოდენ წარჩინებული მდგომარეობიდან გამომდინარე კიდევ უფრო სარფიანი გარიგება მოეძებნა. მაგრამ ამ შემთხვევაში კრომველის კეთილგანწყობა და კმაყოფილება მშვიდი და გაწონასწორებული სარძლოს მხარეზე იყო. „შესაძლოა სხვა ვარიანტები აჯობებდა კიდეც, მაგრამ მათ სირთულეებიც მოყ-

ვებოდა და არა ასეთი ღვთისმოსაობა, როგორიც ამ შემთხვევაშია. თუ ღმერთი ინებებს, ეს ახალგაზრდა ქალი, ღვთისნიერი მშობლების შვილი, სწორედ რომ ღვთის წყალობა იქნება ჩემთვის"- ასე აფასებდა კრომველი თავის სარძლოს და მის მშობლებთან დამოყვრებას. ომში, პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც მისთვის ბედნიერი დასასრულის საწინდარი მისი თანმდგომი ადამიანების ღვითისმოსაობა და ღვთისმოშიშობა იყო! მაგრამ კრომველს არც საქორწინო გარიგების მატერიალური მხარე დავიწყებია. ეს საქმე მან თავის ნდობით აღჭურვილ პირს, ძველ მეგობარს და თანამებრძოლს, პოლკოვნიკ ნორტონს მიაბარა. პურიტანული მომჭირნეობისა და ყაირათიანობის მქადაგებელის ცნობიერება მას არც მოწიფულ ასაკში ღალატობდა. ამიტომაც წერდა იგი ნორტონს: „საქვეყნოდ ცნობილ ამბებს ზოგჯერ პატარ-პატარა ტყუილიც ახლავს." აქ იგი გულისხმობდა, რომ მის პოპულარობასთან დაკავშირებული იქნებოდა დიდძალი ქონების პატრონის სახელი. ამიტომაც იგი სულაც არ უკადრისობდა თავის სარძლოს მზითვს იმ სავარაუდო და საგანგებო ავლა-დიდების ანგარიშით, რომელიც ყველას წარმოდგენით თითქოს უნდა რგებოდა დოროთი მეიორს, როგორც რიჩარდ კრომველის ცოლს. უფრო მეტიც. მან არნახული ინტერესი გამოიჩინა საქორწინო ხელშეკრულების იმ დებულების მიმართ, რომლის თანახმად ახლადშეუღლებულებს გრეით ლოჯის მამული უნდა რგებოდა. ამიტომაც სთხოვდა იგი ნორტონს ხელი შეეწყო საქორწინო გარიგების დაჩქარებისათვის. „უარს ნუ მეტყვით, მე შესაძლოა მალე სხვა საქმეებით ვიქნები დაკავებული"- წერდა კრომველი ნორტონს.

სხვა საქმეები კი უკვე კარზე იყო მომდგარი. მოვლენათა მსვლელობა კვლავ ადასტურებდა თომას ჰობსის დებულების სისწორეს იმის შესახებ, რომ სამოქალაქო ომი მშვიდობიანი მორიგებით ვერ დამთავრდება. არც კავალერები და არც მრგვალთავიანები არ აპირებდნენ პოზიციების დათმობას, ხოლო რევოლუციასთან დაკავშირებული ცვლილებები უამრავ სირთულეს იწვევდნენ. პირველ რიგში ქვეყანაში შეინიშნებოდა საზოგადოებრივი წესრიგის უამრავი დარღვევა და დამნაშავეობის ზრდა. მოუსავლიანობას მოყვა ფასების ზრდაც. ყველაფერი ეს კი ამძაფრებდა მოსახლეობის უკმაყოფილებას. ზოგიერთ

საგრაფოში, მაგ. უილტშირში, სურსათ-სანოვაგის უკმარისობით და შიმშილით გამოწვეული ამბოხებებიც კი მოხდა. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ სამოქალაქო ომის დროს მართვა-გამგეობის ძველი სისტემა გარკვეულწილად მოიშალა. ამან გამოიწვია ადგილობრივი თვითმმართველობის ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებით ჩანაცვლება. ეს კი ჯენტრის უკმაყოფილებას იწვევდა, რომლებიც ძველებურად ვეღარ მონაწილეობდნენ მართვა-გამგეობის საკითხებში. იყო შემთხვევები, როდესაც უკმაყოფილების გამოხატვა, გარკვეული პროტესტი გამოწვეული იყო ხელისუფლების მიერ მიღებული თავისებური გადაწყვეტილებებით. პურიტანული ზნის მოძალება პარლამენტში და იქიდან გამომდინარე ყოველდღიურ ცხოვრებაში, გამოიხატებოდა სახელისუფლებო დადგენილებებში, რომლებიც კრძალავდენენ სხვადასხვა გართობა-სანახაობებს, მაგ. თეატრალურ წარმოდგენებს, აკრობატთა გამოსვლებს, მოკრივეთა ტურნირებს. ბუნებრივია, რომ ყველა ადამიანი პურიტანული სულისკვეთებით არ იყო გაჟღენთილი. ამიტომ ამგვარ აკრძალვებს მოწინააღმდეგეებიც ყავდა. პროტესტი სხვადასხვანაირად გამოიხატებოდა და მისი ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა იყო დადგენილების დარღვევა. ამას აკეთებდნენ ჯარიმის მიუხედავად, რომელიც ხუთ პენსს შეადგენდა. მაგრამ ხელისუფლების დადგენილებასთან დაპირისპირება მარტო გართობა-თამაშობის მოწყობით არ ხდებოდა. და თუკი თეატრალური წარმოდგენების, ჯამბაზების გამოსვლის ან ბურთის თამაშის ჩატარებისათვის გადახდილი ჯარიმა ხაზინას შეავსებდა, სულ სხვა იყო პროტესტის ისეთი ფორმა, რომელსაც პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. 27 მარტს, ჩარლზ I ტახტზე ასვლის დღეს, ქუჩებში მეფის მომხრეები გამოვიდნენ. ისინი გამვლელებს აიძულებდნენ მეფის სადღეგრძელო შეესვათ. ამ „მოქეიფეებს“ ყასბები შეუერთდნენ. ნაჯახებით შეიარაღებულები, ისინი ხმამაღლა იმუქრებოდნენ, რომ ისევე აკუწავდენ მეფის დაცვის უფროსს კუნძულ უაითზე, პოლკოვნიკ ჰამონდს, როგორც ნაკლავს, რომელიც თავიანთ დუქნებში ჰქონდათ დახლებზე მოთავსებული. ასე რომ, როიალისტური სიმპათიები უბრალო მოსახლეობაში მაინც არსებობდა.

თავად როიალისტთა თავკაცები არ ცხრებოდნენ და მეფის დახს-

ნის სხვადასხვა გეგმას ამუშავებდნენ. კრომველი შეძლებისდაგვარად აფრთხილებდა ამის თაობაზე პოლკოვნიკ ჰამონდს. განთავისუფლებული მეფე სათავეში ჩაუდგებოდა კავალერებს, მათ შეიარაღებულ ძალებს და განაახლებდა სამოქალაქო ომს. როიალისტების რამდენიმე მცდელობის ჩაშლის მიუხედავად ჩარლზ I მაინც არ კარგავდა გაქცევის იმედს. ამჯერად მას ჰოლანდიელთა დახმარების იმედი ჰქონდა. იგი ყოველდღე გადიოდა სანაპიროზე სასეირნოდ და ზღვას გაყურებდა იმის მოლოდინში, თუ როდის გამოჩნდებოდა ჰოლანდიელთა ესკადრა ცნობილი ზღვაოსნის, ადმირალ ვან ტრომპის მეთაურობით. მაგრამ ამაოდ. ინგლისის ფლოტის სარდლად დანიშნული ვიცე-ადმირალ თომას რეინსბოროს ბრძანებით ინგლისური ხომალდები გაორმაგებული ყურადღებით იცავდნენ კუნძულ უაითს და მის ნაპირებს უცხოურ გემებს არ აკარებდნენ.

ზღვაზე წარუმატებლობის გამო როიალისტები ხმელეთზე გააქტიურდნენ. აპრილში როიალისტების წაქეზებით ლონდონში, კერძოდ სიტიში შეგირდების გამოსვლა მოხდა. მრავალრიცხოვანი ბრბო უაითჰოლისკენ დაიძრა შეძახილებით: „ახლა კი მეფე ჩარლზისათვის!" მათი დაშოშმინება ვერ მოხერხდა. ამიტომ საქმეში ცხენოსანთა რაზმი ჩაერია კრომველის და აირტონის მეთაურობით. დემონსტრანტების დაშლას მსხვერპლი მოყვა. მათი თავკაცი დაილუპა, ბევრიც დაიჭრა. ლონდონში გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ როიალისტები მეფის მეორე ვაჟს, იორკის ჰერცოგ ჯეიმსს უპირებენ გვირგვინის დადგმას. მაგრამ ეს ხმები მალე გაქარწყლდა იმის წყალობით, რომ თავად უფლისწული, ქალად გადაცმული კონტინენტზე გაიქცა. მაგრამ უფლისწულის გაქცევამ ვერ დააცხრო ვნებათაღელვა. ამიტომ, ხალხის, პირველ რიგში მეფის მომხრეების დასაშოშმინებლად პარლამენტმა ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის საკითხზე კენჭისყრა გამართა. თემთა პალატამ 165 ხმით 99-ის წინააღმდეგ დაადგინა, რომ ინგლისის პოლიტიკური სისტემა, ე.ი. მონარქიული წყობა არ შეიცვლება. მაგრამ პარლამენტი კიდევ უფრო შორს წავიდა. იმისათვის, რომ შეეჩერებინა მეფის მომხრეთა გამოსვლები, პარლამენტმა დროებით გააუქმა კანონი, რომელიც კრძალავდა მეფესთან რაიმე მოლაპარაკების გამართვას. ის პირები, რომლებიც დაპატიმრებულები იყვნენ

იმისთვის, რომ კენტერბერიში გამართული ბურთის თამაშის დროს არეულობა და როიალისტური გამოსვლა მოაწყვეს, ციხიდან გაათავისუფლეს. კენტის, ესექსის და სარის საგრაფოებიდან პეტიციები მოვიდა, რომლებშიც დაჟინებით ითხოვდნენ ჯარის დაშლას და მეფესთან უშუალო მოლაპარაკების გამართვას.

მაგრამ ბობოქარი პოლიტიკური ვნებები ორივე მხრიდან მოდიოდა. ის, რაც ამშვიდებდა და აგულიანებდა კიდეც კავალერებს, მრგვალთავიანების გულისწყრომას და აღშფოთებას იწვევდა. ჯარის უკმაყოფილებას საზღვარი არ ჰქონდა. ჯარისკაცები და ოფიცრები დრტვინავდნენ. ჯარის დაშლა ფაქტობრივად უკვე დაიწყო. ამ პროცესს სერ თომას ფერფაქსი ხელმძღვანელობდა. თვით კრომველსაც კი შეუმცირეს ჯამაგირი. მისი დღიური ანაზღაურება ოთხი გირვანქა სტერლინგიდან სამ გირვანქამდე შემცირდა. თუმცა თავად კრომველი ამას არ იმჩნევდა და ცდილობდა ხელისუფლების მიმართ მშვიდი და გარკვეულწილად ხელგაშლილიც კი ყოფილიყო. კერძოდ, მან სახელმწიფო ხაზინას ჯერ 1 500 და მერე 1 000 გირვანქა სტერლინგი შესწირა, რომელიც მას ეკუთვნოდა სხვადასხვა სამხედრო კამპანიიდან და ვუსტერშირში ნაბოძები მამულიდან. მაგრამ კრომველის ამგვარი ჟესტები ვერ დააკმაყოფილებდნენ ჯარისკაცთა და ოფიცერთა მასას, რომლებიც დღენიადაგ ხედავდნენ, თუ როგორ მცირდებოდა მათი რიგები და იმის მოლოდინში იყვნენ, თუ როდის დაესხმოდნენ თავს შოტლანდიელები და როდის ჩაძირავდა ქვეყანას ახალ სისხლისღვარში „კაციჭამია“ ჩარლზ სტიუარტი. სამხედრო საბჭოს შეკრებამ, რომელიც უინძორში გაიმართა შოტლანდიელთა მხრიდან გამომავალი საფრთხის განსახილველად უჩვენა, რომ ჯარი ცალსახად უარყოფითად იყო განწყობილი მეფის წინააღმდეგ, რომელსაც ყველა თავისი გაჭირვების მიზეზად მიიჩნევდა. კრომველი კვლავ შეეცადა დაეცხრო ვნებათაღელვა. სამხედრო საბჭოს სხდომაზე იგი შემდეგი წინადადებებით წარსდგა. სახელმწიფოს და ეკლესიის მოწყობა უნდა მომხდარიყო ლეველერთა მოთხოვნის შესაბამისად(ამ შემთხვევაში მისი პოლიტიკური მოქნილობა ნამდვილად აღნიშვნის ღირსია, რადგან კრიტიკულ სიტუაციაში, დაძაბულობის განმუხტვისათვის იგი მოწინააღმდეგის პოზიციაზე გადავიდა); ჩარლზ I ტახტზე აღდგენა

ან მისი მცირეწლოვანი ვაჟის ჰენრის, გლოსტერის ჰერცოგის გამეფება პროტექტორის (მფარველის) დანიშვნით. თითქოსდა გამოჩნდა მოვლენათა მსვლელობის მშვიდობიან კალაპოტში განვითარების იმედი. მაგრამ არსებული მდგომარეობის მკვეთრმა შეცვლამ ერთბაშად მოხსნა დღის წესრიგიდან მეფესთან მორიგების ალბათ ნებისმიერი პერსპექტივა.

მეორე სამოქალაქო ომი

მეფის ტყვეობიდან დახსნის მცელობების ჩაშლამ როიალისტებს უბიძგა იარაღი აესხათ და საომარ მოქმედებაზე გადასულიყვნენ. ამბოხება სამხრეთ უელსში დაიწყო მას შემდეგ, რაც ციხე-სიმაგრე პემბროკის კომენდანტმა, პოლკოვნიკმა პოიერმა არ ჩააბარა ეს გამაგრებული პუნქტი და არ გადასცა თავისი უფლებამოსილება პოლკოვნიკ ფლემინგს, რომელიც უმაღლესი მთავარსარდლის, სერ თომას ფერფაქსის მიერ იყო დანიშნული. პოიერი არ დაქვემდებარა სარდლობის ბრძანებას იმის მიუხედავად, რომ მას ემცნო, რომ უარის შემთხვევაში მას გაასამრთლებდნენ როგორც მოღალატეს. პასუხად პოიერმა ქონგურებზე მეფის ალამი აღმართა და პარლამენტის წარმომადგენლებს შეუთვალა, რომ მას კავშირი ჰქონდა ტახტის მემკვიდრესთან, უელსის მთავარ (უფლისწულ) ჩარლზთან და მისი მითითებით მოქმედებდა. მან ჩაახშო პემბროკში ანტროიალისტური აჯანყება, რითაც როგორც ქალაქი, ასევე ციხე-სიმაგრე შეინარჩუნა. ფლემინგის დასახმარებლად გააგზავნეს ახალი შენაერთი პოლკოვნიკ ჰორტონის მეთაურობით. პასუხად როიალისტებმა კიდევ უფრო სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს პარლამენტის ჯარს. ომი პრაქტიკულად მთელს სამხრეთ უელსში გაჩაღდა. სწორედ როიალისტების აჯანყებას შეეწირა ფლემინგი, რომელსაც უკვე გენერალ-ადიუტანტის წოდება ჰქონდა მინიჭებული, რაც იმას ნიშნავდა, რომ მის განკარგულებაში მთელი უელსის სამხედრო საკადრო-ადმინისტრაციული სფერო გადადიოდა. ფლემინგი ძალზე პოპულრული იყო ჯარში და მისმა სიკვდილმა დიდი მწუხარება გამოიწვია მის თანამებრძოლებში. ამ ამბავმა შეიძლება ითქვას, მათი მოთმინების ფიალა აავსო. ჯარისკაცებსა და ოფიცრებს მხოლოდ შურისძიება სწყუროდათ. მათი ღრმა რწმენით ყველა უბედურებაში მხოლოდ ერთი ადამიანი, ჩარლზ სტიუარტი იყო დამნაშავე.

სამოქალაქო ომის მეორე კერა კენტის საგრაფო იყო. როია-

ლისტებმა დაიკავეს ქალაქები როჩესტერი, კენტერბერი, დოვერი. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს როჩესტერის სამხედრო საწყობი, სადაც დიდი რაოდენობის იარაღი იყო განთავსებული და ლონდონზე გალაშქრებისთვის დაიწყეს მზადება. ამ ლაშქრობაში მათ ლონდონის მუნიციპალიტეტის პრესებითერიანი წევრების გარკვეული ნაწილის მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ. როიალისტების აჯანყების მესამე კერა ინგლისის ჩრდილოეთ საზღვართან იქმნებოდა. საფრთხე შოტლნდიიდან მომდინარეობდა, სადაც პრესბითერიანების ზომიერმა ნაწილმა გრაფ არგაილის მეთაურობით დათმო მონინავე პოზიციები. თავადაზნაურობის და სამღვდელოების(პრესბითერიანულის) მხარდაჭერა მოიპოვა ლორდმა ჯეიმს ჰამილტონმა, რომელიც ინგლისში შეიჭრა და ადგილობრივ მოსახლეობას ინგლისელი პრესბითერიანების და მეფის მხარდაჭერისკენ მოუწოდა. შოტლანდიელებმა თავისი ჯარის მონინავე ნაწილები ინგლისის საზღვართან განალაგეს. ამან გაათამამა ინგლისელი როიალისტები, რომლებმაც ხელთ იგდეს ქალაქები ბერვიკი და კარლაილი. იმავე დროს როიალისტებმა ამბოხება მოაწყვეს ფლოტში და ცხრა გემის პირადი შემადგენლობა მიიმხრეს. ფლოტში ამბოხებას მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყო იმან, რომ როიალისტებმა ისარგებლეს მეზღვაურების უკმაყოფილებით, რომელიც გამოწვეული იყო მნიშვნელოვანი სახელფასო დავალიანებით. შექმნილი მდგომარეობა საკმაოდ კარგად გამოიყენა უელსის მთავარმა ჩარლზმა იმისათვის, რომ გაეზარდა მეფის მომხრეთა რიცხვი. მან გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიც ჩამოაყალიბა თავისი მიზნები და დაპირებები: „მამაჩემის ტახტზე აღდგენა, ჯარის დათხოვნა იმის გამო, რომ მისი შენახვა ძალიან ძვირი ჯდება.“ მან ასევე აღუთქვა, რომ გააუქმებდა აქციზის გადასახადს, არ ჩააყენებდა ჯარის ნაწილებს სახლებსა და ადგილ-მამულებში, პარლამენტს შეუნარჩუნებდა ყველა პრივილეგიას და ზედმიწევნით დაიცავდა მეფის ქვეშევრდომების საკუთრებას.

მაგრამ ოპერატიულობა არა მარტო ტახტის მემკვიდრემ გამოავლინა. ლონდონში, პარლამენტში პრესბითერიანებმაც არ დააყოვნეს და გადადგეს მათთვის სასარგებლო ნაბიჯები. ისარგებლეს რა ფლოტში ამბოხებით, მათ გადააყენეს ფლოტის სარდლის თანამდე-

ბობიდან ინდეპენდენტი, ვიცე-ადმირალი რეინსბორო და სარდლობა ჩააბარეს პრესბითერიან ვიცე-ადმირალ უორიკს. ამრიგად, მეორე სამოქალაქო ომი პრქტიკულად ყველა ფრონტზე როიალისტების წარმატებით დაიწყო, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ძალაუფლებისათვის ბრძოლაში, განსაკუთრებით რევოლუციის დროს სწრაფ, დაუყოვნებლივ მოქმედებას წარმატების მოპოვებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ასეთ დროს დაყოვნება არათუ დამარცხების, არამედ საერთოდ დაღუპვის ტოლფასია.

რით უპასუხა ამას რევოლუციის ბანაკმა, კერძოდ ჯარმა? საპარლამენტო მჭერმეტყველებამ და საკანონმდებლო გაწაფულობამ ვერ გაამართლა. საქმე კვლავ დაშნაზე მიდგა. მას უნდა „ეთქვა" გადამწყვეტი სიტყვა. როიალისტებთან საბრძოლველად სამი არმია გამოიყო. ჩრდილოეთში, შოტალნდიის საზღვართან ჯონ ლამბერტს უნდა ემოქმედა, კორნუოლში სერ ჰარდრეს უოლერი გააგზავნეს, ხოლო სამხედრო თვალსაზრისით ყველაზე რთულ ასპარეზზე, უელსში, ჯარს ოლივერ კრომველი გაუძღვა. და ეს ალბათ სიმბოლურიც იყო. განგების ნებით, უელსური წარმომავლობის, უილიამსების გვარის შთამომავალი, ამჟამად კი უკვე ინგლისელი კრომველი, ინგლისური ჯარით უელსში შედიოდა. ასერომ, კრომველი კვალავ მისთვის ჩვეულ, საომარ გარემოში იყო, რომელსაც იგი ბოლო ექვსი წლის მანძილზე ასე შეეთვისა. 8 მაისს კრომველი გლოსტერში შეხვდა თავის ჯარს და თითეულ პოლკს ცალ-ცალკე მიმართა სიტყვით. მან გაახსენა ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, თუ როგორ სწირავდნენ ისინი სიცოცხლეს, როდესაც ერთმანეთის მხარდამხარ იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. კრომველმა მოუწოდა ჯარისკაცებსა და ოფიცრებს კვლავ აღვსილიყვნენ სიმამაცით, სიმტკიცითა და ერთგულებით, როგორც იმ ბობოქარ დღეებში. თავისი მხრიდან კი მან დაუმატა: „საზეიმოდ ვაცხადებ, რომ მზად ვარ ვიცოცხლო ან დავიღუპო თქვენთან ერთად!" ამგვარად, შექმნილმა მდგომარეობამ კიდევ ერთხელ დარაზმა ჯარისკაცები და ოფიცრები, კვლავ წარმოაჩინა კრომველის ავტორიტეტი და ისევ მისცა ჯარს საშუალება ეჩვენებინა, რომ პოლიტიკური სტაბილურობა, ქვეყნის დაცვა ტირანიისაგან, როგორც ისინი მეფის ხელისუფლებას უწოდებდნენ, მასზე იყო დამოკიდებული. აკი მეორე

სამოქალაქო ომის დაწყებამდე სხვა საგრაფოებთან შედარებით ყველაზე მშვიდ ადგილად სწორედ ლონდონი ითვლებოდა, სადაც ახალი ყაიდის ჯარი იყო დაბანაკებული. თუ გავითვალისწინებთ კრომველის ტრიუმფს პირველ სამოქალაქო ომში, საბრძოლო მოქმედებების ხელახალი გაჩაღება შესანიშნავი საშუალება იყო მისთვის, რომ კვლავ წარმოჩენილიყო, როგორც ძლევამოსილი სარდალი, ნაცვლად იმისა, რომ გაემართა გაუთავებელი საპარლამენტო ბჭობა და კამათი, რომელთა შედეგად სანახევრო გადაწყვეტილებებს იღებდნენ, თანაც ზოგჯერ თავად პარლამენტს უხდებოდა მათი მოქმედების შეჩერება.

სამხრეთ უელსის სამხედრო კამპანია ცოტა განსხვავებული აღმოჩნდა იმათგან, რომლებშიც „რკინისგვერდებიანები" პირველ სამოქალაქო ომში იღებდნენ მონაწილეობას. იქ კრომველი, ძველი, როიალისტების საალყო ტაქტიკისაგან განსხვავებით ღია ბრძოლებს ამჯობინებდა. უელსში კი მას მოუწია პემბროკის საკმაოდ ხანგრძლივ, ექვსთვიან ალყაში მოქცევა. პემბროკის ციხე ძალიან კარგად იყო გამაგრებული და მასზე პირდაპირი იერიში ალბათ დიდ შედეგებს ვერ გამოიღებდა. ამიტომ კრომველს ყველაზე მეტად გარნიზონის წყლისა და სურსათ-სანოვაგის გამოლევაზე ჰქონდა იმედი. ეს იმიტომ, რომ ბრისტოლის სრუტეში ქარიშხლის გამო მან ვერ მიიღო საალყო არტილერია, ხოლო საალყო კიბეები მოკლე აღმოჩნდა ციხის 23 მეტრის სიმაღლის კედლებზე ასასვლელად. საბოლოოდ მოალყეებმა მიაგნეს სათავეს, რომელიც წყლით ამარაგებდა ციხეს და გადაკეტეს იგი. ამან გადამწყვეტი როლი ითამაშა ალყის დასრულებაში. გარნიზონი დანებდა. კრომველმა შესაშური ლმობიერება გამოავლინა დანებებულთა მიმართ. იმ დროის სამხედრო პრინციპების მიხედვით მას სავსებით შეეძლო მოეწყო ხოცვა-ჟლეტა და იქაურობა საძარცვად მიეცა თავისი ჯარისთვის, თუნდაც ისე, როგორც ეს პირველ სამოქალაქო ომში გააკეთეს ჩარლზ I და უფლისწულმა რუპერტმა ლესტერის აღების დროს, როდესაც დამცველები გაჟლიტეს და თანაც განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინეს ქალების მიმართ, რომლებიც ალყის დროს არნახული თავდადებით ეხმარებოდნენ ქალაქის დამცველ მამაკაცებს. კრომველმა აუკრძალა თავის ჯარისკაცებს ძალადობა და ძარცვა-გლეჯა. მაგრამ ოფიციალურად დასჯის საქმეში

მან სხვაობა გაატარა დამცველთა ორ ჯგუფს შორის. მან დაინდო ისინი, ვინც თავიდან, პირველი სამოქალაქო ომის დაწყებიდანვე მეფის მხარეს იბრძოდა. მაგრამ ისინი, ვინც ადრე პარლამენტის ჯარში იყო და მერე პოლკოვნიკ პოიერის ზემოქმედებით თუ სხვა მიზეზის გამო მეფის დროშის ქვეშ დადგა, მისი თქმით დანდობას არ იმსახურებდნენ. „მათ გააორმაგეს თავისი უწმინდურობა, რადგან არნახულად დიდი ნათელის, განგების კეთილი ნების წინაშე შესცოდეს“- სწერდა იგი თავის პატაკში პარლამენტის სპიკერს უილიამ ლენტოლს. გარნიზონის უფროსი, პოლკოვნიკი პოიერი, რომელიც თავის დროზე ფერფაქსმა გააფრთხილა იმის თაობაზე, თუ რა ელოდა მას დაუმორჩილებლობის შემთხვევაში და მისი თანაშემწეები, ლოარნი და პოუელი დააპატიმრეს და ლონდონში გადაიყვანეს. და აი, მაშინ მოხდა მოვლენა, რომელზედაც ღირს ყურადღების შეჩერება. პოიერმა, რომელიც არ დაემორჩილა სარდლობის ბრძანებას და მოწინააღმდეგის მხარეზე გადავიდა, რითაც აშკარა ღალატი ჩაიდინა, წერილი მისწერა პარლამენტს, რომელშიც შეწყალებას ითხოვდა. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა თავის პურიტანულ წარსულს და დამსახურებას პირველ სამოქალაქო ომში. მიუთითებდა, რომ ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც გაილაშქრა საერთო მტრის წინააღმდეგ. ამგვარ თავისმართლებაზე კრომველმა განაცხადა, რომ სწორედ ასეთი დამსახურება კიდევ უფრო ამძიმებდა პოიერის ბრალეულობასა და ღალატს. ამ უღირს თავისმართლებაში პოიერმა ისე ღრმად შეტოპა, რომ ყვებოდა, თუ როგორ აღივსო ზიზღით მოღალატე პოლკოვნიკ ჰამფრი მეტიუზის მიმართ, რომელიც ჩადენილი ღალატისათვის მხოლოდ და მხოლოდ დააჯარიმეს. ამ სულმდაბალმა ხვეწნა-მუდარამ რასაკვირველია არ გაჭრა და პოიერი სიკვდილით დასაჯეს. ჭკუის სასწავლებელი მაგალითი ომის დროს ბანაკიდან ბანაკში გადარბენის მოყვარულთათვის!

როგორი იყო უელსური წარმომავლობის ინგლისელი სარდლისთვის, ოლივერ კრომველისთვის უელსის სამხედრო კამპანია? პოლიტიკური თვალსაზრისით უელსი პირწმინდად როიალისტური იყო. მაგრამ კრომველი აქ გარკვეულ განსხვავებას აკეთებდა. კერძოდ, მისთვის უელსელი გლეხობა „ერთი უვიცი და გაბრიყვებული ხალხი“ იყო, რომელსაც მისი რისხვა არ შეხებია. ის იმ „არამზადა კავალერე-

ბზე“ იყო გაბოროტებული, რომლებმაც ეს „უდანაშაულო, სულელი ხალხი წააქეზეს.“ ყველაზე მეტად კი მისი გაგულისება იმათ წინააღმდეგ იყო მიმართული, ვინც განზრახ არაფრად ჩააგდო განგების ნებით წინა ომში პარლამენტის მიერ მოწეული გამარჯვებები და მათი გააზრების ნაცვლად ახალი ომი წამოიწყო. უელსში ლაშქრობა კრომველის სრული გამარჯვებით დამთავრდა. როიალისტები სასტიკად დამარცხდნენ. მაგრამ უელსში კამპანიის დასრულება არ ნიშნავდა კრომველისათვის საომარი მოქმედებების დასრულებას. ამჯერად საფრთხე ინგლისს ჩრდილოეთიდან ემუქრებოდა. ივლისის დასაწყისში შოტლანდიელების 10 ათასიანი ჯარი ლორდ ჰამილტონის მეთაურობით, ინგლისელი და ირლანდიელი როიალისტების შენაერთებთან ერთად, რომლებსაც სერ მარმადიუკ ლანგდეილი და სერ ჯორჯ მონრო სარდლობდნენ ინგლისში შეიჭრნენ. გენერალ ჯონ ლამბერტის მცირერიცხოვანმა ნაწილებმა ვერ შესძლეს მტრის შეჩერება და ამიტომაც კრომველმა სასწრაფოდ დაძრა თავისი ჯარი ჩრდილოეთის საზღვრისაკენ. მისმა ბრძოლებში გამობრძმედილმა ვეტერანებმა, სიქაგაცლილებმა, გაცვეთილი ჩექმებით, ჯამაგირის მოლოდინში, რომელიც ისევ აგვიანებდა, 33 დღეში გაიარეს 500 კილომეტრი და 11 აგვისტოს შეუერთდნენ ლამბერტის ნაწილებს. და ეს გზა მათ ისე გაიარეს, რომ მოსახლეობისათვის იოტისოდენა ზარალიც კი არ მიუყენებიათ. როგორც ყოველთვის, კრომველმა სასტიკად აუკრძალა თავის ჯარისკაცებს ძარცვა-გლეჯა.

მოწინააღმდეგეები ერთმანეთს 1648 წ. 17 აგვისტოს შეხვდნენ პრესტონთან. რიცხობრივი უპირატესობა როიალისტების მხარეს იყო. მაგრამ კრომველმა იმით ისარგებლა, რომ ლორდი ჰამილტონი და სერ მარმადიუკ ლანგდეილი შეუთანხმებლად მოქმედებდნენ, ხოლო სერ ჯორჯ მონროს ნაწილები ჯერ ბოლომდე არ იყვნენ თავმოყრილები პრესტონთან. ამიტომ ის სრულიად მოულოდნელად შეიჭრა ჰამილტონისა და ლანგდეილის შენაერთებს შორის, რამაც საშუალება მისცა მას თვითეულისთვის ცალ-ცალკე შეეტია. 17 აგვისტოს კრომველი ჯერ ლანგდეილს ეკვეთა. ბრძოლის წინ კიდევ ერთხელ გამოჩნდა კრომველის უდრეკი, რკინისებრი ხასიათი. მოწინააღმდეგეების საბრძოლო პოზიციებს ვიწრო, ბუნებრივად ჩახერგილი, ძნელად

გასავლელი ტაფობი ყოფდა. კრომველმა თავის მეწინავე შენაერთებს, 400 ქვეითსა და 200 ცხენოსანს შეტევაზე გადასვლა უბრძანა. შენაერთების მეთაურებმა, მაიორებმა სმიტსონმა და პოუნელმა მცირედი დრო ითხოვეს, რათა მომზადებულიყვნენ შეტევაზე გადასვლისათვის. „წინ!"- მყეფარე ხმით დაიძახა კრომველმა და ჯარისკაცებიც დაიძრნენ. მკვეთრმა, მგზნებარე და ცოტა უხეშმა ხმამ, რომელიც პარლამენტში იზიდავდა დეპუტატების ყურადღებას, ბრძოლის ველზეც თავისი გაიტანა. სერ მარმადიუკ ლანგდეილი განადგურებულ იქნა. მეორე დღეს, 18 აგვისტოს, კრომველმა დაიკავა მდინარე რაიბლის ჩრდილოეთი ნაპირი და შოტლანდიელებს შეუტია. ბრძოლა ორ დღეს გაგრძელდა. ინგლისელებმა მოიგერიეს შოტლანდიელების ყველა შეტევა და მერე კონტრშეტევა წამოიწყეს. შოტლანდიელებმა ჯერ უკან დაიხიეს და მერე კი საერთოდ გაქცევით უშველეს თავს. კრომველმა გაანადგურა მოწინააღმდეგე, რომელმაც ორი ათას კაცამდე დაკარგა, ხოლო ოთხი ათასი ტყვედ ჩავარდა. და ყველაფერი ეს ხდებოდა არნახული უამინდობის პირობებში. „დაღამებისთვის ჩვენ, ძალიან დაღლილებსა და ჭუჭყიანებს, არნახულად წვიმიან დღეში 12 მილი გვქონდა გავლილი. ასეთ გზაზე არასოდეს მივლია"- ამბობდა კრომველი. ასე რომ, პრესტონთან ბრძოლში არა მარტო კრომველის, როგორც სამხედრო მეთაურის ნიჭი და უნარი გამოვლინდა, არამედ მისი ჯარის პირადი შემადგენლობის მაღალი საბრძოლო თვისებებიც. ამ ბრძოლამ ისიც აჩვენა, რომ ერთია სიმამაცე და თავგანწირვა და მეორე, თანაც სულ სხვა, ბრძოლის სწორი ტაქტიკურ-ოპერატიული გეგმით წარმართვა. ლორდი ჰამილტონი და მისი მეომრები, ისე, როგორც შოტლანდიელებს სჩვევიათ, მამაცურად იბრძოდნენ. იმდენად მამცურად, „რამდენადაც ადამიანს შესწევს უნარი"- ამბობდნენ თვითმხილველები. „აბა კიდევ ერთხელ, შევუტიოთ მეფე ჩარლზისათვის!"- ასეთი შეძახილით ამხნევებდა ჰამილტონი თავის მეომრებს. მაგრამ მხოლოდ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. სიმამცით შოტლანდიელებს არც კრომველის „რკინისგვერდებიანები" ჩამორჩებოდნენ. ამის დასტურად თუნდაც ერთ-ერთი შეტაკების მონაწილის, პოლკოვნიკ ტორნჰოს ამბავიც გამოდგება. ტორნჰო თავისი ორი ცხენოსანი პოლკით ბრძოლის ველზე მოულოდნელად გამოჩენილ მტრის ჭარბ

ძალებს შეებრძოლა, უკან არ დაიხია და ხელჩართულ, სისხლისმღვრელ ბრძოლაში დაიღუპა. მისი სიტყვები, ისევე, როგორც კრომველის მომაკვდავი დისშვილის, ჭაბუკ ვალენტაინ უოლტონის გამონათქვამი, პურიტანების უდრეკ და შეუვალ სულზე მეტყველებს. „ბედნიერი ვკვდები. ღმერთმა მომცა საშუალება მეხილა, თუ როგორ დაემხნენ მისი ვერაგი მტრები“- აღმოხდა ტორნჰოს სიკვდილის წინ. მაგრამ „რკინისგვერდებიანების“ ასეთ თავგანწირვას მათი სარდლის, მთავარი „რკინისგვერდებიანის“, ვისაც პირველად ერგო ეს მეტსახელი, კრომველის რიხი და მეთაურის უნარ-ჩვევები მიუძღოდნენ წინ. პრესტონთან ბრძოლაში კიდევ ერთხელ გამოჩნდა კრომველის, როგორც მხედართმთავრის ნიჭი. სიტუაციის სწორად შეფასება, სწრაფი გადაადგილება, გონივრული და მოხერხებული მანევრები, ჯარისკაცთა და ოფიცერთა მაღალ საბრძოლო თვისებებთან ერთად პრესტონთან ბრძოლაში გამარჯვების საწინდარი გახდა.

საყურადღებოა აგრეთვე კრომველის დამოკიდებულება მოწინააღმდეგის მიმართ. ეს პირველ რიგში ტყვეებს ეხება. კრომველმა სახლში გაუშვა ის რიგითი ჯარისკაცები, რომლებიც როიალისტებმა ძალით შეიყვანეს თავის ჯარში. მაგარამ ამ ლმობიერების საპირისპირო სისასტიკე გამოავლინა მათ მიმართ, ვინც თავისი ნებით შეუერთდა კავალერებს. მათი ერთი ნაწილი ბარბადოსსა და ვირჯინიაში გადაასახლეს, სადაც მათ მონებად უნდა ემუშავათ პლანტაციებში, დანარჩენები კი ვენეციაში გააგზავნეს, სადაც მათ მონებად გაყიდდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებში. პრესტონთან დატყვევებული რიგითი ინგლისელი ჯარისკაცების გარდა კრომველმა საინტერესო დამოკიდებულება გამოავლინა შოტლანდიელების, კერძოდ, დაჭრილი ჯარისკაცების მიმართ. როგორც ტყვედ ჩავარდნილმა ლორდმა ჰამილტონმა განაცხადა თავის სასამართლო პროცესზე, კრომველი იშვიათ გულისხმიერებას ავლენდა საბრალო, დაჭრილი შოტლანდიელების მიმართ. რაც შეეხება თავად ლორდ ჰამილტონს, იგი გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს. პრესტონთან ბრძოლას იგივე მნიშვნელობა ჰქონდა მეორე სამოქალაქო ომისთვის, რაც ნესბის – პირველისთვის. როიალისტი პუბლიცისტებიც კი მწარედ აქილიკებდნენ თავის მეომარ თანამოძმე-თანამოაზრეებს. „დიდი ზარ-ზეიმი

აქვთ გამართული ჩვენს ძმებს თავისი ბედნიერი წარმატების გამო, რომელსაც მათ მიაღწიეს ჯერ ეშმაკის და მერე ცხვირა ნოლ(ოლივერის შემოკლებული ფორმა-ივ.მ.) კრომველის წყალობით"- წერდნენ ისინი.

პრესტონთან გამარჯვებამ საშუალება მისცა კრომველს შოტალნდიის წინააღმდეგ გაელაშქრა. იგი სერ ჯორჯ მონროს უკანდახეულ შენაერთებს დაედევნა. მართალია, იგი მონროს ვერ დაეწია, რათა უშუალოდ შოტლანდიის საზღვართან მოეპოვებინა მორიგი შთამბეჭდავი გამარჯვება, მაგრამ პრესტონთან ლორდ ჰამილტონის დამარცხებამ მკვეთრად შეცვალა პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა შოტლანდიაში ინდეპენდენტების მომხრეთა სასარგებლოდ, რომლებსაც სათავეში ედგა გრაფი არგაილი. მას მიემხრო შოტლანდიელი თავადაზნაურობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის ცნობილი სამხედრო მეთაურები გრაფი ლივენი(ალექსანდრ ლესლი) და დეივიდ ლესლი. სწორედ გრაფ ლივენის მეთაურობით ვიგამორების, ვიგების(Whig – ფაშატი ცხენის მეეტლე- ინგლ., ამ პარტიის დამცინავი სახელი) პარტიის წინამორბედებმა ლაშქრობა მოაწვყეს ედინბურგზე. შეშინებულმა მმართველმა ორგანომ, სახელმწიფო საბჭომ და მასთან ერთად სერ ჯორჯ მონრომ გაქცევით უშველეს თავს. მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა კრომველს შესულიყო შოტლანდიაში. 21 სექტემბერს მან მდინარე ტვიდი გადალახა, 30 სექტემბერს ბერვიკი დაიკავა და ედინბურგის გზას დაადგა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები კრომველს დედაქალაქის მისადგმოებთან შეეგებნენ. მის საპატივსაცემოდ ედინბურგში წვეულება გაიმართა. გრაფმა არგაილმა საჯაროდ განაცხადა, რომ არ სცნობს ხელშეკრულებებს, რომლებიც მისმა მოწინააღმდეგეებმა მეფესთან დადეს. ლორდ ჰამილტონის მომხრეები ჩამოაშორეს ხელისუფლებას, ხოლო შოტლანდიის ჯარი დაითხოვეს.

მეორე სამოქალაქო ომის დამამთავრებელ აკორდს წარმოადგენდა პონტეფრაქტის ციხე-კოშკის აღება, რაც ხანგრძლივი ალყის შემდეგ მოხერხდა. ციხე-კოშკის აღებას რამდენიმე უშედეგო იერიში უძღოდა წინ. პირველი იერიში პოლკოვნიკმა თომას რეინსბორომ მიიტანა(რომელიც ფლოტიდან არმიაში დაბრუნდა). იერიში უშედეგო

გამოდგა და თავად რეინსბორო ერთ-ერთი შეტევის დროს დაიღუპა. მოგვიანებით მას თავად კრომველი შემოეწყო, მაგრამ სხვა საქმეებით დაკავებულმა, მან ალყა თავის ხელქვეითებს გადაულოცა. საბოლოოდ პონტეფრაქტი 1649 წ. მარტში დანებდა. კრომველმა მას სამეფოს ერთ-ერთი უძლიერესი ციხე-სიმაგრე უწოდა.

ამრიგად, მეორე სამოქალაქო ომი პარლამენტის სრული გამარჯვებით დამთავრდა. „რკინისგვერდებიანებმა" კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ სწორუპოვარი მეომრები იყვნენ, მათი სარდალი კი კვლავ შეიმოსა გამარჯვების შარავანდედით. უფრო მეტიც, მოსახლეობა, რომლის გარკვეული ნაწილი აბსოლუტურად გულგრილი იყო მიმდინარე მოვლენების მიმართ, რომელსაც ალბათ სხვა არაფერი უნდოდა თუ არა შრომა და ცოტაოდენი გართობა-დასვენება და რომლის რეაქცია მებრძოლი ბანაკების მოწოდებებზე ერთადერთი ფრაზით გამოიხატებოდა: „ჭირმა წაგიღოთ ორივე!," შოტლანდიელებთან ომის წინ პარლამენტის მხარეზე დადგა. ისტორიულ მეტოქესთან ჭიდილმა ინგლისელებში პატრიოტიზმის აღმაფრენა გამოიწვია. როდესაც კრომველი თავისი ჯარით ჩრდილოეთის საზღვრისკენ მიდიოდა, მოსახლეობა მას ღამით ჩირაღდნებით ეგებებოდა. და ეს სწორედ იმ ჩრდილოეთის საგრაფოებში ხდებოდა, რომლის მოსახლეობის უმრავლესობა მონარქისტულად იყო განწყობილი. თავგადადებული როიალისტებიც კი იმას ნატრობდნენ, რომ მათთვის საძულველ კრომველს შოტლანდიელები დაემარცხებინა, ის შოტლანდიელები, რომლებმაც მეფე ჩარლზ I ნივთივით გაყიდეს!

დამხობილი გვირგვინოსანი

მაგრამ გამარჯვებასთან დაკავშირებული გარეგნული ზარ-ზეიმის ფონზე გამარჯვებულთა ბანაკში ნამდვილად არ სუფევდა საყოველთაო სიხარული. პარლამენტის მესვეურებმა არ იცოდნენ, ეზეიმათ თუ ეგლოვათ? გარეგნულად ყველაფერი რიგზე იყო. დამპყრობლები(შოტლანდიელები) დამარცხდნენ და უკუიქცნენ. მაგრამ სწორედ ამ მოსალოდნელ დამპყრობლებს და პარლამენტის მესვეურებს პოლიტიკური და რელიგიური ერთობა აკავშირებდათ. ორივენი პრესბითერიანები იყვნენ. აი გამარჯვებულები კი მათი აზრით და მათივე თქმით ის საძულველი სექტანტები, ანუ სხვადასხვა რადიკალური რელიგიური მიმდინარეობების მიმდევრები იყვნენ, რომელთა ლოზუნგი საყოველთაო რელიგიური შემწყნარებლობა იყო. ჯარისკაცთა პოლიტიკური აქტიურობა და ზეწოლა პრესბითერიანებისათვის მეტისმეტად გამაღიზიანებელი იყო, ხოლო კრომველის ავტორიტეტი უელსისა და შოტლანდიის კამპანიების შემდეგ ძალიან გაიზარდა. სწორედ ამ ავტორიტეტის და პოპულარობის ეშინოდათ პარლამენტში მოკალათებულ პრესბითერიანებს. როდესაც კრომველის გამარჯვებების წყალობით შიგა და გარეშე მტერი, როიალისტები და შოტლანდიელები ფაქტობრივად გაქრნენ ასპარეზიდან, პრესბითერიანი პარლამენტარების წუხილის მთავარ ობიექტად კვლავ ძალაუფლება, საკუთარი სავარძლების შენარჩუნება იქცა. ძლევამოსილი სარდალი მათ აშინებდა და საფრთხეს უქმნიდა. ამიტომაც ისინი მაქსიმალურ გულგრილობას გამოხატავდნენ კრომველის სამხედრო წარმატებების მიმართ. ღრმად მორწმუნე და თავგადადებული პურიტანი, კრომველი თავის სამხედრო პატაკებში ხოტბას ასხამდა ღმერთს, როგორც პარლამენტის ჯარის გამარჯვების სულისჩამდგმელს, მაგრამ მისი პირადი წვლილის დაუფარავი უგულებელყოფა კრომველის გულისწყრომას იწვევდა. ალბათ ეს ბუნებრივი, ჩვეულებრივი მოვლენაა, ანუ ყველას, ვინც კი დიდ წარმატებას მიაღწევს, სრულიად სამართლიანად სურს,

რომ იგი და მისი დამსახურება აღიარონ, შეაქონ. სწორედ ამიტომ ვერ მალავდა იგი თავის გულისწყრომას მეგობრისადმი მიწერილი წერილში: „უფალს ვევედრები, შეგვაძლებინოს დავინახოთ მისი წყალობა(გამარჯვება-ივ.მ.), რომელიც მწამს, გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე პარლამენტის დამოკიდებულება მის მიმართ.“

ძალაუფლების დაკარგვის შიშმა, რომელიც შეიძლება მოყოლოდა პოლიტიკური მდგომარეობის რადიკალიზაციას, მკვეთრად შეცვალა პარლამენტის პოზიცია. ლორდთა პალატა თავგამოდებული როიალისტების თავყრილობად იქცა. ის არც კი შეუერთდა თემთა პალატის იმ განცხადებას, რომელშიც ინგლისში შემოჭრილი შოტლანდიელები მტრებად გამოაცხადეს. ორივე პალატის წევრებმა გადაწყვიტეს სასწრაფოდ ესარგებლათ წამყვანი ინდეპენდენტების არყოფნით, რომლებიც იმ დროს ჯარში იყვენენ და დაიწყეს ინტრიგების ხლართვა. იმ დროს, როდესაც კრომველი თავის „რკინისგვერდებიანებს“ ინგლისში შემოჭრილი შოტლანდიელების წინააღმდეგ მიუძღოდა, პრესბითერიანებმა პარლამენტში მასზე გააფთრებული შეტევა წამოიწყეს მისი ერთ-ერთი ყოფილი ხელქვეითის მეშვეობით. ეს ადამიანი, თავის დროზე სამხედრო, მაიორის წოდებით, საბრალდებო სიტყვით გამოვიდა პარლამენტში კრომველის წინააღმდეგ. თავის გამოსვლაში ის ყოველნაირად ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ ყველაფერი, რასაც კრომველი ლაპარაკობდა, სავსებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ მის წინააღმდეგ იმპიჩმენტი წამოეწყოთ. იმპიჩმენტი არის ბრალდება დანაშაულში, რომელსაც პირი სჩადის თანამდებობაზე ყოფნის დროს ამ თანამდებობის მეშვეობით, მისი ბოროტად, უკანონოდ გამოყენებით. ანუ ეს არის ე.წ. თანამდებობრივი დანაშაული. ამ შეტევას პარლამენტში კრომველის დაუძინებელი მტერი დენზილ ჰოლისი ჩაუდგა სათავეში. ამრიგად, პარლამენტი ამ ადამიანის და საერთოდ, ინდეპენდენტების განადგურებისკენ ისწრაფოდა. ამაზე სავსებით ნათლად მეტყველებს პრესბითერიანების ერთ-ერთი ლიდერის და კრომველის მოწინააღმედგის ფილიპ სტეპლტონის გამონათქვამი: „ჩვენ უნდა ჩავძიროთ ისინი, თუ არადა ისინი ჩვენ ჩაგვძირავენ!“

ყველაზე მეტად პრესბითერიანებს რელიგიური შემწყნარე-

ბლობის იდეა აშინებდა. კრომველის უელსის ლაშქრობაში წასვლის ორიოდე დღის შემდეგ მათ მიიღეს დადგენილება, რომლის თანახმად სიკვდილით ისჯებოდა არა თუ მარტო ათეიზმი, არამედ ნებისმიერი პროტესტანტული მიმდინარეობის(პრესბითერიაონობის გარდა) მრწამსის მიღება და ამის საჯაროდ განცხადება. მაგრამ დადგენილების ავტორებს კარგად ესმოდათ, რომ იგი რეალურ ძალას შეიძენდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ზურგს ძალაუფლება გაუმაგრებდა. ასეთად კი პრესბითერიანებს მეფე ესახებოდათ. ამიტომ მათი მთავარი მიზანი იყო მეფე დაებრუნებინათ კუნძულ უაითიდან, მანამ, სანამ კრომველი და მისი ჯარი ლონდონში დაბრუნდებოდნენ. მაგრამ ისინი იმას ვერ ხვდებოდნენ, რომ გარკვეულწილად გამოუვალ მდგომარეობაში იყვნენ. კერძოდ, ეს იყო თუ შეიძლება ასე ითქვას, გამოუვალი ალტერნატივა. პრესბითერიანები ვერ შეიძენდნენ რეალურ ძალას მეფის ავტორიტეტის გარეშე, მაგრამ იმავე დროს ვერ დაუპირისპირდებოდნენ კრომველს და მის ჯარს, რომლის ძლიერებაზე პრაქტიკულად ქვეყნის ბედ-ილბალი იყო დამოკიდებული. ამიტომ კრომველის პრესტონთან გამარჯვების შემდეგ პარლამენტის პრესბითერიანულმა უმრავლესობამ სასწრაფოდ გააუქმა დადგენილება მეფესთან ყოველგვარი მოლაპარაკების შეწყვეტის შესახებ და კუნძულ უაითზე პარლამენტის წარმომადგენლები გააგზავნა. ამ დელეგაციის წევრებს შორის იყო ორი ინდეპენდენტი დეპუტატი, ვენი და ფიენსი. მოლაპარაკება 18 სექტემბერს დაიწყო და საკმაოდ დიდხანს, 27 ნოემბრამდე გასტანა. იგი მნიშვნელოვანი იყო ორივე მხარისთვის. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ მეფე ლამის გამოუვალ მდგომარეობაში იყო. მას ორი სამხედრო კამპანია ჰქონდა წაგებული. ჯარი, რომელმაც მისი ნაქები კავალერები დაამარცხა, ძლევამოსილ ერთეულს წარმოადგენდა და არა მარტო სამხედრო თავალსაზრისით. იგი პოლიტიკურადაც ძალზე აქტიური და მტკიცე ძალა იყო. მას არ სურდა, რომ მის მიერ დაღვრილი სისხლი და გაწეული თავგანწირვა მოწინააღმდეგეს თავისი ფარული ფანდების მეშვეობით წყალში ჩაეყარა.

როგორ შეეგება მეფე მოვლენათა ამგვარ მსვლელობას და რამდენად რეალურად აფასებდა იგი შექმნილ სიტუაციას? ამ საკითხის სწო-

რად გარკვევისათვის როგორც უკვე ითქვა ადრე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქმე მეფეს ეხება. ვსაუბრობთ რა რევოლუციურ ბანაკზე, როგორც მომავალი, პროგრესული მოვლენების განმახორციელებელზე, ჩვენ ისეთივე ყურადღებით უნდა გავიცნობიეროთ საპირისპირო, როიალისტური, თუნდაც კონტრრევოლუციურად წოდებული ბანაკი. მას და მის თავკაცს, კავალერთა შორის უპირველეს, მეფეს, ურყევად სჯეროდათ თავისი პოლიტიკური პლატფორმის მართებულობის, ღირსების და შეუვალობის. ჩარლზ I შესანიშნავად იცნობდა და სულით ხორცამდე ითავისებდა მამამისის, ჯეიმს I ტრაქტატს სამეფო ხელისუფლების და მეფის ძალაუფლების შეუბღალავი ხასითის შესახებ. „მონარქია უზენაესი მოვლენაა დედამიწაზე. მეფეები არა მარტო ღმერთის ნაცვლები არიან დედამიწაზე, არამედ თავადაც არიან მის მიერ შერაცხულები ღმერთებად. მეფე შეიძლება შევადაროთ ოჯახის თავს და აქედან გამომდინარე, იგი არის თავისი ხალხის პოლიტიკური მამა. მეფე იმ მიკროსამყაროს სათავეში იმყოფება, რომელსაც ადამიანთა მოდგმა ქმნის.“ ალბათ ძალიან ძნელი, თუკი საერთოდ შესაძლებელი იყო ამგვარი ცნობიერების უკუგდება, რომელიც საუკუნეების მანძილზე პრაქტიკულად გენეტიკურად იყო ჩამოყალიბებული. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო აბსოლუტურად მიუღებელი უნდა ყოფილიყო ის, რომ შესაძლებელი იყო შეწინააღმდეგებოდნენ მეფის გადაწყვეტილებას! რადგან, როგორც ჯეიმს I წერდა თავის ტრაქტატში, „არავინ უნდა ჩაერიოს მართვა-გამგეობის საქმეში და მეფეს არავისგან ესწავლება მეფობა.“ ამ გადასახედიდან მეფე და ყველა ის, ვინც იზიარებდა ამ დებულებებს, ყოველთვის „ზემოდან“ და მედიდურად გადმოხედავდნენ დანარჩენ სამყაროს. აკი თავად კრომველმა ყველაზე პირველმა არ დაანახა და აუხსნა პარლამენტის ჯარის მესვეურებს, რომ ხელზე მოახლე ბიჭებისა და მიკიტნების გროვა ვერასოდეს შეებრძოლება პირადი ღირსებით აღსავსე ადამიანებს?! ერთადერთი, რაც ამგვარ ცნობიერებას დაუპირისპირდებოდა იყო ღმერთის უპირობო, ურყევი და თავგადადებული რწმენა. ღმერთის მიერ მირონცხებულებს მან ღმერთის რჩეულთა (პურიტანების გაგებით) რწმენა დაუპირისპირა. როგორ გაატარებდა კონკრეტულ სიტუაციაში ჩარლზ I მამამისის ტრაქტატში ჩამოყალი-

ბებულ პრინციპებს?

როდესაც ჩარლზ I პარლამენტის დელეგაციის წინაშე წარსდგა, როიალისტი ისტორიკოსის ედუარდ ჰაიდის თქმით, იმათ, ვისაც მეფე თითქმის ორი წელი არ ენახათ ჩათვალეს, რომ იგი ძალიან შეიცვალა. მას შემდეგ, რაც მას პირადი მსახურები ჩამოაშორეს, მისმა ვარცხნილობამ და იერ-სახემ დაკარგეს ძველებური პეწი. თუმცა მთლიანობაში იგი საკმაოდ ჯანმრთელად გამოიყურებოდა და ძალზე მხნედ საუბრობდა. თუ გავითვალისწინებთ იმ სულიერ ტრავმას, რომელიც მან მიიღო, მას თვითმხილველთა აზრით, სულაც არ ეტყობოდა დათრგუნულობა. პირიქით, იგი ერთობ მედიდურად იქცეოდა. მეფე ცდილობდა მაქსიმალურად დაეცვა თავისი პოზიცია. შეიძლება ითქვას, იგი თვითეული მტკაველისთვის იბრძოდა. საბოლოოდ იგი დათანხმდა სამი წლით შეეჩერებინა ეპისკოპოსთა ინსტიტუტის ფუნქციონირება, მაგრამ უარი თქვა საერთოდ გაეუქმებინა იგი. როგორც ჩანს, მას კარგად ახსოვდა მამამისის გამონათქვამი: „ეპისკოპოსის გარეშე მეფეც ვერ იქნება.“ ჰოლისი და პრესბიტერიანთა სხვა წარმომადგენლები ლამის ემუდარებოდნენ მეფეს დათმობაზე წასულიყო. ისინი მეფეს მიანიშნებდნენ მისთვის და მათთვის საერთო საფრთხეზე, რომლიც მათ ემუქრებოდა ინდეპენდენტებისა და ჯარის სახით. მაგრამ ჩარლზ I უფრო მეტად თავისი საიდუმლო გეგმების განხორციელებაზე ფიქრობდა. „მე დათმობაზე იმიტომ წავედი, რომ გაქცევა მოვახერხო.“ ეს ჩანაწერი აღმოაჩინეს მის საიდუმლო მიმოწერაში გრაფ ორმონდთან, ირლანდიაში მოქმედ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროტესტანტული, როიალისტური სამხედრო დაჯგუფების მეთაურთან. მეფე საჯაროდ უკრძალავდა ორმონდს საომარი მოქმედებების დაწყებას. მაგრამ საიდუმლო მიმოწერაში მას ბრძანება ჰქონდა გაცემული, რომ გრაფს უმალ უნდა გაელაშქრა პარლამენტის გარნიზონების წინააღმდეგ ირლანდიაში, როგორც კი გაიგებდა, რომ მეფემ ტყვეობას თავი დააღწია. გარდა ამისა, ჩარლზ I კონტინენტიდანაც ჰქონდა დახმარების მიღების იმედი. აქ პირველ რიგში ამბოხებული ფლოტი მოიაზრებოდა და თანაც შემდეგნაირად. ამბოხებული ესკადრა ათი გემისგან შედგებოდა, რომელთა საერთო წყალწყვა 369 ათას ტონას უდრიდა. ზოგიერთი მათგანი თავისი დროის საკმაოდ დიდ ხო-

მალდს წარმოადგენდა. მაგ. „კონსტანტ რეფორმეიშენ“-ის წყალწყვა 850 ტონას უდრიდა, „კონვერტივ“- ის და „სვოლოუ“-ს შესაბამისად 650 ტონას, „ენტილოუპ“- ის 600 ტონას. ასე რომ სამხედრო-საზღვაო ფლოტის თვალსაზრისით ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ძალა იყო. მაგრამ აქ შემოდიოდა საგარეოპოლიტიკური ფაქტორიც. იმ დროისთვის კონტინენტზე 30-წლიანი ომი უკვე დამთავრებული იყო. ასე რომ, მეამბოხე ფლოტილიის სარდლობას, ტახტის მეკვიდრე უფლისწულ ჩარლზს და მეფის დიწულ რუპერტს დავალებული ჰქონდათ სწორედ კონტინენტზე დაექირავებინათ ჯარი და ამ გემების მეშვეობით ინტერვენცია განეხორციელებინათ ინგლისში. ევროპაში უამრავი ჯარისკაცი და ოფიცერი დარჩა „უსაქმოდ,“ რომლებიც არ დააყოვნებდნენ დაქირავებული ჯარის რიგების შევსებას რომელსაც ინგლისში უნდა ებრძოლა. სწორედ ამის იმედი ჰქონდა ჩარლზ I.

თუ პრესბითერიანები შეთანხმებას მიაღწევდნენ მეფესთან, ეს კავშირი პირველ რიგში წარმართული იქნებოდა ინდეპენდენტების და ჯარის წინააღმდეგ. ამიტომ პრესბითერიანთა ლიდერები ცდილობდნენ მოწინააღმდეგე შიგნიდან გაეტეხათ, რისთვისაც მათ ძველრომაულ პრინციპს(თუმცა მას ასევე მაკედონიის მეფეს ფილიპე II მიაწერენ) "Devide et impera"(გათიშე და იბატონე-ლათ.) მიმართეს. ითვალისწინებდნენ რა იმას, რომ ლეველერები და მათი იდეები ჯარში გარკვეული პოპულარობით სარგებლობდნენ, პრესბითერიანებმა გადაწყვიტეს ეს უკანასკნელები ინდეპენდენტებისთვის, კერძოდ ჯარის სარდლობის, „გრანდებისათვის“ დაეპირისპირებინათ. ამისათვის მათ ხელი შეუწყვეს ჯონ ლილბერნის პატიმრობიდან გათავისუფლებას, რომელიც ტაუერში იყო გამომწვედეული. პრესბითერიანებს იმედი ჰქონდათ, რომ ეს უკანასკნელი კრომველს დაუპირისპირდებოდა. ამგვარი დაპირისპირება კი უთუოდ არევ-დარევას შეიტანდა ჯარში და ინდეპენდენტების რიგებში, რაც პრესბითერიანების წისქვილზე დაასხამდა წყალს.

ჯონ ლილბერნზე ბევრი დაწერილა. მგზნებარე ორატორი, ნიჭიერი პამფლეტისტი, ეს იყო ადამიანი, რომელმაც თავისი პრინციპების ერთგულებისათვის „ალალი ჯონის“ მეტსახელი დაიმსახურა, რომელიც თავისი სიტყვით და კალმით უამრავ ადამიანზე ახდენდა გავლე-

ნას და შეეძლო მათი მიმხრობა. მაგრამ იმავე დროს იგი მოიხსენიება როგორც მოუსვენარი, ყოველთვის ყველაფრით უკმაყოფილო, უყურადღებო მის მიერ წამოყენებული ბრალდებების საფუძვლიანობისა თუ უსაფუძვლობის მიმართ. მას ახასიათებდნენ როგორც მუდმივ მეამბოხეს, ადამიანს, რომელიც საერთო საქმეს თავის პირად აღშფოთებას და გაგულისებას სწირავდა და დემაგოგსაც კი. მისი პიროვნების დახასიათებისათვის ალბათ ორი მინიშნება გამოდგება. როდესაც 1649 წ. მაისში, ტაუერში მყოფს, მას ეწვია ცნობილი მქადაგებელი და საზოგადო მოღვაწე ჰიუ პიტერი, ლილბერნმა ამ უკანასკნელს უთხრა, რომ შვიდ წელიწადს იცხოვრებდა სიკვდილით დასჯილი მეფის, ჩარლზ I დროს, ვიდრე ერთ წელიწადს იმჟამინდელი რესპუბლიკური მთავრობის პირობებში. რა არის ეს? ადამიანი, რომელიც თავდაუზოგავად ამხელდა და ებრძოდა მეფის ტირანიას რომელიც მას სდევნიდა და მკაცრადაც სჯიდა, მისი დამხობის შემდეგ ახალ, რესპუბლიკურ ხელისუფლებას გმობს და ისევ მეფეს მისტირის? ალბათ ისევ და ისევ ადამიანისათვის დამახასიათებელი იმედგაცრუება, რომელიც მის უკიდეგანო, დაუოკებელ, მაგრამ ხშირად ნაკლებად გაცნობიერებულ იმედსა და ნატვრას მოსდევს. ყველაზე უფრო მეტად კი ალბათ მისი საფლავის ქვაზე(ლილბერნი 1657 წ. გარდაიცვალა) გაკეთებული წარწერა ფენს ნათელს მის მშფოთვარე პიროვნებას: „ჯონი თუ აქ წევს და ლილბერნიც სადღაც აქ არის, როცა ისინი შეხვდებიან ერთმანეთს, აუცილებლად იჩხუბებენ. ჯონი ლილბერნს წაეკიდება, ლილბერნი კი ჯონს.“ ძალზე დამაფიქრებელი დახასიათებაა, მით უფრო, რომ რა შეიძლება ადამიანის პიროვნების ახსნაში იყოს უფრო ზუსტი და სამარადჟამოდ განმსაზღვრელი, ვიდრე ეპიტაფია? ალბათ ამიტომაც ამბობს ანდრე მორუა, როდესაც ინგლისის რევოლუციაზე საუბრობს, რომ ყველა რევოლუცია ორი ტიპის ადამიანებს შობს. ერთნი ბელადებად იბადებიან, მეორენი – მეამბოხეებად. პირველს იგი კრომველს მიაკუთვნებს, მეორეს – ლილბერნს.

1648 წ. 2 აგვისტოს პრესბიტერიანების ერთ-ერთი ლიდერის, მეინარდის წინადადებით ლილბერნი ციხიდან გაათავისუფლეს. მაგრამ მათი ვარაუდი, რომ ტაუერიდან გამოსული ლილბერნი უმალ კრომველის წინააღმდეგ გაილაშქრებდა, არ გამართლდა. ლილბერნის გათა-

ვისუფლება დაემთხვა კრომველის სამხედრო კამპანიას შოტლანდიელების წინააღმდეგ „ალალმა ჯონმა“ არ დააყოვნა მიემართა თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგისათვის. „მე უარს არ ვამბობ ჩემს ძირითად პრინციპებზე, რომლებსაც მთელი ჩემი ცხოვრება შევალიე, მაგრამ უარს არ ვიტყვი თქვენს მხარდაჭერაზეც, თუკი თქვენ ისეთი იქნებით, როგორადაც რომ გმართებთ ყოფნა“- სწერდა ლილბერნი კრომველს. ლილბერნი გულისტკივილს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ჯარმა არ მოითხოვა მისი გათავისუფლება, მაგრამ იქვე დასძენდა, რომ არ აპირებდა შური ეძია იმათზე, ვინც მას უსამართლოდ მოექცა. „მერწმუნეთ, თუკი მე ოდესმე გავილაშქრებ თქვენს წინააღმედგ, ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც თქვენ, დიდების მწვერვალზე მყოფი, სიმართლის და სამართლიანობის გზიდან გადაუხვევთ, მაგრამ მანამ, სანამ თქვენ მტკიცედ ივლით ამ გზით, მე თქვენი ერთგული ვიქნები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე“- სწერდა იგი კრომველს.

ამგვარი სტროფები და განწყობა კრომველის მიმართ ნამდვილად არ შედიოდა პრესბითერიანების გეგმებში. მაგრამ როგორი იქნებოდა ამ ადამიანების უშუალო ურთიერთობა? ისინი შეხვდნენ ერთმანეთს. ლილბერნი ეწვია კრომველს პონტეფრაქტის ალყის დროს. ფრიად საყურადღებოა, ამ შეხვედრის შედეგად ლილბერნის მიერ კრომველზე გამოთქმული აზრი. „ეს ადამიანი ნეტარებას განიცდის თავისი სავარაუდო აღზევებით და ნაკლებად ეუფლება სიამოვნების განცდა იმის გახსენებით, თუ როგორ აქებდნენ მას ადრე, როგორც თავისუფლების და სამართლიანობის დამცველს“- წერდა ლილბერნი. ფრიად საგულისხმო და შორსმჭვრეტელი შეფასებაა! რაც შეეხება კრომველს, პატნის კონფერენციაზე შეძენილმა გამოცდილებამ იგი დაარწმუნა, რომ ლეველერებთან დაპირისპირებას მათთან კავშირი სჯობდა. თუმცა მას უჭირდა ერთბაშად, მკვეთრად გადაედგა ნაბიჯი რადიკალური პოზიციისაკენ. ეს მისი წერილიდანაც ჩანს. „ჩვენ, საცოდავი ჯარი, ველოდებოდით, თუ რას გვანიშნებდა ღმერთი“- სწერდა იგი პოლკოვნიკ ჰამონდს. იგი ბევრს მსჯელობდა ხელისუფლებაზე, პარლამენტის უზენაესობაზე, იმაზე, კანონიერი და დასაშვებია თუ არა მისთვის წინააღმდეგობის გაწევა და საბოლოო ჯამში დადებით პასუხამდე მიდიოდა. მისი აზრით, ხელისუფლება ყოველთვის ისწრა-

ფოდა საკუთარი სურვილის დაკმაყოფილებისაკენ, შესაბამისად, მისთვის წინააღმდეგობის გაწევაც უკანონობა არ იქნებოდა. თავისებური დასკვნის სახით იგი დახასიათებას აძლევდა ჩარლზ I. აქ კრომველი სახარებისეული დებულებით ხელმძღვანელობს, როდესაც ამბობს, თუ როგორ სცდებოდნენ მისი მეგობრები, როდესაც მიაჩნდათ, რომ სიკეთე ნებისმიერი საწყისიდან მომდინარეობს. ამის დასტურად მას იაკობ მოციქულის სიტყვები მოყავდა: „განა მოედინება ერთი წყაროს თვალიდან ტკბილი და მწარე?“ ალბათ სწორედ ამიტომ სვამდა იგი რიტორიკულ კითხვას: „სიკეთე, ამ კაცის მიერ გაკეთებული?!’ აქ კრომველი მეფეს გულისხმობდა.

კრომველის პოზიციის რადიკალიზაცია გარეშე პირობების ზეგავლენით ხდებოდა. ძლევამოსილი სარდალი, რომლის მიმართვას ჯარისკაცები აღტაცებული შეძახილებით და ქუდების მაღლა ასროლით ეგებებოდნენ, ნამდვილად ვერ დადგებოდა განზე თავისი გმირი და ერთგული მეომრების გუნება-განწყობისაგან. თანაც ამ რადიკალურ იდეებს კრომველის უახლოეს გარემოცვაში იზიარებდნენ. ამაზე თუნდაც კრომველის მდივნის, რობერტ სპევინის სიტყვები მეტყველებს: „დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთი დაამსხვრევს ამ კერპს, პარლამენტს და მართვის ამ გადაბერებულ ფორმას: მეფეს, ლორდებს და თემთა პალატას.“ სწორედ ამგვარი გუნება-განწყობა სუფევდა ჯარში. აირტონის, ფლიტვუდის, უოლის პოლკები პეტიციას პეტიციაზე აგზავნიდნენ პარლამენტში, რომლებშიც ითხოვდნენ მეფის გასამართლებას. ასეთივე მიმართვები მიდიოდა პარლამენტში ჩრდილოეთის საგრაფოებში განლაგებული საჯარისო ნაწილებიდან, რომლებსაც ახალი დასრულებული ჰქონდათ შოტლანდიაში ლაშქრობა კრომველის მეთაურობით. ამ სწრაფვას წინ ვერავინ და ვერაფერი დაუდგებოდა. სწორედ ალბათ ამიტომ სწერდა კრომველი ფერფაქსს: „დარწმუნებული ვარ, რომ პირად შემადგენლობას სავსებით გაცნობიერებული აქვს სამეფოს ბედ-იღბალი. მას სწადია, რომ დამნაშავეებმა სრულად უნდა აგონ პასუხი კანონის წინაშე და მე მას ამაში სავსებით ვეთანხმები. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი(ჯარისკაცები-ივ.მ.) ღმერთმა ამოარჩია იმისათვის, რომ ჩვენი გულისნადები გამოხატონ.“ ამრიგად, არმიის სარდლობამ და პირველ რიგში კრომველმა,

საბოლოოდ გაითავისეს მრავალრიცხოვანი რიგითი შემადგენლობის პოზიცია მეფის ხელისუფლების და თავად მეფის მიმართ. ეს სრულად გამოიხატა სამხედრო საბჭოს სხდომაზე, რომელიც შეიკრიბა 1648 წ. 18 ნოემბერს სენ-ოლბანსში. საბჭომ მიიღო აირტონის მიერ შედგენილი „არმიის რემონსტრაცია," რომელშიც ჯარის სარდლობამ გამოხატა ერთიანი პოზიცია. იგი არსებითად დაეთანხმა ჯარისკაცთა მოთხოვნებს და მიიღო უამრავი წინადადება, რომლებიც თავის დროზე წამოაყენეს ლეველერებმა „სახალხო შეთანხმებაში." ეს იმის დასტური იყო, რომ პრესბიტერიანების გეგმები გრანდებისა და ლეველერების დაპირისპირებაზე ჩაიშალა. „არმიის რემონსტრაციაში" ჩამოთვლილი იყო მეფის ხელისუფლების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტები, ნათქვამი იყო, რომ სამოქალაქო ომი ჩარლზ I გამო დაიწყო, რისთვისაც იგი მკაცრად უნდა დასჯილიყო. წამოყენებული იყო მოთხოვნა მოქმედი პარლამენტის ზუსტ ვადებში დათხოვნის შესახებ და ახალი პარლამენტის მოწვევის აუცილებლობა. 20 ნოემბერს „არმიის რემონსტრაცია" პარლამენტს წარუდგინეს განსახილველად. განხილვამ მწვავე კამათის ფორმა მიიღო. პრესბიტერიანულმა უმრავლესობამ უარი თქვა მის მიღებაზე. უართან ერთად ისინი შეეცადნენ ჯარი დაეთხოვათ.

ამ გადაწყვეტილებამ ჯარის მოთმინების ფიალა აავსო. როგორც ჩანს, ბრძოლებში წრთობამ, სიკვდილისთვის მუდმივად თვალის სწორებამ, ძლევამოსილმა გამარჯვებებმა ჯარისკაცების ცნობიერებაში ჩამოაყალიბეს რწმენა, რომ სწორედ ისინი არიან საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ფენა, ისინი, ვინც უშუალოდ იბრძოდნენ და თავს სწირავდნენ თავისუფლების მოპოვებისათვის. და ამ დროს კი, კრომველის სიტყვებით, „თავისუფლება ხელთ იგდეს იმათ, ვისაც მისთვის არასოდეს უბრძოლია." ეს მეომრებისათვის ნამდვილი შეურაცყოფა იყო. ასე რომ ჯარმა, რომელიც თავისუფლებისათვის იბრძოდა ჩათვალა, რომ თვითონ გადაწვეტს, თუ როგორ მოეპყრას მისივე გამარჯვებით მოპოვებულ „ნადავლს." გამარჯვებულებს კი, როგორც რომაელთ უთქვამთ, არ სჯიან.

შეიტყვეს რა პარლამენტის ამ გადაწყვეტილების შესახებ, ჯარში უმალ გადაწყვიტეს მოქმედება. 30 ნოემბერს, ფერფაქსის წინააღმდე-

გობის მიუხედავად, სამხედრო საბჭომ მისი მდივნის, ჯონ რაშუორსის ხელმოწერით გამოაქვეყნა დადგენილება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ თემთა პალატის უმრავლესობა შედგება მოღალატეებისა და გახრწნილი ადამიანებისგან. ამიტომ ხალხის ინტერესები მოითხოვს, რომ ასეთმა ადამიანებმა უნდა დატოვონ პარლამენტი. იმისათვის, რომ ჩატარდეს ასეთი წმენდა და მოწვეულ იქნას ახალი, ჭეშმარიტად წარმომადგენლობითი პარლამენტი, ჯარმა ლონდონზე უნდა გაილაშქროს. ეს გადაწყვეტილება საგანგებო წერილით ემცნო დედაქალაქის მუნიციპალიტეტის საბჭოს.

შეიტყო რა ეს სიახლე, თემთა პალატამ მოსთხოვა ფერფაქსს შეეჩერებინა ჯარის მსვლელობა ლონდონზე. იგივე მოთხოვნა წამოაყენა ლონდონის სიტიმ. მაგრამ ფერფაქსს უკვე აღარ შესწევდა ძალა ჯარს წინ აღდგომოდა. 2 დეკემბერს ქვეითთა ოთხი და ცხენოსანთა ექვსი პოლკი ლონდონში შევიდა. ჯარის შტაბი მეფის რეზიდენციაში, უაითჰოლში განთავსდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯარი ლონდონში შევიდა და სარდლობა პარლამენტის რეზიდენციის, ვესტმინსტერის სასახლის გვერდით იყო განთავსებული, პარლამენტი არაფრად აგდებდა ჯარის მოთხოვნას და განაგრძობდა მეფესთან მოლაპარაკების განხილვას. ინდეპენდენტებმა, რომელთა სახელით გამოვიდა სერ ჰენრი ვენი, მოითხოვეს მეფესთან დაუყოვნებლივ ყოველგვარი მოლაპარაკების შეწვეტა, მაგრამ პრესბითერიანებმა უარყვეს ეს მოთხოვნა. ამის მიუხედავად, ინდეპენდენტებმა მაინც შესძლეს თავის სასარგებლო ნაბიჯის გადადგმა. მათ გადააყენეს კუნძულ უაითის კომენდანტი, როიალისტურად განწყობილი ჰამონდი და შეცვალეს იგი უფრო მკაცრი, თუ შეიძლება ითქვას, „თავისი კაცით," პოლკოვნიკ იუკერით. ამ უკანასკნელმა ჯერ დაცვა გააძლიერა, მერე კი საერთოდ ჰემპშირის საგრაფოში გადაიყვანა მეფე და განმარტოებულ, კლდეზე მდებარე ჰერსტის ციხე-კოშკში მოათავსა იგი.

თემთა პალატის პრესბითერიანები ცდილობდნენ ბოლომდე გამოეყენებინათ მათ განკარგულებაში არსებული საშუალებები. იმისათვის, რომ ჯარისთვის არ დაეთმოთ ინიციატივა მეფესთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტაში, მათ თემთა პალატაში მიიღეს

ფაქტობრივად თავის სასარგებლო დადგენილება. ამ დადგენილების მიხედვით მეფის პასუხი მათ მიერ შეთავაზებულ პირობებზე სავსებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ პარლამენტს გაეგრძელებინა მასთან მოლაპარაკება. იმავე დღეს, 5 დეკემბერს, ლორდთა პალატამ მიიღო იგივე დადგენილება. და აი მაშინ ჯარმა მოახდინა „ქირურგიული ჩარევა." 6 დეკემბერს, დილით, აირტონის ბრძანებით, პოლკოვნიკების პრაიდის და რიჩის ქვეითმა და ცხენოსანთა ნაწილებმა მოხსნეს ვესტმინსტერის სასახლის საგუშაგოებიდან ლონდონის მილიციის დაცვა და თვითონ დაიკავეს სასახლის ეზო, შესასვლელები და კიბეები. მთავარ შესასვლელში პოლკოვნიკი პრაიდი იდგა სიით ხელში და არ უშვებდა პარლამენტის სხდომათა დარბაზში პრესბითერიან დეპუტატებს. ვინაიდან პრაიდი ყველა დეპუტატს პირადად არ იცნობდა, მას მათი ვინაობის გარკვევაში ეხმარებოდა ლორდი გრეი(ბარონი გორბი) და ერთ-ერთი ჯარისკაცი. შესაბამისად, პრესბითერიანთა სიაში მყოფ დეპუტატებს პრაიდი და მისი ჯარისკაცები შენობაში არ უშვებდნენ.

ყველაფერმა ამან პრესბითერიანი დეპუტატების აღშფოთება გამოიწვია. განსაკუთრებით შფოთავდა უილიამ პრინი, რომლის ინიციატივით თემთა პალატამ წინა დღეს ზემოხსენებული დადგენილება მიიღო. იგი ჯარისკაცთა რიგების გარღვევასაც კი შეეცადა. პრინი და სხვა მშფოთვარე დეპუტატები პრაიდის ბრძანებით დააპატიმრეს. როდესაც პალატის სპიკერმა პროტესტი გამოხატა მომხდარზე, ჯარის სარდლობამ მოითხოვა, რომ 11 პრესბითერიან დეპუტატს, რომლებსაც ადრე ჩამორთმეული ჰქონდათ დეპუტატობის უფლებამოსილება და მერე აღდგენილი, კვლავ სასწრაფოდ ჩამორთმეოდათ მანდატები და ისინი სამართალში მიეცათ. პალატა შეცადა ჯერ ფერფაქსისთვის, მერე კი პრაიდისათვის მიემართა, მაგრამ უშედეგოდ. ორივემ თავი აარიდა პრესბითერიან დეპუტატებთან შეხვედრას. მიზეზად მათ დროის უქონლობა და დაკავებულობა დაასახელეს. და აი მაშინ მოხდა გარეგნულად თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ შინაარსის თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანი, რევოლუციის დახასიათების თვალსაზრისით ერთობ მანიშნებელი მოვლენა. როდესაც აღშფოთებულმა დეპუტატებმა ჰკითხეს დაცვას, რა უფლებით, რის

საფუძველზე ჩატარდა ამგვარი ქმედება, პოლკოვნიკმა პრაიდმა და დანარჩენმა ოფიცრებმაც თავის დაშნებზე დაიდეს ხელი და მოკლედ მოუჭრეს: „დაშნის უფლებით!“ ამრიგად, რევოლუციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ძალადობა მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და ამ პროცესის მონაწილეებს, მით უფრო იმათ, ვინც თავიდან მის სათავეში იდგა, ეს არ უნდა გაუკვირდეს. მათ უნდა მიიღონ იგი, როგორც მთელი ამ ბობოქარი პროცესის მიერ შობილი კანონზომიერი მოვლენა. ადრე უკვე ითქვა, რომ პრესბიტერიანების ერთ-ერთ ლიდერს, სტეპლტონს ინდეპენდენტების „ჩაძირვა“ ჰქონდა გადაწყვეტილი. მაგრამ ამ უკანასკნელებმა დაასწრეს და თავად ჩაძირეს იგი და მისი თანამოაზრეები. პოლიტიკური ბრძოლა სწორედ ის მოვლენაა, სადაც ბევრი რამ დასწრებაზეა. 470 დეპუტატიდან 140 არ შეუშვეს პარლამენტში, 96 გარიცხეს, 45 დააპატიმრეს. ზოგიერთმა, მათ შორის კრომველის შეურიგებელმა მოწინააღმდეგემ ჰოლისმა გაქცევით უშველეს თავს. პირობითად სახეზე დაახლოებით 190 დეპუტატი დარჩა ლონდონიდან და საგრაფოებიდან. მათგან ნახევარზე ნაკლები მონაწილეობდა სხდომებში. ამ მცირერიცხოვნების გამო პარლამენტს ნარჩენი(Rump-ინგლ.) უწოდეს. ეს იყო სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც ისტორიაში „პრაიდისეული წმენდის“ სახელით დარჩა. ეს იყო ძალადობრივი აქტი, რომლითაც ინდეპენდენტებმა გზიდან ჩამოიშორეს პრესბიტერიანები. ძალამ, სამხდრო ძალამ, რომელიც სწორედ პარლამენტის მიერ წამოწყებულმა სამოქალაქო ომმა შვა და აღაზევა, თავისი გაიტანა. რასაკვირველია, ჯარი ბევრი რამით იყო უკმაყოფილო. პარლამენტს მისი სახელფასო დავალიანება კვლავ აწვა კისერზე 40 ათასი გირვანქა სტერლინგის ოდენობით. მაგრამ ეს არ იყო მთავარი. როგორც ადრე ითქვა, ჯარი თავისუფლებისათვის ბრძოლის მთავარ ძალას წარმოადგენდა. თავისუფლების დაცვა დაშნით ხდებოდა. ამ ბრძოლაში მისი როლი და გაღებული მსხვერპლი ზრდიდა მის „პოლიტიკურ მადას.“ ჯარის მოთხოვნები მისი როლის პირდაპირპროპორციულად იმდენად გაიზარდა, რომ მას მოსწყინდა სიტყვაკაზმულად მოლაპარაკე ადამიანების მოსმენა, რომლებიც ვესტმინსტერში მოკალათებულები, განკარგულებებს იძლეოდნენ. თავისუფლების შესახებ მჭერმეტყველების დემონსტრირება საბო-

ლოო ჯამში მოსწყინდათ იმათ, ვინც მტერთან პირისპირ ბრძოლაში იცავდა იმავე თავისუფლებას და წყვეტდა მის ბედს. ეს ვერ გაითვალისწინეს საპარლამენტო პაექრობის დიდოსტატებმა.

და თუკი თავისუფლებისათვის ბრძოლის მთავარი ძალა ჯარი იყო, რა შეიძლება ითქვას მასზე, ვინც ჯარს ამ ბრძოლაში წინ მიუძღოდა? მხედველობაში გვყავს კრომველი, რომელიც 6 დეკემბერს, საღამოს ჩამოვიდა ლონდონში, თუმცა ფერფაქსი მას უკვე ნოემბრის ბოლოდან დაჟინებით სთხოვდა ჩამოსვლას. თავისი აზრი მომხდარზე კრომველმა გენერალ ლადლოუს გაუზიარა და უთხრა, რომ არ იცოდა, თუ რა იგეგმებოდა, მაგრამ კმაყოფილია მომხდარით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში იგი არ ჩამორჩა პოლიტიკური ჭიდილის დიდოსტატებს და საკმაოდ დახვეწილად იმოქმედა. მის მტრებს, პრესბითერიანებს ჯარმა მიაყენა დარტყმა, მაგრამ კრომველს უშუალოდ ამაში მონაწილეობა არ მიუღია. ამრიგად, ინდეპენდენტებმა კრომველის მეთაურობით წარმატებით ჩამოიშორეს გზიდან პრესბითერიანები. თავის მხრივ, პრესბითერიანებიც ხომ ინდეპენდენტების პოლიტიკური განეიტრალებისაკენ ისწრაფოდნენ. სწორედ ამიტომ უნდოდათ მათ ინდეპენდენტების მთავარი დასაყრდენის, ჯარის დაშლა, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს. ბედის ირონიით, პრესბითერიანულმა პარლამენტმა ის ძალა გამოზარდა, რომელმაც იგი დაასმარა. რევოლუციამ, მისთვის დამახასიათებელი ტრადიციისდა შესაბამისად ნელ-ნელა დაიწყო საკუთარი პირმშოების შთანთქმა. კრომველის დამოკიდებულება პრესბითერიანთა მიმართ კარგად ჩანს თუნდაც იმ შეფასებიდან, რომელსაც იგი მათ აძლევდა შოტლანდიასთან ომთან დაკავშირებით. „განა მოღალატედ არ უნდა გამოცხადდეს ყველა, ვინც შოტლანდიელთა მხარე დაიჭირა მათი ინგლისში შემოჭრის დროს?"- ამბობდა კრომველი. იგი იმ დეპუტატ-პრესბითერიანებს გულისხმობდა, რომლებიც გულგრილად მოეკიდნენ შოტლანდიელთა შემოჭრას და არც კი აღიქვამდნენ მათ მეომარ მხარედ, მტრებად. „ეს უფრო დიდი ღალატია, ვიდრე ის, რომელიც ადამიანს შეეძლო ჩაედინა წინა დაპირისპირების შემთხვევაში." იმ „შემთხვევაში" კრომველი სამოქალაქო ომს გულისხმობდა. „მაშინ საქმე ეხებოდა იმას, რომ ინგლისელთა ერთი ჯგუფი მეორეზე ბატონობისკენ ისწრაფოდა.

ეხლა კი საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ სხვა, უცხო ქვეყანას უნდა დავექვემდებაროთ“- აღშფოთებით ამბობდა იგი. ჭეშმარიტად პატრიოტული მიდგომაა. ამიტომ უწოდებს ინგლისელი ისტორიკოსი და პოლიტიკოსი ჯონ მორლი კრომველს ინგლისელთა შორის ყველაზე ინგლისელს. ამგვარად, მერყეობის პერიოდა დამთავრდა. ადრე თავის მიმოწერაში ახლობლებთან და თანამოაზრეებთან კრომველი მუდმივად ჭმუნავდა იმის გამო, რომ შეეძლო თუ არა ჯარს დაპირისპირებოდა პარლამენტს, რომელიც უმაღლესი უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი. „ხელისუფლების უზურპირება არც მეფის და არც ჯარის მხრიდან არის დასაშვები“- სწერდა იგი თავის ადრესატებს. ამ და ნებისმიერი სხვა არჩევანის გაკეთებისას იგი ყოველთვის განგების ნებას იყო მინდობილი. სწორედ განგება იყო მისთვის ამოსავალი წერტილი და სულიერი თავშესაფარი. მისი კეთილგანწყობის ურყევი რწმენა იყო გადაწყვეტილების მიღების და მისგან გამომდინარე წარმატებული მოქმედების უპირობო საწინდარი. ამიტომ ამჯერადაც მან ურყევად გადაწვიტა დამდგარიყო ჯარის მხარეზე.

„პრაიდისეულ წმენდას“ და პარლამენტის როლის მნიშვნელოვანწილად დაკნინებას მოყვა საზოგადოებაში ანტიმონარქისტული განწყობისა და მოწოდებების ზრდა. გახშირდა ანტიმონარქისტული ქადაგებები. განსაკუთრებით აგრესიული მოწოდებებით გამოირჩეოდა წმინდა პანკრასის(პანკრატიუსის) ეკლესიის მღვდლის, ჯორჯ კოკეინის ქადაგებები. არავითარი დაყოვნება მართლმსაჯულების აღსრულებაში, მით უმეტეს, რომ დათმობების დრო წავიდა, ასეთი იყო მისი აზრი. „პატივცემულნო და ძვირფასნო, თუ ღმერთმა არ გიბიძგათ იმისკენ, რომ სამართალი ჰქმნათ და განაჩენი გამოუტანოთ იმათ, ვინც სისხლისღვრა გამოიწვია, ნუ გგონიათ, რომ ამ შებრალებით მათ სიყვარულს დაიმსახურებთ!“- მიმართვადა იგი თავის მრევლს. ცნობილმა მქადაგებელმა ჰიუ პიტერმა თავის საჯარო ქადაგებაში ჩარლზ I „უინძორის ბარაბა“ (ეს იმ დროს, როდესაც მეფე უკვე უინძორის სასახლეში იყო) უწოდა. ამგვარად, მეფის თავზე ზეცა ნელ-ნელა იქუფრებოდა. 15 დეკემბერს ოფიცერთა საბჭომ დაადგინა, რომ მეფე გადაეყვანათ უინძორის სასახლეში, რის შესახებ ფერფაქსმა შესაბამისი ბრძანება გასცა. და აი, ზამთრის ერთ ღამეს, ზღვის კლ-

დოვან სანაპიროზე განმარტოვებულ კოშკში მყოფ ჩარლზ I ასაწევი ხიდის ჯაჭვის ჟღარუნი შემოესმა. გამთენიისას კი მეფეს ამცნეს, რომ მასთან მრისხანე მაიორი თომას ჰარისონი მივიდა. ჩარლზი მშვენივრად იცნობდა ისტორიას და კარგად უწყოდა, თუ რა მოკლე მანძილია იმ ციხესა, რომელშიც მეფეა გამოწყვდეული და მის საფლავს შორის. მას ალბათ ხშირად ახსენდებოდა ინგლისის მოკლული მეფეები: ედუარდ II, რიჩარდ II, ჰენრი VI და სიკვდილით დასჯილი თავისი ბებია, შოტლანდიის დედოფალი მერი(მარიამ) სტიუარტი. მაიორ ჰარისონის მისვლაც მისთვის ალბათ ბედისწერის მანიშნებელი იყო. მაგრამ როგორც ჩანს მაიორი ჰარისონი არ იყო განმარტოებულ კოშკებში შავბნელი საქმეების ჩამდენი, რაც პრინციპში უცხო არ იყო იმ ეპოქისათვის. ის კრომველის ახალი ყაიდის ჯარში, ბრძოლის ველზე, იარაღით ხელში პირისპირ შეტაკებაში და არა შავბნელი საქმეების ჩადენაში გამოწრთობილი მეომარი იყო. და მეფემაც შვებით ამოისუნთქა. ჰარისონმა უთხრა მას, რომ ნაბრძანები აქვს მეფე უარესი კოშკიდან უკეთესში გადაიყვანოს. ოთხდღიანი მგზავრობის შემდეგ მეფე 23 დეკემბერს მართლაც ინგლისის მონარქთა ერთ-ერთ უბრწყინვალეს სასახლეში აღმოჩნდა. იქ მთელი სამი კვირის მანძილზე ჩარლზი კვლავ მიეცა იმედებით აღსავსე თავდავიწყებას და კვლავ ირწმუნა, რომ გამოსავალი მოინახება, რომ მისი მტრები შქმნილ სირთულეთა ხლართებიდან ვერ დააღწევენ თავს, რომ იგი კვლავ მართავდა სიტუაციას, და რომ მალე დადგებოდა კურთხეული დღე, როცა ის შურისძიების ყულფებს მოარგებდა თავისი მტრების კისრებს. მისდა სამწუხაროდ, ჩარლზ I კვლავ და უკეე მერამდენედ უმტყუნა მდგომარეობის საღად შეფასების უნარმა. სწორედ იმ დღეს, როდესაც ჩარლზ I უინძორის სასახლეში შეაბიჯა, თემთა პალატამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვით მეფე გამოცხადდა ყველა იმ უბედურების მიზეზად, რომელიც თავს დაატყდა ქვეყანას. შეიქმნა საგანგებო კომიტეტი, რომელიც გაარკვევდა და ჩამოაყალიბებდა მისი გასამართლებისათვის საჭირო პროცედურას. 1649 წ. 1 იანვარს თემთა პალატამ გამოიტანა დადგენილება, რომლის მიხედვით მეფე გამოცხადდა სამოქალაქო ომის დაწყების მთავარ მიზეზად, ირლანდიელებისა და შოტლანდიელების მოკავშირედ მათ ბრძოლაში ინგლისის წინააღმდეგ. დადგენილებაში ასევე

ნათქვამი იყო, რომ ჩარლზ სტიუარტმა ჩამოაყალიბა ტირანული და ერთპიროვნული მმართველობა, დააწესა უკანონო გადასახადები და წამოიწყო ომი პარლამენტის და საერთოდ ქვეყნის წინააღმდეგ. „პალატა, – ნათქვამი იყო დადგენილებაში, დაკმაყოფილდებოდა მეფის დაპატიმრებით, მაგრამ მწარე გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ ამგვარი რამ მხოლოდ ხელ-ფეხს გაუხსნიდა ამ ურჩხულს(მეფეს-ივ.მ.) და მის მომხრეებს, რომ ახალი ბოროტი ქმედებები ჩაედინათ.“ თემთა პალატამ დაადგინა, რომ მეფის გასამართლებისათვის უნდა შექმნილიყო საგანგებო უზენაესი სასამართლო ტრიბუნალი.

3 იანვარს ლორდთა პალატას გადაეცა ქვედა პალატის აღნიშნული დადგენილება. იმ დროისათვის ლორდთა პალატამ პრაქტიკულად უკვე დაკარგა თავისი როლი და მნიშვნელობა. ზოგიერთ სხდომას პალატის ოთხიოდე წევრი თუ ესწრებოდა. მაგრამ ამ საკითხის განსახილველად ლორდთა პალატის წევრთა „სარეკორდო“ რაოდენობა შეიკრიბა – 16. სხდომა პალატის თავმჯდომარემ, გრაფმა მანჩესტერმა გახსნა. თავის ვრცელ სიტყვაში მან აღნიშნა, რომ მეფეს გაცილებით მეტი უფლებები გააჩნია, ვიდრე ორივე პალატას, რომელთა დათხოვნა მას შეუძლია. პარლამენტი, მანჩესტერის თქმით, შედგებოდა ორი პალატისა და მეფისაგან. „ამ უკანასკნელის გარეშე კი პარლამენტი საერთოდ ვერ იარსებებს“- თქვა მან. მისი აზრით, უაზრობა იყო იმის თქმა, რომ მეფეს შეუძლია უღალატოს პარლამენტს. ამგვარი მოხსენებებით და განცხადებებით წარსდგნენ ლორდთა პალატის სხვა წევრებიც. ამრიგად, ლორდებმა უარყვეს თემთა პალატის დადგენილება. შექმნილ სიტუაციაში თემთა პალატამ გადადგა რევოლუციური ნაბიჯი და 4 იანვარს მიიღო დადგენილება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ თემთა პალატა, ხალხის მიერ არჩეული, წარმოადგენს ხალხს, ძალაუფლების წყაროს. შესაბამისად, იგი, პალატა, არის ხელისუფლების უზენაესი ორგანო. ამიტომ მის ნებისმიერ დადგენილებას კანონის ძალა აქვს, რომელსაც უნდა დაემორჩილოს ამ ქვეყნის ხალხი. ხალხი კი არ საჭიროებს არც ლორდთა პალატას და არც მის ან მეფის დასტურს. ლორდებს „ვეტო“-ს (აკრძალვის) უფლება ჩამოერთვათ. ყველაფერი ეს შეიძლება შეფასდეს როგორც რესპუბლიკური მმართველობისკენ გადადგმული ნაბიჯი.

მაგრამ ამგვარი მკვეთრი ნაბიჯების და რადიკალური ღონისძიებების მიუხედავად, არა მარტო საზოგადოებაში, არამედ აღნიშნულ პროცესებთან უშუალოდ დაკავშირებულ დაწესებულებებშიც იგრძნობოდა გარკვეული მერყეობა. და ეს ბუნებრივიც იყო. ქვეყანა მეფის გასამართლებას აპირებდა! ეს უდავოდ საზოგადოების ცნობიერებაში ერთობ რთულ მდგომარეობას ქმნიდა. როგორც უკვე ითქვა, ინგლისის ისტორიას ახსოვდა დამხობილი მეფეები: ედუარდ II, რიჩარდ II, ჰენრი VI, რომელთა დამხობას მათი მკვლელობა, სწორედ რომ მკვლელობა და არა გასამართლება და სიკვდილით დასჯა მოყვა. მერი(მარიამ) სტიუარტი კი უცხო, მნიშვნელოვანწილად მტრული ქვეყნის(შოტლანდიის) დედოფალი იყო, რომელიც ინგლისის დედოფლის, ელიზაბეთ I დამხობას ცდილობდა, რის გამოც იგი სიკვდილით დასაჯეს. ასე რომ ინგლისელთა ორჭოფობა არ არის გასაკვირი. საქმეში ოკულტური მომენტებიც კი ჩაერია. საიდანღაც გამოჩნდა ნათელმხილველი, ვინმე ელიზაბეთ პული. მისი თქმით, მას ხილვა ჰქონდა. გამოეცხადა ჯერ ჯარი, მამაკაცის სახით და მერე ინგლისი, ქალის სახით. ეს უკანასკნელი, მისი თქმით ძალზე ცუდად გამოიყურებოდა, ერთობ უბადრუკ, გასაცოდავებულ ფიზიკურ მდგომარეობაში იყო. ხილვის მიხედვით მამაკაცი-ჯარი, ქალის, ანუ ქვეყნის მკურნალად იყო მოვლენილი. მოგვიანებით, კიდევ ერთ ხილვაში მითითებული იყო, რომ მეფე სიკვდილით არ უნდა დაესაჯათ. ამ ხილვებს ჯარის სარდლობა ძალზე დიდი ყურადღებით მოეკიდა. მათზე დიდი ბჭობა გაიმართა. პოლკოვნიკმა რიჩმა მათ განგების ნების წარმოჩენის მოულოდნელი დასტური უწოდა. სარდლობამ თავად ელიზაბეთ პული ორჯერ დაიბარა გასაუბრებაზე და მას პირადად გენერალი აირტონი ელაპარაკა. ქალმა გაიმეორა ადრე ნათქვამი. მეფე შეიძლება შებორკონ(გაასამრთლონ), მაგრამ არავითარ შემთხვევაში მოკლან. აირტონმა ჰკითხა ნათელმხილველს, ჩარლზ I მოკვლა არ შეიძლებოდა, თუ საერთოდ ნებისმიერი მეფის? თანაც იმისდა მიუხედევად, თუ რა დანაშაული ჰქონდა მას ჩადენილი. აირტონმა ისიც კი ჰკითხა ნათელმხილველს, თუ რა სახით ემცნო მას ეს ყველაფერი, ანგელოზი გამოეცხადა თუ ხილვა ჰქონდა? ქალმა უპასუხა, რომ ეს იყო ხილვა. თავისი ნათქვამის განსამტკიცებლად მან ბიბლიაც კი მოიშვე-

ლია და თანამოსაუბრეებს ღმერთის შეგონება შეახსენა, რომელიც მოუწოდებს ადამიანებს თავი შეიკავონ შურისძიებისაგან, რადგან ის თავად უზღავს დანაშაულის ჩამდენს. მეფე ხალხის, ქვეყნის მეთაური, თავისებური ქმარია. ამიტომ დაუშვებელია,რომ იგი ცოლმა, ხალხმა, ქვეყანამ მოკლას. მხოლოდ შეავიწროვოს და სხვა არაფერი. ასეთი იყო ნათელმხილველის განცხადება. დასასრულს ქალმა ძველი აღთქმიდანაც მოიყვანა მაგალითი და შეახსენა აბიგაილის ამბავი, რომელმაც თავისი ქმარი ნაბალი იხსნა დავითის რისხვისა და სასტიკი შურისძიებისაგან(პირველი მეფეთა, თავი ოცდამეხუთე). სწორედ სიტუაციის უკიდურესი დაძაბული ხასიათით უნდა აიხსნას ის, რომ ჯარის სარდლობამ ოკულტური სფეროს წარმომადგენელსაც კი მიმართა. უფრო მეტიც, დაძაბულობა ყოფით, საყოფაცხოვრებო ურთიერთობებშიც კი გამოიხატა. საუბარია სერ თომას ფერფაქსის ცოლზე, რომელმაც შემზარავი სიზმარი ნახა. მას დაესიზმრა, რომ მის ოთახში შემოვიდა მამაკაცი, რომელსაც ხელში მისი ქმრის, სერ თომასის მოკვეთილი თავი ეჭირა. სწორედ ამიტომ შეევედრა იგი ქმარს, არ დასწრებოდა მეფის სასამართლო პროცესს და მისმა მუდარამ გაჭრა. ერთი სიტყვით, სიტუაცია გარკვულწილად ემსგავსებოდა იმას, რომელიც ძველ რომში წინ უძღოდა გაიუს იულიუს კეისრის მკვლელობას და როგორც სვეტონიუსი მოგვითხრობს, აღსავსე იყო უამრავი ცუდი ნიშნით.

მაგრამ როგორც ჩანს, მოვლენათა განვითარებას მეფის საწინააღმდეგო მიმართულებით უკვე ვერაფერი შეაჩერებდა. ჩარლზ I ყველა იმ უბედურების მიზეზად იყო მიჩნეული, რომელიც ქვეყანას თავს დაატყდა. პარადოქსია. ჯეიმს I მონარქისტული ტრაქტატის მიხედვით მეფე ღმერთის ნაცვალად, ხალხის პოლიტიკურ მამად, მიწიერ სამყაროში ღვთაებრივი ძალის განსახიერებად, ქვეშევრდომების სიცოცხლისა და სიკვდილის გამნმკარგულებლად და იმ უზენაეს არსებად იყო მიჩნეული, რომლისგანაც მომდინარეობდა ყოველგვარი სიკეთე. და უეცრად იგივე მეფე ყველა უბედურების და გაჭირვების წყაროდ იქცა, რომლისგანაც მომდინარეობდა მიწიერ სამყაროში არსებული ყველაფერი ცუდი. გასაოცარი მეტამორფოზაა! ჭეშმარიტად, როგორც ძველ რომში ამბობდნენ, კაპიტოლიუმიდან ტრაპეუმის

კლდემდე(საიდანაც სიკვდილმისჯილებს ხევში აგდებდნენ) მხოლოდ ერთი ნაბიჯია. თურმე როგორი მყიფეა ის საფუძველი, რომელზედაც მეფე, ან ნებისმიერი თითქოსდა ყოვლისშემძლე მბრძანებელი დგას. ალბათ ამას გულისხმობდა გენიალური შექსპირი, როდესაც მეფე ჰენრი V პირით აღწერდა მბრძანებელთა მძიმე ხვედრს, რომელთაგანაც ქვეშევრდომთა ღრმა რწმენით მათ ცხოვრებაში არსებული ყველა გაჭირვება და უბედურება მომდინარეობს.

6 იანვარს თემთა პალატამ მიიღო აქტი უზენაესი სასამართლო ტრიბუნალის შექმნის შესახებ, რომელსაც ჩარლზ I უნდა გაესამართლებინა. მასში ჩამოთვლილი იყო მეფის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაული. დადგინდა, რომ სასამართლოს შემადგენლობაში შევიდოდა 135 ადამიანი, რომლებსაც ერთდროულად მოსამართლეებისა და ნაფიცი მსაჯულების ფუნქციები დაეკისრებოდა. სასამართლოს წევრებად დაამტკიცეს კრომველი, აირტონი, ფერფაქსი, ჰარისონი, ლადლოუ, ფლიტვუდი, ლამბერტი, რიჩი, პრაიდი, სკოტი, რობერტ ლილბერნი და სხვა გენერლები და ოფიცერები, ხოლო თავმჯდომარედ – მოსამართლე ჩეშირის საგრაფოდან ჯონ ბრედშო, რომლსაც ლონდონში მუშაობის გამოცდილება ჰქონდა. თავისი პოლიტიკური შეხედულებებით იგი მონარქიის მოწინააღმდეგე იყო. სასამართლოს შემადგენლობაში შევიდნენ სამოქალაქო პირებიც, კერძოდ, იურისტები, სიტის ოლდერმენები, თუმცა, ამ უკანასკნელებმა უარი თქვეს მონაწილეობა მიეღოთ მეფის გასამართლებაში. კატეგორიული უარი განაცხადა მეფის გასამართლებაში მონაწილეობის მიღებაზე სერ თომას ფერფაქსმა. მას ბევრმა უფროსმა ოფიცერმა მიბაძა. იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ სასამართლოს მუშაობის ჩაშლა, პალატამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვით სასამართლოს ქვორუმი განისაზღვრა 20 ადამიანით. კრომველი, აირტონი, ჰარისონი, პრაიდი, ლადლოუ სისტემატურად ესწრებოდნენ სხდომებს. გენერლები ლამბერტი, ფლიტვუდი, სკიპონი, სერ არტურ ჰეზელრიგი პირიქით, ყოველნაირად თავს იძვრენდნენ დასწრებისაგან. კრომველი მოხსენებით გამოვიდა და მოითხოვა, რომ საზოგადოების წარმომადგენლებისათვის სხდომებზე დასწრების უფლება მიეცათ. მაგრამ მისი წინადადება უარყვეს. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს

სხდომები უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი დაცვით, ბრედშომ მაინც დამატებითი სიფრთხილე გამოიჩინა. თავმჯდომარის წითელი მოსასხამის ქვეშ მას აბჯარი ეცვა, ხოლო თახვის ბეწვით გაწყობილ ქუდში ფოლადის ფირფიტები ჰქონდა დატანებული.

და აი, 19 იანვარს მეფე უინძორიდან ლონდონში ჩამოიყვანეს. როგორც ჩანს, დედაქალაქში კავალერებიც იყვნენ და ისინიც, ვინც მათ თანაუგრძნობდა. ამიტომ უსაფრთხოების მაქსიმალური ზომები იყო მიღებული, რათა თავიდან აეცილებინათ როიალისტების გამოსვლები. ჩარლზ I ჯერ სენტ ჯეიმსის სასახლეში მიიყვანეს, მერე უაითჰოლში, დახურული ტახტრევანით და ბოლოს, თემზით, ამისათვის მომზადებული საგანგებო კარჭაპით გადაიყვანეს ვესტმინსტერის სასახლეში. როგორც ამბობენ, მეფის ამ გადაყვანას შეესწრო ოლივერ კრომველი. ერთ-ერთი თვითმხილველის თქმით, როგორც კი გაიგო, რომ მეფე მოყავდათ, იგი სასწრაფოდ ფანჯარასთან მივიდა, რათა გარეთ გაეხედა. მერე გაფითრებული მიუბრუნდა იქ მყოფ ჯონ ბრედშოს, ჰენრი მარტენს, კიდევ ორ ადამიანს და თქვა: „ მოყავთ, მოყავთ. ბატონებო, როგორ უნდა ვუპასუხოთ მის მიერ დასმულ პირველ კითხვას, თუ რა უფლებით ვასამართლებთ მას?“ სიჩუმე ჩამოვარდა და მერე ჰენრი მარტენმა თქვა: „ შეკრებილ თემთა პალატის, პარლამენტის და ინგლისის ყველა კარგი ადამიანის სახელით.“

სასამართლო პროცესი 20 იანვარს დაიწყო ვესტმინსტერის სასახლის დარბაზში. საუკუნეების მანძილზე ამ დარბაზს ბევრი დრამატული მოვლენა ახსოვს. აქ გადადგა ედუარდ II, ჩამოერთვა მეფობა რიჩარდ II, რომლებიც მერე მოკლეს, გაასამართლეს და სიკვდილი მიუსაჯეს შოტლანდიის თავისუფლებისათვის მებრძოლ სერ უილიამ უოლესს, ცნობილ ჰუმანისტს, სწავლულს და სახელმწიფო მოღვაწეს თომას მორს, ჩარლზ I ყველაზე გავლენიან და მასთან დაახლოებულ მინისტრს გრაფ სტრაფორდს. და აი, 20 იანვარს, დარბაზში, რომელიც მორთული იყო მარსტონ მურთან, ნესბისთან და პრესტონთან სამხედრო ნადავლის სახით მოპოვებული სამეფო დროშებითა და შტანდარტებით, მეფე ჩარლზ I, როგორც ბრალდებული, წარსდგა სასამართლოს წინაშე.

არასოდეს, ერთხმად აღნიშნავენ სხვადასხვა პერიოდის და მიმარ-

თულების ისტორიკოსები, ჩარლზ I არ ყოფილა ესოდენ დიდი ღირსებითა და სულის სიმტკიცით აღსავსე, როგორც თავისი სასამრთლო პროცესის დროს. როგორც ერთ-ერთი ავტორი წერს, სტიუარტები ალბათ გაცილებით უკეთ წარმოჩნდებოდნენ როცა უჭირდათ, ვიდრე როდესაც ულხინდათ. ჩარლზის თავდაჭერის მანერა, მტკიცე, ცალსახა პასუხები გარკვეულ სიდიადეს სძენდნენ თავად სასამართლო პროცესს. შემოვიდა თუ არა დარბაზში, მისთვის ჩვეული, მოხდენილი ჩაცმულობით მაშინვე მიიპყრო ყველას ყურადღება. ტანსაცმელს ორად ორი მორთულობა ამშვენებდა, წვივსაკრავის ორდენის ვარსკვლავი, ძვირფასი ქვებით მოოჭვილი და წმინდა გიორგის(ინგლისის მფარველის-ივ.მ.) გამოსახულებით შემკული გულსაკიდი. ყელზე კი ცისფერი ბაფთა ჰქონდა შემოხვეული. მეფემ შემოსვლისთანავე მომწუსხავი მზერა შეავლო მოსამართლეებს და დაჯდა სკამზე, რომელსაც წითელი ხავერდი ჰქონდა გადაკრული, ისე, რომ ქუდი არ მოუხდია. ქუდის მოხდა კი ის ტრადიციული ჟესტი იყო, რომლითაც სასამართლოს პატივს მიაგებდნენ. ამით მან დემონსტრატიულად გამოხატა თავისი უგულებელყოფა სასამართლოს მიმართ. მის უკან დაცვა იდგა, წინ კი მოსამართლეები ისხდნენ სამ რიგად ჯონ ბრედშოს თავმჯდომარეობით. ეს უკანასკნელი ძვირფასი თურქული ხალიჩით გადაფარებულ მაგიდასთან იჯდა. წინ მართლმსაჯულების სიმბოლოები, მახვილი და სკიპტრა ედო.

როგორც სიის ამოკითხვისას გაირკვა, პირველ სხდომას ტრიბუნალის 135 წევრიდან 68 ესწრებოდა. როგორც ჩანს, ნახევარმა ვერ გაბედა ამ საჩოთირო სასამართლო პროცესზე მისვლა. ამაზე თუნდაც შემდეგი შემთხვევა მეტყველებს. როდესაც სიის ამოკითხვისას სერ თომას ფერფაქსი დაასახელეს, აივნიდან, სადაც წესისამებრ წარჩინებული საზოგადოების წარმომადგენლები ისხდნენ, ქალის ხმა გაისმა: „მას ყოფნის იმის ჭკუა, რომ აქ არ მოვიდეს!“ როგორც გაირკვა, ეს თავად სერ თომასის ცოლი იყო, რომელიც წეს-ჩვეულებისდა მიხედვით ნიღბით იჯდა აივანზე წარჩინებულ საზოგადოებას შორის. როგორც ჩანს, საზოგადოებრივი აზრი არ იყო ერთსულოვანი მეფის გასამართლებასთან მიმართებაში. ამ მხრივ საინტერესოა იმ დროის პოლიტიკოსის და პუბლიცისტის ალჯერნონ სიდნის პოზიცია.

იგი მოსამართლეთა სიაში შეიყვანეს, მაგრამ მან უარი განაცხადა. ამის მიზეზი მან კრომველს შემდეგნაირად აუხსნა. „პირველი ის, რომ მეფეს ვერანაირი სასამართლო ვერ გაასამართლებს. მეორე – ვერც ერთი ადამიანი ვერ გასამართლდება ამ სასამართლოთი"- თქვა მან. გაგულისებულმა კრომველმა სიდნის უპასუხა: „ჩვენ მას გვირგვინიანად მოვკვეთთ თავს!" მაგრამ სიდნი ურყევად იდგა თავის პოზიციაზე. „მოიქეციო როგორც გენებოთ. მე თქვენ ვერ შეგაჩერებთ. მაგარამ თავად მე ამ საქმეში არ გავერევი და ხელს არ გავისვრი." რას იფიქრებდა სიდნი, რომ 34 წლის შემდეგ, ჩარლზ I ვაჟის, ჩარლზ II მეფობის დროს, თავისი ერთ-ერთი მძაფრი, პოლიტიკურ-ფილოსოფიური პამფლეტი მას სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა. სიდნიმ მამის სისხლში ხელი არ გაისვარა, მაგრამ შვილის აბსოლუტისტური მისწრაფებების კრიტიკისათვის ეშაფოტზე აღმოჩნდა.

ეჭვი, რომელიც სიდნიმ გამოთქვა სასამართლოს უფლებამოსილების გამო, გამოითქვა პროცესის მსვლელობის დროსაც. ფაქტობრივად, განმეორდა წინა სხდომაზე მომხდარი შემთხვევა. ბრალდების ტექსტში მეფე მოიხსენიეს როგორც „ტირანი, მოღალატე, მკვლელი." ასევე ითქვა, რომ დაამყარა რა ტირანული ხელისუფლება, მან ბორტად გამოიყენა ნდობა, რომელიც მას, როგორც მმართველს გამოუცხადეს; მან წამოიწყო ომი პარლამენტის წინააღმდეგ და მერე მეორე ომიც გააჩაღა. როდესაც ბრედშომ მეფეს მოსთხოვა პასუხი გაეცა, თვლის თუ არა იგი თავს დამნაშავედ ყველაფერ ზემოდჩამოთვლილში, რაშიც მას ბრალს სდებს პარლამენტი და მთელი ინგლისის კარგი ხალხი, წარჩინებული დამსწრეებისათვის განკუთვნილი აივნიდან კვლავ გაისმა ლედი ენ ფერფაქსის ხმა: „ტყუილია! ნახევარი კი არა, მეოთხედიც არ სდებს ბრალს! კრომველი მოღალატეა!" რბილად რომ ვთქვათ, უხერხული მდგომარეობა შეიქნა. დაცვის უფროსმა, პოლკოვნიკმა ექსტელმა წუთიერად დაკარგა კონტროლი შექმნილ სიტუაციაზე, მერე დააპირა აივანზე აჭრილიყო, რათა რამენაირად დაეშოშმინებინა მოუსვენარი ქალი, მაგრამ დამსწრე საზოგადოებამ იმარჯვა და ლედი ენი დარბაზიდან გაიყვანეს. მეფემ პასუხად ჰკითხა ბრედშოს, თუ არა უფლებით და რა კანონის ძალით ასამართლებდნენ მას. მეფის თქმით ამის უფლებამოსილება ჰქონდა ლორდთა პალატას,

მაგრამ იგი სხდომას არ ესწრებოდა. შემდეგ მან თქვა, რომ მოსამართლეთა და ნაფიც მსაჯულთა ამგვარი შემადგენლობა არ იყო უფლებამოსილი, მეფე გაესამართლებინა. ისინი არ იმსახურებენ ნდობას და შესაბამისად არც კითხვებზე პასუხის გაცემას. ამაოდ მოუწოდებდა ბრედშო მეფეს პასუხი გაეცა დასმულ კითხვაზე, რადგან ამის უფლებამოსილება ჰქონდა ინგლისელ ხალხს, რომელმაც იგი მეფედ აირჩია. მეფე შეუვალი იყო. პასუხად მან მხოლოდ ის მიუგო, რომ მეფედ იგი არავის აურჩევია. გვირგვინი მან მემკვიდრეობით მიიღო. მეფის ამ პასუხს ბრალდებამ ვერაფერი უპასუხა. 22 იანვრის სხდომაზე მეფემ თავად შეუტია სასამართლოს, დასდო რა ბრალი მოსამართლეებს იმაში, რომ მათი ძალაუფლება უკანონო იყო. „რა შეიძლება მოყვეს ამას"- იკითხა მან და თავად გასცა პასუხი. მისი თქმით, თუკი უკანონო ხელისუფლება დაიწყებს კანონების შექმნას, ეს სამეფოს მთელ კანონმდებლობას შეცვლის. აქედან გამომდინარე, დაასკვნა მეფემ, არავის ექნება ინგლისში სიცოცხლისა და ქონების უსაფრთხოების გარანტია. ამრიგად შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია. მეფე ბრალს სდებდა პარლამენტს ძალმომრეობაში და ამით ეჭვქვეშ აყენებდა პარლამენტის იმ პრეტენზიას, რომ ამ უკანასკნელმა სწორედ სიცოცხლის და ქონების უსაფრთხოების დაცვის მიზნით დაიწყო ბრძოლა ლამის ჩარლზ I გამეფების პირველივე წლებიდან. შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო ჩიხში აღმოჩნდა.

23 იანვრის სხდომაზე მეფემ მოითხოვა მისთვის სიტყვა მიეცათ, რათა განემარტა, თუ რატომ არ პასუხობდა იგი შეკითხვას თავისი ბრალეულობის აღიარების ან არაღიარების შესახებ. „პატიმრებს არ აქვთ მოთხოვნის უფლება"- უპასუხა მას ბრედშომ. „პატიმარი?! – შესძახა მეფემ, – მე არ ვარ ჩვეულებრივი პატიმარი." და ეს სწორი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მისი აბსოლუტისტური სწრაფვები წინდაუხედაობა იყო, ხოლო დებულება მეფის ღვთაებრივი უფლებების შესახებ – სრულიად უცხო ინგლისური პოლიტიკური ცნობიერებისთვის იგი მაინც არ იყო ის ადამიანი, რომელიც უნდა დაქვემდებარებოდა ინგლისის პრეცედენტებზე აგებულ ჩვეულებით სამართალს. ამის განხორციელებისათვის საჭირო სამართლებრივი მექანიზმი არ არსებობდა. გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ შეიქმნა საკმაოდ რთუ-

ლი სიტუაცია. მოსამართლეები დაბნეულები იყვნენ. ადგილი ჰქონდა შენილბულ გეგმებს და ლამის ქმედებებსაც კი. გარკვეული ძალები ცდილობნენ სასამართლო პროცესის საწინააღმდეგო ცენტრად სერ თომას ფერფაქსი ექციათ. შოტლანდიის პარლამენტმა მეფის გასამართლების დაგმობის სამი დადგენილება მიიღო. ასეთ პირობებში საინტერესოდ წარმოჩნდა კრომველის პოზიცია. თავის სიტყვაში მან მოიშველია XVI ს. ცნობილი შოტლანდიელი ისტორიკოსის და ჰუმანისტის, ჯორჯ ბიუკენენის დებულებები და მათგან გამომდინარე დაასკვნა, რომ შესაძლებელი იყო მეფის სიკვდილით დასჯა. ბევრი ავტორი დასძენს, რომ კრომველს არ ექნებოდა წაკითხული ბიუკენენის ნაშრომები და იგი უფრო გაგონილით სარგებლობდა. საკმაოდ ლოგიკური იყო კრომველის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ ჩარლზ I უნდა გაესამართლებინათ არა სახელმწიფო ღალატისათვის, რაც ნამდვილად უაზრობა იყო, არამედ იმის გამო, რომ მან დაარღვია თავის ქვეშევრდომებთან დადებული შეთანხმება. ამისათვის ის უნდა გაესამართლებინათ და დაესაჯათ ჩადენილი დანაშაულის ოდენობისდა შესაბამისად. ეს უნდა ყოფილიყო ნდობის არგამართლება, დაკისრებული ვალდებულებების არშესრულება, და არა სახელმწიფო ღალატი, რაშიც იგი დაადანაშაულეს.

კრომველის და მისი უახლოესი თანამოაზრეების ასეთი ურყევი პოზიცია მეფისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის საქმეში არა მარტო მათი ანტიმონარქისტული, არამედ რელიგიური შეხედულებებითაც იყო განპირობებული. იყვნენ რა ღრმად მორწმუნე ადამიანები და განსაკუთრებით ძველი ათქმის ფასეულობებისა და პრინციპების მიმდევრები, ისინი და განსაკუთრებით კრომველი სწორედ ძველი აღთქმაში წარმოდგენილი პირების მაგალითებს მისდევდნენ. ესენი იყვნენ: იაყელი(მსაჯულთა, თავი მეხუთე, 24-27), აჰუდი(მსაჯულთა, თავი მესამე, 21-22), რომლებიც თავად ღმერთის მიერ იყვნენ შერჩეულნი დიდი, ხშირად არნახულად მძიმე საქმეების გასაკეთებლად. ამიტომ მათი ღრმა რწმენით მათ თავად ღმერთის მიერ ეძლეოდათ უფლება არ ეფიქრათ ზნეობის ნორმებზე, უგულებელყოთ მორალი, რასაც სხვა ადამიანები ვერ გაბედავდნენ და პირველ რიგში მხოლოდ მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე ეფიქრათ. თითქ-

მის ამდაგვარ საკითხზე ესაუბრებოდა კრომველი ერთი წლის შემდეგ თავის მეგობარ ლორდ უარტონს. „ადვილია ღმერთის მიერ ნაბოძებ დიდებულ საქმეს შეეწინააღმდეგო, თუკი დავიწყებთ იმაზე ფიქრსა და ბჭობას, თუ როგორ და რა გზით შევასრულებთ ჩვენზე დაკისრებულ ამოცანას. ნუ შეგაწუხებთ ამაზე ფიქრი...იმის იქით(სასიკვდილო განაჩენის გამოტანა- ივ.მ.) ჩვენ გზა არ გვქონდა.“ რა უნდა ვიგულისხმოთ ამ სიტყვებს მიღმა? ის, რომ განგების ნებას, ბედისწერას ვერავინ წაუვა და ამ შემთხვევაში მას ვერც ჩარლზ I და ვერც კრომველი ვერ გაექცნენ. სასიკვდილო განაჩენის მსხვერპლი და ამ განაჩენის გამომტანი, თუნდაც ის, ვინც ამ განაჩენამდე მისვლა განაპირობა. ეს ცნობიერების მომენტია. რწმენა, უდავოდ, განაპირობებს ადამიანის ნებისმიერ მოქმედებას. კრომველი, ღრმად მორწმუნე, ურყევად მისდევდა ბიბლიის, კერძოდ, ძველი აღთქმის დებულებებს. და როგორც უფლის მიერ ისრაელიანებზე მხსნელად მოვლენილმა აჰუდმა უყოყმანოდ განგმირა მათზე გაბატონებული მოაბის მეფე ყეგლიონი, რადგანაც იცოდა, რომ უფლის ნებას ასრულებდა, ასევე კრომველმა პურიტანული ღვთის რჩეულობის იდეით შეპყრობილმა უყოყმანოდ მოაწერა ხელი მეფის სასიკვდილო განაჩენს და სხვებსაც ამისკენ მოუწოდებდა. ერთ-ერთმა დეპუტატმა, ჯონ დოუნსმა სიტყვის აღება დააპირა, რათა მეფის მოთხოვნა, თავად მიემართა სასამართლოსათვის, დაესაბუთებინა. კრომველი მას მიუბრუნდა და სასტიკი ტონით ჩასჩურჩულა: „ეს ნამდვილად თქვენ ხართ?“ ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა სიჩუმისაკენ მოწოდება. ყოყმანი, მერყეობა, აი რა იყო ცოდვის საწყისი კრომველისათვის. ღვთის ნება, მართალი საქმე, კრომველის რწმენით ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ხორციელდებოდა. სწორედ ამ მართალი საქმის შესრულების უპირობო აუცილებლობა არნახულად ძლიერ მუხტს სძენდა კრომველს მის ნებისმიერ წამოწყებაში.

მაგრამ რჩება ამ რთული ნაბიჯის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მხარე. მეფე უბრალო დამნაშავე არ არის. მას შვიდი წელი ებრძოდნენ. ჯარისკაცები, რომლებსაც კრომველი მეთაურობდა შვიდი წელი სისხლს ღვრიდნენ და სიკვდილს უსწორებდნდნ თვალს. მათ ბევრი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს მეფის ჯარზე და ბოლოს თავად მეფეც დაატყვევეს. ჯარის სარდლობის და პარლამენტის სახელზე

შემოდიოდა უამრავი მიმართვა სხვადასხვა საგრაფოდან, რომლებშიც მეფის გასამართლებას ითხოვდნენ. ვესტმინსტერის სასახლესთან უამრავი ჯარისკაცი და სამოქალქო პირი იყო შეკრებილი. მეფის გამოჩენისთანავე გაისმა შეძახილები: „გასამართლება და სიკვდილი!“ თუმცა ხანდახან ასეთ ჩურჩულსაც გაიგონებდა ადამიანი: „ღმერთო, შენ დაიფარე მეფე.“ როგორ უნდა მოიქცნენ ამ შემთხვევაში ჯარი და მისი სარდლობა? მეფის სასამართლო პროცესი მის დატუქსვად აქციონ, რომ მან პირობა დადოს, რომ გამოსწორდება და სხვა დროს ცუდად აღარ მოიქცევა? საერთოდ არ გაასამართლონ მეფე და ტახტზე აღადგინონ, თუნდაც ძალზე შეკვეცილი უფლებებით? მაგრამ ზუსტად ასეთი პირობები, რომლებსაც მას უკვე სთავაზობდნენ მან კატეგორიულად უარყო, თანაც არაერთხელ. თუმცა ამის გაგებაც შეიძლება. ის ხომ მეფეა! თუნდაც დამარცხებული! მისთვის წარმოუდგენელია დაემორჩილოს იმ მოწინააღმდეგეებს, რომლებიც გუშინ მისი მონა-მორჩილები იყვნენ. პარლამენტი და ჯარი დათმობებზე მიდიან. მაგრამ მეფე კვლავ შეუვალია. მას დაავიწყდა, რომ მისი ძველი შარავანდედი უკვე არაფრად ღირს, რომ იგი უკვე იმათი სწორი გახდა, ვინც ცოტა ხნის წინ ვერც კი წარმოიდგენდა ან ინატრებდა მის თუნდაც შორიდან დანახვას. ბოლოს თავად ჯარი იქცა შეუვალად. ასე რომ საქმე უკვე ძალისმიერ ზეწოლას უნდა გადაეწყვიტა. ხომ არ დააგვიანა მეფემ სიმტკიცისა და შეუვალობის გამოვლენა? 1640 წ. ირლანდიიდან დაბრუნებული მისი ერთგული და ყოვლისშემძლე მინისტრი, გრაფი სტრაფორდი ურჩევდა ჩარლზ I სამეფო ხელისუფლების უსაფრთხოების მიზნით საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერების დაპატიმრებას, რაც უეჭველია, წელში გასტეხდა პარლამენტის წინააღმდეგობას. თავად მეფე კი ალბათ წარმოჩნდებოდა როგორც მბრძანებელი, რომელმაც ურჩები, შფოთისთავები და მეამბოხეები დასაჯა. მაგრამ მეფე ყოყმანობდა და ვერ გაბედა გადაედგა ეს ნაბიჯი. როგორც ჩანს მას დაავიწყდა, რომ გაუბედაობას არ დაედგომება ძალაუფლების სამეფოში! მისდა სამწუხაროდ, ჩარლზ I ერთობ გვიან აღიჭურვა სიმტკიცითა და შეუვალობით. მისი ცხოვრების გადამწყვეტ ეტაპზე მას გაცილებით უფრო მტკიცე და შეუვალი ბუნების ადამიანი დაუპირისპირდა – ოლივერ კრომველი. ამ ორი ადამიანისათვის

ასპარეზი მეტისმეტად ვიწრო აღმოჩნდა. ერთ-ერთ მათგანს ადგილი უნდა დაეთმო. ჩარლზ I ტრაგედია მაშინ კი არ დატრიალდა, როდესაც ის ბრალდებულის სკამზე აღმოჩნდა, არამედ მაშინ, როდესაც მან პარლამენტთან ურთიერთობის დასაწყისშივე ვერ შეძლო მისი ალაგმვა. როგორც ჩანს მას დაავიწყდა ან უბრალოდ ვერ შეძლო განეხორციელებინა მაკიაველის ცნობილი შეგონება, რომ მთავარი მხოლოდ გამარჯვებისკენ და თავისი ძალაუფლების შენარჩუნებისაკენ უნდა ისწრაფოდეს, ამ მიზნის მისაღწევად კი ყველა საშუალება გამოდგება და ისინი ქებასაც დაიმსახურებენ. ასე რომ ბრალდებულის სკამი ჩარლზ I პიროვნებიდან გამომდინარე მისი მმართველობის სავსებით კანონზომიერი მოვლენა იყო. მოხდა ის, რაც ყოველთვის მოსდევს უხილავი სულიერი და გონებრივი ხუნდების მსხვრევას – ქვეშევრდომების მორჩილების და კრძალვის უსაზღვრო ამბიციებით და სიამაყით შეცვალა. შესაბამისად მეფობა, რომელიც ადრე პატივისცემას და მორჩილებას იმსახურებდა, უცებ დანაშაულად იქცა. სიმტკიცე და ღირსება, რომლითაც ჩარლზ I წარსდგა სასამართლოს წინაშე, მისდა სამწუხაროდ მხოლოდ იმ სამოსად გამოადგა მას, რომ ღირსეულად გაევლო თავისი ცხოვრების უკანასკნელი გზა.

25 იანვარს სასამართლოს წინაშე წარსდგნენ მოწმეები, რომლებმაც ჩვენება მისცეს იმის თაობაზე, რომ ნახეს, თუ როგორ აღმართა მეფემ თავისი შტანდარტი, რომ ბრძოლის ველზე ნახეს მეფე დაშნით ხელში და ა.შ. ეს ყველაფერი შეფასდა როგორც დასტური იმისა, რომ მეფემ ომი წამოიწყო თავისი ქვეშევრდომების და საერთოდ, ქვეყნის წინააღმდეგ. გარკვეულწილად ეს მართალიც იყო. მეფის მიერ 1642 წ. 22 აგვისტოს ნოტინჰემში სამეფო ალმის აღმართვა შეძახილებით : „ღმერთო, შენ დაიფარე მეფე ჩარლზი და სიკვდილი მრგვალთავიანებს!“ სხვა არაფერი იყო, თუ არა ომის გამოცხადება. სხვა მხრივ 25 იანვრის სხდომა არაფრით განსხვავედებოდა სხვა სხდომებისაგან. მეფე უკანონოდ მიიჩნევდა სასამართლოს და ითხოვდა, რომ უფლება მიეცათ მისთვის მიემართა ლორდთა და თემთა პალატებისათვის. ბრედშო მეფის ამ მოთხოვნას უარით პასუხობდა და მოითხოვდა მისგან კონკრეტულ შეკითხვაზე პასუხის გაცემას. 26 იანვარს 62 წევრისაგან შემდგარმა სასამართლომ გამოიტანა საბოლოო განაჩენი, რომელშიც

ნათქვამი იყო, რომ ჩარლზ სტიუარტს, როგორც ტირანს, მოღალატეს, მკვლელს და სახელმწიფოს მტერს უნდა მიესაჯოს სიკვდილით დასჯა თავის მოკვეთის მეშვეობით. 27 იანვარს სასამართლო შეიკრიბა განაჩენის საჯაროდ გამოსატანად. მეფემ კვლავ მოითხოვა შეხვედრა პარლამენტის ორივე პალატასთან. სასამართლომ ცალკე თათბირზე განიხილა ეს თხოვნა და იგი კრომველის დაჟინებული მოთხოვნით უარყვეს. როდესაც ბრედშომ წაიკითხა განაჩენი, მან ზეპირსიტყვიერად მიანიშნა ისტორიის მაგალითებზე, კერძოდ, აღნიშნა, რომ ძველ რომში სენატმა გაასამართლა იმპერატორი ნერონი, ინგლისელებმა დაამხეს უსამართლო მეფეები ედუარდ II, რიჩარდ II, სიკვდილით დასაჯეს შოტლანდიის დედოფალი მერი(მარიამ) სტიუარტი. მეფემ კვლავ ითხოვა სიტყვა, მაგრამ ბრედშომ მას გააწყვეტინა: „სერ, თქვენ არ გაქვთ უფლება სიტყვა მოითხოვოთ განაჩენის გამოტანის შემდეგ!“ მერე ბრედშომ დაცვას მიმართა: „ჯარისკაცებო, გაიყვანეთ პატიმარი!“ ამ სიტყვებზე მეფემ შეჰყვირა: „მე ლაპარაკის საშუალებას არ მაძლევენ და სხვა აქ რა სამართალს ნახავს?!’

სენტ ჯეიმსის სასახლეში დაბრუნებულ ჩარლზ I დაუბრუნდა სულიერი სიმშვიდე და წონასწორობა. იგი ისმენდა თავისი ანგლიკანი მოძღვრის, ეპისკოპოს ჯაქსონის მიერ წაკითხულ ლოცვებს. შეევედრა თავის შვილებს, მეფის ასულ ელიზაბეთსა და უფლისწულ ჰენრის, რწმენით ყოფილიყვნენ აღვსილნი და შეენდოთ მისთვის. თანაც ეს ისე გააკეთა, რომ ბავშვებს ასეთი საზარელი ნერვიული სტრესის გამო არაფერი დამართოდათ. იმ დღიდან დაიწყო ჩარლზ I სიცოცხლის ის ხანმოკლე მონაკვეთი, როდესაც მას, როგორც თავად თქვა სასმართლო პროცესზე არა სიცოცხლის, არამედ სინდისისა და მეფური ღირსების შენარჩუნებაზე უნდა ეზრუნა.

იმ დროს, როდესაც მეფე სტოიკურად ელოდებოდა თავის აღსასრულს, ლონდონი და ევროპის ბევრი დედაქალაქი აივსო ხმებით, მითქმა-მოთქმით, წინ და უკან მორბენალი შიკრიკებით, ათასგვარი საიდუმლო ინფორმაციით. მეფის ოჯახი, კარისკაცები, მონარქიისათვის თავგადადებული კავალერები და ევროპელი მონარქებიც კი ყველა ხერხს მიმართავდნენ, რათა მეფე დაეხსნათ. დედოფალმა პარლამენტს გაუგზავნა ხვეწნა-მუდარით აღსავსე წერილი, შეეწყალათ

მისი ქმარი, მაგრამ პასუხი არ მიიღო. თავად წერილი ორი საუკუნის შემდეგ აღმოაჩინეს – გაუხსნელი. საფრანგეთის მეფემ ლუი XIV პირადი წერილები აფრინა კრომველთან და ფერფაქსთან, მაგრამ უშედეგოდ. ჰოლანდიის რესპუბლიკის უმაღლესმა სახელისუფლებო ორგანომ, გენერალურმა შტატებმა ასევე მისწერა წერილები კრომველსა და ფერფაქსს. მაგრამ, როგორც ჰოლანდიის ელჩმა ინგლისში თავის ხელისუფლებას ამცნო, წერილის გახსნა ოფიცერთა 300 კაციანი კორპუსის დაუსწრებლად ვერც ერთმა მათგანმა ვერ გაბედა, იმდენად დიდი შიში ჰქონდა სარდლობას, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში პირადი შემადგენლობის ამბოხება დაიწყებოდა. უელსის მთავარმა, ტახტის მემკვიდრე ჩარლზმა, პირადად მისწერა ფერფაქსს წერილი შეწყალების თხოვნით, მაგრამ პასუხი არ მიუღია. საერთოდ, ფერფაქსზე ამბობდნენ, რომ მას თავში უტრიალებდა მეფის დახსნის იდეა, რომლითაც მიმართა კიდეც ოფიცერთა საბჭოს. მაგრამ მთელი მისი სამხედრო-პოლიტიკური კარიერა იმას ადასტურებს, რომ იგი კარგი, მაგრამ მთლიანობაში რბილი ხასიათის, არც თუ ისე გაბედული ადამიანი იყო. იგი მოერიდა გართულებებს, სისხლისღვრას და აზრის გამოთქმის იქით ვერ წავიდა. ამისთვის ალბათ რიხიანი, დაჟინებული და რკინის ნებისყოფის ადამიანი იყო საჭირო, რომელიც, როგორც ამბობენ, აუცილებლად დაიხსნიდა მეფეს. ხმა დაირხა, რომ ფერფაქსს საიდუმლოდ ეწვია ოფიცერთა ჯგუფი, რომელმაც თითქოს შესთავაზა მეფის დახსნა მისი გატაცების ან კიდევ სხვა ამდაგვარი თავდასხმის მეშვეობით. მაგრამ ფერფაქსმა უარყო ეს წინადადება. თუმცა არც ამგვარი ვარიანტია გამოსარიცხი. საქმე ხომ მეფის დახსნას ეხებოდა! ალბათ სწორედ ამიტომ აფრინა ინგლისში ალექსანდრე დიუმამ რომანში „ოცი წლის შემდეგ" თავისი მამაცი, თავზეხელაღებული და თითქმის ყოვლისშემძლე გმირი მუშკეტერები მეფე ჩარლზ I გადასარჩენად.

მაგრამ ის, ვისაც უმაღლესი სამხედრო წოდების და გავლენის გარდა რკინისებრი ხასიათი და რიხიც ჰქონდა, სწორედ ის არ იყო მეფის გადასარჩენად განწყობილი. ოლივერ კრომველს არჩევანი გაკეთებული ჰქონდა. ამიტომ 22 იანვარს, ღამით, აირტონთან ერთად, შეიარაღებულ ცხენოსანთა რაზმის თანხლებით იგი სასწრა-

ფოდ მივიდა ფერფაქსთან, რათა ეს უკანასკნელი დაერწმუნებინა, უარი ეთქვა ნებისმიერ შეთქმულებაში მონაწილეობაზე. ცხენოსანთა რაზმს კი ალბათ სავარაუდო საეჭვო პირები უნდა გაენეიტრალებინა, თუკი ამის საჭიროება შეიქმნებოდა.

იმავე დღეს ოლივერ კრომველს მისი ბიძაშვილი, კაპიტანი ჯონ კრომველი ეწვია. ეს ადამიანი დიდი ხანი მსახურობდა სამხედრო სფეროში კონტინენტზე. უშუალოდ იმ პერიოდში იგი ჰოლანდიის შტატჰალტერის (სახელმწიფოს მეთაურის) ვილჰელმ II ორანელის სამსახურში იმყოფებოდა. იყო რა ჩარლზ I სიძე, მისი ქალიშვილის, მერის ქმარი, ვილჰელმმა გადაწყვიტა სიმამრის გადარჩენა და ამიტომაც მიაგზავნა კრომველთან მისი ბიძაშვილი. ამაოდ ეხვეწებოდა ჯონ კრომველი თავის ბიძაშვილს შეეწყალა მეფე, ამაოდ ეუბნებოდა იგი ოლივერს, რომ მას პირადად შტატჰალტერისაგან აქვს სრული უფლებამოსილება ამ თხოვნის შესრულების სანაცვლოდ შეასრულოს ლორდ-გენერალ ოლივერ კრომველის ნებისმიერი მოთხოვნა. ოლივერ კრომველი შეუვალი იყო. მან უთხრა თავის ბიძაშვილს, რომ იგი ბევრს ლოცულობდა და მარხულობდა მეფისათვის, მაგრამ ისიც დააყოლა, რომ ჯარს მეფის სისხლი სწყუროდა. ჯონ კრომველმა ისიც კი სცადა, რომ შეეხვეწა ოლივერს, მათი გვარი დაენდო და ამ საზარელი ქმედებით ჩირქი არ მოეცხო მისთვის. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად იმოქმედა გვარის უმწიკვლობის შენარჩუნების ფაქტორმა, მაგრამ კრომველმა უთხრა თავის ბიძაშვილის, რომ ოფიცერთა საბჭოს გადასცემდა ამ თხოვნას განსახილველად. ნაშუაღამევს, პირველ საათზე, ოლივერმა ამცნო თავის ბიძაშვილს, რომ ოფიცერთა საბჭოს გადაწყვეტილებით მეფე უნდა მომკვდარიყო. ამრიგად, ამ შეგონებამაც კი ვერ გაჭრა. თუმცა, ალბათ არც კრომველი იყო ყოვლისშემძლე. ჯარი და მისი ნება, აი ის უძლეველი ძალა, რომელიც მართავდა სიტუაციას და რომლის წინააღმდეგ თვით კრომველიც კი ვერ წავიდოდა. ის კი მთელი თავისი ავტორიტეტის მიუხედავად ამ კრიტიკულ მომენტში მხოლოდ და მხოლოდ ჯარის ნაწილი იყო. ჩარლზ I არა სასამართლოს ან კრომველის, არამედ ისტორიის მიერ იყო გაწირული. ალბათ ისტორიის გადასახედიდან ცოტა უხერხულიც კი არის იმის წარმოდგენა, თუ როგორ იჩენენ ლმობიერებას მეფის მი-

მართ პარლამენტი, ფერფაქსი და კრომველი, ხოლო ჩარლზ I, ყველასათვის მოულოდნელად, სასწაულებრივ უბრუნდება თავის სახტად დარჩენილ ოჯახს. რა გულისამაჩუყებელი სცენები დატრიალდებოდა მეფის ოჯახში და საერთოდ, როიალისტთა წრეებში. საინტერესოა ისიც, თუ როგორ დალოცავდა ხალხი, ყოველ შემთხვევაში მისი გარკვეული ნაწილი გულმოწყალე სარდალს და ფაქტობრივად სიტუაციის მბრძანებელს! ერთი სიტყვით ფინალი, რომელიც ალბათ ნებისმიერ „ჰეფი ენდ"- ის (Happy End- ბედნიერი დასასრული- ინგლ.) მქონე ფილმს შეშურდებოდა. მაგრამ მოვთოკოთ მოზღვავებული ფანტაზია და რეალურ ისტორიას მივუბრუნდეთ! კერძოდ, ისევ კრომველს. ამგვარი ვარაუდების, თუ „სათადარიგო ვარიანტების" განეიტრალებისათვის კრომველის ერთი გამონათქვამიც კი კმარა: „ბატონებო, მე არ ვიქნებოდი ის, ვინც ვარ, ის ნიშან-თვისებები რომ არ მქონოდა, რომლებიც მე მახასიათებს." იმ მოვლენამდე, რომელიც 1649 წ. 30 იანვარს მოხდა ლონდონში, უაითჰოლის წინ, ოლივერ კრომველი განგების ნებით და თავისი პიროვნებით მივიდა.

მაგარამ ჩარლზ I? რა შეიძლება ითქვას მასზე მოცემული „პირობითი, სავარაუდო" ვარიანტებიდან გამომდინარე? მეფე, რომელიც ბრძოლის ველზე მარცხდება, ტყვედ ვარდება, საკუთარი ქვეშევრდომების წინაშე ბრალდებულის სკამზე წარსდგება როგორც დამნაშავე, მათ მიერ გასამართლების მოლოდინში, მაინც მეფედ რჩება. იგი თავისი ღირსეული ქცევით სასამართლო პროცესზე თავისი მტრების შეცბუნებასაც კი იწვევს. ადამიანი, რომელიც ბოლო წუთამდე თავის მეფურ ღირსებას უფრო მეტ ყურადღებას უთმობს და მაღლა აყენებს, ვიდრე საკუთარ ფიზიკურ არსებობას. და ასეთი ადამიანს უეცრად შეიწყალებენ. მას შეიწყალებდნენ ადამიანები, რომლებსაც მისი სისხლი სწყურიათ. როგორ მიიღებდა ის მათგან ამ შეწყალებას, როგორც ღვთის წყალობას თუ როგორც სილას? ვინ იქნებოდნენ მისთვის ეს შემწყალებლები, რა ურთიერთობა ექნებოდა მას მათთან უკვე შეწყალების შემდეგ? მეფე, მბრძანებელი, მიეახლებოდა მათ მხურვალე მადლობის სათქმელად იმისთვის, რომ იგი შეიწყალეს? ვის მიმართავდა იგი, ბრალდების წარმომდგენელს, ჯონ კუკს? ეს ის კუკი იყო, რომელმაც არაფრად ჩააგდო მეფის მრავალგზის თხოვნა სიტყ-

ვა მიეცა მისთვის. როდესაც ჩარლზმა ვერცხლისტარიანი ხელჯოხი დაჰკრა მას მხარზე, რათა გაეჩერებინა, ტარი მოძვრა და იატაკზე დაეცა კუკის ფეხებთან. მეფემ მზერით ანიშნა კუკს, მისთვის ტარი მიეწოდებინა. მაგრამ კუკმა წარბშეუხრელად განაგრძო ბრალდების ტექსტის კითხვა. ასე რომ, ტარის აღება ისევ თავად მეფეს მოუხდა. ან იგივე ჯონ ბრედშოს, რომელიც პროცესის დროს მუდამ შფოთავდა, იმუქრებოდა, დავობდა. თუ თავისი დაცვის წევრ ჯარისკაცებს მიაკითხავდა, რომლებიც იდგნენ რა საგუშაგოზე მეფის ოთახის გვერდით, უწმაწური და უშვერი ლაზღანდარობით ირთობდნენ თავს? ან თავის ოჯახის წევრებს დრო და დრო შეახსენებდა: „რა კარგია, რომ ცოცხალი დავრჩი?!" რა ფასი ექნებოდა მათ მორჩილებას ან რას დაიმსახურებდნენ ისინი ყველაფერ ამის შემდეგ შეწყალებული მეფისაგან? ალბათ ძალზე დაუნდობლად და საშინლად ჟღერს – შეწყალებული მეფე! მაგრამ შევწყვიტოთ ეს ვარაუდები და ჩავთვალოთ, რომ განგებამ დაინდო მეფეც და ქვეყანაც. მართალი იყო კრომველი. შეწყალებული მეფე, ამ შეწყალებით გაგულისებული, გააფთრებული და ამბოხებული ჯარი, შურისძიების წყურვილით აღვსილი კავალერები არანაკლებ სისასტიკეს ჩაიდენდნენ. მეფის სიკვდილით დასჯა საშინელება იყო. მისი შეწყალება საშინელ მოვლენებს დაატეხდა თავს ქვეყანას.

29 იანვარს ჩარლზ I წერილი მისწერა ტახტის მემკვიდრეს, უფლისწულ ჩარლზს, რომელშიც მოუწოდებდა ხელი შეეწყო ლორდთა და თემთა პალატების მჭიდრო თანამშრომლობისათვის. ამით მეფის ხელისუფლება შეძლებდა მოეთოკა ის ძალები, რომლებიც ესოდენ არასასურველნი იყვნენ ინგლისის მმართველი წრეებისათვის. ის ურჩევდა უფლისწულს, შეემსუბუქებინა კანონის სიმკაცრე და გაყოლოდა ანგლიკანურ მრწამსს, რადგანაც, როგორც თავად თვლიდა, ანგლიკანური ეკლესია საუკეთესო იყო მსოფლიოში. „დაიკავეთ შუალედური პოზიცია ცრურწმენათა ტირანიას, ფუფუნებასა და ფანტასტიკური ანარქიის უნდილობას შორის"- შეაგონებდა იგი მომავალ მეფეს. წერილის დაწერის შემდეგ მეფემ დარჩენილი საათები თავის მოძღვართან, ეპისკოპოს ჯაქსონთან და პირის ფარეშთან, თომას ჰერბერტთან საუბარში გაატარა. ეს უკანასკნელი მეფესთან 1647

წლიდან იმყოფებოდა და ჩარლზ I მასთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა. მას შემდეგ, რაც მას განაჩენი გამოუტანეს, მეფემ ბრძანა, რომ მასთან მნახველები აღარ დაეშვათ, იმიტომ, რომ ბევრ წარჩინებულს უნდოდა მეფესთან გამოთხოვება. მერე კი შედგა უმცროს შვილებთან, ელიზაბეთთან და ჰენრისთან გამოთხოვების გულსაკლავი სცენა. მეფემ სიტყვა ჩამოართვა პატარა უფლისწულს, რომ იგი არასოდეს დათანხმდებოდა მეფობაზე, სანამ მისი უფროსი ძმები, ჩარლზი და ჯეიმსი ცოცხლები იქნებოდნენ. მეფეს ორი რამის ეშინოდა. პირველი, რომ ამით ანტიმონარქისტები და მისი მტრები განხეთქილებას შეიტანდნენ მეფის ოჯახში. მეორე კი, რომ პურიტანები გამეფებაში დახმარების დაპირებით გადაიბირებდნენ უფლისწულ ჰენრის და ჩამოაშორებდნენ მას ანგლიკანურ ეკლესიას. ყველაფერთან ერთად ტახტის მემკვიდრესთან მიწერილ წერილში ჩარლზ I სთხოვდა მას შური არავისზე ეძია. იმავე დროს ის შემდეგნაირად ახასიათებდა თავის პოლიტიკურ მოწინააღმედეგეებს. „იმ მდაბიოებმა, რომლებიც შეაცდინეს, უნდა იცოდნენ, რომ არავინ არის მათ საკუთრებაზე, თავისუფლებაზე და რწმენაზე უფრო მეტად დახარბებული მჩაგვრელი, ვიდრე კრომველი, აირტონი, პიტერი. ისინი მხოლოდ იმიტომ შეიმოსნენ ხალხის დამცველთა სახელით, რომ ამ ხალხზე ბატონობა სურთ. დადგება დრო და მათივე ჩადენილი ცოდვა და უგნურება მათ საკმარისად დასჯის "- წერდა მეფე.

და აი დადგა 1649 წ. 30 იანვარი, სამშაბათი, დღე, რომლის მაგვარი მანამდე არ ყოფილა ინგლისის ისტორიაში. ჩარლზ სტიუარტი, რომელიც 24 წელი მეფობდა ინგლისში, სიმშვიდით, ღირსებითა და ღვთისმოსაობით აღსავსე, თავისი მოძღვრის და ბადრაგის თანხლებით დაადგა თავის ცხოვრებაში გასავლელ უკანასკნელ გზას სენტ ჯეიმსის სასახლიდან უაითჰოლში აღმართულ ეშაფოტამდე. ყინავდა და მეფესაც ორი პერანგი ეცვა იმისათვის, რომ შემცივნულს კანკალი არ დაეწყო, რაც შეიძლება შიშის გამოვლენად ჩაეთვალათ. უაითჰოლში მისული მეფე მსუბუქად დანაყრდა მცირედი პურითა და წითელი ღვინით, მერე კი საუბარი განაგრძო თავის მოძღვართან. დაახლოებით ორ საათზე მეფეს უხმეს. ჩარლზე I მხნედ მიაბიჯებდა ორ რიგად ჩამწკრივებულ ჯარისკაცებს შორის, რომელთა უკან

უამრავი ხალხი იყო თავმოყრილი. მეფეს ესმოდა, თუ როგორ ლოცულობდნენ მისთვის ადამიანები. ჯარისკაცები ხალხს ლოცვას არ უშლიდნენ. პირიქით, ბევრი მათგანის სახეზე მწუხარება იყო გამოხატული. მეფემ გაიარა მრავალრიცხოვანი ტალანი, მერე ბენქუეტინგ ჰაუსი, რომელთანაც მას უამრავი ტკბილი მოგონება აკავშირებდა, თვალი შეავლო რუბენსის ვეებერთელა ტილოს, რომელზედაც მამამისი, ჯეიმს I იყო გამოსახული და გაღებული ფანჯრიდან შავი ქსოვილით შემოსილ ეშაფოტზე შეაბიჯა, რომელიც ჯარისკაცებით და უამრავი ხალხით იყო გარშემორტყმული. ეშაფოტზე ორი ნიღბიანი ჯალათი და ორი პოლკოვნიკი იდგა. ეს უკანასკნელნი იყვნენ პოლკონიკები ჰაკერი და ტომლინსონი. ირგვლივ სამარისებული სიჩუმე სუფევდა. მეფემ მოკლე სიტყვით მიმართა შეკრებილთ და თქვა, რომ ისინი, ვინც ის აქ მოიყვანა, ძალაუფლებისაკენ ისწრაფვიან, რათა კიდევ უფრო მეტად დაისაკუთრონ ის, რასაც ამჟამად ფლობენ და რომ მათ შორის მორიგება არ იქნება. „მე რომ მხოლოდ ჩემს ნება-სურვილზე და დაშნის ძალაზე ამეგო ყველაფერი, დღეს აქ მოსვლა არ დამჭირდებოდა. ღმერთს შევთხოვ, რომ თქვენ არ მოგეკითხოთ, რომ მე ხალხისთვის ვეწამე“- ასე დაასრულა თავისი მიმართვა ჩარლზმა. მეფემ მოსასხამი მოიხსნა, სათბურა გაიხადა მერე წმინდა გიორგის გამოსახულებით შემკული გულსაკიდი მოიხსნა და ეპისკოპოს ჯაქსონს მიაწოდა. „მე ხრწნადი გვირგვინიდან უხრწნადი გვირგვინისაკენ მივემართები“- უთხრა მან ეპისკოპოსს. „მიწიერ გვირგვინს თქვენ მარადიულ გვირგვინზე სცვლით“- უპასუხა ჯაქსონმა. მეფე ჯალათს მიუბრუნდა და უთხრა: „მე მოკლე ლოცვას წავიკითხავ და როდესაც ხელებს გავიშვერ, აი მაშინ ... ხომ იცით, სწრაფად უნდა მოხდეს...“ „ეს სწრაფად მოხდება, ბატონო“- უპასუხა ჯალათმა. „ჩემი თმები ხომ არ დაგიშლით?“- იკითხა მეფემ. „დამიშლის, თქვენო უდიდებულესობავ“- უთხრა ჯალათმა. მეფემ დაიჩოქა, კისერი კუნძის ღრმულში მოათავსა, მერე თავისი გრძელი, კავალერთა მოდის შესაბამისი კულულები კეფაზე აიწია და კვლავ უთხრა ჯალათს: „ხომ იცით, ნიშანს უნდა დაელოდოთ.“ „დაველოდები, თქვენო უდიდებულესობავ“- უპასუხა ჯალათმა. მეფე ძალზე მცირე ხნით შეყოვნდა, მერე ხელები წინ გაიშვირა და ჯალათმაც შეპირებისამებრ უნაკლოდ შეასრულა დანაპირები.

და იმ დროს, იქაურობას თურმე საზარელი გმინვა ალმოხდა, გმინვა, რომლის მაგვარი, როგორც ერთი თვითმხილველი ამბობდა, არავის სმენია და რომლის კვალვ გაგონებას არც ისურვებდა ვინმე. წამიც, და ტარადიციისამებრ ჯალათმა მაღლა აიტაცა მეფის მოკვეთილი თავი და შესძახა: „აი მოღალატის თავი!“ იმ წუთიდან მეფე ჩარლზ I იმ სამყაროში შეაბიჯა, რომლისთვისაც, როგორც თვითონ ამბობდა, უცხო იყო ყოველგვარი წუხილი.

სად იყო იმ დროს ის, ვინც ალბათ ყველაზე აქტიური წვლილი შეიტანა იმაში, რომ მეფემ სამარადისო სასუფეველი დაიმკვიდრა? ის, ვინც ჯერ მზად იყო ბრძოლის ველზე მეფესთან პირისპირ შეხვედრისას მისთვის შუბლში დამბაჩა დაეხალა, მერე ყოველნაირად ცდილობდა მეფის და ჯარის მორიგებას, და ბოლოს, როცა ვერაფერს გახდა, საკუთარი დამბაჩისა და დაშნის ნაცვლად ჯალათის ნაჯახი აამოქმედა. იმის თაობაზე, ესწრებოდა თუ არა კრომველი მეფის სიკვდილით დასჯას, ურთიერთგამომრიცხავი ცნობები არსებობს. იმ დროის წესები და ნორმები ამას სავალდებულო ხასიათს აძლევდნენ. კრომველი, ფერფაქსი, აირტონი და ჰარისონი იმ დროს უაითჰოლში იმყოფებოდნენ, მაგრამ მის სულ სხვა შენობაში და არა იქ, რომლის წინ ეშაფოტი იყო აღმართული. ისინი ლოცულობდნენ და ლოცვაც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, რადგანაც სწორედ გარედან მისულმა ადამიანმა ამცნო კრომველს, რომ სიკვდილით დასჯა დამთავრდა. ამ პროცედურაზე დასწრება გარკვეულწილად გამარჯვებულის მიერ მოწინააღმდეგის დამარცხების ხილვის დემონსტრაცია იყო. ასეთი იყო ტრადიცია. მაგრამ როგორც ჩანს, კრომველმა ტრადიციის დარღვევა გადაწყვიტა. ტრიუმფატორის პოზაში დადგომას და თავისი გამარჯვების გასაჯაროებას მან პურიტანული სისადავე და რიდი ამჯობინა. აკი თავის სამხედრო პატაკებში თავისივე ძლევამოსილ გამარჯვებებსაც ის მოკრძალებით მოიხსენიებდა და მხოლოდ და მხოლოდ უფლის წყალობითა და მისი ყოვლისშემძლე მარჯვენის ჩარევით ხსნიდა. და აი ახლაც, თავისი ბრძოლის საბოლოო(ყოველ შემთხვევაში იმ ეტაპზე) აქტი მან კვლავ განგების ნებას მიაწერა. სწორედ ეს უთხრა მან პარლამენტში სასამართლოს წევრებს: „თუკი ნებისმიერი ადამიანი დაამხობს მეფეს და ჩამოაშორებს მის შთამო-

მავლობას სამეფო ტახტს, ან თუ ვისმეს ამგვარი ზრახვები აქვს, ასეთი ადამიანი უდიდესი მეამბოხე და მოღალატეა მსოფლიოში. მაგრამ რადგანაც უფლის განგებამ და აუცილებლობამ ეს მოგვივლინა, მე ვილოცებ იმისთვის, რომ ღმერთი გვფარავდეს ჩვენ და ჩვენს მიერ დასახულ მიზნებს. თუმცა კი ჩემგან ნუ ელით რაიმე რჩევას ან მითითებას.“ ამგვარად, კრომველის პოზიცია სრულიად შეუვალი იყო, რადგანაც ღმერთი ზედმიწევნით, ყველასათვის მიუწვდომლად განაგებდა ყველაფერს. სწორედ ამის გამო ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომლის თანახმად ის ფაქტი, რომ ღამის 2 საათზე კრომველი ლაბადით შენიღბული მივიდა უაითჰოლში, რათა კუბოში ჩასვენებული მეფის ცხედარი ენახა, სინამდვილეს არ შეესაბამება. თითქოსდა იქ მყოფი კრომველი საკუთარი თავის დასამშვიდებლად ჩურჩულებდა: „ეს იძულებითი აუცილებლობა იყო.“ იგი ამას არ საჭიროებდა. მეფის სიკვდილით დასჯა მისთვის უზენაესი ნების პრაქტიკული ხორცშესხმა იყო. განგების ნება აღსრულდა და კრომველისთვის ეს სავსებით საკმარისი იყო. სწორედ ეს ათავისუფლებდა სინდისის ქენჯნისაგან ამ რკინის ნებისყოფის ადამიანს, რომელიც საკუთარ თავს უყურებდა მხოლოდ და მხოლოდ როგორც განგების ნების ასრულების იარაღს.

მეფის სიკვდილით დასჯის შემდეგ ორი საინტერესო რამ მოხდა. ჩარლზ I პრაქტიკულად წმინდანად შერაცხეს, როგორც მოწამეობრივი სიკვდილით აღსრულებული, ხოლო კრომველი ეშმაკის ფეხად და ჯოჯოხეთის მოციქულად. ჩარლზ I უინძორში დაკრძალეს, იმ საძვალეში, სადაც მეფე ჰენრი VIII და მისი მესამე ცოლი ჯეინ სეიმური განისვენებდნენ. დაკრძალვის დროს თოვდა და მეფის კუბო თეთრი ფანტელებით იყო გადაპენტილი, რაც უცოდველობის სიმბოლოდ აღიქმებოდა, როგორც ამას იხსენებდნენ დაკრძალვის მონაწილეები. ჩარლზ I უცოდველობას და სულიერ აღზევებას როიალისტები უპირისპირებდნენ კრომველის სიბილწესა და ცოდვილობას. კონტინტენტზე გამოცემული მათი ჟურნალები სავსე იყო კარიკატურებით, რომლებშიც კრომველი წარმოჩენილი იყო როგორც ჯოჯოხეთის მთავარი პერსონაჟი. დაახლოებით ასი წლის შემდეგ, როდესაც აღნიშნავდნენ ჩარლზ I მოწამეობრივ სიკვდილს, ეპისკოპოსმა ბატლერმა თავის სიტყვაში თქვა, რომ მეფის გასამართლებამ, ყველაზე მეტად, ვიდრე ოდესმე

მომხდარმა ნებისმიერმა სხვა მოვლენამ აჩვენა სხვაობა იმას შორის, თუ რისი დამკვიდრებისკენ ისწრაფვის კაცობრიობა და ამ დროს რა ვითარდება და რა მიიღწევა დედამინაზე; რომ ყველგან თავს სდებენ სათნოებაზე, მაგრამ ცხოვრებაში მას არ მისდევენ. ერთობ სამწუხარო ჭეშმარიტებაა, მაგრამ განა ჰეგელი არ ამბობდა, რომ მსოფლიო ისტორია არ არის კაცობრიობის ბედნიერების ასპარეზი? ინგლისში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. მეფის სამხედრო მარცხი და მისი გასამართლებაც ამ ომის განუყოფელი ნაწილებია. ომი ხომ თავდაცვა და თავდასხმაა, რომელთა გარეშე იგი წარმოუდგენელია. ისინი, ვინც მეფე გაასამართლა, მოიქცნენ ისე, როგორც მოიქცეოდა მეფე, მას რომ გაემარჯვა და პარლამენტის და მისი ჯარის თავკაცები რომ დაეტყვევებინა. იგი ალბათ ნაკლებად იფიქრებდა კანონიერებაზე ან უკანონობაზე, როგორც ეს 1642 წ. იანვარში მოხდა, როდესაც იგი ჯერ შეიარაღებული რაზმის თანხლებით მივიდა პარლამენტში, რათა ოპოზიციის თავკაცები დაეპატიმრებინა, მერე კი იგივე მიზნით სიტიში შეღწევას შეეცადა. ეს ბრძოლა თავიდანვე აგებული იყო პრინციპზე „ვინ ვის“. პარლამენტმა გაიმარჯვა, მეფე დამარცხდა. ამიტომაც დროული იქნება კვლავ გავიხსენოთ ძველი რომაელების ცნობილი გამოთქმა: „გამარჯვებულებს არ სჯიან, მაგრამ ვაი დამარცხებულებს!“ და ბოლოს, კიდევ ერთხელ კრომველზე. XVII ს. როიალისტური ისტორიოგრაფია მას ბოროტ, მამაც ადამიანს უწოდებს. მაგრამ ამ ორი ცნების გაყოფა და მათით ადამიანის ცალ-ცალკე შემკობა, განსაკუთრებით იმ ეპოქაში, არ იქნება სწორი. მეფის დისწული, უფლისწული რუპერტი, არნახულად მამაცი, რაინდული სულისკვეთების განსახიერება იყო. მაგრამ რა? კრომველმა იმიტომ გაიმარჯვა ბოლტონთან, გეინსბოროსთან, მარსტონ მურთან, ნესბისთან და პრესტონთან, რომ თავის პიროვნებაში აერთიანებდა სიმამაცეს, რკინისებრ დისციპლინას და სისასტიკემდე მისულ სიმკაცრეს, როგორც ეს ჭეშმარიტ პურიტანს შეეფერებოდა. რომ არა ამ თვისებების ერთობა, იგი ვერ ჩაახშობდა ჯარის ამბოხებას უერში და თოჯინად იქცეოდა ჯარისკაცების თავზეხელაღებული ბრბოს ხელში. ალარ ღირს ლაპარაკი იმაზე, თუ რა მოუვიდოდა ასეთ შემთხვევაში თავად ინგლისს. მაგრამ ეს არ მოხდა, არამედ მოხდა სწორედ რომ მოსახდე-

ნი. და ბოლოს, რომ არა კრომველის ასეთი პიროვნება, იგი ვერ შექმნიდა ახალი ყაიდის ჯარს, ვერ მოიპოვებდა ბრწყინვალე გამარჯვებებს და საერთოდ, ვერ გაუძღვებოდა რევოლუციას. იგი დასჯერდებოდა რიგითი სოფლის ჯენტელმენის მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილ ცხოვრებას. ასეთები ხომ ბევრნი იყვნენ იმ დროის ინგლისში! მაგრამ კრომველის პიროვნული თვისებების პატრონს სულ სხვა ბედი ეწერა. ამიტომაც მიიწევდა იგი განუხრელად ერთი გამარჯვებიდან მეორისაკენ. ისტორიული გმირის სიდიადე ხომ იმაში მდგომარეობს, რომ ის იმ საგანგებო პიროვნული თვისებებით არის დაჯილდოებული, რომელთა მეშვეობითაც გრძნობს დიდ საზოგადოებრივ მოთხოვნებს და ასრულებს მათ. ამიტომ არ უნდა შეგვეპაროს ეჭვი იმაში, რომ კრომველს ჭეშმარიტად სწამდა, რომ განგების ნებას ასრულებდა და იმაშიც, რომ მისი აღმასვლა აბსოლუტურად კანონზომიერი იყო.

რესპუბლიკა

მეფის სიკვდილით დასჯამ დაანახა ინგლისს და მასთან ერთად ისტორიას, რომ ტირანად შერაცხული ადამიანის პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრობისთანავე ქვეყნის ცხოვრებაში არ იწყება აღთქმული ფურცლები და საზოგადოება მეორე დღესვე არ ეზიარება საყოველთაო კეთილდღეობას. პირიქით, წინააღმდეგობების გაღრმავება და გამრავალფეროვნება, დაპირისპირების ახალი ფორმების წარმოჩენა და რაც ყველაზე საინტერესოა, ამ რთული და დინამიური პროცესის მონაწილე ადამიანთა სოციალურ-პოლიტიკური ევოლუცია, აი მოვლენათა ის ფართო სპექტრი, რომელიც წარმოჩნდა ჩარლზ I პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრობის შემდეგ. მეფის სიკვდილით დასჯას სხვა ქვეყნებში უარყოფითი რეაქციას მოყვა. ინგლისის ელჩი გააძევეს რუსთა ხელმწიფის, ალექსი მიხეილის ძის კარიდან, საფრანგეთმა გამოიწვია თავისი ელჩი ინგლისიდან, ინგლისის ელჩები მოკლეს ჰოლანდიასა და ესპანეთში. უფრო მეტიც, ჰოლანდიამ მაშინვე სცნო მეფედ ჩარლზ I ვაჟი, უფლისწული ჩარლზი და ხელი შეუწყო როიალისტებს ინგლისის წინააღმდეგ საზღვაო ოპერაციების ჩატარებაში. ასევე შოტლანდიელებმაც სცნეს მეფედ უფლისწული ჩარლზი და თავისი ქვეყნის ტახტზეც კი მიიწვიეს. ირლანდიაში გაერთიანდა ყველა დაჯგუფება, რომელიც იმდროინდელი ინგლისის წინააღმდეგი იყო. ირლანდიელი კათოლიკეები, ინგლისელი კათოლიკეები, როიალისტი ანგლიკანები და პრესბიტერიანები. მათმა ბელადმა ოუენ ო'ნეილმა კი უფლისწული ჩარლზი მიიწვია ირლანდიაში და ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ერთგულება აღუთქვა. შეიძლება ითქვას, რომ ინგლისი მტრული ქვეყნების გარემოცვაში აღმოჩნდა.

რას მოუტანდა ეს სიახლე ინგლისს? რა ამოცანებს დაუსახავდა უმეფობა ინგლისელებს და პირველ რიგში იმათ, ვინც ეს სიახლე მოიტანა? იგულისხმებიან კრომველი და მისი თანამზრახველები, ვისი მეცადინეობით და ვისი მეთაურობით ხალხმა და ქვეყანამ თავის

ისტორიაში აბსოლუტურად ახალი, უცნობი ფურცელი გადაშალეს. ალბათ კრომველს უნდა დაემტკიცებინა, რომ ყველაფერი ის, რასაც აკეთებდა, აბსოლუტურად სწორი იყო და რომ მას ახალ სიტუაციაშიც შესწევდა ძალა და უნარი გაძღოლოდა პოლიტიკურ თუ სხვა სახის მოვლენებს. გასკეთებელი კი ბევრი იყო. მოსახდენი მოხდა, მეფე გაქრა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ კრომველი განცხრომას უნდა მისცემოდა. თუკი ის განგების ნებას დაემორჩილა და ყოველივე მომხდარის განხორციელება იტვირთა, მას მოქმედება უნდა გაეგრძელებინა. ადამიანს, რომელიც ამდენს იტვირთავს, შუა გზაზე გაჩერების უფლება არა აქვს. საჭირო იყო ცენტრალური ხელისუფლების შექმნა. სამი სამეფოს(ინგლისის, შოტალანდიის და ირლანდიის) გაერთიანება, მმართველი დინასტიის, როგორც ძალაუფლების უზენაესი ერთეულის ჩანაცვლება ქვეყნით, ხალხით, ახლებური სახელმწიფოთი. საჭირო იყო ასევე საგარეო ვაჭრობის დაცვა და მისი გაფართოებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. ანუ ყველაფერ იმის გაკეთება, რასაც მანამდე მეფის ხელისუფლება აკეთებდა. რასაკვირველია, კრომველს მშვენივრად ესმოდა, რომ გარკვეული კონსტიტუციური ცვლილებებით შეუძლებელი იყო სამხედრო-რევოლუციური ძალით აღზევებული მცირე საკანონმდებლო ჯგუფის აბსოლუტურ სამოქალაქო ორგანოდ გარდაქმნა, რათა მას კანონიერი სახე მისცემოდა. ამიტომ ხელისუფლების წინაშე კვლავ საკუთარი პოზიციების შენარჩუნების ამოცანა იდგა. მეფის სიკვდილით დასჯით გაბოროტებულმა როიალისტებმა მაშინვე ერთგულება შეჰფიცეს მის მემკვიდრეს. პრესბიტერიანები, ეს შენიღბული როიალისტები, გაგულისებულები იყვნენ თავისი რელიგიური გეგმების ჩავარდნით და პარტიულ-პოლიტიკური მარცხით, რომელიც მათ ინდეპენდენტებთან ბრძოლაში განიცადეს. ლორდები, თუმცა მცირერიცხოვნები, მაინც ინარჩუნებდნენ გავლენას თავის დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე. მაგრამ ისინი არნახულად აღშფოთებულები იყვნენ მათი საკანონმდებლო როლის ესოდენ შეკვეცითა და დაკნინებით. რაც შეეხება ანგლიკანურ ეკლესიას, მთელი იერარქია, დიდიან პატარიანად აღშფოთებული იყო იმით, რომ მას ჩამოართვეს სულიერი წინამძღოლის ავტორიტეტი და მატერიალური შემოსავალი. თავად რელიგიურ შეუწყნარებლობას, რომელსაც

ასე თავგამოდებით ებრძოდა კრომველი, იზიარებდა ანგლიკანური სამღვდელოების 70%. ამრიგად, კრომველს ბევრი საზრუნავი ექნებოდა მეფის ხელისუფლების გაუქმების შემდეგ, თუკი მას სურდა, რომ ქვეყნის მართვის სადავეები მეტ-ნაკლებად მის ხელთ ყოფილიყო.

სირთულეები მას თავის პოლიტიკურ ბანაკშიც ელოდა. ინდეპენდენტები, რომელეთა მეთაურიც იგი თავად იყო, შედგებოდნენ მრავალრიცხოვანი მიმდინარეობებისაგან, რომლებიც აერთიანებდნენ სხვადასხვა სახის ადამიანს. მაგ. ისეთ დიდ მოაზროვნეს, როგორიც იყო დიდი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ჯონ მილტონი და ისეთ ადამიანებსაც, რომლებიც ტანსაცმლის ტარებას ცოდვად მიიჩნევდნენ. რასაკვირველია, ყველაფერ ამის გაწონასწორება გახდებოდა საჭირო. კრომველი მოქმედების ადამიანი იყო. იგი კარგად ხედავდა, რომ ამ ახალ ხელისუფლებას რთული გზა ჰქონდა გასავლელი და ამ გზაზე ბრძოლაც დასჭირდებოდა. თუ გავიხსენებთ იმ სავარაუდო ამბავს, რომ კრომველი საიდუმლოდ უაითჰოლში მივიდა, რათა მეფის ცხედრისთვის დაეხედა, ამას კიდევ ერთ ასეთ სავარაუდო ამბავს უკავშირებენ. ამ ამბის მიხედვით კრომველს მეფის კუბოს სახურავის აწევაში იქ მყოფი ჯარისკაცი დაეხმარა. და სწორედ იმ ჯარისკაცმა ჰკითხა ლორდ-გენერალს: „ ეხლა რომელი მთავრობა ეყოლებათ?“ „იგივე, რაც ყავდათ“- იყო მოკლე პასუხი. ძნელია იმის მტკიცება, რომ მეფის ცხედართან საიდუმლოდ მისულ კრომველს ლაპარაკი გაება იქ მყოფ ჯარისკაცთან. მაგრამ არ გამორიცხავენ, რომ ამგვარი ლაპარაკი სხვაგან და სხვა ჯარისკაცთან გაიმართა. მით უფრო, რომ საკითხი არნახულად საჭირბოროტო იყო! და იმგვარ პოლიტიკურ სიტუაციაში კრომველის ზემოაღნიშნული პასუხიც სავსებით დასაშვებია. პირველ რიგში იმიტომ, რომ ყველაფერი მომხდარი, ყველა მოვლენა კაცობრიობის ისტორიაში სხვა არაფერია, თუ არა ადამიანების ბუნების, მათი ცნობიერების განუყოფელი ნაწილი, განპირობებულია და ხორციელდება მათი სწრაფვებითა და უნარ-ჩვევებით.

კრომველი თავისი პრაქტიკული ხედვიდან, მკაცრი და რკინისებრი ნებისყოფიდან გამომდინარე გრძნობდა, რომ მომავალ ხელისუფლებას პირველ რიგში საზოგადოებრივი წონასწორობის, სუბორდინაციის, ანგარიშგების აღდგენა-შენარჩუნება, სოციალურ-პოლი-

ტიკური რყევებისა და რაც მთავარია, ანარქიის თავიდან აცილება დასჭირდებოდა. ყველაფერ ამისათვის კი კრომველის რკინისებრი ნება და რთული საქმის გაძღოლის მისეული უნარი იყო საჭირო. სწორედ ასეთი ადამიანი იყო საჭირო იმ ახლადშექმნილ პირობებში, რადგანაც ისინი, ვინც ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ, გამოირჩეოდნენ არნახულად რადიკალური იდეებით და ენთუზიაზმით. მათ მაგალითად სწამდათ, რომ ზეცა, სადაც ადამიანის სული მარადიულ სასუფეველში განისვენებდა, დედამიწის ზედაპირიდან მხოლოდ ექვსიოდე მილის მოშორებით იყო. მათ, ისევე როგორც შემდგომ ეპოქათა რევოლუციონერებს, ახალი სამყაროს აშენება სწადდათ. ამიტომაც წერდა 1647 წ. ივნისში ჟურნალი „მერკურიუს პრაგმატიკუსი“: „ამ ახალ ქრისტიანებს მიზნად აქვთ დასახული, რომ ყველაფერი ძველი უნდა გაქრეს, ყველაფერი უნდა განახლდეს, რათა აიგოს რესპუბლიკის ახალი ნაგებობა.“

რესპუბლიკა, რომელიც 1649 წ. მაისში გამოცხადდა ახალ სიმბოლოებს საჭიროებდა. პირველ რიგში ეს იყო დიდი სახელმწიფო ბეჭედი, რომელიც შეუკვეთეს ოქრომჭედელ თომას საიმონს. საიმონი რევოლუციამდე მეფის სამსახურში იყო. ასე, რომ ახალი სახელმწიფოს ძალაუფლების სიმბოლოს გაკეთება ძველი ფორმაციის წარმომადგენელს დაევალა. ახალი ბეჭდის გარეგნობა ზუსტად ასახავდა ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას. ერთ მხარეზე გამოსახული იყო თემთა პალატა სხდომის დროს, სრული შემადგენლობით და სპიკერით, რომელიც თავის სავარძელში იჯდა. თავისთავად ბეჭდიდან გაქრა ლორდთა პალატის გამოსახულება. გამოსახულების გარშემო წრიულად იყო ამოტვიფრული წარწერა: „თავისუფლების პირველ წელიწადს ღმერთის წყალობით 1648.“ აღნიშნული თარიღი იმით იყო განპირობებული, რომ მაშინდელი კალენდრით ახალი წელი იწყებოდა 25 მარტს. მეორე მხარეს გამოსახული იყო ინგლისის რუკა, რომელსაც თან ირლანდიის რუკა ერთოდა და ორივე სამეფოს გერბები.

გაცილებით მეტ სირთულეს ქმნიდა ფულის ახალი ნიშანი. მისი შემოღება აუცილებელი იყო. შეძლებისამებრ სწრაფად, 15 თებერვლისთვის შეიმუშავეს ახალი მონეტის ზომა და გარეგნული მხარე. მათზე გამოსახული იყო ინგლისისა და ირლანდიის გერბები, ბზისა

და დაფნის რტოები და წარწერა: „ინგლისის რესპუბლიკა. ჩვენთან არს ღმერთი!“ ინგლისურად ამ წარწერის პირველი ნაწილი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: “The Commonwealth of England.” სიტყვა “Commonwealth” დასაბამს იღებს XVI ს. დასაწყისიდან და სახალხო, საყოველთაო კეთილდღეობას გულისხმობს. მას სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა, კერძოდ, პოლიტიკური ორგანო ან სახელმწიფო, სადაც ყველას ეთქმოდა რაღაც, ან მთელ ხალხს გააჩნდა გარკვეული ინტერესი. XVII ს. დასაწყისიდან ეს ტერმინი გაიგივდა რესპუბლიკასთან. უფრო მეტი დრო დასჭირდა სამეფო ემბლემების მოცილებას საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობებიდან და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებიდან. გემებსაც კი არ დაუტოვეს ძველი, როიალისტური სახელები, ისეთები, როგორებიც იყვნენ: „პრინს,“ „მერი,“ „ელიზაბეთ.“ პარლამენტის მესვეურებს მიაჩნდათ, რომ მათ ახალი სახელები სჭირდებოდა, რათა უკეთ დაეცვათ რესპუბლიკა. ძალზე ნაცნობი სურათი და მსოფლმხედველობა, რომლებიც თან სდევს ნებისმიერი ეპოქის რევოლუციას. ყველაფერი ძველი წარსულს უნდა ჩაბარდეს. აკი წერდა კიდევაც იგივე ჟურნალი: „ძველი ინგლისი სრულიად განახლდა. ჩვენ სხვა სამყაროში ვართ.“

როგორი იყო ამ ახალი სამყაროს პოლიტიკური იერ-სახე? სამეფო ხელისუფლება გაუქმდა. მაგრამ მეფის სიკვდილით დასჯამდე და რესპუბლიკის გამოცხადებამდე ინგლისში არ ყოფილა სახელისუფლებო ვაკუუმი, რადაგან ჯერ კიდევ 4 იანვარს მიღებული დადგენილებით თემთა პალატამ საკუთარი თავი გამოაცხადა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ. 19 მარტს გაუქმდა ლორდთა პალატა. დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ მისი არსებობა სირთულეებს ქმნიდა, მით უფრო, რომ ლორდები, რომლებიც არ იყვნენ ხალხის წარმომადგენლები, ცდილობდნენ მასზე უარყოფითი გავლენა მოეხდინათ. ლორდთა პალატასთან ერთად გაუქმდა ბევრი უწყება და თანამდებობა: საიდუმლო საბჭო, ხაზინა, საადმირალოს სამსახურები, ვარსკვლავიანი პალატა, მეურვეთა სასამართლო, სამეფო პრეროგატივის სასამართლოები, ლორდ-კანცლერი, ხაზინის-კანცლერი(ფინანსთა მინისტრი) და სახელმწიფო მდივნები, რომლებსაც მონარქების ოფიციალური კორესპონდენცია ებარათ. აღმასრულებელი სახელისუ-

ფლებო ორგანოების ამგვარი გამოხშირვის შედეგად ხელისუფლების მწვერვალზე აღმოჩნდა პარლამენტის თემთა პალატა, რომლის სპიკერიც ქვეყნის პირველ პირად იქცა. მაგრამ თავად პარლამენტი, უფრო სწორად მისი ნარჩენი, რაც კი დარჩა პოლკოვნიკ პრაიდის მიერ ჩატარებული წმენდის შემდეგ, ვერ შესძლებდა ქვეყნის მართვას. ამიტომ აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციები დაეკისრა ახლადშექმნილ სახელმწიფო საბჭოს. ეს იყო ერთობ ფართო უფლებამოსილების ორგანო 41 კაცის შემადგენლობით. საბჭომ თავის მხრივ უშუალო მუშაობისათვის ჩამოაყალიბა სამუშაო ორგანოები, კომიტეტები. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო საგარეო ურთიერთობათა, არმიის, ფლოტის და ირლანდიის საქმეთა კომიტეტები.

როგორი იყო იმ ადამიანის დამოკიდებულება ამ ცვლილებების მიმართ, რომლის ძლევამოსილმა დაშნამ შვა ისინი და რა ადგილი ეკავა მას ამ ახალ ორგანოებში? ლაპარაკია რასაკვირველია კრომველზე და მის გადამწყვეტ როლზე ამ სიახლეებში. თორემ ვინ იცის, იქნებ მეფის გამარჯვების შემთხვევაში სწორედ კრომველის და საპარლამენტო ოპოზიციის თვალსაჩინო წევრების თავები აღმოჩნდებოდნენ ჯალათის კუნძზე? ასე რომ ოლივერ კრომველი ნამდვილად არ უნდა დარჩენილიყო განზე ახალი სამთავრობო სტრუქტურებისაგან. მასთან მიმართებაში კიდევ ერთი რამ არის აღსანიშნავი. გამოდიოდა რა მეფის სასამართლო პროცესის დაწყებიდანვე მისი სიკვდილით დასჯის მომხრედ, კრომველი იმავე დროს პარლამენტში ეწინააღმდეგებოდა ლორდთა პალატის გაუქმებას და ცდილობდა რამენაირად მაინც შეენარჩუნებინა იგი. რით იყო განპირობებული კრომველის ამგვარი პოზიცია? კონსერვატიზმით, სამომავლოდ ლორდთა პალატაში ადგილის მოპოვების ვარაუდით, თუ სწრაფვით, საზოგადოებაში გარკვეული წონასწორობა შეენარჩუნებინა, რომელიც შეიძლება დარღვეულიყო მეფის ხელისუფლების გაუქმების შემდეგ? ძნელია რაიმის დაბეჯითებით თქმა, მაგრამ კრომველი აქაც „ამუხრუჭებდა," ისევე, როგორც თავის დროზე მეფესთან მიმართებაში. როგორც ჩანს, მას ახასიათებდა ამგვარი ფრთხილი მიდგომა პოლიტიკური საკითხებისადმი. სწორედ რომ მისი „პრინციპული უპრინციპობის" კიდევ ერთი გამოვლენა.

აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, სახელმწიფო საბჭო შეიკრიბა 1649 წ. 16 თებერვალს. თავდაპირველად საბჭოს სხდომებს კრომველი უძღვებოდა, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ კი ახალი თავმჯდომარე, ჯონ ბრედშო აირჩიეს. პირველ სხდომაზე საკმაოდ ცხარე კამათის საგნად იქცა ერთგულების ფიცი, რომელიც საბჭოს წევრებს უნდა დაედოთ. კრომველმა ამ საკითხის გადაჭრაშიც შემრიგებლური და გამაწონასწორებელი როლი ითამაშა. თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, საბჭოს უნდა ჩაენაცვლა ორივე სამეფოს (ინგლისისა და ირლანდიის უსაფრთხოების კომიტეტები). კრომველი განზე არც სასამართლო სისტემის განახლებისგან დარჩენილა. იგი იმ კომიტეტის შემადგენლობაში შევიდა, რომელსაც დაევალა მომრიგებელ მოსამართლეთა შემადგენლობის გადახალისება ინგლისსა და უელსში. სამეფო მერხის სასამართლოს სახელი შეუცვალეს და ზედა მერხის სახელი უწოდეს. შესაბამისად ტექსტიდან ამოიღეს სიტყვა მეფე.

მეფის სიკვდილით დასჯის შემდეგ კრომველს კიდევ ერთხელ მოუწია მოსამართლის როლში გამოსვლა. ისევე, როგორც მეფის გასამართლებისათვის, საჭირო შეიქმნა საგანგებო სასამართლოს ჩამოყალიბება, რომლის წინაშე წარსდგებოდნენ ისინი, ვინც განსაკუთრებული აქტიურობა გამოიჩინა პარლამენტთან ბრძოლაში მეორე სამოქალაქო ომში. ესენი იყვნენ ლორდი ჰამილტონი, ლორდი კაპელი, გრაფი ჰოლანდი, ლორდი გორინგი და სერ ჯონ ოუენი. სამი მათგანი, ჰამილტონი, კაპელი და ჰოლანდი სიკვდილით დასაჯეს. ერთ-ერთი ხმა, რომლის საფუძველად ეს განაჩენი გამოიტანეს, კრომველს ეკუთვნოდა. მისი აზრით, მეორე სამოქალაქო ომის გამჩაღებლები სათანადოდ უნდა დასჯილიყვნენ. ასე რომ რესპუბლიკა სათანადოდ იყო დაცული, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ მის სადარაჯოზე მყოფ „რკინისგვერდებიანებს“ და მათ ძლევამოსილ სარდალს. მათთვის ძირის გამოთხრა ან მათზე შეტევა ერთობ ძნელი საქმე უნდა ყოფილიყო. სწორედ ამიტომ როიალისტების ბანაკში სრული ანარქია იყო, განსაკუთრებით მეფის სიკვდილით დასჯის შემდეგ. შეიძლება ითქვას, რომ კავალერები ძალიან იყვნენ შეშინებული და მათი მხრიდან ფიქრიც კი ზედმეტი იყო თუნდაც ფარული წინააღმდეგობის გაწევაზე. ჩარლზ I მდივნის ქალიშვილი, ლედი ენ

ჰელკეტი თავის დღიურებში აღნერდა იმ დათრგუნულ და სევდით აღსავსე გუნება-განწყობას, რომელიც როიალისტებში სუფევდა. „მათ თითქოს ეძინათ“- წერდა იგი. როიალისტების აპათიას და დაბნეულობას ადასტურებს სერ უილიამ სანკროფტის სიტყვებიც, რომელიც სტიუარტების რესტავრაციის შემდეგ კენტერბერის არქიეპისკოპოსი გახდა. „როდესაც ერთმანეთს ვხვდებოდით, სხვა არაფერზე გვქონდა საუბარი გარდა იმისა, რომ უცხოეთის რომელიმე ახალშენში წავსულიყავით.“ იგულისხმებოდა ამერიკაში ინგლისელთა მიერ ახლადშექმნილი კოლონიები. ასე რომ ერთადერთ ხსნას როიალისტები ემიგრაციაში ხედავდნენ. ეს პესიმიზმი სავსებით გასაგებია. მათი ცნობიერება იმდენად მჭიდროდ იყო დაკავშირებული მონარქიასთან, მის ფასეულობებთან, რომ თავის თანადროულ რეალობას ისინი უბრალოდ ვერ ჰგუობდნდნ. „როგორ დამთრგუნა ულმობელმა წერამ მეფის სიკვდილით. ცრემლი არ შრება, როდესაც ამას ვიხსენებ“- წერდა თავის დღიურებში ესექსელი ღვთისმსახური, ვიკარიუსი რალფ ჯოსელენი.

თუკი აღნიშნული მაგალითები ნათელს ფენენ საზოგადოების იმ წარმომადგენელთა სულიერ მდგომარეობას, რომლებიც სამეფო კარსა და ანგლიკანურ ეკლესიას წარმოადგენდნენ(თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯოსელენი პურიტანი იყო), საინტერესოა ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი რადიკალების, მაგ. ჯონ ლილბერნის სულიერი მდგომარეობა, რომელიც აღნიშნული მომენტით იყო გამოწვეული. ეს მუდმივი მეამბოხე, ყოველთვის ყველას და ყველაფრის წინააღმდეგ მებრძოლი სრულ აპათიაში იყო და ჰოლანდიაში გადასახლებას აპირებდა. „საკუთარ ფიქრებში ვარ წასული, არ ვიცი რა მოვუხერხო ჩემს თავს. ძველი, ქარიშხალგამოვლილი ხომალდივით ვარ, სიმშვიდესა და მოსვენებას რომ ეძებს მოხერხებულ ყურეში“- წერდა ლილბერნი. გასაოცარია, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის ადამიანს, რომელიც მუდამ ყველას ებრძოდა. და აი მეფის სიკვდილით დასჯამ, იმ მეფისამ, რომლის ხელისუფლებამ მის ერთგულ ანგლიკანურ ეკლესიასთან ერთად თავის დროზე მას სასტიკი განაჩენი გამოუტანა და რომელიც სწორედ კრომველმა დაიცვა და ამისთვის სიტყვითაც კი გამოვიდა პარლამენტში, ახლა, სწორედ იმ მეფის დამხობის შემდეგ, სულიერად

არნახულად განადგურებული იყო. ისიც უნდა ითქვას, რომ ლილბერნი მეფის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი იყო და იმ პერიოდში საერთოდ განერიდა ლონდონს, რათა რაიმე შეხება არ ჰქონოდა აღნიშნულ მოვლენასთან. მუდმივი მეამბოხე, რომელიც მხოლოდ პროტესტით იყო დაკავებული, უეცრად სრულ აპათიაში აღმოჩნდა.

როიალისტების ბანაკში გამეფებული დათრგუნულობის ფონზე ინდეპენდენტები და პირველ რიგში კრომველი ერთობ რიხიანად გამოიყურებოდნენ. როიალისტურმა ჟურნალმა სტატიაც კი გამოაქვეყნა, რომელშიც აღწერილი იყო კრომველის და ჩარლზ I რვა წლის შვილის, ჰერცოგ გლოსტერის საუბარი. თუკი ამ ჩანაწერს დავუჯერებთ(რომელსაც პირველწყაროდ არ მიიჩნევენ), კრომველმა უთხრა მეფის შვილს ჰენრის, რომ იგი მეწაღის სახელოსნოში ან ლუდსახარშში უნდა შესულიყო შეგირდად, რათა ხელობას დაუფლებოდა. რაც შეეხება მეფის ასულს, 13 წლის ელიზაბეთს, მას კრომველმა უთხრა, რომ კარგი იქნებოდა, თუ-კი ის მისი, კრომველის ან პოლკოვნიკ პრაიდის რძალი გახდებოდა, ანუ მათ ერთ-ერთ ვაჟს გაყვებოდა ცოლად. იმასაც ამბობენ, რომ როდესაც რვა წლის ჰენრიმ კრომველს სთხოვა მისთვის მამამისის შემოსავლიდან გარკვეული თანხა გამოეყოთ, რათა შეგირდის მონური შრომა თავიდან აეცილებინა, კრომველმა უპასუხა: „ბიჭო, შენ შეგირდი უნდა გახდე, რადგან მამაშენის მთელი შემოსავალიც კი ვერ აანაზღაურებს იმ ბოროტებას, რაც მან ამ სამეფოს მოუტანა.“ დამაფიქრებელი მომენტია. რვა წლის ბიჭი და ცამეტი წლის გოგონა, როგორც ამ თავისებურ ამბავს გვამცნობს ლედი ანტონია ფრეზერი, მეფის შვილები, სწორედ მამის სიკვდილს განიცდიდნენ და არა თავისი ღირსების შელახვას. მივენდოთ მის მოსაზრებას, მაგრამ პატარა ჰერცოგ გლოსტერს ხომ მამის დანატოვარი ფული სწორედ იმისათვის უნდოდა, რომ შეგირდის შრომით არ მოეპოვებინა ლუკმა-პური? და ამ დროს მას ეუბნებიან, რომ მისმა მოკლულმა მამამ(შვილისთვის ის სწორედ რომ მოკლული იყო), ქვეყანა შავ დღეში ჩააგდო. და ამას ლედი ანტონია განიხილავს მხოლოდ როგორც უბოროტო შეხუმრებას და არა როგორც მეფის ოჯახის ღირსების შელახვას მცდელობას. თანაც იქვე დასძენს, რომ კრომველი კეთილგანწყობილი და გულითადი იყო ბავშვების მიმართ. ეს არ არის და-

ვის ობიექტი, შესაძლოა ეს ასეც იყო. დიახ, სწორედ რომ ბავშვების, როგორც ასეთების. მაგრამ პატარა ჰერცოგ გლსტერის მიმართ ეს ტალნქი და შეიძლება სასტიკი გამონათქვამი ხუმრობის ჩარჩოებში ცოტა ძნელად ჯდება. კრომვლისთვის მეფე იყო მტერი, მის მიერ დამარცხებული და სიკვდილით დასჯილი. ამისთანა კაცის შვილებს ის ხუმრობას არ დაუწყებდა. ამიტომაც მან გადაწყვიტა შვილისთვის მამაზე ეთქვა ის, რაც თავის გულში ატარებდა. ესეც კრომველის ხასიათი და ბუნება იყო. ასეთი იყო ეს კაცი, რკინის ნებისყოფის, შეუვალი ადამიანი. ამიტომ ტყუილად სწმენდს მას ნამუსს ლედი ანტონია ფრეზერი. კრომველს ეს არ სჭირდება და არც ამშვენებს.

მაგრამ სასამართლოს და ჯარის გარდა ინგლისის რესპუბლიკას სხვა უწყებებიც სჭირდებოდა. მას უნდა დაესაბუთებინა, რომ შემთხვევით არ იშვა ისტორიის ასპარეზზე და რომ არც რაღაც უკანონო და უაზრო ქმედებებზე დამყარებული მოვლენა იყო. მას იდეოლოგია სჭირდებოდა, რომელიც მისი არსებობის მართებულობას დაასაბუთებდა. სტიუარტები ამბობდნენ, რომ მათ ღმერთმა უბოძა ძალაუფლება და ისინიც მას განასახიერებდნენ დედამიწაზე. რას დაუპირისპირებდა ამას რესპუბლიკა? ამის პირველ მცდელობას წარმოადგენდა მეფის სასამართლო პორცესის მონაწილის, ჯონ კუკის პამფლეტი „მეფე ჩარლზი. მისი საქმე.“ პამფლეტი გამოქვეყნდა მეფის სიკვდილით დასჯის შემდეგ და მასში გატარებული იყო აზრი, რომ ჩარლზ I იყო ადამიანი, რომელსაც მახვილი ებოძა იმისთვის, რომ თავისი ხალხი დაეცვა, მაგრამ რომელმაც გააწბილა ეს ხალხი და არ გაამართლა მისი ნდობა. ასეთი ადამიანი კუკის აზრით. საზოგადოების მტერი იყო და სასჯელის უმაღლეს ზომას იმსახურებდა. ამ პირველი მცდელობის შემდეგ კი რესპუბლიკის დაცვის საქმეში უფრო დიდი, საყოველთაოდ აღიარებული ავტორიტეტი ჩაერთო. ეს იყო ჯონ მილტონი. თავის პამფლეტში მილტონმა ჯერ პრესბითერიანებს გასცა პასუხი, რომლებიც ინდეპენდენტების წინააღმდეგ გაილაშქრნენ მეფის გასამართლებისა და მისი სიკვდილით დასჯის გამო. მან მოიყვანა ტირანებთან ბრძოლის უამრავი მაგალითი ძველი საბერძნეთის, ძველი რომის და ინგლისის ისტორიიდან და მიანიშნა არა მარტო იმაზე, რომ ხალხს გააჩნია ღვთით ბოძებული უფლება გაასამართლოს ტირანი,

არამედ ისიც თქვა, რომ ეს ქმედება შეიცავს დიდებულებასა და სიდიადეს. „უფრო ვაჟკაცური და დიდებულია ტირანი მბრძანებლის გასამართლება და დასჯა, ვიდრე მისი გასამართლების გარეშე მოკვლა“- წერდა მილტონი. პამფლეტმა, რომელიც მილტონმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, სრულიად უანგაროდ, თავისი მრწამსისი გასაჯაროების მიზნით დაწერა, ხელისუფლების ყურადღება მიიპყრო. სახელმწიფო საბჭოს სჭირდებოდა უწყება, რომელიც მეთვალყურეობას გაუწევდა საგარეო ურთიერთობებს. შეიქმნა სპეციალური სამდივნო, რომელშიც სამუშაოდ მიიწვიეს ჯონ მილტონი, უცხოური ენების მდივნის თანამდებობაზე. ზოგჯერ ამ თანამდებობას ლათინურ მდივანსაც უწოდებდნენ და იგი დიპლომატიურ მიმოწერას უძღვებოდა. მილტონი ფლობდა ლათინურს, ძველ ბერძნულს, არამეულს, ფრანგულს, იტალიურს, ესპანურს, ფლამანდიურს, ივრითს. ზოგიერთი ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ასეთი განსწავალული ადამიანის წლიური ანაზღაურება მხოლოდ 288 გირვანქა სტერლინგს შეადგენდა, მაშინ, როცა მისი უფროსის ხელფასი 730 გირვანქა სტერლინგი იყო. ძნელია ამ გადაწყვეტილების მართებულობაზე თუ სიმცდარეზე ვიდაოთ, რომელიც 1649 წ. მარტში იქნა მიღებული. უწყების უფროსს ყოველთვის მეტი პასუხისმგებლობა აწევს ვიდრე მის ნებისმიერ ხელქვითს, თუნდაც ყველაზე განსწავლულს და ლამის გენიალურს. ერთი ეგ არის, რომ თავად ეს შემთხვევა აღნიშნული პრობლემის საყოველთაო ხასიათზე მიუთითებს, რომელიც სცდება ქვეყნებისა და ეპოქების ფარგლებს და მარადიულ ხასიათს იძენს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ინგლისის რესპუბლიკის აღმშენებლობა მეტ-ნაკლები წარმატებით დაიწყო და კრომველი, როგორც ამ პროცესის ერთ-ერთი წამყვანი პირი კმაყოფილი უნდა ყოფილიყო მიმდინარე მოვლენებით. როგორც ამბობენ ეს მას ეტყობოდა კიდეც, მაგრამ ლორდ-გენერალს კარგ გუნებაზე ყოფნის სხვა, არანაკლები, თუ არა უფრო დიდი მიზეზიც ჰქონდა. 24 თებერვალს, სახელმწიფო საბჭოს სხდომის შემდეგ კრომველმა ივახშმა აირტონთან და ბალსტროდ უაითლოკთან ერთად. ვახშამმა შუაღამემდე გასტანა და არაჩვეულებრივად გაცხოველებულ საუბარსა და გულითად ვითარებაში ჩაიარა. საუბრის დროს საგანგებოდ შეაჩერეს ყურადღება

განგების კეთილ ნებაზე, რომელიც სწყალობდა ინდეპენდენტებს და სხვადასხვანაირად გამოვლინდა მთელი განვლილი ხნის მანძილზე. კერძოდ, წარმატებული საომარი მოქმედებების, ჯარის ლონდონში წარმატებით შესვლის, პარლამენტის პრაიდისეული წმენდის სახით. კრომველი არაჩვეულებრივად კარგ გუნებაზე იყო და ეს გამოწვეული იყო მისთვის სასიხარულო სიახლით. ხანგრძლივი დაყოვნების შემდეგ განახლდა და ძალზე კარგად წარიმართა მისი ვაჟის, რიჩარდის და დოროთი მეიორის საქორწინო მოლაპარაკება. მძახლებმა მოაგვარეს მათ შორის არსებული ფინანსური უთანხმოებები და საქმე სასურველ კალაპოტში ჩადგა. ქვეყნის ბედის განმგებელი იმავდროულად მამა და სამამამთილოც იყო და ქვეყნის ბედ-იღბალი მისთვის ისეთივე საფიქრალი იყო, როგორც საკუთარი შვილის მომავალი. დოროთი მეიორი კრომველს სასურველ რძლად მიაჩნდა არა მარტო კარგი მზითვის გამო, არამედ იმიტომაც, რომ სარძლოში მაშინვე დაინახა სათნოება და მტკიცე ხასიათი. იგი გარკვეულწილად სწუხდა რიჩარდის გამო, რომელიც მისი რბილი ხასიათის გამო დამთმობ ადამიანად მიაჩნდა. კრომველს არც რიჩარდის ამქვეყნიური სიამოვნებით გატაცება მოსწონდა, რასაც ის აღნიშნავდა კიდეც თავის მძახალთან მიწერილ წერილში. ასეთ პირობებში კი, მტკიცე დოროთი, რომლის მიმართაც კრომველი მაშინვე განეწყო და სიყვარულით მას თავის „თოჯინას" უძახდა, რბილი და მორიდებული რიჩარდისათვის საუკეთესო დასაყრდენი იქნებოდა. ალბათ რიჩარდთან დაკავშირებით კრომველი მნიშვნელოვანწილად მართალი იყო. ამ ახალგაზრდა(23 წლის), სიმპათიური გარეგნობის კაცს ყველა ახასიათებდა როგორც მეტისმეტად მორცხვსა და მორიდებულს. მისი ხასიათის ასეთი სირბილე კიდევ უფრო მკვეთრად წარმოჩნდებოდა მამამისის რკინისებრი პიროვნების ფონზე. ამიტომაც კრომველი ძალზე აფასებდა თავის რძალს. მათ შორის ჭეშმარიტად მამაშვილური ურთიერთობა დამყარდა, რომელიც კიდევ უფრო მეტ სითბოს იძენდა კრომველის ასაკის ზრდასთან ერთად. ივლისში მას დოროთის ორსულობის ამბავი ამცნეს. შვილიშვილის შეძენის პერსპექტივამ და სამომავლო პაპობამ კიდევ უფრო მეტი სითბოთი და სიყვარულით აღუვსო კრომველს გული რძლის მიმართ. როდესაც ახლადშეუღლებულებმა გადაწყვიტეს პიკნიკი მოეწყოთ

და მათი სახლიდან მოშორებით განლაგებულ ბაღს სწვეოდნენ, რათა დოროთის ალუბალი ეგემა, კრომველმა მაშინვე მხარი დაუჭირა ორსული რძლის სურვილს. „ჩემი ქალიშვილი ისეთ მდგომარეობაშია(იგი რძალს თავის შვილად მოიხსენიებს!- ივ.მ.), რომ სავსებით ეპატიება ასეთი ახირება“- განაცხადა კრომველმა. რიჩარდის და დოროთის ქორწინებამ კრომველსა და რიჩარდ მეიორს შორის იშვიათად მტკიცე, მჭიდრო, მეგობრული ურთიერთობა დაამყარა. მათი წინასაქორწინო დავა ფულის გამო დავიწყებას მიეცა. მძახლები ახლო მეგობრებად და ერთმანეთის ნდობით აღჭურვილ პირებად იქცნენ.

მაგრამ ამგვარი იდილია არ არის იმათი ხვედრი, ვინც რევოლუციის ქარტეხილებში შობილ ქვეყანაში ცხოვრობს და უფრო მეტიც, ვინც თავად არის ამგვარი ქვეყნის აღმშენებელი. ალბათ ცოტა ძნელიც კი არის წარმოვიდგინოთ კრომველი, რომელიც შვილებითა და შვილიშვილებით გარშემორტყმული, სოფლის შეძლებული ჯენტელმენის მაძღარ და უშფოთველ ცხოვრებას მისდევს. ახლადშექმნილი ინგლისის რესპუბლიკა მას ამის საშუალებას არ მისცემდა. მეფის სიკვდილით დასჯის შემდეგ რესპუბლიკა თავისებურ იზოლაციაში აღმოჩნდა. სულ პატარა ბიძგი იყო საჭირო იმისთვის, რომ ინგლისის წინააღმდეგ საერთაშორისო კოალიცია შექმნილიყო. თვით ერთმორწმუნე, პროტესტანტული ჰოლანდიაც კი ჩამოშორდა მას მმართველი ორანელთა დინასტიის მეცადინეობის წყალობით. შეიძლება ითქვას, რომ ორანელები და მათი გარემოცვა სტიუარტების პარტიად იქცნენ. საფრთხე მომდინარეობდა ასევე უფლისწულ რუპერტისაგან, რომლის განკარგულებაში იყო მცირე ფლოტი. როიალისტები აკონტროლებდნენ კუნძულებს მენს, ჯერსის და სცილის კუნძულთა არქიპელაგს, რომლებიც ინგლისზე თავდასხმის მოსახერხებელ პლაცდარმს წარმოადგენდნენ. მეკობრეები გამუდმებით საფრთხეს უქმნიდნენ ინგლისის სავაჭრო ხომალდებს. ეს კი აფერხებდა საგარეო ვაჭრობას და სირთულეებს უქმნიდა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას. დაირხა ხმები ინგლისში ლოტარინგიის ჰერცოგის ინტერვენციის შესახებ. მაგრამ ყველაზე მეტად რესპუბლიკის მესვეურებს შოტლანდიიდან და ირლანდიიდან მომდინარე საფრთხე აშინებდა. ულისწულ ჩარლზის შოტლანდიის მეფედ ოფიციალურად კურთხე-

ვამ როიალისტებს ახალი ენერგია შთაბერა და მათ გეგმებს და პრეტენზიებს ოფიციალური, დასაბუთებული ხასიათი შესძინა. ჩარლზის, როგორც მეფის სტატუსი მისი დროშის ქვეშ მრავალრიცხოვან მომხრეს დააყენებდა. ეს განსაკუთრებით ეხებოდა ირლანდიას, სადაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მზად იყო ნებისმიერ დროს დაეწყო ანტიინგლისური გამოსვლები. აქ რესპუბლიკის მონინააღმდეგეები სამ ადამიანზე აკეთებდნენ აქცენტს. ესენი იყვნენ: გრაფი ორმონდი, პროტესტანტი-როიალისტი, მტკიცე, ღირსებით აღსავსე და საღად მოაზროვნე სარდალი; ოუენ ო'ნეილი, ირლანდიელი კათოლიკე-პატრიოტი, ირლანდიისათვის დამახასიათებლი პარტიზანული ომის მამაცი მეთაური, რომელიც გამოდიოდა ირლანდიელებისათვის ესოდენ ტრადიციული ლოზუნგით: „ღმერთისთვის, მეფისთვის და ერისთვის გაერთიანებული ირლანდია!"; რინუჩინი, რომის პაპის ნუნციო (ლათ. Nuntius- წმინდა ტახტის ელჩი ან მუდმივი წარმომადგენელი), ერთობ უნარიანი და პატივმოყვარე ადამიანი. მას არ აინტერესებდა ერეტიკოსი ინგლისელები, ირლანდიელი პატრიოტები და ადგილობრივი გვარების ბელადები, მაგრამ იგი თავგამოდებით იცავდა კათოლიკური ეკლესიის ინტერესებს მსოფლიო მასშტაბით. მას სწადდა შეექმნა კათოლიკური ირლანდია, რომელიც შევიდოდა ერთ-ერთი კათოლიკური სახელმწიფოს პროტექტორატის ქვეშ. ხელისუფლების ადგილობრივ სიმბოლურ ორგანოს წარმოადგენდა კათოლიკეთა კონფედერაციის საბჭო, რომელიც კილკენიში იყო დაფუძნებული. მასში წამყვანი პოზიცია ინგლისელ კათოლიკეებს ეკავათ. გრაფ ორმონდის გამჭრიახობა იმაში გამოჩნდა, რომ მან მეფის სიცოცხლეშივე დაითანხმა ჩარლზ I შემდეგ დათმობაზე. ირლანდიელებს ებოძათ აღმსარებლობის თავისუფლება, ხოლო მათ პარლამენტს – ავტონომია. ამით მან უზრუნველყო კათოლიკეთა, ანუ ეთნიკურ ირლანდიელთა და ამავე აღმსარებლობის ინგლისელთა უპირობო ერთგულება მონარქიის, კერძოდ სტიუარტების დინასტიისადმი. კათოლიკეები ურყევად იდგნენ მეფის დროშის ქვეშ. ეს რასაკვირველია ირლანდიელების ინგლისში შეჭრის თავისებური წინაპირობა იყო. ირლანდიელების კავშირი შოტლანდიელებთან კი უფრო დიდ საფრთხეს უქადდა ინგლისის რესპუბლიკას და აბსოლუტურად დამანგრეველ შედეგებს

მოუტანდა მას. სწორედ ამ საკითხზე მიმართა კრომველმა სახელმწიფო საბჭოს 1649 წ. 23 მარტს, როდესაც აღწერა გრაფ ორმონდის მცდელობა შეექმნა ანტიინგლისური ძალების კაეშირი. „ჩვენ თუ იქ(ირლანდიაში- ივ.მ.) ჩვენს ინტერესებს არ დავიცავთ, ისინი არა მარტო ძირს გამოუთხრიან იქ ჩვენს ინტერესებს, არამედ სულ მოკლე ხანში თავად შემოიჭრებიან ინგლისში-“ დაასკვნა კრომველმა.

ამრიგად, კრომველმა რესპუბლიკის მესვეურებს ირლანდიაში ლაშქრობისკენ მოუწოდა. მაგრამ ამ საკითხის დღის წესრიგში დაყენებას უმალ მოყვა შიგა სირთულეები. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია განხეთქილება ერთ მხრივ ხელისუფლებას, ჯარის სარდლობასა და მეორე მხრივ – ჯარის პირადი შემადგენლობის გარკვეულ ნაწილს შორის. პირადი შემადგენლობის უკმაყოფილება გამოწვეული იყო შეიძლება ითქვას ტრადიციული მიზეზებით. ეს იყო: ჯარის დათხოვნა, სახელფასო დავალიანება, ირლანდიაში ლაშქრობის გადადების სურვილი. პროტესტის სათავეში კვლავ ლეველერები და მათი ცნობილი ბელადები: ჯონ ლილბერნი, უილიამ უოლვინი და რიჩარდ ოვერტონი იდგნენ.

მაგრამ სანამ ლეველერთა მოძრაობა გაიშლებოდა და თავის უმაღლეს წერტილს, მაისის აჯანყებას მიაღწევდა, რესპუბლიკას და კრომველს მოუწიათ კიდევ ერთი რადიკალური მოძრაობის დაძლევა. ეს იყო დიგერების (Digger-ინგლ., აქ – მბარავი) მოძრაობა. მათ ჯერარდ უინსტენლი და უილიამ ევერარდი ხელმძღვანელობდნენ. დიგერები თავის თავს ჭეშმარიტ ლეველერებს უწოდებდნენ და ქონების სრული გათანაბრებისაკენ ისწრაფოდნენ. ამ მიზნით მათ უშენი მიწების დამუშავება დაიწყეს სენტ ჯორჯ ჰილზე(წმინდა გიორგის გორაკზე), სარის საგრაფოში. მოძრაობის მონაწილეები კოლექტიურ საკუთრებას, კოლექტიურ შრომას და საყოველთაო თანასწორობას ქადაგებდნენ. ამაზე თუნდაც ის მეტყველებს, რომ ფერფაქსთან შეხვედრისას უინსტენლიმ და ევერარდმა ქუდები არ მოიხადეს. როდესაც მათ ჰკითხეს თუ რატომ არ მიაგეს პატივი გენერალს, ჯარის მთავარსარდალს, შემდეგი პასუხი მიიღეს: „იგი უფლის მიერ გაჩენილი ისეთივე ქმნილებაა, როგორებიც ჩვენ ვართ.“ დიგერების პამფლეტების გაცნობა დაგვარწმუნებს, რომ მათი პროტესტი და მოწოდებები

მნიშვნელოვანწილად წარმოადგენდნენ რეაქციას იმ სინამდვილეზე, რომელიც რევოლუციის შემდეგ მოვიდა. დაპირებები, ლამის აღთქმული ქვეყნის მოლოდინი, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ იმის გაცნობიერება, რომ მონარქიის რესპუბლიკით შეცვლა სულაც არ ნიშნავს არსებული მდგომარეობის სასწაულებრივად შეცვლას და სამოთხის დადგომას, როგორც ამას თავად იმ მოვლენათა თანამედროვენი ამბობდნენ. სწორედ ამაზე წერდნენ დიგერთა თავკაცები თავის ერთ-ერთ პამფლეტში. „...ინგლისის ხელისუფლებავ, თუმცა კი შენ შეპირდი ამ ქვეყნის ხალხს, რომ თავისუფლებას უბოძებ, მაგრამ ამის ნაცვლად შენ იგი კიდევ უფრო მეტად დაიმონე. ამ ხალხს სასამართლოებში ჩაგრავენ მომრიგებელი მოსამართლეები, მდივნები, სასამართლოს აღმასრულებლები, კომიტეტები...“ როგორც ჩანს, იმ ხანად, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ძველი სახელისუფლებო სტრუქტურის გაუქმებას აღიქვამდა, როგორც საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს შექმნას. ამას თან ახლდა რელიგიური ენთუზიაზმი. მოძრაობის თავკაცები თავის თავს წინასწარმეტყველებს უწოდებდნენ, ამბობდნენ, რომ ხილვები ჰქონდათ და რომ ზეციდან გარდმოსული ხმა ამცნობდა მათ ჭეშმარიტი, სამართლიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. „ქრისტე, ღრუბლებიდან გამომავალი, თქვენკენ მოაბიჯებს, ასე რომ, ძლიერნო ამა ქვეყნისა, მონახეთ სხვა ადგილი, თუკი თქვენებურად გსურთ ცხოვრება“- წერდა თავის ერთერთ პამფლეტში უინსტენლი. თავის გამთანაბრებლურ იდეებს იგი ბიბლიური, კერძოდ სახარების დებულებებით ასაბუთებდა. „სიტყვა ლეველერი(გამთანაბრებელი – ივ.მ.), თქვენში დაცინვას იწვევს, მაგრამ განა სახრებაში არ სწერია, „ნეტარ არიან გლახაკნი სულითა, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი.“ გეუბნებით, წმინდა წერილი ხორცს ისხამს. იესო ქრისტე ლეველერთა თავკაცია“- ამბობდა უინსტენლი. უნდა ითქვას, რომ უინსტენლი მარტო არ იყო ამგვარი იდეების ქადაგებაში. იმ დროის ერთ-ერთი რადიკალი მქადაგებელი ჯონ არჩერი თავის პამფლეტში „ქრისტეს პირადი მმართველობა დედამიწაზე“ წერდა: „ვინ არიან ის წმინდანები, რომლებმაც უნდა მართონ ქვეყანა, როდესაც უფალი ჩამობრძანდება დედამიწაზე, თუ არა ღარიბები? ღარიბო ხალხო, სულით არ დაეცეთ, ღმერთი თქვენ გამოგიყენებთ

თავისი ძის სასუფევლის ქადაგებისათვის. ხმა აიმაღლეთ.“

მაგრამ დიგერების მოძრაობამ განვითარება ვერ ჰპოვა, თუმცა მათ გამოუჩნდათ გარკვეული რაოდენობის მიმდევრები სხვა საგრაფოებში, მაგ. ნორსჰემპტონშირში. ხელისუფლებამ დაარბია მათი კომუნური მეურნეობები. რასაკვირველია, კრომველი დიგერების და სხვა ამგვარი გამთანაბრებლური წამოწყების მოწინააღმდეგე იყო. რა განაპირობებდა კრომველის ამგვარ პოზიციას? იყო ეს შეძლებული და მაღალ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ საფეხურზე მდგომი ადამიანის უგულებელყოფა უფრო დაბალ საფეხურზე მდგომების მიმართ? მაგრამ ამ საზოგადოებრივ-ეკონომიკური საფეხურის წარმომდგენლები (კოპიჰოლდერები, კოტერები, დღიური მუშები, შეგირდები,) საკმაო რაოდენობით იყვენენ კრომველის ჯარში და თავად იგი არაერთხელ აღტაცებაში მოსულა მათ მიერ ბრძოლაში გამოვლენილი თავდადებითა და სიმამაცით. ამიტომ კრომველის ამგვარ პოზიციას სხვა ასხნა სჭირდება. თუ ცნობილი ინგლისელი ღვთისმსახურის, პუბლიცისტისა და სტატისტიკოსის, უილიამ ჰარისონის მონაცემებით ქვეყნის მოსახლეობის 9/10 სწორედ ზემოდასახელებული საზოგადოებრივ-პროფესიული ჯგუფების წარმომადგენლები წარმოადგენდნენ, მაშინ მათი ხელისუფლებაში მოსვლა, ვისაც საერთოდ არასოდეს ჰქონია ძალაუფლებასთან შეხება, კრომველისა და იმ სოციალური ფენის წარმომადგენელთა აზრით, რომელსაც იგი ეკუთვნოდა, დაარღვევდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წონასწორობას. მათი აზრით ამის საწინდარი იყო დიგერების მანიფესტი „ჭეშმარიტი ლეველერების მიერ აღმართული დროშა,“ რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „ყველა სათემო ან უშენი მიწა უნდა დამუშავდეს ინგლისსა და მთელს მსოფლიოში იმ ადამიანების მიერ, ვისაც საერთოდ არ გააჩნია საკუთრება.“ ამის გარდა დიგერები აქტიურად მოუწოდებდნენ სხვა ადამიანებს შემოერთებოდნენ მათ, სანაცვლოდ კი სასმელ-საჭმელს და ტანსაცმელს პირდებოდნენ. ასე რომ, თავად დიგერები მთლად გლახაკნი და უპოვრები არ ყოფილან. რაც შეეხება მათ მეზობლად მდებარე მეურნეობების მფლობელებს, მათგან დიგერები უბრალოდ მუქარის ძალით მოითხოვდნენ კოლექტიურ შრომაში მონაწილეობას. საბოლოოდ დიგერების აგრარულმა კომუნიზმმა მარცხი განიცადა

და არა მხოლოდ იმის გამო, რომ მათი ისედაც მცირე ახალშენები სამთავრობო ჯარის ნაწილებმა დაარბიეს. საზოგადოებრივი და განსაკუთრებით ქონებრივი გათანაბრების იდეებმა, რომლებსაც ისინი ქადაგებდნენ ფეხი ვერ მოიკიდეს მათ თანადროულ ინგლისში და ვერც სხვა დროს მოიკიდებდნენ. საუკუნეების მანძილზე ქვეყნის კანონმდებლობა და საზოგადოებრივ-ზნეობრივი ნორმები ემსახურებოდნენ ინგლისელთა ცნობიერებაში სოციალური იერარქიისა და საკუთრებისადმი პატივისცემის აღზრდას. ამიტომ დიგერების მარცხი უნდა შეფსდეს არა მხოლოდ როგორც სახელმწიფოს ძალმომრეობის შედეგი, რომელიც პრინციპში თავის ეკონომიკურ საფუძველს, კერძო საკუთრებას იცავდა, არამედ უფრო მეტად როგორც მათი იდეების უპერსპექტივობა XVII ს. ინგლისის საზოგადოებრივ სინამდვილეში.

უფრო რთულ მოვლენას წარმოდგენდა ზემოთქმული ლევლერთა მოძრაობა ჯონ ლილბერნის მეთაურობით. აქ სირთულე ის იყო, რომ ლეველერებს მიმდევრები და მომხრეები ყავდათ ჯარის გარკვეულ წრეებში. პროტესტი გამოწვეული იყო როგორც მატერიალური პრობლემებით, პირველ რიგში ეს იყო სახელფასო დავლიანება, ასევე ჯარისკაცთა მოთხოვნით აღედგინათ ჯარში დემოკრატიული ინსტიტუტები, გაეუქმებინათ რიგი გადასახადებისა. სახელფასო დავალიანების საკითხი დადებითად გადაწყდა. კრომველის დაუღალავი მეცადინეობით ჯარს გამოეყო ათი ათასი გირვანქა სტერლინგი. ეს თანხა სამხედრო-საზღვაო ფლოტისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ კრომველმა „იყოჩაღა“ და მეტოქეებს თანხა „წაგლიჯა,“ რასაც ფლოტის მესვეურთა გაგულისება მოყვა. უფრო რთული იყო პრობლემის მეორე ნახევრის გადაჭრა, რომელიც რაღაცა ფორმით უკავშირდებოდა პოლიტიკურ მოთხოვნებს. ამგვარი პოლიტიკური აქტიურობა არ არის გასაკვირი. რევოლუციების დროს მემარცხენე ელემენტები ყოველთვის ისწრაფვიან პოლიტიკური მდგომარეობის უფრო მეტი რადიკალიზაციისაკენ. იმ რთულ მდგომარეობაში, რომელშიც იმყოფებოდა ინგლისის რესპუბლიკა, ერთადერთ ძალად, რომელსაც უნარი შესწევდა დაეცვა ქვეყანა როგორც საგარეო საფრთხისაგან და ასევე რადიკალიზმის შესაძლებელი უსაზღვრო განვითარების შედაგად შექმნილი ანარქიისაგან, იყო არმია. და აი ამ დროს, სახელმწიფოე-

ბრიობის ამ მთავარ დასაყრდენს პოლიტიკური რყევები და დესტაბილიზაცია ემუქრებოდა. ამას შესაძლოა რესპუბლიკის დამხობაც კი მოყოლოდა. შიგაპოლიტიკურ ბრძოლას და ანარქიას უდავოდ მარჯვედ გამოიყენებდნენ როიალისტები და პრესბითერიანები.

პროტესტის სათავეში მყოფმა ლეველერთა ბელადებმა ჯონ ლილბერნმა, უილიამ უოლვინმა და რიჩარდ ოვერტონმა თავისი მორიგი პამფლეტები გამოაქვეყნეს სათაურით „ინგლისის ახალ ბორკილებს ფარდა აეხადა“ და „მელებზე ნადირობა.“ პამფლეტებში გაკრიტიკებული იყო ჯარის სარდლობა იმისათვის, რომ მან არ შეასრულა ხალხისთვის მიცემული დაპირებები. განსაკუთრებით კრიტიკის ქარცეცხლში გაახვიეს კრომველი, რომელსაც ახალი მეფეც კი უწოდეს. „როცა არ უნდა მიმართოთ კრომველს, – წერდნენ პამფლეტის ავტორები, იგი გულზე დაიდებს ხელს, თვალებს მაღლა აღაპყრობს, ღმერთს შესთხოვს მოწმედ დაუდგეს, აქვითინდება, მოინანიებს და იმავდროულად ისე შემოგცხებთ, რომ ნეკნებს ჩაგიმტვრევთ.“ თავად ლილბერნი ძალზე საინტერესო კითხვას სვამდა. „ოფიცრები პარლამენტის და ხალხის ბატონ-პატრონებად ხომ არ გადაიქცევიან?“ ნამდვილად, იმ დროს, სამხედროთა როლის ზრდიდან გამომდინარე შეიძლებოდა გარკვეული წუხილის და შეშფოთების გამოთქმა ქვეყანაში სამხედრო მმართველობის დამყარების შესაძლებლობით. ამ შემთხვევაში ლილბერნი ნამდვილად ერთობ ძლიერ პოლიტიკურ ალღოს ავლენდა. მაგრამ როგორც ჩანს, იგი ერთ რამეს ვერ ამჩნევდა. ოფიცრები, რომლებიც ლილბერნის შეშფოთებას იწვევდნენ და საერთოდ ჯარი, უკვე სიტუაციის ბატონ-პატრონები იყვნენ, რადგან ისინი თავისუფლებისათვის იბრძოდნენ. მათ მოაშორეს ქვეყანას მეფე, რომელიც რევოლუციის ბანაკის აზრით თავისუფლების მიღწევის გზაზე მთავარ წინაღობას წარმოადგენდა. ამრიგად, ჯარი ახალი ტიპის საზოგადოების და სახელმწიფოს დასაყრდენად იქცა. სწორედ ამიტომ პარლამენტი და სახელმწიფო საბჭო ჯარს და არა ლეველერებს უჭერდნენ მხარს. ეს უკანასკნელნი კი დესტაბილიზაციის წყაროდ განიხილებოდნენ. შეიძლება ლილბერნის მიერ გამოთქმული ეჭვის ფონზე სამოქალაქო ხელისუფლება პოლიტიკურ სიბეცეში დავადანაშულოთ. ალბათ არ ღირს აჩქარება. ისტორიის გადასახედიდან

ადვილია შორსმჭვრეტელი განცხადების გაკეთება. როგორც ჩანს, იმ კონკრეტულ სიტუაციაში პარლამენტს ან თუნდაც სახელმწიფო საბჭოს უფრო ფეთქებადი, ძნელად გამოსაცნობი და დაუდეგარი ჯონ ლილბერნი აშინებდა, ვიდრე „რკინისგვერდებიანი," გაწონასწორებული ოლივერ კრომველი, რომელიც არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის შენარჩუნებას უზრუნველყოფდა. განგებას, რომელზედაც მუდმივად მიანიშნებდა კრომველი, განუხრელად მიყავდა ქვეყანა მისთვის განკუთვნილი გზით. მაგარამ ყველაზე დიდი ალღო, რომელიც ესოდენ საჭიროა პოლიტიკურ ბრძოლაში, მით უფრო რყევებით აღსავსე რევოლუციის პერიოდში, ისევ კრომველმა გამოავლინა. ამის დასტურად ისიც კი კმარა, რაც მოხდა სახელმწიფო საბჭოში, რომლის წინაშე ლილბერნი და მისი თანამოაზრეები წარსდგნენ ზემოხსენებული პამფლეტების გამოქვეყნების შემდეგ. სათათბირო ოთახში კრომველმა მაგიდას მუშტი დაჰკრა და ხმამღლა დაიძახა: „გეუბნებით, ბატონებო, სხვა გზა არა გაქვთ. ან თქვენ გაანადგურებთ მათ (ლეველერებს- ივ.მ.), ან ისინი გაგანადგურებენ თქვენ. ყველაფერი რაც კი მოხდა, დაღვრილი სისხლი, გაღებული ხარჯი თქვენ კისერზე დარჩება. თქვენს მიერ ამდენი ხნის მანძილზე გაწეული შრომა, განცდილი ტკივილი, ამხელა მეცადინეობა ფუჭად ჩაივლის. თქვენ კი მსოფლიოს ყველა მოაზროვნე ადამიანის წინაშე წარსდგებით როგორც სულელი და მხდალი ადამიანების საზიზღარი თაობა, რომელიც დაამარცხეს და მიწასთან გაასწორეს ამ უღირსმა ადამიანებმა. კიდევ ერთხელ გეუბნებით, თქვენ მათ აუცილებლად ბოლო უნდა მოუღოთ." მას კარგად ესმოდა იმ დროის პოლიტიკური ბრძოლის ულმობელი ხასიათი. სახელმწიფო საბჭომ ერთი ხმის უმრავლესობით ლილბერნს და მის თანამოაზრეებს პატიმრობა მიუსაჯა.

მაგრამ კრომველის ურთიერთობა ლეველერებთან ამით არ დასრულებულა. ლილბერნის, უოლვინის და ოვერტონის დაპატიმრებამ ლონდონელთა აღშფოთება და საპროტესტო მსვლელობა გამოიწვია. მსვლელობის მონაწილეები, რომელთა შორის ბევრი ქალი იყო, პარლამენტს მიადგნენ. დემონსტრანტების გარკვეულმა ნაწილმა შენობაშიც კი შეაღწია. მათ შორის ჯარისკაცებიც იყვნენ, რომლებმაც ჩახმახშეყენებული დამბაჩებიც კი დაადეს მკერდზე პარლამენტის

ზოგიერთ დეპუტატს. პეტიციაში, რომელსაც ათი ათასი ლონდონელი აწერდა ხელს, იყო მოთხოვნა – დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ დაპატიმრებული ლეველერები. პეტიცია აქციის მონაწილე ქალმა წარმოადგინა. პარლამენტარმა, ვისაც ამ ქალმა პეტიცია მიაწოდა, უთხრა მას: „პეტიციების წარდგენა ქალების საქმე არ არის. აჯობებდა, თქვენ რომ სახლში დარჩენილიყავით და ჭურჭელი გაგერცხათ.“ პასუხმაც არ დააყოვნა: „სერ, ჩვენ ცოტა ჭურჭელი გვაქვს, საჭმელი კი კიდევ უფრო ცოტა, რომ მას ამდენი რეცხვა სჭირდებოდეს.“ მეორე დეპუტატმა სცადა უფრო ზომიერი შენიშვნა მიეცა და თქვა: „ ცოტა უცნაურია, როცა ქალები პეტიციებს წარადგენენ.“ მოპასუხე ქალმა აქაც იმარჯვა. „ უცნაური უკანონოს არ ნიშნავს. უცნაური იყო, მეფეს რომ თავი მოკვეთეთ. მაგრამ თქვენ ხომ მიგაჩნიათ, რომ სავსებით კანონიერად მოიქეცით?“- უთხრა ქალმა და პარლამენტის დეპუტატიც გაჩუმდა. შემდეგ ჯერი კრომველზე მიდგა. იგივე ქალი მას ლაბადაში სწვდა და ლაზათიანად შეახურა იმისთვის, რომ იგი ყურადღებას არ აქცევდა უბრალო ხალხს და მის მოთხოვნებს. „შენ მხოლოდ მაშინ გვაქცევ ყურადღებას და გვისმენ, როდესაც ფული გჭირდება ომისთვის“- უთხრა ქალმა. ასეთი საყვედური ორ რამეზე მეტყველებს. ხალხი კრომველს იცნობდა, ხოლო თავად ქალი მეტ-ნაკლებად ერკვეოდა იმაში, თუ ვინ ვინ იყო პოლიტიკურ ელიტაში. „შენ გგონია, რომ ჩვენ ახლა არაფერი გვაბადია, მაგრამ არც ეგრეა საქმე. რაღაც მაინც შეგვრჩა, მაგრამ არა შენთვის და სისხლისღვრისათვის, არამედ იმისთვის, რომ შენ წინააღმდეგ გამოვიყენოთ“- უთხრა ქალმა. „რა არის ის, რაც გაქვთ და რის გამოყენებასაც აპირებთ?“- ჰკითხა კრომველმა. „ქვეყნის ის უფლებები და თავისუფლებები, რომლებსაც შენ შეგვპირდი“- უთხრა ქალმა. მერე მან ჩამოთვალა დაპატიმრებული ლეველერების გვარები, რომლებიც მისი თქმით, უკანონოდ დააპატიმრეს. ამაოდ ცდილობდა კრომველი მისთვის განემარტა, რომ დადგენილება დაპატიმრების შესახებ პარლამენტმა გამოიტანა გასამართლების შედეგად. ამაზე ქალმა მას შემდეგი პასუხი გასცა: „ სერ, თუკი თქვენ მათ ან ნებისმიერ სხვას მოკლავთ, მოკლავთ უკანონოდ და მაშინ ერთადერთი, რაც ჩვენ დაგვაკმაყოფილებს, იქნება მათი მკვლელების სიკვდილი. და თქვენც, სერ, გამოგასალმებთ წუთისო-

ფელს, თუკი თქვენ ასე მოექცევით მათ.“ აი ასეთ ფორმაში ჩაიარა ხელისუფლების ურთიერთობამ თავისუფლებას ზიარებულ და მის დასაცავად გამოსულ ხალხთან. რასაკვირველია, ეს ადამიანები არ ცხოვრობდნენ დალხენილი ცხოვრებით. სამოქალაქო ომმა პრაქტიკულად მოშალა წარმოება და ვაჭრობა. ჭირდა სურსათ-სანოვაგე, მოსახლეობა განიცდიდა საწვავის მწვავე დეფიციტს. 1642-1653 წწ. ინგლისში გაძვირების ათწლეულს უწოდებდნენ. სტატისტიკოსები, რომლებიც ფასებისა და ხელფასების საკითს სწავლობდნენ, ხშირად გულწრფელად აღნიშნავდნენ, რომ საკვირველი იყო, თუ როგორ ახერხებდა მშრომელი ხალხი საკუთარი თავის გამოკვებას. სავალალო მდგომარეობაში იყო ქვეყნის ფინანსებიც. ომმა შეამცირა საფინანსო ბაზარი და არნახულად გაზარდა სამხედრო ხარჯები. საომარი მოქმედებები ყოველწლიურად პარლამენტს შვიდი მილიონი გირვანქა სტერლინგი უჯდებოდა. შეიქმნა ბიუჯეტის დიდი დეფიციტი და გაიზარდა სახელმწიფო ვალი. ამ დავალიანებას კი ხელისუფლება გადასახადების გაზრდის მეშვეობით ფარავდა, რაც თავის მხრივ მძიმე ტვირთად აწვებოდა მოსახლეობას. სწორედ ამიტომ, პარლამეტში შეჭრილმა ქალმა უფლებებთან და თავისუფლებასთან ერთად ცარიელი ჭურჭელი და სურსათის სიმწირე ახსენა. ფაქტობრივად მან უბრალო ლონდონელების ჩივილი გაახმოვანა. ყოველდღიური, ყოფითი პრობლემები ლეველერების აგიტაციის წყალობით გადაჭდობილი იყო აბსტრაქტულ ცნებებთან. ერთობ დამახასიათებელი სიტუაციაა რევოლუციური ხანის ყოფისა და ცნობიერებისათვის.

ამრიგად, შიგაპოლიტიკურ ასპარეზზე რესპუბლიკა შეიძლება ითქვას, ორ ცეცხლს შუა მოექცა. მას დაუპირისპირდნენ ჯარის ნაწილი და მოსახლეობა, ვინც ჯარის ამ კრიტიკულად განწყობილ ნაწილს იცავდა. ლეველერთა აგიტაცია ჯარის დეზორგანიზაციას გამოიწვევდა. და ამის სათავეში იდგა ჯონ ლილბერნი, რომელიც ჯერ კიდევ ჯარში ირიცხებოდა და გარკვეულ წარმატებას(წოდებრივ წარჩინებას) მიაღწია. მაგრამ მერე, რევოლუციის გაღრმავებისა და რადიკალიზაციისაკენ სწრაფვამ იგი სარდლობასთან და საერთოდ, ხელისუფლებასთან კონფლიქტში მოიყვანა. რა შეიძლება კიდევ ერთხელ ითქვას ჯონ ლილბერნზე? ბრიტანული ისტორიოგრაფია ახასიათებს

მას როგორც დაუმორჩილებელ ადამიანს, დოგმატიკოსს, პრაგმატიკოსს, რომლის აზროვნებაც დოგმების შეზღუდულ, ვიწრო ჩარჩოებში იყო მოქცეული. მას შეეძლო ძალზე იოლად ცუდი რამ გადაებრალა სხვა ადამიანისთვის. ეს იყო დაკვირვებული, თეორიული პრინციპების წვდომის უნარის მქონე ადამიანი, იმის სურვილით შეპყრობილი, რომ მოესმინა, თუ როგორ უკრავდნენ ტაშს. გამოდიოდა რა რადიკალური მოთხოვნებით, მას იმავდროულად არ გააჩნდა იოტისოდნა ლტოლვა, მონაწილეობა მიეღო მართვა-გამგეობის საქმეში, ანუ განეხორციელებინა თავისი მოთხოვნები. მის ლოზუნგებს გარკვეულწილად ანარქიზიმის ელფერი დაჰკრავდა, რადგანაც გამოთქმულია აზრი, რომ იგი საერთოდ მმართველობის, როგორც ასეთის, წინააღმდეგი იყო. მაგრამ ჯარისკაცთა და თვით ოფიცერთა გარკვეული ნაწილი აყვა მის მოწოდებებს.

ნუ შევეცდებით სავარაუდო მოვლენების განჭვრეტას, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო, ლილბერნის მოწოდებებს ხორცი რომ შეესხა. ეს უბრალოდ ანტიისტორიულია. რესპუბლიკა, როგორც ხელისუფლება, რომელიც გარკვეული საზოგადოებრივი ჯგუფის ძალაუფლებით არის გამოხატული, ამ უკანასკნელის შენარჩუნებისკენ და საერთოდ, როგორც მმართველობის ნებისმიერი ფორმა, საკუთარი უსაფრთხოებისკენ ისწრაფოდა. ეს ხორციელდებოდა იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფის სახელით, რომელიც ძალაუფლებას ფლობდა. ეს უპირობო აუცილებლობაა, განსაკუთრებით რევოლუციურ ხანაში, როდესაც პოლიტიკურ რყევებს თითქმის მუდმივი ხასიათი აქვს და ძალაუფლება კი ერთობ ადვილად მოსაპოვებელ მოვლენად წარმოჩნდება. ლეველერების პროპაგანდის შედეგად მოხდა რიგი ამბოხებებისა, მაგ, პოლკოვნიკ უოლის პოლკში, იარაღი ხელში აიღეს კაპიტანმა ტომპსონმა, კორნეტმა დინმა და თავის შეიარაღებულ თანამებძოლებთან ერთად შეუტიეს სარდლობას. ამბოხება ჯარში პირველ რიგში ანარქიის გამომწვევია. მისი შედეგების განჭვრეტა პრაქტიკულად შეუძლებელია. ეს კარგად ესმის რევოლუციის, ანუ ძალადობის მეშვეობით შექმნილ და მით უფრო სამხედრო ხელისუფლებას, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მისთვის ესოდენ ნაცნობი ძალადობის ახალი ტალღა არ დაუშვას. სწორედ

ამიტომ სარდლობამ ჩაახშო ჯარის სხვადასხვა ნაწილში მომხდარი გამოსვლები და ამბოხებები. ეს მოხდა კრომველის და ფერეფაქსის ინიციატივითა და უშუალო მეთაურობით. კვლავ ნუ გადავიჭრებით ვარაუდებში, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ ეს ამბოხებები უბრალოდ ახალ სამოქალაქო ომს მოიტანდნენ, რომლის სავარაუდო შედეგებზე ძალზე ძნელია რაიმეს თქმა. რევოლუციურ ხანაში ძალაუფლება სისასტიკით აღიჭურვება და სისასტიკითვე იცავს თავს. თავად კრომველი კი ამგვარ სიტუაციაში მოიქცა მთავარსარდლის ვალდებულების შესაბამისად. ამბოხება ეს შეურცხყოფა, სილის გაწვნაა მთავარსარდლისათვის, ხოლო მეამბოხეთა ნება-სურვილის შესრულება არა მისი დიდსულოვნების ან დემოკრატიულობის, არამედ უსუსურობის გამოვლენაა. მას როგორც მეთაურს, უბრალოდ არა აქვს უფლება დაუშვას მეამბოხეთა თარეში და პაიკად იქცეს მათ ხელში! მის მიერ მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებების შემდეგ მას უკუსვლის უფლება არ ჰქონდა. ეს არის არა პატივმოყვარეობა ან დესპოტობა, არამედ კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში საკუთარი მოვალეობის გაცნობიერება. ეს ულმობლობაა? მაგრამ განა მეამბოხეებმა და მათმა თავკაცებმა არ იცოდნენ, რომ ამბოხება ჯარში უბრალოდ დაუშვებელია და აქედან გამომდინარე რა ელოდათ მათ დამარცხებისა და ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში? ისტორია ულმობელია მათ მიმართ, ვინც საჭირო, ამისათვის აუცილებელ მომენტში თავად ვერ იჩენს ულმობლობას, როგორც ამას თურქთა მამად(ათათურქად) წოდებული, თანამედროვე თურქეთის დამაარსებელი მუსტაფა ქემალი ამბობდა. ის, ვინც ისტორიული მომენტის აუცილებლობას და ნება-სურვილს ვერ ჩაწვდება, მას ისტორია თავის ვეებერთელა, უკიდეგანო სანახებში ერთ მიყრუებულ ადგილს მიუჩენს. რევოლუციური ხანის ქარტეხილები თავისებური გამოცდაა ისტორიული პირისათვის და კრომველმაც ჩააბარა ეს გამოცდა. მაგრამ როგორ დაასრულა თავისი საქმიანობა მისმა მოწინააღმდეგემ, მუდმივმა მეამბოხემ, მუდამ მშფოთვარე ჯონ ლილბერნმა? ლონდონელების პარლამენტში შეჭრის და ზემოაღნიშნული მშფოთვარე ქალის კრომველთან ლამის შეხლა-შემოხლის შემდეგ იგი გაანთავისუფლეს. მისი შემდგომი ცხოვრება კვლავ სავსე იყო პოლიტიკური ხასიათის

გამოხდომებით, რისთვისაც იგი ჯერ ინგლისიდან გაასახლეს, შემდეგ უკან უნებართვოდ დაბრუნებისთის ციხეში ჩასვეს. საბოლოოდ იგი კვაკერთა რელიგიურ მიმდინარეობას შეუერთდა და შესაბამისად პაციფიზმისა და უწყინარი ცხოვრების გზას დაადგა. ირწმუნა რა მისი საბოლოო დაშოშმინება, კრომველმა იგი ციხიდან გამოაშვებინა. ლილბერნმა ვესტ-ინდოეთში გადასახლების უფლება ითხოვა, თანაც მგზავრობის ფულის გადახდა მთავრობას სთხოვა. მისი ეს თხოვნა არ დააკმაყოფილეს, მაგრამ კრომველის ინიციატივით ლილბერნს მიწის ნაკვეთი უყიდეს და პენსიაც დაუნიშნეს კვირაში 40 შილინგის ოდენობით(დღევანდელი კურსით დაახლოებით 143 გირვანქა სტერლინგი), რომელსაც იგი გარდაცვალებამდე, 1657 წლის 29 აგვისტომდე იღებდა. ასე რომ მბრძანებლად დაბადებულმა მეამბოხედ დაბადებულს სიცოცხლის ბოლოს ხელიც კი გაუმართა.

ჯარში მომხდარი ამბოხებების ჩახშობა თავისებური ეტაპობრივი მოვლენა იყო ინგლისის რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი იმის მანიშნებელი იყო, რომ პოლიტიკურ ურთიერთობებში შემდეგი გამძაფრება აღარ მოხდებოდა. არ არსებობდა იმის გარანტია, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შემდგომი რადიკალიზაცია მოიტანდა მასში მყარი სტრუქტურების შექმნას, რომლებიც განაპირობებდნენ ყოველდღიური ცხოვრების მშვიდ, გამოზომილ რიტმს. იმაზე მეტი, რაც მოხდა, იმ დროს ვერ მოხდებოდა. საზოგადოება ვერ გახდებოდა უფრო მეტად ლიბერალური. თავისუფლების შემდგომი გაღრმავება-გაფართოება შემოიტანდა მისი გამუდმებული დაცვისათვის თავისებური დამთრგუნავი ინსტიტუტების შექმნის აუცილებლობას. ეს ყველაფერი კი დაახლოებით იქნებოდა იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სურათის მსგავსი, რომელსაც XVIII-XIX სს. აღწერდა ინგლისელი ფილოსოფოსი ჯერემი ბენტამი, რაც მისი აზრით, მოხდებოდა გამთანაბრებლობის(კომუნისტური) იდეების გამარჯვების შემთხვევაში. ეს XX ს. მკაფიოდ წარმოჩნდა იმ ქვეყნებში, სადაც პროლეტარიატის დიქტატურის იდეამ გაიმარჯვა. ლეველერების მოთხოვნა, საარჩევნო უფლებები მიენიჭებინათ ყველა მამაკაცისათვის, იმ მოსახლეობაში, რომლის უდიდესი ნაწილიც იყო წერა-კითხვის უცოდინარი და სრულიად დამოკიდებული კონსერვა-

ტიულ ლენდლორდებზე, კიდევ უფრო რეაქციულს გახდიდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას. ამგვარად, ქვეყანამ შეინარჩუნა სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობა, თანაც ჯარის წყალობით. სწორედ ალბათ ამიტომ, ამბოხებების ჩახშობის შემდეგ კრომველი, ფერფაქსი და რამდენიმე უფროსი ოფიცერი ოქსფორდის უნივერსიტეტში მიიწვიეს. ოქსფორდშირში მომხდარი სამხედრო ნაწილის ამბოხება ხომ ყველაზე დიდი იყო იმ ყველა გამოსვლას შორის, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სხვადასხვა საგრაფოში. საუნივერსიტეტო კოლეჯების ხელმძღვანელობამ და პროფესორ-მასწავლებლებმა სტუმრებს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. ერთობ საინტერესოა, სამოქალაქო ომის დროს ოქსფორდი როიალისტების დასაყრდენი იყო და მეფის შტაბ-ბინაც იქ იყო განლაგებული. მოგვიანებით მანდ პრესბითერიანების გავლენა დამყარდა. მაგრამ ახალი ყაიდის ჯარის ინდეპენდენტური მრწამსის მიუხედავად სამეცნიერო-სასწავლო წრეებმა სწორედ კრომველსა და მის თანამოაზრეებში დაინახეს საზოგადოებისათვის ესოდენ საჭირო სტაბილურობის და წესრიგის დასაყრდენი. სტუმრებს პატივი და დაფასება არ დაჰკლებიათ. კრომველს და ფერფაქსს სამართლის საპატიო დოქტორების ხარისხი მიენიჭათ, ხოლო პოლკოვნიკებს ჰარისონს, ინგოლდსბის, ჰიუსონსა და კაპიტან ოკის – მაგისტრების. კრომველი და ფერფაქსი დოქტორებისათვის განკუთვნილი საპატიო ალისფერი ლაბადებით შემოსეს. სტუმრებს საზეიმო სიტყვით მიმართეს, რომელშიც მათ „გამოჩენილი პატრიოტები" უწოდეს. საპასუხო სიტყვით მასპინძლებს კრომველმა მიმართა. როგორც გვამცნობენ, მისი სიტყვა ერთობ კეთილმოსურნე და შეიძლება ითქვას, უზადოც კი ყოფილა, რაც ნამდვილად გასაკვირია იმ ტლანქი და გაურანდავი გამოსვლების ფონზე, რაც კი მისგან მოუსმენიათ. თუმცა კი თავად სიტყვამ დაარწმუნა მსმენელები და პირველ რიგში პროფესორ-მასწავლებლები, რომ მომხსენებელს ამდენი დიდება ტყუილად არ რგებია. კრომველმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვერცერთი რესპუბლიკა ვერ მიაღწევს წარმატებას სწავლა-განათლების გარეშე. როგორც ჩანს, ეს თავისებური იდეოლოგიური სვლა იყო. პირველობა განათლების გადაუდებელ საჭიროებაში მმართველობის ახალ ფორმას, რესპუბლიკას, და არა ძველს, მონარქიას მიაკუთვნეს. „ახალი

ხელისუფლება ძალ-ღონეს არ დაიშურებს განათლების ხელშეწყობისათვის, იმის მიუხედავად, რაც არ უნდა თქვან ამის საპირისპიროდ მისმა ოპონენტებმა"- თქვა კრომველმა. როგორც ჩანს, უნივერსიტეტის მესვეურები ამ შეხვედრას ისეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რომ ტრადიციისდა საწინააღმდეგოდ მას სტუდენტებიც კი დაასწრეს. იქნებ იმიტომ, რომ მეფის ხელისუფლება, პირადად ჩარლზ I და კენტერბერის არქიეპისკოპოსი ლოდი მფარველობდენენ ოქსფორდის უნივერსიტეტს. მათი პირადი განკარგულებით უნივერსიტეტს მიენიჭა არაერთი პრივილეგია, ხელი შეეწყო საქვეყნოდ ცნობილი ბოდლის ბიბლიოთეკის ფონდის ზრდას და საგამომცემლო საქმის განვითარებას. პროფესორ-მასწავლებლებს ახსოვდათ მონარქიის ზრუნვა და ალბათ ცნობისმოყვარეობით იყვნენ განმსჭვალულები, თუ როგორ უყურებდნენ და რას მოიმოქმედებდნენ ეს ტლუ და გაუთელი ჯარისკაცები სწავლის, მეცნიერებისა და სწავლულთა მიმართ. დასასრულს მოეწყო საზეიმო მსვლელობა. დოქტორების ალისფერი ლაბადებით შემოსილმა კრომველმა და ფერფაქსმა ოქსფორდის ქუჩებში ჩაიარეს. მათთვის, ვისაც როიალისტების ზეობის დროის ოქსფორდი ახსოვდათ, ეს სანახაობა ალბათ შემაძრწუნებელი იყო. ჭეშმარიტად მუხანათი და ულმობელია წუთისოფელი. სამოქალაქო ომის დასაწყისში იგივე ოქსფორდის რექტორები და პროფესორ-მასწავლებლები ზარ-ზეიმით ეგებებოდნენ ჩარლზ I და მის თანხმლებ კავალერებს. გავიდა დრო და ისეთივე აღტაცებული დახვედრა მოუწყვეს და პატივი მიაგეს მრგვალთავიანებს, იმათ, ვინც მეფეს ებრძოდა, დაამარცხა იგი და ბოლოს სიკვდილით დასაჯა. საინტერესოა, როგორი დახვედრა ერგებოდათ ლეველერებს და დიგერებს ინდეპენდენტებზე, ე.ი. კრომველზე, ფერფაქსზე და აირტონზე რომ გაემარჯვათ? თუკი, რასაკვირველია, ისინი ეწვეოდნენ ოქსფორდს. ერთი რამ კი უცილობელია. ძლიერნი ამა ქვეყნისა ყოველთვის საჭიროებენ იდეურ მხარდაჭერას, გონების, ცოდნისა და დახვეწილი სიტყვის დასტურს. სწორედ ამიტომ ისინი გვერდს ვერ აუვლიან იმ ასპარეზს, სადაც ცოდნის, სწავლის და სამეცნიერო შემოქმედების დახვეწა და განვითარება ხდება.

ვუზღოთ კრომველს საკადრისად იმ ბრძნული ფრაზისთვის, რომ

ვერც ერთი სახელმწიფო ვერ აყვავდება სწავლა-განათლებისა და მის განვითარების გარეშე. მაგრამ ინგლისის რესპუბლიკა მხოლოდ ცოდნაზე, სწავლაზე და განათლებაზე ვერ იქნებოდა დაფუძნებული. მას ძლიერი მატერიალური შესაძლებლობებიც სჭირდებოდა. ეს შესაძლებლობები კი ლონდონის სიტის, „ფინანსური არისტოკრატიის" ხელში იყო. სიტის დიდვაჭრები და ფინანსისტები, სწორედ ეს საზოგადოებრივი ჯგუფები ფლობდნენ იმ რაოდენობის ფულად თანხებს, რომლებიც ფულის ბაზრის ფუნქციონირებისათვის იყო საჭირო და რომლებიც ნებისმიერ ხელისუფლებას სჭირდებოდა. სიტის ბატონ-პატრონთა „დაფრთხობა" ან მით უფრო შევიწროვება, რაც შეიძლება რომ მოყოლოდა რადიკალების გამარჯვებას, კიდევ უფრო შეავიწროვებდა ან საერთოდ მოშლიდა ფინანსურ ბაზარს. ამას კი შეიძლება კატასტროფული შედეგები გამოეწვია. ქვეყნის ეკონომიკა ვერ დაეყრდნობოდა ლეველერების ან მით უფრო დიგერების იდეებს. ამიტომ სიტის ადმინისტრაციამ, ლონდონის მუნიციპალურმა ხელისუფლებამ კრომველის, ფერფაქსის და საერთოდ, ჯარის სარდლობის საპატივსაცემოდ წვეულება გამართა. ეს იყო სიტის და სარდლობის ერთიანობის დემონსტრაცია. წვეულებას 7 ივნისს, სანელებლებით მოვაჭრე კომპანიის კუთვნილებაში მყოფმა გროუზერ ჰოლმა უმასპინძლა. წვეულებას კრომველი, ფერფაქსი, გენერლები, უფროსი ოფიცრები(მაიორები და ზემოთ),ბრედშო, უაითლოკი, გრაფები პემბროკი, სოლსბერი, სახელმწიფო საბჭოს, დიდი ბეჭდის სხვა წევრები და კომისრები ესწრებოდნენ. წვეულებამ, რომელიც დიდი ფუფუნებითა და მრავალფეროვანი კერძების სიუხვით გამოირჩეოდა, არნახულად საზეიმო ვითარებაში ჩაიარა. მას წინ უძღოდა ტრადიციული პარაკლისი, ხოლო თავად ნადიმი წარიმართა სამხედრო საყვირებისა და დაფდაფების თანხლებით. სიტის მესვეურებმა კრომველს და ფერფაქსს ლამაზად მოვარაყებული ოქროს დიდი თასები, ლანგრები და ოქროსგან დამზადებული სხვა ნივთები მიართვეს. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად ესადაგებოდა ასეთი ფუფუნებით აღსავსე სუფრა პურიტანებისათვის დამახასიათებელ და მათ მიერ ნაქადაგებ სისადავის, ყაირათიანობის და მომჭირნეობის პრინციპებს, მაგრამ ისიც უდავოა, რომ კრომველებისათვის დამახასიათებელი, როგორც უკვე ითქვა

ადრე, კარაქიანი პურითა და ლუდით ფონს გასვლა, რაც სტუმრების ფარულ გულისწყრომას იწვევდა, ნამდვილად ვერ გამოდგებოდა გროუზერ ჰოლში, ესოდენ მაღალი საზოგადოების გამასპინძლებისათვის. ნადიმი იმდენად უხვი გამოდგა, რომ მისი ნარჩენები დაურიგეს ლონდონის ღარიბობას და ციხეში მყოფ პატიმრებს. ასევე ლონდონის ღარიბობას დაურიგეს თანხა 400 გირვანქა სტერლინგის ოდენობით. აღნიშნული ხელგაშლილობა დედაქალაქის გლახაკთა და უპოვართა მიმართ შემთხვევითი არ ყოფილა. ძლიერნი ამა ქვეყნისა მშვენივრად გრძნობდნენ, რომ მოსახლეობის ამ ფენის მეტ-ნაკლებად გული მოგება იყო საჭირო. ჯერ კიდევ ძველი რომიდან მომდინარე მასების დაშოშმინების საშუალება, „პური და სანახაობა," კვალავ ძალაში რჩებოდა. თუმცა რესპუბლიკაში პურიტანები უკვე ნელ-ნელა ავიწროვებდნენ და სდევნიდნენ კიდეც სხვადასხვა სანახაობას, კერძოდ თეატრს, მოკრივეთა მატჩებს, ჯამბაზების ქუჩის წარმოდგენებს და კიდევ სხვებს, როგორც უწმინდურ მოვლენებს, მაგრამ „პური"- ს აღკვეთა უბრალოდ არ შეიძლებოდა. მით უფრო, როდესაც ნადიმზე მინვეული უმაღლესი პირები გროუზერ ჰოლისკენ მიემართებოდნენ, მათ ქუჩაში არც თუ ისე სასიამოვნო შეძახილების მოსმენაც მოუხდათ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ვიღაცამ ისიც კი მოახერხა, რომ კრომველის ეტლს ბორბალი დაუზიანა. ამის გამო სახელოვან სარდალს, რომელიც ბრძოლის ველზე შიშის ზარს სცემდა მტრებს, არც თუ ისე სასიამოვნო სიტუაციაში გაჩერება და მოცდა მოუხდა. ასე რომ, თვით გმირები და მბრძანებლები არ არიან სრულიად დაზღვეულები ხალხის მხრიდან გაუთვალისწინებელი უსიამოვნებისაგან. ამბავი, რომელიც კრომველს შეემთხვა, ამის შესანიშნავი დასტურია.

ირლანდია. სისხლიანი ლაქა. დაუნდობელი ურჩხული თუ ულმობელი ეპოქა?

1997 წ. დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, რომლებშიც ლეიბორისტებმა გაიმარჯვეს. ახალი კაბინეტის ჩამოყალიბებიდან ცოტა ხნის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრს რობინ კუკს მეგობრული ვიზიტით ეწვია ირლანდიის რესპუბლიკის(ეირეს) პრემიერ-მინისტრი ბერტი აერნი. სტუმარმა შეალო კუკის კაბინეტის კარი, შეაბიჯა ოთახში და უცებ მეხნაკრავივით უკან გამოვარდა. რამ დააფრთხო ირლანდიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი? კუკის კაბინეტში, კედელზე, კრომველის პორტრეტი ეკიდა. აერნმა განაცხადა, რომ არ შევა კუკის კაბინეტში, სანამ იქ იმ მკვლელის სურათი ეკიდება. კუკი მოერიდა ურთიერთობის გართულებას, დიპლომატიურ კონფლიქტს და ჩამოხსნა სურათი. რა მოხდა კრომველის ირლანდიაში ყოფნის დროს, 1649 წ. 15 აგვისტოდან 1650 წ. 26 მაისამდე ისეთი, რომ XX ს. მიწურულს ირლანდიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი არ შევიდა იმ ოთახში, სადაც ამ ცნობილი ინგლისელი სარდლისა და სახელმწიფო მოღვაწის პორტრეტი ეკიდა? თავის დროზე ინგლისელი მწერალი, კრიტიკოსი და საერო თეოლოგი ჯილბერტ ჩესტერტონი წერდა, რომ ირლანდიელებს არასოდეს დაავიწყდებათ ის, რაც ინგლისელებმა ჩაიდინეს ირლანდიაში XVII ს., ხოლო თავად ინგლისელებს კი ეს არასოდეს ახსოვთ. ეს არის, ჩესტერტონის აზრით, მომხდარი ტრაგედიის არსი. რაზეა დაფუძნებული ირლანდიელების ესოდენ დიდი სიძულვილი კრომველისადმი, რომ 1999 წ., კრომველის დაბადებიდან 400 წლისთავთან დაკავშირებულმა ღონისძიებებმა საშინლად გააღიზიანეს ირლანდიელები და ინგლისელი, მათ შორის ჰანტინგდონელი კათოლიკეები, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ეს იუბილე ჩაეშალათ. ღონისძიების ორგანიზატორებს, მათ შორის ცნობილ ისტორიკოსს, ჯონ მორილს, რომელიც იკვლევს კრომველის

ცხოვრებასა და მოღვაწეობას, თავს ესხმოდნენ და სიკვდილითაც კი ემუქრებოდნენ. რა ჩაიდინა კრომველმა ირლანდიაში 350 წლის წინ, რით იყო განპირობებული მისი მოქმედება და როგორ შეიძლება შევაფასოდ იგი ისტორიის გადასახედიდან?

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის რესპუბლიკამ შეინარჩუნა შიგაპოლიტიკური წონასწორობა, გაანეიტრალა რადიკალური პოლიტიკური დაჯგუფებები, მისი საგარეოპოლიტიკური მდგომარეობა კვლავ რთული იყო. საფრთხე მომდინარეობდა შოტლანდიიდან, სადაც უფლისწული ჩარლზი მეფედ, ჩარლზ II აკურთხეს. ჰოლანდია, რომელიც ზღვაზე ესპანეთის პოზიციების დასუსტების შემდეგ ინგლისის მთავარ საზღვაო მეტოქედ იქცა, მასთან ომის დაწყებას აპირებდა. მაგრამ ყველაზე დიდი საფრთხე რესპუბლიკას ირლანდიიდან ემუქრებოდა. 1649 წლიდან პარაქტიკულად მთელი ირლანდია გახვეული იყო ანტიინგლისური ბრძოლის ქარცეცხლში. ამ ბრძოლას ბიძგი მისცა აჯანყებამ, რომლის დროს ირლანდიაში მყოფი სამი ათასი ინგლისელი პროტესტანტი გაწყვიტეს და ამდენივემ ინგლისში გაქცევით უშველა თავს. მაშინდელმა ინგლისურმა პრესამ ეს ციფრები კიდევ უფრო გაბერა და ამ გაზვიადებულმა მონაცემებმა უფრო მეტი სიძულვილის და შურისძიების გრძნობით აღავსო ინგლისელები ირლანდიელების მიმართ. რასაკვირველია, ობიექტურად ეს იყო სავსებით კანონზომიერი განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომელსაც ირლანდიელი კათოლიკე-პატრიოტები აწარმოებდნენ ჯერ კიდევ XVI ს. ინგლისელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ამ ბრძოლას სათავეში ედგა „გაერთიანებულ კათოლიკეთა საყოველთაო ასოციაცია.“ მაგრამ XVII ს. 40-იანი წლებიდან ამ ბრძოლაში ირლანდიელებთან ერთად ჩაებნენ ინგლისელი როიალისტებიც, როგორც კათოლიკეები, ასევე პროტესტანტები და ინგლისის რესპუბლიკის მოწინააღმდეგე ინგლისელი პრესბითერიანები. ასე რომ, ეს იყო საკმაოდ ფართო ანტიინგლისური სამხედრო-პოლიტიკური ფრონტი. მას მეფის წარმომადგენელი და ნდობით აღჭურვილი პირი გრაფი ორმონდი ხელმძღვანელობდა. 1649 წ. იანვარში, კალაქ კილკენიში შედგა შეთანხმება ურთიერთდახმარების შესახებ ზემოხსენებულ ასოციაციასა და გრაფ ორმონდს შორის. ჩარლზ I სიკვდილით დასჯის შემდეგ ალსტერის(ოლქი ჩრდილო-აღ-

მოსავლეთ ირლანდიაში) პრესბითერიანებმა და როიალისტებმა ირლანდიის მეფედ უფლისწული ჩარლზი გამოაცხადეს. ამან ინგლისელი პურიტანი-ინდეპენდენტები კიდევ უფრო მტრულად განაწყო ირლანდიისა და ირლანდიელთა მიმართ. ირლანდია როიალიზმის ბობოქარ ბუდედ იქცა, რომელიც მუდმივ საფრთხეს უქმნიდა ინგლისის რესპუბლიკას. როიალისტთა წრეებში კათოლიკეთა აქტიურმა როლმა კი ინგლის-ირლანდიის დაპირისპირებას სარწმუნოებრივი შეურიგებლობის ხასიათი შესძინა და ფაქტობრივად აქცია იგი პროტესტანების რელიგიურ ომად კათოლიკეთა წინააღმდეგ. ინგლისელთა და პირველ რიგში რესპუბლიკის ჯარის სიძულვილი ირლანდიელთა მიმართ არნახულად მძაფრი იყო. ირლანდიელები, რომლებთანაც ჯერ კიდევ ჩარლზ I აბამდა ინტრიგების ქსელს, პარლამენტის წინაშე წარმოჩნდნენ როგორც ინგლისის რესპუბლიკის დაუძინებელი მტრები. აქედან გამომდინარე, მათი გამარჯვების შემთხვევაში ირლანდია გადაიქცეოდა იმ პლაცდარმად, საიდანაც დაიწყებოდა რესპუბლკის დამხობის გეგმების განხორციელება. 1649 წ. აგვისტოსათვის ინგლისის რესპუბლიკის მოწინააღმდეგე სამხედრო ძალები და პოლიტიკური დაჯგუფებები აკონტროლებდნენ ირლანდიის ტერიტორიის 80%-ს. მათ მეთაურობდა ზემოხსენებული გრაფი ორმონდი, რომელსაც მისი ფართო უფლებამოსილების დასტურად მეფედ შერაცხულმა ულისწულმა ჩარლზმა წვივსაკრავის ორდენი უბოძა. ორმონდის დაქვემდებარებაში იყვენენ ირლანდიელი კათოლიკეები, ადგილობრივი ინგლისური წარმოშობის პროტესტანტები, ინგლისელი კათოლიკე-კოლონისტები და როიალისტთა ჯარი, რომელიც ირლანდიაში საფრანგეთიდან გადასხეს. პარლამენტის კონტროლს მხოლოდ დუბლინი და მისი ოლქი ექვემდებარებოდნენ. რესპუბლიკის პოზიციას აუარესებდა მისი წარუმატებლობა ზღვაზე. ირლანდიის სამხრეთ სანაპიროსთან ულისწულ რუპერტის ესკადრამ შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა პარლამენტის ფლოტზე. რესპუბლიკას საფრთხე ემუქრებოდა და ეს საფრთხე შეიძლება კიდევ უფრო სერიოზული გამხდარიყო. შექმნილ სიტუაციას კიდევ უფრო ამუქებდნენ ჭორები, რომლებიც ინგლისში, კერძოდ ლონდონში ვრცელდებოდა. ლაპარაკობდნენ კრომველის დაპირისპირებაზე ჯართან და უფრო მეტიც, მის

სიძესთან, ჰენრი აირტონთან, რომელიც ადრე მას ყოველთვის ერთგულად ედგა მხარში. მაგრამ მოგვიანებით ორივე ჭორი გაქარწყლდა. პირველ შემთხვევაში თავად ჯარისკაცებმა გამოაქვეყნეს პამფლეტი, რომელშიც უარყვეს ხმები თავის სარდალთან დაპირისპირების შესახებ, ხოლო მეორე შემთხვევაში სიძე-სიმამრის კეთილი ურთიერთობა დადასტურდა სარდლობის ახალი ბრძანებით. ჰენრი აირტონი დაინიშნა იმ ჯარის გენერალ-მაიორად, რომელიც კრომველის მეთაურობით ირლანდიაში უნდა გაეგზავნათ.

ამრიგად, რესპუბლიკამ გაიცნობიერა საფრთხე, რომელიც მას ემუქრებოდა და როგორც ყველა სრულფასოვან სახელმწიფოს მართებს, დაიწყო თავის დაცვაზე ზრუნვა. ნათქვამია, რომ ყველაზე კარგი თავდცვა თავდასხმაა, რასაკვირველია კონკრეტული პირობებისა და შესაძლებლობების სრული გაცნობიერებითა და გაანალიზებით. რესპუბლიკას გააჩნდა შესაბამისი საშუალებები და მანაც დაიწყო მზადება ირლანიაში გალაშქრებისათვის. 20 ივნისს თემთა პალატამ კრომველი დანიშნა ირლანდიაში გასაგზავნი ჯარის მთავარსარდლად და ირლანდიის ლორდ-ლეიტენანტად. ტრადიციულად, ეს იყო მეფისნაცვალის წოდება გარკვეულ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულში, რესპუბლიკის დროს კი ლორდ-ლეიტენანტი იგზავნებოდა ადგილზე როგორც უზენაესი სახელისუფლებო სტრუქტურის, იმ კონკრეტულ შემთხვევაში კი პარლამენტის წარმომადგენელი. ასე რომ, კრომველის ხელთ იყო უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო ძალაუფლება. ასეთი უფლებამოსილებით აღჭურვას კრომველმა არნახულად თავმდაბალი სიტყვით უპასუხა, რომელშიც აღნიშნა, რომ არ იმსახურებს ასეთ მაღალ ნდობას და რომ არ გააჩნია სათანადო უნარი, მაგრამ იქვე დასძინა, რომ ყველაფერ ამაში ხედავს ღმერთის უზენაეს ნებას, ემორჩილება მას და ყველაფრით, თუნდაც თავის სიკვდილის მეშვეობით წინ აღუდგება მტრების სწრაფვას – აჯობონ რესპუბლიკას ირლანდიაში. კრომველის მიერ საკუთარი თავის ესოდენ დამდაბლებაში ალბათ პარლამენტის მიმართ არნახული მადლიერების გამოხატვის მცდელობა უნდა ვიგულისხმოთ. მას ხომ ირლანდიაში ჩასვლის დღიდან დაენიშნა წლიური ხელფასი 13 ათასი გირვანქა სტერლინგის ოდენობით. მაგრამ ტყვია-წამლის, მუშკეტე-

ბის, ზარბაზნების და სხვა აღჭურვილობის შესაძენი ფულის შოვნა საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა. ლონდონის სიტი, სამხედრო კამპანიების ტრადიციული დამფინანსებელი, საკმაოდ სკეპტიკურად უყურებდა სამომავლო ლაშქრობას ირლანდიაში. ბევრს არც კი სჯეროდა, რომ კრომველი ირლანდიაზე გაილაშქრებდა. ივლისის დასაწყისში სამეფო და საეკლესიო მიწების გაყიდვის მეშვეობით 30 ათასი გირვანქა სტერლინგი შეგროვდა და კრომველმაც შესაბამისად აღჭურვა და შეაიარაღა თავისი ჯარი.

მთელი ეს პერიოდი ირლანდიაში მყოფი, ფაქტობრივად ალყაშემორტყმული ინგლისური ძალებისათვის დიდი სიძნელეებით აღინიშნა. რესპუბლიკელთა ამ გაჭირვებულ მდგომარეობას გაკილვით წარმოაჩენდნენ როიალისტთა სატირიკული ჟურნალები. ერთ-ერთ მათგანში გამოსახული იყო დუბლინის მმართველი (გუბერნატორი), პოლკოვნიკი მაიკლ ჯონსი, რომელიც დახმარების მოლოდინში ირლანდიის ზღვის გაღმა, ინგლისის სანაპიროს გაჰყურებდა, საიდანაც კრომველის წითელი ცხვირი შუქურასავით ანათებდა(კრომველს ხომ ხშირად ხუმრობით ცხვირასაც ეძახდნენ). იქვე გესლიანი მინაწერი იყო იმის თაობაზე, რომ ირლანდიის ნესტიანი, ნოტიო ჰავა მალე ჩააქრობს ამ შუქურას. ასე რომ, როიალისტები კრომველს და საერთოდ ინგლისელებს ახლო მომავალში სრულ და სამარცხვინო დამარცხებას უწინასწარმეტყველებდნენ. არ არის გამორიცხული, რომ კრომველმა ნახა ეს კარიკატურა გესლიანი მინაწერით და კარგად დაიმახსოვრა იგი. მაგრამ იმ ეტაპზე მას ფულის პრობლემა უნდა გადაეჭრა და მან შეძლო მიეღო იმის შესაბამისი გარანტია, რომ ლაშქრობისათვის საჭირო 100 ათასი გირვანქა სტერლინგიდან 70 ათასს ის ირლანდიაში ჩასვლისთანავე მიიღებდა.

ფინანსური პრობლემის გადაჭრის გარდა კრომველმა ერთ მნიშვნელოვან, შეიძლება ითქვას საკადრო წარმატებას მიაღწია. შესაბამისი მოლაპარაკების მეშვეობით მან დაითანხმა და გადაიბირა ლორდი ბროგჰილი, რომელსაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა როგორც ირლანდიელთა ბელადებს, ასევე ირლანდიაში მყოფ ადგილობრივი ორიენტაციის მქონე ინგლისელ დიდკაცობას შორის. მომავალში სავარაუდო დიპლომატიური სვლებისათვის ლორდი ბროგჰილი ერთობ

ძვირფასი შენაძენი იყო. „ირლანდიაში, თითეულ პროვინციაში ლორდ ბროგჰილისნაირი ერთი კაცი რომ ყოფილიყო, მაშინ იქ აჯანყება არ მოხდებოდა“- ამბობდა კრომველი. კრომველის მიერ გადადგმული ნაბიჯი, ერთდროულად როგორც მარჯვე და მოხერხებული, მაგრამ იმავე დროს ძალზე სარისკოც იყო. ლორდი ბროგჰილი, უდავოდ კარგი მეომარი, გონიერი და დიპლომატიური უნარის მქონე ადამიანი ერთ ხანს მონარქიის სამსახურში აპირებდა ჩადგომას. კრომველმა იგი ერთობ საფუძვლიანად „დაამუშავა,“ შეპირდა, რომ სახელმწიფო საბჭოს დევნას ააცილებდა თავიდან და შეაგონა რესპუბლიკის მხარე დაეჭირა. ბროგჰილმა მას სიტყვიერი პირობა მისცა. ზოგიერთი ავტორი გაკვირვებას გამოთქვამს, თუ როგორ ენდო მას კრომველი სიტყვაზე. მაგრამ კრომველს ალღომ არ უღალატა. ლორდმა ბროგჰილმა მიცემული სიტყვა არ გატეხა და კრომველის ერთ-ერთი დაახლოებული პირი გახდა.

ექსპედიციის მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, თუ რა უძღოდა წინ კრომველის გამგზავრებას ირლანდიაში. 11 ივლისს, გამგზავრების დღეს, ლონდონში პარაკლისი გადაიხადეს. მსახურებაში სამი ღვთისმსახური მონაწილეობდა. კრომველმაც კი წაიკითხა საჯაროდ ლოცვა. და აი, პარაკლისის დასრულების შემდეგ, ნაშუადღევს, ხუთ საათზე, კრომველის ეტლი, რომლის თავზე თეთრი დროშა (ალბათ როგორც ირლანდიის დამშვიდების სიმბოლო) ფრიალებდა და რომელშიც ექვსი წმინდა სისხლის ფლანდრიული ფაშატი იყო შებმული, ლონდონიდან ბრისტოლისაკენ დაიძრა. ესკორტი 80 ოფიცრისაგან შედგებოდა და როგორც ერთ-ერთი გაზეთი იუწყებოდა, მასში უფროსი ოფიცრებიც, კერძოდ, პოლკოვნიკებიც იყვნენ. კორტეჟი საყვირების თანხლებით მიემართებოდა. იგივე გაზეთმა ერთობ რიხიანი მოწოდება გამოაქვეყნა: „აბა ლორდო ორმონდ, დამიდექი ახლა თუ ბიჭი ხარ! ან რესპუბლიკა, ან არაფერი!“ ოთხშაბათს, 1 აგვისტოს, ინგლისში საყოველთაო მარხვა გამოცხადდა, რათა ღმერთს სამხედრო ექსპედიცია დაელოცა. ერთი სიტყვით, რესპუბლიკის „ირლანდიული ფსონი“ არნახულად დიდი იყო. ამას ისიც კი ადასტურებს, რომ კრომველის ბრისტოლში ჩასვლისთანავე იქ უქმე დღე გამოცხადდა. ასე რომ, შეიძლება ითქვას, კრომველს უფლება არ ჰქონდა არ გაემარ-

ჯვა. ეჭვი არ არის, რომ ლორდ-გენერალი მშვენივრად გრძნობდა, თუ რაოდენ დიდი ტვირთი აჰკიდეს მხრებზე. ბრისტოლიდან კრომველმა უელსს მიაშურა, სადაც ტენბიში გაჩერდა და იქ ყოფნისას ადგილობრივ ღარიბებს(დღეს ტენბი დაახლოებით ხუთი ათას მაცხოვრებელს ითვლის) 10 გირვანქა სტერლინგი (დღევანდელი კურსით დაახლოებით 715 გირვანქა) დაურიგა. ტენბიდან კრომველი მილფორდ-ჰეივენის გზას დაადგა, სადაც გარკვეული დროით დაყოვნდა ექსპედიციისათვის საჭირო თანხების მოლოდინში. სწორედ იქ მიიღო მან ცნობა იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის გენერალი მონკი ირლანდიაში დანებდა ადგილობრივ სარდალს ლორდ ინჩიკუინს. ეს რასაკვირველია ართულებდა რესპუბლიკის მდგომარეობას ირლანდიაში. სირთულეები თავად კრომველსაც ჰქონდა. ჯარის პირადი შემადგენლობა უარს ამბობდა ირლანდიაში გამგზავრებაზე ფულადი ანაზღაურების გარეშე. მან წერილი მისწერა პარლამენტს და ამცნო კანონმდებლებს, თუ რა დამთრგუნავი შთაბეჭდილება მოახდინა მის ჯარზე ცნობამ მონკის კაპიტულაციის შესახებ. ადგილი ჰქონდა დეზერტირობასაც. პასუხად თემთა პალატამ მიიღო დადგენილება, რომელშიც ცალსახად უარს ამბობდა ნებისმიერ მოლაპარაკებაზე მეამბოხე პაპისტებთან, ე.ი. კათოლიკე ირლანდიელებთან. ამრიგად, შეურიგებლობა ირლანდიისა და ირლანდიელი კათოლიკეების მიმართ შეიძლება ითქვას საკანონმდებლო დონეზე გაფორმდა და ოფიციალური სახელმწიფო პოლიტიკის ფორმა და შინაარსი შეიძინა. ლაშქრობა დასაბამიდანვე ღვთისმოსაობის(პროტესტანტულ-პურიტანულ ყაიდაზე) საბურველით შეიმოსა და ღვთიურ საქმედ იქცა. ამგვარი იდეოლოგიური შეურიგებლობა კი ჯარსა და მის სარდალს ხელ-ფეხს უხსნიდა ნებისმიერი სახის ქმედებისათვის, მით უფრო საომარი მოქმედებების დროს. პარლამენტის გადაწყვეტილებამ გამოხატა ინგლისის შეურიგებელი დამოკიდებულება ირლანდიის მიმართ. კრომველს, რომელსაც დაშნა ეპყრა ხელთ, ამ გადაწყვეტილებისათვის ხორცი უნდა შეესხა. მაგრამ როდესაც ამგვარი გადაწყვეტილება დაშნის მეშვეობით ხორციელდება, მაშინ მოთხოვნა თუ ვარაუდი ვინმეს დანდობასა ან რაიმისგან თავის შეკავებაზე რბილად რომ ვთქვათ, უადგილოა. კრომველის სამხედრო კამპანია ირლანდიაში თავიდანვე ანტიკათოლიკური, პროტეს-

ტანტული ჯვაროსნული ლაშქრობის სულისკვეთებით გაიჟღინთა.

შექმნილი სიტუაციის დახასიათებისას უნდა ითქვას, რომ ინგლისელთა ამგვარი დამოკიდებულება ირლანდიისადმი არ წარმოშობილა კრომველის ხანაში და მით უფრო მისი ინიციატივით. იგი სათავეს იღებდა XVI ს., ჰენრი VIII დროის რეფორმაციიდან და მნიშვნელოვნად იმძლავრა ელიზაბეთ I მეფობის ხანაში. ედმუნდ სპენსერი, „პოეტთა პოეტი," როგორც მას ეძახდნდნ ინგლისში და რომელმაც ორი ათეული წელი გაატარა ირლანდიაში მეფისნაცვლის, ლორდ გრეის სამხახურში, თავის ტრაქტატში „შეხედულება ირლანდიის მიმდინარე მდგომარეობაზე" ირლანდიას სახელმწიფოს(ანუ ინგლისის-ივ.მ.) დაავადებულ ნაწილს უწოდებდა, რომელიც განკურნებას საჭიროებდა. ეს „მკურნალობა" უნდა შეხებოდა კანონებს, წეს-ჩვეულებებს და სარწმუნოებას. მისი აზრით მანამ, სანამ ირლანდია მოიწევდა ინგლისის მიერ შემოტანილი და დანერგილი სიკეთის ნაყოფს, საჭირო იყო ადგილობრივი ბოროტების და ნაკლოვანებების აღმოფხვრა. იმისათვის, რომ ირლანდიელთა წინააღმდეგობა გაეტეხათ და ბოლო მოეღოთ მათი ბრძოლისთვის ინგლისელთა წინააღმდეგ, სპენსერი ხელისუფლებას ურჩევდა გამოეყენებინა ე.წ. „გადამწვარი მიწის" ტაქტიკა, ანუ გაენადგურებინა სახნავ-სათესი მიწები, საქონელი, რათა მათთვის სარჩო-საბადებელი მოესპო. „ისინი საფლავიდან ამოსულ მოჩვენებებს უნდა გავდნენ. მათ მახვილი კი არა, შიმშილი მოუღებს ბოლოს." ყველაფერთან ერთად იგი ადგილობრივი, კელტური(გელური) ენის ამოძირკვას მოითხოვდა. ამრიგად, ადამიანი, თავისი დროის ერთ-ერთი უდიდესი პოეტი, აბსოლუტურად არ სწყალობდა ირლანდიელებს და პრაქტიკულად მეორეხარისხოვან ხალხად მიიჩნევდა მათ. ასეთივე აზრის იყო ირლანდიელებზე იმ დროის დიდი ინგლისელი ფილოსოფოსი და სახელმწიფო მოღვაწე ფრენსის ბეკონი, რომელსაც მიაჩნდა, რომ თავისი კულტურით და საერთოდ, ცნობიერებით ირლანდიელები იმდენად დაბლა იდგნენ, რომ მათზე ბატონობა ბუნებრივ და აუცილებელ მოვლენას წარმოადგენდა. რაც შეეხება კრომველის თანამედროვეს, იმ დროის უდიდეს ინგლისელ პოეტს ჯონ მილტონს, იგი ამბობდა, რომ ირლანდიელებმა წარსულში თავისი ცუდი ქმედებებისა და პროვოკაციების გამო სავსებით

სამართლიანად დაიმსახურეს ის, რომ ინგლისის დაქვემდებარებაში არიან. ასე რომ, თუ პოეზიასთან და ფილოსოფიურ ძიებასთან შეზრდილი ადამიანები, რომელთა წინაშე დღესაც თავს ხრის კაცობრიობა ასეთი, შეიძლება რასისტული აზრებით იყვნენ შეპყრობილები, მაშინ ალბათ ძნელი იქნება პრეტენზიები წაუყენოთ ადამიანებს, რომლებიც მხოლდ დაშნის და თოფის ხმარებაში იყვნენ გაწაფულები და შორს იყვნენ დახვეწილი აზრებისა და სტროფებისაგან. ამიტომაც ამაგვარი ისტორიული ფონის გათვალისწინებით და პარლამენტის მიერ მიცემული „მწვანე შუქის" შემდეგ ირლანდიაში დატრიალებულ მოვლენები არ უნდა იწვევდეს გაკვირვებას.

გენერალ მონკის კაპიტულაციამ ერთობ პესიმისტური გარემო შექმნა კრომველის სამომავლო ლაშქრობის გარშემო. მაგრამ განგებამ, რომლის კეთილი ნების და მისდამი კეთილგანწყობის ყოველთვის ურყევად სჯეროდა კრომველს, კარგი ნიშანი არგუნა მას კამპანიის დაწყებამდე. ეს იყო ცნობა შთამბეჭდავი გამარჯვების შესახებ, რომელიც რესპუბლიკის ჯარის მეთაურმა, პოლკოვნიკმა ჯონსმა მოიპოვა როიალისტებზე დუბლინთან. ჯონსის ხელქვეით მხოლოდ ხუთი ათასი ჯარისკაცი იყო, მაშინ, როცა გრაფ ორმონდის ჯარი 19 ათას კაცს ითვლიდა. მაგრამ სწორედ კრომველისეული, ახალი ყაიდის ჯარის ტაქტიკური ხერხების, მოულოდნელი თავდასხმების, სწრაფი მანევრების გამოყენებით ჯონსმა სძლია რიცხვობრივად ჯარბ მოწინააღმდეგეს. ეს კი კრომველისათვის მისი ჯარის გამხნევების მნიშვნელოვანი საშუალება იყო. ალბათ ამ კარგმა ამბავმა და ბრძოლის ყიჟინის მოახლოებამ კრომველში ის რიხი, ჟინი და აღტღინება გამოიწვია, მას რომ ტრადიციულად ბრძოლის წინ ეუფლებოდა. ეს შემტევი და რიხიანი გუნება-განწყობა მან პირველ რიგში გაუზიარა თავის უახლოეს ადამიანებს, კერძოდ, თავის მძახალს, თავისი ვაჟის, რიჩარდის სიმამრს, რიჩარდ მეიორს. ეს წერილი მან მძახალს 13 აგვისტოს გაუგზავნა, მანამ, სანამ მისი ხომალდი „ჯონ"-ი ირლანდიისაკენ აიღებდა კურსს. „გასაოცარი წყალობაა, სწორედ ისეთი, ჩვენ რომ ვნატრობთ, აბა რაღა ვთქვათ? უფალი მადლიერებით გვივსებს სულს, რათა ჩვენი ბაგეები არ დაიღალონ მისი ქება-დიდებით. ილოცეთ ჩემზე, ბატონო ჩემო, რათა ღირსეულად ვიარო იმ გზაზე, რო-

მელზედაც მან მიხმო.“ კრომველს არც თავისი საყვარელი რძალი, დოროთი დავიწყებია, იგი მას კეთილ სურვილებს უთვლის, არიგებს, რომ ღმერთი ეძიოს და თავის ქმარს, რიჩარდს იგივე შეაგონოს. მამობრივი მზრუნველობით მოუწოდებს მას თავს გაუფრთხილდეს, საჭიროების შემთხვევაში ეტლით იმოძრაოს. კრომველს მხედველობაში ჰქონდა ის, რომ დოროთის მუცელი მოეშალა. „უფალი ძალზე ახლოსაა და ჩვენ ვხედავთ ამას მისი დიდებული ნამოქმედარის წყალობით. ის დაგვყურებს, თუ რაოდენ აღვივსებით შემართებით მის გვერდში მყოფნი. ეხლანდელი გამარჯვება ირლანდიაში(პოლკოვნიკ ჯონსის-ივ.მ.) სწორედ მისი წყალობის გამოვლენაა. უნდა ვეცადოთ, რომ კიდევ უფრო მეტად აღვივსოთ მადლიერებით“- ასე ამთავრებს კრომველი თავის რძალთან მიმართვას.

ასეთი გრძნობებით იყო შეპყრობილი კრომველი, როდესაც ირლანდიისკენ მიემართებოდა, სადაც მას ესოდენ ნაცნობი და ალბათ სასურველი ასპარეზი, ბრძოლის ველი ელოდებოდა. იგი ხომ ჯარისკაცი, მეომარი იყო, რომელიც საკუთარ თავს ქრისტეს მხედრად, მისი მხედრობის მეთაურად აცნობიერებდა. რას ელოდებოდა იგი ირლანდიაში ლაშქრობისაგან? ირლანდია ხომ ათწლეულების მანძილზე ინგლისისათვის და ინგლისელი სარდლებისათვის თავისებური აქილევსის ქუსლი იყო. როგორ უყურებდნენ პარლამენტის მესვეურები კრომველის ირლანდიაში გაგზავნას? რასაკვირველია, მათ სურდათ ინგლისისათვის „ირლანდიური საფრთხის“ თავიდან აცილება, ირლანდიის სრული და საბოლოო დამორჩილება, ამ დამორჩილებიდან მომდინარე მოგებით სარგებლობა, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში პოზიციების შემდგომი განმტკიცება. მაგრამ მათ ალბათ არც იმაზე დასწყდებოდათ გული, თუ კრომველი ირლანდიაში წაიბორძიკებდა. ამით ისინი სახელოვან და ძლიერ სარდალს გაანეიტრალებდნენ, რომელშიც ალბათ უკვე ხედავდნენ მომავალ პოლიტიკურ მეტოქეს. ასე რომ, ყველაფერი განგების ნებასა და მასზე ურყევად მინდობილ კრომველზე იყო დამოკიდებული.

ირლანდიის ზღვა მშფოთვარე და ძნელად გადასალახავი გამოდგა. თავად კრომველმაც ვერ ივარგა ზღვაოსნად იმ თვალსაზრისით, რომ ზღვის ავადმყოფობის(გულისრევის) მუდმივი და საშინელი შე-

ტევები ჰქონდა. როგორც ჰიუ პიტერი ამბობდა, რომელიც კრომველს ახლდა ირლანდიურ ლაშქრობაში, ალბათ არ არსებობდა სხვა ადამიანი, რომელიც ასე ცუდად უძლებდა ზღვაზე მოგზაურობას. იმასაც კი ამბობენ, რომ ამ მოგზაურობამ კიდევ უფრო გაამძაფრა მისი ისედაც ცუდი დამოკიდებულება კათოლიკე ირლანდიელებისადმი, თუმცა კი ამ შემთხვევაში ისინი არაფერ შუაში იყვნენ. 1649 წ. 15 აგვისტოს კრომველის ფლოტილია, რომელიც 35 გემისაგან შედგებოდა ირლანდიის ნაპირს მიადგა რინგსედთან, დუბლინის მახლობლად. ნაპირზე გადმოსულ კრომველსა და მის ჯარს დუბლინი ზარბაზნების ბათქებით შეეგება. ნაპირზე ურიცხვი ხალხი იყო მისული, რომლებსაც სურდათ ენახათ ის ადამიანი, რომლის შესახებ მათ ამდენი რამ ჰქონდათ გაგონილი. კრომველმა სიტყვით მიმართა შეკრებილთ. ეს სიტყვა, როგორც იმ დროის ინგლისური ქრონიკა გვამცნობს, კეთილგანწყობით იყო აღსავსე, ისევე, როგორც თავად მომხსენებელი, რომელიც ქუდმოხდილი იდგა თავისი მსმენელების წინაშე. თავის სიტყვაში კრომველმა გააცნო დუბლინელებს მისი სამხედრო ექსპედიციის მიზანი. მისი სიტყვებით, რახან განგებამ მშვიდობით ჩამოიყვანა იგი ირლანდიაში, შესაბამისად არც ამის შემდეგ მოაკლებს თავის წყალობას ამ საქმის განხორციელებაში. მან თქვა, რომ ექსპედიცია მიზნად ისახავდა მათი, ანუ ინგლისელი პროტესტანტი რესპუბლიკელების თავისუფლების და საკუთრების უსაფრთხოებას და საერთოდ, ყველა იმათ დაცვას, ვინც თავდაუზოგავად მოქმედებდა ბარბაროსი და პირსისხლიანი ირლანდიელების და მათი დამქაშების წინააღმდეგ. კრომველმა ისიც უთხრა შეკრებილთ, რომ ლაშქრობა მიზნად ისახავს ქრისტეს სახარებისეული (რასაკვირველია პროტესტანულ-პურიტანული ხედვით-ივ.მ.) სიმართლის, მშვიდობის, სიმშვიდისა და ბედნიერების აღდგენას ამ ტანჯული ხალხისათვის. ინგლისის პარლამენტი უბოძებს მათ თავის კეთილგანწყობას, მფარველობას და დაფასებას მათი ღწვისა და დამსახურების შესაბამისად. შეკრებილები აღტაცებული ყიჟინით შეეგებნენ კრომველის სიტყვას. ეს არ არის გასაკვირი. ისინი ხომ პროტესტანტები იყვნენ. პოლკოვნიკმა ჯონსმა თავიდანვე თადარიგი დაიჭირა და კრომველის ჩამოსვლამდე მაქსიმალურად გაარიდა იქაურობას კათოლიკე ირლანდიელები. რაც შეეხება კათო-

ლიკე მღვდლებს, მათი სახლებში შეშვების ან თუნდაც ერთი საათით რაიმე თავშესაფრის მიცემისათვის სიკვდილით დასჯა ან ქონების ჩამორთმევა იყო გამოცხადებული. სამაგიეროდ შეკრებილები ძალიან კმაყოფილები იყვნენ. ბევრი მათგანი ამბობდა, რომ მზად არის ურყევად დადგეს და თუნდაც მოკვდეს ამ ადამიანის გვერდით, რომელმაც ასე ნათლად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აღდგეს ირლანდიაში მშვიდობა და კეთილდღეობა იმ სულაგეზის შესაბამისად, რომლითაც ინგლისის რესპუბლიკა მიემართება. ეს კი სწორედ ის იყო, რასაც ესოდენ ელოდნენ ირლანდიაში მცხოვრები ინგლისური წარმოშობის პროტესტანტები. ინგლისის ბატონობის განმტკიცება ირლანდიაში, ეს იყო კრომველის ლაშქრობის მთავარი მიზანი. ჯერ კიდევ ბრისტოლში ყოფნის დროს, ირლანდიაში გამგზავრების წინ, მან ძველი აღთქმის შინაარსითა და სულისკვეთებით გაჟღენთილი მოწოდებით მიმართა თავის ჯარს: „თქვენ ისრაელნი ხართ, რომლებმაც უნდა შემუსრონ ქანაანის მკვიდრი წარმართები!“ ამგვარი დამოკიდებულება ირლანდიელების მიმართ იყო არა მხოლოდ კრომველის, არამედ მთელი ინგლისის, ინგლისელთა მაშინდელი ცნობიერების განუყოფელი ნიშან-თვისება. ასე ხედავდნენ მაშინდელი პროტესტანტი და განსაკუთრებით პურიტანი ინგლისელები კათოლიკეებს, განსაკუთრებით ირლანდიელებს. ინგლისელები ნოსტალგიას განიცდიდნენ „მშვიდი,“ ე.ი. მორჩილი ირლანდიის მიმართ, რაზეც თუნდაც იმ დროის ინგლისელი პოეტის პეინ ფიშერის ჩანაწერები მეტყველებს. „ როდის შეეხვდებით ჩვენ კიდევ აქ და ძველებურად მოვილხენთ?“ – სწერდა ფიშერი თავის ძმას **1641** წ., როდესაც ირლანდიაში აჯანყების ცეცხლი გიზგიზებდა.

მაგრამ ამ ყველაფერთან ერთად, როგორც ნებისმიერი სამხედრო კამპანია, ირლანდიის ლაშქრობაც მოგებასთან იყო დაკავშირებული. მასში ბევრი ფული იყო დაბანდებული. „ომსა და სიყვარულში ყველა ხერხი გამოდგება,“ – ამბობდა **XVI** ს. ინგლისელი პოეტი და დრამატურგი ჯონ ლილი. ხელისუფლება, კრომველი და მთელი ჯარი მისგან დიდ მოგებას ელოდნენ და რასაკვირველია, ყველაფერს გააკეთებდნენ, რომ შესაბამისად ეხეირათ. „მან თავისი ჯარისკაცებიდან ოქროს ხანა უნდა გამოწუროს“ – წერდა კრომველზე იმ დროის ერთ-ერთი ჟურ-

ნალი. სწორედ ამიტომ კრომველს, როგორც გამოცდილ მეთაურს, რომელიც ამხნევებდა თავის მეომრებს ძველი აღთქმის მაგალითებით, არც ომის მატერიალური მხარე ავიწყდებოდა. იგი ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ მის ჯარს სრულფასოვანი მომარაგება ჰქონოდა სურათ-სანოვაგით. მშიერი ჯარისკაცი, უცხო, მწირ ქვეყანაში მებრძოლი, ნამდვილად ვერ მოიპოვებდა გამარჯვებას. კრომველი ითვალისწინებდა წინა სამხედრო კამპანიების მწარე გამოცდილებას, რომელთა წარუმატებლობას მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა სწორედ ჯარის დუბლინზე დამოკიდებულება სურსათ-სანოვაგით მომარაგებაში და მასში არსებული ჩავარდნები. დუბლინი პარლამენტის და პროტესტანტობის დასაყრდენს წარმოადგენდა ირლანდიაში. ამიტომ კრომველმა სასწრაფოდ გამოსცა მიმართვა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ დუბლინი უნდა დამსგავსებოდა პურიტანულ ინგლისს და მისი ზნე-ჩვეულებები დაემკვიდრებინა, ნაცვლად იმისა, რომ ემოქმედა მისი მოსიხლე მტრების(კათოლიკე-ირლანდიელების) მსგავსად. ამიტომ აიკრძალა უღვთო ქცევა ანუ ქეიფი, დროსტარება, ლანძღვა-გინება, წყევლა, დაფიცება. ყველაფერში პურიტანული ნორმები დამკვიდრდა.

მაგრამ დუბლინი სულაც არ ნიშნავდა მთელ ირლანდიას. ქვეყნის ტერიტორიის უდიდეს ნაწილს, თითქმის 80% აკონტროლებდნენ პარლამენტის მოწინააღმდეგე ძალები. ესენი იყვნენ ირლანდიელი კონფედერატების შეიარაღებული ძალები და ინგლისელ პროტესტანტ-როლიალისტთა შენაერთები. ამ გაერთიანებულ ჯარს გრაფი ორმონდი მეთაურობდა. მიუხედავად თავისი რიცხვობრივი უპირატესობისა, გრაფი ორმონდი დამარცხდა დუბლინთან პოლკოვნიკ ჯონსთან ბრძოლაში. პარლამენტის ჯარმა შეინარჩუნა დუბლინი, ორმონდმა კი უკან დაიხია. საერთო უპირატესობის შენარჩუნების მიზნით მან გაამაგრა რამდენიმე ქალაქი და დასახლებული პუნქტი, რათა შეეკავებინა ირლანდიაში გადმოსული კრომველის წინსვლა. კრომველს კარგად ჰქონდა გააზრებული მის წინაშე მდგომი სიძნელეები. ამიტომ მან გადაწყვიტა მათი თანამიმდევრობით დაძლევა. პირველ რიგში ეს იყო ადგილობრივი მოსახლეობის კეთილგანწყობის თუ არა, მისი ნეიტრალიტეტის მაინც მოპოვება და საკუთარ ჯარში

დისციპლინის განმტკიცება. მან მიმართეა გამოსცა ადგილობრივი მოსახლეობისადმი, რომელშიც აღნიშნა, რომ მისი, კრომველის წარმატება იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ირლანდიელები ღირსები არიან მათ მიმართ მისი დადებითი ქმედებების. კრომველის ბრძანებით მის ჯარისკაცებს სასტიკად აეკრძალათ ადგილობრივი მოსახლეობისათვის რაიმე ზიანის მიყენება. თავის მხრივ სარდლობა გადაუხდიდა ადგილობრივ მაცხოვრებლებს ფულს მათ სახლებში ჯარისკაცების ჩაყენების შემთხვევაში. მოსახლეობას შეექმნებოდა ყველა პირობა მშვიდობიანი ვაჭრობისათვის, რათა კრომველის ჯარისთვის სურსათ-სანოვაგე მიეყიდა. სულ მალე კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ კრომველი სიტყვის კაცი იყო და ამგვარ ბრძანებას ტყუილად არ გასცემდა. როდესაც მისი ჯარი დუბლინიდან დაიძრა საბრძოლო ოპერაციების წარმოებისათვის, გზად მისმა ორმა ჯარისკაცმა ირლანდიელი გლეხი ქალები გაძარცვა. ჯარისკაცებმა მათ ქათმები წაართვეს. კრომველის ბრძნებით ორივე ჯარისკაცი მაროდიორობისათვის საჯაროდ, ჯარის თვალწინ ჩამოახრჩვეს.

მაგრამ ეს სისასტიკე საკუთარი ჯარისკაცების მიმართ და ადგილობრივი მოსახლეობის დაცვა მაროდიორებისაგან საბოლოო ჯამში ქვეყნის ინგლისისადმი დამორჩილებას, პირდაპირ ვთქვათ, მის დაპყრობას ემსახურებოდა. როგორი იყო ის ხალხი, რას წარმოადგენდა ის ქვეყანა, რომელიც ინგლისელებს უნდა დაეპყროთ? ეს იყო აბსოლუტურად სხვა სამყარო, რომლის მაგვართან კრომველს და მის პურიტან-ჯარისკაცებს არასოდეს ჰქონიათ შეხება. ეს იყო სულ სხვა ხალხი, სრულიად განსხვავებული გარეგნობით, შემაცბუნებელი იერ-სახით, თუნდაც იმიტომ, რომ ინგლისელთა აზრით უფრო შიშველები იყვნენ, ვიდრე ჩაცმულები. ეს იყო მხიარული, სტუმართმოყვარე, ცეკვა-თამაშის მოყვარული ხალხი, რომელიც დიდი რაოდენობით მიირთმევდა თავის მაცოცხლებელ წყალს, უიშკიბას, რომელსაც მსოფლიო ინგლისელთა წყალობით ვისკის სახელით იცნობს, ცხოვრობდა თავის უბადრუკ ქოხმახებში და შუაცეცხლთან თბებოდა, ხოლო საწვავად საქონლის ნაკელს იყენებდა. სიზარმაცე, რომელშიც მათ ბრალს სდებდნენ ინგლისელები, რიგი დამკვირვებლის აზრით გამოწვეული იყო იმით, რომ სამუშაო ნაკლები ჰქონდათ. ხოლო იმას, რომ ისინი

უგვანოდ (ნახევრად შიშვლები) წარმოჩნდებოდნენ, მათი სიღარიბით ხსნიდნენ. ამრიგად ჩამოყალიბდა ირლანდიელთა გარკვეული სტერეოტიპი, რომელსაც ემატებოდა პროტესტანტებისათვის და განსაკუთრებით პურიტანებისათვის ესოდენ საძულველი კათოლიკობა. ეს ყველაფერი კი, ერთად აღებული, აბსოლუტურად მიუღებელი იყო ინგლისელებისათვის და განსაკუთრებით კრომველისა და მისი ჯარისკაცებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ მათ იგივე გრძნობები ამოძრავებდათ ირლანდიელთა მიმართ, როგორებითაც მაჰმადიანების მიმართ განმსჭვალულები იყვნენ იერუსალიმზე გალაშქრებული ინგლისის მეფის, რიჩარდ ლომგულის ჯვაროსანი რაინდები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იყო პროტესტანტი-პურიტანების ჯვაროსნული ლაშქრობა კათოლიკეთა წინააღმდეგ. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ირლანდია ინგლისელი როიალისტებისათვის თავშესაფარი და თავისებური უკანა კარი იყო, რომლის მეშვეობითაც ისინი მუდმივ საფრთხეს უქმნიდნენ ინგლისის რესპუბლიკას. ამგვარად, პურიტანი ინგლისელების და კერძოდ კრომველის ჯარის ანტიირლანდიურ სულისკვეთებას საფუძვლად ედო ურთიერთგადაჭდობილი პოლიტიკური, რელიგიური და კულტურულ-ეთნოფსიქოლოგიური მომენტები. ყველფერ აქედან გამომდინარე, ალბათ ირლანდიელებიც გრძნობდნენ, რომ კარგი არაფერი ელოდათ.

სწორედ ამ სულისკვეთებით განმსჭვალულმა კრომველმა და მისმა ჯარმა შეუტიეს გრაფ ორმონდის მიერ გამაგრებულ პუნქტების ხაზს ირლანდიაში. ამ ხაზზე პირველი და უმნიშვნელოვანესი პუნქტი იყო დროედა. როდესაც ორმონდმა უკან დაიხია, მან დროედაში დატოვა ორი ათასი(ზოგიერთ წყაროში სამი ათასია მითითებული) კაცისაგან შემდგარი გარნიზონი სერ არტურ ასტონის მეთაურობით. ასტონი ინგლისელი იყო, კათოლიკე, ჩეშირის საგრაფოდან, საკმაოდ წარჩინებული ოჯახიდან. იგი გამოცდილი სამხედრო იყო. ეს გამოცდილება მან სამოქალაქო ომამდე შეიძინა, 20-30-იან წლებში, როდესაც კონტინენტზე გამართულ საომარ მოქმედებებში მონაწილეობდა. 1640 წ. იგი ინგლისში დაბრუნდა, მეფის სამსახურში ჩადგა და პირველ სამოქალაქო ომში მის მხარეზე იბრძოდა ეჯჰილის, ბრისტოლისა და ნიუბერის ბრძოლებში. 1648 წ. ასტონი ირლანდიაში ჩავიდა და გრაფ

ორმონდის ჯარს შეუერთდა. ორმონდმა იგი დროედის გარნიზონის უფროსად და ფაქტობრივად ქალაქის განმგებლად დანიშნა. ეს იყო ტიპიური ინგლისური ქალაქი და ბედის ირონიით მას ახლა სწორედ ინგლისელთა შეტევა ელოდა. როგორც უკვე ითქვა, სერ არტური გამოცდილი მეომარი იყო და კარგად აცნობიერებდა თავის არასახარბიელო მდგომარეობას მტრის რიცხვობრივი უპირატესობის პირობებში. კრომველის განკარგულებაში რვა ათასი ქვეითი ჯარისკაცი და ხუთი ათასი ცხენოსანი იყო. მაგრამ დროედა ძალიან კარგად იყო გამაგრებული, რასაც მისი საფორტიფიკაციო მონაცემები და გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებდნენ. ქალაქი სრულად იყო შემოსაზღვრული 1,5 მილის სიგრძის მძლავრი ზღუდით (კედლით), რომლის სიმაღლე 20 ფუტს (1 ინგლ. ფუტი = 30,5 სმ) უდრიდა. კედლის სისქე საძირკვლიდან შუა ნაწილამდე და უფრო ზემოდ ექვს ფუტს უდრიდა, ხოლო სულ ზედა ნაწილში ორ ფუტამდე ვიწროვდებოდა. ზემოთ კი, მთელ პერიმეტრზე ჯარისკაცებს შეეძლოთ ერთ მწკრივად განლაგება და მოწინააღმდეგისათვის ცეცხლის დაშენა. ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში წმინდა მარიამ ღვთისმშობლის ეკლესია იყო განლაგებული, რომლის მაღალი სამრეკლოდან არა მარტო მოწინააღმდეგისათვის თვალთვალი, არამედ მის წინააღმდეგ გამანადგურებელი ცეცხლის დაშენაც შეიძლებოდა. საფორტიფიკაციო ზღუდეებისა და სიმაგრეების გარდა ასტონი იმედს ამყარებდა სხვა „დამხმარე ძალებზე.“ ესენი, როგორც თვითონ ამბობდა, იყვნენ „პოლკოვნიკი შიმშილი“ და „მაიორი ავადმყოფობა.“ ეს ორი „მეთაური“ ხშირად დაუნდობელი იყო არა მარტო ალყაშემორტყმულების, არამედ მათი მოალყეების მიმართაც. გარდა ამისა, ბუნებრივი პირობები: ნესტი, ნისლი, გადაუღებელი წვიმა უარყოფითად მოქმედებდა მოალყეებზე, რადგანაც გაუთავებელი ლოდინი მათ დემორალიზაციას იწვევდა. ასე რომ სერ არტურ ასტონს თავისი მდგომარეობა სულაც არ მიაჩნდა უიმედოდ.

რას დაუპირისპირებდა ამას კრომველი? მისი საარტილერიო პარკი საკმაოდ შთამბეჭდავი იყო. იგი 12 საალყო და 11 საველე ზარბაზნისაგან შედგებოდა. კრომველმა ზარბაზნები ქალაქის სამხრეთის მისადგომებთან განალაგა. არტილერიას კაპიტანი ედუარდ ტომლინსი მეთაურობდა. ჰქონდა რა რიცხვობრივი უპირატესობა, კრომველს

მაინც იმედი ჰქონდა, რომ შესძლებდა ქალაქის მეტ-ნაკლებად მშვიდობიანად აღებას. ამის საფუძველს მას ირლანდიელი დეზერტირების გამოჩენა აძლევდა. მართალია, ეს დეზერტირები არა სერ არტურ ასტონის რაზმიდან, არამედ ლორდ ინჩიკუინის შენაერთიდან იყვნენ, მაგრამ კრომველი იმედოვნებდა, რომ მალე დროედელი დეზერტირებიც გამოჩნდებოდნენ. 10 სექტემბერს კრომველმა ოფიციალურად მიმართა სერ არტურ ასტონს და დანებება შესთავაზა. ამის ნიშნად მან თავისი ბანაკის თავზე თეთრი დროშა აღმართა და მოუწოდა ალყაშემორტყმულებს და მათ მეთაურს ჩაებარებინათ პარლამენტის ჯარისათვის მთელი საჭურველი და დანებებულიყვნენ სავარაუდო სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით. დანებების შეთავაზება ასე სრულდებოდა: „თუ თქვენ უარყოფთ ჩემს წინადადებას და არ დამნებდებით, თქვენ აღარ გექნებათ საშუალება რამეში დამადანაშაულოთ.“ ასტონმა კატეგორიულად უარყო წინადადება დანებებულიყო. „ვინც დროედას აიღებს ის ჯოჯოხეთის აღებასაც შესძლებს. დროედას მხოლოდ ეშმაკი აიღებს!“- ასეთი იყო მისი პასუხი. და აი, ასეთი პასუხის შესაბამისად კრომველის ბანაკის თავზე თეთრის ნაცვლად, სისხლის სიმბოლო, წითელი დროშა აფრიალდა, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ მხარეებს მხოლოდ ხმალი გაასწორებდა.

სწორედ აქედან იღებს სათავეს ის სისხლიანი ლაქა, რომელიც დღემდე თან სდევს ოლივერ კრომველს და რომლის გამოც კათოლიკე ირლანდიელებისათვის იგი დღემდე არის პირსისხლიანი ურჩხული(ამ სტირქონების ავტორს პირადად სმენია ამგვარი შეფასება). რა შეიძლება ითქვას ყველაფერ იმაზე, რაც ქვემოთ იქნება მოთხრობილი ომისა და ზნეობის კანონებიდან გამომდინარე? იმ ხანაში, ომის მაშინდელი პრინციპების მიხედვით, თუ ალყაშემორტყმულები პირველივე შეთავაზებაზე დანებდებოდნენ, მათ უპირობოდ შეუნარჩუნებდნენ სიცოცხლეს. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა გარნიზონს დროშებს უტოვებდნენ, ხოლო ოფიცრებს – პირად იარაღს. მაგრამ უარის შემთხვევაში, როდესაც მოლაყეები იერიშით იღებდნენ ქალაქს ან ციხე-სიმაგრეს, მაშინ ალყაშემორტყმულებს, ვინც იარაღით ხელში მონაწილეობდა დაცვაში ან ვისაც ამდაგვარად ჩათვლიდნენ, დანდობა არ ექნებოდათ და არც უნდა ჰქონოდათ ამის იმედი. იგულისხმე-

ბა სამხედროები და ის სამოქალაქო პირები, ვისაც რაღაცა ფორმით ჰქონდა შეხება ქალაქის დაცვასთან და სამხედრო აღჭურვილობასთან. ამის მაგალითად თუნდაც მეფე ჩარლზ I და უფლისწულ რუპერტის მიერ პირველ სამოქალაქო ომში ლესტერის დამცველების და განსაკუთრებით ქალების მიმართ გამოვლენილი ულმობლობის გასხენებაც კი კმარა. გარდა ამისა, იერიშის დროს, მისი სასტიკი ხასიათიდან გამომდინარე, ჭირდა მებრძოლისა და უწყინარი, სამოქალაქო პირის განსხვავება, მით უფრო მოიერიშესათვის, რომელიც ბრძოლის ჟინით და ნუ მოგვერიდება ამ სიტყვის, სისხლის წყურვილით იყო შეპყრობილი. თავად ის ხანა, რომელშიც აღნიშნულ მოვლენას ჰქონდა ადგილი, ერთობ სასტიკი და ულმობელი იყო, პრაქტიკულად ისეთივე, როგორც შუა საუკუნეები. ადამიანების სიცოცხლე მაინცდამაინც ძვირად არ ფასობდა. ამას თუნდაც სიკვდილით დასჯის მაშინდელი პროცედურები მოწმობს, როდესაც სიკვდილმისჯილებს ჯერ ციხიდან ეშაფოტამდე ცხენზე გამობმულებს მიათრევდნენ, მერე სახრჩობელაზე კიდებდნენ, რომ მეტ ნაკლებად გაეგუდათ, შემდეგ თავს კვეთდნენ, და ბოლოს, ფატრავდნენ და ანეწევრებდნენ. და ეს ყველაფერი მრავალრიცხოვანი „მაყურებლის“ თვალწინ ხდებოდა. შესაბამისად, თავის სიმართლეს ადამიანები სასტიკი და დაუნდობელი მეთოდებით ასაბუთებდნენ და იცავდნენ. ამის დასტურს თუნდაც დუელი წარმოადგენს, რომელიც ესოდენ მიღებული იყო საზოგადოების გარკვეულ ფენაში. ამიტომ ისტორიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, გაუმართლებელი და უადგილო იქნება გავკიცხოთ ან დავგმოთ ის სარდლები, რომლებიც ლმობიერებისაკენ არ მოუწოდებდნენ თავის ჯარისკაცებს. მაშინ, როდესაც მათ ირგვლივ უმოწყალო ხოცვა-ჟლეტა მიმდინარეობდა. ნუ შევეცდებით ჩვენი, დღევანდელი ცნობიერებით შევხედოთ და მით უფრო შევაფასოთ ლამის 400 წლის წინ მომხდარი მოვლენები. ეს მცდარი მიდგომაა და იგივე, რომ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ხანის საზღვაო ბრძოლის აღწერისას ავტორმა იმ დროის იალქნიანი ხომალდების ნაცვლად თანამედროვე რაკეტებით აღჭურვილ კრეისერებსა ან ავიამზიდებზე წარმოიდგინოს თავი. არადა, ასეთ დროს სწორედ საპირისპირო რამაა საჭირო. ჩვენ სწორედ იმ დროის ცნობიერებაში უნდა შევძლოთ ჩახედვა და

მისი გააზრება. უნდა გავიგოთ, თუ რამ განპირობა იმ მომენტების სულისკვეთება და ფასეულობები, რომლებმაც ის კონკრეტული ქმედებები და მათი შედეგები გამოიწვიეს.

სისასტიკე და დაუნდობლობა, როგორც უკვე ვთქვით, უცხო არ იყო იმ დროის საომარი მოქმედებებისათვის. 30-წლიანი ომი აღსავსე იყო ასეთი საზარელი მაგალითებით. მაგ. ასეთ ჟლეტას ადგილი ჰქონდა მაგდებურგში XVII წ. 30-იან წლებში. 1645 წ. 13 სექტემბერს, ფილიფოსთან ბრძოლაში გენერალმა დეივიდ ლესლიმ დაამარცხა როიალისტი მარკიზი მონტროუზი. ლესლის 400 ადამიანი ჩაბარდა ტყვედ, მათგან 100 ჯარისკაცი და 300 სამოქალაქო პირი, რომლთა შორის იყვენენ ქალები და ბავშვები. ლესლიმ მათ სიცოცხლე აღუთქვა. მაგრამ მის ჯარში მყოფმა პრესბითერიანმა ღვთისმსახურებმა უთხრეს, რომ ეს უადგილო და უაზრო გულმოწყალება იყო. ლესლი დაყვა მათ რჩევებს და თავის პირობისდა მიუხედავად ოთხასივე ტყვე სიკვდილით დასაჯა. მაგრმ ასეთ დაუნდობლობას არა მხოლოდ ბრძოლის ველზე ჰქონდა ადგილი. ყველაზე მრავლისმთქმელი ის არის, რომ ამასვე ამკვიდრებდა იმ დროის ფილოსოფიური აზრი! კრომველის თანამედროვე, XVII ს. ცნობილი ჰოლანდიელი ჰუმანისტი-ფილოსოფოსი, თეოლოგი, იურისტი და დიპლომატი ჰუგო გროციუსი თავის ტრაქტატებში ომსა და მშვიდობის შესახებ წერდა, რომ სავსებით დაშვებულია სამხედრო ტყვეების სიკვდილით დასჯა და უფრო მეტიც, სულაც არ არის დასჯადი ისეთი ქმედება, როგორც ქალების და ბავშვების მოკვლა საომარი მოქმედებების დროს. ამაგვარი მოსაზრებების დასაბუთებისათვის იშველიებდნენ ძველი აღთქმის დებულებებს, კერძოდ ფსალმუნებს: „ნეტარია, რომელმაც შეიპყროს და მიახეთქოს ჩვილნი შენნი კლდეს"(ძველი აღთქმა, ფსალმუნნი, ფსალმუნი 136/9). და საერთოდ, გასათვალისწინებელია ის, რომ პირველი შეზღუდვები, რომლებიც შემოიტანეს საომარ მოქმედებებში, ითვალისწინებდა სწორედ ჯარისკაცების და არა სამოქალაქო პირების დანდობას.

ეჭვგარეშეა, რომ სერ არტურ ასტონმა, ბრძოლებში გამობრძმედილმა ვეტერანმა კარგად იცოდა ამგვარი ხედვა და მიდგომა. მან ისიც იცოდა, რომ ორი(ან თუნდაც სამი) ათასი მეომრით ვერაფერს გააწყობდა კრომველის ხელქვეით მყოფი 13 ათასის წინააღმდეგ და

ისიც, რომ გრაფი ორმონდი მას დამხმარე ძალებს ვეღარ მიაშველებდა. მაშველი ძალა ვერც ზღვიდან მოვიდოდა, რადგან ყურეს პარლამენტის ესკადრა იცავდა სერ ჯონ ასკიუს მეთაურობით. ტყვია-წამლის ნაკლებობა არ მისცემდა ასტონს საშუალებას პერიოდული, მოულოდნელი რეიდები განეხორციელებინა ქალაქის ფარგლებს გარეთ. აღსანიშნავია ისიც, რომ თავად ქალაქში არ იყო ერთსულოვნება შექმნილი მდგომარეობის თაობაზე. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მხარს უჭერდა ქალაქში კრომველის ჯარის შემოსვლას და პარლამენტის ძალაუფლების დამყარებას. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა თავად სერ არტურ ასტონის ბებიის, ლედი უილიამსის ამბავი. ასტონის ბებია, თავისი მცხოვანი ასაკის მიუხედავად საკმაოდ აქტიურად იყო ჩაბმული პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს ნარჩინებული მოხუცი ქალი პარლამენტის თავგამოდებული მომხრე იყო. იგი სათავეში ედგა დროედას დიდგვაროვანი ქალების დაჯგუფებას, რომლებსაც მიზნად ჰქონდათ დასახული შეთქმულების გზით მოეცილებინათ ასტონი. საქმე იქამდე მივიდა, რომ სერ არტური იძულებული შეიქნა თავისი ბებია და მისი თანამზრახველი ქალები ქალაქიდან გაესახლებინა. საკუთარ ბებიას კი საგანგებოდ დაემუქრა, რომ უბრალოდ გასრესდა მას, თუკი ეს უკანასკნელი არ მოისვენებდა და არ შეწყვეტდა ანტიროიალისტური სწრაფვების განხორციელების მცდელობებს. საბოლოოდ ლედი უილიამსი ისევ გრაფმა ორმონდმა იხსნა, რომელმაც გაითვალსწინა მისი ასაკი, ღირსება და მოხუცი ქალი სხვა ქალაქში გადაიყვანა. და აი ასეთი სირთულეების წინაშე მყოფმა სერ არტურ ასტონმა მტკიცედ გადაწყვიტა არ შეეცვალა გადაწვეტილება და უარყო დანებება. ამრიგად არჩევანი გაკეთდა, გაკეთდა ნაცადი ჯარისკაცის და მეომრის მიერ ყველა სამომავლო, შესაძლებელი მოვლენის გათვალისწინებით. ასეთი იყო მისი მრწამსი, რომელსაც იგი ვერ უღალატებდა. იმ დროს ალბათ იგი მართალი უნდა ყოფილიყო საკუთარ თავთან და არა იმათთან, ვინც საუკუნეების შემდეგ მის ნამოქმედარს შეაფასებდა. უარი მოწინააღმდეგეებს ემცნო და ამის პასუხად კრომველმაც თავისი ბანაკის თავზე სისხლის სიმბოლო, წითელი დროშა აღმართა. მხარეებს ერთმანეთთან პრეტენზიები აღარ უნდა ჰქონოდათ. მათ ღმერთს და ხმალს მიანდეს საკუთარი თავი.

იერიში 11 სექტემბერს, საღამოს ხუთ საათზე დაიწყო. კრომველმა საალყო არტილერია ქალაქის სამხრეთ მისადგომებთან განალაგა და იქიდან გახსნა ცეცხლი. კრომველის უპირველეს სამიზნეს სწორედ ზემოხსენებული ეკლესიის სამრეკლო და ქალაქის კედლის კუთხეში მდებარე კოშკი წარმოადგენდა. კრომველი ისწრაფოდა ქალაქის გალავნის კედლებში რაც შეიძლება დიდი ღრეჩოები გაეკეთებინა, რათა იქ მის ქვეითებს დიდი რაოდენობით შესძლებოდათ შეღწევა. ამის მეშვეობით იგი იმედოვნებდა ასტონის ქვეითების და ცხენოსნების შეძლებისდაგვარად შებორკვას მანამ, სანამ მისი კავალერია ქალაქში შეაღწევდა. მაგრამ თავიდან ყველაფერი ვერ წარიმართა დასახული გეგმისდა მიხედვით. საალყო არტილერიამ ქალაქის გალავანში ვერ გააკეთა იმდენად ფართო ღრეჩოები, რომ იქ ცხენოსნებსაც შეეღწიათ. ქვეითებს, რომლებმაც ქალაქში შესვლა შესძლეს, დამცველთა გააფთრებული წინააღმდეგობა დახვდა. მოიერიშეთა მდგომარეობა გაართულა იმანაც, რომ პირველსავე შეტაკებაში დაიღუპნენ პარლამენტის ქვეითი ჯარის მეთაური პოლკოვნიკი ჯეიმს კასლი და რამდენიმე უფროსი ოფიცერი. რაც შეეხება მოწინააღმდეგეებს, ამაზე კრომველმა თავის პატაკში ერთობ უგუნებოდ აღნიშნა, რომ მტერმა თავზეხელაღებული სიმამაცე გამოავლინა, რომელიც მას ღმერთმა უბოძა. აქ კი კრომველს ნამდვილად უნდა შეუჟუქოთ თუნდაც ეს ნაძალადევი ობიექტურობა. მან ხომ ღვთის ისეთი წყალობა დაინახა, როგორიც იყო თავზეხელაღებული სიმამაცე, რომელიც ღმერთმა არა მათთვის, „რჩეული პურიტანებისათვის," არამედ „ულვთო," კათოლიკე ირლანდიელებისათვის გაიღო. ყოველ შემთხვევაში, ამით და იმ მიზეზით, რომ ციხე ძალიან კარგად იყო გამაგრებული ბუნებრივი პირობების წყალობით და საფორტიფიკაციო თვალსაზრისით, კრომველმა ახსნა თავისი უკანდახევა. არსებობს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ იერიშის პირველი მცდელობის ჩავარდნამ, რომელიც გარკვეულწილად გამოწვეული იყო სავარაუდო მარცხის შეგნებული უგულებელყოფით, რაც კრომველის სამხედრო პოლიტიკის გამარჯვებას სათუოს გახდიდა, გამოიწვია მოიერიშეებში და პირველ რიგში ალბათ თავად კრომველში დაუოკებელი სისასტიკე და დაუნდობლობა.

მიუხედავად იმისა, რომ კრომველის ჯარისკაცებმა შეაღწიეს გა-

ლავნის შიგნით, დულიკ გეითთან, გაანაღგურეს მტრის 50 თუ 60 ჯარისკაცი, პარლამენტის ჯარის მღგომარეობა მაინც არასახარბიელო იყო. წარმატება ვერც მეორე იერიშმა მოიტანა. ასტონის ირლანდიელებმა კვალვ გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს ინგლისელებს და უკუაგდეს ისინი. მდგომარეობამ კრომველის ჯარისთვის კრიტიკული ხასიათი შეიძინა. და აი ასეთ სიტუაციაში, როდესაც გამარჯვების სასწორი ნებისმიერ მხარეს შეიძლებოდა რომ გადახრილიყო, ისტორიამ, კრომველი კი ალბათ ჩვეულებისამებრ იტყოდა, განგების ნებამ, პიროვნული მომენტი შემოიყვანა თავისი ნების განხორციელების გადამწყვეტ საშუალებად(გავიხსენოთ თუნდაც 147 წლის შემდეგ თავისი ჯარის წინ დროშით ხელში არკოლეს ხიდზე გაჭრილი ახალგაზრდა გენერალი ნაპოლეონ ბონაპარტი). ალბათ ეს ერთიც და მეორეც სწორედ ის სიტუაციაა, როდესაც ამგვარად მოქმედი ადამიანი საბოლოო ჯამში უნდა აღზევდეს, რადგანაც სწორედ მას შესწევს ძალა და უნარი მყის შეაფასოს მდგომარეობა და გააკეთოს ის, რაც იმ წუთებში ისტორიას სჭირდება. და აი კრომველმაც, როგორც ამას იქ მყოფი მისი თანამებრძოლი გენერალი ედმუნდ ლადლოუ იხსენებს, დატოვა საარტილერიო ბატარეები და მიმართა თავის ქვეით ჯარისკაცებს: „აბა ჩემო კარგო ხალხო, ჩვენ ვერაფერი დაგვიდგება წინ, უნდა შევაღწიოთ შიგ, სხვა არაფერი დაგვრჩენია!“ ამ სიტყვებით იგი წინ გაიჭრა და ჯარიც უკან გაყვა. ფიცხელ ხელჩართულ ბრძოლაში კრომველმა და მისმა მეომრებმა არ დათმეს პოზიცია სწორედ გალავნის იმ ღრეჩოსთან, საიდანაც გზა პირდაპირ მიდიოდა სტრატეგიულად ესოდენ მნიშვნელოვან ეკლესიამდე. მათ არ დაიხიეს უკან დამხმარე ნაწილების მოსვლამდე, რომლებსაც პოლკოვნიკი იუვერი მეთაურობდა. საბოლოოდ კრომველის და მისი მენინავე ნაწილის თავდადების წყალობით დაახლოებით რვა ათასმა ჯარისკაცმა გალავანს შიგნით შეაღწია, ხელთ იგდო ეკლესია და მისი მიმდებარე ტერიტორია.

და აი, აქედან დაიწყო ის უმოწყალო ჟლეტა, რომელმაც ირლანდიელები კრომველის მოძულე ხალხად აქცია. ინგლისელთა სარდლობა და პირადი შემადგენლობა შეთანხმდნენ, რომ დანდობა არავის უნდა ჰქონოდა. მას შემდეგ, რაც მოიერიშეებმა ეკლესია ხელთ იგდეს,

სერ არტურ ასტონმა და ქალაქის გადარჩენილმა დამცველებმა მილ მაუნტის ციხეს შეაფარეს თავი, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვან გამაგრებულ პუნქტს წარმოადგენდა. მაგრამ საბოლოო ჯამში ვერც მან შეაკავა ბრძოლის ჟინით და სისხლის წყურვილით შეპყრობილი კრომველის ჯარისკაცები. ვარაუდობენ, რომ თითქოსდა მაშინ ჰქონდა დანებებაზე მოლაპარაკების რაღაცნაირ მცდელობას, მაგრამ გააფთრებულმა კრომველმა უბრძანა არავინ დაენდოთ. შესაბამისად, დარჩენილი ირლანდიელი მეომრები ამოხოცეს. თავად სერ არტურ ასტონის აღსასრული საზარელი გამოდგა. ინგლისელმა ჯარისკაცებმა მას ცემით ამოხადეს სული, თანაც მისივე ხის პროთეზით სცემეს, რომლესაც იგი ფეხის ნაცვლად ატარებდა. იმასაც კი ამბობენ, რომ ჯარისკაცები იმ პროთეზში ოქროს მონეტებს ეძებდნენ. კრომველის ჯარისკაცების სისასტიკეს საზღვარი არ ჰქონდა. კრომველს არც უცდია მათი ალაგმვა. ყველა, ვისაც რაიმე შეხება ჰქონდა იარაღთან, უნდა მოეკლათ. დროედას ქუჩებში ათასი კაცი მოკლეს, მათ შორის სამოქალაქო პირებიც. მაგრამ აქ კი აუცილებლად უნდა ითქვას, რომ კრომველს არ გაუცია სამოქალაქო პირთა მოკვლის ბრძანება. მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში არ იყო ნახსენები მის პატაკებშიც, რომლებიც მან პარლამენტს გაუგზავნა. მაშ საიდან გამოჩნდა ცნობები მშვიდობიანი მოსახლეობის ჟლეტის შესახებ? ამას შემდეგი მიზეზით ხსნიან. პარლამენტმა გადაწყვიტა კრომველის პატაკები ცალკე პამფლეტად გამოეცა, რაც პირველ რიგში იმას ადასტურებს, რომ ლონდონში, ვესტმინსტერში მოკალათებული კანონმდებლები სულაც არ იყვნენ იმის წინააღმდეგი, რომ კრომველსა და მის ჯარისკაცებს ირლანდიაში სისხლის ტბორები დაეყენებინათ. ამ საკითხთან მათი ამგვარი დამოკიდებულების ფონზე, ბრძოლაში უშუალოდ ჩართულ ჯარისკაცებთან პრაქტიკულად არც უნდა იყოს რაიმე პრეტენზია. და აი, სწორედ პამფლეტის ბეჭდვისას, ტექსტის აწყობის დროს, სტამბის მუშაკებმა თვითნებურად დაუმატეს ფრაზა „მათ შორის ბევრი მაცხოვრებელი.“ მაგრამ იმ სიტუაციაში უბრალოდ შეუძლებელი იყო რაიმე განსხვავების დანახვა და საზარელი ჟინის მოთოკვაც. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არსებობს საფუძვლიანი გამოკვლევები, რომელთა ავტორები ჯერარდ რაისი, ჯეიმს უელერი,

თომას რეილი(ეს უკანასკნელი თავად ირლანდიელია და დროედას მკვიდრი), რომლებიც მიუთითებენ და ასაბუთებენ, რომ მშვიდობიანი მოსახლეობის ჟლტის ამსახველი მონაცემები არის მხოლოდ და მხოლოდ მცდელობა, თუმცა უსაფუძვლო, ჩირქი მოსცხონ კრომველს. მოყავს რა გაჟლეტილი მშვიდობიანი მოსახლეობის რიცხვი, 3 500 ადამიანი, ჯერარდ რაისი წერს, რომ ეს პრაქტიკულად ის რაოდენობაა, რომლისგანაც შედგებოდა დროედას გარნიზონი. ხოლო იმ დროის საალყო წესების თანახმად, წერს იგი, კრომველს სრული უფლება ჰქონდა არ დაენდო გარნიზონი, თუკი მისი სარდლობა უარს იტყოდა დანებებაზე. ცნობები, რომლებიც მოწოდებულია პირველწყაროს სახით მშვიდობიანი მოსახლეობის ჟლეტაზე, ეკუთვნის იმ ავტორებს, რომლებიც 1649 წ. ირლანდიაში კი არა, არამედ ინგლისში, ან უფრო მეტიც, კონტინენტზე იმყოფებოდნენ და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია მხოლოდ და მხოლოდ გაგონილ ამბებს ეფუძნება. არის ცნობები იმის შესახებაც, რომ გრაფმა ორმოდნმა მშვიდობიანი მოსახლეობა განარიდა დროედას, რადგანაც გარნიზონს ალყის დროს სურსათ-სანოვაგის სიმწირე არ ეგრძნო. დროედაში იმ ხანად ცხრა თვის სამყოფი სურსათი იყო შენახული. ასე რომ, ინფორმაცია, რომ დროედაში ორიდან ოთხი ათასამდე ადამიანი დაიღუპა, ალბათ სიფრთხილით და დაკვირვებით საჭიროებს მოპყრობას.

ცალკე საუბრის თემაა კათოლიკე მღვდლები და ბერები. მათ მიმართ სრული დაუნდობლობა იყო გამოცხადებული. ისინი მეომრებს გაუტოლეს. შეიძლება ზოგიერთი მათგანი კიდეც იბრძოდა, მაგრამ მხოლოდ საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით. ისინი ყველა დახოცეს. განსაკუთრებით საზარელი ხვედრი ერგოთ იმათ, ვინც წმინდა პეტრეს ტაძარს შეაფარა თავი. ეს ტაძარი ადრე პროტესტანტული იყო, მაგრამ მერე იქ კათოლიკეებმა აღავლინეს წირვა. სწორედ ამაზე წერდა აღშფოთებით კრომველი, როგორც კათოლიკეების მიერ ჩადენილ უღვთო და ღვთისმგმობ საქციელზე, რომელიც, მისი აზრით, სასტიკ სასჯელს იმსახურებდა. თავდაპირველად ტაძარში შეფარებულებს ინგლისელებმა დანებება შესთავაზეს, მაგრამ პასუხად კატეგორიული უარი მიიღეს. მაშინ ინგლისელებმა ტაძარს ცეცხლი წაუკიდეს. იქ მყოფთა გარკვეული ნაწილი დაიწვა და გაიგუდა. ერთი

სამრეკლოდან გადმოხტა და ფეხი მოიტეხა. ასეთი თავზეხელაღებული საქციელით გაოცებულმა ინგლისელებმა მას სიცოცხლე აჩუქეს. მაგრამ როდესაც სამრეკლოზე შეფარებულებმა მომხდურებს ზემოდან ცეცხლი გაუხსნეს და რამდენიმე ინგლისელი მოკლეს, კრომველმა ბრძანა ყველანი შეეპყრათ. ნაწილი მათგანი მოკლეს(მათ თავები გაუჭეჭყეს, ხოლო ნაწილი მონებად გაყიდეს კუნძულ ბარბადოსზე. აი, ასე დასრულდა დროედას იერიშით აღება. რასაკვირველია, ყველაფერი ეს საშინელია და შემზარავი. მაგრამ განა სერ არტურ ასტონმა არ შეუთვალა პასუხად კრომველს დანებების შეთავაზებაზე, რომ „ვინც დროედას აიღებს, ის ჯოჯოხეთსაც აიღებს, დროედას მხოლოდ ეშმაკი აიღებს!“ კრომველი სხვებზე მეტად ან ნაკლებად დაუნდობელი არ ყოფილა მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც ირლანდიაში საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა. მას არაფერი გაუკეთებია ისეთი, რაც უცხო იყო იმ დროის ომის თუ საალყო წესებისა და პრაქტიკისათვის. თავის პატაკებში, რომლებსაც პარლამენტს უგზავნიდა, კრომველი დაუფარავად აღწერდა თავის ბრძანებებს და ჯარის მიერ მათ აღსრულებას: „ მე ავუკრძალე მათ(ჯარისკაცებს-ივ.მ.) დაენდოთ ის, ვისაც იარაღით ნახავდნენ ქალაქში; უფალმა ისინი (ირლანდიელები-ივ.მ.) უხვ სამკალად აქცია ჩვენი დაშნებისათვს; ეს იყო სამართლიანი სასჯელი, რომელიც უფალმა მოუვლინა ულვთო და ბარბაროს ირლანდიელებს.“ და ყველაფერ ამას ძალზე მშვიდად და დადებითად იღებდნენ ვესტმინსტერში მყოფი კანონმდებლები. მათ არასოდეს ჰქონიათ უარყოფითი რეაქცია კრომველის და მისი ჯარის ამგვარ ქმედებებზე. პირიქით, როგორც უკვე ვთქვით, კრომველის პატაკები ცალკე პამფლეტებად ქვეყნდებოდა და ვრცელდებოდა ქვეყნის მასშტაბით. ასე რომ ის, რაც დროედაში მოხდა, არ იყო მხოლოდ კრომველის და მისი ჯარისკაცების ინიციატივა. ირლანდიის დამორჩილება და დაპყრობა მთელს ინგლისს სურდა, პირველ რიგში ხელისუფლებას და მმართველ წრეებს, უბრალო ხალხი კი ლონდონში, ბრისტოლში ან ნიუკასლში ნამდვილად ნაკლებად სწუხდა იმაზე, თუ რა დღეში იყვნენ ირლანდიელები და თუნდაც დროედას მოსახლეობა იმ დაუნდობელი იერიშის დროს და მის შემდეგ. სხვათა შორის, იგივე ლადლოუ თავის მოგონებებში წერს, რომ ჟლეტა მთელ დღეს არ გრძელდებოდა, რო-

გორც ამას მოგვიანებით აღწერდნენ. კრომველის ამ სისასტიკეს კი იგი იმით ხსნის, რომ მას სურდა სხვებისათვის ჭკუა ესწავლებინა და ამით მომავალი სამხდრო ოპერაციების დროს ნაკლები წინააღმდეგობა შეხვედროდა. ერთი სიტყვით, ინგლისს ირლანდიის დაპყრობა სურდა და კრომველმა, რომელსაც მან ეს საქმე ჩააბარა, გააკეთა ეს ისე, როგორც მას შეეძლო და მიაჩნდა აღნიშნულ, კონკრეტულ პირობებში, იმ დროის ფასეულობებიდან გამომდინარე.

მაგრამ მხოლოდ დროედას აღებით ინგლისი ვერ მიაღწევდა იმ მიზანს, რომელიც მას ირლანდიაში ჰქონდა დასახული. როგორც უკვე ითქვა, მას სურდა ირლანდიის ხელახლა დამორჩილება და ამ ქვეყანაში პროტესტანტ ინგლისელთა ახალშენების დიდი რაოდენობით შექმნა. ამისათვის კი საჭირო იყო ირლანდიის კონფედერატების ჯარის, რომელსაც გრაფი ორმონდი ხელმძღვანელობდა, სრული დამარცხება. თითქოსდა ორმონდის მდგომარეობა ძალზე მყარი და საიმედო იყო. კრომველის ირლანდიაში ჩასვალმდე იგი ქვეყნის ტერიტორიის 80% აკონტროლებდა. მაგრამ ორმონდმა ვერ გაამართლა ირლანდიელთა იმედები. ომის წარმოების მისეულმა ტაქტიკურმა და სტრატეგიულმა გეგმამ მარცხი განიცადა. მისი გეგმის ჩავარდნა უკვე დროედას მაგალითმა გამოავლინა. ამ მნიშვენლოვანი პუნქტის დასაცავად მან სერ არტურ ასტონს მხოლოდ ორი ათასი ჯარისკაცი დაუტოვა, რითაც ფაქტობრივად გასწირა იგი. ვეჭვობთ, რომ მისთვის უცნობი იყო კრომველის რიცხვობრივი უპირატესობა. დროედას აღებამ გაუადვილა კრომველს დანარჩენი გამაგრებული პუნქტების ხელში ჩაგდება. მაგრამ ორმონდის წარუმატებლობა ამით არ დასრულებულა. 1649 წ. სექტემბრიდან 1650 წ. ივნისამდე მან დაკარგა თავისი შენაერთები, რომლებიც ინგლისელი კათოლიკეებისა და პროტესტანტი როიალისტებისაგან შედგებოდა. ამ შენაერთებში ამბოხებები მოხდა, რის შედეგად ისინი კრომველის მხარეზე გადავიდნენ. ორმონდის მხარეზე დარჩნენ მხოლოდ ის რაზმები, რომლებიც ირლანდიელი კათოლიკეებისაგან შედგებოდა. მაგრამ ისინიც კი ორმონდის მიმართ დიდ უნდობლობას იჩენდნენ. ეს კი მისი სრული პოლიტიკური მარცხი იყო. ამიტომაც იგი მალე ჩამოაშორეს სარდლობას. ორმონდმა დატოვა ირლანდია და საფრანგეთში გადავიდა. ამრიგად, თუ კრომველი ირლან-

დიაში ამ ქვეყნის დასაპყრობად ჩავიდა, იმ ძალამ, რომელსაც მისთვის წინააღმდეგობა უნდა გაეწია, სრული უნიათობა გამოავლინა. ორივე ქვეყანა, ირლანდია და ინგლისის რესპუბლიკა თავს იცავდნენ. გაიმარჯვა იმან, ვინც ეს უკეთ მოახერხა, ანუ უკეთ გამოიყენა იმ დროს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება. ასე რომ ჯონ ლილის გამონათქვამმა: „ომსა და სიყვარულში ყველა ხერხი გამოდგება," ხორცი შეისხა.

შეიძლება ითქვას, რომ დროედას გახმაურებულმა ამბავმა გამოიღო კრომველისათვის სასურველი ნაყოფი. შედარებით პატარა გარნიზონები, მაგ. დენდლაკი, ტრიმი მას პრაქტიკულად უბრძოლველად ჩაბარდნენ. მაგ პუნქტებისაკენ მსვლელობას ერთი ნახევრად ლეგენდარული ამბავი ახლავს. როგორც ამბობენ, ლორდი პლანკეტი, როიალისტი, ცხენს წყალს ასმევდა მდინარეში. უეცრად მან წყალში სხვა ადამიანის ანარეკლი დაინახა და მასში კრომველი შეიცნო. ლორდმა გადაწყვიტა უმალ მოეკლა იგი. ამიტომ მან თავისი დაშნა კრომველს შუბივით სტყორცნა, მაგრამ უშედეგოდ. კრომველის თანმხლებმა პირებმა შეიპყრეს პლანკეტი და გადაწყვიტეს მისი სიკვდილით დასჯა. და აი, მაშინ მოხდა ძალზე საინტერესო რამ. ლორდმა პლანკეტმა სთხოვა კრომველს, რომ სიკვდილით დასჯის სანაცვლოდ იგი მზად იყო მარტო, ერთი დაშნით, კრომველის ორ ოფიცერს ერთდროულად შებრძოლებოდა. პლანკეტის ასეთი სიმამაცით აღტაცებულმა კრომველმა მას სიცოცხლე აჩუქა, მაგრამ სანაცვლოდ მოსთხოვა, რომ პალნკეტის მოდგმაში, ყველა თაობაში ერთ ბიჭს აუცილებლად ოლივერს დაარქმევდნენ.

დროედას შემდეგ ყველაზე მნიშვენლოვანი გამაგრებული პუნქტი იყო უექსფორდი, რომელიც ერთობ მოხერხებულ ყურეში მდებარეობდა. ამ მდიდარი და საკმაოდ კარგად გამაგრებული ქალაქის გალავნის სიმაღლე 22 ფუტს აღწევდა, ხოლო მიწაყრილების სისქე 15-დან 20 ფუტამდე მერყეობდა. იგი საუკეთესო ადგილს წარმოადგენდა ზღვიდან ირლანდიაში შესასვლელად და პირიქით, ირლანდიიდან ევროპის კონტინენტზე გადასვლისათვის. უექსფორდი ინგლისის რესპუბლიკის ხელისუფლებას და სამხედრო სარდლობას კიდევ იმიტომ აინტერესებდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ერთობ აქტიურად

ეწეოდა მეკობრეობას, რითაც დიდ საფრთხეს უქმნიდა რესპუბლიკის საზღვაო გადაზიდვებს და საერთოდ, საგარეო ვაჭრობას. გარდა ამისა, კრომველს თავისი ჯარის მდგომარეობა აფიქრებდა. ახლოვდებოდა ოქტომბერი. იმატა ქარმა, წვიმამ და სიცივე დაიჭირა. ჯარს უკვე საკმაოდ მძიმე პირობებს უქმნიდა ირლანდიისათვის ერთობ დამახასიათებელი დაავადება – დეზინტერია. საჭირო იყო იმაზე ზრუნვა, თუ სად და როგორ განთავსდებოდა ჯარი ზამთარში. 1 ოქტომბერს კრომველის ჯარის მოწინავე რაზმი უექსფორდს მიუახლოვდა. მეორე დღეს ქალაქთან უკვე მთელმა ჯარმა მოიყარა თავი. სულ კრომველის განკარგულებაში თითქმის ცხრა ათასი კაცი იყო. აქედან შვიდი ათასი ქვეითი და ორი ათასამდე ცხენოსანი. თუმცა არის სხვა მონაცემებიც, რომლებიც ექვსი ათას კაცზე მიუთითებენ.

თავად უექსფორდში ძალზე თავისებური მდგომარეობა სუფევდა თავდაცვის სტრატეგიის თვალსაზრისით. მოსახლეობა მზად იყო იმისათვის, რომ დანებებოდა მოწინააღმდეგეს. ქალაქის გარნიზონის უფროსად პოლკოვნიკ დეივიდ სინოტის დანიშვნამ გააძლიერა ე.წ. ომის მომხრეთა პოზიაცია. სინოტის ხელქვეით ოთხი ათასი კაცი იყო. დაბანაკდა რა უექსფორდთან, კრომველმა სინოტს წერილობით დანებება შესთავაზა. სინოტის და კრომველის ეს მიმოწერა ინგლისური ჯენტელმენობის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს, რომელსაც საომარი მდგომარეობაც კი ვერ აყენებდა ჩრდილს. სინოტი კრომველთან მიწერილი წერილის დასასრულს ემშვიდობება მას სიტყვებით „თქვენი ბრწყინვალების მსახური" და პრაქტიკულად იგივეს აკეთებს კრომველი. სინოტის თხოვნას კი, მოუცადოს მის პასუხს მეორე დღის შუადღემდე (12 საათამდე), იგი თავისებური ირონიით თანხმდება. კერძოდ, იგი სწერს სინოტს, რომ ინგლისელთა ბანაკის კარვები ვერ შეედრება მათ სახლებს. მათში გაძლება გაცილებით ძნელია, ამიტომაც იგი აფრთხილებს სინოტს, რომ დათქმულ დროზე მეტს ვერ მოიცდის.

რა რეალური პირობები იყო შეთავაზებული და განხილული ამ შესაშური ჯენტელმენობის მიღმა? კრომველმა აღუთქვა სინოტს, რომ დანებების შემთხვევაში გარნიზონი შეუფერხებლად დატოვებდა ქალაქს, მაგრამ იარაღის გარეშე, ხოლო ქალაქს და მის მოსახლეობას სრული უსაფრთხოების გარანტია ეძლეოდა. ქალაქის თავკაცები

დადებითად შეხვდნენ ამ პირობებს. მათ პროინგლისურ განწყობაზე ისიც მეტყველებს, რომ მოლაპარაკების დროს ისინი კრომველის ჯარს უგზავნიდნენ საკვებს, ლუდს და სპირტიან სასმელებს. მაგრამ ეს პირობები მიუღებელი აღმოჩნდა სინოტისათვის. იგი იმედს ამყარებდა წვიმიან, ცივ ამინდზე და დეზინტერიაზე, რომლებსაც მისი აზრით კრომველის ჯარი გაუსაძლის პირობებში უნდა ჩაეყენებინა.

როგორც ჩანს, სინოტმა დათქმულ 12 საათს გადააცილა, ხოლო ინგლისელმა ჯარისკაცებმა „ველარ გაძლეს კარვებში" და კრომველის სიტყვის თანახმად, 11 ოქტომბერს ინგლისელთა ზარბაზნებმა ქალაქს ცეცხლი დაუშინეს. მათი მთავარი სამიზნე იყო ქალაქის დასახლებული ნაწილის გარეთ, მის გალავანთან თითქმის მიჯრით მდებარე ციხე-კოშკი, რომელსაც ცალკე რაზმი იცავდა კაპიტან სტრაფორდის მეთაურობით. საარტილერიო ცეცხლის გასხნის ცოტა ხნის შემდეგ გარნიზონის უფროსმა დელეგაცია გააგზავნა კრომველთან, რათა ემცნო მისთვის, რომ თანახმაა დანებდეს ზემოაღნიშნულ წინადადებებზე. კრომველმა მიიღო დელეგაცია. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ. როდესაც მხარეებმა დაიწყეს მოლაპარაკება, სინოტის წარგზავნილებმა ახალი მოთხოვნები წამოაყენეს. კერძოდ, მათ მოითხოვეს აღმსარებლობის თავისუფლება, გარნიზონისთვის იარაღის შენარჩუნება, ხოლო მეკობრეებისათვის, რომლებიც ყურეში მდებარე თავის გემებზე იმყოფებოდნენ, იმავე გემებით და ნაძარცვი ნადავლით ზღვაში გასვლა. ეს კი უკვე კრომველისთვის იყო მიუღებელი და მან ბრძანა საარტილერიო ცეცხლის განახლება. მაგრამ სინოტი მაინც ვარაუდობდა, რომ დაითანხმებდა კრომველს და რაც მთავარია, მას მაშველი ძალების მიღების იმედი ჰქონდა. ეს იმედი გამართლადა. მან ჯერ ზღვიდან მიიღო შეევსება 1500 ცხენოსნის ოდენობით, რომლებსაც ლორდი კასელჰავენი მეთაურობდა და მერე გრაფმა ორმონდმა მას 500 ქვეითი ჯარისკაცი და 100 ცხენოსანი მიაშველა. ამ შეევსებამ სინოტს მეტი რიხი და სითამამე შემატა და მან თავად შეუთვალა კრომველს თავისი პირობები. კერძოდ, მოსახლეობისათვის კათოლიკური ღვთისმსახურების ჩატარების უფლება, მთელი გარნიზონის ევაკუაცია იარაღისა და აღჭურვილობის სრული შენარჩუნებით და მოსახლეობისათვის ყველა ძველი ნამოქმედარის პატიება.

აქ პირველ რიგში მეკობრეობა იგულისხმებოდა. მიუხედავად იმისა, რომ კრომველი გაღიზიანებული იყო სინოტის ფანდებით, რომელიც დროის გაყვანას ცდილობდა, მან მიიღო მოლაპარაკების შეთავაზება და საპასუხო პირობები წამოაყენა. რიგითი ჯარისკაცები და უმცროსი სამეთაურო შემადგენლობა დატოვებდნენ ქალაქს იმ პირობით, რომ არასოდეს აიღებდნენ ხელში იარაღს ინგლისის რესპუბლიკის წინააღმდეგ, უფროსი ოფიცრები ადგილზე რჩებოდნენ, როგორც ტყვეები. რაც შეეხება მშვიდობიან მოსახლეობას, ამაზე კრომველმა საზეიმოდ დაიფიცა: „მე პირობას ვაძლევ მათ, რომ არაფერი დაუშვდება მათ ქონებას და დავიცავ ქალაქს ძარცვისგან.“ იმ დროის საალყო სტანდარტებით და თუნდაც დროედის გამოცდილებიდან გამომდინარე ეს ძალზე გულმოწყალე პირობები იყო. მაგრამ სინოტმა უარყო ეს პირობები.

და აი მაშინ მოხდა ამბავი, რომლის ახსნა ძალზე უჭირთ თანამედროვე მკვლევარებს და რომელსაც თავად კრომველი განგების მოულოდნელ ჩარევად მოიხსენიებდა. როდესაც კრომველის შენაერთები შეტევაზე გადავიდნენ და მათ მიზანს ზემოხსენებული ციხე-კოშკი წარმოადგენდა, რაზმმა, რომელიც მას იცავდა, მისი მეთაურის, კაპიტან სტრაფორდის ბრძანებით, ყველასთვის მოულოდნელად დატოვა თავისი პოზიციები. სტრაფორდს ერთობ უხეირო სამხედრო პირის რეპუტაცია ჰქონდა. მისი ეს ნაბიჯი აბნევს თანამედროვე ისტორიკოსებს და მით უფრო მანვე დააბნია გარნიზონის უფროსი, პოლკოვნიკი სინოტი, რომელიც ამას სრულიად არ ელოდა. თანამედროვე ირლანდიელი ისტორიკოსები, ზემოხსენებული თომას რეილი, ნიკოლას კენი და როჯერ ჰეინსუორსი მიიჩნევენ, რომ იერიში კრომველის ბრძანების გარეშე დაიწყო და მას აღარ შესწევდა ძალა აღეკვეთა ძალადობა და ძარცვა-გლეჯა. კრომველს სულ სხვა გეგმები ჰქონდა უექსფორდთან დაკავშირებით. მას უნდოდა ქალაქში გამოეზამთრა და სულაც არ აწყობდა ასეთი ქმედებები. ერთი სიტყვით, სტრაფორდის ამგვარმა ქმედებამ დააბნია ქალაქის დამცველები და აგრესიულობისკენ უბიძგა კრომველის ჯარისკაცებს. ეს უკანასკნელნი უმალ გაერკვნენ სიტუაციაში, საალყე კიბეების მეშვეობით სწრაფად გადალახეს გალავანი და ქალაქში აღმოჩნდნენ. აი, ამის შემდეგ კი დაახლოებით იგივე

ტრაგედია დატრიალდა, რაც დროედაში. განსხვავება ის იყო, რომ კრომველს არ გაუცია ბრძანება არავინ დაენდოთ, ვისაც იარაღით ხელში შეასწრებდნენ, ან რაიმე სხვა სახით შეხება ჰქონდა იარაღთან. „დარწმუნებული ვარ, რომ მოწინააღმდეგემ ორი ათას ადამიანმდე დაკარგა. თქვენი დანაკარგი(კრომველი პარლამენტის ჯარს გულისხმობს-ივ.მ.) ოც ადამიანზე ნაკლებია“- წერდა კრომველი თავის პატაკში. გარდა ამისა, 300 ადამიანი დაისრჩო მდინარეზე გადასვლისას. უნდა ითქვას, რომ კრომველს არ უცდია ჟლეტის აღკვეთა, თუმცა შექმნილ სიტუაციაში იგი ალბათ ამას ვერც მოახერხებდა. საგულისხმოა მის პატაკში გამოთქმული შემდეგი მოსაზრებაც: „უექსფორდი მშვენიერი ქალაქი იყო, კარგად განთავსებული და მდიდარი. ბევრი მკვიდრი მაცხოვრებელი დაიღუპა ან გაიქცა. ამიტომ სასურველია, რომ პატიოსანი ხალხი(პურიტანი ინგლისელები-ივ.მ.) ჩამოვიდეს და აქ დასახლდეს.“ კრომველის ეს გამონათქვამი ეროვნულ-რელიგიური ქედმაღლობის და მედიდურობის ნიმუშად გამოდგება. პატიოსნები და მართალნი მხოლოდ ინგლისელები და თანაც არა უბრლოდ ინგლისელები, არამედ სწორედ პურიტანი-ინგლისელები იყვნენ! მაგრამ ხომ შეიძლება, რომ იმ სახლებში ცოტა ხნის წინ ასევე კარგი ადამიანები ცხოვრობდნენ? ნუთუ ერთი ადამიანის ძლევამოსილმა დაშნამ და თუნდაც ულმობელმა ხასიათმა მთელი ხალხი ერთბაშად მეორეხარისხოვან არსებებად აქცია? მაგრამ ნუ გავხდით კრომველს განტევების ვაცად. ბოლოს და ბოლოს იგი ხომ მხოლოდ ჯარისკაცია, ანუ ის, ვინც ლამის ყოველდღე საკუთარ და ასობით ადამიანის სიცოცხლეს სწირავს. ალბათ ამიტომ მას არც მოეთხოვება სათუთი და ფაქიზი გრძნობები. მაგრამ რა ვუყოთ ადამიანს, რომელიც უფლის სიტყვას ქადაგებს და დღენიადაგ ბიბლიას ჩაყურებს? ჰიუ პიტერი, ცნობილი მქადაგებელი, აღტაცებით წერდა უექსფორდის დარბევის შემდეგ: „ ეს არის შესანიშნავი ადგილი, ღვთისნიერი ადამიანების თავყრილობისათვის, სადაც მიწა და სახლები ელოდებიან მათ, ვინც იქ დასახლდება. ვფიქრობ, რომ ეს წინასწარმეტყველების ახდენაა.“ აი ასეთი იყო ღვთისნიერი კაცის შეხედულება „პაპობის საძულველი, ბინძური მიმდევრების“ განადგურებაზე. პიტერს მხარს უბამდნენ 1649 წ. მიწურულს ლონდონში გამოცემული პამფლეტების ავტორე-

ბი, რომლებიც კრომველისეულ შეფასებას აძლევდნენ მომხდარს. „ეს განგების მწყალობელი მარჯვენის დამსახურებაა. მაშინ, როდესაც მათ თანხმობა უნდა მოეცათ ჩვენს მიერ წამოყენებულ წინადადებებზე, განგებამ უარი ათქმევინა მათზე“- წერდნენ პამფლეტებში. ის ფაქტიც კი, რომ იერიშის შემდეგ უექსფორდი აღარ გამოადგებოდა კრომველის ჯარს გამოზამთრებისათვის, რასაც იგი ძალზე ნანობდა, განგების ნებად იყო მიჩნეული. ასე რომ მართლმორწმუნე პურიტანები თავს არხეინად გრძნობდნენ ურწმუნო კათოლიკე-პაპისტების დარბევისა და განადგურების შემდეგ. ჯილდოდ ღვთისნიერებისათვის მათ ურწმუნოთა სახლები და მიწები ელოდათ.

უექსფორდს ნიუ როსი მოყვა. ეს იყო თავისებური „გამონათება“ კრომველის ირლანდიურ ლაშქრობაში. როგორც ჩანს, დროედას და უექსფორდის მაგალითებმა გაჭრა და გარნიზონის უფროსმა, სერ ლუკას ტააფმა ამცნო კრომველს, რომ მზად იყო დანებებოდა საპატიო პირობებზე. კრომველმა მართლაც იშვიათი დიდსულოვნება გამოიჩინა და უფლება მისცა გარნიზონის ჯარისკაცებს ქალაქი იარაღითურთ დაეტოვათ! მათ ასევე თან გაიყოლეს ყველა სახის სამხედრო აღჭურვილობა და აღალა. მშვიდობიან მოსახლეობას მიეცა სიცოცხლის და ქონების ხელშეუხებლობის გარანტია, რაც უნაკლოდ შესრულდა. როგორც ჩანს, ასეთ პირობებში სერ ლუკასს „მადა გაეხსნა“ და მან დამატებით მოსთხოვა კრომველს აღმსარებლობის თავისუფლების გარანტია. „მე არავის აღმსარებლობას არ ვერჩი, მაგრამ თუ თქვენ გულისხმობთ კათოლიკურ მესას(წირვას-ივ.მ.), იგი აკრძალულია ყველგან, სადაც კი ინგლისის პარლამენტის ძალაუფლება ვრცელდება“- უპასუხა კრომველმა.

და აი, ასეთი ორომტრიალის პირობებში კრომველი, ეს მონაცვლობით ულმობელი დამპყრობელი, ძლევამოსილი სარდალი, სულგრძელი გამარჯვებული და ციებისაგან სიქაგაცლილი ადამიანი ზოგჯერ იცლის იმისთვის, რომ შეეხმიანოს თავის ყველაზე დიდ სიყვარულს, თავის ოჯახს. იგი კვლავ თავის ახლადშეძენილ თანამოაზრეს, თავის მძახალს, რიჩარდ მეიორს სწერს წერილს. მძახლების ზრუნვის და წუხილის ობიექტი კვლავ მათი შვილებია. წერილში კრომველი სწუხს თავისი ვაჟის, რიჩარდის დაუდევრობაზე, იმაზე, რომ ეს უკანასკნელი

მთელი გულისყურით და გულდასმით არ ეძიებს ქრისტეს და მისგან გამომავალ სიკეთეს, რომლის გარეშეც ყოველიევე ამქვეყნიური მხოლოდ და მხოლოდ ამაოებაა. იგი არც თავისი საყვარელი რძლის მიმართ მალავს წყენას. „რიჩარდი რისი მაქნისიც არის კარგად ვიცი, მისი სიზარმაცე არ მესწავლება. მაგრამ მე ჩემს ქალიშვილზე ვარ ნაწყენი (კრომველი თავის რძალს კვლავ შვილად მოიხსენიებს-ივ.მ.), სიტყვა რომ გატეხა და ამდენ ხანს დუმს. გთხოვთ გადასცეთ ჩემი სიტყვები, იმედია, გამოისყიდის დანაშაულს"- ნერდა იგი მძახალს. დროთიმ მამამთილის სიტყვები ყურად იღო და შემდეგ წერილში კრომველმა მადლობა გადაუხადა რძალს გულთბილი მოკითხვისათვის.

მაგრამ სენტიმენტალობის დრო ნამდვილად არ იყო. კრომველი ირლანდიაში ხომ მისი დაპყრობისათვის გააგზავნეს. ეს მკაფიო და ცალსახა დავალება იყო. მაგრამ კრომველი ირლანდიაში არა მხოლოდ იქაურ პატრიოტ-კათოლიკეებს და იქ გამაგრებულ პროტესტანტ-როიალისტებს ებრძოდა. იგი თავის პოზიციებსაც იმტკიცებდა. სავსებით დასაშვებია, რომ ისინი, ვინც პარლამენტში ესოდენ იღვწოდნენ მისი მთავარსარდლის თანამდებობაზე დანიშვნისათვის, იმავდროულად კიდევ იმიტომ აკეთებდნენ ამას, რომ ჯერ მისი წარუმატებლობა ეხილათ და მერე საერთოდ ჩამოეშორებინათ იგი ჯარის სარდლობას. არავინ უწყის, რა ბედი ეწეოდა მას, თუკი ხელისუფლების სათავეში მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები მოვიდოდნენ. ამიტომაც იგი თავისებურად იზღვევდა თავს, რომ მასზე აუგის თქმა არავის შესძლებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერ ამით იგი თავს იცავდა, კერძოდ, იმტკიცებდა პოზიციას ჯარში, მის პირად შემადგენლობასთან იმაღლებდა ავტორიტეტს და საერთოდ, იქმნიდა ისეთ სახეს, რომ მასთან ჭიდილი და დაპირისპირება ვერავის შერჩებოდა და არც უნდა გაებედა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ალბათ გრძნობდა, რომ მას არ ჰქონდა იმის გარანტია, რომ მისი მოწინააღმდეგეები არ შეეცდებოდნენ მის ჯარიდან მოშორებას(ეს უკეთეს შემთხვევაში), ხოლო თუ საჭირო შეიქმნებოდა, მის ფიზიკურ განადგურებასაც კი. განა სწორედ ირლანდიიდან ჩამოსული, ყოვლისშემძლე გრაფი სტრაფორდი არ იმსხვერპლა დაუნდობელმა კანონმა შერისხვის შესახებ(-Bill of Attainder-ინგლ.), რომლის საფუძვლად პიროვნება სრულიად კა-

რგავდა თავის საკანონმდებლო და სამოქალაქო რაობას სიცოცხლის ჩათვლით?! თავის დროზე ეს ყველაფერი კრომველის თვალწინ მოხდა, და რასაკვირველია, მას არავითარი სურვილი არ ჰქონდა გრაფ სტრაფორდის გზას გაყოლოდა. ამიტომაც გამარჯვების მისაღწევად კრომველი არაფერს ერიდებოდა. როგორც ჩანს, მას კარგად ახსოვდა ჯონ ლილის ცნობილი გამონათქვამი: „ომსა და სიყვარულში ყველა ხერხი გამოდგება.“

კრომველი დამპყრობელი იყო და იმ მიზნის მისაღწევად მოქმედებდა, რომლისთვისაც იგი მისმა ქვეყანამ გააგზავნა ირლანდიაში. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ არც მას დახვედრია იქ ერთ მუშტად შეკრული და ერთსულოვნებით ანთებული ქვეყანა. უბრალო ხალხი, ირლანდიელი გლეხები თავს არ ზოგავდნენ და თავდადებით იბრძოდნენ მომხდურების წინააღმდეგ, რათა დაეცვათ თავისი ქვეყანა და სარწმუნოება. ამიტომ ყველაზე მეტად სწორედ ისინი ზარალდებოდნენ. ინგლისელები ანადგურებდნენ ნათესებს, სახნავ-სათეს სავარგულებს, ხოცავდნენ პირუტყვს, რათა ირლანდიელებისათვის სარჩო-საბადებელი მოესპოთ. ერთი სიტყვით, მოქმედებდნენ ისე, როგორც მათ თავის დროზე პოეტთა პოეტი ედმუნდ სპენსერი მოუწოდებდა. მაგრამ განსხვავებული მდგომარეობა იყო განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელობაში. გვარების(კლანების) ბელადები და უხუცესები მუდმივად ექიშპებოდნენ ერთმანეთს პირველობისათვის, ზოგჯერ მტრობდნენ და ინტრიგებს აბამდნენ ერთმანეთის ზურგს უკან. კონფედერაციის ბელადებიც არ იდგნენ მტკიცედ თავის პოზიციებზე. მაგ. ლორდმა ინჩიკუინმა(მაურო ო’ბრაიენმა) ნიადაგის მოსინჯვა დაიწყო იმის თაობაზე, შეიძლებოდა თუ არა ინგლისელების მხრიდან ხელშეუხებლობის გარანტიების მიღება. რასაკვირველია, კრომველი მარჯვედ იყენებდა ირლანდიელთა ამ ურთიერთ შუღლს და მათი გათიშვის წყალობით არანაკლებ წარმატებას აღწევდა, ვიდრე იარაღით ბრძოლის ველზე. ადრე უკვე ითქვა, რომ კრომველის ჯარში არნახულად მკაცრი დისციპლინა იყო დამყარებული. ლორდ-გენერალი სასტიკად უსწორდებოდა მეამბოხეებს, მათი ხვედრი სახრჩობელა ან დახვრეტა იყო. ირლანდიელთა ჯარი სწორედ დისციპლინაში მოიკოჭლებდა. 1649 წ. ოქტომბერ-ნოემბერში კორკის, იულას, კაპერ-

კინის და კიდევ რამდენიმე ამბოხებული გარნიზონი ინგლისეთა მხარეზე გადავიდა. იყო შემთხვევები, როდესაც გარნიზონის უფროსი ილვიძებდა და იგებდა, რომ...თავისივე ჯარისკაცების ტყვე იყო. მაგრამ ირლანდიელთა ალყაშემორტყმული გარნიზონებისათვის არც წარმატებული თავდაცვა იყო უცხო, მით უფრო მათი თავგანწირვის გათვალისწინებით. ასე მაგალითად, წარუმატებლად დამთავრდა კრომველისათვის 1649 წ. ნოემბერ-დეკემბერში უოტერფორდის ალყა. გარნიზონი არ დანებდა, ხოლო ქალაქის იერიშით აღება ვერ მოხერხდა. დაცვას ძალზე კარგად ხელმძღვანელობდა გარნიზონის უფროსი რიჩარდ ო'ფარელი, რომელსაც კონტინენტზე წარმოებულ საომარ მოქმედებებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება ჰქონდა, თანაც, სწორედ საალყო პირობებში. ო'ფარელის სამეთაურო უნარ-ჩვევებს, გარნიზონის სიმამაცესა და თავდადებას თან ერთოდა კრომველის ჯარში გავრცელებული დაავადება და ირლანდიისათვის დამახასიათებელი წელიწადის იმ დროის უამინდობა. პირველმა კრომველის რვა ათასიანი შენაერთიდან სამი ათასი შეიწირა, მეორემ კი მუდმივი წვიმისა და ატალახებული ნიდაგის გამო საშუალება არ მისცა კრომველს საალყო არტილერია ქალაქის გალავნიდან შესაბამის მანძილზე განელაგებინა და აემოქმედებინა. სამხედრო წარუმატებლობას დაერთო პირადი მწუხარებაც. მის შენაერთში გავრცელებულმა დაავადებამ შეიწირა მისი თვალსაჩინო თანამებრძოლები და უახლოესი ადამიანები. ესენი იყვნენ ახალი ყაიდის ჯარის ვეტერანი, პოლკოვნიკი მაიკლ ჯონსი, სწორედ ის, ვინც დუბლინთან თავისი მცირერიცხოვანი ძალებით სძლია გრაფ ორმონდის ჭარბ შენაერთებს, კრომველის ძველი თანამებრძოლი, პოლკოვნიკი ჰორტონი და კრომველის ბიძაშვილი, სერ ჰენრის ვაჟი, ოლივერ კრომველი უმცროსი. „ხომ ხედავთ, რაღას არ გვარგუნებს ღმერთი?!"- სასოწარკვეთით შესძახა კრომველმა ყველაფერ მომხდარის შემდეგ. შექმნილმა სირთულეებმა აიძულეს კრომველი დროებით მოეხსნა უოტერფორდის ალყა. ქალაქის გეგმაზომიერი ალყა განახლდა 1650 წ. ზაფხულში, კრომველის სიძის, ჰენრი აირტონის მიერ. საბოლოოდ უოტერფორდი დანებდა 1650 წ, აგვისტოში. გარნიზონმა დატოვა ქალაქი, მაგრამ დაუტოვა ინგლისელებს არტილერია, ცივი და ცეცხლსასროლი იარა-

ღი, ტყვია-წამალი და ნავსადგურში მყოფი ხომალდები. უოტერფორდის აღება ძვირად დაუჯდა ინგლისელებს. მათ სამი ათასი ადამიანი დაკარგეს, ძირითადად ავადმყოფობის გამო.

კრომველის ირლანდიური ლაშქრობის დამამთავრებელ აკორდს წარმოადგენდა კლონმელის აღება. ამ ციხე-სიმაგრის დაცვას ხელმძღვანელობდა ცნობილი ირლანდიელი პატრიოტის ოუენ ო'ნეილის (გარდაიცვალა 1649 წ. სექტემბერში) ძმისშვილი, ჰიუ ო'ნეილი (გრაფი ტაირონი). რიცხვობრივი უპირატესობის მიუხედავად (კრომველს რვა ათასი კაცი ყავდა, ო'ნეილს – 1 200), ირლანდიელთა თავგანწირვისა და თავად ო'ნეილის მიერ ჩატარებული სხვადასხვა საომარი ხრიკისა და ფანდის წყალობით ინგლისელებმა დიდი ზარალი ნახეს. მათ დაახლოებით 2500 ადამიანი დაკარგეს. სწორედ ერთ-ერთმა ფანდმა უშველა ო'ნეილს ეხსნა გარნიზონი უეჭველი განადგურებისაგან. როდესაც გაირკვა, რომ გარნიზონს ტყვია-წამალი, ჭურვები და სურსათ-სანოვაგე მალე შემოაკლდებოდა ო'ნეილმა დაავალა ქალაქის მერს მოლაპარაკება დაეწყო კრომველთან დანებების პირობებზე, თვითონ კი ღამით მალულად გაიყვანა რაზმი ციხე-სიმაგრიდან. როდესაც კრომველი ქალაქში შევიდა, მან აღმოაჩინა, რომ „შეიარაღებული ჩიტები უკვე გაფრენილან." „თქვე არამზადა, რატომ ადრე არ მითხარით ამის შესახებ?!"- გაცოფდა კრომველი. „თქვენს აღმატებულებას რომ ეკითხა, მაშინ მე ნამდვილად მოვახსენებდი მას ამის თაობაზე"- შემპარავი ხმით უთხრა მერმა. მერე კი ისეთივე შემპარავი ხმით განაგრძო, რომ ლორდ-გენერალს ე.ი. კრომველს მთელი ქვეყანა იცნობს, როგორც სიტყვის პატრონს, დანებების პირობების შესრულების თვალსაზრისით. პირფერობამ გაჭრა. კრომველი მოლბა და დანებების პირობებიც უნაკლოდ შეასრულა. მაგრამ მაინც არ მოეშვა მერს და გამოჰკითხა, თუ რას წარმოადგენდა ეს ჰიუ ო'ნეილი, რომელმაც ამდენი სირთულე შეუქმნა მას და ასე მარჯვედ გააცურა. „იგი ესპანეთში დაიბადა და უცხოეთში ნამსახურები სამხედროა"- უპასუხა მერმა. „ღმერთმა დაგწყევლოთ თქვენ და თქვენი უცხოეთიც – გაგულისებით შესძახა კრომველმა. მაინც ჩავიგდებ ხელში და გავანადგურებ." მაგრამ ო'ნეილი მოუხელთებელი აღმოჩნდა და ყოველთვის ახერხებდა ინგლისელთა ხელიდან გასხლტომას. 1650

წ. ის ლიმერიკის დაცვას ხელმძღვანელობდა და საბოლოოდ ჰენრი აირტონს დანებდა. ასე რომ, სიმამრის ოცნებას სიძემ შეასხა ხორცი. ო'ნეილი სიკვდილით არ დაუსჯიათ, რადგან ის ესპანეთის მეფის ქვეშევრდომი იყო. იგი ინგლისში გადაიყვანეს და ტაუერში გამოკეტეს. მოგვიანებით, ესპანეთის მეფის უშუალო შუამდგომლობით იგი გაათავისუფლეს და ესპანეთში დააბრუნეს, სადაც მშვიდობიანად დაასრულა თავისი სიცოცხლე.

ამგვარად, კრომველის ირლანდიური ლაშქრობა დასრულდა. რითი დამთავრდა იგი ირლანდიელებისათვის? ინგლისის პარლამენტის დადგენილებით განმათავისუფლებელი მოძრაობის რამდენიმე ასეული ხელმძღვანელი და აქტიური მონაწილე ჩამოახრჩვეს, ნაწილი ქვეყნიდან გააძევეს, მათ ოჯახებს კი მამულების 2/3 ჩამოართვეს და 1/3 დაუტოვეს. იმათ, ვინც იარაღი დაყარა და ჩაბარდა, მიწების 2/3 ჩამოართვეს. დარჩენილ 1/3 მათ აძლევდნენ სხვაგან, კერძოდ ქვეყნის დასავლეთ, უნაყოფო პროვინციებში, სადაც მათ ასახლებდნენ იმათთან ერთად, ვისაც 10 გირვანქა სტერლინგზე ნაკლები ქონება ჰქონდა ან საერთოდ არაფერი ებადა. მათვე ხელი უნდა მოეწერათ პირობის დოკუმენტზე, რომ არასოდეს აიღებდნენ ხელში იარაღს ინგლისის რესპუბლიკის წინააღმდეგ. მათ ჩამორთმეულ მიწებს ინგლისელები, პირველ რიგში პარლამენტის და სახელმწიფო საბჭოს წევრები, ჯარის სარდლობა, ოფიცრები და უძრავი ქონებით მოვაჭრე სპეკულანტები დაეპატრონენ. ამრიგად, ირლანდიელები თავის მშობლიურ ქვეყანაშივე ლამის ბობოლა ინგლისელების შემყურე მდგმურებად იქცნენ.

რა მოუტანეს ირლანდიამ და ირლანდიურმა ლაშქრობამ თავად კრომველს? როგორც უკვე ვთქვით, იგი ამ ქვეყნის დასამორჩილებლად და დასაპყრობად იყო გაგზავნილი და შეასრულა კიდეც ეს დავალება. როგორც მან ლაშქრობის დასაწყისში უთხრა თავის ჯარისკაცებს, ირლანდია მათთვის ქანაანი იყო, ხოლო ისინი – ისრაელნი, რომლებსაც უნდა შეემუსრათ წარმართნი. თუმცა მოგვიანებით, წერილში თავის მეგობართან, ჯონ სადლერთან, რომელსაც ურჩევდა მანსტერის პროვინციის უზენაესი მოსამართლე გამხდარიყო, კრომველი წერდა: „აქაური უბრალო ხალხი დახარბებულია უფლის სიტყვას, დიდი რაოდენობით მიდის ქრისტიანულ თავყრილობებზე.

ეს ის ტკბილი ნიშანია, რომელსაც ჩვენ ველოდებით.“ იგი იმედს გამოთქვამდა, რომ „განგების წყალობით მალე ირლანდია ინგლისის რესპუბლიკისათვის არა ტვირთად, არამედ უხვშემოსავლიან ნაწილად იქცევა.“ კრომველი იმასაც კი სწერდა სადლერს, რომ „სანამ პარლამენტი მიიღებს რაიმე გარკვეულ გადაწყვეტილებებს, ჩვენ რამენაირად უნდა ვაზიაროთ სამართლიანობას ეს საბრალო ხალხი.“ საბრალო ხალხში იგი რასაკვირველია ირალანდიელებს გულისხმობდა. საინტერესოა, როგორ ესახებოდა მას სამართლიანობა?

მაგრამ ირლანდიაში ლაშქრობამ კიდევ უფრო გაამძაფრა და შეურიგებელი გახადა მისი დამოკიდებულება კათოლიკე სამღვდელოების მიმართ. მისი უკიდურესად ანტიკათოლიკური პოზიცია სრულად წარმოჩნდა მის მიმართვაში კათოლიკე სამღვდელოებისადმი 1650 წ. 14 იანვარს. ეს იყო მისი პასუხი იმ დეკლარაციაზე, რომელიც ამ უკანასკნელმა გამოაქვეყნა 1649 წ. 4 დეკემბერს. ეს დოკუმენტი იყო თავისებური მოწოდება წმინდა ომისკენ ინგლისელთა წინააღმდეგ. თავისი ამგვარი ხასიათის გამო მან ჩამოაშორა პროტესტანტი როიალისტი ინგლისელები კათოლიკე ირლანდიელებს. კრომველის მიმართვა სხვა არაფერი იყო, თუ არა ინგლისური პურიტანობის დასაბამიერი მართებულობის და უპირატესობის წარმოჩენა ურწმუნო და უღვთო პაპობაზე(კათოლიკობაზე). მართალი პურიტანები კათოლიკობას სხვანაირად ვერ განიხილავდნენ. აი, როგორ აფასებდა კრომველი ზემოხსენებულ დეკლარაციას და კათოლიკეთა გაერთიანებას, რომელიც მიმართული იყო ინგლისელების წინააღმდეგ: „ღვთის მადლით, ჩვენ არ გვეშინია და არაფრად ვაგდებთ თქვენს ამ კავშირს. თქვენ სიკვდილთან და ჯოჯოხეთთან დადეთ კავშირი... ვინ არის ის თქვენი საერთო მტერი? ვფიქრობ, რომ ინგლისელებს გულისხმობთ. გახსოვდეთ, თვალთმაქცნო, ირლანდია ერთხელ უკვე შეუერთდა ინგლისს. ინგლისელებს აქ კარგი მემკვიდრეობა ერგოთ და ბევრმა მათგანმა სწორედ საკუთარი სახსრებით შეიძინა იგი. ამჟამინდელმა ინგლისელებმა და მათმა წინაპრებმა ეს ყველაფერი შეიძინეს თქვენგან და თქვენი წინაპრებისგან. ინგლისელები მშვიდობიანად და პატიოსნად ცხოვრობდნენ თქვენს გვერდით. თქვენ დაარღვიეთ ეს ერთობა! თქვენ უმიზეზოდ ჩაატარეთ დღემდე გაუგონარი, ბარბაროსული

ულეტა, განურჩევლად სქესისა და ასაკისა. მაშინ, როდესაც ირლანდია დამშვიდებული იყო, ირლანდიელები ინგლისის წარმოების, ვაჭრობის და გარჯის მაგალითით იმკიდნენ კეთილ ნაყოფს. განა ეს უკეთესი არ იყო მათთვის, ვიდრე ის, რომ მთელი ირლანდია ყოფილიყო მათ ხელში, მაგრამ ინგლისელთა გარეშე? დაუფიქრდით ჩემს ნათქვამს, განა მე მართალი არ ვარ?! თქვენთან არს ღმერთი?! დარწმუნებული ვარ, რომ არა!" კრომველი სასტიკად აკრიტიკებდა კათოლიკობას, კათოლიკე სამღვდელოებას, რომელიც შეიჭრა ირლანდიაში და თავისი მესის(წირვის) წყალობით დაანგრია იქაური წესი და რიგი. მისი თქმით, ინგლისმა გაიცნობიერა ღვთის მადლი მართალი საქმის განხორციელებაში. კრომველი ამბობდა, რომ ინგლისი მიწას კი არ ეძიებდა ირლანდიაში, არამედ შურისძიებისაკენ ისწრაფოდა უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლის გამო. „ჩვენ იმისთვის მოვედით, რომ კანონიერების მოწინააღმდეგე მეამბოხეთა ძალაუფლება მოვსპოთ. ღვთის შეწევნით, ჩვენ იმისთვისაც მოვედით, რათა დავამკვიდროთ და განვავრცოთ ინგლისური თავისუფლების ბრწყინვალება და დიდება იმ ქვეყანაში, სადაც ჩვენ ამის გაკეთების სრული უფლება გვაქვს" – წერდა კრომველი. კრომველს სჯეროდა თავისი ნათქვამის, სჯეროდა, რადგან ღრმადმორწმუნე ადამიანი იყო. სჯეროდა მისი პურიტანული მრწამსის გამო, რადგანაც მერყეობა, სინდისის ქენჯნა ქმედების პროცესში მისთვის შეცოდების ტოლფასი იყო. მას სჯეროდა, რომ ღმერთმა სწორედ ის აირჩია კონკრეტული საქმის შესასრულებლად. შესაბამისად, საქმე და მისი შემსრულებელიც მართალნი არიან. მართალი საქმე კი მისი რწმენით უყოყმანოდ, იოტისოდენა ეჭვის გარეშე უნდა შესრულებულიყო. ამას კრომველი გრძნობდა იმ წუთიდანვე, როდესაც ირლანდიის მიწაზე დაადგა ფეხი. გარდა ამისა, ის ხომ ინგლისელი იყო, ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანი, რომლებიც ზემოდან, ქედმაღლურად უყურებდნენ პატრიარქალურ, გვარტომობრივ დონეზე მყოფ ირლანდიელებს. იმ დროს ინგლისელების და შესაბამისად, კრომველის ცნობიერებაში უბრალოდ ვერ წარმოიშვებოდა სხვა ხედვა ირლანდიელების მიმართ. ინგლისის ირლანდიაში ბატონობის ნაყოფიც, რომელიც კრომველის თქმით, ირლანდიელებს უნდა მოეწიათ სხვა არაფერი იყო, თუ არა ის, რასაც გაბატონებუ-

ლი მომხდურები თავისი ნასუფრალიდან უწილადებდნენ მშვიდ და მორჩილ ფარას. როგორც ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი და პოლიტიკოსი ჯონ მორლი წერს, ეს ნაყოფი იქნებოდა თაღლითობა, მოხელეთა ხრიკიანობა, უგულებელყოფა და ძარცვა, რომლებსაც ხანდახან რომიდან შემოჭრილი ხარბი მგლები(კათოლიკე სამღვდელოება-ივ.მ.) თუ დაარღვევდნენ. ერთი სიტყვით, ეს იყო ის ტრადიციული კულტურტრეგერობა, რომელიც ყოველთვის თან სდევს კოლონიურ დაპყრობებს. ამგვარი დამოკიდებულება ბუნებრივ მოვლენად აღიქმებოდა. ამიტომაც ინგლისის პარლამენტში ინდეპენდენტი დეპუტატები დაუფარავად ამბობდნენ, რომ ირლანდიელი პაპისტები უნდა ამოიძირკვონ, ხოლო მათი მიწები ინგლისის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს უნდა მიეყიდოს. და მართლაც, ირლანდიელთა მიწების შეძენა-მითვისებაზე მიუთითებდა კრომველის ჯარში მყოფი კაპელანი უილიამ გუდი. „ოფიცრები და პარლამენტის წევრები დიდი მამულების მფლობელები გახდნენ.“ ყველაფერ ამის მიღმა იდგა ის ცნობიერება, რომელიც ესოდენ დამახასიათებელი იყო მომავალ კოლონიურ იმპერიათა მეტროპოლიების მოსახლეობისათვის. ეს იყო ცივილიზატორული, ქედმაღლური დამოკიდებულება სხვა, განსაკუთრებით განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მყოფი ან უბრალოდ, ერთობ განსხვავებული ხალხებისადმი. ამიტომაც მანიშნებელია კრომველის სიტყვები: „ეს საცოდავი ხალხი იმდენად არის შეჩვეული ჩაგვრას და უსამართლობას, რომ თუ აქ ყველაფერი სამართლიანად და კანონის დაცვით აღსრულდება, წარსულის ბნელეთი და გახრწნილი მდგომარეობა უფრო მეტად სახელოვანი და მშვენიერი წარმოჩნდება და კიდევ უფრო მეტ მიმდევრებს გაიჩენს.“ შესაბამისად, ინგლისელების აზრით ირლანდიელები წვრთნასა და გახედვნას საჭიროებდნენ, სამწუხაროდ, პროგრესი გულგრილი და ზოგჯერ დაუნდობელიც კია ერებისა და მთლიანად, კაცობრიობის მიმართაც.

აი, ამგვარი, პურიტანული განგების კეთილი ნების ურყევი რწმენით აღსავსე, აღასრულებდა კრომველი თავის მოვალეობას ირლანდიაში, როგორც მართლმორწმუნე პურიტანი და ინგლისელი. მაგრამ როგორი იყო მთავარსარდლის, მეომრის, პოლიტიკოს ოლივერ კრომველის ხედვა? ადამიანის, რომელიც უკვე სავსებით სამართ-

ლიანად იყო შემოსილი დიდებით, რომელსაც შეჰყურებდნენ როგორც პირს, რომელსაც შეეძლო არანაკლებად რთული, ყოველდღიური პრობლემების გადაჭრაც. ალბათ ამიტომ სწორედ მას შესჩივლა ირლანდიაში განლაგებული ექვსი პოლკის მეთაურმა სერ ჩალრზ კუტმა, რომ მის შენაერთს რვა წლის მანძილზე მხოლოდ რვა თვის ჯამაგირი ჰქონდა აღებული. როგორც ჩანს, ყველას სჯეროდა, რომ კრომველი, როგორც ყოველთვის, ჯარისკაცებს არავის დააჩაგვრინებდა. ჯარისკაცებზე მზრუნველი, მტრის მიმართ დაუნდობელი, ყველა სიძნელის მძლევი და მტერზე გამარჯვებული, ალბათ ასეთი სახელის დამკვიდრება უნდოდა კრომველს ირლანდიაში. ამის ინტერესი მას ნამდვილად ექნებოდა. ინტერესი კი ის ანგარიშგასაწევი ძალაა, რომლის შესაბამისადაც მოქმედებს კაცობრიობის უდიდესი ნაწილი. მის გარეშე ნებისმიერი საზოგადოებრივი თუ სხვა სახის წამოწყება განწირულია დამარცხებისათვის. ცოტა ვინმეს თუ სძალუძს თავისი პირადი ინტერესი მიუსადაგოს საზოგადოებრივ კეთილდღეობას. ამ აზრების მატარებელი იყო აშშ-ს ერთ-ერთი დამაარსებელ მამათაგანი და მისი პირველი პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონი. ამიტომაც კრომველი ყველაფერს შეეცდებოდა, რომ თავისი ინტერესი ცხოვრებაში გაეტარებინა. ის იმიტომ გააგზავნეს ირლანდიაში, რომ სჯეროდათ მისი და არჩევანიც სწორედ მასზე შეაჩერეს და არა თუნდაც სერ თომას ფერფაქსზე. მაგრამ კრომველი იმასაც გრძნობდა, რომ იმავდროულად ეს თავისებური მახეც იყო. ირლანდიამ ბევრი წარჩინებული ინგლისელის სამხდრო ავტორიტეტი დაასამარა. იქ ბევრს ჩაუვარდა სამხედრო კამპანია. ამიტომაც იგი ერთადერთი მიზნისკენ, გამარჯვებისკენ ისწრაფოდა, თუნდაც ნებისმიერ ფასად! ძველ რომაელთა თქმით, გამარჯვებულებს არ სჯიან! კრომველმა ირლანდიაში გააკეთა ის, რის გაკეთებასაც ინგლისელები ცდილობდნენ ელიზაბეთ I დროიდან, მაგრამ მათი მცდელობა ფუჭი გამოდგა. მას უნდოდა ეჩვენებინა, რომ ნებისმიერი წინააღმდეგობის დაძლევის ძალა და უნარი შესწევს. კრომველი ირლანდიაში არც სხვებზე დაუნდობელი იყო და არც სხვებზე გულმოწყალე. იგივე დროედის მოვლენები და საერთოდ, მისი დამოკიდებულება ირლანდიისადმი ჩვეულებრივი რამ იყო იმ დროის ინგლისში. ზემოაღნიშნული ირლანდიელი მკვლევარი

თომას რეილი წერს, რომ ის, რაც კრომველმა მოიმოქმედა ირალნდიაში არ წარმოადგენდა რაღაც არაჩვეულებრივ მოვლენას XVII ს. საალყო საომარი მოქმედებების ისტორიაში. და თანაც, ნუ დაგვავიწყდება ერთი რამ. კრომველი იბრძოდა. იგი ებრძოდა ხილულ და ფარულ მეტოქეებს და რასაკვირველია, მის ინტერესებში იყო ეჩვენებინა, რომ მასთან შერკინების და მით უფრო მისი დაძლევის სურვილი მაინც და მაინც არ უნდა გასჩენოდათ. ეს იყო თავისებური თავის დაზღვევა. ასე რომ კრომველმა თავისი ძალის დემონსტრაცია მოახდინა. თუმცა ამ დემონსტრაციის ერთ-ერთი შედეგი იყო ის, რომ თაობიდან თაობას გადაეცემოდა სიტყვები: „კრომველი რომ დანყეველეს, ის წყეველა მოგეწიოს შენ!“

ამრიგად, ირლანდია პრაქტიკულად დამორჩილებული იყო. მაგრამ სიტუაცია ამჯერად ინგლისის ჩრდილოეთ საზღვართან უარესდებოდა. ინგლისს საფრთხე შოტლანდიიდან ემუქრებოდა. ჯერ კიდევ 1649 წ. 9 აპრილს სახელმწიფო საბჭომ ამცნო კრომველს თავისი გადაწყვეტილება მისი ინგლისში დაბრუნების შესახებ. ირლანდიაში გააგზავნეს საადმირალოს საგანგებო დაკვეთით აგებული ფრეგატი „პრეზიდენტი,“ რომლითაც კრომველი ინგლსიში დაბრუნდა. იგი ირლანდიაში მისმა სიძემ ჰენრი აირტონმა შეცვალა. ინგლისი კრომველს ზარ-ზეიმით შეეგება. უაითლოკი წერდა, რომ პატივი, რომელიც კრომველს მიაგეს, მისი წარმატების ზრდის ტოლფასი იყო. ცნობილმა პოეტმა ენდრიუ მარველმა ოდა უძღვნა, რომელიც ჰორაციუსის სტილში იყო დაწერილი; „პერფექტ ჯურნალი“ წერდა, რომ ირლანდიელებს კარგად ექცეოდნენ და კრომველის ერთადერთ ნაკლად „წარმართი პაპობის“ მიმართ გამოხატული შემწყნარებლობა იქნა მიჩნეული. „მერკურიუს პოლიტიკუს“-მა ქება-დიდება შეასხა მის მიერ ირლანდიაში გაწეულ სამსახურს, რომელმაც „შეამკო მისი ინგლისური გამარჯვებების თაიგული.“ ამ სამსახურმა, წერდა ჟურნალი, გვირგვინი დაადგა მას მსოფლიოს თვალში და წარმოაჩინა იგი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ბრძენი და ჩამოყალიბებული ხელმძღვანელი მის თანადროულ და ძველ თაობებში. პარლამენტის სპიკერმა, უილიამ ლენტოლმა მას აღფრთოვანებული სიტყვით მიმართა, რომელშიც კრომველის დიად და საოცარ საქმეებს ღმერთის

შორსმჭვრეტელობის გამოვლენა უწოდა, ხოლო თავად კრომველს კი მისი უზენაესი ნების განხორციელების იარაღი. ყველაფერ ამაში და განსაკუთრებით ლენტოლის სიტყვებში ორი რამ გამოვლინდა. პირველი, კვალვ წარმოჩნდა ადამიანის, როგორც ღმერთის რჩეულის, მისი უზენაესი ნების განხორციელების იარაღად დანახვა პურიტანული მრწამსის შესაბამისად. მეორე და ალბათ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ კრომველის მისამართით გამოთქმულმა ქება-დიდებამ აჩვენა, რომ ინგლისში, საზოგადოების ნებისმიერ ფენაში სულაც არ ადარდებდათ დროედა, უექსფორდი და იქ დატრიალებული სისხლისღვრა. ყველაფერი სავსებით ბუნებრივი იყო პარლამენტის სპიკერისათვის, ცნობილი პოეტისათვის, პოპულარული ჟურნალის რედაქტორისათვის და თუნდაც ლონდონელი მებარგულისათვის, რომელსაც ალაბათ არც კი ჰქონდა გაგონილი, თუ რა მოხდა დროედაში ან სერთოდ არც იცოდა, თუ რა იყო დროედა. და კრომველიც თავისი ცნობიერებით ხომ ამ საზოგადოების განუყოფელი ნაწილი იყო? საინტერესოა, რა გრძნობებით აღვსილი დაბრუნდა იგი ინგლისში? ძლევამოსილი სარდალი, ბრწყინვლე გამარჯვებები სამოქალაქო ომში, კაცი, ვინც მონარქიას მოუღო ბოლო, დაიმორჩილა ირლანდია, დაამხო რესპუბლიკის მტრები...მას ალბათ ისღა დარჩენოდა, რომ კიდევ ერთხელ ამაყად გადაეხედა ინგლისისთვის. მაგრამ ის ხომ სულით ხორცამდე პურიტანი იყო და ალბათ მისთვის უცხო იყო საკუთარი თავით და დიდებით ტკბობა. ეს ხომ მისივე რწმენით სხვა არაფერი იყო, თუ არა ღვთის ნება, ხოლო ის, ოლივერ კრომველი, ერთი პატარა, უმცირესი ნაწილაკი, რომელიც ღმერთმა თავისი უზენაესი ნების განხორციელების იარაღად აირჩია. ამიტომაც მან განგების მიერ ბოძებულ ახალ დავალებას მიაპყრო მზერა. ძველი ჯარისკაცი ერთი ლაშქრობის დასრულებისთანავე ახალი ლაშქრობისთვის შეუდგა მზადებას. ეს ახალი კი იყო ომი შოტლანდიასთან.

მოშუღარი სკოტები

კრომველის მიერ ირლანდიის დამორჩილებამ აიძულა მეფედ გამოცხადებული უფლისწული ჩარლზი ინგლისის რესპუბლიკაზე თავდასხმისათვის სხვა პლაცდარმი მოენახა. ასეთად შოტლანდია წარმოჩნდა. ამიტომაც ჩარლზმა თავის წინაპართა სამშობლოს მიაშურა. შოტლანდიელები მას ზარ-ზეიმით შეხვდნენ, თითქოს მათვე 1647 წ. 1 თებერვალს 400 ათას გირვანქა სტერლინგის სანაცვლოდ არ გადაეცათ მამამისი ჩარლზ I ინგლისელებისათვის. ერთ-ერთ ქალაქში ბაზარში მოვაჭრე ქალებმა თავისი კალათები და სკამებიც კი დაწვეს, რათა ჩარლზის საპატივსაცემოდ საზეიმო კოცონი გაეჩაღებინათ. თავისი პოზიციების განსამტკიცებლად და იმისათვის, რომ შოტლანდიელთა სრული მხარდაჭერა ჰქონოდა, ჩარლზი დათანხმდა კოვენანტის პირობებს, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღიარა პრესბიტერიანობის გაბატონებული მდგომარეობა მთელს ინგლისში, რამაც ინგლისელთა უკმაყოფილება გამოიწვია. ეს ფაქტობრივად ეწინააღმდეგებოდა მამამისის და პაპამისის საეკლესიო პოლიტიკას და უფრო მეტიც, მამამისის თხოვნას, რომლითაც ჩარლზ I სიკვდილის წინ მამართ უფლისწულს, გაყოლოდა ანგლიკანურ მრწამსს, რადგანაც, როგორც თავად თვლიდა, ანგლიკანური ეკლესია საუკეთესო იყო მსოფლიოში. მაგრამ შოტლანდიელები ამასაც არ დასჯერდნენ და შეეცადნენ უფრო მეტად დაექვემდებარებინათ ჩარლზი თავისი ნება-სურვილისათვის. კერძოდ, მათი ლიდერი, გარაფი არგაილი გეგმებს სახავდა, თუ როგორ მიეთხოვებინა თავის ქალიშვილი ენი ჩარლზისათვის.

როიალისტების პოზიციების ასეთი გაძლიერება სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა ინგლისის რესპუბლიკას. სწორედ ამიტომ გამოიწვია პარლამენტმა კრომველი ირლანდიიდან. მაგრამ პრობლემა არა მარტო გარე საფრთხეში მდგომარეობდა. იგი მომდინარეობდა იმ არმიის მთავარსარდლის პიროვნებიდან, რომელიც შოტლანდიელებს

უნდა შებრძოლებოდა. სამოქალაქო ომიდან მოყოლებული უმაღლეს მთავარსარდლად ფორმალურად კვლავ სერ თომას ფერფაქსი ითვლებოდა. იგი კარგი მეომარი იყო და სიმამაცესაც ავლენდა ბრძოლის ველზე. მაგრამ იმავე დროს ფერფაქსი სავსებით უუნარო და ინიციატივას მოკლებული გამოდგა შექმნილ რთულ სიტუაციაში გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით. როგორც ჩანს, მას პოლიტიკური სიტუაციებისათვის საჭირო პირადი რიხი და გამბედაობა აკლდა. შექმნილ მდგომარეობაში იგი წინა პლანზე კი არ გამოვიდა, არამედ ჩრდილში ყოფნა ამჯობინა. კრომველი გულწრფელად უჭერდა მხარს მის პირველობას. ფერფაქსის ლორდ-გენერლად, ანუ უმაღლეს მთავარსარდლად ყოფნა პოლიტიკურად გამართლებული იყო. ამით ინდეპენდენტები თითქოს ამშვიდებდნენ პრესბითერიანებს, რადგანაც ალიარებდნენ და ეთანხმებოდნენ „მათი ადამიანის“ ყოფნას რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სათავეში. ფერფაქსი ყოველთვის ყველა წვრილმანს ითვალისწინებდა და ერიდებოდა საჩოთირო სვლებს. მას დაუშვებლად მიაჩნდა შოტლანდიასთან ომი. ამიტომ მან უარი განაცხადა მთავარსარდლის თანამდებობაზე. მიზეზად კი ის დაასახელა, რომ ეს იქნებოდა საზეიმო ლიგისა და კოვენანტის დარღვევა, რომელიც დაიდო ინგლისსა და შოტლანდიას შორის 1643 წ. და რომ ადამიანების ვარაუდი არ არის საკმარისი მიზეზი მეზობელ სახელმწიფოსთან ომის დაწყებისათვის. პირად საუბარში კრომველმა მას დაუფარავად განუცხადა: „ეშიშობ, რომ ჩვენი სახელმწიფოები თავიდან ვერ აიცილებენ ამ ომს. თქვენმა აღმატებულებამ უკვე გადაწყვიტა, თუ სად ვიბრძოლებთ, ჩვენს თუ მათ მიწაზე?“ ამით მან აგრძნობინა ფერფაქსს, რომ იგი მომავალ კამპანიაში მთავარსარდლობას უნდა დათანხმებოდა. მაგრამ ფერფაქსმა თავისი ზემოხსენებული ნათქვამით უპასუხა. ამაოდ ცდილობდა კრომველი მის შეგონებას. ფერფაქსი შეუვალი იყო. როდესაც კრომველმა პარლამენტს ფერფაქსის უარი ამცნო, 26 ივნისს კანონმდებლებმა მიიღეს დადგენილება, რომლითაც შოტლანდიაში გასაგზავნი ჯარის მთავრსარდლად დაინიშნა ოლივერ კრომველი.

კრომველის დანიშვნამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა მაშინდელ პერიოდულ გამოცემებში. პირველად მას სამთავრობო ბეჭდვითი ორ-

განო „მერკურიუს პოლიტიკუს"-ი გამოეხმაურა. მისმა რედაქტორმა, ადრე როიალიზმის თავგამოდებულმა პროპაგანდისტმა და მერე რესპუბლიკის ბანაკში გადაბარგებულმა მარტმონტ ნიდამმა ასეთი სტრიქონები უძღვნა კრომველს: „ჩემი მხრიდან, ყოველგვარი პირმოთნეობის გარეშე ვაცხადებ, რომ თუკი ჩვენ გადავავლებთ თვალს ადამიანების ნამოქმედარს თავიდან ბოლომდე, მას (კრომველს-ივ.მ.) ვაღიარებ ერთადერთ ახალ მთავრად (ნიდამი ლათინურ ტერმინს „Novus Princeps"- ს ხმარობს), რომელიც კი მე ოდესმე შემხვედრია ყველა ისეთს შორის, რომლებიც წარმოდგენილები არიან ისტორიაში." რაც შეეხება კრომველის ახალ თანამდებობას და წოდებას, ამის თაობაზე კამათიც კი გაიმართა, თუ როგორი სახით ჩამოეყალიბებინათ ეს ახალი ტერმინები. თავიდან გადაწყდა, რომ ახალი თანამდებობა შემდეგნაირ ფორმულირებას შეიძენდა: „ინგლისის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალი." იმავე დროს მას ნება დართეს თავად აერჩია, თუ რა ფორმით მიემართათ მისთვის. ეს ალბათ იმიტომ, რომ ტერმინი „ლორდ-გენერალი" უკვე საყოველთაოდ იყო დამკვიდრებული და შეიძლება ითქვას, მიმართვის ჩვეულებრივ ფორმად იქცა. მეორე სამთავრობო ბეჭდვითმა ორგანომ „ნუველ ორდინერ"-მა, რომელიც ინგლისში გამოდიოდა ფრანგულ ენაზე, რათა მერე უცხოეთში გაევრცელებინათ, თავის პირველ გამოშვებაში კრომველს „ინგლისის მთელი შეიარაღებული ჯარების გენერალისიმუსი"(Generalissime, Generalissimo) უწოდა.

მაგრამ საზოგადოებრივი აზრი და ოფიციალური პროპაგანდა მხოლოდ კრომველს არ ამკობდნენ ქება-დიდებით. ქვეყანა არანხული ინტერესით და წარმატების რწმენით უყურებდა სამომავლო ლაშქრობას შოტალანდიაში, რომლისთვისაც საყოველთაო სამზადისი მიმდინარეობდა. სწორედ ამას ამცნობდა ლონდონიდან საფრანგეთის ფაქტობრივ მმართველს, კარდინალ მაზარინის მისი წარგზავნილი დე გრუე. საბრძოლო მოქმედებების მტრის მიწა-წყალზე გადატანა და ამით ჩრდილოეთ ინგლისის გადარჩენა შოტლანდიელთა მორიგი გამანადგურებელი შემოსევისაგან, ეს იყო კრომველის სტრატეგიული მიზანი. ასეთი ამოცანის წარმატებით გადაჭრა ყოველთვის დაკავშირებული იყო ზურგის სამსახურთან, მომარაგების პრობლემებ-

თან. აქ გადამწყვეტი როლი ფლოტს ენიჭებოდა. ხომალდებს ნაპირის გასწვრივ უნდა ემოძრავათ და ჯარი ტვირთს სწორედ სანაპიროდან მიიღებდა. მაგრამ საჯარისო შენაერთებს თავისი უშუალო მომარაგებაც უნდა ჰქონოდა. სურსათ-სანოვაგით მომარაგების კრიტიკულ მნიშვნელობაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ შოტლანდიაში გასაგზავნი ჯარის სამხედრო დაზვერვის უფროსი უილიამ რო აგროვებდა ინფორმაციას არა მარტო მტრის რაოდენობაზე, მის შეიარაღებაზე, განლაგების პოზიციაზე და ა.შ., არამედ შოტლანდიაში არსებულ სურსათ-სანოვაგეზეც. რო არკვევდა იმას, თუ რა მდგომარეობა იყო ქვეყანაში სურსათის საწყობების მხრივ და მიუთითებდა, რომ „აქ არის ძალიან კარგად გამომცხვარი პური, რომელიც არ იფშვნება და კარგად ინახება. ძალიან კარგი ღუმელებია ორცხობილების გამოსაცხობად, რომლებსაც ყველაფერთან ერთად სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჯარისთვის საველე პირობებში. ასევე დიდი რაოდენობით არის ცხენის ნალები და ლურსმები, თუმცა მათი ძალით წამოღება ნიუკასლში დიდ ხმაურს გამოიწვევს“- ასე ასრულებს თავის შეტყობინებას რო. მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა კარვები. შოტლანდიის მკაცრი ჰავა ზაფხულშიც კი ღია ცის ქვეშ ძილისათვის ერთობ რთულ პირობებს ქმნიდა. თავად მთავარსარდლის, კრომველის კარავი 46 გირვანქა სტერლინგი ღირდა. პირადი შემადგენლობის კარვები, კერძოდ რიგითი ჯარისკაცების, გაცილებით მოკრძალებული საფასურის იყო, კერძოდ, ერთი კარავი – ერთი გირვანქა სტერლინგი. კრომველისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ე.წ. სულიერ თანხლებას, ანუ იმ სამ-ოთხ ადამიანს, ვინც მასთან ერთად იყო კარავში და ვისთანაც ერთად იგი ლოცულობდა. ეს ხალხი მას მუდამ გვერდში უნდა ყოლოდა. ერთ-ერთი მათგანი იყო ცნობილი მქადაგებელი ჯონ ოუენი, რომელიც თავისი ქადაგებით ნებისმიერ საომარ მოქმედებას უკიდეგანო რელიგიურ ბრწყინვალებას სძენდა. „შტანდარტები, დროშები, ნებისმიერი ნადავლი, რაც კი ადრე მტერს ეკუთვნოდა, რომელმაც ღმერთის წინააღმდეგ გაილაშქრა, მისთვის ყველაფერ ამის წართმევა სახელოვანი საქმე, უფლის სახელის შემკობა იქნება“- ამბობდა ოუენი. ამგვარად, კიდევ ერთხელ წარმოჩნდა, რომ პურიტანებისათვის ომი არ იყო მხოლოდ სამხედრო მოქმედება,

შეიარაღებული ადამიანების დაპირისპირება და იარაღის ხმარებაში უპირატესობის დემონსტრაცია. ეს იყო ღმერთის ერთგულების, მასზე მინდობის და მისდამი მორჩილების გამოვლენა შეიარაღებული ბრძოლის მეშვეობით, რასაც მისი რჩეულისთვის წყალობის სახით გამარჯვების ბოძება მოყვებოდა.

ამრიგად, ირლანდიიდან დაბრუნებულმა კრომველმა ლონდონში ორი კვირა დაჰყო და 28 ივნისს თავისი ჯარით შოტლანდიისაკენ დაიძრა. გზად მათ ნორსჰემპტონი გაიარეს, სადაც ხალხი აღტაცებული ყიჟინით შეეგება. და აი მაშინ, როდესაც მისმა თანმხლებმა ლამბერტმა და ინგოლდსბიმ მისი ყურადღება მიაპყრეს ხალხის აღტაცებულ ყიჟინას და ზარ-ზეიმს, კრომველმა მათ ჭეშმარიტად ისტორიული ფრაზით უპასუხა: „ეს ხალხი არანაკლებ აღტაცებულ ყიჟინას დასცემდა, რომ ენახათ, თუ როგორ მიგვათრევენ ჩვენ სახრჩობელაზე.“ ცინიზმითა და მწარე სინამდვილით აღსავსე სიტყვები! ძლევამოსილი სარდალი, ადამიანი, რომელიც ბრძოლის ველზე უშიშრად ეგებებოდა მტერს და არც მშვიდობიან პირობებში შეშინებულა და პირში უთქვამს მწარე სიმართლე ძალაუფლებითა და სახელით შემოსილი ადამიანებისათვის, რომელმაც დაშნით ხელში თავად ჩაახშო ჯარისკაცთა ამბოხი, მაგრამ რომელსაც იმავე დროს მათი წილი ძნელი, ჯარისკაცული მძიმე ხვედრიც გაუზიარებია, იგი მიხვდა ბრბოს მერყევ, ცვალებად ფსიქოლოგიას. მიხვდა, რომ ბრბო სანახაობითი მხარით, გარეგნული ბრწყინვალებით იხიბლება და თავისივე შექმნილ კერპს რაღაც ხუშტურის გამო, ნებისმიერ დროს ნამსხვრევებად აქცევს, ისე, რომ არც კი გაახსენდება ამ კერპის მიმართ ადრე გამოხატული აღტაცება და თაყვანისცემა. კრომველის ვარაუდი აბსოლუტური სიმართლე გამოდგა! ეს იყო ჭეშმარიტად განგების ნება, რომელმაც თავის რჩეულს არც ასეთი თავისებური, ფილოსოფიური ხედვის გამართლებაში მოაკლო წყალობა. ათი წლის შემდეგ, სტიუარტების რესტავრაციის დროს, ახალი მეფის, ჩარლზ II მიერ შერისხული და პატივაყრილი, იგივე გენერალი ჯონ ლამბერტი ისევ ნორსჰემპტონში შევიდა, მაგრამ ამჯერად უკვე როგორც ტყვე და პატიმარი, ხოლო მისი ზედამხედველი და ბადრაგის მეთაური, ამჯერად უკვე მეფის მხარეზე გადასული, იგივე რიჩარდ ინგოლდსბი იყო! და როგორც ათი წლის წინ, ახლაც,

ხალხი ყიჟინით ეგებებოდა ლამბერტს, მაგრამ ამ ყიჟინაში უკვე არა აღტაცება, არამედ დაცინვა და შეურცყოფა იყო. ბრბო უმოწყალოდ სთელავდა და ტალახში სვრიდა იმ ადამიანს, რომელსაც ადრე თავად განადიდებდა! ვინ იცის, შესაძლოა ყველაფერ ამის განჭვრეტის უნარმა გადაადგმევინა კრომველს ზოგიერთი ნაბიჯი, კერძოდ ის, რომლის გულისთვისაც იგი რევოლუციის, ე.წ. „ძველი, დალოცვილი საქმის“ მოღალატედ, თავისუფლების მესაფლავედ შერაცხეს? მან თავისუფლება წაართვა? მაგრამ ვის? იმათ, ვინც ერთნაირი ყიჟინით, ყველაფრის განურჩევლად თაფლსა და შხამს ერთნაირად ანთხევდა? განა სძალუძთ ასეთებს უზენაესი ფასეულობების გაცნობიერება და შეფასება? განა უნდა ელოდოს მათგან ამის უნარს გმირი, რომელიც ნებისმიერ სიძნელეს შესჭიდებია, რომელსაც ყველაფერი უნახავს და გამოუცდია ცხოვრებაში?

და აი ამ ერთობ რთულ მდგომარეობაში, ომისათვის მზადების დროს კრომველი არ ივიწყებდა ოჯახს, პირველ რიგში ცოლს, ვაჟს, რძალს და ახლადდაბადებულ შვილიშვილს. „ როგორ არის ჩვენი პატარა ნაშიერი? ვტუქსავ მამამისს და დედამისს, არაფრად მაგდებენ. ჩემი ვაჟი რიჩარდი რაც არის, კარგად ვიცი, მე უფრო დოროთის (რძლის-ივ.მ.) იმედი მაქვს. იგი რიჩარდის გაფუჭებულია. ჩემი ქალიშვილი (რძალი-ივ.მ.) მეძუძუვე დედაა და ამიტომაც ეპატიება, მაგრამ მე რომ მათსავით მოცლილი ვიყო, ზოგჯერ მივწერდი ხოლმე“- წერდა კრომველი თავის მძახალს რიჩარდ მეიორს. როგორც ჩანს, ამგვარი მიმოწერა დაშნების წკრიალის და თოფების გრიალის მოლოდინით შეპყრობილი ადამიანისათვის თავისებური ამოსუნთქვის საშუალება იყო.

ივლისში კრომველი შოტლანდიის საზღვართან მდინარე ტვიდზე, ბერვიკის მახლობლად დაბანაკდა. მისი არმია 16 ათას კაცს ითვლიდა, 10,5 ქვეითს და 5,5 ათას ცხენოსანს. მას უპირისპირდებოდა შოტლანდიელთა ჯარი, რომელიც დაახლოებით 26 ათას კაცს ითვლიდა, აქედან 18 ათას ქვეითს და 8 ათას ცხენოსანს. შოტლანდიელთა ჯარს მეთაურობდა ცნობილი და გამოცდილი სარდალი, შეიძლება ითქვას კრომელის ძველი თანამებრძოლი გენერალი დეივიდ ლესლი, რომელიც სამოქალაქო ომში პარლამენტის ჯართან ერთად იბრძოდა

მეფის წინააღმდეგ. სამხედრო-პოლიტიკურმა ვითარებამ ძველი თანამებრძოლები ერთმანეთს დაუპირისპირა. ლესლი საკმაოდ სერიოზული და სახიფათო მოწინააღმდეგე იყო და შესაბამისად კრომველსაც ძნელი კამპანია ელოდა. საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე კრომველმა გამოაქვეყნა მიმართვა შოტლანდიელებისადმი, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა იმ მოწოდებისგან, რომლითაც მან მიმართა კათოლიკე სამღვდელოებას ირლნდიაში. ეს იყო ძალზე გამოზომილი, დიპლომატიურობით აღსავსე დახვეწილი დოკუმენტი. „გემუდარებით, გამოიტანეთ დასკვნა იქედან, რაც მოხდა და გაითვალისწინეთ წარსულის გაკვეთილები. გემუდარებით, დაფიქრდით იმაზე, რომ თქვენც შეიძლება შეგეშალოთ, დაინდეთ პატიოსანი ხალხი და თქვენი საკუთარი სულები. სულაც არ ვაპირებთ ხელი შეუშალოთ ამ ხალხს თაყვანი სცენ ღმერთს ისე, როგორც ამას მათ მათი სინდისი კარნახობს უფლის სიტყვის აღქმის თვალსაზრისით“- წერდა კრომველი შოტლანდიის გენერალურ ასამბლეას. ეს ომი მისი თქმით გამოწვეული იყო იმით, რომ შოტლანდიელები ვერ გაერკვნენ პოლიტიკურ სიტუაციაში. „თქვენ გგონიათ, რომ თუკი ინგლისს თავს მოახვევთ ახალ მეფეს, ამით ღმერთის ნებას შეასრულებთ და ღვთისნიერი ხალხის გულს მოიგებთ ორივე ქვეყანაში?“- წერდა კრომველი. იგი მიუთითებდა, რომ ჩარლზ II შერაცხული უფლისწული ორმაგ თამაშს ეწეოდა და ნიღაბს ხდიდა მის ორპირობას. „შოტლანდიელთა გულის მოსაგებად ჩარლზმა კოვენანტი აღიარა, მაგრამ იმავე დროს მისი ბრძანებით ირლანდიაში პაპისტებს(კათოლიკეებს-ივ.მ.) ომი აქვთ გაჩაღებული პორტესტანტების წინააღმდეგ“- შეაგონებდა კრომველი შოტლანდიელებს.

1650 წ. 22 ივლისს კრომველის ჯარმა მდინარე ტვიდი გადლახა და შოტლანდიაში შეიჭრა. აქ ინგლისელებს ბევრი სირთულე დახვდათ: მთაგორიანი ტერიტორია, ცუდი გზები, მატერიალური რესურსების სიმწირე. დამოკიდებული იყო რა ინგლისიდან მოწოდებულ სურსათ-სანოვაგეზე, კრომველის ჯარი ძირითადად სანაპიროს გასწვრივ გადაადგილდებოდა, რაც მას რთულ პირობებში აყენებდა. პრაქტიკულად კრომველს უკაცრიელი მხარე დახვდა, რადგანაც მოსახლეობა სოფლებიდან გაიქცა და მთებს შეაფარა თავი. ინგლისის

ჯარის მდგომარეობას ართულებდა სურსათის პრობლემაც. ივლისის ბოლოს კრომველის ჯარი ედინბურგს მიუახლოვდა. მაგრამ ლესლის ქალაქი საიმედოდ ჰქონდა გამაგრებული და კრომველი დარწმუნდა, რომ იერიშით მას ვერ აიღებდა. ამიტომ ინგლისელებმა მასელბოროსკენ დაიხიეს. ლესლიმ მათ თავისი ცხენოსნები დაადევნა, მაგრამ კრომველმა უკუაგდო მდევარი. აგვისტოს მანძილზე ადგილი ჰქონდა მხოლოდ რამდენიმე მცირე შეტაკებას. კრომველი განუწყვეტლივ მანევრირებდა ედინბურგის მიდამოებში, რათა აეძულებინა ლესლი დიდ, გენერალურ ბრძოლაში ჩაბმულიყო. როგორც სარდალი, კრომველი ყოველთვის ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებს ამჯობინებდა, ლესლის კი პირიქით, მცირე შეტაკებები ერჩივნა და ცდილობდა, რომ მტრისათვის სიქა გაეძრო ამ გაუთავებელი „ჩხვლეტების" მეშვეობით. იმ კონკრეტულ პირობებში სწორედ ეს ტაქტიკა მოუტანდა ლესლის საბოლოო წარმატებას. აკი კრომველის თანაშეწე, გენერალი ჯონ ლამბერტიც ამბობდა შოტლანდიელებზე: „შეუძლებელია აიძულო ისინი ღია ბრძოლაში ჩაებან." მუდმივი მარშები მთაგორიან ტერიტორიაზე, ავადმყოფობა, ყველაფერი ეს სიქას აცლიდა და ასუსტებდა ინგლისის ჯარს. აგვისტოს ბოლოს კრომველმა დანბარისკენ დაიხია. ეს იყო პატარა საპორტო ქალაქი ფორტ-ოვ-ფორტის ყურეში. იგი იმედოვნებდა, რომ აქ დაასვენებდა ჯარს, მოამარაგებდა სურსათით და შევსებასაც მიიღებდა, რადგანაც მისი პირადი შემადგენლობა უწინდელი 16 ათასის ნაცვლად უკვე 11 ათასს ითვლიდა.

ლესლიმ, რომელიც ფეხდაფეხ მიყვებოდა კრომველს, 2 სექტემბრისთვის დაიკავა გორაკები, რომლებიც დანბარს გარს ეკვროდა და ჩაკეტა კოკსბორნსპასი, ერთადერთი უღელტეხილი, რომლის გავლით გზა ბერვიკისკენ მიდიოდა. ამით მან ინგლისში დასაბრუნებელი გზა მოუჭრა კრომველს. ინგლისელები ხაფანგში მოექცნენ, მათი მდგომარეობა კრიტიკული შეიქმნა. რიცხვობრივი უპირატესობა შოტლანდიელთა მხარეზე იყო, მათ 22 ათასი კაცი ყავდათ. ლესლი კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ მშიერმა, დაქანცულმა და ნირწამხდარმა ინგლისელებმა ბერვიკისკენ დაიხიეს. ზოგიერთი ოფიცერი კრომველს ზღვით უკანდახევას სთავაზობდა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. ინგლისელებს საამისოდ გემები არ ყოფნიდათ. 2

სექტემბერს კრომველი სწერდა ნიუკასლის გუბერნატორს, სერ არტურ ჰეზელრიგს: „ჩვენ ძალიან რთულ მდგომარეობაში ვართ. ავადმყოფობა უმოწყალოდ მუსრს ავლებს ჩვენს ჯარისკაცებს. მტერმა უღელტეხილი ჩაკეტა, რომლის გავლაც ალბათ სასწაულის წყალობით თუ შეიძლება. მაგრამ ჩვენთან არს ღმერთი, რომელიც ხედავს ჩვენს სისუსტეს, გვამშვიდებს და გვაიმედებს. იგი ხედავს მათ სიმრავლეს, თავდაჯერებას და თავის გადასახედიდან გვიწყალობებს ხსნას. ძალღონე არ დავიშუროთ, მხნედ ვიყოთ, ვადიდოთ უფალი იმ მდგომარეობაში მყოფებმა, რომელშიც ამჟამად ვართ. დიდება უფალს!“ ამგვარად, როგორც ყოველთვის, იმ კრიტიკულ სიტუაციაშიც კრომველი დასაყრდენს ღმერთის ურყევ რწმენაში ეძებდა.

ინგლისელებისათვის ასეთ მძიმე სიტუაციაში მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ. ლესლიმ ჩათვალა, რომ რადაგან კრომველი აღარ ცდილობდა ბერვიკისკენ გაეკაფა გზა, იგი ზღვით აპირებდა ევაკუაციას. შოტლანდიელთა სარდალს შეეშინდა, რომ ინგლისელები მას საერთოდ გაუსხლტებოდნენ ხელიდან. ამიტომ მან უკუაგდო თავისი ფრთხილი ტაქტიკა და გადაწყვიტა 3 სექტემბერს შებრძოლებოდა მტერს. 2 სექტემბერს შოტლანდიელთა არმია დაეშვა გორაკებიდან და ახალი პოზიცია დაიკავა. სწორედ ეს იყო ლესლის საბედისწერო შეცდომა. მისი ახალი პოზიცია ძალზე არახელსაყრელი აღმოჩნდა. მისი ჯარი თითქოს გაიჩხირა ფერდობსა და მდინარის ციცაბო ნაპირს შორის, რის გამოც სრულიად დაკარგა მანევრირების საშუალება. კრომველმა, რომელიც ყურადღებით ადევნებდა თვალს მოწინააღმდეგეს, მაშინვე შეამჩნია ეს შეცდომა. ამიტომ, დაღამდა თუ არა, მან ახალ პოზიციაზე გადაიყვანა თავისი ჯარი, რომელიც ძალზე მოსახერხებელი იყო წარმატებული შეტევის განსახორციელებლად.

და აი, 3 სექტემბერს, როგორც კი ჩრდილოეთის ზღვიდან მზე ამოიწვერა, ინგლისელთა ბანაკში ხმამაღლა გაისმა სიტყვები: „აღდგეს ღმერთი, განიბნენ მისი მტრები და მისი მოძულენი უკუიქცნენ მისგან.“ ოლივერ კრომველი 67-ე ფსალმუნის პირველი სტროფით ეგებებოდა მზის ამოსვლას და ბრძოლის დაწყებას. ინგლისელთა ასეთი ადრიანი შეტევა მოულოდნელი აღმოჩნდა შოტლანდიელებისათვის. კრომველმა აქ ასეთი ხერხი იხმარა. მან მარცხენა ფრთაზე საარტილე-

რიო დემონსტრაცია (მოჩვენებითი შეტევა) მოახდინა, რამაც აიძულა შოტლანდიელები ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ძალები გადაეყროლათ. სწრედ ამ დემონსტრაციის დროს ინგლისელთა ცხენოსანი ჯარი ლამბერტისა და ფლიტვუდის მეთაურობით მთელი ძალით ეკვეთა მტერს. იმავდროულად ინგლისელთა ქვეითებმა გენერალ მონკის მეთაურობით შეუტიეს შოტლანდიელთა ცენტრს. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეტევა შოტლანდიელებისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა, საერთო რიცხვობრივი უპირატესობის წყალობით მათ შესძლეს ინგლისელთა შეტევის მოგერიება და შეეცადნენ კონტრეშეტევაზე გადასვლას. როცხვობრივი უპირატესობის ხარჯზე განხორციელებული კონტრშეტევა ნამდვილად დიდ ხიფათს შეუქმნიდა ინგლისელებს. მაგრამ სწორედ ამ დროს კრომველმა ბრძოლაში რეზერვები ჩართო და მერე კი თავად წარუძღვა შეტევაში თავის ბრძოლაში გამობრძმედილ „რკინისგვერდებიან" ცხენოსნებს. შოტლანდიელებმა ვერ გაუძლეს კრომველისა და ლამბერტის შენაერთების ერთიან შეტევას. მათ ჯერ უკან დაიხიეს, მერე კი გაიქცნენ. „გარბიან, სწორედ რომ გარბიან!"- აღტაცებით შესძახა კრომველმა, როცა შოტლანდიელთა უკუქცევა დაინახა. გორაკებსა და მდინარის ციცაბო ნაპირს შორის მოქცეულ შოტლანდიელებს მანევრირების ელემენტარული საშუალებაც კი აღარ ჰქონდათ. ისინი უწესრიგო, ხალხის არეულ-დარეულ მასად იქცნენ, რომელსაც წინააღმდეგობის გაწევის უნარიც კი აღარ ჰქონდა. სულ ამ ბრძოლაში სამი ათასი შოტალნდიელი დაიღუპა, ათი ათასი კი ტყვედ ჩავარდა. ინგლისელებმა ხელთ იგდეს მთელი არტილერია და აღჭურვილობა. მათი დანაკარგი კრომველის პატაკის მიხედვით 20 კაცს არ აღემატებოდა. დანბარის ბრძოლა კრომველის ერთ-ერთი უბრწყინვალესი გამარჯვება იყო, რომელშიც სრულად გამოვლინდა მისი, როგორც მხედართმთავრის ნიჭი. ყველა თვალსაზრისით დანბარი კრომველის დღე იყო და ეს გამარჯვება უდიდესია მთელი მისი სახელოვანი სამხედრო კარიერის მანძილზე. მან მაშინვე გამოიცნო მტრის შეცდომა და გამოიყენა იგი. არნახულად დროულად ჩააბა ბრძოლაში სათადარიგო ნაწილები და ამის წყალობით უკუაქცია მტრის ჯარბი ძალები. კრომველმა ისეთ ბრძოლაში გაიმარჯვა, რომელიც ბევრს წაგებულად მიაჩნდა. ბრძოლის შემდეგ

კი კრომველმა კვლავ მისწერა წერილი სერ არტურ ჰეზელრიგს. „ისინი(შოტლანდიელები-ივ.მ.) ქედმაღლურად იქცეოდნენ, მიაჩნდათ, რომ გზიდან ჩამოგვიცილეს, შურს იძიებდნენ ჩვენზე და ინგლისის ინტერესებს ფეხქვეშ გათელავდნენ. მათ სჯეროდათ, რომ მათი ჯარი და მეფე დაუბრკოლებლივ გამოემართებოდნენ ლონდონისაკენ.“

რეაქცია დანბართან გამარჯვებაზე იმ დროის ინგლისური საზოგადოებრივი აზრის ყველა სეგმენტში წარმოჩნდა. ქვეყანა საყოველთაო აღტყინებამ და აღტაცებამ მოიცვა. ბალსტროდ უაითლოკი ეტლით ჩელსის მიმართულებით მიდიოდა, როდესაც მას ჩარინგ-კროსთან შიკრიკი შემოხვდა. ამ უკანასკნელს სვლა არ შეუნელებია, რადგანაც რაც შეიძლება ჩქარა მიეტანა პარლამენტში სასიხარულო ამბავი და ამიტომ აჩქარებული ქშენით მიაძახა უაითლოკს: „ო, ჩემო ბატონო, ღმერთი ჩვენდა სასახელოდ წარმოსდგა დღეს შოტლანდიაში, სახელოვანი დღეა, ჩემო ბატონო, დანბართან, შოტლანდიაში!“ შიკრიკი ვერ დაყოვნდებოდა და ამიტომაც უაითლოკმა გეზი შეიცვალა და შიკრიკს გაყვა, რათა თავად მოესმინა ამ სიახლის დაწვრილებითი ანგარიში, რომელსაც საჯაროდ წაიკითხავდნენ. პარლამენტმა დაადგინა, რომ დანბართან გამარჯვების სამახსოვრო მედალი უნდა მოეჭრათ. ეს დადგენილება შესრულდა და ამ მედლით დააჯილდოვეს ბრძოლის მონაწილე ოფიცრები და რიგითი ჯარისკაცები. მედლის მოჭრა ოფიციალურად დაევალა ამ საქმის აღიარებულ დიდოსტატს თომას საიმონს, რისთვისაც იგი 1651 წ. დასაწყისში საგანგებოდ ჩავიდა ედინბურგში. გადაწყდა, რომ მედალზე კრომველის გამოსახულება უნდა ყოფილიყო. თავად კრომველი ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. „გულწრფელად მოგახსენებთ, რომ დიდი მადლობელი ვიქნები თუ ამ მედალზე არ იქნება ჩემი გამოსახულება. საოცრად კარგი იქნება, თუ ერთ მხარეზე პარლამენტი იქნება წარმოჩენილი, მეორეზე მხარეზე კი ძალიან მინდა, რომ ჯარი იყოს გამოსახული. ხოლო მის ზემოთ წარწერა, „ძალთა უფალი!“ ეს ხომ ჩვენი საბრძოლო მოწოდებაა და სწორედ ეს დავიძახეთ იმ დღეს.“ ეს ფრაზა 46-ე ფსალმუნის სტროფის ნაწილია, რომელშიც ნათქვამია: „ძალთა უფალი ჩვენთან არის, ჩვენი ბურჯია ღმერთი იაკობისა!“ საბოლოოდ საიმონმა მართლაც ძალზე ოსტატურად გამოსახა კრომველის ბიუსტი

პროფილში, მის თავზე ბრძოლის ეპიზოდი ანუ ჯარის გამოსახულება და საბრძოლო მოწოდება.

ამ საყოველთაო აღტაცებას სხვა გრძნობებიც გამოერეოდა. ასეთები რასაკვირველია სააშკარაოზე არ გამოჰქონდათ. საფრანგეთის წარმომადგენელი ინგლისში დე კრულე თავის ანგარიშში კარდინალ მაზარინისთან დაუნდობლად აკრიტიკებდა კრომველს იმისათვის, რომ იგი თავის პატაკებში დანბარის ბრძოლასთან დაკავშირებით დაუსრულებლად მოიხსენიებდა ღმერთს. ეს დე კრულეს აზრით კრომველის და მისი მომხრეების ფარისევლობის დამადასტურებელი იყო. მაგრამ ფრანგი დიპლომატი არა მარტო სულიერი ფასეულობების გამო გამოთქვამდა გულისწყრომას. მას ძალზე აწუხებდა ის, რომ დანბარის გამარჯვების შემდეგ ინგლისში საზოგადოებრივი აზრი ძალზე აგრესიული გახდა მეფის ხელისუფლების, როგორც ინსტიტუტის მიმართ. ხალხში მონარქიების საყოველთაო, ევროპის მასშტაბით დამხობაზე დაიწყეს ლაპარაკი. აქ კი დე კრულეს აზრით უპირველეს სამიზნეს საფრანგეთი წარმოადგენდა. საერთოდ, დანბართან გამარჯვებამ ინგლისელები სიდიადით შემოსა მათივე თვალში. ამის თავისებურ დასტურს ლონდონში ფრანგულ ენაზე გამოცემული „ნუველ ორდინერ"-ი წარმოადგენდა, რომლის ერთი ნომერი მთლიანად დანბართან გამარჯვებას ეძღვნებოდა. ინგლისელთა გამარჯვების აუცილებლობას ასაბუთებდა კრომველის მამიდაშვილი და პოლიტიკოსი ოლივერ სენტ-ჯონი. თავის წერილში კრომველისადმი იგი წერდა, რომ ეს გამარჯვება არა მხოლოდ სამხედრო უპირატესობის დემონსტრაცია იყო, არამედ მართლების, ღმერთის რჩეულთა აღზევება. მისი თქმით, ღმერთმა განსაჯა და დაადგინა, რომ გამარჯვება კრომველს, ინგლისელს უნდა რგებოდა. ასე რომ სენტ-ჯონის აზრით ღმერთს და ინგლისელებს შოტლანდიელების მიმართ ერთნაირი დამოკიდებულება ჰქონდათ.

7 სექტემბერს კრომველი ედინბურგში შევიდა. მას სამი მოქალაქე შეეგება. თითეული მათგანი თავის ასპარეზზე გამორჩეული ადამიანი იყო. ესენი იყვენენ: იურისტი, ექიმი და მეწაღე, რომლებსაც ქალაქის უსაფრთხოება ებარათ. მაგრამ კრომველი ედინბურგში დიდხანს არ დაყოვნებულა. პრაქტიკულად იგი იძულებული შეიქნა

მაშინვე სამხედრო კამპანიის მოთხოვნებს დაქვემდებარებოდა. მან ჯერ უესტ ლოტიანისკენ აიღო გეზი, მერე კი სტირლინგისაკენ, რომელიც მტრის ხელში იყო. სტირლინგის გარნიზონმა ინგლისელთა რიცხვობრივი უპირატესობის მიუხედავად უარი თქვა დანებებაზე. მაგრამ კრომველმა არ დაიწყო საბრძოლო მოქმედებები სტირლინგის წინააღმდეგ. ამას ორი მიზეზით ხსნიან. როგორც ჩანს, იგი იმედოვნებდა, რომ შოტლანდიელები თავად დაიწყებდნენ შემორიგებას, ანდა პირიქით, დარჩებოდნენ შეურიგებელ ძალად და უფრო შორს, მთებში გაიხიზნებოდნენ. ამიტომ 21 სექტემბერს კრომველი ედინბურგში დაბრუნდა. მაგრამ ედინბურგში შესვლა არ ნიშნავდა შოტლანდიის დედაქალაქთან დაკავშირებული პრობლემების სრულიად მოხსნას. ქალაქისაგან განსხვავებით თავად ციხე-კოშკი, რომელსაც სერ უოლტერ დანდასი მეთაურობდა, არ ნებდებოდა ინგლისელებს. ეს იყო დიდი, კარგად გამაგრებული, კლდეზე დაფუძნებული თავდაცვითი ნაგებობა, რომელიც თავისი მდებარეობის წყალობით სრულად აკონტროლებდა ქალაქს და შეიძლება ითქვას აუღებელი იყო. შოტლანდიელებს მიაჩნდათ, რომ კრომველი სწორედ ამ ციხე-კოშკზე „წაიტეხდა კისერს.“ დანბარის ბრძოლის შემდეგ რამდენიმე პრესბიტერიანმა ღვთისმსახურმა სწორედ ამ ციხეს შეაფარა თავი. კრომველი შეეცადა შემოერიგებინა ციხე-კოშკის დამცველები და პირველ რიგში იქ შეფარებული ღვთისმსახურები. იგი მოუწოდებდა მათ: „ნუ გადაყვებით, ნუ გაიხდით დანბართან დამარცხებას ინგლისთან ურთიერთობის ამოსავალ წერტილად. ნუ ჩათვლით, რომ დამარცხება გამორიცხავს შერიგებას და ურთიერთგაგებას. განა თქვენ თავდავიწყებით არ ლოცულობდით? განა ჩვენ იგივეს არ ვაკეთებდით? განა თქვენი და ჩვენი მოლოდინი არ შეისხამს დრო და დრო ხორცს? ჩვენ ხომ შევყურებდით ღმერთს, რომ გაგვეგო, რა გზით წარგვიძღვება ის მას შემდეგ, რაც ჩვენს ღალატს შეისმენს?“ მას მიაჩნდა, რომ შოტლანდიელები ყველაფერ მომხდარს გააცნობიერებენ, როგორც ორივე მხარის ტოლობის გამოცდას. ე.ი. ღმერთმა შეაფასა, გამოსცადა ორივე მხარე და ყოველგვარი მიკერძოების გარეშე ღირსეულს მიანიჭა გამარჯვება. კრომველი მოუწოდებდა შოტლანდიელებს უკუეგდოთ მიკერძოება და მიეღწიათ ურთიერთგაგებისათვის. მაგა-

რამ მისი შეგონება არ შეისმინეს და კრომველმაც გლაზგოს მიაშურა. გლაზგოში სტუმრობა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მიზნის მიღწევას ისახავდა. მას უნდოდა თავის მხარეზე კოვენანტის თავგამოდებული მომხრეები, სამხრეთ-დასავლეთ შოტლანდიის მოსახლეობა გადაებირებინა. ამაში მისი მთავარი იარაღი მის ჯარი იყო. მკაცრი, თითქმის სასტიკ დისციპლინას ჩვეული კრომველის ჯარისკაცები ისე იქცეოდნენ, რომ აღტაცებაში მოიყვანეს ცნობილი პრესბიტერიანი მოღვაწე რობერტ ბეილი. „ისინი ისე სასიამოვნოდ იქცეოდნენ გლაზგოში, რომ ალბათ ლონდონშიც კი არ მოქცეულან ასე“- წერდა ბეილი. დეკემბრის ბოლოს კრომველმა და ლამბერტმა დაამარცხეს სამხრეთ-დასავლეთის როიალისტები, სტიუარტების მომხრე შოტლნდიელები და მერე ედინბურგს მიუბრუნდნენ. როგორც უკვე ითქვა, ციხე-კოშკი კარგად იყო გამაგრებული და მომარაგებული, ამიტომ იგი უფრო გარნიზონის უფროსის გადაწყვეტილებით დანებდებოდა, ვიდრე ხანგრძლივი ალყის მეშვეობით. მართალაცდა. 24 დეკემბერს, მიიღო რა სასურველი პირობები, გარნიზონის უფროსი, სერ უოლტერ დანდასი დანებდა. უფრო მეტიც, მოგვიანებით იგი კრომველის მხარეზე გადავიდა, რის გამოც იმ დროის როიალისტი ისტორიკოსი ჰიტი წერდა, რომ ედინბურგის ციხე-კოშკი ჯერ ქალწული იყო, მერე კი მეძავი გახდა.

ბრძოლები, ალყები, ვეებერთელა მანძილის გავლა სწრადი მარშით, თანაც შოტლანდიის მკაცრი ჰავის პირობებში, ზოგჯერ ქარბუქშიც, ნამდვილად უარყოფითად მოქმედებდა კრომველის ჯანმრთელობაზე. ამიტომაც წერდა იგი ცოლს დანბართან ბრძოლის შემდეგ. „მე ვბერდები და ვგრძნობ, რა ეშმაკურად შემომეპარა ასაკის უძლურება. ნეტავი ეს წყლულები მალე მომირჩებოდეს! ილოცე ჩემზე ამისთვის.“ 1651 წ. თებერვალში მან უკვე იმდენად ცუდად იგრძნო თავი, რომ ერთ-ერთი ოპერატიული თათბირის დროს შესჩივლა კიდეც ოფიცრებს: „ რაღაც უაზროდ ვარ ჩემს საკუთარ თავში.“ ეს იყო ავად ყოფნის მისეული განმარტება. მთავარსარდლის ჯანმრთელობის მდგომარეობა საზოგადოების ინტერესსაც იწვევდა. ამიტომ მარტის ცნობის ფურცელში მოთავსებული იყო წერილი, რომელიც უშუალოდ ლედი კრომველისადმი იყო მიმართული. კრომველის ცოლს ლონდონში უკვე ასე მოიხსენიებდნენ. „ჭეშმარიტებას მო-

გახსენებთ ქალბატონო, რომ ჩემმა ბატონმა დაისვენა, მომჯობინდა და როგორც თვითონ ამბობს და რასაც ექიმი, დოქტორი გოდარდი ადასტურებს, გაცილებით უკეთ გრძნობს თავს.“ წერილის ავტორი, რომლიც მოიხსენიებოდა როგორც პირი, რომელიც თავზე ადგა კრომველს იყო მისი პირისფარეში, ფრანგი ჟან დიურე. ავად რომ იყო, კრომველი მხოლოდ მისი ხელით მოწოდებულ საჭმელს ჭამდა და საერთოდ სხვას არავის იკარებდა ახლოს. მაგრამ მოხდა ისე, რომ მოგვიანებით თავად დიურე გახდა ავად და აი მაშინ მთავარსარდალმა არ მოაკლო თავის პირისფარეშს ზრუნვა. ამ ფაქტს თვით რესტავრაციის დროის ისტორიკოსი ჯეიმს ჰიტი, როიალისტი, კრომველის მოძულე არ უარყოფს და კრომველის პიროვნებაში კაცთმოყვარეობის გაელვებად მიიჩნევს. სამწუხაროდ დიურე ვერ გამოჯანმრთელდა და გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მან კრომველს დედა, და და დისწულები შეავედრა. კრომველმა სასწრაფოდ ამცნო ამის შესახებ თავის ცოლს და შესაბამისად, წყალობა და პატივი არც ერთს არ მოკლებია. პროტექტორატის ხანაში დიურეს და ელიზაბეთ კრომველის სეფე ქალი გახდა, დისწულები კი პაჟები. კრომველმა არც დიურეს დედა დაივიწყა. ზრუნვა არც მას მოკლებია. ამ შემთხვევაში ერთი რამ არის აღსანიშნავი. კრომველმა პირადად მიიღო დარბაისელი მანდილოსანი და ჰოი საოცრებავ, უცხო ენებში ამ არაფრის მცოდნე ადამიანმა არ დაიზარა და ცოტაოდენი ფრანგული ისწავლა, რათა სტუმარს მის მშობლიურ ენაზე მისალმებოდა და მოეკითხა. საუბრის დანარჩენ ნაწილს კი ფრანგული ენის მცოდნე მისი ქალიშვილები უთარგმნიდნენ. ასე რომ, შევუერთდეთ ზემოხსენებულ ჯეიმს ჰიტს და ვთქვათ, რომ ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ გოროზი ოლივერის გულში მეტ-ნაკლებად სიკეთის ნაპერწკალიც ღვიოდა. მრისხანე დამპყრობელი, რომელიც ირლანდიაში წარბშეუხრელად უყურებდა კათოლიკე ბერების განადგურებას, ზრუნვას არ აკლებდა თავისი ერთგული ადამიანის ოჯახის წევრ კათოლიკე ფრანგებს.

სწორედ იმ დროს მოხდა ერთი საინტერესო ამბავი, რომელიც კრომველის ავტორიტეტის არნახულ ზრდაზე მიუთითებს. კრომველი სრულიად მხოლოდ მაისის მიწურულს გამოჯანმრთელდა, ისე, რომ არა მარტო ლოგინიდან ადგა, არამედ გარეთ გასვლა და სეირნობაც კი

შესძლო. პარლამენტი ძალზე სწუხდა მის ჯანმრთელობაზე. ამიტომ თავის მიმართვებში დეპუტატები არა მარტო მოკითხვას უთვლიდნენ მას და გამოჯანმრთელებას უსურვებდნენ, არამედ რჩევასაც აძლევდნენ. ეს რჩევა კი შემდეგნაირი იყო. კანონმდებლები მოუწოდებდნენ კრომველს თავს გაფრთხილებოდა და სწრაფი გამოჯანმრთელების მიზნით დაეტოვებინა მკაცრი შოტლანდია და სასწრაფოდ ინგლისში გადმოსულიყო, მისი ზომიერი და მარგებელი ჰავით. პარლამენტის დადგენილებით მას ორი ცნობილი ექიმიც კი გაუგზავნეს, რაიტი და ბეიტი, რომლებიც სერ თომას ფერფაქსის ეტლით გაემგზავრნენ შოტლანდიაში. მაგრამ მათი შოტლანდიაში ჩასვლისათვის როგორ თანამედროვენი ამბობდნენ, უდიდესმა მკურნალმა – უფალმა ღმერთმა, თავად განკურნა კრომველი და უფლება უბოძა ეცოცხლა. ამიტომაც ორივე ექიმს ეს მოგზაურობა და დაუსაქმებლობა 200 გირვანქა სტერლინგით აუნაზღაურეს. ყველაფერი ეს უტყუარი დასტურია იმისა, რომ კრომველი სჭირდებოდა ხელისუფლებას, რომ პარლამენტი შეყურებდა მას, როგორც თავისებურ მფარველს და მის დაცვას საჭიროებდა. შეიძლება იგი სულაც არ ეხატებოდათ გულზე, მაგრამ მასზე უკეთესად ალბათ ხელისუფლებას სხვა ვერავინ დაიცავდა და ქვეყანაში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წონასწორობასაც ვერ შეინარჩუნებდა. საინტერესოა, რა გრძნობები გამოწვია ამან კრომველში, რა აზრები წარმოშვა მასში საკუთარ თავზე, როგორ მიიღო მან ეს ყველაფერი? მას, სახელითა და დიდებით შემოსილ სარდალს, რომლის დაშნა სწორუპოვრად იყო აღიარებული, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო შეუცვლელად მიიჩნევდა. მხოლოდ მას შეეძლო კრიტიკულ მომენტებში გადაედგა გადამწყვეტი ნაბიჯი, რასაც სხვები ვერ ბედავდნენ ან ვერ ახერხებედნენ(მაგ. სერ თომას ფერფაქსი, რომელმაც უარი თქვა გაელაშქრა შოტლანდიელების წინააღმდეგ). ალბათ მოვლენათა ამგვარი მსვლელობა მის პურიტანულ ცნობიერებაში კიდევ უფრო განამტკიცებდა ღმერთის რჩეულის შეგრძნებას. მისთვის ეს იყო უფლის ნება, დალოდებოდა მის საგანგებო ნიშნას, რომლითაც თავისი მომავლის წინასწარდასახულობა უნდა გაეგო. აკი თავადაც ამბობდა: „ჩემს თვალში ისინი(ნიშნები-ივ.მ.) სწორედ უფლის წინასწარდასახულობას წარმოადგენენ.“ სწორედ

მისი ურყევი რწმენა, რომ ღმერთის რჩეული იყო, არანახულად ძლიერ მუხტს და უნარს სძენდა მას, რომ გამარჯვების ურყევი რწმენით აღვსილს ევლო დასახული მიზნისაკენ. არც ის არის გამორიცხული, რომ ის იმასაც ფიქრობდა, თუ რა იქნებოდა მისი აღმასვლის შემდეგი საფეხური და როგორ უნდა მოქცეულიყო ამ მსვლელობის მანძილზე. ეჭვი არ არის, რომ ამდენი გამარჯვების და ქება-დიდების შემდეგ მასაც არ ასვენებდა აზრი – სად გადის მისი შესაძლებლობების ზღვარი, რა სიმაღლეა მისთვის განკუთვნილი? ოფიციალურ ქრონიკაში ის მოხუცად, ყოველ შემთხვევაში ისეთ კაცად მოიხსენიებოდა, რომელიც უკვე დაბერდა. დანბარის ბრძოლის შემდეგ იგი გამოუტყდა თავის ძალიან ვიწრო წრეს, რომ უკვე გრძნობს, თუ როგორ შემოაღწიეს მალულად მასში სიბერის ნიშნებმა. შოტლანდიის ლაშქრობის შემდეგ ის თავის ფიზიკურ მონაცემებს უკვე აღარ განიხილავდა საშუალო ასაკის ადამიანის თვალხედვით. და ყველაფერს გარდა, შოტლანდიაში ყოფნისას, მისმა ავადმყოფობამ დაანახა, რომ ისიც სიკვდილის შვილი იყო.

მაგრამ განგებამ იგი დაინდო. ის გადარჩა. ეს კი მისთვის იმას ნიშნავდა, რომ იგი საჭირო იყო და მას მნიშვნელოვანი რამ ელოდა. მას, თავგადადებულ პურიტანს, ღმერთის რჩეულს, მის სადიდებლად უნდა ეშრომა. მისი შრომის ასპარეზი კი ბრძოლის ველი იყო. აქ კი კვლავ ბევრი რამ იყო გასაკეთებელი. დანბართან დამარცხების შემდეგ შოტლანდიელებმა ძალა მოიკრიბეს და სტირლინგში გამაგრდნენ. მათ კვლავ დეივიდ ლესლი და ჩარლზ II მეთაურობდნენ. სტირლინგი ძალზე კარგად იყო გამაგრებული და მისი აღება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. საჭირო იყო ჯერ ქალაქის მისადგომებთან პოზიციების დაკავება და მერე კი იმ გზების ჩაკეტვა, რომლებითაც იგი სურსათ-სანოვაგეს იღებდა. პირველი ნაბიჯი ამ მიზნის მიღწევის გზაზე წარმატებით განხორციელდა. 20 ივლისს გენერალმა ლამბერტმა სასტიკად დაამარცხა შოტლანდიელები ინვერკეიტინგთან. ამან საშუალება მისცა კრომველს უფრო მეტი ძალებისთვის მოეყარა თავი სტირლინგის მისადგომებთან. ითვალისწინებდა რა იმას, რომ სტირლინგი ძალიან კარგად იყო გამაგრებული, ხოლო ლესლი არ უღალატებდა თავის დაცვით ტაქტიკას და არ დაუპირისპირდებოდა ინგლისელებს ღია ბრძოლაში, კრომველმა ახალი გეგმა შეიმუშავა. მან გა-

დაწყვიტა ჩრდილოეთიდან შემოევლო ლესლის პოზიციისათვის, დაეხშო მისთვის მომარაგების წყარო. ამით იგი აიძულებდა ლესლის დაეტოვებინა მისთვის ესოდენ ხელსაყრელი პოზიცია. მაგრამ ეს გეგმა ერთ საფრთხეს შეიცავდა. კრომველის შემოვლით მანევრს შეიძლება გზა გაეხსნა შოტლანდიელებისათვის ინგლისის ჩრდილოეთ საზღვრისკენ. თუმცა სწორედ ამის პროვოცირებით კრომველი აიძულებდა ლესლის დაეტოვებინა მისთვის ესოდენ ხელსაყრელი პოზიცია. კრომველის ვარაუდი გამართლდა, ლესლი წამოეგო მის „ანკესზე.“ 2 აგვისტოს ხანმოკლე ალყის შემდეგ ინგლისელებმა აიღეს პერტი, რითაც კრომველმა მოწინააღმდეგეს მომარაგების წყარო გადაუკეტა. იმ დროიდან მოყოლებული შოტლანდიელთა მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. „ჩვენ ან შიმშილით ამოგვხდება სული, ან ამ ერთი მუჭა ხალხით ინგლისში უნდა შევიჭრათ“ – ამბობდნენ შოტლანდიელი ჯარისკაცები. 1651 წ. აგვისტოს დასაწყისში შოტალანდიელთა 20 ათასიანი ჯარი ჩარლზ სტიუარტის მეთაურობით ინგლისში შეიჭრა. მათ კარლაილთან გადაკვეთეს საზღვარი და ლანკაშირის გავლით ჩრდილოეთ უელსის გზას დაადგნენ. ინგლისში შეჭრამდე ჩარლზს იმის დიდი იმედი ჰქონდა, რომ მოსახლეობა მას მხარს დაუჭერდა და მასობრივად შევიდოდა მის ჯარში. მაგრამ მას სასტიკი იმედგაცრუება ელოდა. ადგლობრივი მოსახლეობა სულაც არ აპირებდა მხარში ამოსდგომოდა ახლადმოვლენილ მეფეს, რომელიც ინგლისის ძველ მტრებს, შოტლანდიელებს მოუძღოდა. ინგლისელებისთვის ეს ეროვნული ღირსების შელახვა იყო – მათი მტრები, შოტლანდიელები, იარაღით ხელში მათ მიწაზე დააბიჯებდნენ! ინგლის-შოტალნდიის მრავალსაუკუნოვანმა ისტორიულმა შუღლმა სრულად იჩინა თავი! შოტლანდიელთა ჯარის ინგლისში გამოჩენამ მოსახლეობის იმ ნაწილშიც კი გამოიწვია უკმაყოფილება და წინააღმდეგობის გაწევის სურვილი, ვინც სხვადასხვა მიზეზის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამდა ინდეპენდენტური რესპუბლიკით. პატრიოტული, ამ შემთხვევაში ანტიშოტლანდიური გრძნობის უპირველესი გამოხატვა იყო ადგილობრივ მილიციაში(სახალხო ლაშქარში) შესვლა. ნორტუმბერლენდის, ჩეშირის, სტრაფორდშირის და სხვა საგრაფოების მოსახლეობა მასობრივად შედიოდა თავ-თავის ტერიტორიულ ლაშქარში. ეს ლაშქრები რამდენიმე ათას ქვეითს და ცხენოსანს ითვლიდნენ და მზად იყვნენადგილობრივიხელისუფლებისპირველსავედაძახებაზეჩაბმულიყ-

ვნენ საბრძოლო მოქმედებებში. ჩარლზი და შოტლანდიელთა სარდლობა მალე დარწმუნდნენ, რომ ინგლისელების უმრავლესობას არ სურდა მეფის დროშის ქვეშ დადგომა. ადგილობრივი როიალისტები და პრესბიტერიანები დათრგუნული და დეზორგანიზებულები იყვნენ და უბრალოდ, აქტიური მოქმედების თავი არ ჰქონდათ. ერთადერთი საგრაფო, სადაც ჩარლზს მომხრეები გამოუჩნდნენ, იყო ლანკაშირი. მაგრამ მათი რიცხვი ძალზე უმნიშვნელო იყო და მათმა გამოსვლამაც სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. იქ როიალისტების თავკაცმა, გრაფმა დერბიმ შეპირებული რვა ათასი კაცის ნაცვლად მხოლოდ ათასის გამოყვანა შესძლო. მაგრამ ისინიც კი სასტიკად დამარცხდნენ პარლამენტის მცირერიცხოვან რაზმთან შეტაკებაში, რომელსაც პოლკოვნიკი რობერტ ლილბერნი მეთაურობდა.

შეიტყო თუ არა, რომ ჩარლზი ინგლისში შეიჭრა, კრომველმა შოტლანდიაში მცირერიცხოვანი ნაწილი დატოვა გენერალ მონკის მეთაურობით, თვითონ კი თავისი ძირითადი ძალებით ნორტუმბერლენდისა და იორკშირის გზას დაადგა. ცხენოსანი ჯარი ლამბერტისა და ჰარისონის მეთაურობით დაწინაურდა, რათა წინწასულ მტერს დასწეოდა. კრომველი ძალზე სწრაფად მიიწევდა წინ. ამის გულისთვის ჯარისკაცები პერანგისამარა მიდიოდნენ, ხიფთანები და იარაღი კი საზიდებით მიჰქონდათ. ამის წყალობით კრომელის ჯარი დღეში 20 მილს გადიოდა, რაც გასაოცრად მაღალი მაჩვენებელი იყო იმ დროის ქვეითი ჯარისთვის. 22 აგვისტოს ჩარლზმა ვუსტერს მიაღწია. მისი ჯარი სავალალო მდგომარეობაში იყო. პირადი შემადგენლობა 20 ათასიდან 16 ათასამდე შემცირდა. ჯარისკაცები არაქათგამოცლილი და სულიერად გატეხილილები იყვნენ. 27 აგვისტოს კრომველი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მიუახლოვდა ვუსტერს და მტერს ლონდონისაკენ მიმავალი გზა გადაუჭრა. როიალისტები ერთობ არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩდნენ. კრომველის ჯარი მათ რიცხვობრივად სჭარბობდა, იგი 31 ათას კაცს ითვლიდა, თანაც მისკენ შევსება მიემართებოდა ზემოხსენებული ადგილობრივი მილიციის სახით. 29 აგვისტოს ჩარლზმა სცადა იერიში მიეტანა ვუსტერის აღმოსავლეთით მდებარე გორაკებზე, სადაც კრომველის არტილერია იყო განთავსებული და შეეცადა იგი მწყობრიდან გამოეყვანა. მაგრამ პარლამენტის ჯარს ამ მოსალოდნელი იერიშის

შესახებ შეატყობინა ერთმა ვუსტერელმა პურიტანმა, ვინმე გიზმა, პროფესიით მკერავმა. პარლამენტის შენაერთი მზადყოფნაში დახვდა შოტალანდიელთა თავდასხმას და უკუაგდო ისინი. როიალისტებმა გაიგეს თავისი წარუმატელობის მიზეზი, მიაგნეს გიზის კვალს და ჩამოახრჩვეს. „ღვთისმოშიში კაცი ყოფილა"- ასე შეაფასა გიზის თავგანწირვა კრომველმა. მისი მიმართვის საფუძველზე გიზის ქვრივს და შვილებს ჯერ ერთჯერადი თანხა გამოუყვეს, 200 გირვანქა სტერლინგი, მერე კი ყოველწლიური შემწეობა დაუნიშნეს 100 გირვანქა სტერლინგის ოდენობით. იმავე დღეს, შოტლანდიელთა შეტევის მოგერიების შემდეგ კრომველი სწერდა პარლამენტს: „ ჩვენ ქალაქს(-ვუსტერს- ივ.მ.) მივუახლოვდით. ვფიქრობ, რომ ჩვენი პოზიცია მაქსიმალურად ახლოს უნდა იყოს ქალაქთან. თუ ისინი შეგვებძოლებიან, ჩვენ ღმერთს მივანდობთ თავს და მისი წყალობის იმედიც გვექნება. მაგრამ თუ ისინი ბრძოლაზე უარს იტყვიან და გვაიძულებენ „ვიმოგზაუროთ" (დავედევნოთ -ივ.მ.), მაშინ ჩვენ ღმერთის ნაბრძანებს გავყვებით."

1651 წ. 3 სექტემბერს, დანბართან ბრძოლის ზუსტად ერთი წლის თავზე გაიმართ ბრძოლა ვუსტერთან, რომელმაც მთელი შოტლანდიური სამხედრო კამპანიის ბედი გადაწყვიტა. როგორც ყოველთვის, ბრძოლის წინ კრომველის ჯარის საბრძოლო ძახილი: „ძალთა უფალი ჩვენთან არის!" მოეფინა ბრძოლის ველს. ბრძოლა ფლიტვუდის ნაწილებმა დაიწყეს. მერე კი ბრძოლაში კრომველი ჩაერთო, რომელიც თავად წარუძღვა წინ თავის გამობრძმედილ ვეტერანებს. ისინი გადავიდნენ მდინარე სევერნზე მოწყობილ პონტონის ხიდზე და ეკვეთნენ შოტლანდიელებს. შოტლანდიელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს კრომველის ნაწილებს, მაგრამ ინგლისელთა რიცხვობრივმა უპირატესობამ აიძულა ისინი უკან დაეხიათ. იმ დროს, როდესაც კრომველის და ფლიტვუდის ნაწილები სევერნის მარცხენა ნაპირზე უტევდნენ მტერს, ჩარლზმა თავისი ძალებით, რომლებიც ვუსტერში იყვნენ დაბანაკებული კრომველის იმ პოლკებს შეუტია, რომლებიც სევერნის მარცხენა ნაპირზე იყვნენ განლაგებული და ლონდონისკენ მიმავალ გზას იცავდნენ. ჩარლზის ამ სვლამ გაამართლა. ინგლისელებმა უკან დაიხიეს. მდგომარეობა კვლავ თავად კრომველმა იხსნა. იგი

სასწრაფოდ გადავიდა მდინარე სევერნის მარცხენა ნაპირზე, სათავეში ჩაუდგა იქ მყოფ ნაწილებს და კონტრშეტევა წამოიწყო. კრომველის პირადი შემართებით გამხნევებული ინგლისელთა ნაწილები მოწესრიგდნენ და ნელ-ნელა დაიწყეს მტრის უკუგდება. მალე ეს უკუგდება ზეწოლაში გადაიზარდა. შოტლანდიელებმა ვერ გაუძლეს ამ ზეწოლას. მათ ჯერ უკან დაიხიეს, მერე კი ვუსტერს შეაფარეს თავი. კრომველმა ბოლომდე სდია მტერს და ბრძოლამ ვუსტერის ქუჩებში გადაინაცვლა. კრომველმა ამ ბრძოლაში არტილერიაც კი გამოიყენა. მისი ზარბაზნები ქუჩების გასწვრივ ისროდნენ და უმოწყალოდ ანადგურებდნენ მტერს. ბრძოლამ სულ სამ საათს გასტანა. შოტლანდიელთა ჯარი ფაქტობრივად გაანადგურეს. მათ სამი ათასი კაცი დაკარგეს, ხოლო ცხრა ათასი კი ტყვედ ჩავარდა. შოტლანდიელები იმდენად იყვნენ დემორალიზებულები, რომ მასობრივად ბარდებოდნენ ტყვედ. იყო შემთხვევა, როდესაც ერთ ინგლისელ ოფიცერს ერთდროულად 18 შოტლანდიელი ჩაბარდა ტყვედ. თავად ჩარლზმა გაქცევით უშველა თავს. გლეხის ტანსაცმელში გადაცმული იგი დიდხანს დახეტიალობდა სამხრეთ-დასავლეთ ინგლისში, სანამ როიალისტებმა იგი საფრანგეთში გადაიყვანეს.

კრომველის ვუსტერთან გამარჯვება პრაქტიკულად შოტლანდიის დაპყრობის ტოლფასი იყო. ჯერ კიდევ 14 აგვისტოს გენერალმა მ᷑ნკმა სტირლინგი აიღო. აგვისტოს ბოლოს კი მან ფაქტობრივად დაატყვევა შოტლანდიის მთავრობა, „შოტლანდიის სახელმწიფო კომიტეტი.“ სექტემბერში ინგლისელებმა ქვეყნის ჩრდილოეთში აბერდინი და ინვერნესი აიღეს. 1651 წ. ინგლისელთა ხელში პრაქტიკულად შოტლანდიის ყველა ქალაქი და ციხ-სიმაგრე აღმოჩნდა. 1652 წ. თებერვალში ინგლისელებმა ორკნის კუნძულები დაიკავეს. ხოლო მაისში დაეცა შოტლანდიელთა უკანასკნელი ციხე-სიმაგრე. შოტლანდიელებმა წინააღმდეგობა შეწყვიტეს. მიზანი, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ესოდენ ესწრაფოდნენ ინგლისის მეფეები, ასრულდა. ინგლისმა დაიპყრო შოტლანდია. ლეიტში, ინვერნესში და კიდევ სხვა ქალაქებში ინგლისური გარნიზონები ჩააყენეს. ინგლისის საოკუპაციო ჯარი თითქმის 14 ათას კაცს ითვლიდა. და ეს შესძლო არა მეფემ, არამედ რიგითმა სოფლის ჯენტელმენმა, საშუალო შეძლების აზნაურმა, რო-

მელიც რევოლუციამ შვა და თავისი რიხი, ყველაფრის შემმუსვრელი ძალა და სისასტიკეც კი დაანათლა. განგებამ მას გააკეთებინა ის, რაც ინგლისს ესოდენ სწადდა საუკუნეების მანძილზე. ვერც ნორმადიელებმა, ვერც პლანტაგენეტებმა, ვერც ტიუდორებმა და სტიუარტებმაც კი ვერ შემოუერთეს უშუალოდ შოტალანდია ინგლისს. განგებამ თავისი ნება კრომველების გვარის რიგით წარმომადგენელს აღასრულებინა. შესაბამისად, იგი მართლაც მისი ნების რჩეული აღმოჩნდა, როგორც ეს მას მტკიცედ სწამდა. განგებას ინგლისის მიერ შოტლანდიის დაპყრობა სწადდა და ამისათვის მან არა მეფე, არამედ ჯენტელმენი არჩია. როგორც ჩანს, ისტორიისათვის მთავარი სწორედ ინგლისის მიერ შოტლანდიის დაპყრობა იყო. თუ ვისი ხელით მოხდებოდა ეს, მეფის თუ საშუალო შეძლების აზნაურის, ამას უკვე დიდი მნიშვნელობა აღარ ენიჭებოდა. რადგან როგორც ჩანს, მთავარი იყო სწორედ ბრიტანეთის კუნძულების გაერთიანება მათი და საერთოდ, მსოფლიოს შემდგომი განვითარებისათვის. კრომველმა ინგლისის საერთო სწრაფვა გამოხატა და მის მომავალ იმპერიულ სიდიადეს ჩაუყარა საფუძველი. მაგრამ რა და ვინ იყო ეს ინგლისი? ალბათ პარლამენტის დეპუტატი, რომელიც საშინაო და საგარეო პოლიტიკის კურსს აყალიბებდა, სიტის ფინანსისტი და ბანკირი, რომელიც ამ პოლიტიკს აფინანსებდა, ბრისტოლელი დიდვაჭარი, რომელიც საგარეო ვაჭრობაში იყო ჩაბმული, წიგნებსა და საარქივო მასალაში ჩაფლული ოქსფორდის პროფესორი, ქვანახშირის ნიუკასლელი გადამზიდავი, დოვერის მტვირთავი და კემბრიჯშირის ფერმერი. თითეული მათგანი თავის საქმეს აკეთებდა და იმავე დროს ყველანი მიესალმნენ როგორც ირლანდიის დაპყრობას, ასევე შოტლანდიის ფაქტობრივ შემოერთებას. და ამისკენ მათ სწორედ სოფლის ჯენტელმენმა, ოლივერ კრომველმა გაუკვალა გზა. მან თავის სამხედრო საქმიანობა იმით დაიწყო, რომ საკუთარი სახსრებით ცხენოსანთა რაზმი ჩამოაყალიბა და რაღაც რვა-ცხრა წლის შემდეგ ქვეყანას სახელი და დიდება მოუტანა. ანუ შესძლო ქვეყნის სწრაფვა გამოეცნო და შესაბამისი გზით ევლო, ისე, რომ ერთდროულად ქვეყანაც და საკუთარი თავიც დიდებით შეემოსა. ქვეყანა უარს არ ამბობდა იმაზე, რასაც ეს კაცი აკეთებდა. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანას, რომელიც თავის ყოველდღიურ ცხოვრებას

მისდევდა, იმავდროულად მოსწონდა ის და მისი ნამოქმედარიც. ყველაფერ აქედან გამომდინარე, რა უნდა მოყოლოდა ამგვარ მიღწევებს, რა ქმედებებისაკენ უბიძგებდა მას განგება? რა მოეთხოვება ასეთ პირობებში ტრიუმფატორს და რა შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე მართებულად, სამართლიანად და კანონზომიერად მის ნამოქმედარში? რა უნდა გამხდარიყო, რად უნდა ქცეულიყო ასეთი შარავანდედით შემოსილი ადამიანი? კმაყოფილებით და მადლიერებით მიეღო ყველაფერი რაც კი მას ებოძა, თუ კიდევ ერთი ნაბიჯი გადაედგა წინ, იდუმალებით მოსილ მომავლის გზაზე? განგებამ ეს კითხვა პასუხის გარეშე არ დატოვა.

ქვეყნის დალაგება

„ძველი მეფე მკვდარია, მისი შვილი დამარცხებული.
ასე რომ, დადგა დრო, რომ ქვეყანა დავალაგოთ“
ოლივერ კრომველი, 1651 წ. დეკემბერი.

როდესაც ღმერთი, როგორც ამას ჯონ მილტონი ამბობდა, საქმეს გამარჯვებით აგვირგვინებს, ის მერე იმ ფასეულობებს მიუბრუნდება, რომლებიც ამ წამოწყების სული და გულია. სწორედ ისინი უნდა დაინერგოს მილტონის აზრით იმ უაზრობის ფონზე, რომელსაც ამის მომსწრე უგნური ხალხი სჩადის. ანუ თვით ბრწინვალე და დიადი გამარჯვების შემდეგაც კი საქმე უმალ ვერ იძენს სრულ, ჩამოყალიბებულ ხასიათს. ვუსტერთან ბრძოლის შემდეგ კრომველი ხშირად ამბობდა, რომ სიამოვნებით განერიდება დიდებასა და ძალაუფლებას. ყველაფერ ამის მობეზრება დიდ, ძლიერ ადამიანებში გულწრფელი და იმავდროულად ამაოა. იმიტომ, რომ ამ განრიდებას გარე ვითარებები უშლიან ხელს, მაგრამ არის სხვა მიზეზიც. ეს არის ის ლტოლვა, სულისკვეთება და საქმისადმი მინდობა, რომლებიც ადამიანს ბორკავენ და საშუალებას არ აძლევენ იმ საქმეს შეაქციოს ზურგი, რომელშიც იგი მთელ თავის არსებას აქსოვს. ამ საქმის გარეშე მას უბრალოდ არსებობა არ შეუძლია. კრომველი თავისი დიდების მწვერვალზე იყო. ცხრა წელი გავიდა მას შემდეგ, როცა სინდისმა, მოვალეობამ ქვეყნის წინაშე, სამოქალაქო თავისუფლების და ღვთაებრივი ჭეშმარიტების დაცვის აუცილებლობის რწმენამ იარაღი ააღებინა ხელში. გამარჯვება მუდამ ამკობდა მის დროშებს და ეს ლამის სასწაულის ტოლფასი იყო. იმ დროის ცნობილი ევროპელი სარდლების, უფლისწულ კონდეს, მარშალ ტიურენისგან და საერთოდ, ნებისმიერი სხვა სარდლისაგან განსხვავებით იგი არ დამარცხებულა. ცხენოსანი რაზმის გაუთლელი მეთაური ევროპაში ყველაზე დისციპლინირებული და ძლევამოსილი ჯარის მთავარსარდალი გახდა. ეხლა კი დადგა დრო, როდესაც მას უნდა ეჩვენებინა, იქნებოდა თუ არა მისი მოქმედება სამოქალაქო-პოლიტიკურ ასპარეზზე ისეთივე ნიჭით, იღბლით და საერთოდ, გამარ-

ჯვებით შემოსილი, როგორც ეს ბრძოლის ველზე იყო. შესძლებდა თუ არა იგი სამოქალაქო-პოლიტიკური საქმიანობის ხომალდის გატარებას ამ ასპარეზის არანაკლებად ბობოქარ ტალღებში და საერთოდ, რა ადგილს დაიკავებდა იგი მშვიდობიან ცხოვრებაში? მისი პიროვნებიდან გამომდინარე იგი ამ ახალ ასპარეზზეც ისეთივე დაუღალავი უნდა ყოფილიყო, როგორც ბრძოლის ველზე. მისი ენერგია უშრეტი იქნებოდა; საღ აზრს რაღაც რომ შეშლოდა, დაძაბული ყურადღება არასოდეს მოდუნდებოდა; წინასწარ გათვლებს მცდარ შედეგამდე რომ მიეყვანა, საკუთარი ძლიერი რწმენა არასოდეს უღალატებდა; იმედი არასოდეს შეაქცევდა ზურგს ბრძოლის ველზე და ეს მაშინ, როდესაც სხვებს ის აუცილებლად გადაეწურებოდა. ურყევი იმედით გამსჭვალული სულისკვეთება და ძველი გამარჯვებების შარავანდედი – აი ის ორი ბურჯი, რომლებზედაც დაფუძნებულია დიდი ადამიანის ძალაუფლება. მესამე საყრდენს კი წარმოადგენს ის სულიერი სიმრთელე, რომელიც ყოველთვის შთაბეჭდილებას ახდენს მის გარშემო მყოფ ადამიანებზე. კრომველში ეს სამივე მომენტი იყრიდა თავს. სხვა დანარჩენი თვისებები კი დროს უნდა გამოევლინა.

გამარჯვებული სარდალი ტრიუმფით ბრუნდებოდა დედაქალაქში. პარლამენტმა თავისი წევრებიდან ხუთი ყველაზე პატივცემული და ავტორიტეტული დეპუტატი გამოყო იმისთვის, რომ მას ქალაქში შემოსვლისას მისალმებოდნენ. მასვე პარლამენტის დადგენილებით გამოეყო ყოველწლიური თანხა 4 000 გირვანქა სტერლინგის ოდენობით, რაც დაემატა ადრე გამოყოფილ 2 500 გირვანქა სტერლინგს. საკამოდ დიდი დავიდარაბის შემდეგ საჯარო ვაჭრობიდან მოიხსნა გასაყიდად გატანილი მეფის ყოფილი სასახლე ჰემპტონ კორტი და კრომველს გადაეცა საცხოვრებლად. დედაქალაქში შემოსვლისას მას ახლდნენ უფროსი ოფიცრები, პარლამენტის სპიკერი, ლორდ-მერი, ალდერმენები, შერიფები, სახელმწიფო საბჭოს წევრები და სხვა მრავალი წარჩინებული პირი. კრომველის ლონდონში შემოსვლისთანავე გაისმა თოფების გასროლის ხმა და მისი სადიდებელი შეძახილები. ამ ჭეშმარიტად ტრიუმფალური მსვლელობის მანძილზე კრომველმა საკმაო ენაწყლიანობა და ირონიაც კი გამოავლინა. კერძოდ, მან გაიხსენა ნორზჰემპტონში შესვლისას ლამბერტისათვის ნათქვამი

სიტყვები, რომ ეს ხალხი კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი იქნებოდა და მეტ ყიჟინას დასცემდა, იგი რომ სახრჩობელაზე წაეთრიათ. ამ ზარ-ზეიმის და პატივის მიგების ფონზე ძალზე მრავლისმთქმელად ულერდა კრომველისადმი მიძვნილი მილტონის სონეტი. ამ სონეტში კრომველი მოიხსენიებოდა როგორც რწმენით და უდრეკი სულით დაჯილდოებული სახალხო ბელადი, რომელსაც მშვიდობის და სიმართლის ხნული გაყავს. მაგრამ, როგორც ნათქვამი იყო სონეტში, ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო დასაპყრობი, რადგან მშვიდობას არანაკლები გამარჯვებები ახლავს, ვიდრე ომს, რომელთა მოპოვებაა საჭირო. რაც შეეხება იმ საზეიმო მსვლელობის მთავარ საბაბს, ვუსტერთან გამარჯვებას, აქ კრომველი არ ღალატობდა თავის მთავარ პრინციპებს, თავმდაბლობას და ღვთისმოსაობას. როდესაც უშუალოდ ბრძოლაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, ის სიტყვას არ ამბობდა საკუთარ თავზე, მაგრამ ქება-დიდებას არ იშურებდა ოფიცრებისა და რიგით ჯარისკაცებისათვის და დიდხანს ყვებოდა მათი გმირობის ამბავს. და რასაკვირველია, მთელი თავისი არსებით ადიდებდა ღმერთს, ამ გამარჯვების ერთადერთ და უდიდეს სულისჩამდგმელს.

ამ ტრიუმფალურ სვლასა და არნახული პატივის მიგებაში, რომელიც კრომველს ხვდა წილად, მის მდგომარეობში თითქოსდა იყო რაღაც თავისებური გაურკვევლობა. იგი იყო არმიის კაპიტან-გენერალი და სახელმწიფო საბჭოს წევრი. ისიც უნდა ითქვას, რომ იყო ხალხი, რომელმაც ხმა მისცა კრომველის საბჭოში შესვლას, თუმცა კი არ იზიარებდა მის შეხედულებებს. იგი უამრავ, ძალზე მნიშვნელოვან კომიტეტში გააწევრიანეს. კერძოდ, ირლანდიის საქმეთა, შოტლანდიის საქმეთა, ვაჭრობის და სამხედრო ტყვეთა გამწესების კომიტეტებში. მაგრამ იყო განა ყველაფერი ეს ის საბოლოო საფეხური, რომელზედაც ასვლა მას მისი მთავარი მიზნის მიღწევასთან დაკავშირებული გრძნობების ტყვეობაში გაახვევდა? მას ხომ ქვეყანა უნდა დაელაგებინა ღვთისმოსაობისა და ღვთისმოშიშობის პრინციპების საფუძველზე. ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ ყველაზე განყენებული და თუნდაც უზენაესი პრინციპი ხორციელდება პიროვნული, სუბიექტური ინტერესის ხორცშესხმით, რომლითაც იგი წარმოდგენილია საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე. ინტერესი განაპირობებს

პიროვნების მოქმედებას და არის ნებისმიერი საზოგადოებრივი ინსტიტუტისა თუ დაწესებულების ქმედითუნარიანობის საფუძველი, როგორც ამას წერდა აშშ-ს ერთ-ერთი დამაარსებელ მამათაგანი და პირველი პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონი. ასე რომ, კრომველი წარმოსდგება როგორც თავის პიროვნებაში უზენაესი აბსტრაქტული მიზნის მატარებელი და ამ მიზნის თავისი პიროვნული ნებელობის მეშვეობით განმახორციელებელი. იგი გატაცებული იყო სამართლიანობისა და პიროვნული სისრულის მიღწევის გზების ძიებით. პარლამენტი, სახელმწიფო, ქვეყნის ძლიერება მისთვის სხვა არაფერი იყო, თუ არა იმის საშუალება, რომ ჭეშმარიტება გაბრწყინებულიყო ადამიანთა სულებში. ხოლო მოვალეობა, წესის და რიგის მიხედვით ცხოვრება ადამიანების უმთავრეს სახელმძღვანელო ფასეულობებად ქცეულიყო. „ზურგი აქციეთ თქვენს საკუთარ თავს,- შეაგონებდა იგი პარლამენტის დეპუტატებს დანბართან ბრძოლის შემდეგ, მაგრამ ზედმიწევნით აღასრულეთ თქვენი ძალაუფლება. დახვეწეთ იგი იმისათვის, რომ ამაყნი და თავხედები მოთოკოთ, ისეთებიც, ვინც ნებისმიერი მიზეზით ინგლისის სიმშვიდეს საფრთხეს შეუქმნის. ჩაგრულთ შვება მიეცით, ყური მიუგდეთ იმათ, ვინც კენესის თავისუფლებას მოკლებული. მოიწადინეთ ნებისმიერ ასპარეზზე ნაკლოვანებების აღმოფხვრა. რესპუბლიკას სულაც არ აწყობს, რომ ერთი მუჭა ხალხი გამდიდრდეს უამრავის გაღატაკების ხარჯზე.“ ასე რომ, კრომველი უკვე იმდენ სულიერ ძალას პოულობს საკუთარ თავში, იმდენად მაღლა დგომის შეგრძნება აქვს, რომ მისთვის ესოდენ მნიშვნელოვან ფასეულობებზე დაყრდნობით მოძღვრავს ქვეყნის კანონმდებლებს! შეიძლება ითქვას, რომ იგი არა მარტო უცილობელ სამხედრო, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ავტორიტეტადაც იქცა! მაგრამ კრომველი კიდევ უფრო შორს წავიდა არსებული პოლიტიკური სისტემის კრიტიკაში და აღნიშნა, რომ იმ დროის ინგლისის კანონმდებლობა მხოლოდ ორ რამეს უწყობდა ხელს, ერთი რომ იურისტს სამოქმედო ასპარეზი და შესაბამისი საქმე ჰქონოდა, მეორე კი – მდიდარს რომ უფრო მეტად დაეჩაგრა ღარიბი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ფრაზა კრომველს უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენელთა გვერდით აყენებს.

მაგრამ რა პირობებში მოუხდებოდა კრომველს თუნდაც ამ იდეების განხორციელება და საერთოდ, რა პირობებში იმყოფებოდა და რას წარმოადგენდა იგი აღნიშნული დროისათვის? საისტორიო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ 1652 წ. მაისისათვის მას ყველაფერში ეთქმოდა გადამწყვეტი სიტყვა, ანუ მისი გავლენა არნახულად გაიზარდა. მაგრამ რამდენად მყარი იყო მისი ამგვარი მდგომარეობა? ისტორიას ახსოვს კრომველამდე და მის შემდეგაც სამხედრო თუ პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწე ადამიანები, რომელთა გავლენამ და ძალაუფლებამაც კი ვერ იხსნა ისინი არა თუ დამხობისაგან, არამედ სიკვდილისაგანაც კი. XVI ს. ვენეციის რესპუბლიკის ჯარის სარდალი, გრაფი კარმანიოლა, მისი ბრწყინვალე გამარჯვებების მიუხედავად, რომლებიც მან ვენეციის სახელით მოიპოვა ფლორენციის რესპუბლიკასთან ბრძოლაში, ჯერ დააპატიმრეს, მერე კი სიკვდილით დასაჯეს. საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს კი ერთ დღეში გადაწყდა რევოლუციის და იაკობინელთა პარტიის უცილობელი ბელადის, მაქსიმილიან რობესპიერის ბედი. ძალაუფლების მწვერვალზე მყოფი, იგი ჯერ ეროვნულ კონვენტშივე დააპატიმრეს იმ დროს, როდესაც სიტყვით გამოდიოდა, მერე კი სასწრაფოდ მიიღეს და სისრულეში მოიყვანეს დადგენილება მისი სიკვდილით დასჯის შესახებ. ასე რომ, რა ბედი ელოდა კრომველს მისი ესოდენ დიდი გავლენისა და პოპულარობის მიუხედავად? რესპუბლიკის დამყარების დღიდან ამ პოლიტიკური სისტემის შენარჩუნება სწორედ მისი დამსახურება იყო. მაგრამ რამდენად იტვირთავდა პარლამენტი სიახლეების დანერგვას და აიღებდა გეზს მართვის ახალ მეთოდებზე? კრომველი კარგად იცნობდა საზოგადოებრივ აზრს და ჰქონდა უამრავი ფაქტი იმის დასტურად, რომ პარლამენტის ავტორიტეტი შელახული იყო. იგი გაოგნებულიც კი იყო იმ ზიზღით, რომლითაც ხალხი და განსაკუთრებით ჯარი უყურებდა ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. „ჩემი ცხოვრების წესის გამო მთელი ქვეყანა მაქვს შემოვლილი. ვისთან არ მქონია ურთიერთობა და ვიცი, რომ ხალხს სძულს მათი(პარლამენტის დეპუტატების- ივ.მ.) მმართველობა-ამბობდა იგი.“ კრომველის აზრით, მათგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. პოლიტიკური პარტიები არასტაბილურ მდგომარეობაში იყვნენ და თავისი ვიწროპარტიული

და პირადი ინტერესების მისაღწევად ნებისმიერ ფანდისა თუ ხრიკის გამოყენებას არ ერიდებოდნენ. ადამიანები, რომლებიც კორუფციაში იყვნენ ჩაფლულები, ცდილობდნენ ბოლომდე გამოეყენებინათ მათ ხელთ არსებული საშუალებები თავისი მაქინაციების განსახორციელებლად. ამიტომაც კრომველი მათ ძალზე სახიფათო ძალად მიიჩნევდა. დეპუტატები ვერ ელეოდნენ თავის საპარლამენტო იმუნიტეტს, რომელიც მათ სხვადასხვა შეღავათს ანიჭებდა. მაგრამ კრომველს მომავალი პარლამენტის სავარაუდო შემადგენლობაც აფიქრებდა. მას არ ქონდა იმის გარანტია, რომ მასში პრესბიტერიანები და როიალისტები არ შევიდოდნენ. გარდა ამისა, იგი იმაშიც არ იყო დარწმუნებული, რომ მას აუცილებლად აირჩევდნენ მომავალ პარლამენტში. რა ბედი ეწეოდა მას, თუკი პარლამენტში მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები იმძლავრებდნენ? ეს აზრი კრომველს იმდენად აწუხებდა, რომ მან წერილი გაუგზავნა შესაბამისი შეკითხვით ოქსფორდში მყოფ ცნობილ ასტროლოგს, ელაიას აშმოლს. კრომველს ისიც აფიქრებდა, რომ მისმა მომხრეებმა სერ ჰენრი ვენ უმცროსის მეთაურობით მას ზურგი შეაქციეს და მის მოწინააღმდეგეებს, პრესბიტერიანებს შეეკვრნენ. ისინი თვლიდნენ, რომ მისი ძალაუფლება და გავლენა ძალიან გაიზარდა და რომ ის და მისი ჯარი მეტისმეტად გაძლიერდნენ. მათ მიაჩნდათ, რომ ასეთი ძლიერების გამო ჯარი და კრომველი აღარ ექვემდებარებოდნენ პარლამენტს. მათი ამგვარი პოზიცია კი მის მდგომარეობას ნამდვილად საფრთხეს უქმნიდა.

1651 წ. დეკემბერში პარლამენტის სპიკერის, უილიამ ლენტოლის სახლში შედგა ორი შეხვედრა, რომლებსაც ესწრებოდნენ თავად ლენტოლი, კრომველი, გენერლები დესბორო და ფლიტვუდი, პოლკოვნიკი უოლი, ოლივერ სენტ ჯონი, ბალსტროდ უაითლოკი და სახელმწიფო საბჭოს წევრი სერ თომას უიდრინგტონი. შეხვედრები კრომველეს მიყავდა და ისინი ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის საქმეს ეხებოდა. ლენტოლმა ხაზგასმით აღნიშნა კრომველის როლი რესპუბლიკური წყობის შენარჩუნებაში და დასძინა, რომ საჭირო იყო ყველაფერ ამის გაუმჯობესება. ლენტოლის შემდეგ სიტყვა კრომველმა აიღო და თქვა: „ძველი მეფე მკვდარია, მისი შვილი დამარცხებული. ამიტომ, დადგა დრო, რომ ქვეყანა დავალოგოთ.“ კრომველის წინადადებაზე,

რომ საჭიროა ქვეყნის დალაგება უაითლოკმა დაუფარავად იკითხა, თუ რა სახის დალაგებას გულისხმობდა კაპიტან-გენერალი. რესპუბლიკას თუ მონარქიას? მერე კი თავად გასცა პასუხი თავის დასმულ კითხვას და თქვა, რომ ისტორიულად და კანონმდებლობიდან გამომდინარე ინგლისი მონარქიული სახელმწიფოა. უაითლოკმა ისიც იკითხა, რომ რესპუბლიკის შენარჩუნების შემთხვევაში იქნებოდა ეს კლასიკური რესპუბლიკა, თუ გარკვეული მონარქიული ელფერისა და შინაარსის მქონე სახელმწიფო? კრომველმა სრულიად გაიზიარა ამ საკითხის მნიშვნელობა და მისი ამგვარად დასმა. თავის მხრივ მან ისიც დაუმატა, რომ თუ ეს იქნება მონარქიული ტიპის სახელმწიფო, ვინ უნდა იყოს ის ადამიანი, რომელიც მონარქის ან მსგავსი ძალაუფლებით აღიჭურვება? სერ თაომას უიდრინგტონმა შემოიტანა ტახტზე სტიუარტების დინასტიის აღდგენის წინადადება მცირეწლოვანი უფლისწულის, ჰენრის(ჰერცოგ გლოსტერის) სახით. უაითლოკმა უფროსი უფლისწულების, ჩარლზის ან ჯეიმსის მოწვევის წინადადება შემოიტანა. სტიუარტების იდეის რესტავრაციის წინააღმდეგ გამოვიდნენ დესბორო, ფლიტვუდი და უოლი. მათ რესპუბლიკის სასარგებლოდ გამოთქვეს აზრი და ისიც თქვეს, რომ უფლისწულები პარლამენტის მიმართ მტრულად იყვნენ განწყობილები. ამ კამათის დროს ძალიან საინტერესო და ალბათ მანიშნებელი იყო კრომველის პოზიცია. იგი არ აქტიურობდა და მხოლოდ ის თქვა, რომ მონარქიის ინსტიტუტი რაღაც ფორმით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი სამომავლო პოლიტიკურ სისტემაში.

თითქმის ერთი წლის შემდეგ, 1652 წ. ნოემბერში კრომველი და უაითლოკი სეირნობდნენ სენტ ჯეიმსის პარკში. კრომველმა მას გაანდო თავისი წუხილი არასტაბილური პოლიტიკური სიტუაციის გამო. უაითლოკმა დაუფარავად უთხრა, რომ საფრთხეს ქმნის ჯარის სწრაფვა დაიკავოს ქვეყანაში გაბატონებული მდგომარეობა. კრომველმა უარყო ეს მოსაზრება და თქვა, რომ ჯარი კი არა, არამედ პარლამენტი ემუქრება ქვეყანას. პარლამენტი, თქვა მან, ჯარს აღიზიანებს თავისი სიხარბით, ვიწრო, ფრაქციული ეგოიზმით, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტის გაჭიანურებით და ძალაუფლების გახანგრძლივებისკენ სწრაფვით. ხანგრძლივი

პარლამენტის „ნარჩენი“ არ აპირებდა პოზიციების დათმობას. ამის უპირველესი მაჩვენებელი იყო ის, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა ახალი პარლამენტის მოწვევას. ხელისუფლების სათავეში ყოფნამ, რასაც იგი მოხერხებულად უთავსებდა კორუფციას, „ნარჩენს“ და მის მომხრეებს დიდძალი ქონება შესძინა. იგი ფაქტობრივად საზოგადოებრივი დოვლათის მითვისებით იყო დაკავებული. შესაბამისად, „ნარჩენისთვის“ ძალაუფლებაზე უარის თქმა გამდიდრებაზე უარის თქმას ნიშნავდა. ყველაფერ ამის ფონზე კი „ნარჩენი“ არაფერს აკეთებდა, რომ ხალხის კეთილგანწყობა მოეპოვებინა. კრომველის აზრით საჭირო იყო რაღაც უფრო ზემდგომი ორგანოს შექმნა, რომელიც ამგვარ დარღვევებს აღკვეთდა. ეს არ იყო უსაფუძვლო კრიტიკა, თუმცა კი მას ჯარისკაცული სიფიცხის ელფერიც დაჰკრავდა. კრომველი საზოგადოებრივი პრობლემების სწრაფი გადაწყვეტისკენ მოუწოდებდა. უაითლოკმა უპასუხა, რომ ეს საკონსტიტუციო სირთულეებთან იყო დაკავშირებული, კერძოდ ისეთი საკითხი, როგორც პარლამენტის ძალაუფლების შეკვეცა, რომელიც მისივე ძალაუფლების წყაროს წარმოადგენს. და აი მაშინ კრომველმა დასვა შეკითხვა: „რა მოხდება, ადამიანმა მეფედ რომ გამოაცხადოს თავი?“ „ეს დიდ სირთულეებს გამოიწვევს“ – დაუფარავად უპასუხა უაითლოკმა. კრომველს აღარაფერი უთქვამს, მაგრამ ნათელი იყო, რომ იგი და ჯარი ეჭვით უყურებდნენ პარლამენტს.

დაპირისპირება სულ უფრო მძაფრ ხასიათს იძენდა. ვის მიანიჭებდა უპირატესობას ისტორია? გახრწნილ, კორუფციის მორევში ჩაფლულ, თუმცა ჯერ კიდევ ელემენტარული კანონიერების და წარმომადგენლობითობის ნიშნებით შემოსილ პარლამენტს, თუ ჯარს, რომელიც სწორედ ამ საპარლამენტო საქმისა და პრინციპებისათვის ღვრიდა სისხლს, იცავდა რესპუბლიკას და რომელსაც რასაკვირველია არ სურდა „თამაშგარე მდგომარეობაში“ დარჩენა. პოლიტიკა, ძალაუფლებისათვის ბრძოლა, სწრაფვა პირველობისაკენ, მას ხომ ბატონობა მოაქვს ადამიანებსა და ფულზე, იმ ადამიანებზე, რომლებიც ამ ფულის მონები არიან, როგორც ამას ცნობილი ინგლისელი მწერალი არჩიბლად ჯოზეფ კრონინი წერს. და ეს ბრძოლა ამ სანუკვარი მიზნისთვის ხშირად დაუნდობელ ხასიათს იძენს, იმიტომ, რომ არავინ

იცის, თუ როგორ მოეპყრობა გამარჯვებული დამარცხებულს. კვლავ მივმართოთ ძველ რომაელებს, გამარჯვებულებს ხომ არ სჯიან, მაგრამ ვაი დამარცხებულებს!

მაგრამ ამ ბრძოლის დროსაც კი ხდება მოვლენები, რომლებსაც თუნდაც წუთიერად გამოყავთ ადამიანები იმ ეიფორიასა და ბრძოლის ჟინიდან, რომლებითაც ისინი არიან შეპყრობილები. ეს მოვლენები აიძულებენ ადამიანებს დაფიქრდნენ საკუთარ და საერთოდ, კაცთა მოდგმის არსზე და ალბათ სწორედ ასეთი იყო კრომველისათვის მისი სიძის, აირტონის სიკვდილი. ჰენრი აირტონი, კრომველის სიძე, თანამებრძოლი, თანამოაზრე, მეგობარი, გვერდში მდგომი, მისი ქალიშვილის, ბრიჯიტის ქმარი და როგორც ბევრს მიაჩნდა, კრომველის პოლიტიკური და ადმინისტრაციული საქმიანობის ე.წ. „რუხი კარდინალი," 1651 წ. ნოემბერში შავი ჭირით გარდაიცვალა ირლანდიაში. ამ უბედურებით გამოწვეულ განცდას კარგად ასახავს ნაწყვეტი კრომველის დასთან მიწერილი წერილიდან. „ამ ქვეყნად ყველაფერი წარმავალია. განა ამის დასტური არ არის ჩემი შვილის, აირტონის სიკვდილი?"- წერდა იგი თავის დას. კრომველი აირტონს თავის ღვიძლ შვილს უტოლებს. აირტონი ირლანდიიდან ლონდონში გადმოასვენეს და 1652 წ. მარტში დიდი პატივით დაკრძალეს ვესტმინსტერის სააბატოში. კუბოს კრომველი, გენერლები, უფროსი ოფიცრები და პარლამენტის წევრები მიაცილებდნენ. პანაშვიდი ცნობილმა თეოლოგმა და საზოგადო მოღვაწემ ჯონ ოუენმა ჩაატარა. მან ტექსტი მოიყვანა დანიელ წინასწარმეტყველის წიგნიდან და თქვა, რომ ჰენრი აირტონი ამ უკანასკნელივით დაჯილდოებული იყო სულიერი და ერისკაცის სიბრძნით. მთელი ცერემონია ისეთი ფუფუნებით იყო შემოსილი, რომ პურიტანული სისადავის მომხრეების საკმაოდ მძაფრი განსჯა გამოიწვია. გაივლის სულ რაღაც რვა წელიწადი, სტიუარტების დინასტია აღდგება ტახტზე და აირტონის, კრომველის და ბრედშოს გვამებს ამოიღებენ საფლავებიდან და საჯაროდ შებღალავენ. სავსებით მართალი გამოდგა კრომველი იმის თაობაზე,რომ ამ ქვეყნად ყველაფერი წარმავალია და რომ ხალხი არ ინაღვლებს და უყოყმანოდ გასთელავს იმას, ვისაც სულ ცოტა ხნის წინ ეთაყვანებოდა.

მაგარამ ამ სასტიკ და საზარელ მოვლენებამდე ჯერ კიდევ ადრე

იყო. კრომველს ჯერ ქვეყანა უნდა დაელაგებინა. ეს დალაგება ვერ იქნებოდა იზოლირებულ, მშვიდ გარემოში ჩატარებული პროცესი. ყველაფერი ეს მოხდებოდა დაპირისპირებისა და შესაძლოა ძალადობის ფონზეც, როგორც ეს რევოლუციების ნებისმიერ ეტაპზე ხდება. რევოლუციას ხომ მუდამ თან სდევს ძალადობა. უფრო მეტიც, იგი დასაბამიდან ძალმომრეობას წარმოდაგენს. ამიტომ ამ პროცესის მონაწილეები ერთობ მკვეთრად მოქმედებენ. ამ თავისებურ „თამაშს" ძალზე მკაცრი წესები აქვს. მათი უგულებელყოფა დაუშვებელია, რადგან ამან შეიძლება სავალალო შედეგები მოუტანოს იმათ, ვინც მათ სათანადოდ არ იცავს. სწორედ ეს რთული გამოცდა უნდა ჩაებარებინა კრომველს. კრომველი აღზევდა და დიდება და პატივი მოიხვეჭა. მაგრამ ამ აღზევებამ მას მტრები და მოძულეებიც შესძინა. მათი მიზანი იყო მისი გზიდან ჩამოცილება. ამ ბრძოლას შესაძლებელია დამრცხებულის არა მარტო საზოგადოებრივ-პოლიტიკური, არამედ ფიზიკური განეიტრალებაც მოყოლოდა. მათთან ჭიდილში კრომველმა არნახული შენიღბულობა, თვალთმაქცობა და თავისი მომხრეების მხარდაჭერა გამოიყენა, ანუ იმ ხერხებს მიმართა, რომელთა დახმარებით ადამიანები ოდითგანვე გზას იკაფავდნენ პოლიტიკურ ასპარეზზე. რესპუბლიკა გარკვეულწილად უცხო ცნება იყო მოსახლეობის პოლიტიკური ცნობიერებისათვის და თანაც შელახული, „ნარჩენის" საქმიანობის გამო. მისი ავტორიტეტი და პრესტიჟი ეჭვს იწვევდა ხალხში.

თუკი ხალხი ამ ინსტიტუტს გულგრილად ეკიდებოდა, როგორი იქნებოდა მის მიმართ კრომველის დამოკიდებულება, რომელიც თავად იყო მისთვის მებრძოლი და მისი მფარველი? ჯ. მორლი ქებას არ იშურებს „ნარჩენისათვის," მაგრამ მისი მიდგომა წმიდნა ფორმალურია. მას მიაჩნია, რომ ჯობდა ყველაფერი დარჩენილიყო ისე, როგორც იყო. სისტემა ასე თუ ისე ხომ მოქმედებდა?! მისი აზრით იმ პირობებში, როდესაც არავინ ელოდა რაიმე ხეირიანს, „ნარჩენის" შენარჩუნება პოლიტიკური სიტუაციისადმი სულ ცოტათი მაინც იმედის მომცემი მიდგომა იყო. მაგრამ იმავე დროს მორლი არ უარყოფს, რომ „ნარჩენი" უამრავ დარღვევას სჩადიოდა, აღიარებს, რომ მას ბევრი ნაკლოვანება ჰქონდა. თუმცა მიიჩნევს, რომ მას წარმომადგენლობი-

თი მუშაობის გამოცდილება მაინც ჰქონდა, რაც ახალ ორგანოს ალბათ ვერ ექნებოდა. ჩვენის აზრით, მორლი იცავს ინსტიტუტს, მაგრამ ისე, რომ არ ცდილობს ჩაწვდეს მის არსს იმ რეალურ, კონკრეტულ სიტუაციაში. მაგრამ არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებებიც შესაბამისი ფაქტებითურთ. პოლიტიკური დაპირისპირების დროს წინა პლანზე გამოდის არგუმენტაცია. დაპირისპირებულ მხარეებს თავისი ქმედებების და საერთოდ, თვით არსებობის მართებულობის მადასტურებელი არგუმენტებიც კი მოყავთ. როგორი იყო ამ მხრივ „ნარჩენი' ხალხის თვალში, რა არგუმენტების მოყვანა შეეძლო მას თავისი არსებობის და მოქმედების სასარგებლოდ? კორუფციის მასშტაბები, რომელშიც ის იყო ჩაფლული, მას ნამდვილად ვერ შესძენდნენ ღირსებას და როგორც ლედი ანტონია ფრეზერი მიუთითებს ის ცოტა რამეს თუ აკეთებდა იმისათვის, რომ ხალხის კეთილგანწყობა მოეპოვებინა. გამდიდრებისკენ სწრაფვის პარალელურად ის დაკავებული იყო იმით, რომ ცდილობდა კონტროლი დაემყარებინა მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე, რომლებიც 1653 წ, ნოემბერში უნდა ჩატარებულიყო. ხალხის მასა, უბრალო ადამიანები, რომლებიც დღენიადაგ შრომობდნენ, საჭიროებდნენ რამდენადმე მყარ, მკაფიო ცნებებს, რომლებიც მათთვის ერთობ ბუნდოვან რესპუბლიკურ წყობას გააცნობიერებინებდა. ამის წყალობით ხალხს რესპუბლიკისადმი გარკვეული მორჩილება გამოუმუშავდებოდა. ეს კი ვერ ხერხდებოდა ისეთი განყენებული პოლიტიკური ცნებით, როგორიც იყო „სახალხო შეთანხმება," რომელსაც ესოდენ ხშირად მიმართავდნენ პოლიტიკოსები. სისტემის გაუცნობიერებულობა პარლამენტს და მის მდგომარეობას არნახულად მყიფეს ხდიდა. მოსახლეობის პარლამენტის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას აგვირგვინებდა ჯარი, რომელიც მის დათხოვნას და ახალი პარლამენტის მოწვევას ითხოვდა.

მაგრამ თავისი ინტერესების განსახორციელებლად თავად ჯარი პარლამენტზე იერიშს ვერ მიიტანდა. მისი ინტერესების უმაღლესი გამომხატველი და წარმომადგენელი იყო კრომველი. ადამიანი, რომელიც უზენაესი სამხედრო და ლამის სამოქალაქო ძალაუფლებითაც იყო აღჭურვილი. სერ თომას ფერფაქსი საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდა, მაგრამ კრომველი იყო ის ერთადერთი ადამიანი, ვისც

შეეძლო ჯარში ყველაზე ჯიუტი და თავნება ელემენტები მოეთოკა და აელაგმა. აქედან – მისი ურყევი ავტორიტეტი ჯარში და სამოქალაქო ხელისუფლებაშიც. კრომველი ორივე მხარეს სჭირდებოდა. იგი არა მარტო ჯარს, არამედ სამოქალაქო ხელისუფლებასაც იცავდა ულტრარადიკალური ელემენტების მოძალებისაგან, რომლებსაც ფანატიკოსებს უწოდებდნენ. მაგრამ როგორი იყო თავად მისი ინტერესები და სიტუაციის მისეული ხედვა? მისი ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ ფრანგმა უფლისწულმა კონდემ, რომელიც საფარანგეთში სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლას ედგა სათავეში, სწორედ კრომველთან გააგზავნა თავისი წარმომადგენლები დახმარების სათხოვნელად. ამ მომენტზე ნამდვილად ღირს შეჩერება. კონდეს წარმომადგენლებმა მოახსენეს კრომველს, რომ უფლისწულის სახელით საფრანგეთის ოპოზიციური მოძრაობა, ან როგორც მას აგდებით უწოდებდა სამეფო კარი, ფრონდა(fronde-შურდული), ლორდ-გენერალს დახმარების სახით 10 ათას გირვანქა სტერლინგს და 10 ათას ჯარისკაცს სთხოვს. კრომველის უარი არაჩვეულებრივად ორიგინალური იყო. მან თქვა, რომ თავად გაუძღვებოდა საფრანგეთში 40 ათას ქვეითს და 12 ათას ცხენოსანს, ოღონდ იმ პირობით, თუ ინგლისელთა დახმარებით ფრანგები მონარქიას დაამხობდნენ და რესპუბლიკურ წყობას დაამყარებდნენ.

მაგრამ სანამ კრომველი კონტინენტზე იდეურ მტრებს შეებრძოლებოდა და საფრანგეთში რესპუბლიკურ წყობას დაამყარებდა რევოლუციის ექსპორტის მეშვეობით, მას ჯერ სახლში, ინგლისში უნდა განემტკიცებინა პოზიციები თავისი მტრების და მოწინააღმდეგეების გზიდან ჩამოცილებისა და განეიტრალების მეშვეობით. ისინი კი მას ნამდვილად ყავდა მისი პოპულარობისა და ავტორიტეტის მიუხედავად, თუმცა კი შესაძლებელია, რომ სწორედ ამის გამო. რევოლუციის წიაღში შობილი მოღვაწეები ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებენ ერთმანეთს, თვითეულს მიაჩნია, რომ სხვებზე უკეთესია, სხვებზე უკეთესად შეუძლია რევოლუციის მიერ დასახული ამოცანების შესრულება. ამისათვის კი საჭიროების შემთხვევაში ისინი მოქიშპე თანამებრძოლების გზიდან ჩამოცილებას არ ერიდებიან, რადგანაც იციან, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში თავად გაიზიარე-

ბენ ამ ხვედრს. კრომველი პოპულარული იყო, მაგრამ არა მხოლოდ მისი ბრწყინვალე სამხედრო გამარჯვებების გამო. მას შეჰყურებდნენ, როგორც სრულიად გახრწნილი პარლამენტის საპირისპირო ძალას, რომელიც თავისი მრავალრიცხოვანი დარღვევების წყალობით, შეიძლება ითქვას, პოლიტიკურ საფლავს ითხრიდა. ბუნებრივია, რომ „ნარჩენში“ კრომველი ბევრს გულაზე არ ეხატებოდა. ადგილი ჰქონდა არა მარტო უთანხმოებას და დაპირისპირებას იდეების ან პრინციპების ნიადაგზე, არამედ პირად არაკეთილმოსურნეობას, ზიზღსაც კი. მის წინააღმდეგ იმპიჩმენტის კანონის ამოქმედებასაც კი აპირებდნენ. იმპიჩმენტის საფუძველს კი მისი მტრების აზრით წარმოადგენდა ის, რომ მან სამი სამეფო დაამხო(ინგლისი, შოტალანდია და ირლანდია). სწორედ ამას ცდილობდა მისი მოწინააღმდეგე, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე დენზილ ჰოლისი, ადრე ულტრარესპუბლიკელი, რომელმაც როიალისტების ბანაკში გადაინაცვლა. კრომველს გადაუდგა მისი მამიდაშვილი და თანამებრძოლი, ოლივერ სენტ-ჯონი, რომელმაც სხვებიც აიყოლია და ჩამოაშორა ისინი ინდეპენდენტობას. რევოლუცია, სამოქალაქო ომი რელიგიური პრინციპების საბურველში იყო გახვეული. თავად კრომველი, პურიტანი, ღრმადმორწმუნე ადამიანი ვერ შეეგუებოდა იმას, რომ იგივე სენტ-ჯონს და მის მომხრეებს ინგლისში საეკლესიო ცხოვრება პრესბითერიანობისათვის დაექვემდებარებინათ. ჯარი კი სწორედ ინდეპენდენტობის მომხრე იყო.

ამ იდეოლოგიურ დაპირისპირებას ემატებოდა სხვა სახის უთანხმოებაც. პარლამენტი მაინც და მაინც არ ჩქარობდა ჯარის მოთხოვნების შესრულებას. ეს ჯარისკაცთა და ოფიცერთა მასის უკმაყოფილებას იწვევდა. ჯარი რასაკვირველია მეთაურს, კრომველს შეჰყურებდა, როგორც თავისი ინტერესების დამცველს ქვეყნის საკანონმდებლო და სამთავრობო ორგანოებში. ეჭვი არ არის, რომ ჯარის „ნდობით აღჭურვილ“ პირად ყოფნა, მისი სახელით ლაპარაკის შესაძლებლობა კიდევ უფრო მეტ რიხსა და მედიდურობას შემატებდა კრომველს. რისი სურვილი, რა მიზნისაკენ სწრაფვა შეიძლება გასჩენოდა მას, ამხელა დიდებით, პატივითა და ავტორიტეტით შემოსილს? ენდომებოდა განა კვლავ კორუფციაში ჩაფლული „ნარჩენის“ შემყურე და მისი ბრძანებების მორჩილ აღმსრულებლად ყოფნა? თუ გავისხენე-

ბთ მის საუბრებს უილიამ ლენტოლთან, ბალსტროდ უაითლოკთან, შევამჩნევთ მის ცნობიერებაში მომხდარ ცვლილებებს. უკვე სჩანს, რომ ის კიდევ უფრო დიდი სიმაღლისაკენ მიილტვის. მას ქვეყანაში პირველობა სურს. როგორც ჩანს მის ცნობიერებაში წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც იგი პარლამენტის სპიკერის, უილიამ ლენტოლის სახელზე გაგზავნილ წერილებს ასრულებდა ფრაზით: „თქვენი მონა-მორჩილი ოლივერ კრომველი.“ აბა სხვნაირად როგორ შეიძლება ავხსნათ ფრაზა „ადამიანმა მეფედ რომ გამოაცხადოს თავი?“ როგორ უნდა შეფასდეს ასეთი სწრაფვა? რა არის ეს, პატივმოყვარეობა, დაუმორჩილებლობა, მეომბოხეობა? მაგარამ რა არის უფრო ბუნებრივი, და მართებული, ამგვარი სწრაფვის ქონა თუ არქონა; მორჩილება, დაქვემდებარებაში ყოფნა, არსებულით დაკმაყოფილება, თუ ახალი სიმაღლეებისაკენ სწრაფვა? მაგრამ ამ ორ მიდგომას შორის ადგილს დაიკავებს დებულება, რომლის მიხედვით, რაც უფრო აცნობიერებს ადამიანის გონება თავის სიღრმესა და ძლიერებას, საგანთა და მოვლენათა არსის წვდომის უნარს, მით უფრო ილტვის ახალი, უფრო დიდი მიზნებისაკენ. ასე რომ პოლიტიკური ზრახვები, რომლებიც კრომველის გონებაში ყალიბდებოდა, სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერია.

კრომველის ასეთი პიროვნული ზრდა, თავისებური პოლიტიკური დაღვინება უკვე ბევრისთვის იყო შესამჩნევი, პირველ რიგში მათთვის, ვინც პოლიტიკურ ასპარეზზე იღვწოდა. დასტურად თუნდაც ვენეციის ელჩის სიტყვები გამოდგება, რომელიც თავის ხელისუფლებას სწერდა, რომ მხოლოდ კრომველის გამჭრიახობა და გავლენა იხსნის ინგლისს მომავალი გაჭირვებისაგან. ამგვარად, იმ დროისათვის კრომველი უკვე აღარ არის მორჩილი სამსახურის კაცი. გამარჯვებებმა, სახელმა და დიდებამ მას საკუთარი თავის ახალი ხედვა შესძინა. მას აღარ სურდა დაქვემდებარებოდა ადამიანებს, რომლებიც ფაქტობრივად მთელი ქვეყნის და პირველ რიგში მისი თანამებრძოლების, ჯარის უნდობლობას და უკმაყოფილებას იწვევდნენ. ეს უკმაყოფილება კი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ჯარისკაცები და ოფიცრები სულ უფრო დაჟინებით და უფრო ხმამაღლა ითხოვდნენ მოქმედი პარლამენტის დათხოვნას, სინდისის თავისუფლების შემდ-

გომ გაფართოებას და საკანონმდებლო რეფორმას. ასე რომ, კრომველის და ჯარის გუნება-განწყობა გარკვეულწილად ემთხვეოდა ერთმანეთს. ჯარის წამყვანი ელემენტები კიდევ იმიტომ შეჰყურებდნენ კრომველს იმედით, რომ პარლამენტმა ჯარს ანაზღაურება შეუმცირა, ხოლო სამხდრო-საზღვაო ფლოტს კი პირიქით, გაუზარდა. და ეს მაშინ, როდესაც ინგლისი ჩაბმული იყო საზღვაო ომში ჰოლანდიასთან, რომელიც ამ უკანასკნელის უპირატესობით მიმდინარეობდა.

ჯარის წუხილს საარჩევნო უფლებებიც იწვევდნენ. თითქოსდა ჯარის საამებლად პარლამენტი დათანხმდა საარჩვნო ცენზი ისეთ წლიურ შემოსავლამდე დაეწია, რომელიც 20 გირვანქა სტერლინგს უდრიდა. მაგრამ პარლამენტის ნევრები ყოველნაირად ცდილობდნენ თავისი სადეპუტატო მანდატები შეენარჩუნებინათ და თან მომავალ პარლამენტში მათთვის სასურველი ახალი დეპუტატები შეეყვანათ. 1653 წ. აპრილისათვის პარლამენტში ჩამოყალიბდა ორი დაჯგუფება, კრომველის მომხრეების და მოწინააღმდეგეების. კრომველი ორივესთან ცდილობდა მოლაპარაკებას, რაც ჯარის და საზოგადოების რადიკალურად განწყობილი ფენების უკმაყოფილებას იწვევდა. ეს საკმაოდ ნათლად ჩანდა და ამიტომაც ამცნობდა თავის ხელისუფლებას ვენეციის რესპუბლიკის ელჩი, რომ „კრომველი ქვედა ფენების გაღიზიანებას იწვევს." როგორც ჩანს, რადიკალებს არ აწყობდათ „ნარჩენთან" მორიგება. „ნარჩენით" უკმაყოფილებას არა მარტო რადიკალები ან კრომველი გამოხატავდნენ, არამედ გენერალიტეტიც. მაგ.1652 წ. მიწურულს გენერალმა ედმუნდ ლადლოუმ ასეთი ჩანაწერი გააკეთა თავის დღიურში. „რეფორმა სამართლის საკითხებში წინ მიიწევს, მაგრამ ძალიან ნელა, რადგანაც სამართალმცოდნეებს სურთ ხელთ იგდონ მთელი ქვეყნის ცხოვრება, თავისუფლება და საკუთრება." უნდა ითქვას, რომ პარლამენტის წევრები არაფრად აგდებდნენ მათი მისამართით გამოთქმულ კრიტიკას და იმ მზარდ უკმაყოფილებას, რომლებსაც მათი მისამართით ჯარი და ხალხი გამოთქვამდნენ. რასაკვირველია, კრომველი ხედავდა ჯარის და საზოგადოების ამ უკმაყოფილებას და შესაბამისად აფასებდა მას. ის ხედავდა, რომ ქვეყანა უარყოფითად იყო განწყობილი პარლამენტის მიმართ. ჯარს და ხალხს სწადდა ქვეყნის მართვა-გამგეობის ფორმის რაღაცნაირად

შეცვალა, რისგანაც საზოგადოება ტრადიციულად ყოველთვის მოელის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას. სწორედ ამ შეთხვევაში, პარლამენტის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებაში კრომველის და საზოგადოების უდიდესი ნაწილის პოზიციები ემთხვეოდა ერთმანეთს. როგორც ჩანს, კრომველის გონებაში იმ დროისათვის უკვე ჩამოყალიბდა გადაწყვეტილება ხელთ ეგდო ძალაუფლება. და ეს იყო არა მხოლოდ მისი პირადი სწრაფვის, პატივმოყვარეობის და ა.შ., არამედ იმის გაცნობიერების შედეგიც, რომ ქვეყანა უარყოფითად იყო განწყობილი არსებული ხელისუფლების მიმართ. ასე რომ, ადგილი ჰქონდა ამ ორი მომენტის თავისებურ თანხვედრას, რაც განაპირობებს კიდეც მთლიანობაში საქმის წარმატებას.

ამ მხრივ კრომველმა რამდენიმეჯერ მოსინჯა ნიადაგი სხვადასხვა ცნობილ ადამიანთან. პარლამენტის დათხოვნის საკითხს იგი შეეხო იმ დროის ცნობილ პრესბითერიან თეოლოგთან, ედმუნდ კელამისთან საუბარში. კელამიმ უპასუხა, რომ საზოგადოება უარყოფითად მიიღებს პარლამენტის ძალით დათხოვნას. „ათიდან ცხრა ადამიანი თქვენ წინააღმდეგ იქნება“- თქვა კელამიმ. „მე რომ ის ცხრა ადამიანი განვაიარაღო და დაშნა მეათეს გადავცე, ეს გაჭრის?“- ჰკითხა კრომველმა. კელამიმ ვერაფერი უპასუხა. დაახლოებით ასეთივე საუბარი ჰქონდა კრომველს ბალსტროდ უაითლოკთან. კრომველმა უთხრა მას, რომ ჯარი აღშფოთებულია პარლამენტის წევრთა საქმიანობით, რომლებიც პატივმოყვარეობით არიან შეპყრობილები და დღენიადაგ მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ ხელთ იგდონ საპატიო და სარფიანი ადგილები თავისთვის და თავისი მეგობრებისათვის. ისინი მხოლოდ იმით არიან დაკავებულები, რომ ახალ პარტიებსა და დაჯგუფებებს ქმნიან, რომლებსაც ერთმანეთს უპირისპირებენ, რათა საქმის გადაწყვეტა გააჭიანურონ და ძალაუფლება შეინარჩუნონ. ზოგიერთი მათგანი, თანაც ყველაზე ცნობილი პირი ცხოვრების უღირს წესს მისდევს, რაც ხალხის აღშფოთებას და გაკიცხვას იმსახურებს. ისინი უზენაესი ხელისუფლებით არიან აღჭურვილები, არავის ექვემდებარებიან და ამიტომაც არასოდეს იმოქმედებენ კანონის და წესრიგის შესაბამისად. მდგომარეობა არ გამოსწორდება სანამ არ შეიქმნება მათი საპირისპირო, მათსავე ძლიერი და გამაწონასწორე-

ბელი ხელისუფლება, რათა აღკვეთოს მათი დარღვევები და სწორად გაუძღვეს საქმეს. ამის გარეშე კი კრომველის აზრით დაღუპვა გარდაუვალი იყო. „მე ვთვლი, რომ საფრთხე, რომელიც ჩვენ გვემუქრება და რომელიც ამ შეუზღუდავი და განუსაზღვრელი ძალაუფლებიდან მომდინარეობს, უფრო დიდია, ვიდრე ის წარმოუდგენიათ“ – უპასუხა უაითლოკმა. ასე რომ, უაითლოკიც უკმაყოფილო იყო პარლამენტის „ნარჩენის“ თავგასულობით და იზიარებდა კრომველის აზრს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს საუბარი მიმდინარეობდა იმ ორ ადამიანს შორის, რომლთაგან ერთის განკარგულებაში იყო ქვეყნის შეიარაღებული ძალები, ხოლო მეორე იყო ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და თვალსაჩინო პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხანგრძლივი პარლამენტის არსებობა თავის დასასრულს უახლოვდებოდა.

1653 წ. 19 აპრილს უაითჰოლში, კრომველის აპარტამენტებში შედგა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ კრომველი, უფროსი ოფიცრობისა და პარლამენტის წარმომადგენლები. შეხვედრაზე განიხილავდნენ იმ პირობებს, რომელთა მიხედვით უნდა მოწვეულიყო ახალი წარმომადგენლობითი ორგანო ხანგრძლივი პარლამენტის ნაცვლად. თავის მხრივ ამ ახალ წარმომადგენლობით ორგანოს ახალი კონსტიტუცია უნდა შეემუშავებინა. თითქოსდა ყველაფერი მშვიდობიანად უნდა ჩატარებულიყო. არაფერი მოასწავებდა რაიმე საგანგებო ქმედებასა თუ მოვლენას. კრომველის მიერ გამოთქმულ აზრს, რომ ხუთი-ექვსი კაცი ერთ დღეში მოაგვარებს საქმეს, რასაც ასი კაცი ერთ თვეს მოუნდება, არ გამოუწვევია რაიმე კრიტიკა ან კამათი. თითქოსდა ყველაფერი შეთანხმებისამებრ უნდა განვითარებულიყო. მაგრამ მეორე დღეს, უაითჰოლში, კრომველთან სულ სხვანაირი ამბავი მოვიდა. პარლამენტი შეიკრიბა თითქმის სრული შემადგენლობით(ასი დეპუტატი) და დაიწყო კანონპროექტის განხილვა, რომლიც მას უფლებამოსილებას გაუგრძელებდა. არავინ იცოდა, თუ ვის ეკუთვნოდა ამ სრულიად საპირისპირო გადაწყვეტილების მიღება, ნაცვლად იმისა, რომელიც წინა დღეს, ყოველგვარი კამათის გარეშე, უპირობოდ მიიღეს. რიგ შემთხვევში მიუთითებენ სერ ჰენრი ვენ

უმცროსზე იმ სიტყვიერ დაპირისპირებიდან გამომდინარე, რომელსაც ადგილი ჰქონდა მას და კრომველს შორის. უაითჰოლიდან ვესტმინსტერში ხალხი გააგზავნეს ამბის დასაზუსტებლად. პასუხად პოლკოვნიკმა ინგოლდსბიმ ამბავი მოიტანა, რომ „ნარჩენი“ ამზადებდა კანონპროექტს, რომელიც კანონად ქცევის შემდეგ დააკანონებდა მის უფლებამოსილებას. ცოტა ხნის შემდეგ კი მოვიდა კიდევ ერთი მაცნე და მოიტანა გამაოგნებელი ამბავი, რომ კანონპროექტი უკვე მზად იყო და სულ მალე კანონად იქცეოდა. ამ გამაოგნებელი სიახლეების ნიაღვარმა ყველაზე მეტად კრომველი განაცვიფრა. მისი პირველი სიტყვიერი რეაქცია ასეთი იყო: „ვიფიქრებდით განა, რომ ასეთი სახელის მქონე ადამიანები ამაზე წავიდოდნენ? “ ნარჩენის“ მიერ სიტყვის ასე მუხანათურად გატეხამ შეიძლება ითქვას გააცოფა იგი. „აი სწორედ ამის გვეშინოდა. ქვეყნის თავისუფლება ხელში ჩაუვარდება იმათ, ვისაც არასოდეს უბრძოლია მის მოსაპოვებლად“- შესძახა მან გახელებით. აქ ალბათ სხვა ფაქტორებთან ერთად მისი, როგორც ჯარისკაცის, მეომრის ფსიქიკაც არის გასათვალისწინებელი. ადამიანი, რომელიც სიკვდილს უსწორებდა თვალს, რომელსაც უამრავი სიძნელის გადატანა უხდებოდა, რომელიც თავის ჯარისკაცებთან ერთად ბანაკში გაჩაღებულ კოცონთან თბებოდა ალბათ ძნელად შეეგუებოდა იმათ აღზევებას, ვისაც იმ დროს თბილ ლოგინში ეძინა. ამის შემდეგ ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. კრომველმა ბრძანება გასცა მზადყოფნაში მოეყვანათ რამდენიმე ათეული ჯარისკაცი გენერალ-მაიორ ჰარისონის მეთაურობით. მერე კი მათი და ასევე რამდენიმე ადამიანის თანხლებით პარლამენტისკენ გაეშურა. იმაზე, რომ იგი ძალიან აღგზნებული და საერთოდ, განრისხებული იყო ისიც კი მეტყველებს, რომ მან ტანსაცმელიც კი არ გამოიცვალა. თვითმხილველები შეცბუნებულები იყვნენ მისი უბრალო, შავი, „შინაური“ სამოსით და გახუნებული წინდებით. კრომველმა და მისმა ესკორტმა უაითჰოლი 11 საათსა და 15 წუთზე დატოვეს და სულ მალე უკვე პარლამენტში იყვნენ.

რაც შემდეგ მოხდა, შეიძლება ჩაითვალოს მანამდე გაუგონარ ამბად ინგლისის საპარლამენტო ისტორიაში. მომხდარი ალბათ იმის დასტურად გამოდგება, რომ პიროვნულ რიხსა და ჟინს ხშირად გადამწყ-

ვეტი მნიშვნელობა აქვს ისტორიაში ამა თუ იმ მოვლენის განხორციელების თვალსაზრისით. თემთა პალატაში გათამაშებული სცენა სამ წყაროშია გადმოცემული. ერთის ავტორია ბალსტროდ უაითლოკი, თვითმხილველი; მეორის – ალჯერნონ სიდნი, ასევე თვითმხილველი, პარლამენტის წევრი, რესპუბლიკელი, რომლის მონათხრობი ჩაიწერა მამამისმა, ლორდმა ლესტერმა; მესამე კი ეკუთვნის გენერალ ედმუნდ ლადლოუს, რომელმაც რამდენიმე თვითმხილველის მონათხრობი ჩაიწერა. ამ ჩანაწერის უდიდესი ნაწილი ეყრდნობა გენერალ-მაიორ ჰარისონის მონათხრობს.

კრომველი შევიდა თემთა პალატის დარბაზში და უსიტყვოდ, მრავლისმთქმელი გამომეტყველებით ჩაენარცხა სავარძელში. იგი ერთ ხანს უსმენდა გამომსვლელებს, მერე წამოდგა და თავად აიღო სიტყვა. როგორც ჩანს, იგი ებრძოდა მოზღვავებულ გრძნობებს და ცდილობდა მათ მოთოკვას, რადგან ალჯერნონ სიდნის ჩანაწერების მიხედვით მისი საუბარი ერთობ მშვიდი იყო. იგი აქებდა პარლამენტს იმ ყურადღებისათვის, რომელიც ამ უკანასკნელმა გამოიჩინა საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნვის საქმეში. მაგარამ როგორც ჩანს, მოწოლილი ბოღმა თავისას შვრებოდა. დეპუტატების მიერ სიტყვის გატეხა მის სულ უფრო მეტ გაგულისებას იწვევდა. მალე მისმა მრისხანებამ ამოხეთქა და იგი უაითლოკის თქმით გააფთრებული ალაპარაკდა. ლადლოუს ჩანაწერების მიხედვით იგი ისეთი მოუთოკავი ვნებით განაგრძობდა ლაპარაკს, რომ გიჟს გავდა. კრომველი გაშმაგებული დაიარებოდა წინ და უკან, ფეხებს იატაკზე აბრახუნებდა და სიტყვები, რომლებსაც ის გაიძახოდა, დღევანდელი ავტორების შეფასებით პარანოიის უკიდურესი გამოხატულება იყო. ის ადამიანებს სახელებით მიმართავდა ან ჟესტებით მიუთითებდა მათზე. იგი ზოგს საროსკიპოების და მეძავეების მეპატრონეს უძახდა(ამ დროს იგი ჰენრი მარტენს და სერ პიტერ უენტვორტს მიაშტერდა), ზოგს ლოთს, ზოგს გახრწნილს და უსამართლოს, ზოგს კიდევ უღირსს, რომელსაც უფლება არა აქვს სახარება ეჭიროს ხელში. „ალბათ თქვენ ფიქრობთ, რომ ეს საპარლამენტო ენა არ არის. ვაღიარებ, რომ ეს ასეა და ალბათ თქვენც არ მოელოდით ჩემგან ასეთ სიტყვებს. მაგრამ საჭირო არ არის, რომ თქვენ კვალვ განაგრძოთ სხდომები, როგორც

პარლამენტმა. თქვენ მეტისმეტად გაგიგრძელდათ აქ ყოფნა, რადაგან მეტი სიკეთის გაკეთება ვერ შესძელით“ – უთხრა კრომვლმა დეპუტატებს. ბოლოს, როგორც იქნა, სერ პიტერ უენტვორტმა გაბედა და პროტესტი გამოხატა იმ უტიფარი სიტყვების გამო, რომლებითაც კრომველი „ამკობდა“ დეპუტატებს. მისი აზრით, ეს კიდევ უფრო საშინელი იყო იმიტომ, რომ მომდინარეობდა ადამიანისაგან, ვისაც პარლამენტი ენდობოდა და რომლის წინაშეც იგი ესოდენ ვალში იყო. და აი ეს იყო ბოლო წვეთი, რომელმაც კრომველი საბოლოოდ გამოიყვანა წონასწორობიდან. „მიდით, მიდით, – არაადამიანური ხმით დაიძახა მან, მე ბოლოს მოვუღებ ამ თქვენს ყბედობას. თქვენ პარლამენტი არა ხართ, გეუბნებით, თქვენ არა ხართ პარლამენტი! მე ბოლოს მოვუღებ თქვენს აქ სხდომას! უხმეთ მათ!“- გასძახა მან დარბაზის მოპირდაპირე მხარეს მყოფ გენერალ-მაიორ თომას ჰარისონს. მართლაც, ჰარისონის დაძახებაზე დარბაზში შემოვიდა ოცდაათამდე ჯარისკაცი, ვიცე-პოლკოვნიკ უორსლის მეთაურობით. „ჩამოიყვანეთ იგი ქვემოთ“- პირქუშად უთხრა კრომველმა ჰარისონს და სპიკერზე, უილიამ ლენტოლზე მიუთითა. „ეს ძალზე რთული და სახიფათო საქმეა“- უთხრა ჰარისონმა. მაგრამ იმ დროს კრომველისათვის წინააღმდეგობის გაწევა არ გამოვიდოდა. როგორც ერთ-ერთი წყარო გვამცნობს, გენერალ-მაიორმა ჰარისონმა სპიკერს მოსასხამში სტაცა ხელი და სავარძლიდან გადმოათრია. თუმცა არის სხვა ცნობაც, რომელსაც ჯონ მორლი გვაწვდის. მორლის თქმით ჰარისონი მიუახლოვდა სპიკერს და უთხრა, რომ ამგვარ სიტუაციაში მისთვის უხერხული იქნებოდა თავმჯდომარის სავარძელში დარჩენა. ლენტოლმა უპასუხა, რომ იგი დატოვებს თავის ადგილს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას იძულებულს გახდიან. „სერ, მე შეგაშველებთ ხელს, და ისე ჩამობრძანდით“- უთხრა ჰარისონმა. სპიკერი დაეყრდნო ჰარისონის გაწვდილ ხელს და ისე გადმოვიდა თავისი სავარძლიდან. და აი მაშინ მოხდა სერ ჰენრი ვენის და კრომველის სიტყვიერი დაპირისპირება. როდესაც ვენმა მოახლოებული ჯარისკაცები დაინახა, მან შესძახა: „ეს არ არის პატიოსანი საქციელი, ეს ზენობის და პატიოსნების ელემენტარულ ფარგლებშიც კი ვერ ჯდება!“ კრომველი მას ცივი, გველისებრი მზერით მიაშტერდა და ხმამაღლა შესძახა: „ოჰ, სერ ჰენრი ვენ, ოჰ, სერ

ჰენრი ვენ, უფალო, შენ დამიფარე სერ ჰენრი ვენისაგან!" ალჯერნონ სიდნის, რომელიც სპიკერის გვერდით იჯდა და რომელმაც უარი განაცხადა ბრძანებას დამორჩილებოდა, ძალის გამოყენების მუქარით დაატოვებინეს დარბაზი. ამის შემდეგ კრომველი სპიკერის მაგიდასთან მივიდა, სადაც სპიკერის კვერთხი იდო და თქვა: „მოაშორეთ აქედან ეს სათამაშო!" ჯარისკაცებმა კვერთხი დარბაზიდან გაიტანეს. იგი გარკვეული დროის მანძილზე ვიცე-პოლკოვნიკ უორსლისთან ინახებოდა. მერე კრომველი დარბაზში ჯერ კიდევ მყოფ დეპუტატებს მიუბრუნდა და გამწარებულმა დაუყვირა: „ეს თქვენ მაიძულეთ ამის გაკეთება! მე დღენიადაგ უფალს ვეძიებდი. მას ერჩივნა მოვეკალი, ვიდრე ამ საქმის გაკეთება დაევალა ჩემთვის!" ამ სიტყვების თქმასთან ერთად დარბაზი ჯარისკაცებით აივსო. კრომველმა ხელი დაავლო ფურცელს, რომელზედაც პარლამენტის დათხოვნის აქტი ეწერა და დარბაზიდან გავიდა. 1653 წ. 20 აპრილს, 11 საათსა და 40 წუთზე, ინგლისის პარლამენტმა, რომელიც დასაბამს 1265 წლიდან, ჰენრი III მეფობიდან იღებდა, არსებობა შეწყვიტა. თემთა პალატის მდივანმა, სკობელმა ასეთი ჩანაწერი გააკეთა თავის ოქმში: „ამ დღეს, მისმა აღმატებულებამ, ლორდ-გენერალმა პარლამენტი დაითხოვა, რაც პარლამენტის თანხმობის გარეშე მოხდა." იმავე დღეს ვიღაცამ მწარედ იოხუნჯა, მიაკრა რა პარლამენტის შემოსასვლელ კარზე აბრა წარწერით: „ქირავდება, ამჯერად ავეჯის გარეშე."

ამ ნამდვილად მშფოთვარე და დაძაბულობით აღსავსე მოვლენების შემდეგ კრომველემა დატოვა პარლამენტი და ლონდონის ერთერთ რაიონში, ქოკპიტში გადაინაცვლა. ქოკპიტში იგი შეხვდა უფროსი ოფიცრობის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც პარლამენტის წევრები არ იყვნენ. კრომველმა მათ ამცნო მომხდარის შესახებ. მან ყველაფერი წარმოაჩინა როგორც მოქმედება, რომელიც წინასწარ არ იყო დაგეგმილი და გააზრებული. ჩვენი აზრით აღნიშნული განმარტება სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ. რიგი ავტორიტეტული ავტორებისა კრომველს ნაუცბათევი ქმედებების ადამიანად განიხილავს და მიუთითებს, რომ მისთვის უცხო იყო (ან იშვიათი) ამა თუ იმ ქმედების საფუძვლიანი შეფასება და დაგეგმვა. თავად კრომველმა ასე ახსნა თავის აფეთქება: „პარლამენტში რომ მივდიოდი, არც კი მიფიქრია

ამის გაკეთება, მაგრამ ღვთის სული იმდენად გაუჯდა მთელს ჩემს ცნობიერებას, რომ ველარ შევიკავე სისხლის და ხორცის ესოდენ დიდი მოზღვავება.“ ჩვენი მხრიდან ვიტყვით, რომ უნდა ვირწმუნოთ ლორდ-გენერლის ნათქვამი იმ თვალსაზრისით, რომ მას სჯეროდა, რომ „ნარჩენი“ თავად მიიღებდა დადგენილებას ძველი პარლამენტის დათხოვნის და ახლის მოწვევის შესახებ, ისე, რომ მას ამ საქმეში ჩარევა არ დასჭირდებოდა. სხვანაირად იგი არ გაიჭრებოდა პარლამენტში ასე სახელდახელოდ ჩაცმული, მოუწესრიგებელი და არ „აფეთქდებოდა“ იქ დეპუტატების წინაშე. იგი გეგმავდა გადატრიალებას, მაგრამ როგორც ჩანს, უფრო „რბილი“ ხერხებით. წინააღმდეგობამ, რომელიც მას წინ დახვდა, მისი საპასუხო, კიდევ უფრო მძაფრი და მძლავრი უკუქმედება გამოიწვია.

ნაშუადღევს კი სახელმწიფო საბჭოს ჯერი დადგა. კრომველმა გამოუცხადა სახელმწიფო საბჭოს წევრებს, რომ ამიერიდან ისინი შეიკრიბებიან მხოლოდ როგორც კერძო პირები. მათი უფლებამოსილება, თქვა კრომველმა, დასრულდა, რადგანაც პარლამენტმა, რომელსაც ისინი ემორჩილებოდნენ შეწყვიტა არსებობა. აი მაშინ კი ჯონ ბრედშო შეეპასუხა კრომველს: „სერ, ჩვენ გავიგეთ, თუ რა გააკეთეთ თქვენ ამ დილით თემთა პალატაში და რამდენიმე საათის შემდეგ ამას მთელი ინგლისი გაიგებს. მაგრამ იცოდეთ, თქვენ გეშლებათ, როდესაც ამბობთ, რომ პარლამენტი დათხოვნილია. ვერავინ დაითხოვს მას დედამიწის ზურგზე მისივე საკუთარი თავის გარდა. ამიტომ მიიღეთ ეს მხედველობაში.“ ჰეზელრიგმა, ლავმა და სკოტმაც რამდენიმე სიტყვით გამოხატეს პროტესტი, მაგრამ საბოლოოდ თავი აარიდეს მათზე ძალადობრივი ქმედებების განხორციელებას და დაემორჩილნენ ლორდ-გენერლის ბრძანებას.

ამგვარად, სახელმწიფო გადატრიალება განხორციელდა. ინგლისის რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა. მოხდა უკანონო, ძალადობრივი ქმედება. ნებისმიერი ისტორიული მოვლენა, მით უფრო ამგვარი, მართლაცდა საგანგებო, ყოველთვის იწვევს კითხვას, თუ რამ განაპირობა იგი? იყო ეს მოვლენა ერთი ადამიანის სწრაფვისა და საქმიანობის შედეგი, თუ განპირობებული იყო საზოგადოების წიაღში განვითარებული მოვლენებით, რომლებსაც ამ კონკრეტულმა ადამიანმა ალღო

აულო და ამ ზოგად, ობიექტურ, გარკვეულწილად გაუცნობიერებელ სწრაფვებს ხორცი შეასხა? ლედი ანტონია ფრეზერი ამბობს, რომ შესაძლოა კრომველის ხელთ არც იყო სხვა საშუალება, რომ ნარჩენი მოეშორებინა, მაგრამ მისივე თქმით ძალის ძალადობასთან გაიგივება არ შეიძლება. შევახსენებთ პატივცემულ კოლეგას, რომ განა თავად რევოლუცია, რომლის დროსც მოხდა ყველა ზემოაღწერილი მოვლენა, ძალადობა არ არის? იგი ხომ სხვადასხვა ძალადობრივი ქმედებებისაგან შედგება? უბრალოდ მათზე, როგორც ასეთებზე, მხოლოდ საგანგებო, განსაკუთრებულ შემთხვევებში ამახვილებენ ყურადღებას. მაგალითისათვის ერთი საინტერესო ამბის მოყვანა შეიძლება. 1934 წ. იოსებ სტალინს საუბარი ჰქონდა ცნობილ ინგლისელ მწერალ-ფანტასტთან ჰერბერტ უელსთან. საუბრის დროს სტალინმა კრომველი ახსენა, როგორც მაგალითი იმისა, რომ ყოველთვის საჭიროა პიროვნება, რომელიც ბიძგს აძლევს ისტორიის მსვლელობას და ძალისმიერი მეთოდებით ამკვიდრებს ახალ წეს-წყობილებას. უელსმა მიუგო, რომ თავის მოქმედებებში კრომველი ეყრდნობოდა კონსტიტუციას და მოქმედებდა კონსტიტუციური წესრიგის სახელით. „კონსტიტუციის სახელით და მისი გულისათვის მან იარაღი აიღო ხელში, სჩადიოდა ძალადობას, სიკვდილით დასაჯა მეფე, გარეკა პარლამენტი, ზოგს აპატიმრებდა და ზოგსაც თავს კვეთდა?“- კითხვით უპასუხა მას სტალინმა და როგორც ბრიტანელი ისტორიკოსი კრისტოფერ ჰილი წერს, უელსს სათქმელი არაფერი დარჩა.

რადგანაც ძალადობაზე ვლაპარაკობთ, ურიგო არ იქნება გავიხსენოთ რევოლუციური ძალადობის ორი მაგალითი. ისინი რევოლუციის საწყის და გარკვეულწილად დამამთავრებელ ეტაპებზე მოხდა. დავიწყოთ ამ უკანასკნელით. 20 აპრილს კრომველმა გარეკა პარლამენტი. ნამდვილად შემაძრწუნებელი ქმედება ინგლისის საპარლამენტო ისტორიაში. პარლამენტი ხალხის, საზოგადოების ინტერესების გამომხატველი იყო. შესაბამისად, როგორი იყო რეაქცია ამ ძალმომრეობაზე? ჰქონდა თუ არა ადგილი პროტესტს ხალხის მხრიდან, გამოხატა საზოგადოებამ რამენაირად თავისი უკმაყოფილება? ამაზე საკმაოდ მრავლისმთქმელად თავად კრომველის სიტყვები მეტყველებს: „ ერთ ძაღლსაც კი არ დაუყეფავს მათ დასაცავად“ –

ასე ახასიათებდა იგი საზოგადოების დამოკიდებულებას მომხდარის მიმართ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხალხს არავითარი რეაქცია არ ჰქონდა აღნიშნულ მოვლენაზე. დაახლოებით ასეთივე სურათია მოცემული რიგითი ინგლისელის, სტრაფორდშირელი ვინმე ჯონ ლენგლის ლონდონიდან თავისი უფროსისადმი მიწერილ წერილში. აი რას სწერს იგი სერ რიჩარდ ლევერსონს იმის თაობაზე, თუ რა ხდებოდა ლონდონში პარლამენტის დათხოვნის შემდეგ დღეებში: „ყველაფერი ჩვეულებისამებრ მშვიდად, თავისი წესისა და რიგის მიხედვით მიმდინარეობს. სიტიში ვაჭრობენ, სასამართლოებში სხდომები გრძელდება, ვექილები დაცვის სიტყვებით გამოდიან. ერთი სიტყვით, ხალხი თავისი ყოველდღიური საზრუნავით არის დაკავებული.“ არ იყო რაიმე საპროტესტო თავშეყრების, მსვლელობების, პეტიციების წარდგენის და მით უფრო საპასუხო ძალადობრივი ქმედებების ან მათკენ მოწოდების მცდელობის ხსენებაც კი. მოსახლეობას არ აინტერესებდა არც პარლამენტი, როგორც ინსტიტუტი და არც მასში მოკალთებული ადამიანები, რომლებიც, როგორც ჩანს, ძირითადად თავის საკუთარი ინტერესების უზრუნველყოფით იყვნენ დაკავებული და ამისათვის თავს ქვეყნის და ხალხის ინტერესების დამცველებად წარმოაჩენდნენ. სხვანაირად ხალხის გულგრილობა მომხდარის მიმართ ვერც აიხსნება. ამიტომ ურიგო არ იქნება გავიხსენოთ შეფასება, რომელიც აღნიშნულ მოვლენას კარლ მარქსმა მისცა. მისი სიტყვებით კრომველის სახით თავად ინგლისელმა ხალხმა გარეკა ხანგრძლივი პარლამენტი. კრომველის წარმატება განაპირობა იმან, რომ იგი პირველ რიგში ხალხის ინტერესებს გამოხატავდა.

კრომველმა ძალადობა ჩაიდინა. ის ფეხებს აბრახუნებდა, უშვერი სიტყვებით „ამკობდა“ პარლამენტის დეპუტატებს, თითქმის ას კაციან თავყრილობას. და ეს ის ხალხი იყო, რომლებსაც თავის დროზე კრომველი უზადო და მორჩილების ტონის აღსავსე ფრაზებით მიმართავდა თავის სამხედრო პატაკებში. „პატიოსანი ხალხი თქვენ ერთგულად გემსახურათ“ და ა.შ. და ამ მორჩილმა, სამსახურის კაცმა მიწასთან გაასწორა იგივე ადამიანები! ის ხალხი კი სდუმდა და ითმენდა ასეთ უდიერ მოპყრობას! რატომ ვერ მოიძებნა მათ შორის თუნდაც ერთი კაცი, რომელიც მაშინვე შეეპასუხებოდა კრომველს

და ვთქვათ პირდაპირ, ხმას ჩააკმენდინებდა მას? ნუთუ აქ საქმე მხოლოდ კრომველის თანმხლებ ჯარისკაცებში იყო? ისინი ხომ მაშინ ჯერ დარბაზში არ იყვნენ? ან მხოლოდ იმიტომ, რომ დეპუტატები უფრო თავზიანები, თავდაჭერილები იყვნენ და თავს არ უყადერებდნენ ლორდ-გენერალს, რომელიც მდაბიოსავით იქცეოდა? მხოლოდ სერ პიტერ უენტვორტმა მოახერხა შეპასუხება და ისიც ძალზე უღიმღამოდ. სხვებმა კი ეგეც ვერ გაბედეს. ალბათ იმიტომ, რომ სათქმელიც არაფერი ჰქონდათ. აბა სხვანაირად როგორ უნდა ავხსნათ, რომ მრავალრიცხოვანმა აუდიტორიამ პირში წყალი დაიგუბა და ვერ ალაგმა ერთი თავგასული ავყია?! აქ საქმე გვაქვს ან ერთი ადამიანის ყოვლისშემძლეობასთან, ან მრავალრიცხოვანი თავყრილობის სრულ უსუსურობასთან. ასე რომ, ძნელია არ დაეთანხმო მოსაზრებას, რომლის მიხედვით დესპოტიზმი ეფუძნება არა ერთი პირის ძალმომრეობას, არამედ მასის მონობისადმი მიდრეკილებას. სხვათა შორის, თავად კრომველმა უთხრა გერნერალ ედმუნდ ლადლოუს გადატრიალების შემდეგ: „პარლამენტიდან თუნდაც ერთ საღად მოაზროვნე ადამიანს რომ გაეკიცხა მისი წევრების მოქმედება მე არასოდეს მოუღებდი მას ბოლოს."

მაგრამ ეს მოხდა და თანაც პრაქტიკულად ხელის ერთი მოსმით. ვიმეორებთ, ნუთუ ეს მხოლოდ კრომველის თანმხლები ჯარისკაცების წყალობით მოხდა? ამისათვის კი ისტორიული ძალადობის პირველი მაგალითი განვიხილოთ. 1642 წ. 4 იანვარს მეფე ჩარლზ I შეიარაღებული რაზმის თანხლებით მივიდა პარლამენტში, რათა ოპოზიციის თავკაცები დაეპატიმრებინა. მაგრამ მეფეს ორივე პალატა ალუდგა წინ და ისიც იძულებული იყო ხელცარიელი დაბრუნებულიყო უკან. ოპოზიციის ლიდერებმა ლონდონის საქმიან ნაწილში, სიტიში ჰპოვეს მხარდაჭერა და თავშესაფარი. მაგრამ რაც მთავარია მათ ხალხმა დაუჭირა მხარი. როდესაც მეორე დღეს, 5 იანვარს მეფე შეიარაღებული რაზმით სიტიში მივიდა მას წინ ორი ათასი შეიარაღებული ლონდონელი მოქალაქე დახვდა შეძახილებით: „პარალმენტი და პრივილეგია!" და მეფემ კვლავ უკან დაიხია. თავისუფლების დასაცავად, რომელსაც პარლამენტი განასახიერებდა, ხალხი გამოვიდა. ასე რომ ჯარისკაცებზე მინიშნება და ყველაფრის მათით ახსნა

არ არის საკმარისი. შეიარაღებული რაზმი ჩარლზ I ახლდა თანაც იგი მეფე იყო! მაგრამ 1642 წ. ხალხი გამოვიდა პარლამენტის დასაცავად. კრომველმა გარეკა პარლამენტი მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ მას ასე სურდა და ჯარი უჭერდა მხარს, არამედ იმიტომ, რომ ახორციელებდა იმას, რაც უკვე შემზადებული იყო საზოგადოების წიაღში. ამგვარი ქმედება ვერ განხორციელდებოდა 1628 ან 1642 წწ., როდესაც პარლამენტმა შესაბამისად „უფლებათა პეტიცია" და „დიდი რემონსტრაცია" მიიღო. მაშინ პარლამენტი, მისი წევრები სულიერი სიმტკიცით, უდრეკი სულისკვეთებით იყვენენ განმსჭვალულები და ურყევად იდგნენ ტრადიციულ ინგლისურ თავისუფლებათა სადარაჯოზე. მაშინ ვერავინ, თვით კრომველიც კი, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ტლანქი, გაუთლელი ენით ლაპარაკი, ვერ გაბედავდა ამდენს პარლამენტის კედლებში. მან ერთხელ, თავისი საპარლემნტო კარიერის დასაწყისში სცადა ამგვარი რამ, მაგრამ მაშინვე წერსრიგისკენ მოუწოდეს და მოთოკეს. მაგრამ ის დრო და სულიკვეთებაც წარსულს ჩაბარდა. 1653 წ. პარლმენტის „ნარჩენი" სრულიად მოკლებული იყო ზემოხსენებულ სულიერ საწყისებს და პრაქტიკულად აღარ ჰქონდა საზოგადოების მხარდაჭერა. „ნარჩენის" დეპტატები უკვე აღარ იყვენენ ტრადიციულ ინგლისურ თავისუფლებათა მედგარი დამცველები, არამედ ადამიანები, რომლებსაც სურდათ ხელში ჩაეგდოთ ქვენის ცხოვრება, თავისუფლება და ძლიერება, როგორც ამას გენერალი ედმუნდ ლადლოუ ამბობდა. პოლიტიკოსებს, რომლებსაც სურთ სახელმწიფო მოღვაწეების მდგომარეობა შეინარჩუნონ უნდა ახსოვდეთ, რომ მათ არა მათი თანამდებობა და სავარძლები, არამედ ის პრინციპები იცავს, რომლებითაც ისინი ხელმძღვანელობენ. „ნარჩენის" დეპუტატები კი უპრინციპობით ხელმძღვანელობდნენ. ამგვარი პოლიტიკოსები ხალხს არ აინტერესებს. ამაზე მეტყველებს ლონდონის ერთ-ერთი რაიონის, ბლექფრაიერსის მქადაგებლების მიერ ამ მოვლენის შეფასება. როგორც ამბობენ, ეს ადამიანები არ გამოირჩეოდნენ ენაწყლიანობით. და ეს სიტყვაძუნწი ადამიანები საჯაროდ ქება-დიდებას ასხამდნენ კრომველს იმისათვის, რომ მან „ამძირკვა ეს ბოროტისმქმნელი პარლამენტი და არ დატოვა იქ მისი ძირგამომპალი დეპუტატები." უფრო მეტიც, ისინი უფრო შორს

მიდიოდნენ და ამბობდნენ, რომ მისი უნარის და ღირსებებისათვის იგი მეფის გვირგვინს იმსახურებდა. ძალიან მიკერძოებითაც რომ მიუდგეთ, ფრიად საეჭვოა, რომ ამ ადამიანებს, მით უფრო ერთობ რადიკალური შეხედულებების ხალხს, ვინმე აქეზებდა, რომ ასეთი რამ ელაპარაკათ. ჯ. მორლი წერს, რომ ნარჩენის შემადგენლობაში იყვნენ პატიოსნი, ღირსეული ადამიანებიც, კერძოდ, სერ ჰენრი ვენი, ჯონ ბრედშო, სკოტი. ის არ გამორიცხავს, რომ „ნარჩენის“ შემადგენლობაში იყვენენ მედროვეები და უღირსი ადამიანებიც, მაგრამ, განაგრძობს ჯ. მორლი, გამოსარკვევია, თუ ვინ რამდენი იყო. ჩვენი აზრით ეს საქმე არ უნდა დავიყვანოთ უბრალო არითმეტიკამდე. ნარჩენი რომ ჯანსაღი, სიცოცხლისუნარიანი პოლიტიკური ორგანიზმი ყოფილიყო, ის ასე ადვილად არ დაყვებოდა ერთი ადამიანის ზეწოლას და საერთოდ, საქმე აქამდე არც მივიდოდა. სამოქალაქო ომმა, მრავალწლიანმა საომარმა მოქმედებებმა, რომლებსაც ძლევამოსილი სარდალი აწარმოებდა, არნახულად გაზარდეს ჯარის და საერთოდ, სამხედროების როლი და ავტორიტეტი. სამხედროებმა გარკვეულწილად დაჩრდილეს სამოქალაქო ხელისუფლება. მით უფრო, რომ იგი წარმოდგენილი იყო საზოგადოებისათვის ნაკლებად გაცნობიერებული რესპუბლიკის სახით. ის, რომ სამხედროების გავლენა არნახულად გაიზარდა ეჭვს არ იწვევს. მათ გავლენაზე და საერთოდ იმაზე, რომ ინგლისის მართვა-გამგეობა სამხედროთა ხელში იყო, თანაც უკვე პირველი სამოქალაქო ომის შემდეგ, მიუთითებს ბრიტანელი ისტორიკოსი დერეკ უილსონი. მისი თქმით პარლამენტი ამუშავებდა კანონპროექტებს, გამოსცემდა კანონებს, მაგრამ თვით ისეთი გავლენიანი ინდეპენდენტი-დეპუტატებიც კი, როგორებიც იყვნენ სერ ჰენრი ვენი და ოლივერ სენტ-ჯონი, თავის ადგილებს ინარჩუნებდნენ ჯარის კეთილი ნების წყალობით. ხალხს სჭირდებოდა რაღაც დამატებითი მტკიცებულების მაგვარი, რომ ახალი სახელმწიფოს, რესპუბლიკის უზენაესობა გაეცნობიერებინა. უზენაესი პოლიტიკური ინსტიტუტი, რესპუბლიკა, სუსტი იყო არა მხოლოდ მისი ხელმძღვანელი პირების პირადი ნაკლოვანებების გამო, არამედ ასევე მისი ნაკლებად გაცნობიერებით და აღქმით საზოგადოების მიერ.

რევოლუციური სიტუაცია ძალიან მყიფეა იმ თვალსაზრისით,

რომ მის დროს არავის და არაფერს აქვს მყარი დასაყრდენი. ეს კლასიკურად წარმოაჩინა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ, როდესაც პოლიტიკურ ასპარეზზე ელვის სისწრაფით იცვლებოდნენ წამყვანი პოლიტიკური პარტიები და რევოლუციური მოძრაობის ბელადები. საფრანგეთში სიტუაცია უფრო დაუნდობელი იყო. დამარცხებულს გილიოტინის იქით გაზა არ ჰქონდა. და პარტიების, მათი ბელადების და გილიოტინის ქვეშ დაგორებული თავების ეს მონაცვლეობა დასრულდა იმით, რომ 1800 წ. 9 ნოემბერს(რევოლუციური კალენდრით 18 ბრიუმერს), პოპულარულმა და ძლვამოსილმა გენერალმა ნაპოლეონ ბონაპარტმა დაითხოვა უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები და პრაქტიკულად საფრანგეთის ერთპიროვნული მმართველი გახდა რესპუბლიკის პირველი კონსულის წოდებით. ორივე შემთხვევაში დიქტატურა დამყარდა ჯარით, თანაც სწორედ ძლევამოსილი ჯარით. გამარჯვებებმა და საბრძოლო დიდებამ ჯარისკაცების და მათი სარდლობის ცნობიერებაში საკუთარი პიროვნების და საქმის მნიშვნელობა და მათით გამოწვეული სიამაყე დაამკვიდრეს. ისინი აცნობიერებდნენ თავის ძლიერებას, სიმამაცეს და საკუთარი ნამოქმედარის მნიშვნელობას. როგორც ჩანს, ეს აზრები და გრძნობები მათში აჩენდნენ სწრაფვას არ შეეზღუდათ თავისი სიდიადე და ღირსება ბრძოლის ველით, სადაც ისინი მდგომარეობის უცილობელი ბატონ-პატრონები იყვნენ და შეიძლება ითქვას, სასწაულებს ახდენდნენ. იმის გაცნობიერება, რომ ისინი უბადლონი არიან ბრძოლის ველზე, ბადებს მათში სწრაფვას გავიდნენ სამხედრო ასპარეზის ფარგლებს მიღმა და დაამტკიცონ, რომ მათ არა მარტო ხმალი უჭირთ. სწორედ ამიტომ ილტვოდნენ ისინი ძალაუფლებისაკენ. თუკი მათ ხმალში ვერავინ შეეცილება, რატომ ვერ ივარგებენ ისინი იქ, სადაც ასევე ბრძანების გაცემაა საჭირო, უბრალოდ ხმლის გარეშე. ისინი ბრძოლის ველზე ხომ არა მარტო ხმალს იქნევდნენ, არამედ ბრძანებებსაც გასცემდნენ. და თუ ეს ბრძანებები სრულდება ხმლების წკრიალსა და თოფების გრიალში, რატომ ვერ ივარგებენ ისინი ბრძანებების გაცემისათვის მშვიდობიან პირობებში? ასე რომ, თითქმის საუკუნე ნახევრის შემდეგ საფრანგეთში განმეორდა ის, რაც თავის დროზე მოხდა ინგლისში. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს

კრომველის მიერ ჩატარებული სახელმწიფო გადატრიალების ისტორიულ კანონზომიერებას. რევოლუცია, რომლის წიაღშიც წარმოიშვება ძლევამოსილი ჯარი და სახელოვანი სარდალი, აუცილებლად შობს ერთპიროვნულ მმართველობას. სხვათა შორის, ჯ. მორლი ამბობს, რომ არსებული რევოლუციური სიტუაციის გამო არც „ნარჩენი“ იყო კანონიერი პარლამენტი ისევე, როგორც კრომველი – კანონიერი მონარქი. საზოგადოებრივმა ურთიერთობებმა ძალზე არამდგრადი ხასიათი შეიძინეს, ეს განაპირობებდა პრაქტიკულად ნებისმიერი ინსტიტუტის(ჯარის გარდა, რომელიც უშუალოდ ძალაზე იყო დამყარებული), ძალზე არასტაბილურ მდგომარეობას. ალბათ ამიტომაც ადვილი იყო მათი ხელყოფა. პოზიტიური ფილოსოფიის მამამთავარი ოგიუსტ კონტი წერს, რომ აწმყოზე გააზრებულად მსჯელობა ნიშნავს მასში წარსულის შედეგის დანახვას. რევოლუცია(სამოქალაქო ომი) თავისი პირველივე ნაბიჯიდან ძალადობა იყო. ამიტომ ნებისმიერი შემდგომი ძალადობა უბრალოდ არ არის გასაკვირი. შესაძლოა, კრომველი რომ პარლამენტში გაიჭრა შესაბამისი ჩაცმულობის გარეშე მან ეს მართლაც ნაუცბათევად გადაწყვიტა. მაგრამ ის, რომ მან შებედა პარლამენტს და დაითხოვა იგი, რადგანაც ჩათვალა, რომ პარლამენტის გარეშეც თავად შესძლებს ქვეყნის მართვას, ეს უკვე მანამდე მომხდარი ყველა მოვლენის კანონზომიერი დაგვირგვინება იყო.

როგორ ახასიათებს ეს კრომველს, როგორც ადამიანს და სამხედრო-პოლიტიკურ მოღვაწეს? პირველ რიგში ეს ყველაფერი ადასტურებს საისტორიო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს მისი, როგორც იმპულსური, სპონტანურად მოქმედი პიროვნების შესახებ. რიგი ავტორებისა მიიჩნევს. რომ მის მოქმედებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა მის რელიგიურ მრწამსს. სწორედ ამით ხსნიან მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სპონტანურ ხასიათს. აკი თვითონაც ერთ-ერთ თავის საჯარო გამოსვლაში ურჩევდა აუდიტორიას, მინდობოდნენ თავის მოწოდებას, რადგანაც იგი დიდებული და შეუცნობადია. ეს კი მისი თქმით იმით იყო განპირობებული, რომ ღმერთის მიერ იყო ნაკარნახევი. „ჩვენ არ გვძალუძს მისი შეცნობა, რადგან ღმერთი სწორედ ასე ურთიერთობს ჩვენთან -“ ამბობდა იგი. გაივლის ორასი წელი და შესანიშნავი ამერიკელი პოეტი და ფილო-

სოფოსი რალფ უოლდო ემერსონი თავის ფილოსოფიურ ნააზრევში მოუწოდებს სწორედ ასეთი, უმალ, სპონტანურად მიღებული გადაწყვეტილებების საფუძვლად მოქმედებას და ამგვარ ნამოქმედარს მიანიჭებს უპირატესობას. ალბათ სწორედ ეს არის პურიტანის გაგებით მის მიმართ განგების კეთილგანწყობაში ურყევი რწმენის გამოვლენის მაგალითი. ადრე კიდევაც ავღნიშნეთ, რომ ეჭვი პურიტანისათვის უმძიმესი ცოდვის ტოლფასია. ის უყოყმანოდ მოქმედებს, რადგანაც იცის, რომ ღმერთი მას, თავის რჩეულს, გამარჯვების გზით წაიყვანს. ალბათ სწორედ ამით იყო განპირობებული კრომველის ცნობილი ფრაზა: „ ყველაზე შორს ის წავა, ვინც არ იცის, თუ საით მიდის.“ ეს აზრი მან კარდინალ მაზარინის დესპანთან საუბარში გამოთქვა, დესპანმა კი ის კარდინალს ამცნო. როგორც ჩანს, ეს გამოთქმა ერთობ გავრცელდა იმ დროის ფრანგულ პოლიტიკურ ელიტაში. ოპოზიციური მოძრაობის, ფრონდის პოლიტიკურმა ბელადმა, კარდინალმა დე რეცმა ამ სიტყვებისათვის კრომველს გულუბრყვილო ადამიანი უწოდა. მაგრამ განა შეიძლება გულუბრყვილო უწოდოთ ადამიანს, რომელიც იყო რა რიგითი, საშუალო შეძლების აზნაური, ჯერ ბრწყინვალე, ძლევამოსილ სარდლად და მერე კი ქვეყნის პირველ პირად იქცა. მით უფრო,რომ ეს ყველაფერი ხომ მისმა მრწამსმა განაპირობა?!

ლორდ – პროტექტორი

ამრიგად, „ნარჩენის“ დათხოვნის შემდეგ ხანგრძლივმა პარლამენტმა, რომელიც 1640 წლიდან მოქმედებდა, საბოლოოდ შეწყვიტა არსებობა. მომხდარის კანონზომიერებაზე კი ყველაზე უტყუარ დასტურად გვევლინება საზოგადოების სრული გულგრილობა ამ მოვლენისადმი და უფრომ მეტიც, ამ აქტის ორგანიზატორის და განმახორციელებლის, ოლივერ კრომველის მიმართ გამოთქმული ქება-დიდება. მაგრამ მომხდარი ამბავი მისი ქება-დიდებით ვერ შემოიფარგლებოდა. სადამდე მიაღწევდა იგი, როგორც ადამიანი, რომელმაც მისივე თქმით არ იცოდა, თუ საით მიდიოდა. ალბათ ყველაზე შორს, რადგანა ეს სხვა არაფერია, თუ არა დაუოკებელი წინსვლის სურვილი. ამ გზაზე დამუხრუჭება, გაჩერება, შეუძლებელი და ალბათ დაუშვებელიც კი იყო. ძალაუფლების და დიდების ნებისმიერ სიმაღლეს ვერ დაერქმევა საკმარისი, რადგან როგორც მაშინ (და ალბათ ახლაც) ამბობდნენ, ადამიანი განრთხმულია პატივმოყვარეობის, მისი ძლევამოსილების წინაშე. ასეთი იყო კრომველის თანამედროვის, შვედეთის დედოფლის ქრისტინას აზრი. რასაკვირველია, კრომველი ვერ იქნებოდა გამონაკლისი. მაგრამ კრომველს მთელი ქვეყანა შეყურებდა. მომხდარის შემდეგ მისგან უფრო რადიკალურ ქმედებებს ელოდნენ. ეს იყო სვლა საყოველთაო თანასწორობის საზოგადოებისაკენ. უნდა ითქვას, რომ რადიკალების ამგვარი იმედები არ იყო უსაფუძვლო. კრომველის მარჯვენა ხელი სახელმწიფო გადატრიალებაში ხომ ათასწლოვანი საუფლო სამეფოს ერთ-ერთი აქტიური მომხრე, გენერალ-მაიორი ჰარისონი იყო. ამგვარი იმედები კიდევ უფრო გაძლიერდა, როდესაც თავად კრომველის ინიციატივით და ხელმოწერით მოწვევა დაურიგდა 140 ადამიანს, რომლებიც შეარჩიეს როგორც მომავალი პარლამენტის დეპუტატები. აი რა ეწერა კრომველის მიერ შედგენილ მოსაწვევში: „ვინაიდან ძველი პარლამენტის დათხოვნის შემდეგ შეიქნა ინგლისის რესპუბლიკის შესაბამისი მართვა-გამგეობის, მშვიდობისა

და უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობა, მე, ოფიცერთა ჩემს საბჭოსთან შეთანხმებით დავნიშნე სხვადასხვა ადამიანი, რომლებიც ცნობილი არიან როგორც ღვთისმოშიში, პატიოსანი და ერთგული ხალხი. მათ დავალება და უფლებამოსილება ეძლევათ ერთობ მნიშვნელოვან საქმეებთან დაკავშირებით. ამრიგად, მჯერა რა, რომ თქვენ ღვთისმოსავი ადამიანები ხართ, უფლის საქმეების და ამ სახელმწიფოს კეთილი ხალხის ერთგული, მე, ოლივერ კრომველი, ამ რესპუბლიკის ფარგლებში არსებული გაწვეული და გასაწვევი ჯარების და შეიარაღებული ძალების კაპიტან-გენერალი გიწვევთ და პირადად გთხოვთ მობრძანდეთ 4 ივლისს საბჭოს დარბაზში, რომელსაც ჩვეულებისამებრ ეძახიან საბჭოს დარბაზს, უაითჰოლში, ვესტმინსტერში, რათა იმ დროს და იქ მიიღოთ მითითებული დავალება, რასაც თავი არ უნდა აარიდოთ. წარდგენილია ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდით. 1653 წ. 6 ივნისს. ო. კრომველი.“ პირები, ვისაც დაეგზავნა ეს მოსაწვევი, ძირითადად იყვნენ ინდეპენდენტური, უკიდურესად რადიკალური დაჯგუფებების წევრები. მათ გარდა მოწვევა გაეგზავნა კრომველის გარემოცვის ზოგიერთ ოფიცერს. ამ ულტრარადიკალებს მათი რელიგიური შემართებისათვის „წმინდანებსაც“ კი ეძახდნენ. მათ საზოგადოების მოწყობა სურდათ იმ დროისათვის ულტრადემოკრატიულ საფუძველზე. ეს მცირე, ან როგორც მას კიდევ უწოდებდნენ, ბერბონის (ბერბონი, დაბახანის მეპატრონე, პარლამენტის დეპუტატი) პარლამენტი შეიკრიბა დათქმულ დროს, 1653 წ. 4 ივლისს. კრომველმა მას მგზნებარე სიტყვით მიმართა და არ დამალა, რომ ძალადობა ჩაიდინა „ნარჩენის“ დაშლით, მაგრამ დასძინა, რომ ამის უფლებამოსილება მას ჯარმა მისცა. ჯარი, რომელიც მოწოდებულია დაშნით დაამყარს წესრიგი ქვეყანაში, მოუწოდებს ახალ პარლამენტს მართოს ქვეყანა ღვთისმოსაობის და ღვთისმოშიშობის მეშვეობით. „თქვენ ღვთისგან ხართ მოვლენილები ქვეყნის სამართავად- აღაფრთოვანა კრომველმა პარლამენტი. ხალხმა. რომელსაც „ნარჩენმა“ იმედი გაუცრუა, ჯარს მიაპყრო მზერა.“ ამ სიტყვებით კრომველმა ჯარი და ხალხი გააიგივა, რაც არ იყო უსაფუძვლო. ამგვარი პათოსით და საკუთარი მრწამსით აღტყინებული „წმინდანები“ მართლაც დიდი ენერგიით შეუდგნენ ქვეყნის მართვა-გამგეობას. შემუშავებულ იქნა რიგი რეფორმებისა,

რომლებიც ითვალისწინებდნენ პრეცედენტებზე აგებული ინგლისური სამართლის გამარტივებას, სამოქალაქო ქორწინების შემოღებას, საეკლესიო მეათედის და პატრონატის სისტემის გაუქმებას. ეს უკანასკნელი საშუალებას აძლევდა მიწათმფლობელებს „თავისი“ კანდიდატები წარედგინათ პარლამენტში.

რა გამოხმაურება შეიძლებოდა ჰქონოდა იმ დროისათვის ესოდენ რადიკალურ გარდაქმნებს? პირველ რიგში საინტერესოა თავად კრომველის, მოვლენათა მსვლელობის ამ მთავარი მონაწლის, რომელიც ფაქტობრივად მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონი იყო, პოზიცია და შეხედულება. იყო რა ღრმადმორწმუნე პურიტანი, კრომველმა ყველაზე მეტად თავის სიტყვაში სარწმუნოებრივ შემწყნარებლობას გაუსვა ხაზი. „შევიბრალოთ და ვუთანაგრძნოთ ყველას, თუნდაც ჩვენგან განსხვავებული აზრის ხალხს. შეიყვარეთ ისინი და თუკი ყველაზე ცოდვილ, ყველაზე უბადრუკ ქრისტიანს სურს მშვიდად იცხოვროს თქვენს ხელქვეით, ისე, რომ მხოლოდ ღვთისნიერებით და პატიოსნებით იხელმძღვნელოს, მიეცით მას ამის საშუალება.“ ეს სიტყვები არის კრომველის მცდელობა მოუწოდოს ადამიანებს, რათა ისინი სულიერი სითბოთი და თანაგრძნობით აღივსონ ურთიერთის მიმართ. საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევა შეუძლებელი იყო და ამიტომ კრომველი ცდილობდა სულიერი სითბოთი განემსჭვალა საზოგადოება, რათა შეძლებულებს ელემენტარული გულითადობა მაინც გამოეჩინათ გლახაკთა და უპოვართა მიმართ. ეს ალბათ გარკვეულწილად განაპირობებდა კლასობრივი წონასწორობის შენარჩუნებას და ულტრამემარცხენეების რამენაირად დაკმაყოფილებას. ულტრამემარცხენეები კი კრომველის ერთგულები და იმავდროულად თავის იდეებს იშვიათად მინდობილი ადამიანები იყვნენ. მათ არც გულწრფელობა და არც პატიოსნება აკლდათ. მაგრამ სწორედ ყველაზე თავდადებულები აღმოჩნდნენ ყველაზე გულუბრყვილოები. მათ ზურგს უმაგრებდნენ მათი თანამოაზრეები პარლამენტს გარეთ, ათასწლოვანი საუფლო სამეფოს მომხრეები, რომლებიც ხმამაღლა ქადაგებდნენ საყოველთაო თანასწორობის დადგომას. მათი სწრაფვა, პრეცედენტებზე დაფუძნებული ინგლისური ჩვეულებითი სამართალი შეეცვალათ ერთიანი კოდექსით, შეექმნათ

უზენაესი სასამართლო, რომელიც რიგ შემთხვევაში შეცვლიდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, შემოეღოთ სამოქალაქო ქორწინება, გაეუქმებინათ საეკლესიო მეათედი, მიწათმფლობელების, იურისტების, მთლიანობაში ჯენტრის შეშფოთება გამოიწვია. ლენდლორდებმა ამაში ის საფრთხე დაინახეს, რომელიც ემუქრებოდა მათ კუთვნილ მიწის რენტას. გამოიცა პამფლეტი, სადაც ნათქვამი იყო, რომ მიწის რენტას და მეათედს ერთად გააუქმებდნენ. ამან კი საყოველთაო განგაში გამოიწვია. მათი აზრით, საზოგადოებრივ ყოფას საფრთხე ემუქრებოდა. სიტის საბჭო პარლამენტში პეტიციის შეტანას აპირებდა მეათედის დატოვების თხოვნით. პეტიციის ავტორების აზრით, ეს სტაბილურობას შეუნარჩუნებდა საზოგადოებას და თავიდან ააცილებდა არასასურველ ცვლილებებს.

მოსალოდნელმა ულტრარადიკალურმა ცვლილებებმა საზოგადოების პოლიტიკურად აქტიური და მნიშვნელოვანი ფენა, მიწათმფლობელები, იურისტები და ღვთისმსახურები უარყოფითად განაწყო მცირე პარლამენტის საქმიანობის მიმართ. ეს სოციალური ჯგუფები არ დაუშვებდნენ, რომ მოსახლეობის ყველაზე მრავალრიცხოვან ფენას, რომელიც მის 9/10 შეადგენდა და მსახურების, დღიური მუშების, მოჯამაგირე-კოტერების, მიწის მოიჯარადრეებისაგან შედგებოდა, დაწინაურებულიყო და მით უფრო, ქვეყანა ემართა. ეს საყოველთაო გათანაბრების პერსპექტივებს ბადებდა. შიშს მოსალოდნელი საყოველთაო გათანაბრების და ასეთ პრინციპებზე აგებული საზოგადოების წინაშე კრომველი ასე გამოხატავდა: „პარლამენტს მიაჩნია, რომ თუკი ვინმეს 12 ძროხა აქვს, ხოლო მის მეზობელს არც ერთი, მან ეს ქონება თავის უპოვარ მეზობელს უნდა უწილადოს. და თუკი ისინი ამას განახორციელებენ, მაშინ ვინღა შესძლებს რამე თქვას რაიმე ქონების შესახებ?" ამრიგად, კპიტან-გენერალი, რომელიც არ მალავდა თავის სიხარულს იმის გამო, რომ დადგა დრო, როდესაც იესო ქრისტე უხილავად მიიღებს მონაწილეობას პარლამენტის მუშაობაში, თავად დაეჭვდა თავისი წამოწყების სისწორეში. გათანაბრების მომხრეები მის და საერთოდ, მთელი ქვეყნის შეშფოთებას იწვევდნენ. და ეს განასკუთრებული, საგანგაშო მდგომარეობა შეიძლება ითქვას, კარზე იყო მომდგარი, რადგან პარლამენტში მყოფი „წმინდანებისაგან"

ნებისმიერი ცვლილება იყო მოსალოდნელი. თავისი იმედგაცრუება მან გაუზიარა კიდეც უახლოეს ადამინებს: „მე ახალი პარლამენტის სულელები (ულტრარადიკალი „წმინდანები“ – ივ.მ.) უფრო მეტად მაფიქრებენ, ვიდრე ხანგრძლივი პარლამეტნის არამზადები.“ საერთოდ ასეთ ულტრარადიკლურ შეხედულებებზე და მოწოდებებზე კრომველი ძალზე თავისებურად აყალიბებდა თავის აზრს და ეს მას ადრეც ქონდა ნათქვამი: „ თავად ეს მოსაზრებები ძალზე საინტერესოა და მიმზიდველიც კი, მაგრამ მხოლოდ მაშინ, ჩვენ რომ შეგვეძლოს ერთი პირობებიდან ამოხტომა და სხვებში ჩახტომა. უფრო სწორად, მაშინ უფალს უნდა მივანდოთ თავი. ის კი იმას წარმოგვიჩენს, რაც მას სურს, რომ ჩვენ განვახორციელოთ.“ ამრიგად, მისი თქმით განგების ნება იყო ის უზენაესი მიზანი, რისკენაც საზოგადოებას სძალუძს რომ იაროს და მხოლოდ რისი განხორციელების ძალა და უნარი აქვს ადამიანს და ხალხს მთლიანობაში. ასე რომ, ადამიანი კრომველის ამ გამონათქვამში კვლავ წარმოჩნდა როგორც ღმერთის ნება-სურვილის განხორციელების იარაღი.

„სულელები“ კი მართლაც ყველას შეშფოთებას იწვევდნენ. მათ იმ დროის გადასახედიდან შეიძლება ითქვას, რომ მეტისმეტად გამოიდეს თავი. თავისი გაუთავებელი ლაპარაკით და სიტყვაკაზმული მოხსენებებით ისინი პრაქტიკულად ყველაფერს ურევდნენ. კერძოდ ქვეყნის ფინანსურ, ადმინისტრაციულ, სასამართლო თუ საეკლესიო სისტემას. ისინი უდავოდ პატიოსანი და თავისი საქმისათვის თავგადადებული, მაგრამ გულუბრყვილო, იდეალისტი ადამიანები იყვენენ. მაგრამ იმავე დროს ისინი მთავარს, ქვეყნის მართვა-გამგეობისთვის საჭირო ცოდნასა დ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს იყვნენ მოკლებული. შექმნილ მდგომარეობას ძალიან კარგად გამოხატავს თავად კრომველის კომენტარი. „იმ ხანად – ამბობდა იგი, ყველას მიგვაჩნადა, რომ იმ ადამიანებს, რომლებმაც ომი გამოიარეს და ამგვარი აზრებით იყვენენ განმსჭვალული, ყველაფერში ხელი ეწიფებოდათ და ყველაფერს ისე გააკეთებდნენ, როგორც ეს საჭირო იყო. ასე ფიქრობდა ყველა, მეც ასე ვფიქრობდი და მით უარესი ჩემთვის.“ ასე რომ, კრომველი მის მიერვე შერჩეული ადამიანების ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეებში უწიფრობის წინაშე აღმოჩნდა. ეს რასაკვირველია მისი იდეური

მარცხიც იყო. „ღვთისგან მოვლენილებმა," მათი პატიოსნების მიუხედავად, მართვის საქმეში ვერ გაამართლეს. თუ „ნარჩენი" მეტისმეტად ეგოისტური და გამორჩენაზე იყო, „წმინდანები" ზომაზე მეტად იდეალისტები და ლიბერალები აღმოჩნდნენ. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი გამთანაბრებლური იდეები ხელს არ უშლიდნენ მცირე(ბერბონის) პარლამენტის დეპუტატებს, იგივე „წმინდანებს," დაუნდობლად ემოქმედათ კათოლიკე ირლანდიელების წინააღმდეგ. კერძოდ, მათ მიიღეს აქტი, რომელმაც დააკანონა კათოლიკე ირლანდიელებისათვის მიწის ჩამორთმევა და მისი გადაცემა ინგლისელი პროტესტანტი ჯარისკაცების, ოფიცრების და ასევე იმ ფინანსისტებისათვის, ვინც სახელმწიფო ხაზინას ფული გამოუყო ირლანდიული ლაშქრობისათვის.

კრომველს და სხვებსაც, ვინც მის გულისწყრომას იზიარებდა ალბათ ისიც აღიზიანებდათ, რომ ეს ე.წ. „წმინდანები" რიგ საკითხებში რჩევა-დარიგებას მათ კი არა, არამედ პურიტან-მქადაგებლებს ეკითხებოდნენ. თავად მქადაგებლებს კი ძალიან დიდი პრეტენზიები ჰქონდათ სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებში გაცნობიერებულობაზე, თუმცა კი საზოგადოების ყველაზე დაბალი ფენებიდან იყვნენ გამოსული. ისინი საჯაროდ აცხადებდნენ, რომ საღვთო სჯულის საკითხებში გაცილებით განსწავლულები და ჩახედულები იყვნენ, ვიდრე პროფესიონალი ღვთისმეტყველები. „ვინ არიან ის წმინდანები, ვინც მოწოდებულია მართოს ქვეყანა, როდესაც უფალი ჩამობრძანდება დედამიწაზე? რასაკვირველია გლახაკები და უპოვრები"- წერდა თავის პამფლეტში ერთ-ერთი რადიკალი პურიტანი-მქადაგებელი ჯონ არჩერი. ასეთი რადიკალიზმი, გათანაბრების იდეები, ჯენტრის, ამ წამყვანი სოციალური ფენის მზარდი კონსერვატიზმი და იმავე დროს შენიღბული როიალისტებიდან გამომდინარე მუდმივი საფრთხე, რომელიც რესპუბლიკას ემუქრებოდა, ძალიან მყიფეს ხდიდა მის და მცირე პარლამენტის მდგომარეობას. სწორედ ამის კანონზომიერ გაგრძელებას წარმოადგენდა ის, რაც მოხდა 1653 წ. მიწურულს. დეკემბრის თვეში ჯარის სამეთაურო შემადგენლობამ დაარწმუნა პარლამენტის მესვეურები მიეღოთ თვითდათხოვნის დადგენილება. ჯარის სარდლობამ ასევე შეაგონა პარლამენტს მიეღო დადგენილე-

ბა მთელი ძალაუფლების ლორდ-მთავარსარდლისათვის გადაცემის შესახებ. უკანასკნელ მომაკვდინებელ დარტყმას, რომელიც პარლამენტს მიაყენეს, წარმოადგენდა მისივე კედლებშივე პოლკოვნიკ საიდენჰემის მიერ წარმოთქმული სიტყვა. ამ უკანასკნელმა კრიტიკის ქარცეცხლში გაახვია პარლამენტი, „წმინდანების" კანონპროექტები, რომლებიც მისი აზრით მიზნად ისახავდნენ სამღვდელოების, კანონების და საკუთრების დამხობას. პარლამენტის დეპუტატების უმრავლესობა უსიტყვოდ დაემორჩილა ამ გადაწყვეტილებას. დადგენილებას თვითდათხოვნის შესახებ 140 დეპუტატიდან 80 მოაწერა ხელი. დანარჩენები ძალით გაიყვანეს დარბაზიდან. ამ პროცედურას ორი პოლკოვნიკი ხელმძღვანელობდა. როგორც ამბობენ, დეპუტატთა მცირე ჯგუფი დიდხანს იჯდა თავის ადგილებზე და არ ტოვებდა სხდომათა დარბაზს. მაშინ ერთ-ერთი პოლკოვნიკი მივიდა მათთან და ჰკითხა: „აქრას აკეთებთ?" — უფალს ველოდებით, უპასუხეს პარლამენტარებმა. მაშინ ჯობს სადმე სხვაგან ეძებოთ იგი, იმიტომ, რომ რამდენადაც ვიცი, ბოლო 12 წლის მანძილზე უფალი აქ არ გამოჩენილა" — მიუგო პოლკოვნიკმა. საღი, ცივი გონებიდან, პოლიტიკის პრაგმატული ინტერესებიდან გამომდინარე და შესაბამისად, ცინიზმით აღსავსე პასუხი გულანთებულ და იდეალისტ ადამიანებს! ამ პროცედურის შემდეგ პარლამენტის სპიკერი თავად ეწვია კრომველს და მოახსენა, რომ პარლამენტმა მიიღო დადგენილება თვითდათხოვნის შესახებ. ამ შეხვედრას სხვადასხვანაირად აღწერენ. ავტორთა ერთი ნაწილი ამბობს, რომ კრომველმა მას ხელოვნური, ნაძალადევი გაკვირვებით ჰკითხა: „კი მაგრამ, რამ გაიძულათ ასეთი გადაწყვეტილების მიღება?" ამით მან მიანიშნა სპიკერს, რომ თავად არაფერ შუაშია. მეორენი ამტკიცებენ, რომ კრომველი მართლაც არ იყო მომხდარის საქმის კურსში და საერთოდ, ამ მოვლენებისგან თავი შორს ეჭირა. მაგრამ მან თანხმობა განაცხადა ეტვირთა სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, რომელიც სპიკერის თქმით, პარლამენტმა მას გადააბარა.

მეორე მოსაზრების ავტორებს მხოლოდ შევახსენებთ კრომველის საუბარს უაითლოკთან და ნათქვამს იმაზე, თუ რა იქნება, ადამიანმა რომ მეფედ გამოაცხადოს თავი, ან იმას, რომ კრომველისავე აზრით ხუთი-ექვსი ადამიანი გაცილებით სწრაფად მიიღებს გადაწვეტილე-

ბას, ვიდრე ასი. მაგრამ აქ სხვა რამე არის უფრო მნიშვნელოვანი და ხაზგასასმელი. 1653 წ. აპრილიდან იმავე წლის 12 დეკემბრამდე ორჯერ მოხდა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დათხოვნა და ორივეჯერ მოსახლეობამ სრული გულგრილობა გამოავლინა პარლამენტის მიმართ. სამოქალაქო ომის და მომდევნო პერიოდის მოვლენებმა გადატვირთეს და დაქანცეს საზოგადება. „ნარჩენის" მოღვაწეობამ გამოიწვია რესპუბლიკური რეჟიმის დისკრედიტაცია. რევოლუციურმა ქაოსმა დაღალა ხალხი. ყველაფერ ამას მოყვა საზოგადოების პოლიტიკური აპათია, გაუთავებელი ვნებათაღელვით დაქანცული ქვეყანა ადვილად მინებდა რკინისებრი ხასიათის ადამიანის ნებას, რომლის მკლავებშიც მას სიმშვიდის მოპოვების იმედი ჰქონდა. მეორეს მხრივ, რევოლუციამ, ამ კონკრეტულ, „ინგლისურ შემთხვევაში" სამოქალაქო ომმა არნახულად გააძლიერა ჯარი, სამხედროები, პოლიტიკურად გააქტიურა ისინი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მთავარ დასაყრდენ ძალად აქცია. ასეთ პირობებში სამოქალაქო პირები და შესაბამისი ხასიათის მართვის ორგანოებმა მთავარი პოზიციიდან უკანა პლანზე გადაინაცვლეს. საბრძოლო მოქმედებები სამხედროების პრეტენზიებს ზრდიან. აკი თავად კრომველიც გულიწყრომით ამბობდა, რომ ქვეყნის თავისუფლება იმათ ხელში აღმოჩნდა, ვისაც მისთვის არასოდეს უბრძოლია. სწორედ ბრძოლის, სისხლისღვრის, თავაგანწირვის ფაქტორები ბადებენ სამხედროებში უპირატესობის გრძნობას სამოქალაქო პირების მიმართ და ზურგს უმაგრებენ მათ პრეტენზიებს ძალაუფლებაზე. სწორედ ამიტომ, საუკუნენახევრის შემდეგ რესპუბლიკური საფრანგეთის ერთ-ერთი არმიის ახალგაზრდა მთავარსარდალი ნაპოლეონ ბონაპარტი თავისი ერთ-ერთი ძლევამოსილი ბრძოლის შემდეგ მთელი ღამე დაიარებოდა ბანაკში თავისი კარვის გარშემო და განუწყვეტლივ ფიქრობდა იმაზე, რომ თუ როდემდე მოუწევს მას ბრძოლების გადახდა, გამარჯვებების მოპოვება და ახალი მიწების დაპყრობა დირექტორიისათვის(მთავრობისათვის), ამ პარიზელი ადვოკატებისათვის.

1653 წ. 16 დეკემბერს, შუადღეს, 12 საათზე, უაითჰოლიდან ვესტმინსტერის სასახლისაკენ დაიძრა საზეიმო პროცესია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ უფროსი ოფიცრები, მოსამართლეები,

ლონდონის ლორდ-მერი, ალდერმენები, მაღალი რანგის მოხელეები. დეპუტაციის სახელით კრომველს მიმართა გენერალ-მაიორმა ჯონ ლამბერტმა და სთხოვა მას მიეღო ინგლისის, შოტლანდიის და ირლანდიის ლორდ-პროტექტორის წოდება. ეს არ იყო უპრეცედენტო შემთხვევა ინგლისის ისტორიაში. XV-XVI სს. ინგლისსა და შოტლანდიაში მონარქის მცირეწლოვანებისას ქვეყნას მისი სახელით სამეფოს პროტექტორი(მფარველი), (Protector of the Realm – ინგლ.) მართავდა. ნაშუადღევს, პირველ საათზე, საზეიმო პროცესია დაიძრა კანცლერის სასამართლოსაკენ, სადაც უნდა ჩატარებულიყო კრომველის ლორდ-პროტექტორად საჯაროდ გამოცხადების ოფიციალური ცერემონია. ამ საზეიმო წუთებშიც კი კრომველმა არ უღალატა ტრადიციულ პურიტანულ სისადავეს. ის სადა, შავ ტანასაცმელში და შავ მოსასხამში იყო გამოწყობილი. ამ სადა სამოსის ერთადერთი საზეიმო ელემენტი იყო განიერი, ოქროსფერი ბაფთა, რომელიც მის შავ, ფარფლებიან ქუდს ამშვენებდა. ცერემონიის წამყვანმა კრომველს სახელმწიფო ბეჭედი გადასცა, ხოლო ლორდ-მერმა – სახელმწიფო მახვილი. კრომველმა ერთობ გულითადად მიიღო უზენაესი ძალაუფლების ეს ატრიბუტები და პროცედურის დასრულების შემდგ უკან დაუბრუნა ისინი. კრომველმა დადო საზეიმო ფიცი, რითაც აიღო ვალდებულება ემართა ქვეყანა ახალი კონსტიტუციის შესაბამისად და მერე ხელი მოაწერა ამ ფიცს. ამის შემდეგ საზეიმო პროცესია, რომელსაც უკან ჯარისკაცების გამამხნევებელი ყიჟინა მიყვებოდა, უაითჰოლში დაბრუნდა. ამრიგად, როგორც როიალისტების ბანაკის მთავარი იდეოლოგი ედუარდ ჰაიდი(შემდგომში გრაფი კლარენდონი) ამბობდა „ეს არაჩვეულებრივი ადამიანი, ყველა წარჩინებული ადამიანის დაუხმარებლად და მათივე ნების საწინააღმდეგოდ სამი სამეფოს ტახტზე მოექცა, თუმცა კი მეფის წოდების გარეშე, მაგრამ ისეთი ძალაუფლებით აღიჭურვა, რომელიც არც ერთ მეფეს ჰქონია ოდესმე.“ ახდა კრომველის სიყმაწვილის ხილვები და ზმანებები, როდესაც ზეციდან გარდმოსული ხმა მას ჩასძახოდა, რომ იგი უდიდესი ადამიანი გახდება ქვეყანაში, თუმცა მეფის წოდების გარეშე. წარმოიდგენდა განა იგი ამას, როდესაც პარლამენტის ტრიბუნიდან პირველად მიმართა ქვეყანას სიტყვით, ანდა როცა სამოქალაქო ომის დასაწყისში

ჩამოაყალიბა და ბრძოლაში ჩააბა თავისი პირველი საბრძოლო რაზმი? ძნელია რაიმის გადაჭრით თქმა. მაგრამ ერთი კი ნათელია. მას, როგორც მართლმორწმუნე პურიტანს ურყევად სჯეროდა, რომ თუკი ღმერთი ერთხელ მაინც გაიღებს წყალობას და თავის მონა-მორჩილს უზენაეს მადლს უწყალობებს, ასეთი ადამიანი მარად უფლის რჩეულად და ნებიერად დარჩება.

რას წარმოადგენდა პროტექტორატის რეჟიმი და ლორდ-პროტექტორის ხელისუფლება? ახალი კონსტიტუციის თანახმად, რომელიც 1653 წ. 16 დეკემბერს მიიღეს და რომელსაც „მართვის საშუალებები“ ეწოდა საკანონმდებლო ხელისუფლება მინდობილი ჰქონდა ლორდ-პროტექტორს – ოლივერ კრომველს და ერთპალატიან პარლამენტს. აღმასრულებელი ხელისუფლება ისევ ლორდ-პროტექტორის და სახელმწიფო საბჭოს ხელში იყო. ეს უკანასკნელი სამუდამოდ დანიშნული წევრებისაგან შედგებოდა და მათი პირველი შემადგენლობა თავად საჯარისო საბჭომ შეარჩია. იგი რვა სამხედრო და შვიდ სამოქალაქო პირს ითვლიდა. ამ უკანასკნელთა შორის იყვნენ კრომველის საკმაოდ ახლო ადამიანები, მაგ. მისი უფროსი ვაჟის, რიჩარდის სიმამრი რიჩარდ მეიორი, თავად კრომველის ყოფილი ლენდლორდი სენტ-ივესიდან ჰენრი ლოურენსი. შეიარაღებულ ძალებს ლორდ-პროტექტორი და პარლამენტი აკონტროლებდნენ. პარლამენტის სხდომებს შორის პერიოდში კი ისევ ლორდ-პროტექტორი და სახელმწიფო საბჭო. პარლამენტი 460 დეპუტატისგან შედგებოდა. 400 დეპუტატი ინგლისიდან, 30 – შოტლანდიიდან, და 30 – ირლანდიიდან. ყველას, ვინც კი სამოქალაქო ომში იბრძოდა პარლამენტის წინააღმდეგ ჩამორთმეული ჰქონდა საარჩევნო უფლება. რაც შეეხება კათოლიკეებს, მათ საერთოდ არ ჰქონდათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. არჩევნებში მონაწილეობისათვის დაწესებული იყო საკმაოდ მაღალი ქონებრივი ცენზი – 200 გირვანქა სტერლინგის ღირებულების მოძრავი ან უძრავი ქონება. ამრიგად, ახალ პარლამენტში მხოლოდ შეძლებული ადამიანები თუ მოხვდებოდნენ, კერძოდ, მსხვილი მიწათმფლობელები და საქმიანი წრეების შეძლებული წარმომადგენლები. მაგრამ აქ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე შეინიშნებოდა და ეს ინიციატივა უდავოდ კრომველის დამსახურება იყო. ახალმა საარჩევნო ცენზმა შეარყია

მინათმფლობელი არისტოკრატიის ტრადიციული მრავალსაუკუნოვანი მონოპოლია, რადგან იგი მოძრავ ქონებაზეც ვრცელდებოდა. ეს კი ასე თუ ისე გზას უხსნიდა ქვეყნის მართვა-გამგეობის სფეროში არასამინათმფლობელო, ძირითადად კი სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლებს. რასაკვირველია, ეს არ იყო „წმინდანებისათვის," ლეველერებისათვის და მითუმეტეს დიგერებისათვის ესოდენ სასურველი საყოველთაო თანასწორობა, მაგრამ იმ პირობებში და იმ დროისათვის მაინც ერთობ მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა ქვეყნის სოციალური განვითარების გზაზე. და ეს ნაბიჯი კრომველის პროტექტორატის ხანაში იყო გადადგმული.

კონსტიტუციაში ქვეყნის მართვის სამი პრინციპი იყო გაერთიანებული. მონარქიული(ერთპიროვნული – პროტექტორი), არისტოკრატული(სამუდამო წევრებისაგან შემდგარი სახელწიფო საბჭო) და დემოკრატიული(არჩევითი პარლამენტი). კონსტიტუციის ავტორები, გენერალიტეტი და უფროსი ოფიცრობა რასაკვირველია თავისი გაბატონებული მდგომარეობის დამყარებას ისახავდნენ მიზნად, რასაც მათ პრაქტიკულად მიაღწიეს კიდეც. მიუხედავად ამისა, მათი ხელისუფლება მაინც არ იყო შეუზღუდავი, უპირობო სამხდრო დიქტატურა. პარლამენტს ყოველ სამ წელიწადში იწვევდნენ. სამუშაო სხდომების ხანგრძლივობა ხუთი თვით იყო განსაზღვრული. საგანგებო სიტუაციებში ლორდ-პროტექტორს შეეძლო სახელმწიფო საბჭოს თანხმობით პარლამენტის რიგგარეშე სხდომა მოეწვია. იგივე წესი იმოქმედებდა მაშინ, როცა ქვეყანა ომის საფრთხის წინაშე იდგა. საჭირო მოსაკრებლების ოდენობა და მათი მოკრების წესის და რიგის შემუშავება პროტექტორს ებარა. მათი შეცვლა პარლამენტს მხოლოდ ლორდ-პროტექტორის თანხმობით შეეძლო. საგანგებო მდგომარეობის, მაგ. ომის დროს ლორდ-პროტექტორი უფლებამოსილი იყო პარლამენტის თანხმობით დამატებითი მოსაკრებლები შემოეღო. საპარლამენტო სხდომებს შორის პერიოდებში კი ამისათვის სახელმწიფო საბჭოს უმრავლესობის თანხმობაც კი კმაროდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სახელმწიფო საბჭოში, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო პირთა შორის იყვნენ კრომველის უახლოესი ადამიანები, ლორდ-პროტექტორს არ უნდა გასჭირვებოდა მისთვის

სასურველი გადაწყვეტილების დაკანონება. ეს უფლებამოსილება კრომველს არ გამოუყენებია პროტექტორატის პირველი პარლამენტის მოწვევის შემდეგ. გარდა ამისა, განისაზღვრა ჯარის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ჩვეულებრივი ოდენობა. პროტექტორატის შექმნიდან მისი პირველი პარლამენტის მოწვევამდე კრომველმა და სახელმწიფო საბჭომ გამოიტანეს 80-ზე მეტი დადგენილება. ისინი ეხებოდა საზოგადოებრივი წესრიგის გაუმჯობესებას, „საქალაქო ტრანსპორტის" მოწესრიგებას. კერძოდ, ლონდონში აიკრძალა არალიცენზირებული ეტლები, ხოლო ნებადართულების რაოდენობა 200-მდე შემცირდა. აიკრძალა დუელები და საერთოდ, დუელში გამოწვევა. ხოლო დუელში ადამიანის(მოწინააღმდეგის) მოკვლა კვალიფიცირდებოდა როგორც უმძიმესი დანაშაული. აიკრძალა ლოთობა და ფიცილი. შეიზღუდა რიგი გართობა-სანახაობებისა, მაგ. მამლების ორთაბრძოლა და დოღი. ჯარის შენახვის ხარჯების დასაფარად დაიბეგრა ანგლიკანური ეკლესიის მიწები. დააწესეს ფიქსირებული სააქციზო გადასახადი და შემოიღეს რესპუბლიკის ერთგულების ფიცი. როგორც ჩანს, სამხედროები მაინც და მაინც არ ენდობოდნენ სამოქალაქო პირებს. ამიტომაც კონსტიტუციის ერთ-ერთი მუხლი ითხოვდა, რომ არჩევნების შემდეგ შერიფებს და მერებს წარმოედგინათ პარლამენტის დეპუტატების სიები. ამ სიებთან ერთად უნდა წარმოედგინათ როგორც არჩეულთა, ასევე ამომრჩეველთა ხელმოწერები. ერთნიც და მეორენიც ვალდებულებას იღებდნენ, რომ დეპუტატები უარს ამბობდნენ ქვეყანაში არსებული წეს-წყობილების შეცვლაზე და იმაზეც, რომ ექნებოდათ პრეტენზია ჰქონოდათ ასეთი უფლება. ეს ლორდ-პროტექტორის ძალაუფლებას პრაქტიკულად შეუვალს ხდიდა. აი, ასეთი იყო ის ურთიერთობა, რომელიც ლორდ-პროტექტორის ხელისუფლებას ახლდა ოფიციალური, ფორმალური თვალსაზისით.

როგორი იყო ქვეყნის, საზოგადოების განწყობა და საზოგადოებრივი აზრი ახალი ხელისუფლების მიმართ? ამ მხრივ ახალ მბრძანებელს, როგორც ყველა ნებისმიერი დროის ხელისუფალს არც მაქებრები და არც მაძაგებლები აკლდა. ოქსფორდის უნივერსიტეტმა ლორდ-პროტექტორს მორჩილებითა და მადლიერებით აღსავსე მიმართვა გაუგზავნა, რომელშიც ქება-დიდებას ასხამდა მას, თავის

კანცლერს და სამართლის საპატიო დოქტორს იმისათვის, რომ მან არეულ-დარეულ მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა თავისი ფრთის ქვეშ შეიფარა. როგორც ჩანს, პროფესორ-მასწავლებლებმა არ დაიწყეს ის, რომ სერ თომას ფერფაქსმა და კრომველმა გადაარიჩინეს უნივერსიტეტის სახლგანთქმული ბოდლის ბიბლიოთეკა, რომელსაც ულტრარადიკალი პურიტანები განადგურებით ემუქრებოდნენ; მათ არ დაივიწყეს ასევე კრომველის უნივერსიტეტში მისი პირველი სტუმრობის დროს დასმული რიტორიკული კითხვა: „რომელი ხელისუფლება იქნება წარმატებული განათლებისა და მეცნიერების განვითარების გარეშე?“ შოტლანდიაში განლაგებული ჯარის პირადმა შემადგენლობამ, ჯარისკაცებმა, რომლებიც წლების მანძილზე კრომველის უშუალო მეთაურობით იბრძოდნენ, წერილი მისწერეს მას, რომელშიც მიესალმნენ მის ლორდ-პროტექტორად გამოცხადებას და იმედი გამოთქვეს, რომ ეს მოასვენებდა ამდენი ხნის მანძილზე მბორგავ და მშფოთვარე ქვეყანას. ცნობილმა სამხედრო პირმა და პოლიტიკაში აქტიურად მოქმედმა პოლკოვნიკმა რობერტ ლილბერნმა(მუდამ მშფოთვარე ჯონის უფროსმა ძმამ) ასეთი შინაარსის წერილი მისწერა კრომველს: „შოტალნდიასთან ომი სხვა არაფერი იყო, თუ არა ამ ქვეყანასთან კავშირის დამყარება. მზად ვარ მხარში ამოუდგე თქვენს უმაღლესობას იმ დიდი საქმეების შესრულებაში, რომლებიც თქვენ განგებამ დაგაკისრათ.“ მაგრამ იყო სხვა სახის მოწოდებები და გამოხმაურებებიც. კერძოდ, პროტექტორის წოდებამ ბაპტისტების გაღიზიანება გამოიწვია. მათ მიაჩნდათ, რომ „პროტექტორი“(Protector- ინგლ. მფარველი) შეიძლება მხოლოდ ღმერთს ეწოდოს. ათასწლოვანი საუფლო სამეფოს მომხრეებს მიაჩნდათ, რომ ერთადერთი, ვისაც შეიძლება ერთპიროვნულად ეპყრას ხელისუფლება არის იესო ქრისტე და არა უბრალო მოკვდავი ადამიანი. მქადაგებელმა და თეოლოგმა ვასასორ პაუელმა ასეთი სიტყვებით მიმართა თავის მრევლს: „ვინ გსურთ, რომ იმეფოს თქვენზე, იესო ქრისტემ თუ ოლივერ კრომველმა? წაიდთ, ილოცეთ და პასუხს მიიღებთ.“ პასუხი რასაკვირველია კრომველის სასარგებლოდ არ იქნებოდა. ცნობილმა თეოლოგმა და ღვთისმეტყველმა კრისტოფერ ფიკმა კრომველს საჯაროდ უწოდა ყველაზე შენიღბული სიტყვის გამტეხი და არამ-

ზადა, რისთვისაც იგი ციხეში ჩასვეს. ფიკის გასამართლება უნდოდათ, მაგრამ კრომველმა მას თავიდან ააცილა სასამართლო, რადგან გასამართლების შემთხვევაში ფიკს სასიკვდილო განაჩენს გამოუტანდნენ. როდესაც ლონდონში, ქალაქის საცერემონიო შესასვლელში, ტემპლ ბარში წაიკითხეს კრომველის ლორდ-პროტექტორად გამოცხადების აქტი, ერთ-ერთმა იქ მყოფთაგანმა ჰეროლდს (ტექსტის წამკითხველს) მიაძახა: „კრომველი შენისთანა ვიგინდარებს მფარველობდა!“ ცხენზე ამხედრებულმა ჰეროლდმა გაარტყა ამ სიტყვების ავტორს. ამ უკანასკნელმა კი ჰეროლდი ცხენიდან ჩამოათრია და ლაზათიანად მიბეგვა. იქ მყოფი ხალხი ჩხუბში არ ჩარეულა. ისინი მომხდარს სიცილით უყურებდნენ. ერთი სიტყვით, ადგილი ჰქონდა აზრთა ჩვეულებრივ დაპირისპირებას, სიმპათიებს და ანტიპათიებს, რომლებიც ყოველთვის ახლავს ამგვარ მოვლენას.

აი ასეთი განსხვავებული, დაპირისპირებული შეხედულებები ახლადა პროტექტორატის გამოცხადებას. მთავარი კი ის არის, რომ ხანგრძლივი ომი, ბრძოლები, სისხლისღვრა და პოლიტიკური რყევები ღლიან საზოგადოებას. ეს უკანასკნელი სიმშვიდეს, უსაფრთხოებას, მოსვენებას ეძებს და ამიტომაც არის, რომ მიესალმება ამ თავისებური წესრიგის დამყარებას. ეს ე.წ. წესრიგი კი ყოველთვის მყარდება მას შემდეგ და იმნაირად, როდესაც ძალაუფლება ერთი ადამიანის ხელში მოექცევა, რაც ბოლოს მოუღებს გაურკვეველ, მშფოთვარე მდგომარეობას, რომლის დროსაც არავინ არის დაზღვეული უსაფრთხო არსებობისაგან. სწორედ ეს მოხდა ინგლისში. ძალაუფლება მოექცა იმის ხელში, ვინც წინა პერიოდის ყველა მოვლენაში წამყვან როლს თამაშობდა. ჯონ ტერლო, სახელმწიფო საბჭოს მდივანი და შემდეგ საიდუმლო პოლიციის უფროსი სწერდა ინგლისის ელჩს სტოკჰოლმში: „ამ ცვლილებამ (კრომველის ლორდ-პროტექტორად გამოცხადებამ – ივ.მ.), საყოველთაო მხარდაჭერა ჰპოვა იურისტების, სამღვდელოების და ვაჭარ-სოვდაგართა შორის, რომლებიც თავს საფრთხეში გრძნობდნენ ბოლო(ბერბონის, მცირე – ივ.მ.) პარლამენტის ხასიათის გამო. ინგლისის მმართველობა რაღაცა თავნება კომიტეტების ხელში კი არ იქნება, არამედ განხორციელდება ამ მიწა-წყლის კანონების შესაბამისად.“ „წმინდანების“ რადიკალური შეხედულებები და გეგმები

ძალიან ბევრს აშინებდა და საფრთხეს უქმნიდა მაშინდელი საზოგადოების სტაბილურობას. ამრიგად, პროტექტორატი იყო კონსერვატიზმის გამარჯვება სახელმწიფო და საეკლესიო მართვა-გამგეობის საქმეში. ეს ყველაფერი სავსებით ესადაგებოდა კრომველის ხასიათს. იგი ითავისებდა მოვლენის ფორმალურ, კანონიერ მხარეს და გაურბოდა სახიფათო ექსპერიმენტებს.

საინტერესოა თავად ხელისუფლების ხელში აღების საკითხი. ჩვენ თუ კრომველის გაკიცხვას ვაპირებთ, უნდა დავაზუსტოთ, რისთვის ვაპირებთ ამას. იმისათვის, რომ იგი ხელისუფლების სათავეში მოექცა, თუ იმისათვის, თუ როგორ გამოიყენა მან ეს ძალაუფლება? მაგრამ თუ გადავწყვეტთ საერთოდ მოვხსნათ ეს საკითხი დღის წესრიგიდან, ალბათ უნდა მივმართოთ მაქს ვებერის ავტორიტეტულ გამონათქვამს, რომლის მიხედვით „ისინი, ვინც პოლიტიკით არიან დაკავებული, ძალაუფლებისაკენ ილტვიან, ძალაუფლებისაკენ, როგორც საშუალებისკენ, რომელიც სხვა მიზნებს ექვემდებარება(იდეალურს ან ეგოისტურს), ან ძალაუფლებისაკენ თავად მის გამო, რათა პრესტიჟის იმ გრძნობით დატკბნენ, რომელსაც იგი ანიჭებს.“ ასე რომ, ის, რაც კრომველმა გააკეთა, კანონზომიერი და ბუნებრივი იყო. ამის გარდა, ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზეც, თუ ვინ, სად, რა პირობებში აიღებს ხელში და ახორციელებს ამ ძალაუფლებას. ძალაუფლება ეს არის შესაძლებლობა და უნარი გააკონტროლო სხვა ადამიანები, მოვლენები, რესურსები, განახორციელო ის რაც გსურს, თანაც სხვათა მიერ წინააღმდეგობის გაწევის, სხვადასხვა წინაღობის თუ შეფერხების მიუხედავად. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის საზოგადოებრივ-ზნეობრივი გარემო, რომელშიც ხორციელდება ეს ძალაუფლება. უნდა გაირკვეს, რა ცნობიერებით ეგებება მას საზოგადოება. ძალაუფლების განხორციელებისას გასათვალისწინებელია არა მხოლოდ ის, თუ რა სურს ხელისუფლების სათავეში მყოფ ერთპიროვნულ მმართველს(კრომველის შემთხვევაში), არამედ ისიც, თუ როგორ უყურებს მას და მის ძალაუფლებას საზოგადოება. ძალაუფლების მპყრობელი რაღაცას სთავაზობს საზოგადოებას, ცდილობს დაარწმუნოს იგი იმის მართებულობაში, რასაც სთავზობს მას. მაგრამ თავად საზოგადოებასაც უნდა, რომ რაღაცის სჯეროდეს. ის,

თუ რისი მოსმენა უნდა საზოგადოებას ძალაუფლების მპყრობელისაგან, ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ის, თუ რას შესთავაზებს იგი ხალხს. ჩვენს მიერ განხილულ კონკრეტულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის, თუ ვინ იყო კრომველის დაქვემდებარებაში. კრომველი არ იყო ძველაღმოსვლური დესპოტი და მის სიცოცხლეში არავინ ეზიდებოდა ლოდებს მისთვის პირამიდის ან აკლდამის ასაგებად. საუკუნეების მანძილზე მასების ცნობიერებაში გამჯდარი, თანდაყოლილი თაყვანისცემა ზეკაცის მიმართ გამორიცხული იყო ინგლისის საზოგადოებაში. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი კრომველს რაღაცით უნდა აღენთო სულ ცოტა ისინი მაინც, ვინც აქამდე მისი თანამებრძოლები და თანამოაზრეები იყვნენ და ეხლა კი მის ქვეშევრდომებად იქცნენ. და ამისათვის კრომველი კვლავ პურიტანობის პრინციპებს მიუბრუნდა. წინასწარ განზრახვა, ხვედრი, ზეციურ მადლთან ერთხელ და სამუდამოდ ზიარება, ღვთის რჩეული ერისათვის განკუთვნილი ადგილი დედამიწაზე, თავისებური ახალი სიონი, აი ის იდეები, რომლებზე დაყრდნობით იგი მართავდა ქვეყანას. „ასე დაადგინა უფალმა, ინგლისო, შენ ჩემი სიყრმის შვილი ხარ, პირველშობილი, უსაყვარლესი ხალხთა შორის და არვის მოეპყრობა უფალი ქვეყნიერებაზე ისე სათუთად, როგორც ჩვენ“ – ამბობდა კრომველი თავის დეკლარაციაში, რომელიც გამოქვეყნდა 1654 წ. 23 მაისს. იგი ხალხს უნერგავდა აზრს იმის შესახებ, რომ ინგლისი რჩეული ქვეყანაა და აიმედებდა, რომ „თუკი უფალი შეიყვარებს ინგლისს, იგი სიკეთეს გვაზიარებს, განგვამტკიცებს და მაშინ ნუ შეგვეშინდება სიძნელეების. მისი ძლიერებით აღჭურვილები ჩვენ ნებისმიერ მათგანს დავძლევთ“ – განუცხადა მან 1655 წ. 22 იანვარს პროტექტორატის პირველი პარლამენტის დეპუტატებს. ხოლო მისი პატრიოტული სულისკვეთების თავისებურ მწვერვალს წარმოადგენს 1656 წ. 17 სექტემბერის მიმართვაში წარმოთქმული სიტყვები: „უკვე ისიც დიდი საქმეა, რომ ინგლისელები ვართ.“ ჭეშმარიტად, ერის განდიდების იშვიათი ნიმუში, რომელიც ხალხის რჩეულობის სულისკვეთებით არის აღსავსე. და თუკი პურიტანი თეოლოგები ქადაგებდნენ, რომ ზეციურ მადლთან, რჩეულობასთან ზიარებისათვის ადამიანი ამქვეყნიური ცხოვრების მპყრობელი უნდა გამხდარიყო, კრომველი ამ იდეებს მთელი ერის

მიმართებაში გამოთქვამდა! ღმერთის რჩეული ერის ზეობა, აი მისი იდეოლოგიის ქვაკუთხედი! პურიტანების მიერ რჩეული ადამიანის მიმართ ღმერთის უპირობო კეთილგანწყობის და მფარველობის დებულებას კრომველი მთელს ხალხზე, ამ შემთხვევაში, ინგლისელებზე ავრცელებდა. მისი თქმით, სწორედ ინგლისი და ინგლისელები იყვნენ ის რჩეული ხალხი და ქვეყანა, რომელთათვისაც უფალი თავის წყალობას არ დაიშურებდა. რასაკვირველია, ასეთ ერს და ქვეყანას მხოლოდ და მხოლოდ დიადი ქმდებები შეეფერებოდა.

მაგრამ ქვეყნის მართვა-გამგეობისათვის როგორც იმ დროის ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ორივე პოლიტიკურ ბანაკში ნამყოფი მარტმონტ ნიდემი ამბობდა, მარტო განყენებული, თუნდაც ყველაზე ამაღლებული და აღმაფრთოვანებელი იდეები არ კმაროდა. აქ საჭირო იყო ისეთი დებულებები, რომლებიც ყველაზე უკეთ მოერგებოდა პრაქტიკულ სარგებელს. 200 გირვანქა სტერლინგის ოდნობის საარჩევნო ცენზი განაპირობებდა იმას, რომ პროტექტორატის პირველ პარლამენტში აირჩიეს მსხვილი მიწათმფლობელები, მსხვილი და ნაწილობრივ საშუალო შეძლების ბურჟუაზიის წარმომადგენლები. სწორედ მათ გასაგონად გააკრიტიკა კრომველმა თავის საპარლამენტო მიმართვაში ლეველერები, დიგერები და საერთოდ ყველა, ვინც რაღაც ფორმით მოითხოვდა ან მხარს უჭერდა ქონებრივ და სოციალურ გათანაბრებას. „მათ ლამის ფეხქვეშ გათელეს ქვეყნის მართვის პრინციპები. წარმოიდგინეთ, მოიჯარადრე რომ იგივე შესაძლებლობებით აღიჭურვოს, როგორც მემამულე – აღშფოთებით ამბობდა კრომველი. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ის საყრდენი, რომელზედაც ყოველთვის იყო დაფუძნებული ინგლისური საზოგადოება: დიდგვაროვანი, საშუალო შეძლების აზნაური და თავისი მიწის მფლობელი თავისუფალი გლეხი(a nobleman, a gentleman, a yeoman- ინგლ.). ის, რასაც გათანაბრების მომხრეები ქადაგებდნენ, სრულ ანარქიამდე და დაღუპვამდე მიიყვანდა ქვეყანას, რადგან ასეთ მოწოდებებს სიამოვნებით გამოყენებდნენ ღარიბები და განზე არც ცუდი ადამიანები დარჩებოდნენ“ – ეუბნებოდა კრომველი პარლამენტის დეპუტატებს.

მაგრამ ლორდ-პროტექტორის ამგვარი მიმართვები ბოლომდე ვერ შეასრულებდნენ შემრიგებლურ ფუნქციას. პარლამენტში მისი

მომხრეების, კერძოდ ოფიცერთა გარდა იყვნენ მისი მოწინააღმდეგე პრესბიტერიანები, მცირე რაოდენობით რესპუბლიკელები და შენიღბული როიალისტებიც კი. პარტიული შეხედულებების განსხვავების მიუხედავად, ისინი ერთ რამეში იყვნენ ერთიანები – არ დაეთმოთ თავისი პოზიციები. ისინი მზად იყვნენ ლორდ-პროტექტორის წინაშე თავები დაეხარათ, ქუდები მოეხადათ, მიემართათ მისთვის სიტყვებით „თქვენო უმაღლესობა," მაგრამ არ დაეთმოთ ძალაუფლება. თუკი კრომველს თავი ქვეყნის და ხალხის მფარველად მიაჩნდა, პარლამენტარები თავის საკანონმდებლო სტატუსს შეუვალად და უზენაესად მიიჩნევდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ „მართვის საშუალებები," ე.ი. კონსტიტუცია ქვეყნის მართვა-გამგეობის პრინციპების შეუვალობას ამკვიდრებდნენ, დეპუტატები მაინც შეუდგნენ ისეთი საკითხების განხილვას, როგორც ერთპიროვნული ძალაუფლება, ლორდ-პროტექტორის პრივილეგიები და ა.შ. და კრომველმაც, იმ კრომველმა, რომელმაც წლების მანძილზე არაერთი სისხლისმღვრელი ბრძოლა გადაიხადა იმიტომ, რომ პარლამენტის უფლებები დაეცვა სამეფო ხელისუფლების შემოტევებისაგან იგრძნო, რომ თურმე მისი ძალაუფლების დასაცავადაც საჭირო ყოფილა სხვა არაფერი, თუ არა პარლამენტარების სწრაფვების მოთოკვა. ლონდონის ლორდ-მერს დაევალა ქალაქში სავარაუდო უწესრიგობის თავიდან აცილება და აღკვეთა, ხოლო თემთა პალატის სპიკერს უილიამ ლენტოლს – დეპუტატების მოხატულ დარბაზში თავმოყრა. შეკრებილ დეპუტატებს კრომველმა შემდეგი სახის კატეგორიული მოთხოვნა წამოუყენა – მათ უნდა მიეცათ წერილობითი დასტური, რომ არასოდეს შეეცდებიან მმართველობის არსებული სისტემის შეცვლას, რომელიც წარმოდგენილი იყო ლორდ-პროტექტორით, როგორც ერთპიროვნული მმართველით და პარლამენტით. 460 დეპუტატიდან 300 წარმოადგინა ხელწერილი, 160 უარი განაცხადა და ისინიც დაითხოვეს.

თითქოს ოპოზიცია წელში გატეხეს. მაგრამ დარჩენილმა 300 დეპუტატმა წამოაყენა მოთხოვნა მუდმივი ჯარის ადგილობრივი ლაშქრით (მილიციით) ჩანაცვლების შესახებ. ასეთი ლაშქარი საგრაფოს ბაზაზე ყალიბდებოდა და ადგილობრივი ხელისუფლების სრული

გავლენის ქვეშ იყო. გარდა ამისა, მოლაშქრეებში ძალიან ძლიერი იყო კუთხურობის ცნობიერება. შეიძლება ითქვას, რომ ისინი მიჯაჭვულები იყვნენ მშობლიურ ადგილებს და ერთობ უხალისოდ ტოვებდნენ თავისი საგრაფოს ტერიტორიას, მით უფრო სხვაგან საბრძოლველად. ეს კი ნამდვილად შეარყევდა და შესაძლოა დაამხობდა კიდეც კრომველის ძალაუფლებას. ლორდ-პროტექტორის მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ პარლამენტი ითხოვდა ჯარის რაოდენობის მკვეთრად შემცირებას(57 ათასიდან 30 ათასამდე) და უარს ამბობდა იმაზე, რომ ჯარისკაცებისათვის სახელფასო დავალიანება დაეფარა. ყველაფერი ეს კრომველისათვის კიდევ ერთ დამაჯერებელ მიზეზად იქცა იმისათვის, რომ პარლამენტი დაეთხოვა. თავისი გადაწყვეტილება მან იმით დაასაბუთა, რომ პარლამენტში გაჩაღებული გაუთავებელი დავა, კამათი და ურთიერთდაპირისპირება ქვეყანაში უკმაყოფილებას იწვევდა, რადგანაც სთესდა ქიშპსა და უთანხმოებას.

ამრიგად, სამხედროებმა კვლავ იმძლავრეს. მაგრამ ისინი უბრალოდ მხოლოდ სამხედროები არ იყვნენ. გენერლობამ და უფროსმა ოფიცრობამ სამოქალაქო ომში გამარჯვების და სამეფო ხელისუფლების გაუქმების წყალობით მიწები შეიძინეს ინგლისში, შოტლანდიაში, ირლანდიაში და მსხვილ მიწათმფლობელებად იქცნენ. ეს ახლადშექმნილი შეძლებული მემამულეები უპირისპირდებოდნენ ძველ, მონარქიის მომხრე არისტოკრატიას და თვით ლორდ-პროტექტორსაც კი, იმ თვალსაზრისით, რომ გარკვეულწილად ზღუდავდნენ ერთპიროვნული მმართველობისკენ მიმართულ მის მოთხოვნებს. რიგ შემთხვევაში კრომველი ვერც კი ახერხებდა მათი ნება-სურვილის წინააღმდეგ წასვლას. იმისათვის, რომ განემტკიცებინა თავისი პოზიციები, ლორდ-პროტექტორი ცდილობდა დაყრდნობოდა სამოქალაქო წრეებიდან გამოსულ მსხვილ და საშუალო შეძლების მემამულეებს, ასევე იმ ადამიანებს, რომლებიც მნიშვნელოვანი უძრავი თუ მოძრავი ქონების მფლობელები გახდნენ სამოქალაქო ომის წყალობით. მათ არ სურდათ ქვეყნის მართვა-გამგეობა სრულიად გადაებარებინათ სამხედროებისათვის. ამგვარად, კრომველი ორ დაპირისპირებულ ფენას შორის იყო მოქცეული. თითეული მათგანი მხარს უჭერდა ლორდ-პროტექტორს, მაგრამ იმავე დროს ორივე ცდილობდა თავისი

კონტროლის ქვეშ ყოლოდა იგი. გენერალიტეტისა და უფროსი ოფიცრობის მეშვეობით კრომველი ჯარის თანადგომას ინარჩუნებდა, ხოლო სამოქალაქო პარლამენტარების მეშვეობით კი ხაზინისათვის საჭირო ფინანსებს იღებდა, რადგან გადასახადების დაწესება პარლამენტის თანხმობის გარეშე ვერ მოხდებოდა. ასე რომ, მას ერთდროულად საკუთარი პოზიციის დაცვაც და ამ ორი დაპირისპირებული დაჯგუფების გაწონასწორებაც უხდებოდა. ამიტომ მართებულია მის მიერ თავისი ფუნქციის დახასიათება, რომლითაც იგი წარსდგა პარლამენტის წინაშე: „მე იმდენად სიკეთის გასაკეთებლად არ ვარ მოვლენილი, რამდენადაც მოსალოდნელი ბოროტების აღმოსაფხვრელად. მზად ვარ გემსახუროთ არა როგორც მეფე, არამედ როგორც კონსტებლი(პოლიციელი – ივ.მ.)." თავისებურად მართალი იყო მისი ვაჟი ჰენრი, ირლანდიის ფაქტობრივი მეფისნაცვალი, როდესაც ამბობდა: „განა ჭეშმარიტება არ არის ის, რომ მშვიდობა დამოკიდებულია მისი უმაღლესობის სიცოცხლეზე. სწორედ ამის წყლობით არის, რომ ჩვენ დღეს სისხლის ტბორები თავიდან გვაქვს აცილებული."

სისხლისღვრის ბოლომდე თავიდან აცილება მაინც ვერ ხერხდებოდა. იგულისხმება აჯანყების უამრავი მცდელობა და შეთქმულებები, რომლებსაც ანყობდნენ როიალისტები და რესპუბლიკელები, ზოგჯერ გაერთიანებული ძალებითაც. მაგრამ ყოველთვის, როგორც ეს იყო მარსტონ მურის ისტორიულ ველზე, სტაფორდშირში, ჩეშირში და შროპშირში აჯანყებების მოწყობისას, მათ ორგანიზატორებს და მონაწილეებს გამბედაობა ღალატობდა. მათ სათანადო რაოდენობის მომხრეები არ ყავდათ, რომ გამოეყვანათ, გადამწყვეტ წუთს კი გარბოდნენ და იმალებოდნენ. „ყველა საგრაფო, იმის ნაცვლად, რომ მათ მიემხროს, მათ წინააღმდეგ გაილაშქრებს. ძალიან სცდებიან, თუკი მიაჩნიათ, რომ ხალხი სტიუარტების დინასტიისკენ მიიღტვის"- ამბობდა საიდუმლო სამსახურის უფროსი ჯონ ტერლო. ერთადრეთი აჯანყება, რომელიც თითქოს წარმატებით უნდა დამთავრებულიყო დაიგეგმა უილტშირის საგრაფოში. მას სათავეში ედგნენ როიალისტი სამხედროები პოლკოვნიკი ჯონ პენრადოკი და გენერალი ჯოზეფ ვაგსტაფი. მაგრამ საბოლოო ჯამში ისიც ჩავარდა. ვაგსტაფმა ჰოლანდიას შეაფარა თავი, ხოლო პენრადოკი შეიპყრეს და თავის უახლოეს

თანამზრახველებთან ერთად სიკვდილით დასაჯეს. აღსანიშნავია, რომ დაპატიმრებულთა გარკვეული ნაწილი თავად კრომველმა დაინდო და ლორდ-პროტექტორის ბრძანეით მათ შეწყალება ებოძათ.

შეთქმულებებთან ბრძოლის და მათი გამოაშკარავების საქმეში საგანგებო აღნიშვნის ღირსია უშიშროების სამსახურის უფროსი ჯონ ტერლო, მის მიერ შექმნილი დაზვერვის და კონტრდაზვერვის სისტემა და მისი მუშაობა. ტერლომ არნახულად გამართული, ყოვლისმომცველი, უზადოდ მომუშავე სისტემა შექმნა. პრაქტიკულად არ არსებობდა ინგლისიდან გასული ან პირიქით, შემოსული ინფორმაცია, რომელსაც ტერლოს ჯაშუშები არ ფლობდნენ. რეჟიმის მონინააღმდეგე როიალისტები და რესპუბლიკელებიც საგონებელში იყვნენ ჩავარდნილი და მაინც ვერ გაეგოთ, რა მანქანებით ახერხებდა ჯონ ტერლო მათი ნებისმიერი ჩანაფიქრის გამოცნობას, გამოაშკარავებას და გაუვნებელყოფას. სასონარკვეთილები, ისინი ამას ხშირად ზებუნებრივ ძალებს, ჯადოქრობას, კუდიანობას და გრძნეულობას მიაწერედნენ. ტერლოს უშიშროების სამსახურის უნაკლოდ მუშაობის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს ერთი როიალისტის საუბარი კრომვლთან. როიალისტის ღრმა რწმენით, იგი ყველასაგან ფარულად ეწვია კონტინენტს, ჩავიდა ქალაქ კიოლნში, სადაც შეხვდა მეფედ გამოცხადებულ უფლისწულ ჩარლზს და მისგან შესაბამისი მითითებები მიიღო. როიალისტის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც იგი პირადად ლორდ-პროტექტორთან დაიბარეს და ამ უკანასკნელმა მსტოვარს დაწვრილებით ჩამოუთვალა მის მიერ კიოლნში ჩატარებული ყველა ქმედება. საუბრის ბოლოს კი კრომველმა თავისი ხელით გამოაძრო როიალისტის ქუდში საგულდგულოდ ჩაკერებული ჩარლზის საიდუმლო წერილი, რომელიც მსტოვარს იმ დღეს უფლისწულის ერთგული ადამიანისათვის უნდა გადაეცა. რასაკვირველია, ამ ვეებერთელა მოცულობისა და არნახულად დაძაბულ სამუშაოს, რომელსაც ჯონ ტერლო და მისი ხელქვეითები ახორციელებდნენ, შესაბამისი მატერიალური უზრუნველყოფა სჭირდებოდა. ამიტომ ლორდ-პროტექტორიც თანხებს არ იშურებდა იმისათვის, რომ უშიშროების სისტემას გამართულად და შეუფერხებლად ემუშავა.

მაგრამ სწორედ ეს ხარჯები, რომლებიც იგივე უშიშროების სამ-

სახურსა და მრავალრიცხოვან ჯარს ხმარდებოდა ხელისუფლებას არნახულ ფინანსურ სიძნელეებს უქმნიდა. პროტექტორატი მუდმივ ფინანსურ კრიზისს განიცდიდა. სწორედ ფინანსურმა გართულებებმა და სწრაფვამ შეევსო ხაზინა, უბიძგა ხელისუფლებას ომი დაეწყო ესპანეთთან. ფინანსური პრობლემების გადასაწყვეტად კრომველი სიტის დიდვაჭრებსა და ფინანსისტებს მიმართავდა, რომლებსაც დიდი თანხები ჰქონდათ დაგროვებული მონებით ვაჭრობასა თუ სხვა ოპერაციების მეშვეობით. ფინანსურმა მაგნატებმა, ისეთებმა, როგორებიც იყვნენ მარტინ ნელი, თომას პოვი და სხვები თავისი შეძლების წყალობით დიდი გავლენა მოიპოვეს პროტექტორატის ხელისუფლებაზე. ისინი სხვადასხვა სამთავრობო კომიტეტის წევრები, მინისტრების და თვით კრომველის მეგობრებიც კი გახდნენ. ამით მათ მთავრობა გარკვეულწილად თავის ინტერესებს დაუქვემდებარეს.

მაგრამ ფინანსური პრობლემები მაინც უკან იხევდნენ ხელისუფლების უსაფრთხოების წინაშე შექმნილ პრობლემებთან შედარებით. პროტექტორატს მუდმივად უტევდნენ როგორც მემარჯვენე, ასევე მემარცხენე ელემენტები. როიალისტები, რესპუბლიკელები, რადიკალური რელიგიური მიმდინარეობების წარმომადგენლები შეთქმულებას შეთქმულებაზე აწყობდნენ, თანაც ზოგიერთ შემთხვევაში ერთად მოქმედებდნენ. ლორდ-პროტექტორის ისეთი ერთგული ადამიანიც კი, როგორიც იყო გენერალ-მაიორი თომას ჰარისონი იმუქრებოდა, რომ საჭიროების შემთხვევაში 25 ათას ჯარისკაცს გამოიყვანდა კრომველის წინააღმდეგ. როგორც ჩანს, იგი საკმაოდ ხშირად იმუქრებოდა და საბოლოოდ ციხეში აღმოჩნდა კიდეც.

მაგრამ ყველა საეჭვო თუ სახიფათო პირის ან დაჯგუფების გაუვენებელსაყოფად მარტო ჯონ ტერლო და მისი უზადოდ მომუშავე უშიშროების სამსახური მაინც ვერ ეყოფოდა. საჭირო იყო მართვის თავისებური აპარატი, რომელიც ქვეყნის საზოგადოების ცხოვრებას და საქმიანობას მყარ, მკაფიო, თანაც მკაცრ ჩარჩოებში მოაქცევდა. ეს რასაკვირველია განაპირობებდა გამოზომილ, გარკვეულწილად წინასწარ განსაზღვრულ ყოფას, საქმიანობას, ლამის აზროვნებასაც კი. ამით მთავრობა ვარაუდობდა, რომ თავიდან აიცილებდა არასასურველ გამოხდომებს. სწორედ ამიტომ 1655 წ. კრომველმა დაყო ინგლი-

სი და უელსი 11 (სხვა მონაცემებით 12) სამხედრო-ადმინისტრაციულ ოლქად, რომლებსაც სათავეში გენერალ-მაიორები ჩაუყენა. მაგარამ არის მოსაზრებები, რომ ეს სისტემა უფრო გენერალ ჯონ ლამბერტის პირმშო იყო. ამ კონკრეტულ შემთხვევაში გენერალ-მაიორი არ იყო სამხდრო-წოდება, არამედ თანამდებობა. ზოგიერთი მათგანი საერთოდ პოლკოვნიკის და მაიორის წოდებას კი ატარებდა. მაგრამ უმეტესობა ესენი იყვნენ კრომველის ერთგული და გამოცდილი საბრძოლო გენერლები: ლამბერტი, სკიპონი, ფლიტვუდი, დესბორო, გოფი. რას წარმოადგენდა ეს სისტემა, რომელსაც თავად კრომველი უბადრუკ, საცოდავ გამოგონებას უწოდებდა? გენერალ-მაიორები შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობდნენ, რის გამოც როიალისტები გესლიანად ხუმრობდნენ, რომ „კრომველმა ქვეყანა 12 ფაშას ჩააბარა, რომელთა ხელქვეით თავზეხელაღებული იანიჩრები არიან." ამით ისინი კრომველის ამ სიახლეს აღმოსავლურ დესპოტიას, კერძოდ კი ოსმალეთის სულთნისმმართველობასადარიდნენ.პირველრიგშიგენერალ-მაიორები საპოლიციო და პოლიტიკური კონტროლის ფუნქციებით იყვენენ აღჭურვილები. მაგრამ მათ ჰქონდათ კიდევ ერთი ფუნქცია. როგორც უკვე ითქვა, ხაზინის შევსება ჭირდა, ხოლო პარლამენტი კრომველის ზეწოლის მიუხედავად არ გამოირჩეოდა მისდამი ხელგაშლილობით. ამიტომაც გენერალ–მაიორების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია იყო საგანგებო გადასახადის აკრეფა, რომელიც როიალისტებს ეკისრებოდათ და მათი წლიური შემოსავლის 10%-ს შეადგენდა. ამავე მიზნით გამოყენებული იყო იგივე როიალისტების ქონების კონფისკაცია, ჯარიმები, ე.წ. „ნებაყოფლობითი შემოწირულობები." იმათ, ვინც მაინც და მაინც არ იყო რეჟიმით კმაყოფილი, გენერალ-მაიორები წინდს(ბეს) ართმევდნენ და მოითხოვდნენ, რომ მათ თავისი მსახურების წესიერი ქცევა უზრუნველყოთ. ისინი თვალყურს ადევნებდნენ და ამოწმებდნენ იმ კაპელანებისა და დამრიგებლების ზნეობას, რომლებიც წარჩინებულ ოჯახებში ახალგაზრდობის აღზრდით და სწავლით იყვნენ დაკავებული. თუ ეს პირები არ აკმაყოფილებდნენ შესაბამის მოთხოვნებს, მათ ათავისუფლებდნენ დაკავებული თანამდებობებიდან. ასევე „კონტროლზე იყვნენ აყვანილი" უზნეო და ქარაფშუტა აზნაურები. თუ ეს ადამიანები არ მისდევდნენ გენერალ-მაიორების

შეგონებას, მათ კუნძულ ბარბადოსზე ან სხვა ასეთივე შორეულ კოლონიაში ასახლებდნენ. კიდევ ერთხელ გამოცხადდა რიგი გართობა-სანახაობების აკრძალვა, ისეთების, როგორებიც იყვნენ მამლების ორთაბრძოლები, დათვებზე და ხარებზე მწევრების მიქსევა და დევნა, დოღი. შფოთისა და ხელისუფლების წინააღმდეგ სავარაუდო გამოსვლების თავიდან აცილების მიზნით გენერალ-მაიორები ცდილობდნენ მინიმუმამდე დაეყვანათ მასობივი თავშეყრები. ამ მიზნით მათ კვირა დღეს გასეირნებაც კი აკრძალეს. სამაგიეროდ ფართოდ გავრცელდა მართლმორწმუნე პურიტანებისათვის ისეთი სასურველი და მიღებული გართობის და თავშექცევის ფორმა, როგორიც იყო კვირა დღეს სახლში, ოჯახის სრული შემადგენლობით ფსალმუნების გალობა. ამგვარი აკრძალვები და ოჯახური გალობები რასაკვირველია პურიტანების ინტერესების და მოთხვოვნების დაკმაყოფილება იყო, რომლებიც ჯერ კიდევ სტიუარტების ხანაში ილაშქრებდნენ გართობა-თამაშობებისა და სანახაობების წინააღმედეგ. მათთვის, ვინც კრომველის ჯარის ბირთვს, ხოლო საზოგადოებაში კი პროტექტორატის დასყრდენს წარმოადგენდა ანგარიშის არგაწევა, მათი ელემენტარული მოთხოვნების არდაკმყოფილება უბროლოდ დაუშვებელი იყო.

გენერალ-მაიორების მკაცრი კონტროლი ადამიანების პირად ზნეობას და ვნებებსაც კი შეეხო. რეჟიმის დამცველები პერიოდულად საროსკიპოებასაც კი მიუვარდებოდნენ და იქ დასაქმებულ ქალებს აპატიმრებდნენ. ასეთივე რეიდები ეწყობოდა მშვენიერთა სქესის იმ წარმომადგენელთა დასაკავებლად, ვინც უშუალოდ ქუჩაში ცდილობდა კლიენტების მონადირებას. ასეთ „ღამის პეპლებს" საზოგადოებრივი ზნეობის განმტკიცების მიზნით ზოგჯერ შორეულ კოლონიებში ასახლებდნენ. თუმცა ძნელია იმის თქმა, თუ რაოდენ სრულყოფდნენ ამგვარი მეთოდები XVII ს. 50-იანი წლების ინგლისელთა მორალურ თვისებებს. მაგრამ აკრძალვები ინტიმური სფეროთი არ შემოიფარგლა. აიკრძალა ლოთობა, აყალმაყლის ატეხვა, უმონყალოდ იდევნებოდნენ ქურდები, უმნიშვნელო ქურდობაც კი სასტიკად ისჯებოდა. ეს კი საკმაოდ უსაფრთხოს და მშვიდს ხდიდა საზოგადოებრივ ყოფას, სიცოცხლეს, პირად საკუთრებას, პირველ რიგში კი ფულს. იმ ხანის მოარული გამოთქმით ღამით ქუჩაში სავსე ქისით სიარული სავსებით

უსაფრთხო იყო. ეს ყველაფერი კი მოასახლეობის ფართო ფენებში პროტექტორატის რეჟიმისადმი გარკვეულწილად კეთილმოსურნე დამოკიდებულებას ქმნიდა. მართალია, ათასწლოვანი საუფლო სამეფოს მომხრეების მიერ ნაქადაგევი საყოველთაო თანასწორობა ვერ დამყარდა, მაგრამ ხალხი ყოველდღიურ ცხოვრებაში მეტ-ნაკლებად მშვიდად და უსაფრთხოდ გრძნობდა თავს. ერთმმართველობისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ნიშან-თვისება! ამრიგად, საზოგადოების ცხოვრებაში ბევრი ცვლილება მოხდა, რომელთა მიმართ გაორებული დამოკიდებულება იყო. ყოფა, საზოგადოებრივი ცნობიერება პურიტანული სულისკვეთებით გაიჟღინთა. კრომველის მეცადინეობით გარკვეულწილად შეიქმნა ის სულიერი გარემო, რომელიც აკმაყოფილებდა რადიკალურად განწყობილი პურიტანების იდეალებს და საზოგადოების გარკვეულ ფენებს უქმნიდა ათასწლოვანი საუფლო სამეფოს(საყოველთაო თანასწორობის) ილუზიას. ამას კი ხელს უწყობდა მკაცრი, ძველი აღთქმისეული ნორმების დანერგვა და ის, რომ საზოგადოებრივმა წესრიგმა სახელმწიფო პოლიტიკის ხასიათი მიიღო. პურიტანებმა ვერ გაათანაბრეს საკუთრება, მაგრამ მიაღწიეს საზოგადოებრივი ნორმების და ზნეობის გარკვეულწილად გათანაბრებას, რაც სჩვევია რევოლუციურ რეჟიმებს. ასე რომ, კრომველმა, რომელსაც ზოგჯერ ხიშტებზე ჩამოჯდარ ადამიანს უწოდებდნენ, ასე თუ ისე შესძლო მოეძებნა საშუალებები, რომლებიც მის მმართველობას მეტ-ნაკლებად ასატანს ხდიდნენ.

მაგრამ სახელმწიფო ხარჯები დაჟინებით და მკაცრად ახსენებდნენ ხელისუფლებას სავსე ხაზინის არსებობის აუცილებლობას. ესპანეთთან დაწყებულმა ომმა ამ საკითხს კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შესძინა. გენერალ-მაიორების მიერ სხვადასხვა ხერხით მოპოვებული ფული არ კმაროდა ხაზინის შესავსებად. 1655 წ. ივნისში ლორდ-პროტექტორმა თათბირი ჩაატარა სახელმწიფო საბჭოს წევრებისა და უფროს ოფიცერთა მონაწილეობით. თათბირის მთავარი თემა ფინანსების მოძიება იყო. თათბირის მონაწილეთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც ურჩიეს ლორდ-პროტექტორს ფული თავისი ერთპიროვნული ძალაუფლების საფუძველზე აეკრიფა, კერძოდ, შეემოელო იძულებითი სესხი. მაგრამ კრომველმა უარყო ეს წინადადე-

ბა მისი მეტისმეტად ძალმომრეობითი ხასიათის გამო. იგი მხოლოდ უფრო მეტად დაამძიმებდა შექმნილ სიტუაციას. საბოლოოდ თათბირზე გადაწყდა ფულის მოსაძიებლად ახალი პარლამენტი მოეწვიათ. 1656 წ. ივლისში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ როგორც მთავრობა, ასევე ოპოზიცია გამარჯვების მისაღწევად არ თაკილობდნენ ნებისმიერი ხერხის გამოყენებას. მაგ. ერთი ოპოზიციონერი კანდიდატი არწმუნებდა თავის ამომრჩევლებს, რომ კრომველმა პირადი დაცვისათვის დაიქირავა შვეიცარიული გვარდია სამი ათასი კაცის შემადგენლობით, რომელსაც ზღაპრულ თანხას უხდიდა; რომ მან მთელი ვაჭრობა ჰოლანდიელებს გადაუღოცა, რითაც ფაქტობრივად გაანადგურა ინგლისის სავაჭრო კაპიტალი; რომ მთელი ჯარი კრომველის წინააღმდეგია და 57 ათასი ჯარისკაციდან მის დასაცავად 5 ათასი თუ გამოვა. რასაკვირველია, ვალში არც ხელისუფლება დარჩენილა. მან მის ხელთ არსებული ყველა საშუალება გამოიყენა, რათა ვესტმინსტერის სასახლე თავისი ერთგული და მორჩილი ადამიანებით აევსო. გენერალ-მაიორები ავიწროებდნენ და აპატიმრებდნენ კიდეც ანტისამთავრობო აგიტატორებს და თავად ეწეოდნენ აგიტაციას და პროპაგანდას ხელისუფლების სასარგებლოდ. ცნობილ ოპოზიციონერებს აპატიმრებდნენ – მაგ. სერ ჰენრი ვენს, ან ყოველნაირ ხლართებს უმართავდნენ ოპოზიციონერთა საარჩევნო კამპანიებს, რაც საბოლოოდ განაპირობებდა მათ დამარცხებას. ასეთების რიგებში აღმოჩნდა ცნობილი რესპუბლიკელი, მეფის გასამართლებისათვის შექმნილი სასამართლოს თავმჯდომარე ჯონ ბრედშო. საქმე იქამდე მივიდა, რომ დეპუტატის სტატუსს საბოლოოდ ადასტურებდა ხელისუფლების მიერ ამისათვის სპეციალურად დანიშნული მოხელის, ნატანიელ ტეილორის გაცემული მოწმობა. 400 დეპუტატიდან ეს მოწმობა მხოლოდ 300 მიიღო. დანარჩენი 100 დეპუტატი მათი არჩევისდა მიუხედავად უკან გააბრუნეს. მათ შორის აღმოჩნდნენ ცნობილი რესპუბლიკელები, მაგ. ჰეზელრიგი, სკოტი. მაგრამ ასეთი „გამოხშირული“ პარლამენტიც კი არ გამოდგა ლორდ-პროტექტორის და ჯარის სარდლობის ყურმოჭრილი მონა. თემთა პალატაში დაშვებული 300 დეპუტატიდან 50-60 არ მონაწილეობდა სხდომებში, რადგან არ ეთანხმებოდა

ლორდ-პროტექტორის პოლიტიკურ კურსს. ლორდ პროტექტორის აგრესიულ დამოკიდებულებას ოპოზიციის მიმართ ბიძგი მისცა მისი ყოფილი თანამებრძოლის, ლეველერის, ედუარდ სექსბის მიერ სხვისი სახელით გამოქვეყნებულმა პამფლეტმა, რომელშიც ეს უკანასკნელი დაუფარავად მოუწოდებდა მოეკლათ კრომველი. სწორედ სექსბის დაატეხა თავს ლორდ-პროტექტორმა თავისი აღშფოთება იმ სიტყვაში, რომელიც პარლამენტში წარმოთქვა, უწოდა რა მას ყოველგვარ ღირსებასა და სინდისს მოკლებული მოღალატე. კრომველის მთავარ ამოცანას ესპანეთთან ომისათვის საჭირო ფულის მიღება წარმოადგენდა. თავის საპარლამენტო მიმართვაში მან სექსბის კრიტიკის გარდა მიმოიხილა ინგლის-ესპანეთის ურთიერთობები, დაგმო ესპანელთა მოღალატური პოლიტიკა და მათი მეგობრობა ინგლისელ კავალერებთან. მან მიანიშნა, რომ ესპანეთი მხარს უჭერდა სტიუარტების ინგლისში დაბრუნებას და დიდ ზიანს აყენებდა ინგლისელთა ვაჭრობას ვესტ-ინდოეთში, გაამართლა ინგლისის ფლოტის თავდასხმები ესპანეთის კოლონიებზე ამერიკაში. კრომველის იმედი სანახევროდ გამართლდა. პარლამენტმა მხარი დაუჭირა მას ესპანეთთან ომის სამართლიანობაში. ეჭვი არ არის, ვესტ-ინდოეთთან სარფიანი ვაჭრობით მიღებული მოგება კრომველის მტერ-მოყვარეს ერთნაირად აწყობდა, მშვიდობისმოყვარეობა აქ უადგილო იქნებოდა და აზრადაც არავის მოუვიდოდა. მაგრამ როგორც ჩანს პარლამენტმა საქმიანი ხალხისთვის დამახასიათებელი სიფრთხილე და მომჭირნეობა გამოიჩინა. ლორდ-პროტექტორს იმდენი თანხა მაინც არ გამოუყვეს, რამდენსაც ის ითხოვდა. გარდა ამისა, კრომველს ერთ მნიშვნელოვან დათმობაზე მოუხდა წასვლა. მან გენერალ-მაიორების ერთობ არასასურველი სისტემა გააუქმა.

მაგრამ საგარეოპოლიტიკურ და ფინანსურ პრობლემებთან ერთად პარლამენტის მუშაობაში წამოიჭრა საკითხი, რომელსაც შეეძლო ლამის სრულიად შეეცვალა ინგლისის პოლიტიკური წყობის იერ-სახე და საერთოდ, მთელი მრავალწლიანი სამოქალაქო ომის არსი. საკითხს კი ასეთი რამ უძღოდა წინ. 1656 წ. ოქტომბერში, ქალაქ ბრისტოლში ძალიან თავისებური მოვლენა მოხდა. ვინმე ჯეიმს ნეილერმა, კვაკერთა რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენელმა, თავის

მრავალრიცხოვან მომხრეებთან ერთად გაითამაშა არც მეტი, არც ნაკლები... ბზობაზე ქრისტეს საზეიმო შესვლა იერუსალიმში. ნეილერი ვირზე იჯდა, ხოლო მისი მრავალრიცხოვანი მომხრეები კი მას გარს ეხვეოდნენ, ბზას უგებდნენ ფეხქვეშ, „ოსანას“ უგალობდნენ და იმასაც კი ამბობდნენ, რომ იგი მკვდრეთით აღსდგა. ბიბლიური სიუჟეტების ნიადაგზე რელიგიური ექსტაზის გამოხატვა ადრეც მომხდარა, განსაკუთრებით რადიკალური პურიტანული მიმდინარეობების წარმომადგენელთა მიერ, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა უზენაეს ძალაუფლებაზე პრეტენზიის დემონსტრაციას. საქმე იმაში კი არ იყო, რომ ნეილერს გამეფება უნდოდა, არამედ იმაში, რომ ზეციური მპყრობელის, იესო ქრისტეს განკაცების მაგალითი ყველა მოკვდავს აძლევდა საბაბს საკუთარი თავი უზენაესი ძალაუფლების მპყრობელად წარმოედგინა და გამოეცხადებინა. ნეილერი შეიპყრეს, ორი საათი ვესტმინსტერის სასახლესთან დადგმულ სამარცხვინო ბოძთან დააყენეს, რომელშიც სპეციალური ხვრელები იყო გაკეთებული სადაც მას თავი, ფეხები და ხელები ჰქონდა გაყოფილი, მერე გაასამართლეს. სასამართლომ მას ერთობ სასტიკი სასჯელი მიუსაჯა. ნეილერს ენა გაუხვრიტეს გავარვარებული სოლით, შუბლზე კი ასევე გავარვარებული შანთით ამოშანთეს სიტყვა “Blasphemy” -ის (ღვთისგმობა-ინგლ.) პირველი ასო “B,” მერე ცხენზე უკუღმა შესვეს და ისევ ბრისტოლში ჩაიყვანეს. იქ იგი საჯაროდ გაამათრახეს, მერე ისევ ლონდონში დააბრუნეს და ციხეში ჩასვეს. ციხის საკანში იგი მარტო იყო გამოკეტილი. პარლამენტარებს საერთოდ მისი სიკვდილით დასჯა უნდოდათ, მაგრამ მეტს ვერ მიაღწიეს. გარდა ამისა, ყველაფერ ამით მათ მიანიშნეს კრომველს, რომ რელიგიური შემწყნარებლობა, რომელსაც იგი ესოდენ ელტვოდა, ერთობ უსუსური რამ იყო. თავად კრომველი ასეთი მკაცრი სასჯელის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ვერაფერი გააწყო პარლამენტის წინააღმდეგ, რომელიც პრაქტიკულად დაეპატრონა სასამართლო ხელისუფლებას.

აღნიშნულმა მოვლენამ წარმოაჩინა ლორდ-პროტექტორის წოდებისა და სტატუსის სიმყიფე. „ლორდ-პროტექტორი“, ამ ტერმინში არაფერი იყო ისეთი, რაც აიძულებდა თავად წოდებიდან და მისი შინაარსიდან გამომდინარე მის წინაშე თავი დაეხარათ. ამ მხრივ ძალ-

ზე მანიშნებელია კრომველის წინააღმდეგ დაგეგმილი ერთ-ერთი აჯანყების (რომლიც ჩავარდა) ორგანიზატორის, ჯონ პენრადოკის სიტყვები: „კრომველი რომ მეფე ყოფილიყო, მე არც კი გავიფიქრებდი მის წინააღმდეგ გამოსვლას.“ როგორც ჩანს, საზოგადოება მართვის უფრო ჩვეული ფორმისაკენ იჩენდა მიდრეკილებას. და აი, 1657 წ. 23 თებერვალს, ლონდონის ყოფილმა ლორდ-მერმა, ვაჭარ-ავანტიურისტების კომპანიის და სხვადასხვა გავლენიანი სამთავრობო კომიტეტის წევრმა სერ ქრისტოფერ პეიკმა პარლამენტს განსახილველად წარუდგინა „უმორჩილესი პეტიცია და რჩევა.“ ეს იყო დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილი იყო ჩვეულებრივი სახელისუფლებო სისტემის, ანუ ორპალატიანი პარლამენტისა და მეფის წოდების აღდგენის თხოვნა. პეიკის აზრით ეს იქნებოდა თავისუფლების, წესრიგის და ქონების აღდგენა ყველაზე მისაღებ ფორმებში. სხვათა შორის, აღნიშნული მოსაზრება აიტაცეს იურისტებმა, იმ დროის ინგლისური საზოგადოების ერთობ მნიშვნელოვანმა და გავლენიანმა ფენამ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მეფის ხელისუფლების აღდგენა საბოლოოდ წესრიგს დაამყარებდა ქვეყანაში. ისიც უნდა ითქვას, რომ არა ერთი მოთხოვნა მემკვიდრეობითი მართვის შემოღების (ე.ი. მეფის ხელისუფლების აღდგენის) თაობაზე მოდიოდა იმათი მხრიდანაც, ვინც გენერალ-მაიორების სისტემის წინააღმდეგი იყო. ამრიგად, კრომველს სამეფო გვირგვინის დადგმა შესთავაზეს. ისტორიამ მოახდინა საოცარი წრებრუნი. საშუალო შეძლების აზნაურს, სოფლის ჯენტელმენთაგან ერთ-ერთს, საპარლამენტო ოპოზიციის წევრს, ადამიანს, ვინც მეფეს შეებრძოლა, დაამარცხა, შეიპყრო, გაასამართლა და სიკვდილით დაასჯევინა – სამეფო გვირგვინი შესთავაზეს. „ჭეშმარიტად შეუცნობელ არს გზანი უფლისაჲ“ ნუთუ კიდევ ერთხელ უნდა გამართლებულიყო კრომველის გამონათქვამი, რომ „არავინ აღზევდება ისე, როგორც ის ადამიანი, რომელმაც არ იცის, თუ საით მიემართება?“ და აი, თითქოს ეს წუთიც დადგა. პირველად კრომველისათვის მეფის გვირგვინის დადგმის იდეა ცნობილმა ტექსტილის მწარმოებელმა და დიდვაჭარმა ჯონ ეშმა წამოაყენა. მაგრამ თუკი ეში „სიმდიდრით აღზევებულად“ ითვლებოდა და მას შესაძლოა ცოტა ამრეზით უყურებდა მისი მეზობელი, უილტშირის ძველი ყაიდის ჯენტრი, სერ

ქრისტოფერ პეიკისა და ბარონეტ ჯორჯ დოუნინგის ასეთივე წინადადებებმა კრომველის მეფედ კურთხევას უფრო მტკიცე საფუძველი შესძინა. მდიდარ, შეძლებულ და წარჩინებულ ხალხს ნაცადი პოლიტიკური სისტემა ერჩივნა და არა გენერალ-მაიორების უდროუდროოდ დაწესებული შეზღუდვები. აკი ჯონ ეშიც მიუთითებდა, რომ კრომველი ქვეყანას გაუძღვებოდა ძველი კონსტიტუციისდა მიხედვით, ანუ მონარქიული ხელისუფლების მეშვეობით.

ოლივერ კრომველი ერთდროულად აღზევებისა და ცთუნების უმაღლესი საფეხურზე იდგა. როგორ უნდა მოქცეულიყო ადამიანი, რომელიც მისივე თქმით თავისი წარმომავლობით და გვარიშვილობით არც ციდან ვარსკვლავებს სწყვეტდა, მაგრამ არც სულ მთლად უგვარო ან არაფრისმთქმელი წარმოშობის იყო. ერთის მხრივ მისი ხანგრძლივი ბრძოლა, ჯერ საპარლამენტო და მერე ბრძოლის ველზე არნახულად სასურველ, დაუჯერებელ ნაყოფს ისხამდა. კრომველი ახალი სამეფო დინასტიის მამამთავრად იქცეოდა. მის გენერლებსა და პოლკოვნიკებს, რომლებმაც მას ლორდ-პროტექტორის წოდება მიანიჭეს, ნებისმიერ დროს შეეძლოთ მისთვის ამ წოდების ჩამორთმევა. მეფედ კურთხევის შემთხვევაში კი ისინი მის ქვეშევრდომებად იქცეოდნენ. მის ხელისუფლებას მარავალსაუკუნოვანი ადათ-წესები გაუმაგრებდნენ ზურგს, რომლებიც თუნდაც ჯეიმს I და ჩარლზ I მეფობის შეუვალობის მთავარი იდეოლოგიური იარაღი იყო. სულ ცოტაც და იგი ქვეყნის წინაშე წარსდგებოდა როგორც ოლივერ I, ხოლო მის წოდებას და მდგომარეობას საბოლოოდ მოეფინებოდა ნათელი. მაგრამ მეორე მხრივ იქნებოდა განა ეს ღვთისმოშიშობით და ღვთისმოსაობით ნაკარნახევი ნაბიჯი? არადა კრომველი ხომ მთელი სიცოცხლე სწორედ ამ ცნებებით ხელმძღვანელობდა?! და სწორედ მისი ღვთისმოშიშობიდან გამომდინარე იქნებოდა გვირგვინის დადგმა ის ნაბიჯი, რომელსაც ღმერთი მიიღებდა? განა თავად კრომველი არ ამბობდა, რომ მათი, ინგლისელთა ისტორია სხვა არაფერი იყო, თუ არა ღმერთის ყოვლისშემძლეობის დემონსტრაცია, რომელიც აღგვის პირისაგან მიწისა ყველაფერს, რის შექმნაშიც მას ხელი არ ურევია?! იქნებოდა კრომველის გამეფება ღმერთის უზენაესი ნება, თუ მხოლოდ და მხოლოდ ოლივერ კრომველის ნამოქმედარი? ასეთი

მიდგომის შემთხვევაში ეს ნაბიჯი არასწორი და ღვთისმოშიშობისაგან ძალზე შორს მდგომი იქნებოდა. ხალხის თვალში თითქმის ოთხსაუკონოვანი დინასტია ყოველთვის უფრო მაღლა იდგებოდა იმაზე, რომლის ასაკი სულ რამდენიმე წელს ითვლიდა. სტიუარტებისათვის, კერძოდ ჩარლზ II შერაცხული უფლისწულის მომხრეებისათვის კრომველი ყოველთვის უზურპატორი იქნებოდა, ხოლო რესპუბლიკელებისათვის – თვითმარქვია. რეალური ძალაუფლება მას ხელიდან გაუსხლტებოდა. ადრე ის ღვთის რჩეული ბელადი იყო, რომელსაც უფლის მიერ ბოძებული დაშნა ეპყრა ხელთ და ისე მიუძღოდა ინგლისსა და ევროპას პროტესტანტული ჭეშმარიტების გზაზე. მიუძღოდა უშიშრად, ისე, რომ თავის განირვასაც კი არ ერიდებოდა. მისი ძალაუფლება და გამარჯვება მისივე ღვთისმოსაობაზე, ღვთისმოშიშობაზე და საკუთარი თავის ღმერთის ნების იარაღად გაცნობიერებაზე იყო დაფუძნებული. ასე იგი ოლივერ კრომველი იყო, რომელსაც ღმერთმა დაშნა და გამარჯვება უბოძა. ტახტზე ასული კი თვითმარქვიად იქცეოდა, რომელიც სულ იმის მცდელობაში იქნებოდა, რომ სხვების სახელს გატოლებოდა და სწორედ ამის გამო ის მათ ვერასდროს გაუტოლდებოდა. როგორც პურიტანი ბელადი იგი ჭეშარიტად დიადი იყო. რამდენად დიადი გახდებოდა ის მეფედ ქცევისას? ერთი სიტყვით, ინგლისის რესპუბლიკის და კრომველის, მისი შთამომავლობის ბედი სასწორზე იყო დადებული.

რასაკვირველია, ყველაზე მძიმე სწორედ კრომველის მდგომარეობა იყო. ადრე, 1651-1652 წწ. თურმე მასაც უჭიატებდა ერთმმართველობის დამყარების აზრი. მეფის სიკვდილით დასჯის შემდეგ ჯარში მყოფი ლეველერები ამბობდნენ, რომ გრანდებს, ე.ი. ჯარის სარდლობას გადაწყვეტილი აქვს ქვეყნის მართვა ერთ ადამიანს მიანდოს. კრომველს მიანიშნეს, რომ მეფის სიკვდილით დასჯის შემდეგ ტახტზე მისი ვაჟი, უფლისწული ჩარლზი აეყვანათ. კრომველმა შემდეგი არგუმენტით უარყო ეს შემოთავაზება: „ის ისეთი წყალწაღებული და გახრწნილია, რომ ყველას ერთად მოგვიღებს ბოლოს. მაგას ბატკნის ბეჭი და ერთი მეძავი მიეცით და მეტი არაფერი იქნება საჭირო.“ კრომველი უფლისწულ ჩარლზის სუფრითა და ქალებით გატაცებას გულისხმობდა. მაგრამ რის სასარგებლოდ უნდა გაეკეთები-

ნა კრომველს არჩევანი? ძველი, საქვეყნოდ განცხადებული პრინციპების და იდეალების, თუ ყველა მოკვდავისათვის უდიდესი ცთუნების სასარგებლოდ? თითქოსდა ლორდ-პროტექტორი უნდა დაყოლოდა სერ ქრისტოფერ პეიკის პეტიციას, რადგანაც ამ უკანასკნელს დიდი პატივი და წყალობა ერგო ამგვარი შეთავაზებისათვის. როგორც ჩანს, ბრძოლებში გამობრძმედილ ლორდ-პროტექტორსაც კი უჭირდა ასეთი დიდი ცთუნებისათვის გაძლება. ბოლოს და ბოლოს იგი ხომ პირველ რიგში ადამიანი იყო! მოვლენათა მსვლელობა თითქოს გვირგვინის დადგმისაკენ ვითარდებოდა. 1656 წ. ნოემბერში შედგა საბოლოო შეთანხმება, რომელშიც მონაწილეობდნენ ჯონ ტერლო და ყოფილი როიალისტი სერ რიჩარდ უილისი. მაგრამ საქმეში ჯარი, უფრო ზუსტად მისი სარდლობა ჩაერია. სამეთაურო შემადგენლობა, გენერლები ლამბერტი, ფლიტვუდი, დესბორო, სკიპონი, გოფი კატეგორიულად გაილაშქრნენ ლორდ-პროტექტორის გამეფების წინააღმდეგ. მათ პირდაპირ განაცხადეს, რომ თუ კრომველი მეფის გვირგვინს დაიდგამდა, ისინი გადადგებოდნენ. ეს კი ჯარის დეზორგანიზაციას გამოიწვევდა, რასაც ქვეყანაში ანარქია მოყვებოდა. ძალიან საგულისხმო წერილი მიიღო კრომველმა თავისი ძველი თანამებრძოლის, ვინმე უილიამ ბრედფორდისაგან. „მე კვლავ მიყვარხართ. ეჯჰილიდან დანბარამდე მხარში გედექით. მერწმუნეთ, თქვენი მტრები გაქეზებენ, რომ თავი მეფედ გამოაცხადოთ.“ ბრედფორდის შეგონება მთლად უსაფუძვლო არ ყოფილა, რაც მომავლის მოვლენებმა დაადასტურა. იორკის ჰერცოგი, მომავალი ჯეიმს II ამბობდა, რომ 1660 წ. სწორედ ის ადამიანები, რომლებიც ითხოვდნენ სტიუარტების რესტავრაციას, თავის დროზე მოუწოდებდნენ კრომველს მეფის გვირგვინი დაედგა. უფრო შორს წავიდა პოლკოვნიკი პრაიდი. მან საჯაროდ განაცხადა, რომ ტყვიით შუბლს გაუხვრეტს კრომველს, თუკი ის მეფის გვირგვინს დაიდგამს. ძველი მედროგე და პარლამენტის ცნობილი წმენდის თავკაცი ნამდვილად არ მოერიდებოდა უკიდურეს ზომებს. სწორედ პრაიდის მონაწილეობით შედგა თავისებური და საკმაოდ მრავალრიცხოვანი (100 კაცამდე) მუშა-ჯგუფი, რომელმაც შეადგინა მიმართვა და წარუდგინა იგი ჯერ კრომველს და მერე პარლამენტს. დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ გენერალიტეტი და უფროსი ოფი-

ცრობა გადადგებოდნენ, თუ ლორდ-პროტექტორი მეფის გვირგვინს დაიდგამდა. კრომველი ჩიხში მოექცა. ჯარის წინააღმდეგ წასვლა გამოიწვევდა არა მარტო სრულ ანარქიას, არამედ გამოაცლიდა მას სახელისუფლებო საყრდენს. იგი მარტოდმარტო დარჩებოდა როიალისტების, პრესბიტერიანების და თუნდაც მემარცხენე რადიკალი ინდეპენდენტების წინაშე. ამიტომაც კრომველმა უკან დაიხია. მან უბრძანა გენერალ ფლიტვუდს წასულიყო ვესტმინსტერის სასახლეში და გადაეცა დეპუტატებისათვის, რომ ლორდ-პროტექტორი მეორე დღეს იბარებდა თემთა პალატას უაითჰოლში, რათა ემცნო თავისი საბოლოო გადაწყვეტილება. მეორე დღეს კრომველმა გამოუცხადა უაითჰოლში მისულ პარლამენტარებს, რომ იგი უარს ამბობს მეფობაზე, მაგრამ თანახმაა აღადგინოს ლორდთა პალატა. მან თქვა, რომ მეფის წოდება და გვირგვინი მისთვის ქუდში გარჭობილი ბუმბულის ტოლფასია. იმავე დროს კრომველმა არ დამალა თავისი გულისწყრომა და უსაყვედურა გენერლებსა და უფროს ოფიცრებს, რომ ისინი მას შავ მუშდ იყენებდნენ და მისი ხელით უნდოდათ „ნარის გლეჯა.“ მან უსაყვედურა მათ, რომ სწორედ მათი ზეწოლით დაითხოვა „ნარჩენი,“ მერე კი მცირე(ბერბონის) პარლამენტი, რომ მათი დაჟინებული რჩევით მოიწვია პროტექტორატის მეორე პარლამენტი, რადგანაც ისინი არწმუნებდნენ, რომ ეს უკანასკნელი დაყვებოდა მის ნება-სურვილს. გარკვეულწილად გამარლთდა მის ვაჟის, ჰენრის სიტყვები, რომელიც ირლანდიას განაგებდა: „ ყველას ჰგონია, რომ მთელი ძალაუფლება მამაჩემის ხელშია. არადა იქ, ლონდონში, ისინი მას თავის ნება-სურვილზე ატრიალებენ.“ ძნელია, არ დაეთანხმო ამ მოსაზრებას. თავის დროზე, 1653 წ. გენერალმა ჯონ ლამბერტმა თავად წამოაყენა აზრი კრომველის სამეფო ტახტზე აყვანის შესახებ, რის წინააღმდეგ იგი ასე თავდაუზოგავად გაილაშქრა 1656 წ.. ასეთი მერყეობა მას სამსახურიდან დათხოვნად დაუჯდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თავად ლამბერტმაც არანაკლები ინიციატივა გამოიჩინა ამ საკითხში, როდესაც უთხრა ლორდ-პროტექტორს, რომ ერთადერთი, რაც მას უნდა, იცხოვროს თავის სახლში, როგორც სამსახურეობრივი მოვალეობისაგან თავისუფალმა ადამიანმა. ლამბერტი ცოლთან და ათ შვილთან ერთად თავის ადგილ-მამულში, უიმბლდონში(რომელიც ადრე დედო-

ფალს, ანრიეტ-მარის ეკუთვნოდა) დამკვიდრდა და თავის საყვარელ გატაცებას, მებაღეობას და მხატვრობას მიჰყო ხელი. კრომველმა სულ მთლად არ შეაქცია მას ზურგი. ჯარში ყოფნისას ლამბერტი წელიწადში ექვსი ათას გირვანქა სტერლინგს იღებდა. ლორდ-პროტექტორმა ბოლომდე არ გაიმეტა თავისი ძველი თანამებრძოლი და თავისი პირადი ბიუჯეტიდან მას წლიური თანხა დაუნიშნა ორი ათასი გირვანქა სტერლინგის ოდენობით.

1657 წ. 26 ივნისს კრომველი საზეიმოდ გამოაცხადეს ლორდ-პროტექტორად ახალი კანონის თანახმად. თუმცა ამ კანონში არ იყო წარმოდგენილი სამეფო ხელისუფლება, მაგრამ თავად ცერემონიალი მიანიშნებდა იმაზე, რომ სამხედრო მბრძანებელი გადაიქცა კონსტიტუციურ მონარქად. ვესტმინსტერ-ჰოლის ზედა ბოლოში განთავსებული იყო მდიდრულად მორთული პლატფორმა, რომელზედაც იდგა შოტალანდიის მეფედ კურთხევის ტახტი, რაც მიანიშნებდა ორი სამეფოს, ინგლისისა და შოტლანდიის გაერთიანებაზე. ტახტის წინ, მაგიდაზე, იდო ძვირფას ყდაში ჩასმული ბიბლია, სკიპტრა და რესპუბლიკის მახვილი. როდესაც კრომველი დარბაზში შემოვიდა, თემთა პალატის სპიკერმა პალატის სახელით მოასხა მეწამული ფერის, ყარყუმის ბეწვით გაწყობილი ხავერდის ლაბადა, წელზე შემოარტყა რესპუბლიკის მახვილი და გადასცა მასიური ოქროს სკიპტრა. ამის შემდეგ კრომველმა ახალი კონსტიტუციის ერთგულების ფიცი დადო. ლოცვის შემდეგ, როდესაც გაისმა საზეიმო ყიჟინა და საყვირების ხმა, კრომველი ტახტზე დაჯდა. ერთ მხარეს მას საფრანგეთის მეფის წარგზავნილი უმშვენებდა გვერდს, მეორეს – ჰოლანდიის რესპუბლიკის. „რა დიდებული სანახაობაა, ვიხილოთ ლორდ-პროტექტორი მეწამული ფერის მოსასხამით, სკიპტრით ხელში, წელზე მახვილით და ბიბლიისკენ მიპყრობილი თვალებით. მაშ გაუმარჯოს ლორდ-პროტექტორს, მრავალჟამიერ, ჩვენი ქვეყნების ხალხის სადიდებლად და საბედნიეროდ!“- შესძახა სპიკერმა. მაგრამ ყველაფერი ალბათ საბოლოო ჯამში ამაოებაა! რადგანაც გაივლის რაღაც სამიოდე თვე და კრომველი იტყვის: „შემიძლია თუ არა ვაღიარო, როგორც უფალი ღმერთის წინაშე, რომლის წინაშე ჩვენ სხვა არაფერი ვართ, თუ არა ქვემძრომი მატლები, რომ გაცილებით ბედნიერი ვიქნებოდი მეცხო-

ვრა ქოხმახში და ცხვრის ფარის მწყემსი ვყოფილიყავი, ვიდრე ისეთი მთავრობის სათავეში ვიყო, როგორც ამჟამინდელია.“ როგორც ჩანს, ნებისმიერ, თუნდაც ძალიან დიდ აღზევებას მაინც მოსდევს გარკვეული იმედგაცრუება, ადამიანის ყოფის თავისებური ამაოების დანახვა. ეს კი ამ შემთხვევაში კრომველის პიროვნების მასშტაბურობასა და ფილოსოფიური განსჯის უნარზე მიუთითებს.

ახალი კონსტიტუციის შესაბამისად დაიწყო მზადება ლორდთა პალატის შესაქმნელად. შედგა ახალი ლორდების სია 63 ადამიანის შემადგენლობით. მაგრამ მათგან მხოლოდ 42 შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას, დანარჩენები უბრალოდ არც კი გამოეხმაურნენ გამოძახებას. ახალი ლორდებიდან შვიდი კრომველის ოჯახის წევრი იყო, მათ შორის მისი ორი ვაჟი, რიჩარდი და ჰენრი, 17 – პოლკების მეთაურები. დანიშნულთა შორის იყვნენ ოფიცრები და საშუალო შეძლების სოფლის ჯენტელმენებიც კი. ძველი ლორდებიდან მხოლოდ ხუთი გამოეხმაურა ლორდ-პროტექტორის მოწვევას. დანარჩენებმა თავი აარიდეს ახალ პალატაში მუშაობას. თემთა პალატაში დააბრუნეს ის დეპუტატები, რომლებიც ლორდ-პროტექტორმა არ დაუშვა 1656 წ. პარლამენტის პირველ სხდომაზე. ისინი იმ პირობით დაუშვეს, რომ აღიარებდნენ ლორდ-პროტექტორის ხელისუფლების კანონიერებას და დადებდნენ ერთგულების ფიცს.

ამ სიახლის წყალობით პარლამენტში აღმოჩნდა რესპუბლიკელების დიდი ჯგუფი, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა თანაფარდობა, რადგანაც კრომველის მომხრე 30 დეპუტატმა ლორდთა პალატაში დაიკავა ადგილი. ახლადშეკრებილმა თემთა პალატამ მაშინვე გაამახვილა ყურადღება თავისი მეტოქის, ლორდთა პალატის უფლებამოსილებაზე. კამათი თვით პალატის დასახელებამაც კი გამოიწვია. რა უნდა ეწოდოს ამ ერთეულს, „ლორდთა პალატა,“ თუ „სხვა პალატა(ადგილი)?“ სხვათა შორის, ორპალატიან პარლამენტში მეორე პალატის სხვა ადგილად (Another/Other Place – სხვა ადგილი, ინგლ.) მოხსენიების ეს ტრადიცია ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობაში (დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, კანადა, ავსტრალია) სწორედ იმ დროიდან მოდის. ასეთი მოხსენიება პალატების მაშინდელ ურთიერთქიშპს ასახავს. კრომვე-

ლის ლორდ-პროტექტორად დამტკიცების მიუხედავად, რაც ახალი კონსტიტუციის შესაბამისად მოხდა, კამათი მმართველობის ფორმასაც შეეხო. მემარცხენეები რესპუბლიკური მმართველობის აღდგენას მოითხოვდნენ. სიტის წარმომადგენლები, შეძლებული მიწათმფლობელები(მათ შორის შენიღბული როიალისტები) მეფის ხელისუფლების აღდგენისკენ იხრებოდნენ.

ლორდთა ახალი პალატის შექმნის გარშემო გაჩაღებული კამათი უსასრულო ხასიათს იძენდა. კრომველს, რომელიც დათანხმდა მის აღდგენაზე და რომელიც მიიჩნევდა მას პარლამენტის მართვის თავისებურ საშუალებად, სულ უფრო ღიზიანდებოდა ამ გაუთავებელი პაექრობით. და აი, თავისი არნახული უფლებამოსილებით აღჭურვილი იგი მივიდა პარლამენტში და გამოაცხადა, რომ თემთა პალატის გაუთავებელი კამათი ჩარლზ სტიუარტის ინტერესებს ემსახურებოდა. „მე ვალდებული ვარ ეს არ დაუშვა. თუ თქვენ არ გსურთ გააკეთოთ ის, რისთვისაც თავად მეპატიჟებოდით თქვენს „უმორჩილეს პეტიციასა და რჩევაში," თუკი ამაში მდგომარეობს თქვენი სხდომის მიზანი, ჩემის აზრით დროა ამ თავყრილობას ბოლო მოეღოს. ამ პარლამენტს დათხოვნილად ვაცხადებ! დე ღმერთმა განსაჯოს ჩვენში მტყუან-მართალი!"- განაცხადა კრომველმა და ამ სიტყვებით დაითხოვა პარლამენტი. რა არის ეს? ერთპიროვნული მმართველობის ტრიუმფი, თუ წარმომადგენლობითი ორგანოსათვის დამახასიათებელი სამუშაო პროცესის გარკვეული გაჭიანურება? ამას ხომ არ გულისხმობდა კრომველი, როცა ამბობდა, რომ ხუთი-ექვსი ადამიანი ერთ დღეში მიიღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რასაც ასი ერთ თვეს მოუნდება? როგორ აღიქვამდა ამას თავად ლორდ-პროტექტორი? როგორც თავისი მოსაზრების სისწორის და საკუთარი ძალაუფლების ძლევამოსილების დემონსტრაციას? მაგრამ ქვეყნის უხილავი მმართველი, ლონდონის სიტი, რომლის ხელშიც თავმოყრილი იყო ქვეყნის არსებობისათვის საჭირო, ჭეშმარიტად სასიცოცხლო თანხები, სიმშვიდეს ინარჩუნებდა. მან მშვენივრად იცოდა, რომ ლორდ-პროტექტორი ან თუნდაც მეფე უძლურია ფულის გარეშე. ხაზინა რომ ცარიელი იყო, ეს სიტიმ და კრომველმაც მშვენივრად იცოდნენ. სწორედ ამიტომ იყო კრომველი ესოდენ დანაღვლიანებუ-

ლი პარლამენტის დათხოვნის შემდეგ. თუმცა კი ინგლისის ფლოტი მუსრს ავლებდა ესპანელებს და კრომველმა უკვე ჩაიბარა 200 ათასი გირვანქა სტერლინგის საფასურის ნაძარცვი ესპანური ვერცხლი, საფრანგეთთან დაიდო წარმატებული კავშირი და მალე ესპანელებს სრულიად განდევნიდნენ ფლანდრიიდან, მაგრამ იყო სხვა ინფორმაციაც. კრომველის ვაჟი ჰენრი, ირლანდიის ნაცვალი სწერდა ლორდ-პროტექტორს, რომ „ვაჭრობა და წარმოება ჩამკვდარია და მალე ინგლისელი კოლონისტები ირლანდიელი ველურების დონემდე დავლენ." უამრავი უწყება ამცნობდა ლორდ-პროტექტორს, რომ არა მარტო მოხელეებს, არამედ ჯარისკაცებსაც და მეზღვაურებსაც კი ვეღარ უხდიდნენ ჯამაგირს.

პარლამენტის დათხოვნამ არ გაანელა დაძაბული სიტუაცია. შეიქმნა საკმაოდ ფართო ოპოზიციური სპექტრი, რომელიც მოქმედებდა რეჟიმისა და პირადად კრომველის წინააღმდეგ. კრომველის მოწინააღმდეგეები ფარულად ერთიანდებოდნენ, ქმნიდნენ იატაკქვეშა ორგანიზაციებს, ამზადებდნენ შეთქმულებებს, რომლებშიც მონაწილეობდნენ კავალერები, ლეველერები, რესპუბლიკელები, ანაბაპტისტები, მეხუთე მონარქიის მომხრეები. ჯონ ტერლო და მისი უწყება დაუღალავად მუშაობდნენ. მათ მიერ შეთქმულებების გამოაშკარავებას რასაკვირველია მოსდევდა შეთქმულთა დაპატიმრება და სიკვდილით დასჯა. კონტინენტზე მყოფი ჩარლზ სტიუარტი აქეზებდა ინგლისში მყოფ როიალისტებს იარაღით ხელში გამოსულიყვნენ მეფის მკვლელებისა და უზურპატორების წინააღმდეგ. იგი ყოველნაირად ცდილობდა საფრანგეთის და ესპანეთის სამეფო კართა დახმარება მიეღო და ამის სანაცვლოდ არც ანტიინგლისური გადაწყვეტილებების მიღებას ერიდებოდა. კრომველის მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ამ უამრავ შეთქმულებაში მისი ახლობლებიც ერივნენ. მაგ. ერთ-ერთი ასეთი შეთქმულების მონაწილე აღმოჩნდა როიალისტი სერ ჰენრი სლინგსბი, რომლის დისწული, ლორდი ფაკონბერგი კრომველის სიძე, მისი ერთ-ერთ ქალიშვილის, მერის ქმარი იყო. შეთქმულებებში საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდა ანგლიკანური ეკლესიის სამღვდელოება. თუმცა, ალბათ საამისოდ მას ერთობ საფუძვლიანი მიზეზი ჰქონდა. პროტექტორატის დროს ანგლიკანური

ეკლესია, ისევე როგორც კათოლიკური, კანონგარეშეიყო გამოცხადებული. დიდგვაროვანთა ის ნაწილი, რომელმაც უარი თქვა კრომველის მიერ შექმნილ ლორდთა პალატაში შესულიყო ურყევად იდგა როიალიზმის პოზიციაზე და მხოლოდ ანგლიკანურ ეკლესიას აღიარებდა.

სამოქალაქო ომი რელიგიური იდეალებითა და ლოზუნგებით იყო შემოსილი. თავად კრომველი თავგადადებული პურიტანი იყო და სწორედ ასეთ ხალხს იკრებდა გარშემო. გავისხენოთ თუნდაც ის, რომ მისი უდრეკი, „რკინისგვერდებიანებად" წოდებული მეომრები ფსალმუნების ხმამაღალი გალობით მიდიოდნენ ბრძოლაში. თავად კრომველს კი ბრძოლის ველზე მოპოვებული თვითეული გამარჯვება უფლის ნებისა და წყალობის გამოვლენად მიაჩნდა. როგორი იყო კრომველის პოლიტიკა რელიგიის სფეროში მას შემდეგ, რაც იგი უმაღლესი ძალაუფლებით აღიჭურვა? „მართვის საშუალებებმა," რომლებიც პროტექტორატის კონსტიტუციას წარმოადგენდნენ, სამ სამეფოში, ინგლისში, შოტალანდიასა და ირლანდიაში სარწმუნოებრივი შემწყნარებლობა გამოაცხადა. მაგრამ იგი არ ვრცელდებოდა კათოლიკურ და ანგლიკანურ ეკლესიებზე. პროტექტორატის ორივე, 1653 და 1657 წწ. კონსტიტუციები სახლებში, კერძო პირობებშიც კი კრძალავდნენ შესაბამის ღვთისმსახურებებს. სამოქალაქო ომის დროს კრომველს მამაცი, თავდადებული და ერთგული მეომრები სჭირდებოდა. ამიტომ იგი არაერთხელ გამოსულა ულტრარადიკალური რელიგიური მიმდინარეობების და მათი წარმომადგენლების, ანუ როგორც მათ მაშინ ინგლისში უწოდებდნენ სექტების და სექტანტების(Sect, Sectarians- სექტა, სექტანტები- ინგლ.) დასაცავად, თუკი ისინი რამენაირ შევიწროებას განიცდიდნენ, ან მით უფრო, თუ მათ სამხედრო სამსახურიდან ათავისუფლებდნენ. მისი არგუმენტი მარტივი და ცალსახა იყო. ადამიანი ერთგულად და თავდაუზოგავად ასრულებდა თავის მოვალეობას, მისგან გამორიცხული იყო ღალატი. ასეთ შემთხვევაში, ასკვნიდა კრომველი, სახელმწიფოსათვის მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა მის რელიგიურ მრწამსს. პროტექტორატის ხანაში ყოფილა შემთხვევები, რომ მას არა მარტო მკაცრად გაუკრიტიკებია სარწმუნოებრივი შეუწყნარებლობის მოწინააღმდეგეები, არამედ დაუცავს და სიკვდილისაგანაც კი დაუხსნია რადიკალური

რელიგიური მიმდინარეობების წარმომადგენლები. გარდა ამისა ყველა ტერიტორიულ ერთეულზე არსებულ რელიგიურ მიმდინარეობას თავად შეეძლო თავისთვის შეერჩია ღვთისმსახური. თანაც ეს ღვთისმსახურები სახელმწიფოს კმაყოფაზე იყვენენ. ამის საშუალებას იმ დროისათვის კრომველის მიერ შენარჩუნებული საეკლესიო მეათედი იძლეოდა. და მაინც, კრომველის იდეალი იყო მთელი სახელმწიფოს მასშტაბით არსებული ერთიანი ეკლესია, რომელშიც სხვადასხვა მიმდინარეობები იქნებოდა გაერთიანებული. ალბათ ეს გამომდინარეობდა მისი ცენტრალიზაციისაკენ სწრაფვიდან. საერთოდ, იგი უფრთხოდა დეცენტრალიზაციას, რადგანაც ყოველთვის შვეიცარიისმაგვარი კანტონიზაციის შიში აწუხებდა.

თუკი კრომველი ესოდენ შემწყნარებელი იყო რადიკალური რელიგიური მიმდინარეობების მიმართ, სრულიად განსხვავებული იყო მისი დამოკიდებულება კათოლიკობისადმი. თუმცა კი ეს იმ დროის ინგლისური საზოგადოების ცნობიერების განუყოფელი ნაწილი იყო, რასაც მისი გამონათქვამიც გამოხატავს: „მე რომ დავიბადე, პაპობის(კათოლიკობის-ივ.მ.) მიმდევრები უკვე იმ დროიდან გაეს-პანელებულებად ითვლებოდნენ. ასე იყო ინგლისში, ირლანდიასა და შოტალანდიაში. ამაში არავის ეპარება ეჭვი. ეს ესპანური საკითხი ერთობ ართულებს მდგომარეობას, რომელშიც ჩვენი ქვეყანა იმყოფება.“ ასეთ უარყოფით დამოკიდებულებას კათოლიკობის მიმართ ამძაფრებდა ისიც, რომ ესპანეთი და რომის პაპი მხარს უჭერდნენ ინგლისის რესპუბლიკის და პროტექტორატის მტრებს. ისიც უნდა ითქვას, რომ ანტიკათოლიკური სულისკვეთება სწრაფად დამკვიდრდა ინგლისში ჰენრი VIII მიერ ჩატარებული რეფორმაციის დროიდან და განსაკუთრებით გაძლიერდა ელიზაბეთ I მეფობის ხანაში, ესპანური ფლოტილიის, ე.წ. „უძლეველი არმადის“ ინგლისელთა მიერ განადგურების შემდეგ. ამიტომაც იყო, რომ პროტექტორატის ხანაში, დიდ ინგლისელ პოეტს, ნებისმიერი რელიგიური შევიწროების მოწინააღმდეგეს ჯონ მილტონს სავსებით მართებულად მიაჩნდა, რომ რელიგიური შემწყნარებლობის პრინციპი არ ვრცელდებოდა კათოლიკეებზე. კათოლიკური წირვა აკრძალული იყო, ამიტომ კათოლიკეები მას მაქსიმალურად ფარულად ატარებდნენ სახლებში ან ესწრებოდნენ

რომელიმე კათოლიკური ქვეყნის სამლოცველოში. ესპანეთთან ურთიერთობის გაუარესების გამო 1655 წ. გამოიცა ბრძანება, რომლის თანახმად ინგლისის ქვეშევრდომებს ეკრძალებოდათ უცხო ქვეყნების საელჩოების სამლოცველოებში ჩატარებულ კათოლიკურ წირვაზე დასწრება. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ყველაფერ ამის მიუხედავად, პროტექტორატის ხანაში კათოლიკეთა მდგომარეობა ინგლისში შედარებით უკეთესი იყო ვიდრე მანამდე. სხვათა შორის, სწორედ ამაზე სწერდა საფრანგეთის ელჩი კარდინალ მაზარინის.

მტრულად იყო განწყობილი ლორდ-პროტექტორი ანგლიკანური ეკლესიის მიმართაც, რადგანაც ეს იყო მეფის, ძველი თავადაზნაურობის, კავალერების ეკლესია. მაგრამ კრომველის დაახლოებამ ძველ თავადაზნაურობასთან რამდენადმე გაანელა ეს სიძულვილი. ამ მხრივ აღსანიშნავია შემდეგი შემთხვევა. კრომველი იძულებული გახდა დაყოლოდა თავისი ქალიშვილების მოთხოვნას, რომლებიც კატეგორიულად მოითხოვდნენ ანგლიკანური წესით დაეწერათ ჯვარი, რადგანაც ოფიციალური, პურიტანული ჯვრისწერის რიტუალს არ მიიჩნევდნენ კანონიერად და შესაბამისად თავის ქორწინებასაც. მრისხანე ლორდ-პროტექტორი, რომელსაც მტრები ვერას აკლებდნენ ბრძოლის ველზე, გატყდა და დაყვა ქალიშვილების მოთხოვნას. მისი თანხმობით და მითითებით, ანგლიკანმა მღვდელმა, დოქტორმა ჰიუიტმა საიდუმლოდ დასწერა ჯვარი მის ქალიშვილებს. ისიც აღსანიშნავია, რომ ყველაფერ ამას ხელი არ შეუშლია ჰიუიტისათვის აქტიური მონაწილეობა მიეღო შეთქმულებაში, რომელიც კრომველის მოკვლას ისახავდა მიზნად, ხოლო კრომველისათვის – სიკვდილით დაესაჯა იგი ამ შეთქმულების გამოაშკარავების შემდეგ. ასე რომ, საშინაო პოლიტიკის ასპარეზი ლორდ-პროტექტორისათვის სულაც არ იყო თანამდებობითა და ძალაუფლებით ტკბობა. რა გაეწყობა, დიადი მიზნების მიღწევა და მერე კი მიღწეულის შენარჩუნება ყოველთვის დიდი საფასურის ხარჯზე ხდება! ჰანტინგდონელ ჯენტელმენად ცხოვრება ალბათ გაცილებით უფრო მშვიდი და მარტივი იქნებოდა!...

რელიგიური შემწყნარებლობის თვალსაზრისით აღსანიშნავია პროტექტორატის ხანის ერთი მოვლენა. ლორდ-პროტექტორის გადაწყვეტილებით ინგლისში დაბრუნების და დასახლების უფლება მიე-

ცათ ებრაელებს, რომლებიც XIII ს. მეფე ედუარდ I განდევნა ქვეყნიდან. ამ შემწყნარებლურმა ჟესტმა თავისი შედეგი XIX ს. მოიტანა, როდესაც ხელისუფლებამ გადაწყვიტა კრომველისთვის ძეგლი დაედგა. ამ გადაწყვეტილებას საკმაოდ ცხარე კამათი მოყვა. მისი მოწინააღმდეგეების მთავარი არგუმენტი იყო კრომველის მიერ ირლანდიის ლაშქრობის დროს გამოვლენილი სისატიკე და დაუნდობლობა. საბოლოოდ ძეგლი დაიდგა 1899 წ. ანონიმური დონორის დაფინანსებით. ძეგლის გასხნაზე სიტყვით გამოვიდა ყოფილი პრემიერ-მინისტრი ლორდი როზბერი. მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს ანონიმური დამფინანსებელი თავად ლორდი რიზბერი იყო, მისი ცოლი კი, როტშილდების ოჯახის ქონების ერთადერთი მემკვიდრე. ამგვარად, ებრაელებმა სრულად უზღეს ლორდ-პროტექტორს მათი ინგლისში დაბრუნების ნებართვის საფასური.

პროტექტორატის ხანაში თავად კრომველის ცნობიერებაში ერთი დიდი ცვლილება მოხდა, რომელმაც, შეიძლებაითქვას, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ინგლისის შემდგომ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებაზე. კრომველი ყოველთვის გამოირჩეოდა გულისხმიერებით ხელმოკლე ადამიანების მიმართ, იქნებოდა ეს ჯარისკაცი, რომელსაც ჯამაგირს არ აძლევდნენ, ღარიბი გლეხი, თუ საერთოდ, ღარიბი ადამიანი. მაგრამ იმავდროულად მას სისხლში ჰქონდა გამჯდარი პურიტანული მრწამსი, რომელიც ტოლობის ნიშანს დებდა ყაირათიანობას, მომჭირნეობას და ღვთისმოსაობას, ღვთისმოშიშობას შორის. პურიტანები გმობდნენ ფუქსავატ ცხოვრებას. დაუღალავი შრომა, ფულის გაფრთხილება, კაპიკის კაპიკზე დადება და სიმდიდრის დაგროვება, აი ეს იყო მათი აზრით ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანის ცხოვრების წესი. დროთა განმავლობაში ამ დებულებამ განვითარება განიცადა და გამდიდრების უნარი, სიმდიდრე – მაღალი ზნეობის, ხოლო ხელმოცარულობა და სიღარიბე – ლამის უზნეობის ტოლფასად აქცია. სამოქალაქო ომამდე კრომველი გაილაშქრა სათემო მიწების შემოღობვის და ჭაობნარების ამოშრობა-ამუშავების წინააღმდეგ და თავის საპარლამენტო მოხსენებებში წარმოსდგა როგორც ჰანტინგდონელი გლეხობის ინტერესების დამცველი. მაგრამ პროტექტორატის ხანაში მან საპირსიპირო პოზიცია დაიკავა. ამიტომაც იგი ყო-

ველნაირად ხელს უწყობდა შემოლობვებს და ჭაობნარების თუ უშენი მიწების ამოშრობა-დამუშავებას. გამდიდრება ძალას იკრებდა და ფართოდ მიაბიჯებდა ისტორიის შარაგზაზე, სამწუხაროდ, უბრალო, მშრომელი ხალხის გაღატაკების ხარჯზე. უმოწყალო, დაუნდობელი და გარდაუვალი პროცესი! და ლორდ-პროტექტორიც მტკიცედ დადგა სიმდიდრის ზრდის მხარდამჭერის პოზიციაზე. სწორედ იმ დროიდან შეიძინა ინგლისურმა ეკონომიკამ, კერძოდ სოფლის მეურნეობამ კაპიტალისტური განვითარების ნიშან-თვისებები, რამაც მას შემდგომ პერიოდში თვითკმარობა შესძინა და მოწინავე პოზიცია დაუმკვიდრა მსოფლიო ეკონომიკაში. სამწუხაროდ ეს გლეხობის იმ ფენის ხარჯზე მოხდა, რომლებიც თავის დროზე კრომველის ჯარის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ. ასე რომ XVII ს. მეორე ნახევრიდან ინგლისის სოფლის მეურნეობაში ნელ-ნელა დაიწყო გლეხობის და წვრილგლეხური მეურნეობების გაქრობა. მათი ადგილი თანდათან დაიკავეს დაქირავებულმა შრომამ და მსხვილ კაპიტალდაბანდებაზე დაფუძნებულმა მამულებმა.

საშინაო პოლიტიკის ასპარეზზე კრომველი მუდმივ წინააღმდეგობებს აწყდებოდა როგორც ძველი, მეფის მომხრე თავადაზნაურობის, ასევე იმ ფენების მხრიდანაც კი, რომლებიც გამდიდრდნენ და პოზიციები განიმტკიცეს სამოქალაქო ომის წყალობით. ამ უკანასნელებს მეტი შეუვალობის მოპოვება უნდოდათ, რათა სრულად განეკარგად თავისი ქონება და უფლებები. შესაბამისად, საგარეოპოლიტიკურ ასპარეზზეც მათი ინტერესების განხორციელება ასევე მთელი სისრულით უნდა მომხდარიყო. პურიტანული ყაირათიანობით, მომჭირნეობით და გამდიდრების წყურვილით შეპყრობილ ადამიანებს ახალი სავაჭრო გზები, ნედლეულის წყაროები და გასაღების ბაზრები სჭირდებოდათ. როგორი იყო ამ ასპარეზზე ლორდ-პროტექტორი? როგორც მთელი მისი ცხოვრება, პოლიტიკური საქმიანობა, სამხედრო კამპანიები, მისი საგარეო პოლიტიკაც დაფუძნებული იყო მისთვის ტრადიციულ პრინციპებზე. ეს იყო ერთმორწმუნე, პროტესტანტული ქვეყნების ერთობა, მტრული, კათოლიკური სამყაროს(პირველ რიგში ესპანეთის) სრული მიუღებლობა და გარკვეული პრაქტიკული მანევრირება. ეს უკანასკნელი გულისხმობდა რიგ შემთხვევებში დათ-

მობაზე წასვლას მთავარი წინააღმდეგობის გზიდან ჩამოცილების მიზნით. მაგ. კავშირი კათოლიკურ საფრანგეთთან იმ დროის მთავარი მეტოქის, ესპანეთის დასამარცხებლად. ამასთან ერთად აუცილებელი იყო საზოგადოების იმ ფენების ინტერესების გათვალისწინება, რომელთა ხელშიც იყო ფული, წარმოება და ვაჭრობა. ამ სოციალურმა ჯგუფებმა მოწინავე პოზიციები დაიკავეს სამოქალაქო ომის შემდეგ და ისწრაფოდნენ კიდევ უფრო მეტად გაბატონებულიყვნენ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ასპარეზზე.

რელიგიური და ეკონომიკური ფაქტორების ნაზავს წარმოადგენდა ინგლისის ურთიერთობა ჰოლანდიასთან. ეზიარა რა XVI ს. პროტესტანტობას, ჰოლანდიამ(გაერთიანებული პროვინციები, ნიდერლანდები) იმავე საუკუნის მეორე ნახევარში დამოუკიდებლობა მოიპოვა ესპანეთისაგან. ამ ომში პროტესტანტულ ჰოლანდიას ერთმორწმუნე ინგლისიც უჭერდა მხარს. აჯანყებულთა დასახმარებლად ინგლისელებმა კონტინენტზე საექსპედიციო კორპუსები გააგზავნეს. მაგრამ XVII ს. დასაწყისიდან ინგლისის და ჰოლანდიის ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდა. კაპიტალისტური განვითარების გზაზე დამდგარი ეს ორი ერთმორწმუნე ქვეყანა მეტოქეებად იქცა. მათი ინტერესები ოსტ-ინდოეთში(როგორც მაშინ უწოდებდნენ მთელს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას), მოლუკის არქიპელაგზე გადაიკვეთა. 1623 წ. ჰოლანდიელებმა დაარბიეს ინგლისელთა სავაჭრო ფაქტორია კუნძულ ამბოინაზე და ამოხოცეს იქ მყოფი ინგლისელი ვაჭრები. ამან შეარყია ინგლისისი პრესტიჟი და მნიშვნელოვნად შეასუსტა ინგლისელი ვაჭრების პოზიციები ოსტ-ინდოეთში. შექმნილ სიტუაციას ვერ შეეგუებოდა სიტის დიდვაჭრობა და ფინანსისტები, რომლებიც ინგლისის სავაჭრო და ფულად კაპიტალს აკონტროლებდნენ. ამ დაპირისპირებას მოყვა ინგლის-ჰოლანდიის ომები. კრომველი ნამდვილად არ იყო ჰოლანდიელების მოძულე. მას მიაჩნდა, რომ ომი დაუშვებელი იყო ერთმორწმუნე ქვეყნებს შორის. მაგრამ მას ისიც ესმოდა, რომ დაუშვებელი იყო სიტის და პარლამენტის წინააღმდეგ წასვლა, რომლებიც მხარს უჭერდნენ ომს. ამიტომ მან მხარდაჭერა გამოუცხადა ომს „ხალხის კეთილდღეობიდან გამომდინარე.“ ინგლისის ფლოტის ძლევამოსილი გამარჯვებების წყალობით ჰოლანდია დამარცხდა.

1654 წ. ზავის პირობებით ჰოლანდია იძულებული გახდა ელიარებინა ინგლისის მიერ 1650 და 1651 წწ. მიღებული სანავიგაციო აქტები. ამ აქტების წყალობით ინგლისში უცხოური საქონლის შეტანა ხდებოდა მხოლოდ ინგლისური ხომალდებით, ან იმ ქვეყნების გემებით, სადაც ეს საქონელი იწარმოებოდა. ეს კი არნახულად მძიმე დარტყმას აყენებდა ჰოლანიის ფლოტის საშუამავლო ვაჭრობას, რაც ამ ქვეყნის გამდიდრების მთავარი წყარო იყო. გარდა ამისა, ჰოლნდიამ იტვირთა ვალდებულება, გაეძევებინა თავისი ტერიტორიიდან ინგლისელი როიალისტები და აენაზღაურებინა ინგლისისათვის ის დანაკარგი, რომელიც ჰოლანდიელმა ვაჭრებმა მიაყენეს 1623 წ. ინგლისელ ვაჭრებს ამბოინაზე თავდასხმის შედეგად. ასე რომ, ერთმორწმუნეობის ფაქტორმა კრომველის საგარეო პოლიტიკაში ჰოლანდიასთან მიმართებაში პირველობა ეკონომიკურ ინტერესებს დაუთმო.

პროტექტორატის საგარეოპოლიტიკური წარმატებები არ დასრულებულა ჰოლანდიასთან დადებული ხელსაყრელი ზავით. იმავე 1654 წ. ინგლისმა დადო მომგებიანი სამშვიდობო ხელშეკრულებები შვედეთთან და ჰოლანდიის მოკავშირე დანიასთან. ამ ხელშეკრულებებს ახლდა ინგლისის ვაჭრობისათვის ძალიან მომგებიანი მუხლები. ვაჭრობის ფაქტორი ნამდვილად უმნიშვნელოვანესი იყო კრომველისათვის. აი რას ამბობდა იგი ამაზე: „წარმოიდგინეთ, რა დაემართება ჩვენს ვაჭრობას, თუკი ჰოლანდიელები და დანიელები გამოგვყრიან ჩვენ ბალტიის ზღვიდან და თავად დაეპატრონებიან მას? გაქვთ იმის საშუალება და სახსრები, რომ თქვენი ფლოტი შეინარჩუნოთ? შესძლებთ იბრძოლოთ ზღვაზე თქვენი უფლებების დასაცავად და დაიცვათ თქვენი ქვეყანა შემოსევისაგან?“ – ეკითხებოდა იგი თავის ერთ-ერთ მიმართვაშო პარლამენტის დეპუტატებს. 1654 წ. დადებული ხელშეკრულებების წყალობით ინგლისის ხომალდებმა მიიღეს უფლება ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გაევლოთ ზუნდის სრუტე, რომელიც ჩრდილოეთის და ბალტიის ზღვებს უკავშირებს ერთმანეთს. ეს არნახულად დიდი ხელშეწყობა იყო იმ საზღვაო ქარავნებისათვის, რომლებიც მიემართებოდნენ დანიაში, შვედეთში, პოლონეთსა და რუსეთში. იმავე წელს დაიდო ხელშეკრულება პორტუგალიასთან, რამაც ბოლო მოუღო ორ ქვეყანას შორის საომარი მდგომარეობის

არსებობას.

დღის წესრიგში დადგა საფრანგეთთან ურთიერთობის მოგვარება, რომელიც უფრო არგამოცხადებულ ომს წააგავდა, ვიდრე მშვიდობას. დაპირისპირებას ადგილი ჰქონდა ამერიკის კონტინენტზე, სადაც ინგლისელებმა გააგზავნეს სამხედრო ხომალდები და გამოდევნეს ფრანგები აკადიაში(დღევანდელი კანადა) დაარსებული მათი ახალშენებიდან. ამან ფრანგებს დიდი ზარალი მიაყენა, რადგან ისინი ველარ იძენდნენ ადგილობრივი ინდიელებისაგან ძვირფას ბეწვეულს, რომელსაც ფრანგულ ნაწარმზე სცვლიდნენ. თავის მხრივ საფრანგეთის ანტიმონარქისტული მოძრაობის, „ფრონდის“ სამხედრო ძალების მეთაური უფლისწული კონდე კრომველს სამხედრო დახმარებას სთხოვდა სამეფო კართან ბრძოლაში. მაგრამ საბოლოო ჯამში ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის მოგვარდა. 1655 წ. ნოემბერში დაიდო ორმხრივი ხელშეკრულება, რომელმაც გამოაცხადა ორ ქვეყანას შორის მშვიდობა, მეგობრობა და დაუბრკოლებელი ვაჭრობა. ამან ინგლისი და საფრანგეთი მოკავშირეებად აქცია მომავალ ომში ესპანეთთან. ამ კავშირს და საერთოდ, ესპანეთთან ომს თავად კრომველისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანც მას მიაჩნდა, რომ ესპანეთი ყოველნაირად ცდილობდა პროტექტორატის წინააღმდეგ აემოქმედებინა ქვეყნის შიგნით არსებული მტრები. „ესპანეთი დასყრდენს ეძებს ჩვენი ქვეყნის შიგნით“- თქვა მან თავის ერთ-ერთ საპარლამენტო გამოსვლაში. ამ შემთხვევაში კრომველის მოსაზრება სრულიად ემთხვეოდა მოსახლეობის იმ ნაწილის შეხედულებებს, რომელიც ესპანეთთან ომის მომხრე იყო. ესენი იყვნენ სოფლის ჯენტელმენები(საშუალო შეძლების აზნაურები). მათ უნდოდათ კონტროლი დაემყარებინათ კარიბის ზღვაში მდებარე ე. წ. შაქრის ლერწმისა და თამბაქოს კუნძულებზე და ჩამოეშორებინათ ესპანეთი მონა ზანგებით ვაჭრობისაგან. თავად კრომველი ყოველნაირად აქეზებდა პარლამენტის დეპუტატებს: „ მთელი ქრისტიანული სამყაროს, გერმანიის, დანიის, შვეიცარიის(კათოლიკეებს იგი ქრისტიანებად არ მოიაზრებდა – ივ.მ.) პროტესტანტების ინტერესები თქვენ მხარეზეა“- მიმართავდა იგი პარლამენტის დეპუტატებს. კრომველი მოუწოდებდა პროტესტანტებს თავისებური ჯვაროსნული ლაშქრო-

ბა მოეწყოთ კათოლიკეთა წინააღმდეგ. ილაშქრებდა რა კათოლიკეთა წინააღმდეგ, კრომველი პირველ რიგში პაპობას გულისხმობდა. აკი ეუბნებოდა კიდეც გენერალ ჯონ ლამბერტს: „თქვენსავით ახალგაზრდა რომ ვიყო, უეჭველად რომის კარიბჭეზე დავაბრახუნებდი.“ ალბათ ეს იყო თავისებური პროტესტანტული რევოლუციის ექსპორტის იდეა, რაც სწორედ რომზე გალაშქრებას გულისხმობდა. ამ მოწოდების თავისებურ და ნაწილობრივ განხორციელებას წარმოადგენდა ომი ფლანდრიაში, რომელშიც ინგლისი ჩაება საფრანგეთის მხარეზე ესპანეთის წინააღმდეგ. კონტინენტზე კრომველმა საფრანგეთს 6 ათასიანი კარგად აღჭურვილი შენაერთი დაახმარა, ხოლო ზღვიდან ესპანელებს და მათ მოკავშირეს, „ფრონდის“ სარდალს, უფლისწულ კონდეს, რომელსაც მხარში ინგლისელი როიალისტები ედგნენ ჩარლზ I ვაუების, ჰერცოგ იორკის და ჰერცოგ გლოსტერის მეთაურობით, პროტექტორატის ადმირალის, მონტეგიუს ესკადრა ბლოკავდა. გადამწყვეტი ბრძოლა 1658 წ. ივნისში, ფლანდრიაში, დიუნკერკთან (დღევანდელი საფრანგეთი) გაიმართა და ეპანელების და მათი მოკავშირე ინგლისელი როიალისტების სრული დამარცხებით დამთავრდა. ამაში ინგლისიდან გამოგზავნილმა შენაერთმა და ინგლისურმა ესკადრამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. ამ დამსახურებისათვის საფრანგეთის მეფემ ბრძოლის შემდეგ პირადად გადასცა დიუნკერკის გასაღები მის ახალ მმართველს, ინგლისის ელჩს საფრანგეთში სერ უილიამ ლოკარტს. ამგვარად, დიუნკერკი ინგლისის მფლობელობაში გადავიდა, რაც კრომველის დიდ სამხედრო-დიპლომატიურ გამარჯვებას წარმოადგენდა. დიუნკერკის სამხედრო-საზღვაო ბაზის მეშვეობით ინგლისი გააკონტროლებდა და საერთოდ აღკვეთდა მეკობრეთა (პირველ რიგში ესპანელთა) თარეშს ლა მანშისა და პა დე კალეს სრუტეებში და მათ მიმდებარე წყლებში.

მეკობრეობის აღკვეთა ამით არ შემოფარგლულა. მახლობელი აღმოსავლეთი ინგლისის სავაჭრო ინტერესების საკმაოდ მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენდა. ამ რეგიონში მდგომარეობის მოგვარებას კი ხმელთაშუა ზღვაში მოთარეშე მეკობრეები უშლიდნენ ხელს. ამისათვის კრომველმა ხმელთაშუა ზღვაში ჰოლანდიასთან საზღვაო ომში წარმატებული ადმირალი ბლეკი გააგზავნა. ბლეკმა

გაანადგურა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში მოქმედი მეკობრეები. ბლეკის საქმე წარმატებით განაგრძო კაპიტანმა სტოუქსმა, რომელმაც ნაწილობრივ გაანადგურა, ხოლო ნაწილობრივ შეიმოირიგა მეკობრეთა დარჩენილი დაჯგუფებები და ხელი ააღებინა ძარცვა-გლეჯაზე. ამას მოყვა დიპლომატიური წარმატებაც. ინგლისი არ აყვა ვენეციის წაქეზებას და არ ჩაება ომში ოსმალეთის წინააღმდეგ. მან შეინარჩუნა სულთანთან მშვიდობიანი, სავაჭრო ურთიერთობები და ამით განიმტკიცა პოზიციები მახლობელი აღმოსავლეთისაკენ მიმავალ სავაჭრო გზებზე.

ესპანეთთანომშიმიღწეულიწარმატებაარშემოფარგლულადიუნკერკის ხელში ჩაგდებით. დასავლეთის ნახევარსფეროში, ვესტ-ინდოეთში ინგლისელებმა გამოდევნეს ესპანელები იამაიკიდან და დაეპატრონენ ამ კუნძულს. არნახულად ხელსაყრელი ხელშეკრულება დაიდო 1654 წ. პორტუგალიასთან, რომლითაც ინგლისელმა ვაჭრებმა მიიღეს უპირატესი უფლებები ამ ქვეყნის ამერიკულ კოლონიაში, ბრაზილიაში ვაჭრობის საქმეში. საერთოდ კოლონიებთან ვაჭრობა ძალას იკრებდა და ინგლისში მასზე ყურადღების გამახვილება დაიწყეს გემთმშენებლებმა, რომლებსაც შესაბამისი ნედლეული სჭირდებოდათ. კრომველი ასევე ცდილობდა ჰოლნდიელები მათი ჩრდილოამერიკული კოლონიიდან, ახალი ნიდერლანდებიდან გამოედევნა. ამისთვის ექსპედიციაც იყო გამზადებული, მაგრამ იგი არ შედგა ჰოლანდიასთან დაზავების გამო. კრომველის ეს ჩანაფიქრი განხორციელდა ათი წლის შემდეგ. 1664 წ. სტიუარტების რესტავრაციის შემდეგ, როდესაც ჩარლზ II განკარგულებით ინგლისური ესკადრა ოთხი სამხედრო გემის შემადგენლობით ჩავიდა ამერიკაში და აიძულა კუნძულ მანჰატენზე მდებარე ახალი ამსტერდამის გუბრნატორი ეს ტერიტორია ინგლისელებისათვის დაეთმო. მეფის გადაწყვეტილებით ეს ტერიტორია მის ძმას, იორკის ჰერცოგს, ჯეიმსს ერგო, ამიტომაც ამ სამფლობელოს ახალი (ნიუ) იორკი(New York- ინგლ.) უწოდეს. ასე რომ კრომველის კოლონიური პოლიტიკა საერთო ჯამში წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს. საფუძველი ეყრებოდა მომავალ უკიდეგანო ბრიტანეთის იმპერიას.

იყო რა თავდადებული, მართლმორწმუნე პურიტანი-პროტესტან-

ტი, კრომველი ისწრაფვოდა ევროპის კონტინენტზე შეექმნა პროტესტანტული ქვეყნების კავშირი, რომლის მეთაურადაც, რასაკვირველია თავის თავი წარმოედგინა. იგი ასევე ისწრაფვოდა რომის წმინდა საღვთო იმპერიის ტახტზე „თავისი" კანდიდატი, ინგლისის მოკავშირე შვედეთის მეფე კარლ X გაეყვანა. ამის განხორციელება მან გადაწყვიტა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა იმპერატორი ფერდინანდ III ჰაბსბურგი. მაგრამ ეს გეგმა ვერ განხორციელდა. პროტესტანტული გაერთიანების შექმნას დიპლომატიური ძალისხმევის გარდა ძალზე დიდი ფულადი თანხებიც სჭირდებოდა. კონტინენტის ორივე სარწმუნოების სახელმწიფოები თავთავისი ინტერესების განხორციელებისაკენ ისწრაფვოდნენ და ამ ბრძოლაში პროტესტანტების გაერთიანება კათოლიკეთა წინააღმდეგ კრომველის პრაქტიკულად დაცარიელებული ხაზინით შეუძლებელი იყო. თითქმის იგივე შეიძლება ითქვას კრომველის ჩანაფიქრზე საიმპერატორო ტახტთან დაკავშირებით. იმპერატორად კვლავ კათოლიკე, ჰაბსბურგთა დინასტიის წარმომადგენელი, ლეოპოლდ I აირჩიეს. პროტესტანტი, შვედი მეფე ცოტა ძნელი წარმოსადგენია რომის წმინდა საღვთო იმპერიის იმპერატორის, თუნდაც სიმბოლურ ტახტზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა, კრომველის საგარეო პოლიტიკა მაინც წარმატებულად უნდა ჩაითვალოს. ეპოქის სულისკვეთება სწორედ იმ გამარჯვებებს აფსებდა, რომლებიც მან ფლანდრიასა და ვესტ-ინდოეთში მოიპოვა. ამ წარმატებამ ინგლისი დიდებით შემოსა. პლანტაგენეტების დინასტიის შემდეგ ინგლისმა კვლავ „დააბიჯა" ევროპის კონტინენტზე. „კრომველმა ჩვენ კონტინენტს მიგვაბა"-წერდა ცნობილი პოეტი ენდრიუ მარველი. იამაიკიდან მათთვის საძულველი ესპანელების გამოდევნა ინგლისელებისათვის მომგებიანიც იყო და საამაყოც. კრომველის ბრძოლებში გამობრძმედილი ვეტერანები შიშის ზარს სცემდნენ პროტექტორატის მტრებს ქვეყნის გარეთ თუ ქვეყნის შიგნით, რაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა დიუნკერკის ბრძოლამ. საზღვაო გამარჯვებებმა ესპანელებსა და ჰოლანდიელებზე, ხმელთაშუა ზღვაში მეკობრეების განადგურებამ საფუძველი ჩაუყარა ინგლისის ზღვაზე ბატონობას. „აქ (ხმელთაშუა ზღვაში-ივ.მ.) არ არის არც ერთი ნავსადგური, სადაც კი ამ ფლოტის(ინგლისის-ივ.მ.)

არ ეშინიათ"- წერდა 1656 წ. ლივეორნოში(იტალიაში) მყოფი ინგლისის აგენტი.

მაგრამ სწორედ ეს გამარჯვებები და დიდება, რომლებითაც ესოდენ ამაყობდნენ ინგლისელები ქმნიდა დიდ საშინაო სირთულეებს. ძლევამოსილი ფლოტის და განსაკუთრებით ჯარის შენახვისათვის დიდძალი ფულადი თანხები იყო საჭირო. თანხებს კი გადასახადები უზრუნველყოფდნენ, რომელთა ზრდა სულ უფრო მძიმე ტვირთად აწვებოდა მოსახლეობას. მზარდი გადასახადებით გამოწვეულ უკმაყოფილებას ემატებოდა წმინდა ფსიქოლოგიური მომენტი. რეგულარული ჯარი უცხო, მიუღებელი მოვლენა იყო ინგლისური ცნობიერებისათვის და საერთოდ, ინგლისისათვის, რომელიც ასწლიანი ომის შემდეგ პრაქტიკულად არ ჩაბმულა მასშტაბურ საომარ მოქმედებებში. ეს იყო თავისებური უცხო სხეული ინგლისური საზოგადოების შიგნით, თანაც მისი შესანახი. ინგლისში, შოტლანდიასა და ირლანდიაში განლაგებული სამხედრო ნაწილები უმოწყალოდ აცარიელებდნენ ხაზინას. ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა ფაქტობრივად კატასტროფული იყო. 1657 წ. ბიუჯეტის დეფიციტმა გადააჭარბა წლიურ შემოსავალს და 1 544 000 გირვანქა სტერლინგი შეადგინა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჯერ-ჯერობით არ არის დადგენილი, ასეთი მძიმე ფინანსური მდგომარეობა ხანგრძლივი პარლამენტისა და მისი „ნარჩენის" მემკვიდრეობა იყო, თუ ხაზინა ძირითადად პროტექტორატის დროს დაცარიელდა? როგორ გადაჭრიდა ლორდ-პროტექტორი ამ ურთულეს პრობლემას? რა საშუალებები იყო ამისათვის მის განკარგულებაში? კრომველი პრაქტიკოსი იყო. მოვლენათა მსვლელობა, ცალკეული მოვლენები, მათი არსი, ყოველივე ეს ზოგადი, თეორიული, მას თუ შეიძლება ასე ითქვას, ღმერთისთვის ჰქონდა მიბარებული. ღმერთი მას, ადამიანს უბოძებდა ამა თუ იმ მოვლენას, მდგომარეობას, სიტუაციას და შესაბამისად ადამიანს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი მას, კრომველს უნდა ემოქმედა. მას უნდა ემოქმედა იოტისოდენა ეჭვისა და ყოყმანის გარეშე, რადგან ეჭვი საკუთარ ძალებსა და შესრულების აუცილებლობაში შეცოდების ტოლფასი იყო. ასეთი იყო პურიტანული მორალი და კრომველიც წარბშეუხრელად მისდევდა მას. ამიტომაც ეუბნებოდა იგი ჯერ კიდევ 1643 წ. საფოლკის განმგე-

ბელის მოადგილეებს, როდესაც თავისი რაზმისთვის მოხალისეებს აგროვებდა: „როდესაც ღმერთი მოგვიწოდებს, აღსდექ და იმოქმედე, მე დაგიდგები გვერდში და ხელს გაგიმართავ, მაშინ ნურაფრის გვეშინოდეს, გარდა ჩვენი საკუთარი ცოდვილი სულის და სიზარმაცის.“ პირადი რიხი, ურყევი რწმენა, რომ ღმეთმა სწორედ ის აირჩია ამ კონკრეტული საქმის გასაკეთებლად, აი ის მტკიცე საფუძველი, რომელიც კრომველის წარმატებულ საქმიანობას განაპირობებდა.

მაგრამ რაოდენ შესძლებდა იმ დროისათვის ლორდ-პროტექტორი ჩვეული რიხითა და შემართებით მოქმედებას? 1658 წ. 25 აპრილს ბებერი ოლივერი, როგორც მას უკვე უძახდნენ 59 წლის გახდა. ასაკი დღევანდელი გადასახედიდან მაინც და მაინც დიდი არ არის, მაგრამ არ უნდა დაგვავიწდეს, რომ წლების მანძილზე მას სამხედრო ლაშქრობებსა და ბრძოლებში უხდებოდა მონაწილეობა, თავისი ჯარისკაცების მხარდამხარ უამრავი სირთულის გადატანა. ცვლილებები გაუარესებისაკენ მის ჯანმრთელობას უკვე 1657 წ. დაეტყო. ლორდ-პროტექტორს ხელების კანკალი დაეწყო, რაც მის ხელწერასაც დაეტყო, რომელიც ძველებურად მკაფიო და მკვეთრი აღარ იყო და ძნელად იკითხებოდა. იმ წლის ზაფხულის მნიშვნელოვანი ნაწილი მან ჰემპტონ ქორთში გაატარა, რომლის გვერდით სამკურნალო წყლები იყო. ლორდ-პროტექტორი ამ მკურნალობას საჭიროებდა, რათა სასუნთქი გზების მწვავე ანთება ჩაექრო. შერყეული ჯანმრთელობის და მომეტებული გულჩათხრობის და უნდობლობის მიუხედავად კრომველი ყოვენაირად ცდილობდა რაც შეიძლება მეტი დრო დაეთმო თავისი მოვალეობის შესრულებისათვის. ის ასევე ცდილობდა რაც შეიძლება ხშირად ყოფილიყო იმ ადამიანების გვერდით, რომლებთან სიახლოვეც მას სიმშვიდეს სძენდა და სიამოვნებას ანიჭებდა.

გასაკეთებელი საქმე კი ბევრი იყო და ისიც არ ეპუებოდა სნეულებას. ცდილობდა მოეძებნა ჯარის შენახვისათვის საჭირო თანხების შემცირების საშუალებები. ებრძოდა მონოპოლიებს, რათა შეძლებისდაგვარად ხელი შეეწყო ეკონომიკაში კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნისათვის. მან დერამში ახალი კოლეჯი გახსნა, ხოლო ოქსფორდის უნივერსიტეტში გეგმავდა ასევე ახალი, წმინდა მერის(წმინდა მარიამ ღვთისმშობლის) სახელობის კოლეჯის გასხანას, ხელს უწყობდა

ე.წ. გრამატიკული(საშუალო) სკოლების განვითარებას. ამ სკოლებში მოსწავლე-ახალგაზრდობას უნივერსიტეტებში შესასვლელად ამზადებდნენ. იგი მფარველობდა ოქსფორდის უნივერსიტეტის სახელგანთქმულ ბოდლის ბიბლიოთეკას, რომელიც თავის დროზე სერ თომას ფერფაქსის და მის ჩარევის წყალობით გადაურჩა პურიტანების ხელით განადგურებას. ეს უკანასკნელნი ამ ბიბლიოთეკას ურწმუნო და უწმინდური წიგნების საცავად მიიჩნევდნენ.

თითქოსდა კრომველის პროტექტორატის ხანაში ოდნავ შემსუბუქდა პურიტანების მკაცრი, პირქუში და ზოგჯერ სასტიკი ზნეობის ბატონობა. „წმინდანებმა," როგორც მათ ხშირად ეძახდნენ ზემოხსენებული თვისებების გამო რესპუბლიკის ხანაში მარტო ისტ ენგლიაში ერთ კვირაში დაანგრიეს 150 ეკლესია, ჰენრი VIII და ელიზაბეთ I დროის სასახლეში, გრინვიჩ პელისში დაამტვრიეს მუსიკალური საკრავები, გაანადგურეს ფერწერული ტილოები, საერო ხასიათის წიგნები, თავად სასახლე კი ფურნედ აქციეს. და აი ამგვარი „კულტურული ტერორის" შემდეგ, სწორედ პროტექტორატის ხანაში ლონდონის ქუჩებში ფერუმარილით შემკულმა ქალებმა გაბედეს გამოსვლა. ლორდ-პროტექტრის კარზე ღვინოსაც მიირთმევდნენ და მუსიკასაც კი უსმენდნენ. თავად კრომველი მუსიკის დიდი მოყვარული იყო. განსაკუთრებით საორღანო მუსიკა იტაცებდა. მის ორივე რეზიდენციაში შესაბამისი საკრავები იყო განთავსებული. ლორდ-პროტექტორი არც ვოკალური შესრულებით ტკბობაზე ამბობდა უარს. ერთხელ მან მოუსმინა ვინმე ჯეიმს ქუინს, მომღერალს, რომელსაც შესანიშნავი ბანი ჰქონდა. ქუინის შესრულებით მოხიბლულმა კრომველმა ჰკითხა მას: „მისტერ ქუინ, მითხარით, რა შეიძლება, რომ თქვენთვის გავაკეთო?" და აი აქ ლორდ-პროტექტორის კეთილგანწყობას ძალიან თავისებური, შეიძლება ითქვას პიროვნული ღირსებით აღსავსე პასუხი დახვდა. „ადრე სტუდენტი ვიყავი, მაგრამ სწავლა შემაწყვეტინეს. თუ შეიძლება რომ უნივერსიტეტში აღმადგინოთ." ქუინი ოქსფორდის უნივერსიტეტის სტუდენტი ყოფილა. როგორც ამბობდნენ იგი თავისი შეხედულებების გამო უნივერსიტეტიდან გარიცხეს. ლორდ-პროტექტორის განკარგულებით იგი უმალ აღადგინეს უნივერსიტეტის ქრაისთ ჩერჩ კოლეჯში. ლორდ-პროტექტორის ინტერესების ფარ-

გლებს მიღმა არც ლიტერატურა რჩებოდა. ლიტერატურით თავის შექცევა უაითლოკის თქმით კრომველის და მასთან თავმოყრილი მეგობრების გართობის ერთ-ერთი მთავარ საშუალებას წარმოადგენდა. ლორდ-პროტექტორი ზოგჯერ თამბაქოსა და ჩიბუხზეც კი არ ამბობდა უარს. იგივე უაითლოკის თქმით, კრომველი დიდ სითბოს, გულისხმიერებას და გასაოცარ უშუალობას იჩენდა დამსწრე საზოგადოების მიმართ.

ალბათ სწორედ ლორდ-პროტექტორის კარზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, როგორც მთლიანობაში ქვეყნის ზნე-ჩვეულებების თავისებურ ინდიკატორზე. შესაძლოა ქვეყანა „წმინდანების“ წყალობით ცოტა პირქუშად გამოიყურებოდა, მაგრამ როდესაც თვითმხილველები ადრიდნენ დაბრუნებული სტიუარტების და კრომველის კარს, ყოველთვის სინანულს გამოთქვამდენენ იმის გამო, რომ პროტექტორატთან ერთად გაქრა ის ღირსეული მანერები, რომლებიც კრომველის კარისათვის იყო დამახასიათებელი. რესტავრაციის ხანაში პურიტანების მკაცრი და თავდაჭერილი ზნეობის საპირისპიროდ და თითქოსდა მასზე თავისებური შურისძიების სახით კავალერები ისეთი წვეულებების მოწყობასაც კი არ ერიდებოდნენ, სადაც დიდგვაროვანი ქალები და მამაკაცები ერთად შიშვლები ცეკვავდნენ. ცნობილი ლონდონელი დიდვაჭარი თომას პოვი, რომელიც თავისი სიმდიდრის წყალობით დიდი გავლენით სარგებლობდა როგორც პროტექტორატის, ასევე რესტავრაციის ხელისუფლებაში, აღნიშნავდა, რომ კრომველის კარისაგან განსხვავებით, ჩარლზ II კარზე არ იყო არც რწმენა, არც სიყვარული, არც თანხმობა ცოლ-ქმარს შორის და არც მეგობრობა. კრომველის პირადი ექიმი, დოქტორი ბეიტი, რომელიც სტიუარტების მობრუნების შემდეგ თავისი ყოფილი ბატონის შეურიგებელ მტრად იქცა, ყოვლთვის ხაზს უსვამდა კრომველის კარის ზნეობრივ ჩამოყალიბებულობას და ამბობდა, რომ რესტავრაციის კარისაგან განსხვავებით ლორდ-პროტექტორის კარზე არ იყვნენ ლოთები, მეძავეები, მათი მოყვარულები და მექრთამეები. მაგრამ ამ თავისებურ „დისციპლინირებულობასთან“ ერთად ლორდ-პროტექტორის კარი სულაც არ იყო პირქუში და მოსაწყენი სამყარო, რასაც თვით პირწავარდნილი ანტიკრომველისტი, რესტავრაციის კარის

კმაყოფაზე მყოფი როიალისტი ისტორიკოსი ჯეიმს ჰიტიც კი არ უარყოფდა.

კრომველი საკუთარ თავს, თავის უძლურებას და სიბერეს ებრძოდა. სიტყვა, რომელიც მან პროტექტორატის მეორე პარლამენტის დათხოვნისას წარმოთქვა მისთვის ჩვეული რიხითა და მრისხანებით იყო აღსავსე. მან უსაყვედურა დეპუტატებს იმ წინააღმდეგობების გამო, რომლებსაც ისინი უქმნიდნენ ახლადშექმნილ ლორდთა პალატას. კრომველის თქმით ამით ისინი საბოლოო ჯამში უგულებელყოფდნენ ქრისტიანობისა და ინგლისის ინტერესებს. ეს კი, მისივე თქმით, ჩარლზ სტიუარტის წისქვილზე ასხამდა წყალს. „თუ ეს სხდომა ამ საქმეს(სტიუარტების წარმატებას-ივ.მ.) უწყობს ხელს, მე მას დავასრულებ და ამ პარლამენტს დათხოვნილად ვაცხადებ“- განაცხადა მან.

ასეთი რიხის და მრისხანების გამოხატვას უკვე ძალების აღდგენაც სჭირდებოდა და ლორდ-პროტექტორიც დამქანცველი სახელმწიფო საქმეების შემდეგ სულ უფრო ხშირად ილტვოდა დასვენებისკენ, რათა ოჯახური წრეში, აალბული ბუხრის წინ განცხრომას მისცემოდა. ეს ის ადგილი იყო, სადაც ის ყოველთვის გულთბილი და მომღიმარი წარსდგებოდა, ისე, რომ შუბლს არ იჭმუხნიდა. მაგრამ ჯან-ღონის დასუსტებასთან ერთად მას ერთი, არანაკლებად თუ არა უფრო მეტად ვერაგი, დაუნდობელი და საზარელი მტერი შემოეპარა. ბებერი ოლივერი, რომელიც ბრძოლის ველზე წარბშეუხრელი ეგებებოდა მტერს განგებამ კიდევ ერთხელ დააყენა სასტიკი გამოცდის წინაშე. 1658 წ. ივნისში გარდაიცვალა კრომველის ჩვილი შვილიშვილი, მისი ქალიშვილის, ბეტის(ელიზაბეთის) შვილი. მაგრამ მას კიდევ ერთი საზარელი დარტყმა ელოდა. იმავე ზაფხულს, მძიმე ავადმყოფობის, როგორც ჩანს, სიმსივნის შემდეგ, გარდაიცვალა იმ პაწია შვილიშვილის დედა, კრომველის უსაყვარლესი ქალიშვილი ბეტი. დასუსტებული და ღონემიხდილი კრომველი მთელი ორი კვირის მანძილზე არ შორდებოდა მომაკვდავი ქალიშვილის საწოლს. ბეტის სიკვდილმა კრომველს სასიკვდილო ლახვარი ჩასცა. თავზარდაცემული, იგი იმდენად იყო გათიშული, რომ შვილის დაკრძალვასაც კი ვერ დაესწრო. იმ დღეს მას ცოლი და ქალიშვილი მერი, ლორდ ფაკონბერგის

მეუღლე ადგნენ თავზე.

ამის შემდეგ კრომველი სრულად მიენდო ბიბლიას. ეს მისთვის სიახლე არ იყო. ბიბლიით შთაგონებულმა, მან დაიწყო თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამხედრო საქმიანობა და აი ახლა, განვლილი გზის დასასრულს, იგი კვლავ მიუბრუნდა ბიბლიას, რომელსაც, როგორც მისი ავტორიტეტული ბიოგრაფები ამბობენ, ყველა წიგნზე უკეთ იცნობდა. იგი თავად კითხულობდა ბიბლიას ან მას უკითხავდენ. განასკუთრებით ელტვოდა იგი სახარების პავლე მოციქულის ფილიპელთა ეპისტოლეს მეოთხე თავს. როგორც თვითონ ამბობდა, მისმა შინაარსმა მრავალი წლის წინ პირველი შვილის, რობერტის სიკვდილი გადაატანინა. როდესაც კითხვას ამთავრებდნენ, იგი იმეორებდა ეპისტოლეს სტროფებს. განსაკუთრებით ხაზგასმით გამოთქვამდა მე-13-ე სტროფს: „ყველაფერი შემიძლია ჩემს განმაძლიერებელ ქრისტეში.“ მაგრამ მერე, ადრიდა რა თავის თავის პავლე მოციქულს, მას თურმე საკუთარი უძლურებისა და არარაობის შეგრძნება ეუფლებოდა. „შენ ჩასწვდი ამას და იცხე მადლი,- მიმართავდა იგი პავლეს. მაგრამ მე რა მეშველება? ჰოი, საბრალო არსებავ, მივხვდი, რაოდენ ძნელია ჩემთვის აქედან დასკვნის გამოტანა.“ მაგრამ მერე კვლავ უბრუნდებოდა სულიერი სიმტკიცე. იგი აქებდა პავლე მოციქულს იმისთვის, რომ ეს უკანასკნელი ღვთის ნებას დაექვემდებარა და თან ჩურჩულებდა: „ის, ვინც პავლეს ქრისტეა, ჩემი ქრისტეც არის.“

ბეტი 6 აგვისტოს გარდაიცვალა. თითქოსდა 17 აგვისტოს, პროსტრაციაში მყოფმა ლორდ-პროტექტორმა ოდნავ მოიხედა, თანაც იმდენად, რომ ცხენზე ამხდრებულმაც კი გაისეირნა და შეხვდა ცნობილ მქადაგებელს ჯორჯ ფოქსს, რომლთანაც რელიგიის საკითხებზე ისაუბრა. და სწორედ ფოქსმა წარმოთქვა მრავლისმთქმელი სიტყვები: „როგორც კი შევხედე მას, მაშინვე მისგან მომავალი სიკვდილის ქროლვა ვიგრძენი.“ აქედან მოყოლებული კრომველის მდგომარეობა ციებ-ცხელების შეტევების, მუცლის და ზურგის არეში საშინელი ტკივილის და ოდნავი, ხანმოკლე გამოცოცხლების მონაცვლეობას წარმოადგენდა. აგვისტოს ბოლო დღეებში იგი ხანდახან მიმართავდა იმათ, ვინც მას თავზე ადგა: „შვილებო, იცხოვრეთ ისე, როგორც ქრისტიანებს შეჰფერით. თუკი ვინმემე შესცოდა, ჩვენ მამა ღმერთ-

თან მაცხოვარი იესო, მართალთა შორის ყველაზე მართალი შეგვაწევს სიტყვას.“ მისი წუხილის ობიექტს ზეციური მადლი წარმოადგენდა. „მითხარით, შეიძლება თუ არა, რომ ზეციური მადლი ჩამოშორდეს ადამიანს, თუკი იგი მას ერთხელ მაინც ეცხო?“- ჰკითხა მან იქ მყოფ ღვთისმსახურს, რაზეც უარყოფითი პასუხი მიიღო და დამშვიდდა. „მასა-შადამე, მე სულის ცხონება მელის, რადგანაც მე მეცხო ზეციური მადლი.“ 2 სექტემბერს მან თავის დაკვრითა თუ ჩურჩულით მიანიშნა, რომ დასტურს აძლევს თავისი ვაჟის, რიჩარდის, ლორდ-პროტექტორის თანამდებობაზე მემკვიდრედ გამოცხადებას. სულთმობრძავის სიტყვები კვლავ ღმერთს ეხებოდა. „ღმერთი მოწყალეა და არ მიმატოვებს, მე ჩემი გასაკეთებელი საქმე გავაკეთე, მაგრამ ღმერთი თავის ხალხთან იქნება.“ 3 სექტემბერს, კრომველისათვის ესოდენ სამახსოვრო დღეს, როდესაც მან ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა დანბართან და ვუსტერთან, მან კიდევ ერთხელ გაიბრძოლა. ლორდ-პროტექტორმა ჰკითხა იქ მყოფთ, თუ რატომ იყვნენ ისინი ესოდენ მოწყენილები. „თქვენ, ექიმები, ფიქრობთ, რომ მე ახლა მოვკვდები. არა, ზუსტად ახლა არა“- თქვა მან და ცოლს მაგრად ჩასჭიდა ხელი, რათა, როგორც ჩანს ძალა მოეკრიბა. „ყოჩაღად იყავით“- უთხრა მან იქ მყოფთ. ეს იყო ოლივერ კრომველის უკანასკნელი სიტყვები. ღმერთის ერთგული, მორჩილი და მოყვარული მისკენ მიმავალ გზას დაადგა.

გაცამტვერება და ისტორიის სამსჯავრო

კრომველის, როგორც სახელმწიფო მოღვაწის და პიროვნების გარდაცვალების შემდგომი ბედ-იღბალი ლორდ-პროტექტორობის დროს მისთვის მიგებული პატივის და დიდების სრულიად საპირისპირო მოვლენების ერთობაა. ბრწყინვალე, არნახული პატივით შემკული სახელმწიფო დონის დაკრძალვა ვესტმინსტერის სააბატოში, ინგლისის მონარქთა გვერდით და მერე ... 1658 წ. 3 სექტემბერს ისტორიამ ინგლისი თავისი ისტორიული განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანის წინაშე დააყენა. მრისხანე ლორდ-პროტექტორი ოლივერ კრომველი გარდაიცვალა. რა გზას დაადგებოდა ქვეყანა უიმისოდ, ვინც ისიც და საკუთარი თავიც ესოდენ შემოსა დიდებით? პირველი გამოცდა ლორდ-პროტექტორის ვაჟს, რიჩარდ კრომველს უნდა ჩაებარებინა. მამამისი სოფლის ჯენტელმენიდან ქვეყნის მბრძანებლის მწვერვალამდე ავიდა. თითქოსდა შვილს არაფერი უნდა გასჭირვებოდა, მან ხომ მემკვიდრეობით მიიღო ყველაფერი?! მაგრამ ისტორიამ აქაც დაამტკიცა, რომ მის ასპარეზზე შემთხვევითი და უბადრუკი ადამიანები ვერ აღზევდებიან. და თუ მოახერხებენ კიდეც ამას, ისიც თუ შეიძლება ითქვას, წუთიერად; რომ ობიექტური, უზენაესი გარემო პირობების გარდა საჭიროა სუბიექტური, პირადი მომენტებიც, და ორივეს ერთობა განაპირობებს პიროვნების წარმატებას და მის მიერ შესაბამისი მოვლენის განხორციელებას. ოლივერ კრომველი, რომელმაც პარლამენტის ჯარში სამსახურის დასაწყისში „ღირსეული და ქმედითი პოლკოვნიკ კრომველი“-ს სახელი დაიმსახურა, ამას აკეთებდა არა იმიტომ, რომ ათი წლის შემდეგ ლორდ-პროტექტორი გამხდარიყო, არამედ იმიტომ, რომ ესმოდა თვითეული მომენტის არსი და მოთხოვნა და მოქმედებდა კიდეც მათდა შესაბამისად. ამით ის ისტორიის, თავისი დროის ჭეშმარიტებას ახორციელებდა, როგორც ამას ჰეგელი იტყოდა. სწორედ ამ ჭეშმარიტების გაცნობიერება და განხორციელების უნარი იყო მისი წარმატების და ალმასელის

მთავარი წანამძღვარი და ამიტომაც იქცა იგი კიდევაც ისტორიულ კრომველად.

მამისაგან განსხვავებით რიჩარდ კრომველი ვერ შეეჭიდა მის წინაშე მდგარ რთულ ამოცანებს. იგი არა ქვეყნის მართვა-გამგეობისთვის და ამ პროცესთან დაკავშირებული სიძნელეების დაძლევისთვის, არამედ სოფლის ჯენტელმენის მშვიდი და მაძღარი ცხოვრებისათვის იყო მოწოდებული. ნადირობა, მდევრები, მეძებრები, მიმინოები, უხვი სუფრა, აი მისთვის ყველაზე სასურველი ასპარეზი, სადაც იგი თავს ისე გრძნობდ, როგორც თევზი წყალში. ძალიან ძნელია სიდიადის ჩანაცვლება ან თუნდაც მის ჩრდილში მუდმივად ყოფნა. რიჩარდ კრომველი თავად მიხვდა, რომ არ შეეფერებოდა დაკავებულ თანამდებობას და მალე, 1659 წ. 25 მაისს გადადგა კიდეც გენერლების ზეწოლის შედეგად. უფრო მეტიც, მოგვიანებით იგი იძულებული გახდა მიმალულიყო, რათა არ დაეპატიმრებინათ. ერთ ხანს იგი კონტინენტზე იმალებოდა ჯონ კლარკის შერქმეული სახელით და ბოლოს, 1681 წ. ინგლისში დაბრუნდა და ერთობ უდრტვინველად ცხოვრობდა ჰერფორდშირის საგრაფოში. იგი 1712 წ. გარდაიცვლა, 85 წლის ასაკში. რესტავრაციის ხელისუფლებამ არ უზღო მას მამამისის შეცოდებებისათვის. მაგრამ მისი ცხოვრება და გარკვეულწილად მიმოწერაც კი უთუოდ ისტორიის გაკვეთილს წარმოადგენს იმ თვალსაზრისით, რომ ნათელს ფენენ პიროვნების როლს ისტორიაში. მამამისის ერთ-ერთ ხელქვეითთან, გენერალ მონკთან მიწერილი მისი წერილი სწორედ ამის დასტურია. „ისევე, როგორც მე მიმაჩნია, რომ სრულიად უვარგისი ვარ დიდი საქმეების კეთებისათვის, ასევე თქვენც ირწმუნებთ იმას, რომ მეც არ ვიმსახურებ სრულ განადგურებას.“ რა საშინელი, მომაკვდინებელი ტრაგედიაა ძალაუფლების მწვერვალზე მყოფი ადამიანისათვის საკუთარი უძლურების სრული გაცნობიერება და აღიარება! ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ოლივერ კრომველის პიროვნების უკიდეგანო მასშტაბებს, რომელიც არა თუ უკან იხევდა ამ ადამიანების, თუნდაც იგივე მონკის წინაშე, არამედ მათი მბრძანებელი იყო, რომლის წინაშეც ისინი თავს ხრიდნენ და ძრწოდნენ.

ვინ იყო ოლივერ კრომველი მათთვის, ვინც მის წინაშე, როგორც

უკვე ვთქვით, ძრწოდა, ან თუნდაც მათთვის, ვისაც იგი უყვარდა? უსაზღვრო ტკივილით არის აღსავსე ჯონ ტერლოს წერილი კრომველის ვაჟის, ჰენრისადმი ირლანდიაში მიწერილი წერილი: „იმის თავი არა მაქვს, რომ ვწერო ან ვიკითხო იმ დარტყმის გამო, რომელიც განგებამ მოგვაყენა.“ ოქტომბრის თვეში ღვთისმსახურმა ჯორჯ ლოურენსმა თავის ქადაგებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ჩვენმა ცოდვებმა, უმადურობამ, შურღლმა, სიხარბემ, თავაშვებულობამ მოუსწრაფა სიცოცხლე ლორდ-პროტექტორს. ჩვენ დავკარგეთ სარდალი, ფარი, მამა და მეგზური.“ ასეთი სამგლოვიარო განცხადებების ფონზე, თავისთავად სრულიად სხვა სურათს ქმნის როიალისტთა შენიშვნები და გამონათქვამები. 30 აგვისტოს, როდესაც სულთმობრძავი კრომველი ეუბნებოდა მის საწოლთან შეკრებილ ხალხს, რომ აღარაფერი უნდა, გარდა იმისა, რომ იმქვეყნად წავიდეს, ლონდონს საშინელმა გრიგალმა გადაუარა. მისი მსგავსი პრაქტიკულად არავის ახსოვდა. და სწორედ იმ დღეს, გრიგალზე მინიშნებით, კიდევ ერთხელ გამოჩნდა, თუ რა იყო კრომველი როიალისტებისათვის. „ეშმაკმა მოაკითხა თავის მსახურს“ – ღვარძლიანად იგესლებოდნენ ისინი.

რიჩარდ კრომველის გადადგომის შემდეგ ყველაფერი შეიძლება ითქვას ძალიან სწრაფად მოხდა. შოტლანდიაში დაბანაკებული ჯარის ნაწილების სარდალმა, გენერალმა ჯორჯ მონკმა, რომელიც თავიდან როიალისტებთან იყო, მერე კი პარლამენტის ბანაკში გადაბარგდა, თავისი ნაწილები ლონდონისაკენ დაძრა. ლონდონში იმ დროისათვის შექმნილი იყო ე.წ. უშიშროების კომეტეტი, რომელსაც მეთაურობდნენ გენერლები ლამბერტი და ფლიტვუდი. ეს სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფება რესპუბლიკური მმართველობისკენ იხრებოდა. მაგრამ მათ აკლდათ ერთსულოვნება და არ ქონდათ მოქმედების ჩამოყალიბებული გეგმა. და საერთოდ, დემოკრატიული ძალები უკვე ვეღარ აკონტროლებდნენ სიტუაციას. ამით ისარგებლა მონკმა, დააპატიმრა გენერალი ჯონ ლამბერტი და მოიწვია დათხოვნილი პარლამენტის ნარჩენი. ამ უკანასკნელმა კი მოწვევა გაუგზავნა ჰოლანდიაში მყოფ ჩარლზ სტიუარტს და შესთავაზა ინგლისში მეფედ დაბრუნება. 1660 წ. 26 მაისს ჩარლზ სტიუარტი ზარ-ზეიმით შევიდა ლონდონში. პარლამენტის სპიკერმა მონარქიის აღდგენა განგების

ნების აღსრულებად უწოდა. ხალხის უმრავლესობა რესტავრაციას დადებითად შეხვდა. მან ქანქარასავით იმოქმედა. ის ხალხი, რომელმაც ჩარლზ I სიკვდილით დასჯის შემდეგ სამეფო ბირჟის შენობის წინ მდგარი მისი ქანდაკება დაანგრია და მის ადგილას გააკეთა წარწერა „ძირს ტირანები!“, 1660 წ. 26 მაისს გაიძახოდა ლონდონის ქუჩებში: „ღმერთმა დალოცოს მეფე ჩარლზ II!“

ჩარლზ სტიუარტი და კავალერები მხოლოდ იმისთვის არ დაბრუნდნენ ინგლისში, რომ მეფის ხელისუფლება აღედგინათ. საჭირო იყო სამაგიეროს გადახდა იმათთვის, ვინც მეფის ხელისუფლება დაამხო და ვისაც ჩარლზ I სიკვდილით დასჯაში ხელი ერია. სიკვდილით დასაჯეს გენერალ-მაიორი თომას ჰარისონი, ცნობილი მქადაგებელი ჰიუ პიტერი, მეფის სასამართლო პროცესის ბრალმდებელი ჯონ კუკი, სერ ჰენრი ვენი უმცროსი, თუმცა კი იგი პირადად მეფის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი იყო. მაგრამ კავალერების შურისძიება ცოცხლებით არ შემოიფარგლა. სასჯელი მკვდრებსაც უნდა ეწვნიათ. და აი საფლავებიდან ამოიღეს მეფეზე გამართული სასამარლოს თავმჯდომარის ჯონ ბრედშოს, ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ინდეპენდენტის ჰენრი აირტონის, და რასაკვირველია, კავალერთა აზრით ყველაზე დიდი მეამბოხის და ბოროტმოქმედის, ლორდ-პროტექტორ ოლივერ კრომველის გვამები. ყველაფერი დანარჩენი კი ალბათ უფლის გზების შეუცნობლობის კიდევ ერთი დასტურია ადამიანის ბედ-იღბლის მიმართ, თუნდაც მისი გარდაცვალების შემდეგ. 1661 წ. 30 იანვარს, დილით, ზუსტად იმ დღეს, როდესაც ჩარლზ I სიკვდილით დასაჯეს, კრომველის გვამი ჯერ სამარხიდან ამოიღეს, მერე ღია კუბოთი ათრიეს სახრჩობელამდე, შემდეგ კი ჩამოახრჩვეს. ჩამოხრჩობილი გვამი ნაშუადღევის 4 საათამდე ეკიდა სახრჩობელაზე. მერე მას თავი მოკვეთეს, ხოლო მოკვეთილი თავი ვესტმისტერ ჰოლის სახურავზე გამოფინეს. სულ ბოლოს კი, ერთი ცნობით, გვამი ერთ-ერთ ორმოში ჩაფლეს, ხოლო მეორე ცნობით იგი დაანაწევრეს. მისი თავის და სხეულის ნაწილების შემდგომი ბედი უცნობია. იგივე ბედი ეწია აირტონისა და ბრედშოს გვამებს. ასეთივე სასჯელი ელოდა პოლკოვნიკ თომას პრაიდის გვამს, მაგრამ როგორც ამბობენ მას ასცდა ეს ხვედრი, რადგანაც პრაქტიკულად სრულიად იყო გახრწნილი.

როიალისტები ზეიმობდნენ. ისინი ყველა შესაძლებლობას იყენებდნენ იმისათვის, რომ კრომველისათვის, ან თუნდაც მისი გვამისთვის შეურცყოფა მიეყენებინათ. მას შემდეგ რაც კრომველის გვამი ჩამოახრჩვეს, ერთ-ერთმა როიალისტმა უბრალოდ ვერ მოისვენა, სანამ არ უთხრა კრომველის ქალიშვილს, მერის, ლორდ ფაკონბერგის ცოლს: „მამათქვენის გვამი ვნახე ჩამოხრჩობილი. და მერე რა, სერ? – ჰკითხა მერიმ. „საშინლად ყარდა – უთხა როიალისტმა. არ არის გასაკვირი, იგი ხომ მკვდარია- უპასუხა მერიმ. დიახ – დაეთანხმა როიალისტი. ისე, რომ დასცლოდა, იგი თქვენ უფრო მაგარად აგაყროლებდათ“ – უთხრა მერიმ და როიალისტსაც არაფერი დარჩა სათქმელი. კავალერების და პირველ რიგში სტიუარტების ესოდენი გაბოროტება ალბათ გასაგებიც არის. ისინი, ვის წინაშეც ქვეყანას თავი უნდა დაეხარა და ელიარებინა როგორც ღვთით მოვლენილი და მის მიერ მირონცხებული მბრძანებლები, წლების მანძილზე ხან ერთ, ხან მეორე ევროპულ სამეფო კარს აფარებდნენ თავს. მათ ხომ საკუთარი უბედურების მთავარ მიზეზად ინგლისში დარჩენილი მეამბოხეები და „მეფის მკვლელები“ მიაჩნდათ?! ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ მათ შურისძიება სწყუროდათ.

ნეშტი გააცამტევრეს. მაგრამ კრომველის გარდაცვალებიდან 30 წლის შემდეგ სტიუარტების დინასტია საერთოდ გაქრა ინგლისის პოლიტიკური ცხოვრებიდან. 1688 წ. „დიადმა რევოლუციამ“ შეიძლება ითქვას საბოლოოდ დააკანონა ინგლისში კლსიკური სახით კონსტიტუციური მონარქია. ის, რომ კათოლიკე მეფე ჯეიმს II სტიუარტმა და მისმა მომხრეებმა პრაქტიკულად წინააღმდეგობის გარეშე დატოვეს ინგლისი მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო არა მხოლოდ იმით, რომ ქვეყანამ მონარქს ზურგი შეაქცია, არამედ იმითაც, რომ ჯეიმს II კარგად ახსოვდა მამამისის, ჩარლზ I გასამართლებაც და სიკვდილით დასჯაც. ეჭვი არ არის, ჯეიმს II არ სურდა მამის ბედის გაზიარება.

მაგრამ მანამდე სტიუარტები არაერთხელ დამდგარან იმ ფაქტის წინაშე, როდესაც მათი ქვეშევრდომები ან უცხოელები უპირატესობას პროტექტორატის ხელისუფლებას ანიჭებდნენ. სტიუარტების საგარეო პოლიტიკის წყალობით ინგლისი პირველობას თავის მე-

ზობელ-მეტოქეებს უთმობდა და ეს ერთობ თვალშისაცემი მოვლენა აღიზიანებდა ინგლისელებს. „განა კრომველი შიშის ზარს არ სცემდა მეზობლებს?!“- დაუფარავად და სინანულით ამბობდნენ ხალხში. იყო შემთხვევები, როდესაც ადამიანები დაუსჯიათ იმისათვის, რომ მათ უთქვამთ: „სტიუარტები ინგლისს ჰოლანდიას უქვემდებარებენ, კრომველის დროს კი პირიქით იყო.“ ინგლისის ელჩები საფრანგეთსა და ჰოლანდიაში, ლოკარტი და დოუნინგი სინანულით იხსენებდნენ პროტექტორატის ხანას, როდესაც ამ ქვეყნების მთავრობები მათ გაცილებით მეტ პატივს მიაგებდნენ, ვიდრე სტიუარტების დროს. საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ უცხოელი დიპლომატები ინგლისის მეფეების თანდასწრებითაც კი არ ერიდებოდნენ კრომველის ქებას. ერთხელ ჩარლზ II შესჩივლა საფრანგეთის ელჩს ანტუან დე ბორდოს, რომ მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები ზოგჯერ საფრანგეთში პოულობდნენ თავშესაფარს. „ასეთი რამ ხომ არ მოხდებოდა კრომველის დროს!- სასოწარკვეთით შესძახა მეფემ. თქვენო უდიდებულესობავ, მაგრამ კრომველი ხომ დიდი ადამიანი იყო და ყველა ძრწოდა მის წინაშე ზღვასა და ხმელეთზე!“ – უპასუხა დე ბორდომ. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დაემართებოდა ამისთანა პასუხის გამგონე ჩარლზ II. ნოსტალგიას პროტექტორატზე მოსახლეობა განსაკუთრებით დაუფარავად გამოხატავდა ჰოლანდიასთან 1665-1667 წწ. წარმოებული ომის დროს, როდესაც ჰოლანდიელთა ესკადრა შევიდა თემზის შესართავში და ლონდონი დაბომბა. და აი სწორედ მაშინ ყველას სინანულით გაახსენდა „ბებერი ოლივერი,“ რომელიც, როგორც ამბობდნენ, ქვეყანას არავის დააჩაგვრინებდა. ასე რომ, საზოგადოება, რომელიც საერთო ჯამში მიესალმებოდა პურიტანების ზნეობრივი დესპოტიმზმის დამხობას, იმავე დროს ნოსტალგიით იყო შეპყრობილი კრომველის ხანის ინგლისის სიდიადისა და ავტორიტეტისადმი. თანაც ქვეყნის სიდიადეს და მის „ავტორს“ ხოტბას ასხამდნენ ინტელექტუალები, მწერლები, პოეტები, ადამიანები, რომელთა მთავარი იარაღი სიტყვა და კალამი იყო. „კრომველმა უცხოეთში ძველი დროის ჩვენს დაპყრობებზე მიგვანიშნა“- წერდა პოეტი ედმუნდ უოლერი. „კრომველმა მიგვაბა კონტინენტს“- ამბობდა პოეტი ენდრიუ მარველი. პოეტი-ლაურეატი ჯონ დრაიდენი წერდა, რომ „კრომველ-

მა ინგლისელები კონტინენტის სრულუფებიან წევრებად აქცია და ინგლისურ ლომს ბრდღვინვა ასწავლა. მან აღადგინა დამარცხებული სიმამაცე და იმავე ინგლისურ ლომს ბრჭყალები გაულესა". განზე არც XVIII ს. მოღვაწეები დარჩენილან. „იგი მხარში ედგა თავის სახელმწიფოს და შიშის ზარს სცემდა მთელს ევროპას, თავისი ბუმბერაზული სიმამაცით და თავისი ჯარის სულისკვეთებით. კრომველმა ინგლისის რეპუტაცია ისეთ სიმაღლეზე აიყვანა, რომელზედაც ის არასოდეს ყოფილა"- წერდა XVIII ს. ცნობილი ინგლისელი მწერალი და დრამატურგი ჰენრი ფილდინგი.

იმ მოვლენათა შორის, რომლებზეც კრომველმა და მისმა მმართველობამ იქონიეს გავლენა აღსანიშნავია შემდეგი. რესტავრაციის სამეფო კარი და დიდგვაროვანი საზოგადოების ყოფა-ცხოვრება ერთობ დიდი ფუქსავატობით და აღვირახსნილობითაც კი გამოირჩეოდა. ეს იყო კავალერების რეაქცია მრგვალთავიან-პურიტანების სისადავესა და სიმკაცრეზე. მაგრამ მთლიანობაში ქვეყანა გაწონასწორებულ, ტრადიციულ ყოფას მისდევდა. და ამაში მნიშვნელოვანი წვლილი ისევ პურიტანებმა, კერძოდ კი კრომველის ჯარის ვეტერანებმა შეიტანეს. გამართლდა კრომველის სიტყვები, რომლებიც მან ახალი ყაიდის ჯარის შექმნისას წარმოთქვა: „მხოლოდ ღვთისმოსავი და ღვთისმოშიში ადამიანები გამოდგებიან დიდი საქმის დასაცავად. მშვიდობიან დროს კი ისინი ისევე დაემორჩილებიან სახელმწიფოს და კანონს, როგორც სახარებას." და მართლაც, კბილებამდე შეიარაღებული, ბრძოლებში გამობრძმედილი კრომველის ვეტერანები უთქმელად, წარშეუხრელად დაემორჩილნენ რესტავრაციის ხელისუფლებას და დაიშალნენ. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის, თუ რა შეფასება დაიმსახურეს კრომველის ვეტერანებმა, როდესაც მათი დათხოვნის გადაწყვეტილება იქნა მიღებული. „ევროპის არც ერთი მბრძანებელი არ დაითხოვდა ასეთ ჯარს, რომელსაც გამარჯვება თან სდევს"- განაცხადა 1660 წ. 13 სექტემბერს პარლამენტში გრაფმა კლარენდონმა. „რკინისგვერდებიანები" დაითხოვეს. ისინი დაუბრუნდნენ თავის საქმიანობას და თუკი სადმე ყურადღებას მიიპყრობდა სანიმუშო ყოფაქცევის, გაწაფულობისა და შრომისმოყვარეობის იომენი (yeoman-გლეხი, ფერმერი, ინგლ.) ან ხელოსანი, იგი აუცილებლად „ბებერი

ოლივერის“ ერთ-ერთი ვეტერანთაგანი უნდა ყოფილიყო.

1821 წ. ქ. ჩეშანტში გარდაიცვალა ოლივერ კრომველის მეოთხე შვილის, ჰენრის შვილთაშვილი ჰენრი კრომველი. იგი ოლივერ კრომველის მოდგმის მამრობითი სქესის უკანასკნელი წარმომადგენელი აღმოჩნდა. იყო გარკვეული მცდელობა ეს გვარი ჰენრის სიძეს, მისი ქალიშვილის, ელიზაბეთის ქმარს მიეღო. მაგრამ როდესაც საქმე საბოლოო, მონარქის ნებართვაზე მიდგა, მეფე ჯორჯ III უთქვამს: „არა, არა, კმარა კრომველები.“ მაგრამ უარყოფდა რა კრომველთა გვარს, ინგლისის უზენაესი ხელისუფლება იმავდროულად უარს არ ამბობდა კრომველის აქტიური საგარეო პოლიტიკის კურსზე, რომლის წყალობით ინგლისმა შემოიმტკიცა შოტლანდია და ირლანდია, რაც მანამდე ვერც ერთმა ინგლისელმა მეფემ ვერ შესძლო. კრომველმა დააფუძნა ინგლისის კოლონიური სამფლობელოები ვესტ-ინდოეთში, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორედ კრომველის დროს ჩაეყარა საფუძველი დიდ ბრიტანეთსა და მომავალ ბრიტანეთის იმპერიას, რომლითაც ასე ამაყობდნენ ბრიტანეთის კუნძულების მკვიდრნი და რომელსაც ხოტბას ასხამდა თავის ლექსებში რედიარდ კიპლინგი.

ოლივერ კრომველს რთული ხვედრი ერგო. კონსერვატორები მას გმობდნენ როგორც მეფის მკვლელს, ლიბერალები – როგორც პარლამენტარიზმის, თავისუფლების პრინციპების მოღალატეს. ნამდვილად გამოუვალი მდგომარეობაა! მაგრამ მოდით, თვალი გადავავლოთ მის მთელ სამხედრო-პოლიტიკურ საქმიანობას მოვლენათა მსვლელობის განვითარების კუთხით. კრომველს ადანაშაულებენ იმაში, რომ მისი დაჟინებული მეცადინეობის წყალობით ჩარლზ I ეშაფოტზე აღმოჩნდა. მაგრამ განა პარლამენტმა და მისმა მაშინდელმა სახელოვანმა მესვეურებმა არ დაიწყეს ბრძოლა მეფის აბსოლუტისტური მისწრაფებების წინააღმდეგ? ოლივერ კრომველი მაშინ პარლამენტის რიგითი დეპუტატი იყო. განა ოპოზიციურად განწყობილმა დეპუტატებმა და ლორდებმა არ აისხეს იარაღი და ჩამოაყალიბეს ჯარი, რომელმაც მეფის წინაამღედგ დაიწყო ომი? იმ დროს ოლივერ კრომველი მხოლოდ და მხოლოდ იმ ჯარის სარდლობის დაქვემდებარებაში მყოფი ერთ-ერთი ოფიცერი იყო. იგი კატეგორიული იყო და უკიდურეს ზომებს მიმართავდა? მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ მისი კატეგორიულობის

და პრინციპულობის წყალობით პარლამენტმა გაიმარჯვა მეფეზე და უკვე ეს არის საკმარისი იმის დასტურად, რომ კრომველმა გადამწყვეტი როლი ითამაშა პარლამენტის სამოქალაქო ომში გამარჯვებაში. თუმცა მას არც კომპრომისზე წასვლის უნარი აკლდა. სწორედ კრომველმა შესთავაზე პარლამენტის ჯარის სარდლობას, კერძოდ, მერყევ და გაუბედავ გრაფ მანჩესტერს და გრაფ ესექს, ზავი დაედოთ მეფესთან, თუკი მათ ეს ასე სურდათ. თანაც კრომველისვე სიტყვებით ეს იყო დაზავებისათვის ყველაზე კარგი, ხელსაყრელი მომენტი. მაგრამ ჯარის უნიათო სარდლობას არც პრინციპულად და ენერგიულად მოქმედების თავი ჰქონდა და იმავე დროს დაზავებისაც ეშინოდა, რადგანა არ გამორიცხავდა, რომ მეფის რისხვა დაატყვებოდა თავს. სავსებით შესაძლებელია, რომ ასეთ შემთხვევაში ეშაფოტზე სწორედ საპარლამენტო ოპოზიციის თავკაცები აღმოჩნდებოდნენ. ამიტომაც ისტორიულად შეიძლება ჩაითვალოს კრომველის ფრაზა, რომლითაც მან გააცამტვერა გრაფ მანჩესტერის მუდმივი ნუწუნი იმის თაობაზე, რომ მეფე ყოველთვის მეფედ დარჩება, თუნდაც 100 ბრძოლიდან 99-ჯერ დამარცხდეს, ხოლო მათ, პარლამენტის ბანაკის წევრებს, ერთხელ დამარცხებულებასაც კი, მაშინვე ჩამოახრჩობენ. „მაშინ საერთოდ რატომ ავიღეთ ხელში იარაღი?“- თქვა კრომველმა და ეს ფრაზა იმის მანიშნებელია, რომ ამ სიტყვების მთქმელ ადამიანს სრული უფლება ჰქონდა შექმნილ სიტუაციაში ასეთი მძიმე, ძნელი საქმე ეტვირთა და ისე წაეყვანა იგი, როგორც მას მიაჩნდა საჭიროდ. პარლამენტი მეფეს დაუპირისპირდა, რათა თავისი უფლებები დაეცვა და აბსოლუტიზმის მარწუხებში არ აღმოჩენილიყო. ამიტომაც კრომველის კატეგორიული პოზიცია და შესაბამისი მოქმედება არა მარტო მისი პირადი გამარჯვება, არამედ პირველ რიგში ისტორიული კანონზომიერების ხორცშესხმაა.

და აი, ყველაზე კრიტიკული და მოწყვლადი მომენტი, მეფის სიკვდილით დასჯა. უდავოა, რომ ეს მოვლენა იმ დროის ცნობიერებისათვის საზარელი და შემაძრწუნებელი იყო. და ალბათ არა მარტო იმ დროისათვის. მეფეს ჰქონდა შესაძლებლობა შეთანხმებოდა პარლამენტს, თუნდაც იმ მოლაპარაკების დროს, რომელიც კრომველს მიყავდა და როდესაც ორივე მხარე ისე ახლოს იყო მორიგებასთან,

როგორც არასდროს. მაგრამ ჩარლზ I ორმაგ თამაშს ეწეოდა. მისი საბოლოო მიზანი პარლამენტის სრული დამორჩილება იყო. და ეს არც არის გასაკვირი. მბრძანებელს თავისი ქვეშევრდომების, თანაც მეამბოხეების დამორჩილება სურდა. მეფე სანახევრო გამარჯვებას არ დასჯერდებოდა. მისთვის მიუღებელი იყო რაღაც შუალედური შედეგი, რაც მას საბოლოო ჯამში პარლამენტის ხელში თოჯინად აქცევდა. მისი ხედვითა და მრწამსით მას თავისი სრული ბატონობა უნდა აღედგინა როგორც ქვეყანაზე, ასევე პარლამენტზე. ამიტომაც გაყავდა დრო შესაფერისი სიტუაციის მოლოდინში. ჩარლზი მარტო არ იყო. ამ ზრახვებს მხარს უჭერდა დედოფალი ანრიეტ-მარი, რომელსაც არნახულად დიდი გავლენა ჰქონდა ქმარზე. დედოფალი თავისი შვილის ტახტზე ასვლის ერთადერთ შესაძლებელ საშუალებად მიიჩნევდა მეფის სრულ გამარჯვებას პარლამენტზე. ამიტომაც იგი შთააგონებდა ჩარლზს ნებისმიერი დაპირება მიეცა მოწინააღმდეგეებისათვის, ოღონდ ხელთ ეგდო ინიციატივა. ამავე მიზნის მისაღწევად მეფე არ წყვეტდა ფარულ კავშირს შოტლანდიელებთან და ამისათვისაც დასდო მათთან საიდუმლო ხელშეკრულება, რომლის შესრულებითაც ინგლისში გაბატონებულ მდგომარეობას შეინარჩუნებდა სამეფო ხელისუფლება და პრესბიტერიანობა.

მაგრამ ძალიან რთულ მდგომარეობაში იყო კრომველიც. ჯარის სარდლობას სულ უფრო უჭირდა ჯარისკაცთა მასის ალაგმვა, რომელსაც მეფის სისხლი სწყუროდა. რიგითი შემადგენლობის წიაღში ფარულად ამზადებდნენ გენერლების დაპატიმრების და მკვლელობის გეგმებს. უფროსი ოფიცრები, კერძოდ პოლკოვნიკები კრომველს იმპიჩმენტს უპირებდნენ. „იგი ჰოტამის გზას დაადგა“- ამბობდნენ ისინი კრომველზე. მათ მხედველობაში ყავდათ სერ ჯონ ჰოტამი. ეს უკანასკნელი, იყო რა პარლამენტის სამსახურში ფარულად როიალისტებთან თანამშრომლობდა, რისთვისაც სიკვდილით დასაჯეს 1645 წ.

მაგრამ მეფის სრული გამარჯვება პარლამენტზე ამ უკანასკნელს მისი სრული შურისძიების მსხვერპლად აქცევდა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რას მოიმოქმედებდა შურისძიების წყურვილით აღვსილი მეფე დამარცხებული და მის წინაშე დამხობილი პარლამენტის მიმართ. მეფის წარმოდგენით დანდობა ვერ ექნებოდა და არც

უნდა ჰქონოდა ვიღაც უღირს, უგვარო და უნდილ მეამბოხეებს! ეს იყო ეპოქის და მონარქიზმის უმთავრესი იდეა! ასე რომ, ყველაფერს ეპოქის და კონკრეტული სიტუაციის მოთხოვნები და არა სიკეთისა და ბოროტების შესახებ თეორიული მსჯელობები წყვეტდნენ. როდესაც 1642 წ. 4 იანვარს მეფე შეიარაღებული რაზმის თანხლებით მივდა პარლამენტში, რათა თემთა პალატის ხუთი დეპუტატი დაეპატიმრებინა, ის ნამდვილად არ შემოიფარგლებოდა ამ პროცედურით. მით უფრო, რომ მანამდე ის დედოფლის დაუნდობელი გაკიცხვის ობიექტი გახდა. ანრიეტ-მარიმ მას მხდალი და უნიათო უწოდა. მან მოუწოდა ქმარს, რამენაირად დაემტკიცებინა და ეჩვენებინა მისთვის და ქვეყნისათვის, რომ ის მეფე, მბრძანებელი იყო. ეს იყო ომი და ხმალს უნდა გაერჩია მტყუან-მართალი. ასეთ შემთხვევაში ერთ-ერთი მხარე უნდა გაჰქრეს ასპარეზიდან, როგორც ეს ომის კანონებს შეეფერება. ჩარლზი დამარცხდა. რომაელთ უთქვამთ, გამარჯვებულებს არ სჯიან, მაგრამ ვაი დამარცხებულებს!... თუმცა კი ჩარლზ I ზუსტად ასევე მოიქცეოდა გამარჯვების შემთხვევაში. აკი მაკიაველიც იმასვე ამბობს, რომ მთავარი მხოლოდ გამარჯვებისკენ და ძალაუფლების შენარჩუნებისაკენ უნდა ისწრაფოდეს და მას ამ მიზნებისათვის მისაღწევ ნებისმიერ ხერხსა და საშუალებას მოუწონებენ! ჩარლზი ტირანად შერაცხეს. ნუ ვიდავებთ ამ ბრალდების საფუძვლიანობა-უსაფუძვლობაზე. მაგრამ სწორედ იმ ინგლისელი რევოლუციონერების პოლიტიკურმა შთამომავალმა, ცნობილმა ამერიკელმა პოლიტიკოსმა, განმანათლებელმა და საზოგადო მოღვაწემ, დამოუკიდებლობის დეკლარაციის ფაქტობრივმა ავტორმა და აშშ-ს მესამე პრეზიდენტმა თომას ჯეფერსონმა საუკუნენახევრის შემდეგ ძალიან თავისებური შეფასება მისცა სასტიკ ტერორს, რომელიც დატრიალდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს. იგი წერდა, რომ ისტორია ეს ის ხეა, რომელიც დროდადრო უნდა მოირწყას ტირანებისა და პატრიოტთა სისხლით. ჯეფერსონს ეს ისტორიის ბუნებრივ მსვლელობად მიაჩნდა. ასე რომ, რევოლუცია დასაბამიდანვე სისასტიკესა და დაუნდობლობას ატარებს თავის თავში. მას დანდობა და შემწყნარებლობა უბრალოდ ვერ მოეთხოვება, მით უფრო, როდესაც იგი უკვე სრული სვლით მიმდინარეობს.

კრომველს აკრიტიკებენ(განსაკუთრებით საბჭოთა ისტორიოგრაფიაში) იმის გამო, რომ იგი წინ აღუდგა ლეველერების სწრაფვას შემოელოთ საყოველთაო საარჩევნო უფლება(მამაკაცებისათვის). შესაბამისი ფაქტების ანალიზი გვიჩენებს, რომ აღნიშნული კრიტიკა უსაფუძვლოა. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი პოლიტიკაში ჩაუხედავი იყო და ადგილობრივი ლენდლორდების(მსხვილი მიწათმფლობელების) და სამღვდელოების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ასეთი ადამიანებისათვის, რომელთა უმრავლესობამ წერა-კითხვაც კი არ იცოდა, საარჩევნო უფლებების მინიჭება არათუ დაასუსტებდა, არამედ პირიქით, გააძლიერებდა კონსერვატიულ ძალებს. იმ ეპოქაში და იმგვარ პირობებში საყოველთაო საარჩევნო უფლებების მინიჭების წინააღმდეგ გამოდიოდნენ და მისი უარყოფითი გავლენის შედეგებზე მიუთითებდნენ XVIII ს. რადიკალურად განწყობილი მოაზროვნეები და მოღვაწეები. მაგ. ცნობილი პოეტი, რადიკალური იდეების მატარებელი პერსი ბიშ შელი(1792-1822 წწ.). იგი მიუთითებდა, რომ XVII ს. საყოველთაო საარჩევნო უფლებების მინიჭებით ძალაუფლება აღმოჩნდებოდა ისეთი ხალხის ხელში, რომელსაც ხანგრძლივმა მონობამ ყველაზე უარყოფითი თვისებები შესძინა. საარჩევნო რეფორმა, თანაც რადიკალური, არა კრომველის ხანის, არამედ მომდევნო საუკუნეების გადასაწყვეტი იყო. ეს განხორციელდა კიდეც 1832 წ. საარჩევნო რეფორმის მეშვეობით და შემდგომი პოლიტიკური გარდაქმნებით. ამრიგად, აღუდგა რა წინ თავისი დროის რადიკალებს, კრომველმა გარკვეულწილად საზოგადოებრივი მშვიდობა შეინარჩუნა.

და კიდევ ერთი, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი, ის სამსახური, რომელიც კრომველმა გაუწია საისტორიო მეცნიერებას, კერძოდ, ისტორიის ფილოსოფიას. სტიუარტებმა, როიალისტებმა მისი ნეშტიც კი არ დაინდეს, რესპუბლიკელები მას გმობდნენ და კიცხავდნენ იმისათვის, რომ მან ერთპიროვნული მმართველობა დაამყარა. თითქოსდა იგი სრულიად აღგავეს პირისაგან მიწისა. და აი, 1789 წ. საფრანგეთში იფეთქა დიდმა რევოლუციამ. ფრანგებმა თავისუფლების, თანასწორობის და ძმობის იდეები ამცნეს კაცობრიობას. მაგრამ იმ დროის უმაღლეს რევოლუციურ საკანონმდებლო ორგანოს, ეროვნული კონვენტის წარმომადგენლებს არ ავიწყდებოდათ

ინგლისური გაკვეთილი – ოლივერ კრომველი. ამიტომაც მისი დეპუტატები ფხიზლად ადევნებდნენ თვალს რევოლუციური არმიების გენერლებს. და თუკი რომელიმე მათგანს ოდნავ მაინც შეატყობდნენ დიდებით თრობას, მას ჯერ კრომველს შეადრიდნენ, მერე გაიუს იულიუს კეისრის ხვედრს შეახსენებდნენ, საკუთარ თავს კი კონვენტის წარმომადგენლები ბრუტუსთან და კასიუსთან აიგივებდნენ. „თქვენ კრომველობა გსურთ?- ჰკითხეს გენერალ დიუმურიეს კონვენტის კომისრებმა, იცოდეთ, მაშინ ჩვენ ბრუტუსად და კასიუსად ვიქცევით.“ ასე რომ, კრომველის სახელის მინიჭება ყველა მეტ-ნაკლებად პოპულარული გენერლისათვის რევოლუციის საქმის ღალატში დადანაშაულების ტოლფასი იყო. და თითქოს მუქარაც ჭრიდა. ზოგი გენერალი ქვეყნიდან გაიქცა(დიუმურიე),ზოგმაც გილიოტინაზე დაასრულა სიცოცხლე(დე ბოჰარნე, დე კიუსტინი, რონსენი, ვესტერმანი,). თითქოსდა ყველაფერი „რიგზე იყო.“ მაგრამ სწორედ იმ დროს, ახალზრდა, გენიალურმა, დიდებით, ჯარის სიყვარულით და ხალხის აღტაცებით შემოსილმა გენერალმა ნაპოლეონ ბონაპარტმა დაითხოვა რა უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები, თავი ჯერ საფრანგეთის რესპუბლიკის პირველ კონსულად და მერე იმპერატორად გამოაცხადა. ამგვარად, ეს უკვე იყო კრომველის, როგორც რევოლუციის ნიალიდან გამოსული მოღვაწის მიერ ერთპიროვნული მმართველობის დამყარების, როგორც იდეის, გამარჯვება. რევოლუცია სწორედ ამგვარ შვილებს შობდა.

ყველაფერი ზემოთქმული XVII- XVIII სს. მოხდა. მაგრამ ისტორია ამას არ დასჯერდა. 1917 წ. ოქტომბერში რუსეთში მომხდარი რევოლუციის შემდეგ, ძალაუფლებისაკენ ფრთხილი, დაჟინებული, მიზანმიმართული და მიზანდასახული სვლა დაიწყო მისმა ერთ-ერთმა მონაწილემ, იოსებ სტალინმა. ამ ბრძოლაში არსებული ყველა ხერხის და საშუალების ზედმიწევნით, ზუსტად გამოყენებით იგი მოექცა კიდეც ხელისუფლების სათავეში. ასე რომ, XX ს. კვლავ დადგა კრომველის, როგორც იდეის ზეობის ჟამი. მისი სულიერი, იდეური შვილების გამოჩენა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაში ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ოლივერ კრომველის, როგორც პოლიტიკოსის არსენალში ძალაუფლებისაკენ სვლის დროს იყო არა მარტო პირადი თვისებები

და უნარი, მაგ. ნიჭი, გონივრულობა, ან თუნდაც ეშმაკობა, სისასტიკე თუ დაუნდობლობა და საერთოდ, პირველობის წყურვილი. პრინციპში, ეს ხომ ბუნებრივია პოლიტიკაში ჩაბმული ადამიანისათვის, მით უფრო რევოლუციური ქარ-ცეცხლის ხანაში, როდესაც ძალაუფლება ესოდენ ადვილად მოსანადირებელ ნადავლად წარმოჩნდება. კრომველის და ყველა მისდაგვარი შემდგომი თვითმპყრობლის აღზევება განპირობებული იყო უზენაესი, საზოგადოებრივი განვითარების უზოგადესი კანონებით. თავისუფლებას ნაუცბათევად ნაზიარები საზოგადოება ვერ ერკვევა შექმნილ, ბობოქარ სიტუაციაში და ხშირად ანარქიის ზღვარზე დგას. ამიტომაც გაუთავებელი სოციალური რყევით დაქანცული, იგი იმას მინებდება, ვის ნებელობაშიც ამ რყევების დამასრულებელ, სასურველ ძლიერებას იგრძნობს. სერ უნისტონ ჩერჩილის გამონათქვამი იმის თაობაზე, რომ მეფის ხელისუფლების შეზღუდვისათვის დაწყებული ბრძოლა მახვილზე დაფუძნებული ავტოკრატიის დამყარებით სრულდება ჩვენის აზრით ამ მოვლენის ზოგად, საყოველთაო ხასიათზე მეტყველებს. ამიტომაც ამბობდა კრომველი, რომ მოვიდა არა როგორც მეფე, არამედ როგორც კონსტებლი, ე.ი. პოლიციელი, რომელსაც წესრიგი უნდა დაემყარებინა. და კონსტებლმაც ივარგა. პურიტან კრომველს ურყევად სწამდა, რომ იგი განგების მიერ იყო მოვლენილი მასზე დაკისრებული დიადი დავალების შესასრულებლად. 180 წლის შემდეგ კი ქვეყნიერების მეორე მხარეს ამგვარი ცნობიერება და ასეთი მოვლენა არაჩვეულებრივად ლაკონურად, და იმავე დროს მოხდენილად და ბრძნულად დაახასიათა ნიკოლოზ ბარათაშვილმა ლექსში „ნაპოლეონ“(1838 წ.): „ჟამი ჩემია, და ჟამისა მე ვარ იმედი!“ ასე რომ მართალი უთქვამს მოხუც ჰეგელს, თვითეული გმირი თავისი დროის ჭეშმარიტებას ახორციელებს!

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Churchill Winston, Sir. A History of the English-Speaking Peoples. The New World. N.Y. 1956.
2. Fraser A, Lady. Cromwell. Our Chief of Men. L. 2002.
3. Harris W. An Historical and Critical Account of the Life of Oliver Cromwell, Lord Protector of Commonwealth of England, Scotland and Ireland. L. MDCCLXII.
4. Hill Ch. God's Englishman. Oliver Cromwell and English Revolution. L. 1972.
5. Morley J. M.P. Oliver Cromwell. N.Y. The Century Co. 1900.
6. Morois A. History of England. L. 1937.
7. Wilson D. The King and the Gentleman. Charles Stuart and Oliver Cromwell. 1599-1649. L. 2000.
8. Барг М.А. Великая английская революция в портретах ее деятелей. М. 1991.
9. Вольский Ст. Кромвель. ЖЗЛ. 1934.
10. Грин Дж. Краткая история английского народа. тт. I-III.
11. История английской буржуазной революции XVII в. Под ред. акад. Е.А. Косминского и канд. ист. наук Я.А. Левицкого. тт. I-II. М. 1954.
12. Савин А.Н. Лекции по истории английской революции. Л. 1924.

Ivane Menteshashvili

Oliver Cromwell
Puritan, Captain, Statesman

(Summary)

This book shows Oliver Cromwell in various fields of his life from the point of view of historical process directed by certain regularities. He is presented as person, who succeeded from the ordinary rural gentleman to the heights of the Hero of history, which by oneself is already a proof of greatness, quite in the order of things. The narrative presents Cromwell's life and activity in his youth, maturity, in the dawn and the efflorescence of his talent and gifts. All these events, his deeds are considered as manifestation and embodiment of his aptitude, vigour, creed, religious tenets. His spirit and puritan values, which he exercised, were those main tools, which inspired him while making each step of his military and political activity. Cromwell is depicted not just only as skilled captain and shrewd politician, but also the person, who understood and properly analysed the importance of each crucial moment of social and political development. He acted in keeping with its demands and applied all his aptitude to the scope of the concrete task. Being othodox Puritan, having treated himself as the tool of the Lord, he steadily believed in in his own selected destiny and unwaveringly carried out the tasks prescribed to him by the Almighty. Such an approach was the prerequisite of his success.

Cromwell's success was conditioned not only by his sword. There were other skilled generals too. But as zealous puritan and ardent believer Cromwell was more devoted to the tenets of religion than the ordinary parishioner. At the same time in terms of politics he was much more perspicacious, had a broader horison and was more purposeful rather than an any ordinary rural gentleman. The narrative sets out an opinion, that if Cromwell is treated just as only "brave bad man" as Edward Hyde(Earl of Clarendon) says, it must be noted that all his personal traits were instigated exactly by the concrete circumstances of his epoch, particularly the

Civil War, which became fruitful scope for implementation of his versatile personal traits.

Concerning violent acts the narrative considers Cromwell's personality as phenomenon born by the greatest of all socio-political violences – Revolution, i.e. Civil War. Like any Revolution, the Civil War was violence from the very beginning. Since its start it instigated disorder and violation, infringement of a law. It changed consciousness of people and turned all these formerly inadmissible acts into phenomena, quite in the order of the things and permissible ones. Struggle for power removed from Parliament to the battlefield. Thus this contest acquired all relentless features of warfare, where "Victors are not judged, but voe to the defeated ones!" If Cromwell was implacable, it was caused not only by his personal traits, but first of all through the general circumstances of revolutionary warfare, which throws away halved measures and goes to the whole hog in everything.

The execution of the King Charles I through which Cromwell got both nicknames, "brave and bad"(it really needed bravery to sentence king to the capital punishment and okayed it), was really "cruel necessity." Notwithstanding his popularity, fame and authority, Cromwell was not sole lord of situation. Army, rank and files, juniour and even some senior officers were adamant and very vocal in there demands to execute king. Nobody, even Cromwell could resist them. Cromwell even somehow tried to save king. But Charles I overestimated his possibilities and disdained negotiations with army, treated them negligibly. This came out fatal for him. It was war, with its relentless rules, and nobody knows, how Charles I would treat his enemies in case of his victory. Of course, as supreme ruler, victor had to treat defeated rebels in accordance with the laws of that time, values and principles of warfare.

The narrative deals with atrocities committed while Irish campaign. The study of facts dealing with Anglo-Irish relations in 16th -17th centuries sheds luster on the attitude of the English towards vernacular Celtic(Gaelic) population of Ireland. It comes out that the English of all walks of life were disdainful towards Irishmen and treated them negatively. This was quite ordinary and even universal vision of Irishmen by Englishmen of then times.

This proves, that Cromwell who treated natives held himself superior was not only one in his attitude towards indigenous population, especially Catholics. Atrocities, regrettably committed by English troops while storming besieged towns, were not things, out of order. Such stormings and relentless assaults were ordinary phenomena and even were held as plausible in 17th century warfare according to then times norms and values.

Coups d'etats carried out by Cromwell(the Pride's purge inclusive) were not only his personal violent deeds against legislative body. These acts succeeded and were not resisted by population(sometimes even approved), because the Long Parliament and especially the Rump actually had no support of people through their corrupted character and disdainful attitude towards popular needs. Concerning Barebone's parliament it must be said that it was too much liberal for then times, i.e. "leftist." Through its unexperienced, untested designs it could undermine the whole socio-political framework of society. In other words they could overdo. Thus, having dissolved Barebone's Parliament, Cromwell secured socio-political stability of the country.

The narrative gives the philosophic consideration of power and aspiration of Heroes towards it. It shows the evolution of Cromwell from subordinate, well-disciplined serviceman to the usurper. But this evolution is evaluated as the historical process directed by certain, general laws of social and political development. Zeal, victories, merit, glory rose Cromwell's personality to that level which encouraged him to seize power. This is irreversible process on the way of psychological growth of personality, especially through his success and glory . If person deals with politics he aspires to power, for sure. So, Cromwell's glory and prestige did not permit him to be subservient to those ones, who were not only corrupted but also inferior to him. But this was not only greed for power just of a nobody. It was rather natural elevation of spirit of meritorious person. Indifference of population towards dissolution of Rump symbolised approval of Cromwell's coup d'etat by grass roots. Civil War, durable military and political strife exhausted social and political energy of community. It was not active as it was in early 1640s, repulsing king's absolutist claims. Therefore it took side of a

strong ruler who could stop endless quakes of socio-political situation. Sole ruler, especially who is surrounded with halo of military glory seizes power not only through his own efforts, particularly military strength. Society subconsciously supports him, becauses it is enchanted by his glory. Authoritarian rule always comes as a sort of post revolutionary tranquillisation. The narrative here is guided by Hegelian provision that each hero fulfils the truth of his epoch. Appearance of Napoleon in 18-19th centuries and Stalin in 20th century, who may be treated as Cromwell's political descendants, in different times and countries is an irrefutable proof that Cromwell's birth and rising as a political figure was quite in the order of things.